გ. ტივაძე

შუა საუკუნეების ისტორია

I

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1987

63.3(0)4
ტ 566

წიგნი პირველად გამოცემული იყო ოთხ ნაწილად, შემდეგი სათაურებით: „ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში“, „ფეოდალური ევროპა X—XI საუკუნეებში“, „დასავლეთ ევროპა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში“ და „დასავლეთ ევროპა გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში“.

დამხმარე სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის წინამდებარე, მესამე გამოცემას საფუძვლად დაედო მისი ავტორის სიცოცხლეშივე, 1967 წელს გამოცემული პირველი ნაწილი, რომელიც იბეჭდება თითქმის უცვლელი სახით.

ვინაიდან ისტორიის ფაკულტეტის სასწავლო გეგმის მიხედვით, დასავლეთისა და სამხრეთ-სლავების ისტორიის კურსი ცალკე საგნად ისწავლება, პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით ამ ხალხების ისტორიის საკითხები წიგნში არაა განხილული.

განკუთვნილია სტუდენტი ისტორიკოსებისა და პედაგოგებისათვის.

რედაქტორი გ. ჟორდანია
რეცენზენტი კ. მეშველიანი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

0504020000
Т ——————
М608(06)—87

შესავალი

ჩვენი შესწავლის საგანია შუა საუკუნეების ისტორია, მაგრამ, ვიდრე უშუალოდ მის პერიოდიზაციას შევუდგებოდეთ, ზედმეტი არ იქნება, თუ საერთოდ ისტორიის ცნებას განვმარტავთ. ისტორია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გაგებულის ან გამოკვლეულის თხრობას. ჩვეულებრივ, ისტორიის ცნებას ორი გაგებით ხმარობენ: ისტორია ფართო გაგებით გულისხმობს ადამიანთა საზოგადოებისა და ბუნების ყოველგვარ მოვლენათა ასახვას, ხოლო ისტორია ვიწრო გაგებით, რაც უფრო ხშირ შემთხვევაში გვხვდება, ნიშნავს მეცნიერებას, რომელიც მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების განვითარებას შეისწავლის. ისტორია უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მეცნიერებაა. მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი ისტორიული მატერიალიზმია.

რაკი ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარება ისტორიის შესწავლის ძირითადი საგანია, ამიტომ საჭიროა განიმარტოს თვით საზოგადოების ცნებაც, მით უფრო, რომ ამ ტერმინის განმარტების გარშემო ბურჟუაზიულ მკვლევართა შორის გავრცელებულია სხვადასხვაგვარი შეხედულება. ასე, მაგალითად, ინგლისელი ფილოსოფოსის ჰ. სპენსერის (1820—1903) აზრით, ადამიანთა საზოგადოება ისეთივე მთლიანი ორგანიზმია, როგორიცაა ცხოველების ორგანიზმი. მისი მტკიცებით, საზოგადოებისათვის სხვადასხვა კლასისა და სოციალური ჯგუფის არსებობა ისევე ბუნებრივია, როგორც თავი, ფეხები ან ხელები ცალკე ორგანიზმისათვის; თუ თითოეულ ორგანიზმს აქვს სისხლის მიმოქცევის სისტემა, ამ სისტემის როლს საზოგადოებაში რკინიგზები, გზატკეცილები და, საერთოდ, ტრანსპორტი ასრულებს. თუ ორგანიზმის რომელიმე ნაწილი სხვა ნაწილებთან ჰარმონიულ ურთიერთობაში არ იმყოფება, სპენსერის აზრით, იგი ჯანმრთელი არაა და მას უნდა ვუმკურნალოთ. ასევე, თუ ადამიანთა საზოგადოებაში მუშები აწყობენ გაფიცვებს, აწარმოებენ კლასობრივ ბრძოლას, სპენსერი ამასაც ავადმყოფობად თვლის და, მაშასადამე, საჭიროდ მიაჩნია მის საწინააღმდეგოდ ღონისძიებათა მიღება.

ამგვარად, სპენსერი კაპიტალიზმის აშკარა აპოლოგეტად გამოდის. ეს ჩანს სხვა გარემოებიდანაც. სპენსერის აზრით, ადამიანთა საზოგა-

დოება თავისი განვითარების მანძილზე პირველყოფილი ადამიანის გაჩენიდან დღემდე, ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს. სხვანაირად რომ ვთქვათ, კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა და არსებობს არა რამდენიმე სხვადასხვა საზოგადოება (პირველყოფილ-თემური წყობილება, მონათმფლობელური, ფეოდალური და სხვ.), არამედ ერთი. სპენსერი ასე განგებ იქცევა. მას სურს, რომ მის წინაშე არ დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა მოხდეს ერთი საზოგადოების შეცვლა მეორით. როგორც ჩანს, იგი თავიდან იცილებს სოციალური რევოლუციის საკითხს. ამგვარად, სპენსერი ევოლუციური განვითარების მომხრედ გამოდის და ცდილობს დაამტკიცოს ადამიანთა საზოგადოების აღმავალ-სწორხაზობრივი განვითარება, რომელიც უგულებელყოფს ყოველგვარ ნახტომს.

ადამიანთა საზოგადოებაზე ცოტა სხვაგვარი შეხედულება გამოთქვა მეორე ბურჟუაზიულმა მკვლევარმა ედუარდ მაიერმა (1855—1930). მისი აზრით, არსებობდა ადამიანთა რამდენიმე საზოგადოება (მათ შორის იგი კომუნიზმს არც კი იხსენიებდა), ოღონდ მათი განვითარება ხდებოდა არა აღმავალ-სწორხაზობრივად, არამედ ორ კარჩაკეტილ ციკლად (უძველეს და ახალ ხანაში), რომელთა განვითარების სტადიები ერთმანეთის მსგავსია. ძველმა საბერძნეთმა და რომმა, მისი აზრით, განვლო განვითარების შემდგომი საფეხურები: თემური წყობილება, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმიც კი. შემდეგ განვითარება კვლავ დაუბრუნდა თავის ამოსავალ წერტილს და ისევ მიაღწია კაპიტალისტურ საფეხურს. ამით ეს რეაქციონერი სოციოლოგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თუ თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება მოისპობა, კომუნიზმი კი არ დამყარდება, არამედ თითქოს მოხდება კაცობრიობის ხელახალი დაბრუნება თემური წყობილებისაკენ.

მაიერი, ისევე როგორც სპენსერი, ადამიანთა განვითარებას ევოლუციური პროცესებით ხსნიდა. ორივე მათგანი თვლიდა, რომ ისტორია ხასიათდება ცალკეული მოვლენებით და მათში არ მოიპოვება რაიმე კანონზომიერება. მაიერის კონცეფციის მიხედვით, ისტორიაში დიდ როლს თამაშობს შემთხვევითობა და ცალკეულ პიროვნებათა „თავისუფალი ნებისყოფა". მაიერის ციკლობრივი კონცეფცია და მისი რასისტული შეხედულებანი დღესაც ფართოდაა გამოყენებული ინგლისელი და ამერიკელი რეაქციონერი ისტორიკოსების მიერ.

ადამიანთა საზოგადოებისა და მისი განვითარების საკითხის განმარტების გარშემო ერთ ხანს შეიქმნა ისტორიის საეკლესიო პერიოდიზაცია, რომლის მიხედვით, კაცობრიობის განვითარება და მისი ბედ-იღბალი მთლიანად დამოკიდებულია ღმერთზე. ბიბლიის მიხედვით, ღმერ-

თმა ძალაუფლება გადასცა ჯერ ასურელ-ბაბილონელებს, ხოლო მათზე განრისხების შემდეგ, მიდიელ-სპარსელებს, რომლებიც ბერძენ-მაკედონელებმა შეცვალეს. როცა ამ უკანასკნელებსაც გაუწყრათ ღმერთი, ძალაუფლება რომაელებს გადაეცა. ამ შეხედულების მიხედვით, რომაული მონარქია მმართველობის უკანასკნელ ფორმად ითვლებოდა, იგი მარადიული უნდა ყოფილიყო და მოისპობოდა მხოლოდ „სამყაროს დასასრულს“.

ბურჟუაზიის წარმომადგენლები ისტორიის მამოძრავებელ მიზეზთა განმარტების არასწორ ან ყალბ ინტერპრეტაციას იძლევიან — ასახელებენ ღმერთს, ბედს, შემთხვევითობას, სიყვარულს, სასწაულს, „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებას“ და სხვ. ერთ-ერთი ინგლისელი რეაქციონერი ბურჟუაზიული ეკონომისტი ტომას რობერტ მალთუსი (1766—1834) ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ხალხების განვითარება დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის სიმჭიდროვესთან. მისი კონცეფციის თანახმად, მშრომელთა მჭიდროდ დასახლებისა და სიღარიბის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ეკონომიკურ პირობებში, არამედ არსებობის საშუალებათა აბსოლუტურ სიმცირეში; თითქოს არსებობის საშუალებათა გამრავლება ხდება მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით, იმ დროს, როდესაც ადამიანები მრავლდებიან გეომეტრიული პროგრესიით.

ამით მალთუსს სურდა ეთქვა, რომ ინგლისის მუშათა კლასის პაუპერიზაცია, რაც სინამდვილეში კაპიტალიზმის განვითარებით იყო გამოწვეული, თითქოს თვით მუშათა კლასის გამრავლების შედეგს წარმოადგენდა, რის გამოც მუშებს, თუ მათ სიღარიბის თავიდან აცილება სურდათ, ქორწინებისაგან თავი უნდა შეეკავებინათ. ამასთან მალთუსი ამართლებდა ყოველგვარ გადამდებ სნეულებათა გავრცელებას, ომებსა და სხვა საშუალებებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მოსახლეობის შეთხელებას. კაციჭამიობის ეს „თეორია“ უაღრესად რეაქციული ხასიათის მატარებელი იყო. მისი დახმარებით ყოველგვარი აგრესია სამართლიანობის ხასიათს იძენდა.

მართალია, მოსახლეობის ზრდასა და სიმჭიდროვეზე მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია შრომის განაწილება, გაცვლისა და წარმოების პროცესის განზოგადება და, მაშასადამე, იგი საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, მაგრამ ამ განვითარებაში ის მაინც არაა გადამწყვეტი. „ჭარბ მოსახლეობას“ ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ძველ ქვეყნებში და ფეოდალური ურთიერთობის ხანაშიც, — მიუხედავად ამისა, ის ყველგან პროგრესს კი არ იწვევდა, არამედ პირიქით. მჭიდროდ დასახლებული ჩინეთი, ინდოეთი და სხვა ქვეყნები უფრო ჩამორჩენილი აღმოჩნდნენ, ვიდრე ევროპის ის სა-

ხელმწიფოები, სადაც ხალხთა დასახლება ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით უფრო თხელი იყო.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების საკითხში არა ნაკლებ რეაქციული შეხედულებით გამოდიოდა გერმანელი გეოგრაფი და ეთნოგრაფი ფრიდრიხ რატცელი (1844—1904), რომელიც განვითარების ძირითად მიზეზად გეოგრაფიულ გარემოს თვლიდა. უფრო ადრე მსგავსი აზრი გამოთქვა არაბმა მეცნიერმა იბნ-ხალდუნმა (1332—1406), რომელმაც გეოგრაფიულ ფაქტორთა შორის პირველობა ჰავას მიაკუთვნა. გეოგრაფიული სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ფრანგი გეოგრაფ-სოციოლოგი რეკლიუ (Reclus), ჟან ჟაკ ელიზე (1830—1905) და რუსი გეოგრაფ-სოციოლოგი ლ. მეჩნიკოვი (1838—1888).

მეჩნიკოვმა თავის ძირითად ნაშრომში — „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები" — საზოგადოების მამოძრავებელ ძალად საზღვაო მიმოსვლა — დიდი მდინარეები, ზღვები და ოკეანეები აღიარა. მისი აზრით, ძველი ხალხების ცივილიზაცია სამდინარო კულტურის პერიოდს მიეკუთვნება, შუა საუკუნეების ხალხების ცივილიზაცია — ხმელთაშუა ზღვის პერიოდს, ხოლო ახალი ისტორია, თანამედროვეობის ჩათვლით, მოიცავს საოკეანო კულტურის პერიოდს.

ერთი შეხედვით, გეოგრაფიულ გარემოსა და საზოგადოების განვითარებას შორის გარკვეული დამოკიდებულება მოჩანს. ოდესღაც ეგვიპტის კეთილდღეობა დამოკიდებული იყო მდინარე ნილოსზე (ნილოსის შლამის შედეგად ნიადაგის განაყოფიერება და კლიმატური პირობები წელიწადში მოსავლის რამდენჯერმე აღების შესაძლებლობას იძლეოდა), ასევე წინა აზიის უდიდესი მდინარე ევფრატი გავლენას ახდენდა მის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნების ეკონომიკაზე. ხალხები, რომლებიც ისტორიულად შექმნილი კულტურული ცენტრებიდან მოწყვეტილი არიან, უფრო მეტად ჩამორჩებიან ცხოვრების განვითარებას, მაგრამ, თუ გეოგრაფიული პირობები ადამიანებს შორის ქმნის კავშირურთიერთობის ხელსაყრელ პირობებს, ამით პროგრესი მატულობს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში, ტექნიკის თანაბარი განვითარების შემთხვევაში, შრომის ნაყოფიერება და მისი შედეგები სხვადასხვანაირია. „შრომის სხვადასხვა ბუნებრივი პირობებითაა გამოწვეული ის, — აღნიშნავს მარქსი, — რომ შრომის ერთი და იგივე რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, რომ, მაშასადამე, სხვა მხრივ მსგავს პირობებში, აუცილებელი სამუშაო დრო სხვადასხვაა" [1].

მიუხედავად ზემოთქმულისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 648.

რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარება მთლიანად არ არის დამოკიდებული გეოგრაფიულ ფაქტორებზე. გეოგრაფიულ გარემოს შეუძლია მხოლოდ დააჩქაროს ან შეანელოს წარმოების განვითარება, მაგრამ მას არ შესწევს უნარი გახდეს გადამწყვეტი მიზეზი განვითარების საქმეში. უძველეს ხანაში ადამიანი უფრო ძეტად იყო დამოკიდებული ბუნებაზე, ვიდრე დღეს. თუ ადრე სუბტროპიკული მცენარეები ხარობდნენ მხოლოდ სამხრეთ ქვეყნებში, ახლა მათი გავრცელება ხერხდება ჩრდილოეთშიც. მიჩურინის მეცნიერული მიღწევების შედეგად, სუბტროპიკული მცენარეების ზოგიერთი სახეობა კარგად ხარობს საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ ნაწილშიც. ფლორა და ფაუნა თავისი ახლანდელი ფორმებით შედეგია არა მარტო ბუნებისა, არამედ აგრეთვე ადამიანის დაუღალავი ზემოქმედებისა ბუნებაზე, ხელოვნური შერჩევისა და კულტივირებისა.

ადამიანთა საზოგადოების განვითარებისათვის გეოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ ეხგელსს შემდეგი მაგალითები აქვს განხილული: ძველი საბერძნეთი იმდროინდელ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მოწინავედ ითვლებოდა. თანამედროვე საბერძნეთი კი ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ძველი, ისე თანამედროვე საბერძნეთის გეოგრაფიული ფაქტორები (ლაჟვარდოვანი ცა, მთაგორიანი ადგილმდებარეობა, ზღვის სანაპიროების შეჭრილობა და სხვ.) ისტორიის მანძილზე დიდად არ შეცვლილა. საწარმოო ძალთა დაბალი განვითარების პირობებში (სამდინარო მიმოსვლის არაეფექტური საშუალებანი) ისეთი გეოგრაფიული ფაქტორი, როგორიცაა ზღვა, ხელშემშლელ პირობად იქცევა მის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხთა შორის ურთიერთკავშირის დამყარების საქმეში. მეორე მხრივ, იგივე გეოგრაფიული ფაქტორი ზღვაოსნობის განვითარების შემთხვევაში ხელშემწყობ პირობად გადაიქცა ადამიანთა ურთიერთკავშირის განმტკიცებაში. მაშასადამე, ამა თუ იმ საზოგადოების განვითარებაში მთავარია არა გეოგრაფიული ფაქტორი, არამედ შინაგან საწარმოო ძალთა განვითარების კანონზომიერება.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას უარყოფს აგრეთვე სოციოლოგიის „ფსიქოლოგიური სკოლა". ჯერ კიდევ ადრე ფრანგი სოციოლოგი გაბრიელ ტარდი (1843—1904) ამტკიცებდა, რომ სოციოლოგიის საგანი არის ადამიანთა ფსიქიკაო. მისი აზრით, ყველა სოციალური მოვლენა ორი გარემოებით უნდა აიხსნას — აღმოჩენებითა და წამბაძველობით. ამ სკოლის მიმდევართა შეხედულებებით, საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორებია: ნებისყოფა, სურვილი, ცალკეული პირების ან საზოგადოებრივი ჯგუფების ინსტინქტები და სხვ.

მარქსისტული თვალსაზრისით, საზოგადოება არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელშიც ადამიანები გაერთიანებულნი არიან მათთვის საერთო მატერიალური ცხოვრების კონკრეტული ისტორიული განვითარების ცალკეული საფეხურის მიხედვით. „საწარმოო ურთიერთობა თავის ერთობლიობაში ქმნის საზოგადოებას, რომელიც ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე იმყოფება, საზოგადოებას თავისი განმასხვავებელი ხასიათით. ანტიკური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, ბურჟუაზიული საზოგადოება — საწარმოო ურთიერთობის ისეთ ერთობლიობას წარმოადგენენ, რომელთაგანაც თითოეული ამასთან ერთად კაცობრიობის ისტორიული განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს ნიშნავს“.

მარქსიზმი ადამიანთა საზოგადოების ხუთ სხვადასხვა ფორმას ან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას აღიარებს: გვაროვნულ-თემურ წყობილებას, მონათმფლობელობას, ფეოდალიზმს, კაპიტალიზმსა და კომუნიზმს. თითოეული ამ ფორმაციათაგანი საკუთარ კანონზომიერებას ემორჩილება და ერთმანეთისაგან განსხვავდება. თითოეულ მათგანს გააჩნია განსაკუთრებული წარმოების წესი. „ეკონომიურ ეპოქებს, — წერდა მარქსი, — ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა საშუალებით იწარმოება“ [1].

თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ერთიმეორეს ცვლის და წინამავალ ფორმაციასთან შედარებით უფრო პროგრესულს წარმოადგენს. მარქსის თქმით, „მიაღწევს რა სიმწიფის გარკვეულ საფეხურს, მოცემული ისტორიული ფორმა ისპობა და ადგილს უთმობს უფრო მაღალ ფორმას“ [2]. თავდაპირველად პროცესი ევოლუციურად წარიმართება, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების განვითარება მარტო ევოლუციური გზით კი არ მიდის, არამედ სოციალური რევოლუციის მეშვეობით ხდება გადასვლა ერთი ფორმაციიდან მეორეში. ამ შემთხვევაში, როგორც მარქსი აღნიშნავდა, სოციალური რევოლუცია ბებია ქალის როლს ასრულებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანთა საზოგადოებაში სოციალური კანონები გარდაუვალად მოქმედებს, მაგრამ ეს კანონები არ არის ერთფეროვანი. ისინი სამ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს ქმნის ისეთები, რომელნიც საყოველთაოა, რადგან ყოველი მათგანი ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში მოქმედებს (კანონი საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 230.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 897—898.

ვრელი როლის შესახებ, საზოგადოების აგებულებასა და განვითარებაში წარმოების წესის განმსაზღვრელი როლის შესახებ, კანონი ეკონომიკური ბაზისისაგან საზოგადოებრივი ზედნაშენის დამოკიდებულების შესახებ და სხვ.); მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი კანონები, რომლებიც მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაზე ვრცელდება (კლასთა ბრძოლა, როგორც ისტორიის მამოძრავებელი კანონი და სხვ.); მესამე ჯგუფი მოიცავს კანონებს, რომლებიც მხოლოდ უკლასო საზოგადოებაში მოქმედებს; და ბოლოს, არსებობს კანონები, რომლებიც მხოლოდ ერთ ფორმაციას მიეკუთვნება და წარმოადგენს ამ ფორმაციის განმასხვავებელ ნიშნებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენი შესწავლის საგანს ფეოდალიზმი, ანუ შუა საუკუნეები წარმოადგენს. ვიდრე ხმარებაში შემოვიდოდა ტერმინი „შუა საუკუნეები" (medii aevi), ისტორიის საეკლესიო პერიოდიზაცია განვითარების იდეას უგულებელყოფდა და ერთი მთლიანი ისტორიის მომხრედ გამოდიოდა. ისტორიაზე ასეთი წარმოდგენა გაბატონებული აღმოჩნდა მანამდე, სანამ ჰუმანიზმმა მტკიცედ არ მოიკიდა ფეხი იტალიაში.

ჰუმანისტებმა ისტორიის თეოლოგიური კონცეფცია უარყვეს და მოგვცეს ისტორიის სრულიად ახალი პერიოდიზაცია. ჯერ კიდევ პეტრარკადან დაწყებული, ბურჟუაზიის იდეოლოგმა ჰუმანისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ფეოდალიზმი და საქვეყნოდ განაცხადეს, რომ „ბნელეთით მოცული ისტორიის ეს ეპოქა" სრულიადაც არაა ადამიანთა საკადრისი, იგი უფრო ველურობას შეეფერება. ჰუმანისტების აზრით, ადამიანთა ღირსი ყოფა-ცხოვრება წინათ მიმდინარეობდა ძველ ქვეყნებში, და ჰუმანისტების ხანაშიც (XIV—XVI), როცა დაიწყო ძველი კულტურის „აღორძინება", ე. ი. ახალ ხანაში. ძველსა და ახალ ხანას შუა მდებარე პერიოდი — შუა საუკუნეები — სულაც არაა შესწავლის ღირსი, რადგან მაშინ წესრიგის ნაცვლად გაბატონებული იყო ანარქია, ძალმომრეობა და სხვ. ამგვარად, ჰუმანისტები, განსხვავებით ისტორიის საეკლესიო პერიოდიზაციისაგან, მკვეთრად გამოყოფდნენ შუა საუკუნეებს ანტიკური და ახალი ხანიდან, რის შედეგადაც ისინი გახდნენ ისტორიის „სამწევროვანი" პერიოდიზაციის ფუძემდებელნი (ძველი, შუა საუკუნეები და ახალი).

ისტორიის ზემოხსენებული პერიოდიზაცია შემდეგაც გრძელდებოდა. ჯერ კიდევ XVII საუკუნის ფილოლოგები ისტორიის „სამწევროვან" პერიოდიზაციას აღიარებდნენ, თუმცა ამ პერიოდიზაციას ისინი ფილოლოგიური თვალსაზრისით განიხილავდნენ. მათი აზრით, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, რაც მოჰყვა ბარბაროსთა დაპყრობების ეპოქას, „სუფთა", „კლასიკური" ლათინური ენა მოისპო და მის ად-

გილზე დამკვიდრდა ბარბარიზმებით აღსავსე „გაფუჭებული“, „საშუალო“ და „მდაბიო“ ლათინური ენა.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ XVII საუკუნეში საბოლოოდ დადგინდა ისტორიის იმ სამ ძირითად პერიოდად დაყოფა, რომლითაც ჩვენ ამჟამად ვსარგებლობთ. ეს დაყოფა განმტკიცდა პროტესტანტი ისტორიკოსის ცელარიუსის (ქრისტეფორე კელერის) წიგნით — „შუა საუკუნეების ისტორია“, რომელიც 1688 წელს გამოიცა და რომელშიც ისტორიის სამ ნაწილად დაყოფა წითელ ზოლად იყო გატარებული.

ისტორიის ახალი, „სამწევროვანი“ პერიოდიზაცია XVIII საუკუნეში უფრო მეტად განავითარეს „განმანათლებელმა“ ისტორიკოსებმა და პუბლიცისტებმა, რომელთაც იდეოლოგიურ დარგში მწვავე იერიშები მიჰქონდათ ფეოდალურ სამყაროზე. ეს პერიოდიზაცია თანდათან საყოველთაოდ გახდა ცნობილი, და, ამგვარად, საფუძველი დაედო ბურჟუაზიული სასკოლო ისტორიის სწავლებას. ქრონოლოგიური ჩარჩოების განმსაზღვრელად, შუა საუკუნეების ისტორიის საწყისად აღიარებული იყო ან IV საუკუნე (ქრისტიანული სარწმუნოების ოფიციალურ რელიგიად აღიარება), ან 476 წელი, როდესაც მოხდა რომის უკანასკნელი იმპერატორის რომულუს ავგუსტულუსის ტახტიდან გადმოგდება. შუა საუკუნეების ისტორიის დასასრულად კი გამოცხადებული იყო ან 1453 (ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღება და მისი გადაქცევა თავიანთ სატახტო ქალაქად — „სტამბოლად“), ან 1492 (კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა), ან 1517 წელი (რეფორმაციის დასაწყისი გერმანიაში) და ა. შ.

შეიძლება თუ არა ტერმინი „შუა საუკუნეების ისტორია“ ვიხმაროთ აღმოსავლური ქვეყნების მიმართაც, თუ, რადგან ეს ტერმინი პირველად ევროპაში იქნა გამოყენებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი მოიცავს მხოლოდ ევროპული ქვეყნების ისტორიას?

ერთ ხანს „შუა საუკუნეებში“ მართლაც მხოლოდ ევროპის ქვეყნებისა და ხალხების ისტორიას შეისწავლიდნენ. არაევროპელ ხალხებზე მასში ან სულ არაფერი იყო ნათქვამი, ან არა და იმდენად ეხებოდა, რამდენადაც ისინი ევროპელებთან რაიმე კავშირში აღმოჩნდებოდნენ. ჰუნებზე, მაგალითად, შუა საუკუნეებში ლაპარაკი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ევროპის შუაგულში შეიჭრნენ; სპარსელების ისტორია მასში მოცემულია მხოლოდ ბიზანტიასთან კავშირში; არაბებზე მოთხრობილია ზოგადად, ჯვაროსნულ ლაშქრობებთან დაკავშირებით და ა. შ. რაც შეეხება ინდოეთის, ჩინეთის, ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების ისტორიას, შუა საუკუნეებში ისინი წარმოდგენილია საერთო ტერმინით — „აღმოსავლეთი“.

ზემოთ წამოჭრილ კითხვას ყოველმხრივ დადებითი პასუხი უნდა

გაეცეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით ტერმინი „შუა საუკუნეები“ ნახმარი იყო აღმოსავლეთშიც. მეცხრე საუკუნის დასაწყისში იგი იხმარა ჩინელმა პოეტმა, პუბლიცისტმა და ფილოსოფოსმა ხან იუმ (768—824), რომელმაც ძველი განათლება დაუპირისპირა მის თანადროულ განათლებას და, ევროპელი ჰუმანისტების მსგავსად, ამ ორი პერიოდის შუა მონაკვეთი ცალკე გამოყო. გარდა ამისა, „ტანის“ დროინდელი ჩინელი ჰუმანისტებისათვის შუა საუკუნეები დაიწყო „ხანის“ იმპერიის დაშლის შემდეგ, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში; შუა აზიისა და ირანის მოღვაწეთათვის — ძველი პართელების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ე. ი. იმავე მესამე საუკუნეში, ხოლო ევროპელთათვის — რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ე. ი. მეხუთე საუკუნეში. შუა საუკუნეების დასასრული „ტანის“ ჰუმანისტებს წარმოდგენილი ჰქონდათ მერვე საუკუნეში (ტანის აღორძინების ეპოქა), შუა აზიელ და ირანელ ჰუმანისტებს — მეცხრე საუკუნეში (ავღანისტანისა და პენჯაბის მმართველი დინასტიის აღორძინების ეპოქა), ხოლო ევროპელთათვის შუა საუკუნეების დასასრულად „ევროპული აღორძინების“ ეპოქა ითვლებოდა (მეთოთხმეტე საუკუნე).

ნათქვამიდან ჩანს, რომ „შუა საუკუნეების“ ტერმინის ხმარება როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ქრონოლოგიურადაც ერთმანეთს უახლოვდება და, რასაკვირველია, მართებული იქნებოდა, რომ ეს ტერმინი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართაც ყოფილიყო გამოყენებული. ეს გარემოება გამართლებულია იმითაც, რომ რომისთვის და ჩინეთისთვის, პირველში ცოტა უფრო გვიან, ხოლო მეორეში ცოტა უფრო ადრე, „შუა საუკუნეების“ ზემოხსენებული ქრონოლოგიური ფარგლები ერთდროულად ფეოდალიზმის საბოლოო ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანაც იყო. მარქსისტულ-ლენინური გაგებით, ისტორიული მეცნიერება „შუა საუკუნეების“ ცნებაში გულისხმობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისეთ ფაზას, როცა აზიის, აფრიკისა და ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში ფეოდალური წარმოების წესი იყო გაბატონებული. შუა საუკუნეები — ეს არის ფეოდალური წარმოების წესის წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის ეპოქა.

ამგვარად, შუა საუკუნეების ისტორია ფაქტიურად ფეოდალური ფორმაციის ისტორიაა. როგორც ითქვა, ადამიანთა განვითარების ეს საფეხური — ფეოდალიზმი, თითქმის საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამერიკის კონტინენტს) და გაცილებით უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე მონათმფლობელობა. ცნობილია, რომ ძველ გერმანელ ტომებს, სლავებსა და სხვებს არ გაუვლიათ მონათმფლობელობა და თემური წყობილებიდან პირდაპირ ფეოდალიზმში გადავიდნენ. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უხდა ითქვას, რომ ტერმინმა „შუა საუკუნეებმა“ აღმოსავლურ

ქვეყნებში ისე ფართოდ ვერ პოვა განვითარება, როგორც დასავლეთში, სადაც მისმა ხმარებამ სისტემატური ხასიათი მიიღო და ტრადიციად გადაიქცა. ამიტომაა, რომ ამ ტერმინში დღესაც გულისხმობენ არა აღმოსავლეთის ქვეყნების, არამედ ევროპის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს. მარქსიზმის კლასიკოსები ხშირად იხსენიებენ შუა საუკუნეებს აღნიშნული გაგებით, ოღონდ შუა საუკუნეების ქრონოლოგიური განსაზღვრა მათ მიერ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსხვავდება ჰუმანისტების განსაზღვრისაგან.

მარქსისტული თვალსაზრისით, ახალი ფეოდალური საზოგადოება ევროპაში მეხუთე საუკუნიდან წარმოიქმნა იმ ძძლავრი სოციალური რევოლუციის შედეგად, რომლის მიზანდასახულობას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, მონათმფლობელური საზოგადოების მოსპობა რომის იმპერიაში, ხოლო მეორე მხრივ — გვაროვნულ-თემური წყობილების რღვევა „ბარბაროსთა" ტომებში. ასეთი მიზანდასახულობის განხორციელება არ შეიძლებოდა მომხდარიყო მოკლე დროის განმავლობაში და, ამიტომ, ეს სოციალური რევოლუცია გრძელდებოდა ათეული წლების მანძილზე, მთელი V საუკუნის განმავლობაში. მაშასადამე, შუა საუკუნეების საწყისად არ შეიძლება აღიარებულ იქნეს არც კერძოობითი ხასიათის მქონე ფაქტი და არც ერთი რომელიმე წელი ცალკე აღებული.

რაც შეეხება შუა საუკუნეების დასასრულს, იგი XVII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს ემთხვევა. კაპიტალისტური საზოგადოების წარმოქმნა მხოლოდ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის (1648 წ.) შემდეგ ხდება, თუმცა ბურჟუაზიულ რევოლუციებს ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისინი უშედეგოდ მთავრდებოდა. როგორც ენგელსი აღნიშნავდა, პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია გერმანიის რეფორმაცია იყო; გლეხთა ომი გერმანიაში (1525 წ.), რომელიც ბურჟუაზიის პირველ ბრძოლას წარმოადგენდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, მარცხით დამთავრდა და ამიტომ ფეოდალური სამყარო მის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. უფრო მეტიც, გლეხთა დიდი ომის მარცხის შემდეგ გერმანიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარება რამდენიმე საუკუნით კიდევ ჩამორჩა.

მეორე ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა ნიდერლანდებში XVI საუკუნის მეორე ნახევარში. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, არც ეს რევოლუცია ჩაითვლება ფეოდალიზმის დაღუპვის მაჩვენებლად და ახალი ხანის საწყისად, ვინაიდან იგი ლოკალური ხასიათისა აღმოჩნდა — მან გაიმარჯვა პატარა ნიდერლანდების ტერიტორიაზე და ისიც მხოლოდ მის ჩრდილოეთ შტატებში. ამ რევოლუციის შედეგად წარმოიშვა პირველი ბურჟუაზიული სახელმწიფო. მიუხედავად იმისა,

რომ მისი გავლენა ევროპულ სახელმწიფოებზე უდავოდ შეიმჩნეოდა, მას მაინც შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდა.

შუა საუკუნეების ისტორიის დასასრულად უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც XVII საუკუნის შუა წლებში დაიწყო ინგლისში. იმდროინდელი ინგლისი უკვე დიდ როლს ასრულებდა ევროპის ეკონომიკაში და პოლიტიკაში, რის გამოც ამ რევოლუციას მსოფლიო მნიშვნელობა მიენიჭა. ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყებამდე ინგლისში შეუდარებლად ფართო მასშტაბით ყალიბდებოდა მეურნეობის კაპიტალისტური ფორმა. უდიდესი ცვლილებები ხდებოდა აგრარულ ურთიერთობაში, კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა განუხრელად ფართოვდებოდა, სწრაფად იზრდებოდა კაპიტალისტური მანუფაქტურა. ყოველივე ამას აფერხებდა ფეოდალური მონარქია, მაგრამ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ განვითარების შემაფერხებელი მიზეზები აღმოფხვრა და იხგლისს შესაძლებლობა მისცა მსოფლიო ისტორიის სცენაზე გამოსულიყო როგორც უდიდესი სამრეწველო და კოლონიური სახელმწიფო. ინგლისი „მსოფლიოს ქარხნად" გადაიქცა.

ინგლისის და შემდეგ საფრანგეთის (1789 წ.) რევოლუციებმა ფეოდალური შენობიდან ქვა ქვაზე აღარ დატოვა. მარქსის აზრით, ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციების მნიშვნელობა გასცილდა იმ ქვეყნებს, სადაც ისინი წარმოიქმნენ. ისინი საყოველთაო მნიშვნელობისა აღმოჩნდნენ და მალე ევროპის ფარგლებსაც გასცდნენ.

ამ რევოლუციების დახასიათებისას მარქსი წერდა: „1648 წლის და 1789 წლის რევოლუციები არ იყო ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციები, ისინი ევროპული ყაიდის რევოლუციები იყვნენ. ისინი არ წარმოადგენდნენ საზოგადოების გარკვეული კლასის გამარჯვებას ძველ პოლიტიკურ წყობილებაზე; ისინი აცხადებდნენ პოლიტიკურ წყობილებას ევროპის ახალი საზოგადოებისათვის. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ამ რევოლუციებში; მაგრამ ბურჟუაზიის გამარჯვება ნიშნავდა მაშინ ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას... ეს რევოლუციები მთელი იმდროინდელი მსოფლიოს მოთხოვნილებებს უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე სამყაროს იმ ნაწილებისას, სადაც ისინი მიმდინარეობდნენ, ე. ი. ინგლისისა და საფრანგეთისა" [1].

ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებს მოჰყვა კაპიტალისტუ-

---

[1] კ. მარქსი, ბურჟუაზია და კონტრრევოლუცია, იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 1, თბილისი, 1950, გვ. 53—54.

რი ურთიერთობის დამყარება მთელ რიგ ქვეყნებში. მარქსის თქმით, ფეოდალ მეფეთა ათეულობით გვირგვინი სამუზეუმო ექსპონატებად გადაიქცა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა კაპიტალისტურ წყობილებაში რევოლუციების გარეშეც გადავიდა. ამგვარად, XVII საუკუნის შუა წლები გარდამავალი ხანა გახდა ადამიანთა განვითარების საქმეში და, ამიტომაც, თუ ჩვენ შუა საუკუნეების ისტორიას ვიწყებთ მეხუთე საუკუნიდან, მის დასასრულად ვიღებთ XVII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს.

ფეოდალურმა საზოგადოებამ თავის განვითარებაში სამი ძირითადი სტადია, ანუ პერიოდი განვლო: I — ადრინდელი, II — განვითარებული და III—გვიანდელი ფეოდალიზმი. თითოეულ მათგანს საკუთარი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა. ამგვარად, განვითარების თითოეული სტადია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი ფეოდალურ ფორმაციას მიეკუთვნება, ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ თავისებურებებითაც.

ადრინდელი შუა საუკუნეების ეპოქა ხასიათდება კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის ბატონობით, რომელშიც აღებ-მიცემა დავაჭრობა ან გამორიცხულია, ან არადა წარმოდგენილია უმნიშვნელოდ. ამ ეპოქაში საწარმოო ძალთა განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ჯერ კიდევ არ მომხდარა შრომის დანაწილება სოფელსა და ქალაქს შორის, ხელოსნობა ცალკე არაა გამოყოფილი სოფლის მეურნეობისაგან. ადრინდელი შუა საუკუნეების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ეპოქაში ხდება ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება: მიწაზე ფეოდალური საკუთრების დამკვიდრება, მიწათმფლობელებისა და დამოკიდებული გლეხების კლასების გაჩენა, ევროპელი ხალხების ფორმირება და ადრეფეოდალური სახელმწიფოების წარმოქმნა, რომლებშიც მმართველობის ცენტრალიზაციაზე უფრო მეტად იყო გაბატონებული პოლიტიკური დაქუცმაცებულობა.

ხალხთა ფორმირების პროცესმა ფეოდალიზმზე გადასვლასთან დაკავშირებით თავისი შემდგომი განვითარება პოვა. ხალხი ისეთივე ისტორიული კატეგორიაა, როგორც სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. ისტორიულად მას წინ უძღოდა გვარი და თემი, რაც დამახასიათებელი იყო თემური წყობილებისათვის. სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა და ეკონომიკური ცენტრების განმტკიცების შემდეგ ხალხებს ერები ცვლიან, რასაც ეროვნული სახელმწიფოების შექმნა მოჰყვება. ამგვარად, ერების წარმოქმნა უშუალოდ დაკავშირებული იყო კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან. იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც ფეოდალიზმში გადავიდნენ მონათმფლობელური

წყობილებიდან (მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი), ფეოდალურ ურთიერთობაზე გადასვლა ნიშნავდა ახალ ნაბიჯს ხალხების ფორმირებაში, რადგან მათი წარმოშობა დაწყებული იყო ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში. იმ ქვეყნებში კი, რომლებიც ფეოდალიზმში უშუალოდ თემური წყობილებიდან გადავიდნენ (გერმანია, ინგლისი, სკანდინავიის ქვეყნები, რუსეთი და სხვ.), თემური გაერთიანებიდან ხალხებში გადასვლის პროცესი ფეოდალიზმთან ერთად დაიწყო.

განვითარების პირველი სტადია — ადრინდელი ფეოდალიზმი — იწყება მეხუთე საუკუნიდან (რომის იმპერიის დაცემა) და გრძელდება მეთერთმეტე საუკუნემდე. მეთერთმეტე საუკუნე ადრინდელი ფეოდალიზმის მიჯნად მიჩნეულია არა ნებისმიერად, არამედ იმის გამო, რომ მაშინ მოხდა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ისტორიული მოვლენები: 1. ევროპის მთელ რიგ ძირითად სახელმწიფოებში (გერმანია, ინგლისი, ბიზანტია და სხვ.) მეთერთმეტე საუკუნეში დამთავრდა ფეოდალიზაციის პროცესები (ფრანკთა მონარქიაში ცოტა უფრო ადრე — IX საუკუნეში), 2. მეთერთმეტე საუკუნეში დაიწყო ფეოდალური ქალაქების მასობრივი წარმოშობა სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნების გამოყოფის შედეგად, თუმცა ფეოდალური ქალაქების გაჩენა იტალიასა და ფლანდრიაში ხდება ცოტა უფრო ადრე, 3. ამავე საუკუნეში იწყება ჯვაროსანთა ლაშქრობანი, რომელთაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდათ დასავლეთის აღმოსავლეთთან დაახლოების საქმეში.

მეორე სტადია — განვითარებული, ანუ კლასიკური ფეოდალიზმი — ხასიათდება საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებით. ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობა დაირღვა. ფეხი მოიკიდა მარტივმა სასაქონლო მეურნეობამ. ფეოდალური ქალაქების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ზრდასთან ერთად კლასობრივი ბრძოლები უფრო გამწვავდა. ამით დაშინებული გაბატონებული ფეოდალური კლასისათვის აუცილებელი გახდა უფრო მეტი შემჭიდროება და თავისი სახელმწიფო მმართველობის ფორმის შეცვლა. განვითარებული, ანუ კლასიკური ფეოდალიზმის ხანაში პოლიტიკური მმართველობის ახალი ფორმა — წარმომადგენლობითი მონარქია გაბატონდა. საფრანგეთში ჩამოყალიბდა გენერალური შტატები, ინგლისში — პარლამენტი, ესპანეთში — კორტესები და ა. შ.

განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი ფეოდალური საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების ხანა იყო. ქალაქების წარმოშობასთან იყო დაკავშირებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდა; ვაჭრობა და აღებ-მიცემა წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა; ფეოდალური საზოგადოების იერი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ცხოვრება უფ-

რო მრავალფეროვანი გახდა, განვითარება იწყო საერო ხასიათის ქალაქურმა კულტურამ. იტალიის ქალაქებში გაჩნდნენ ახალი იდეოლოგიის — ჰუმანიზმის პირველი წარმომადგენლები (პეტრარკა, ბოკაჩო და სხვ.). იმავე ხანაში ეყრება საფუძველი ეროვნებათა წარმოქმნას დასავლეთ ევროპაში. განვითარების მეორე სტადია — განვითარებული, ანუ კლასიკური ფეოდალიზმი — იწყება XI საუკუნიდან და გრძელდება XV საუკუნემდე; ამ შემთხვევაშიც მეთხუთმეტე საუკუნე წარმოდგენილია მიჯნად არა ნებისმიერად, არამედ იმის გამო, რომ სწორედ ამ საუკუნეში მოხდა მორიგი, მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები.

XV საუკუნის 50-იან წლებში (1453 წ.) ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის მოსპობასთან ერთად, თავიანთ სატახტო ქალაქად გამოაცხადეს და მას სტამბოლი, ანუ ისტამბული ეწოდა. ოსმალებმა ჩაკეტეს ევროპიდან ლევანტში მიმავალი სავაჭრო გზა და ამით ორი დიდი კონტინენტი — ევროპა და აზია გათიშეს ერთმანეთისაგან. ეს გარემოება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

XV საუკუნის 90-იან წლებში (1492 წ.) კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო ბაზრის წარმოქმნას, ეს კი დიდ გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა ევროპის საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებაზე. მსოფლიო ბაზრის წარმოქმნა ზრდიდა მოთხოვნილებას დამზადებულ პროდუქციაზე, რასაც ევროპის არამც თუ ხელოსნური წარმოება, არამედ მანუფაქტურული მრეწველობაც კი ვეღარ დააკმაყოფილებდა. ბუნებრივია, რომ ამას უდიდესი გავლენა უნდა მოეხდინა ფეოდალური საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ახალმა ჰუმანისტურმა მოძრაობამ გავრცელება პოვა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ჰუმანიზმი გაბატონდა იმდროინდელ ფილოსოფიაში, ისტორიაში, პედაგოგიკაში და სხვ. ეს ახალი იდეოლოგია მკვეთრად დაუპირისპირდა ფეოდალურ იდეოლოგიას და მის საყრდენს — კათოლიკურ ეკლესიას. ჰუმანისტური მოძრაობის ფართოდ გაშლა, ჯერ იტალიაში, ხოლო უფრო მოგვიანებით ევროპის სხვა ქვეყნებში, პირველი მნიშვნელოვანი იერიმი იყო ფეოდალურ სამყაროზე.

ასეთია მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მოვლენები, რომლებიც გვაძლევს საბაბს შუა საუკუნეების ისტორიის მეორე ეტაპი დავასრულოთ მეთხუთმეტე საუკუნით.

შუა საუკუნეების მესამე პერიოდი, ე. წ. გვიანდელი ფეოდალიზმი, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნიდან იწყება და თავდება XVII საუკუ-

ნის პირველი ნახევრით, აღარ მოითხოვს დამატებით განმარტებას თავის ქრონოლოგიურ შემოფარგვლაში, რადგან ამ პერიოდის დასაწყისს — მეთხუთმეტე საუკუნეს ჩვენ შუა საუკუნეების ისტორიის მეორე სტადიის დახასიათების ბოლოს შევეხეთ, ხოლო დასასრულს (XVII საუკუნის შუა წლები)—როცა ლაპარაკი გვქონდა პირველ ბურჟუაზიულ რევოლუციებზე. რაც შეეხება მესამე პერიოდის ზოგად დახასიათებას, ამაზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

გვიანდელი ფეოდალიზმის ეპოქა არის კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისა და ფეოდალიზმის გახრწნის ხანა, როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესი, კაპიტალისტური მანუფაქტურის გავრცელებასთან ერთად, უფრო მეტად იკიდებს ფეხს, მიუხედავად ფეოდალურ ურთიერთობათა წინააღმდეგობისა. ეს წინააღმდეგობანი ვლინდებოდა იმაში, რომ საკუთრებისა და სამეურნეო ორგანიზაციის ტრადიციულ ფორმებში ისინი საწარმოო ძალთა განვითარების შემაფერხებელ მუხრუჭებად გადაიქცა.

აღნიშნული დროისათვის ბურჟუაზიის კლასი ეკონომიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ იგი თითქმის გაუთანაბრდა ფეოდალურ კლასს, და, ამდენად, გაბატონებულ ფეოდალურ კლასს შეექმნა საშიშროება პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვისა. მეორე მხრივ, ორმაგი — ფეოდალური და კაპიტალისტური ექსპლუატაციის შედეგად გაუარესდა მშრომელი კლასების მდგომარეობა, რამაც გააძლიერა კლასობრივი ბრძოლები და სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენა ფეოდალთა კლასი. ყოველივე ამან ფეოდალური კლასი უფრო მეტად შეამჭიდროვა. შექმნილ პირობებში ძველი ფორმებით მმართველობა შეუძლებელი გახდა და წარმომადგენლობითი ფეოდალური მონარქია აბსოლუტიზმით შეიცვალა.

ფეოდალურ სახელმწიფოთა პოლიტიკური გაერთიანება და მათი აბსოლუტიზმზე გადასვლა შედეგი იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა, ეკონომიკური ცენტრების შექმნისა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეროვნულ სახელმწიფოთა განვითარებას, ერების ჩამოყალიბებას. ცალკეულ სახელმწიფოებში ყალიბდება ეროვნული ლიტერატურული ენა, ეროვნული კულტურა, ეყრება საფუძველი ახალი დროის ცდისეულ მეცნიერებას. ფეოდალური საზოგადოება ჩიხში მოექცა. ფეოდალური იდეოლოგია, კათოლიკობა, საზოგადოების ახალი კლასების მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში ევროპაში იწყება იდეოლოგიური შეტაკება რეფორმაციისა ფეოდალიზმთან. ეს იყო შუა საუკუნეების დიდი სახალხო აჯანყება — გლეხთა დიდი ომი გერმანიაში და პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია ნიდერლანდებში. ინგლისის მეჩვიდმეტე საუკუნის ბურჟუაზიული

რევოლუციით კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იწყება ახალი ეპოქა კაცობრიობის განვითარებაში.

ამგვარად, შუა საუკუნეების ისტორია სამ პერიოდად იყოფა, მაგრამ ასეთი პერიოდიზაცია არ იქნებოდა სრული, თუ ფეოდალიზმის განვითარებას არ განვიხილავთ სხვა მიმართულებითაც, სახელდობრ, თუ არ განვმარტავთ მის პროგრესულ და რეგრესულ პერიოდებად დაყოფას, მის „აღმავალ“ და „დაღმავალ“ ხასიათს.

ფეოდალური საზოგადოება, ისე როგორც სხვა კლასობრივი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები, მუდმივ ცვლილებაში, მოძრაობაში და განვითარებაში იმყოფებოდა, თუმცა განვითარების ეს პროცესი მთლიანად სწორხაზობრივად არ წარიმართებოდა. მის მსვლელობაში ადგილი ჰქონდა როგორც პროგრესულ, ისე რეგრესულ ცვლილებებს. მართალია რეგრესული მოვლენები არ განსაზღვრავენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების საერთო ხაზს, მაგრამ ისინი ერთგვარ გავლენას ახდენენ მათ ისტორიაზე.

ფეოდალიზმი, სხვა კლასობრივი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების მსგავსად, დასაწყისში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. თავისი განვითარების პირველ საფეხურზე მისი საწარმოო ურთიერთობანი ხელს უწყობდა საწარმოო ძალების განვითარებას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საწარმოო ძალთა განვითარება არის საზოგადოებრივი პროგრესის ძირითადი და უმაღლესი კრიტერიუმი [1]. საწარმოო ძალების ისეთი ელემენტი, როგორიცაა ცოცხალი სამუშაო ძალა, ფეოდალური ურთიერთობის პირობებში უფრო მეტად დაინტერესებული აღმოჩნდა, ვიდრე მონა. ფეოდალურ წარმოებაში ყმის დაინტერესება მეურნეობის განვითარებით იმის შედეგად მოხდა, რომ ყმას თავისი მეურნეობა აღმოაჩნდა იმ დროს, როცა მონა მოკლებული იყო ყოველგვარ საწარმოო საშუალებას და თვითონ წარმოადგენდა მონათმფლობელის სრულ საკუთრებას. ახალგაზრდა ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოქმნა იყო ნაბიჯი წინ უშუალო მწარმოებელთა მეურნეობის განვითარების საქმეში. ამიტომ იგი ფეოდალიზმის აღმავალ სტადიად უნდა ჩაითვალოს.

ფეოდალიზმის „აღმავალ“ საფეხურზე ფეოდალური პატრონატი უფრო მეტ შესაძლებლობას იძლეოდა გლეხური მეურნეობის დაცვისათვის. მეორე მხრივ, ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის პირო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში. იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ეამოცემა მეოთხე, ტ. 13, 1950, გვ. 297; ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, საბოლოო სიტყვა გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ მოხსენების გამო, რკპ (ბ) X ყრილობა, იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 32, 1952, გვ. 287.

ბებში უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ნორმა, რაკი ის ფეოდალის „კუჭით“ განისაზღვრებოდა, შედარებით უფრო ასატანი იყო და, მაშასადამე, გლეხური მეურნეობის მარტივი რეპროდუქციის შესაძლებლობა არ იყო მოსპობილი.

ნატურალურ-კარჩაკეტილ მეურნეობასთან შედარებით უფრო პროგრესული იყო მარტივი სასაქონლო მეურნეობა, რომელიც ფულადი ურთიერთობის გაძლიერებას გულისხმობდა და რომელიც აგრეთვე მეთხუთმეტე საუკუნემდე წარმოიშვა. უკვე XI საუკუნიდან მოყოლებული, ევროპის ქვეყნებში ფართოდ დაიწყო „კომუტაცია“ და, მაშასადამე, ფულადი რენტის გაძლიერებაც. ფულადი რენტა კი ნატურალურ რენტასთან შედარებით უფრო პროგრესული ხასიათის მატარებელი აღმოჩნდა.

რასაკვირველია, კლასობრივ საზოგადოებაში ისტორიული პროგრესის მამოძრავებელი ძალა „აღმავალ“ საფეხურზეც კლასობრივი ბრძოლა იყო, მაგრამ უშუალო მწარმოებელთა შედარებით იოლი ექსპლუატაცია კლასობრივ წინააღმდეგობებს ასე თუ ისე ანელებდა. ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში კლასობრივი ბრძოლები ისეთი მასობრივი და მჭიდრო ხასიათის მატარებელი არ არის, როგორც ფეოდალიზმის „დაღმავალ“ ეტაპზე, როდესაც ეს ბრძოლები სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა. ამ შემთხვევაში არა თუ მატულობს მასობრივი გამოსვლების საერთო რაოდენობა, არამედ მიმდინარეობს ცალკეული გამოსვლების გაერთიანების პროცესი, ხდება წამოყენებული მოთხოვნების ზრდა და გაფართოება; ამასთან, მოძველებულ წყობილებაზე შეტევის ფორმები უფრო მრავალმხრივია.

დასავლეთ ევროპის ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლების გამწვავება ფაქტიურად მეთოთხმეტე საუკუნიდან იწყება. მძლავრი ანტიფეოდალური მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დოლჩინო და მარგარიტა, მოხდა ლომბარდიაში 1303 — 1307 წლებში. ჟაკერიის აჯანყებაც, რომელმაც მნიშვნელოვნად შეარყია ფეოდალიზმის საფუძვლები, მეთოთხმეტე საუკუნეს დაემთხვა (1358 წ.). ამავე საუკუნეში ფეოდალურ სამყაროზე ფართო იერიშების მიტანა ხდებოდა ფლორენციაში მომხდარ მოძრაობათა შედეგად, რომელთა დაგვირგვინებას წარმოადგენდა ჩომპის აჯანყება (1378 წ.). ფეოდალურ წყობილებას ინგლისში არანაკლები ზიანი მიაყენა უოტ ტაილერის აჯანყებამ (1381 წ.).

ყველა ამ აჯანყებას თავისი ძალისა და გაქანების რაიმე ანალოგია ფეოდალიზმის „აღმავალ“ ეტაპზე არ გააჩნია. ეს გარემოება კი მიგვითითებს იმაზე, რომ XV საუკუნიდან დაწყებული, არსებული წარმოებითი ურთიერთობა უფრო მეტ წინააღმდეგობაში ვარდებოდა საწარმოო ძალთა განვითარებასთან და კონფლიქტიც უფრო მეტად მწვავ-

დებოდა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მასების არა მარტო პროტესტთან ჩაგვრის წინააღმდეგ, არამედ მეურნეობის ახალი ფორმების მოთხოვნასთან, ეკონომიკური ცხოვრების ახალი წესების, იურიდიულად რომ ვთქვათ, ახალი ურთიერთობის დამყარების მოთხოვნასთან და ა. შ.

ცხადი ხდება, რომ მეთოთხმეტე საუკუნე არის გარდატეხის ხანა ევროპის ფეოდალური საზოგადოების განვითარების პროცესში, რომ ამიერიდან დაწყებულია განვითარების დაღმავალი სვლა და თუ მეხუთე საუკუნიდან მეთოთხმეტე საუკუნემდე არსებული ფეოდალური ურთიერთობა ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა განვითარებას, იგივე ურთიერთობა გადაქცეულა განვითარების ხელშემშლელ პირობად. მაგრამ აღნიშნული პროცესი ერთბაშად კი არ მოხდა, არამედ თანდათანობით, ვიდრე იგი რევოლუციური სიტუაციის შექმნას მიაღწევდა. ფეოდალური ფორმაცია განუწყვეტლივ ვითარდებოდა გადამწყვეტ მომენტამდე, რის შემდეგ იწყება მისი დეგრადაცია. ეს გადამწყვეტი მომენტი, როგორც ვთქვით, მეთოთხმეტე საუკუნე იყო, რომლის შემდეგ ფეოდალიზმი თანდათანობით რეგრესულ მოვლენად იქცა.

ნაწილი პირველი

ადრეფეოდალური ფეოდალიზმი

თავი I

ფეოდალიზმის წარმოშობა დასავლეთ ევროპაში

§ 1. სამი ძირითადი შეხედულება ფეოდალიზმის გენეზისის საკითხზე

„რომანისტული სკოლა"

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შუა საუკუნეების ისტორია იგივეა, რაც ფეოდალიზმის ისტორია. ფეოდალიზმის წარმოქმნის საკითხის გარშემო ისტორიოგრაფიაში ადრიდანვე შეიქმნა რამდენიმე ძირითადი მიმდინარეობა. ერთი მათგანი — „რომანისტული სკოლა" — ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს ფეოდალური ურთიერთობა წარმოადგენდა რომაული კულტურის უბრალო გაგრძელებას. მეორე — „გერმანისტების სკოლა" — ფეოდალიზმის წარმოქმნას ძველი გერმანელი ტომების ევროპაში შეჭრას მიაწერდა. ერთიცა და მეორეც ფეოდალური სამყაროს შექმნის საფუძვლად ევოლუციურ განვითარებას აღიარებდა.

რომანისტობის მიმდევარი და „რომანისტული სკოლის" ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფიუსტელ დე კულანჟი (1830—1889), რომელიც ახალგაზრდობისას „უმაღლეს ნორმალურ სკოლაში" სწავლობდა, ევოლუციურ თეორიას გაჰყვა და მწვავედ გაილაშქრა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც დადებით მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციებს. „ნორმალური სკოლის" ყოფილი მოწაფისათვის სხვაგვარი აზროვნება წარმოუდგენელიც იქნებოდა, ვინაიდან ამ სკოლაში გაბატონებული იყო ჯაშუშობის იეზუიტური აღზრდის სისტემა და ყოველივე პროგრესული განუკითხავად იდევნებოდა. ამ სკოლაში ლექციებს კითხულობდნენ პარიზის კომუნის მოსისხლე მტრები — ვაშერო და გიზო.

ფიუსტელ დე კულანჟის შეხედულებით, რადგან ფეოდალიზმას ყველა დამახასიათებელი ნიშანი ანტიკურ ეპოქაში უკვე მოიპოვებოდა, ამიტომ შუა საუკუნეები რომაული კულტურის უბრალო ევოლუციურ გაგრძელებას წარმოადგენს და, მაშასადამე, ფეოდალიზმის გენეზისი უარყოფს ყოველგვარ რევოლუციურ ნახტომს და მთლიანად თანდათანობის საფუძველს ემყარება. ფიუსტელის აზრით, კერძო საკუთრება

-არ არის ისტორიული კატეგორია; იგი მარადიულია. ამიტომ პირველ-
ყოფილი კომუნიზმი მხოლოდ ადამიანთა გონების შემოქმედების ნა-
ყოფია და ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. აქედან გამომდი-
ნარე, იგი ასკვნის, რომ სოციალისტური მოძღვრება მოკლებულია მეც-
ნიერულ საფუძვლებს, რის გამოც იგი დაგმობილი უნდა იქნეს.

ამგვარად, ფიუსტელ დე კულანჟი და „რომანისტების სკოლის" სხვა წარმომადგენელნი წმინდა იდეალისტურ-რეაქციული თვალთახედვის საფუძველზე დგანან. მათი აზრით, ფეოდალიზმი წარმოიშვა ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებათა დაშლის ნიადაგზე. მაშასადამე, კაცობრიობის ისტორიაში ფეოდალიზმი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა.

ფიუსტელის აზრით, ფეოდალიზმის გენეზისის საქმეში ძველ გერმანელ ტომებს თითქოს არავითარი წვლილი არ შეუტანიათ, ვინაიდან მათ მაშინ არ გააჩნდათ ცენტრალური სამეფო ხელისუფლება. გარდა ამისა, ძველი გერმანელი ტომების ეკონომიკა თითქოს პრინციპულად არ განსხვავდებოდა რომაული ეკონომიკისაგან, რადგან გერმანელებში, ისევე, როგორც რომში, არსებობდა კერძო საკუთრება. მისი აზრით, თუ რომსა და გერმანელ ტომებს შორის რაიმე განსხვავება არსებობდა, ეს მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათისა იყო. ძველი გერმანელი ტომები რომაელებისაგან საერთო ჩამორჩენილობითა და ველურობით განსხვავდებოდნენ. ამგვარად, ფიუსტელი მკაცრად ილაშქრებდა აგრეთვე „გერმანისტების სკოლის" და გერმანელი ნაციონალისტების წინააღმდეგ, რის გამოც გერმანელმა ისტორიკოსებმა ის რევანშის მომხრედ აღიარეს, მით უფრო ,რომ პრუსიასთან ომში დამარცხების შემდეგ რევანშიზმის იდეა საფრანგეთში დიდი ხნის განმავლობაში იყო ფეხმოკიდებული.

„რომანისტული სკოლის" მიმდევრები დიდხანს აწარმოებდნენ მწვავე კამათს „გერმანისტული სკოლის" წინააღმდეგ ფეოდალიზმის გენეზისის საკითხზე. „რომანისტების სკოლა" ამ მიმდინარეობას სწორედ იმიტომ ეწოდებოდა, რომ „გერმანისტული სკოლის" საწინააღმდეგოდ, ფეოდალიზმის წარმოქმნას იგი რომაული კულტურის გავლენით ხსნიდა. თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში ფიუსტელი იძულებული გახდა დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის გენეზისის საფუძვლად რომაული და გერმანული ელემენტების „სინთეზი" ეღიარებინა, ოღონდ ისეთი „სინთეზი", რომელიც მიჩნეული იქნებოდა ევოლუციური განვითარების პროცესიდან გამომდინარედ.

„გერმანისტული სკოლა"

როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, ისტორიკოსთა ის პლეადა, რომელიც ფეოდალიზმის გენეზისის საფუძვლად რომის იმპერიაში ძვე-

ლი გერმანელი ტომების შეჭრას აღიარებდა და რომელიც თვლიდა, რომ ძველი გერმანელი ტომების თავისებური სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება გადაიქცა საფუძვლად ევროპაში ფეოდალიზმის დამყარებისათვის, „გერმანისტების სკოლას“ შეადგენდა. ეს სკოლა საბოლოოდ XIX საუკუნის შუა წლებში გაფორმდა. ამ სკოლის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ გრიმი, აიხჰორნი და მაურერი.

გეორგ ლუდვიგ მაურერი (1790—1872), პასტორის შვილი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სავინისა და გრიმის მიმდევართა შორის აღმოჩნდა. განათლებული იურისტი კარგა ხნის განმავლობაში მაღალ თანამდებობაზე იმყოფებოდა სასამართლოს ხაზით, ხოლო 1832 წელს ახლად წარმოქმნილმა საბერძნეთმა იგი თავისი კონსტიტუციის შესადგენად მიიწვია. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო გახდა საბერძნეთის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. მაურერმა საბერძნეთის შესახებ დაწერა გამოკვლევები, რომლებიც 1835—36 წლებში სამ ტომად გამოიცა.

1848 წლის რევოლუციის წინ, 1847 წელს რამდენსამე თვის განმავლობაში მაურერს ეკავა ბავარიის საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრის პოსტი, ხოლო შემდეგ მან პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი მიანება და მთლიანად სამეცნიერო საქმიანობას მოჰკიდა ხელი. ამ მიმართულებით მის მიზანს წარმოადგენდა — დაესაბუთებინა გერმანელების „თავისებურებანი“, რითაც ისინი თითქოს რადიკალურად განსხვავდებოდნენ სხვა ხალხებისაგან და აგრეთვე ისიც, რომ ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში გერმანელთა მეშვეობით დაიწყო.

თავისი მიზანდასახულობის გადასაწყვეტად მაურერმა დიდი რაოდენობით მოუყარა თავი ისტორიულ დოკუმენტებს და სხვა მასალებს, რომელთა საფუძვლიანი შესწავლისა და ანალიზის შედეგად დაწერა თავისი შრომები. გერმანული მარკის (თემის) წყობილებას, სოფელსა და ქალაქს მან თორმეტტომიანი გამოკვლევა უძღვნა, რითაც ხორცი შეასხა „სამარკო თეორიას“.

ამ თეორიის მიხედვით, ძველი გერმანელი ტომები „დამპყრობლები და მოხეტიალენი“ იყვნენ, რომლებიც, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, არ იცნობდნენ კერძო საკუთრებას; ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისას ისინი გვარებისა და თემების მიხედვით სახლდებოდნენ. გვარებსა და თემებს შორის დაცული იყო ეკონომიკური თანასწორობა ოჯახებზე მიწების ხელახალი და თანაბარი გადანაწილებით. მაურერის აზრით, ამის შედეგი იყო ის, რომ ადრინდელ გერმანელებში სოციალურ დიფერენციაციას არ ჰქონდა ადგილი. მათში არ არსებობდა კლასები. უფრო გვიან, რომაელთა გავლენით აქ შემოიჭრა კერძო საკუთრება, გაჩნდნენ მსხვილი მიწათმფლობელნი, რომელთაც მოისურვეს თავისუფალი თემების დამორჩილება.

„სამარკო თეორია“ მაურერს მთლიანად ევოლუციური განვითარების პრინციპებზე აქვს აგებული. ამგვარად, გამოდის, რომ ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში მხოლოდ თანდათანობითი განვითარების შედეგი იყო. მაურერი, ისევე როგორც ფიუსტელ დე კულანჟი, საერთოდ, რევოლუციების წინააღმდეგ ილაშქრებდა; თემების მოსპობას და მსხვილი ფეოდალური საკუთრების განვითარებას იგი უმტკივნეულო, ბუნებრივი, ყოველივე ძალადობის გარეშე არსებული პროცესით ხსნიდა.

მაურერის აზრით, ყველა სოციალური რევოლუცია ადამიანთა თავისუფლების აღკვეთითა და მათი დუხჭირი ცხოვრებითაა გამოწვეული. საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან რევოლუციები უფრო ხშირად იმის გამო ხდებოდა, რომ იქ, გერმანიისაგან განსხვავებით, არ იყო შემორჩენილი თავისუფლებათა დამცველი ორგანიზაციები მარკისა და სხვათა სახით და ადამიანებმა მომავალში რომ თავიდან აიცილონ რევოლუციები, ამისათვის საჭიროა შუა საუკუნეების წესებისა და თემური ორგანიზაციების აღდგენა.

ამგვარად, მაურერი რომანტიზმის წარმომადგენელი იყო და გარდა იმისა, რომ შუა საუკუნეების ზნე-ჩვეულებებს უპირატესობას ანიჭებდა, იგი ნაციონალიზმსაც აღვივებდა, აწერდა რა გერმანელებს რაღაც ზებუნებრივ თვისებებს ფეოდალიზმის წარმოქმნის საქმეში. ამიტომ მიმართავდნენ მაურერის კონცეფციას ფაშისტური იდეოლოგიის წინამორბედნი ალფონს დოპში და სხვები.

ფეოდალიზმის გენეზისის საკითხის გადაწყვეტა მარქსისტული თვალთახედვით

თუ მაურერმა მოახერხა მეცნიერულად დაესაბუთებინა თემური წყობილების არსებობა, სამაგიეროდ, ამაო აღმოჩნდა მისი ცდა — თემური წყობილების მქონედ წარმოედგინა მხოლოდ ძველი გერმანელი ტომები. ძველი გერმანელი ტომების შესახებ ენგელსი წერდა: „ევროპა გააახალგაზრდავა არა მათმა სპეციფიკურმა ეროვნულმა თვისებებმა, არამედ უბრალოდ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წყობილებამ“.

როგორც ენგელსი აღნიშნავს, გვაროვნული წყობილება სრულიადაც არ იყო მარტო გერმანელების ეროვნული თავისებურება. მაურერის გამოკვლევებს მალე ინგლისელი მკვლევრის ჰენრი სომნერ მენის (1822—1888) შრომათა გამოქვეყნება მოჰყვა, სადაც თვალსაჩინოდ იყო დამტკიცებული გვაროვნულ-თემური წყობილების არსებობა ინგლისში, უფრო სწორად — ბრიტანეთსა და ინდოეთში. ცნობილმა მკვლევარმა ავგუსტ ჰაქსტჰაუზენმა (1792—1866) რუსეთში მოგზაუ-

რობის დროს (1843—1844 წლებში) აღმოაჩინა თემის ნაშთი — „მირ“, ხოლო სამხრეთ სლავებში — „სერბსკაია ზადრუგა“.

მაქსიმე კოვალევსკიმ თავის შრომებში დაწვრილებით აგვიწერა ამიერკავკასიის ხალხების წარსული ყოფა-ცხოვრება და გაგვაცნო მათში ძველად არსებული თემური წყობილების არსი. ბოლოს ყველაფერი ეს დააგვირგვინა მორგანის (1818—1881) გამოკვლევებმა.

ყველაფერმა ამან გააძლიერა მარქსისტული თვალსაზრისი ადამიანთა განვითარების შესახებ. თემური წყობილების არსებობამ სხვადასხვა ხალხებში თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ კერძო საკუთრება, კლასები, სახელმწიფო და სხვ. სულაც არ წარმოადგენს მარადიულ მოვლენას, როგორც ამას ამტკიცებდნენ (და დღესაც ცდილობენ დაამტკიცონ) ბურჟუაზიის აპოლოგეტები.

როცა მარქსისტული შეხედულება პირველყოფილი უკლასო საზოგადოების შესახებ უფრო განმტკიცდა მაურერის, კოვალევსკის, მორგანის, ინამა-შტერნეგის და სხვათა გამოკვლევებით, იმატა მაურერისა და მის მსგავს მკვლევართა კრიტიკამ ახლა უკვე რეაქციონერი მკვლევრების მხრით. ჯერ კიდევ 1901 წელს ვიტიხმა გაილაშქრა თემური წყობილების არსებობის თეორიის წინააღმდეგ. მას მოჰყვნენ კარო, ზელიგერი და სხვ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მარქსიზმის კლასიკოსებმა ბურჟუაზიულ მეცნიერებათა მემკვიდრეობა კრიტიკული მიდგომით აითვისეს. ცხადი გახდა, რომ ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნა დასავლეთ ევროპაში სათავეებს ღებულობს როგორც მონათმფლობელური საზოგადოებიდან, ისე გერმანელების, სლავებისა და სხვა ხალხების თემური წყობილებიდან. ორივე საზოგადოებრივი წყობილების ელემენტთა სინთეზის შედეგია დასავლეთ ევროპის ფეოდალური სამყარო. მაგრამ, განსხვავდება რა პრინციპულად ფიუსტელ დე კულანჟის „სინთეზისაგან“ და მაურერის ევოლუციური თეორიისაგან, მარქსიზმი ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოქმნის ბებია ქალად თვლის იმ გრანდიოზულ რეოლუციურ მოძრაობას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა რომის იმპერიაში.

უდიდესი რევოლუციური მოძრაობა გალიაში, რომელიც ცნობილია ბაგაუდების მოძრაობის სახელწოდებით, მონებისა და კოლონების ფართო აჯანყება ჩრდილოეთ აფრიკაში, აგონისტიკოსების აჯანყება, რომის იმპერიის ცალკე პროვინციათა გამათავისუფლებელი მოძრაობანი და ბოლოს — ბარბაროსთა ტომების მასობრივი შეჭრა რომის იმპერიის საზღვრებში, — აი ყველაფერი ის, რამაც ბოლო მოუღო მონათმფლობელობას და ფეოდალიზმის წარმოქმნას გაუკაფა გზა.

კერძოდ, გერმანელების გვაროვნული წყობილების — ბარბაროსობის როლის შესახებ მონათმფლობელობის ახალი ურთიერთობით შე-

ცვლის საქმეში ენგელსი წერდა: „ყოველივე ის, რაც გერმანელებმა რომაელთა სამყაროს ცხოველმყოფელი და ნაყოფიერი დაამყნეს, — ეს იყო ბარბაროსობა. მართლაც, მხოლოდ ბარბაროსებს შესწევდათ იმის უნარი, რომ დაღუპვისკენ დაქანებული ცივილიზაციის ძირხწნილი ქვეყნიერება გაეახალგაზრდავებინათ. და ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური, რომელსაც გერმანელებმა მიაღწიეს და რომელზეც ისინი ავიდნენ ხალხთა გადასახლების წინ, სწორედ რომ ყველაზე ხელსაყრელი იყო ამ პროცესისათვის. ამით აიხსნება ყველაფერი“ [1].

მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ ბარბაროსობის როლის შესახებ ახალი — ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნის საქმეში, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბარბაროსთა ტომები სავსებით გარეგან ძალას როდი წარმოადგენდნენ იმპერიისათვის. ჩვენ ქვემოთ ნათლად დავინახავთ, რომ დიდი ხნით ადრე იმპერიის საზღვრებს შიგნით შეეჭრამ ისინი დიადი გარდაქმნების შინაგან ძალად აქცია.

როგორც ენგელსი აღნიშნავდა, ხალხთა დიდი გადასახლების წინ ძველმა გერმანელმა ტომებმა მიაღწიეს ბარბაროსობის განვითარების უმაღლეს საფეხურს. ეს კი ნიშნავდა, რომ თემური წყობილება მათში უკვე ირღვეოდა და მის ნაცვლად კლასობრივი საზოგადოება უნდა შექმნილიყო. მაგრამ როგორი იქნებოდა ეს კლასობრივი საზოგადოება — მონათმფლობელური თუ ფეოდალური? სხვა პირობებში იგი შეიძლება მონათმფლობელური ყოფილიყო, მაგრამ გერმანელების თემური წყობილების რღვევა დაემთხვა მონათმფლობელური საზოგადოების განადგურების პროცესს და ბარბაროსთა საერთო მოძრაობა რომის იმპერიაში მონებისა და კოლონების აჯანყებას გადაეწასკვა, ამიტომ გერმანელმა ტომებმა გამოტოვეს განვითარების მონათმფლობელური საფეხური და ფეოდალიზმის გენეზისის წამომწყებთა საერთო ფერხულში აღმოჩნდნენ.

ამგვარად, ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნა დასავლეთ ევროპაში საწყისს ღებულობდა, ერთი მხრივ, მონათმფლობელური საზოგადოების რღვევის პროცესებიდან და მეორე მხრივ — ძველ გერმანელთა ტომების თემური წყობილებიდან. ამის გამო, საჭიროა ჩვენც ცალცალკე განვიხილოთ ამ ორი საფუძვლის ისტორიული ბედ-იღბალი.

§ 2. მონათმფლობელური წყობილების კრიზისი რომის იმპერიაში და ფეოდალური ელემენტების ჩასახვა

ლატიფუნდიური მეურნეობის შეცვლა კოლონატით

რომის იმპერიაში გაბატონებული მსხვილი ლატიფუნდიური მეურნეობა თავდაპირველად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბილისი, 1950, გვ. 368.

ეს მსხვილი მეურნეობა ნიადაგის უკეთ დამუშავების მეტი შესაძლებლობის შემცველი იყო და, გარდა ამისა, მასში მონების შრომის კოოპერირება ხდებოდა. მარქსი მიუთითებდა, რომ ჯერ კიდევ შრომის უბრალო კოოპერაცია დიდ ეკონომიკურ სარგებლობას შეიცავს და მთელი რიგი უპირატესობით ხასიათდება: 1. უშუალო მწარმოებელთა გაერთიანების შემთხვევაში მათი ინდივიდუალური უნარი წონასწორდება; 2. მათი ურთიერთკონტაქტი იწვევს შეჯიბრებას და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასაც; 3. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება ახალი წარმოებითი ძალა, რომელიც თავისი არსით არის მასობრივი წარმოებითი ძალა: 4. ხდება სამუშაო ძალის ეკონომია და ამასთან იკვეცება წარმოების ვადა; 5. შრომის სივრცული სფერო ფართოვდება, რაც აუცილებელია რიგ შრომატევად სამუშაოთა შესრულების დროს; 6. უზრუნველყოფილი ხდება იმის შესაძლებლობა, რომ უფრო ვიწრო ფართობზე შრომის დიდი მასა ამოქმედდეს და ა. შ.

მონების დიდი ნაწილი თავიდანვე ჩაება ლატიფუნდიურ მეურნეობაში. რაც დრო გადიოდა, მონური შრომა სულ უფრო დევნიდა თავისუფალ შრომას წარმოების მთელი რიგი სხვა დარგებიდანაც. იგი გავრცელდა სამთამადნო მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სხვ. ამ მხრივ საქმე იქამდეც მივიდა, რომ მონობა საოჯახო მეურნეობაშიც ფართოდ იქნა გამოყენებული. ზოგიერთი მონათმფლობელის ოჯახში პირველი საუკუნისათვის ჩვენს ერამდე ხელზე მოსამსახურედ რამდენიმე ასეული მონა მუშაობდა.

მაგრამ, თუ მონური შრომა და მასზე დამყარებული ლატიფუნდიური მეურნეობა თავდაპირველად პროგრესული იყო, თავისი განვითარების შემდგომ საფეხურზე, შეცვლილ ისტორიულ პირობებში, იგი რეგრესულ მოვლენად იქცა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი წინააღმდეგობა იქმნებოდა მონურ შრომასა და ახალ ვითარებას შორის. ვინაიდან მონა თავისი მდგომარეობის გამო არ იყო დაინტერესებული საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებით, ამიტომ იგი აღარ ცდილობდა თავისი შრომა უფრო ნაყოფიერი გაეხადა. მონათმფლობელები წარმოების ყველა დარგში მაქსიმალურად ცდილობდნენ ექსპლუატაციის ნორმა გაეზარდათ. ცნობილი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი კატონი (ძვ. წ. აღრ. 234—149) თავის შრომაში — „აგრიკულტურის შესახებ“ — ურჩევდა მონათმფლობელებს, მონები დაძაბულად ემუშავებინათ ახალგაზრდობის ასაკში და არ მორიდებოდნენ მონის სიცოცხლის სწრაფ შემოკლებას. კატონი ამ შემთხვევაში გამოდიოდა იმ თვალსაზრისიდან, რომ ცოცხალი სამუშაო ძალა ახალგაზრდობის პერიოდში უფრო ნაყოფიერი იყო.

მონური შრომის უმოწყალო ექსპლუატაციამ ხელი შეუწყო მო-

ნების მოძრაობის ზრდას თითქმის მთელ იმპერიაში. მონების აჯანყებებმა მოიცვა იმპერიის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები. სირიელი მონის, ევნოსის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი აჯანყება მოხდა ჭ. ენაში 137 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომელმაც 132 წლამდე გასტანა. ამავე ხანებში აჯანყებამ კლეონის ხელმძღვანელობით მოიცვა კუნძულ სიცილიის დანარჩენი ნაწილიც, რომელსაც რომის იმპერიის სისტემაში თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით მოწინავე ადგილი ეჭირა. 104—101 წლებში სიცილიაში კვლავ მოხდა მონების გრანდიოზული აჯანყება სალვიუსისა და ათენიონის ხელმძღვანელობით (აჯანყებულთა მთავარმა ბელადმა სალვიუსმა მიიღო მეფე ტრიფონის სახელწოდება). და ბოლოს, როგორც ცნობილია, მონათმფლობელური სამყარო მძლავრად შეარყია სპარტაკის აჯანყებამ ძვ. წ-აღრ. 74—71 წლებში. მაგრამ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ამ აჯანყებებმა ვერ შეძლეს არსებული მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობის შეცვლა ახალი საზოგადოებრივი წყობილებით.

რადგან შეიარაღებული ბრძოლით მონებმა ვერ მიაღწიეს თავისუფლებას, მათ შეცვალეს ბრძოლის ფორმები. მონებმა მონათმფლობელურ სამყაროს აგრძნობინეს, რომ ისინი მხოლოდ „მოლაპარაკე იარაღს“ არ წარმოადგენენ და იწყეს იმ სამუშაო იარაღების განადგურება, რომლებითაც ქმნიდნენ საარსებო დოვლათს. მონების ამგვარმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მონათმფლობელური წარმოების წესს არა მარტო საწარმოო საშუალებათა პირდაპირი განადგურებით, არამედ იმითაც, რომ მან აიძულა მონათმფლობელების გაბატონებული კლასი ამის საპასუხოდ უფრო რეაქციული ღონისძიების მიღებაზე გადასულიყო. წარმოების მეპატრონეებმა შედარებით სათუთი საწარმოო საშუალებანი შეცვალეს ტლანქი და უხეში სამუშაო იარაღებით. ახლა ასწლიანი მუხისაგან გაკეთებულ სახნისებს მონები ადვილად ვეღარ დაამსხვრევდნენ და თუ ეს მაინც მოხდებოდა, მონათმფლობელები დიდად არ დაზარალდებოდნენ, რადგან მუხა, თავისთავად, იაფი იყო და ყოველთვის შეიძლებოდა განადგურებული სამუშაო იარაღის აღდგენა.

მაგრამ ტლანქი და უხეში სამუშაო იარაღის წარმოებაში გამოყენება აღარ იძლეოდა შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალებას. ასეთ პირობებში მონური შრომა ვეღარ ახდენდა წარმოების ხარჯების ანაზღაურებას. ცნობილი რომაელი მწერალი და აგრონომი კოლუმელა თავის შრომაში — „სოფლის მეურნეობის შესახებ“ (De re rustica) — ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მონებს უდიდესი ზიანი მოაქვთ სოფლის მეურნეობაში“.

ამგვარად, „ანტიკურმა მონობამ“ თავისი დრო მოჭამა. არც მსხვილ მიწათმოქმედებაში, არც ქალაქის მანუფაქტურაში იგი უკვე აღარ იძლეოდა ისეთ შემოსავალს, რომელსაც დახარჯული შრომის ანაზღაურება შეეძლო, — ბაზარიც მისი პროდუქტებისათვის გაქრა“ [1]. თავის მხრივ, ჯერ კიდევ პლინიუსი შრომაში — „ბუნებრივი ისტორია“ — იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ლატიფუნდიებმა დაღუპეს იტალია და პროვინციები“.

საჭირო იყო შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, მონური შრომის ისეთნაირად გამოყენება, რომ ნაკლები მუშახელით შესაძლებელი გამხდარიყო უფრო ფართო წამოწყების გაძღოლა. მთელ რიგ შემთხვევებში ლატიფუნდიის პატრონებმა ამ მიზნით თავიანთი მიწები საძოვარ მინდვრებად აქციეს და ხელი მიჰყვეს მესაქონლეობას, მაგრამ რაკი ამ ღონისძიებამაც საქმე საბოლოოდ ვერ გამოასწორა, ამიტომ, დაწყებული მეორე საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვით, ლატიფუნდიების უმრავლესობა პარცელებად იქნა დანაწილებული. ეს პარცელები დროებითი იჯარით (ხუთი წლის ვადით) ეძლეოდათ დასამუშავებლად „განთავისუფლებულ“ მონებს და სხვა უშუალო მწარმოებლებს. მეურნეობის დამუშავების ეს ახალი წესი „კოლონატურ“ სისტემას წარმოადგენდა, ხოლო მეურნეობის ამ სისტემაში ჩაბმულ უშუალო მწარმოებელს კოლონი ეწოდებოდა.

მეურნეობის კოლონატურ სისტემას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ კოლონი, შედარებით მონასთან, რომელიც მოკლებული იყო საკუთარ საწარმოო საშუალებებს და თვითონ იყო ქცეული მონათმფლობელის სრულ საკუთრებად, უფრო მეტად იყო დაინტერესებული შრომის ნაყოფიერებით. კოლონს გააჩნდა თავისი საწარმოო საშუალებანი (გარდა მიწისა), მას ჰქონდა ოჯახის შექმნის უფლება, და ბოლოს, გააჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ ემუშავა მეურნეობის ან წარმოების იმ დარგში, რომელშიც იგი უფრო მეტ სარგებლობას დაინახავდა.

ამგვარად, მეორე საუკუნეში გახშირდა მონების ექსპლუატაციის ფორმების ცვლა. მონათმფლობელი მონას აძლევდა „თავისუფლებას“, მას შეეძლო სადაც სურდა წასულიყო და იქ ემუშავა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მონა საკუთარი შემოსავლიდან გარკვეულ ნაწილს თავისი პატრონის სასარგებლოდ გაიღებდა. ამ მიზეზების შედეგად მონების დიდი ნაწილი კოლონებად გადაიქცა, ხოლო დანარჩენი — „განთავისუფლებული“ მონები ავსებდნენ მასწავლებელთა, ექიმთა და სხვა „თავისუფალ პროფესიათა“ რიგებს. II საუკუნეში ქ. რომში ეს სპეციალობანი უმთავრესად მონათა ხვედრს წარმოადგენდა.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 359.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიწა კოლონებს იჯარით ეძლეოდათ ხუთი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე თავისუფლად ითვლებოდა. კოლონს შეეძლო ახალი ხელშეკრულება დაედო მიწათმფლობელთან და დარჩენილიყო ძველ ადგილზე ან სხვაგან წასულიყო ახალი ხელშეკრულების დასადებად. რადგან იმ ხანებში რომის იმპერიაში მუშახელის სიმცირე მკვეთრად იგრძნობოდა, ამიტომ მემამულეები ერთგვარად ხელს უწყობდნენ თავიანთ მიწებზე ახლად დასახლებულ კოლონებს მეურნეობის მოწყობის საქმეში. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კოლონი სხვაგან არ წასულიყო და მათი მიწა დაუმუშავებელი არ დარჩენილიყო.

მემამულეთათვის მუშახელის მიწაზე მიმაგრების უფრო ხელსაყრელ საშუალებას უშუალო მწარმოებელთა დაკაბალება წარმოადგენდა. მოუსავლიან წლებში მემამულენი სესხად აძლევდნენ კოლონებს სათესლე მასალას, პირუტყვს, საკვებს და ა. შ. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, თუ კოლონს ვალი არ ექნებოდა გადახდილი, მას უფლება აღარ ჰქონდა მისთვის მიცემულ მიწის ნაკვეთზე უარი ეთქვა და სხვაგან წასულიყო ახალი მიწის ნაკვეთის მისაღებად. მემამულეთა ასეთი ღონისძიება ერთ ხანს მართლაც ეფექტური აღმოჩნდა მუშახელის შენარჩუნების საქმეში, მაგრამ ის მაინც საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ მომხდარიყო კოლონების მასობრივი მიმაგრება მიწაზე. საჭირო გახდა ამ საქმეში გაბატონებული კლასის ისეთი მძლავრი იარაღის გამოყენება, როგორიც იყო სახელმწიფოებრივი აპარატი. მონათმფლობელური კლასის ინტერესების გათვალისწინებით უკვე 332 წელს იმპერატორმა კონსტანტინე პირველმა გამოსცა კანონი, რომლითაც კოლონები მიწაზე მიმაგრებულად იყვნენ აღიარებულნი.

ამ კანონის მიხედვით, ყველა გაქცეული კოლონი უნდა მოენახათ და უკან დაებრუნებინათ ძველ ადგილსამყოფელში სამუდამოდ. ამასთან, გაქცეული კოლონი სასტიკად უნდა დასჯილიყო; კანონს რომ უფრო მეტი ეფექტურობა მინიჭებოდა, გამოცხადებული იყო აგრეთვე თავისებური სასჯელის დადება იმ მონათმფლობელზე, რომელიც გაქცეულ (სხვის) კოლონს შეიხიზნებდა და მას თავის მიწას გადასცემდა დასამუშავებლად.

აღნიშნული კანონი მხოლოდ დასაწყისი იყო კოლონების მიწაზე მიმაგრების საქმეში, რომელიც უფრო განმტკიცდა 371 წელს გამოცემული ახალი საიმპერატორო ბრძანებულებით. მის მიხედვით, ამიერიდან რომის იმპერიაში მიწების ყიდვა-გაყიდვა, და საერთოდ გასხვისება, არ უნდა მომხდარიყო მათზე დასახლებული კოლონების გარეშე. უფრო მეტიც, ამ ბრძანებულებით არა მარტო კოლონები ცხადდებოდნენ მიწაზე მიმაგრებულად, არამედ მათი შთამომავალნიც.

ბრძანებულებაში ნათქვამი იყო, რომ მიწაზე მიმაგრებულთა შთამო-მავლობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი შედეგი იქნებოდა კოლონის თავისუფალ პირთან შეუღლებისა, მიწაზე მიმაგრებული უნდა გამხდარიყო. მასში გათვალისწინებული იყო აგრეთვე, რომ თუ კოლონის ოჯახში ახლად დაბადებულს სხვაგან წაიყვანდნენ და ის იქ 40 წელიწადს დაჰყოფდა, მაინც უნდა დაებრუნებინათ ძველ ადგილზე, როგორც კოლონი.

ამგვარად, ოდესღაც თავისუფლად მყოფი კოლონები ახლა მიწაზე საბოლოოდ მიმაგრებულნი აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი აღარ წარმოადგენდნენ მონებს, ვინაიდან მათ მკვლელობაზე ერთგვარი პასუხისმგებლობა მყარდებოდა; გარდა ამისა, მონისაგან განსხვავებით, კოლონს თავისი ოჯახი და მეურნეობა გააჩნდა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, კოლონი უკვე აღარც თავისუფალი მწარმოებელი იყო. „მონობა ვეღარ ანაზღაურებდა თავის ხარჯებს და ამიტომ მოისპო. მაგრამ მომაკვდავმა მონობამ თავისი შხამიანი ნესტარი დასტოვა მწარმოებელი შრომისადმი თავისუფალ მოქალაქეთა სისხლში. ეს იყო ის გამოუვალი ჩიხი, რომელშიც რომაელთა სამყარო მოექცა: მონობა ეკონომიურად შეუძლებელი გახდა, თავისუფალ ადამიანთა შრომა მორალურად საძულველი იყო. პირველს უკვე აღარ შეეძლო ყოფილიყო, მეორე კი ჯერ კიდევ ვერ გამხდარიყო ძირითადი ფორმა საზოგადოებრივი წარმოებისა. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ რადიკალურ რევოლუციას შეეძლო“[1].

თავისთავად იბადება კითხვა: თუ კოლონი არც მონა იყო და არც თავისუფალი მწარმოებელი, მაშინ რომელ სოციალურ ფენას უნდა მივაკუთვნოთ იგი? ენგელსი ამ კითხვას ასე უპასუხებდა: კოლონობა იყო გარდამავალი საფეხური მონობიდან ყმობისაკენ; მართლაც, რამდენადაც ცნობილია, ფეოდალური საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა წარმომადგენლის — ყმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი მიმაგრებულია მიწაზე. მართალია, კოლონის მთლიანი გაიგივება შუა საუკუნეების ყმასთან არ იქნებოდა სწორი, მაგრამ კოლონის სახით მოცემულია მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში ფეოდალური ელემენტების ჩასახვა და ამიტომ კოლონობა მონობიდან ყმობისაკენ გარდამავალ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს.

ეკონომიკური კრიზისი და ფეოდალური ელემენტების შემდგომი გავრცელება

ფეოდალიზმის ელემენტების ჩასახვა მონათმფლობელობის წიაღში სხვა მიმართულებითაც ხდებოდა, რაზეც უფრო ფართოდ ქვემოთ

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 360.

იქნება ლაპარაკი. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ კოლონატურ სისტემაზე მეურნეობის გადაყვანამ რომის ეკონომიკის დეგრადაცია თუმცა დროებით შეაჩერა, მაგრამ რომში მესამე საუკუნეში დაიწყო საყოველთაო კრიზისი, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო და დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდა.

სხვათა შორის, ზოგიერთი პაპირუსებიც იტყობინება, რომ ეგვიპტეში მოიშალა ირიგაცია, იმატა მოუსავლიანი წლების რაოდენობამ, დაცარიელდა და გაპარტახდა ცალკეული მეურნეობანი, შემცირდა ეგვიპტის მოსახლეობა. ამ ცნობების თანახმად, ეკონომიკურმა კრიზისმა ეგვიპტეში მეხუთე საუკუნემდე გასტანა, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები სიმძაფრით სხვადასხვა დროს.

ვაჭრობა და, საერთოდ, აღებ-მიცემა, რომის იმპერიაში ადრევე დაადგა დაქვეითების გზას. მართალია, მეორე საუკუნეში რომი ჯერ კიდევ აწარმოებდა გაცხოველებულ ვაჭრობას სხვადასხვა ქვეყნებთან (რომაელმა ვაჭრებმა ინდოეთს მიაღწიეს, ხოლო 180 წელს ჩინეთის სამხრეთ ნაწილშიც შევიდნენ), მაგრამ ეს ვაჭრობა მეტწილად პასიური ბალანსით ვითარდებოდა. რომიდან გატანილი საქონლის ღირებულება გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლისა.

ასეთი პასიური ბალანსით ვაჭრობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ოქრო-ვერცხლის მარაგი თანდათან გაიზიდა რომიდან. იმპერიაში საგრძნობლად შემცირდა ბრუნვის საშუალება — ფულის ნიშანი. ბუნებრივია, რომ საქონლის ბრუნვის შესუსტებასთან ერთად უნდა მომხდარიყო ვაჭრობის შეფერხებაც. საქმის გართულების თავიდან აცილების მიზნით, რომის იმპერატორებმა უკანასკნელ ღონისძიებას მიმართეს: სამეფო საჭურჭლიდან გამოჰქონდათ ოქრო-ვერცხლის სხვადასხვა ნაკეთობანი, ადნობდნენ მათ და ჭრიდნენ ფულს. როცა ამ ღონისძიებამაც ვერ გამოიღო სათანადო შედეგი, მაშინ იმპერატორებმა ფულის გაყალბებას მიმართეს.

ეს გარემოება უარყოფითი და მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების ზოგიერთი ფენისათვის, განსაკუთრებით — ფულის მჭრელთათვის. ამ ფენების უკმაყოფილებას მესამე საუკუნის 70-იან წლებში მოჰყვა მძლავრი აჯანყება რომში. თუ რამდენად საშიში იყო ეს აჯანყება ხელისუფლებისათვის, ჩანს იქიდან, რომ იგი იძულებული გახდა შეიარაღებული ძალა გამოეყენებინა და, რაც მთავარია, იქიდანაც, რომ აჯანყებულებთან ბრძოლის დროს დახოცილ იქნა შვიდი ათასამდე ჯარისკაცი.

რომის იმპერიაში ვაჭრობისა და აღებ-მიცემის საქმე თანდათან უარესდებოდა. ამ გარემოების ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ეკონომიკური კრიზისი იყო, მაგრამ ვაჭრობის შეფერხების საქმეში არა-

ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოებასაც, რომ იმპერიის დასავლეთ ნაწილში ძალიან გახშირდა ბარბაროსთა ტომების თავდასხმები და ბრძოლები. სავაჭრო ქარავნებზე თავდასხმების გახშირება, ვაჭრების ამოხოცვა და სხვ. დიდად აფერხებდა აღებ-მიცემის საქმეს.

ვაჭრობის დაქვეითებისა და ფულის რაოდენობის შემცირების გამო შეუძლებელი გახდა ფულადი რენტის არსებობა. სხვადასხვა გადასახადის აკრეფას, ხელფასების გაცემას და სხვა ღონისძიებებს ხელისუფლება ახლა ხატურის სახით ახდენდა. მრავალი მოხელის ხელფასის გაცემისათვის საჭირო იყო პროდუქტების მარაგის შექმნა. ამიერიდან რომი უდიდეს საწყობად გადაიქცა.

ასე გაბატონდა რომის იმპერიაში ნატურალური, თავისებურად კარჩაკეტილი მეურნეობა, რაც მომავალი ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისათვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა. ნატურალური მეურნეობის გაბატონება ხელს უწყობდა სხვა ფეოდალური ელემენტების შემდგომ განვითარებას დრომოჭმული მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში.

ეკონომიკური კრიზისის გაძლიერება მთელი თავისი სიმძიმით, პირველ ყოვლისა, მშრომელ მოსახლეობას აწვებოდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვეღარ ახერხებდა გაზრდილი გადასახადების გაღებას. ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით ხელისუფლება ცდილობდა მოხელეთა რიცხვის შემცირებას. გადასახადების აკრეფა მოსახლეობაში კურიალებს დაეკისრა. გადასახადების მოსახლეობიდან სრულად აკრეფა სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა. იმპერატორ დიოკლეტიანეს ბრძანებულებათა მიხედვით, იმ კურიალს, რომელიც ვერ მოახერხებდა მისთვის საფისკოდ განკუთვნილი ადგილიდან გადასახადების სრულად აკრეფას, თავისი ქონებიდან უნდა შეევსო დანაკლისი.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში კურიალობა აღარ იქნებოდა ხელსაყრელი და, მართლაც, ბევრი კურიალი ცდილობდა, რომ შემდეგ ის აღარ აერჩიათ ამ თანამდებობაზე. იყო შემთხვევები, როდესაც კურიალები სავსებით თავს ანებებდნენ ქალაქებს და სოფლად მიდიოდნენ საცხოვრებლად. იმპერატორმა არკადიუსმა, ამასთან დაკავშირებით, 396 წელს გასცა ბრძანება კურიალობის მუდმივ წოდებად გადაქცევისა და კურიალების მიმაგრების შესახებ.

სახელმწიფო აპარატის მდგომარეობა უფრო მეტად გამწვავდა ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით. ამასთან, გაძნელდა რომის შეიარაღებული ძალების საჭურვლით მომარაგება. საჭირო გახდა იმ ხელოსანთა მიმაგრება წარმოებაზე, რომელნიც სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდნენ. მაგრამ ასეთი ღონისძიების გატარება ცალკეული ხელოსნების მიმართ რთული აღმოჩნდა, ამიტომ, საქმის გაადვილების მიზნით, ხელისუფლებამ ლეგალიზაცია მოახდინა ხელოსანთა კავშირებისა, რო-

მელთაც კოლეგიები ეწოდებოდათ და რომელნიც ძველად იკრძალებოდნენ იმის გამო, რომ ხელისუფლება მათში თავის მოწინააღმდეგეებს ხედავდა. ლეგალიზებული კოლეგიები ხელისუფლებამ ახლა მიმაგრებულად გამოაცხადა. ასევე მიმაგრებული აღმოჩნდნენ „ნავკრარიებიც". ნავკრარიები რომში ხომალდებისა და ნავების მეპატრონეებს ერქვათ. როდესაც რომში უამრავი პროდუქტის შემოზიდვისათვის სახელმწიფოს საკმაო ტრანსპორტი არ აღმოაჩნდა, ნავკრარიებს დაევალათ ჯერ უფასოდ შემოეზიდათ სახელმწიფოსათვის სურსათ-სანოვაგე, ხოლო როცა ამ დავალებას შეასრულებდნენ, თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი საქმეები ეწარმოებინათ. ამგვარად, რომაული საზოგადოების ძირითადი ფენების მიმაგრება თანდათან სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა.

გარდა ამისა, რომის იმპერიაში ხდებოდა ბარბაროსთა ხშირი შემოსევები, ადგილი ჰქონდა დარბევებს, რომაელი მოხელეების ძალმომრეობასა და შეურთამეობას; ყოველივე ეს და აგრეთვე ხელისუფლების სისუსტე გზას უკაფავდა კერძო მფარველობას. ეს გარემოება კი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ისეთი ფეოდალური ელემენტების ფართოდ გავრცელებისათვის, როგორიც იყო პატრონატი.

„არც პროვინციებში იყო უკეთესი მდგომარეობა, — წერს ენგელსი — ყველაზე მეტი ცხობები გვაქვს გალიის შესახებ. კოლონების გვერდით აქ ჯერ კიდევ არსებობდნენ თავისუფალი წვრილი გლეხები. იმისათვის, რომ თავიანთი თავი უზრუნველეყოთ მოხელეების, მსაჯულებისა და მევახშეების ძალმომრეობისაგან, ისინი ხშირად მიმართავდნენ რომელიმე მძლავრი პიროვნების მფარველობას, პატრონატს; ასე იქცეოდნენ არა მარტო ცალკეული გლეხები, არამედ მთელი თემებიც, ასე რომ იმპერატორებმა IV საუკუნეში ამ მფარველობის ძიების ასაკრძალავად მრავალჯერ გამოსცეს ბრძანებულებანი" [1].

იმპერატორი თეოდოსიუსი (378—395) იმ ეგვიპტელი კოლონების შესახებ, რომელთაც თავი შეაფარეს რომელსამე მსხვილ მიწათმფლობელს ან სარდალს, ბრძანებდა, რომ ისინი უკან დაებრუნებინათ, ხოლო მფარველობის აღმომჩენი პასუხისგებაში მიეცათ.

პრეტორიის პრეფექტს ევტიხიანეს იგივე თეოდოსიუსი უბრძანებდა, რომ ის, ვინც გაბედავდა სოფლის მცხოვრებთათვის პატრონობის გაწევას, რა თანამდებობის პირიც არ უნდა ყოფილიყო, დაუყოვნებლივ დაეჯარიმებინათ ორმოცი გირვანქა ოქროთი. იმპერატორის სხვა ბრძანებულების მიხედვით, ამავე დანაშაულისათვის მფარველობის მაძიებ-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 360—361.

ლისთვისაც და მფარველობის აღმომჩენისთვისაც უნდა ჩამოერთმიათ: პირველისათვის — უძრავი, ხოლო მეორისათვის — მოძრავი ქონება.

რომის ხელისუფლება პატრონატის წინააღმდეგ იბრძოდა არა იმიტომ, რომ იგი მასში შეგნებულად ხედავდა ახალი, ფეოდალური ურთიერთობის გაძლიერებას, არამედ იმიტომ, რომ პატრონატის გავრცელება მისთვის არ იყო ხელსაყრელი, ჯერ ერთი, კერძო პიროვნების მფარველობაში შესული გლეხი სახელმწიფოს გადასახადს არ აძლევდა, და მეორეც, მასებსა და მმართველ ორგანოებს შორის იქმნებოდა გარდაუვალი კედელი მფარველთა სახით. ხელისუფლება კარგავდა გავლენას გლეხობაზე, ხოლო კერძო მფარველის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერდებოდა, რაც, თავის მხრივ, აძლიერებდა ფეოდალიზმის საფუძველს.

პოლიტიკური კრიზისი რომის იმპერიაში

ხელისუფლების მიერ მიღებული მკაცრი ღონისძიებების მიუხედავად, რომის იმპერიაში მაინც ვრცელდებოდა პატრონატი, პოლიტიკურად ძლიერდებოდნენ ცალკეული მსხვილი მიწათმფლობელები, რის გამოც სახელმწიფო აპარატი ვეღარ ახერხებდა ქვეყნის მართვას ძველი მეთოდებით; ხელისუფალთა ახალი ღონისძიებანიც ხშირად უშედეგოდ მთავრდებოდა. იქმნებოდა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა.

ეს პოლიტიკური კრიზისი დაემთხვა რომის ეკონომიკურ კრიზისს და ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა. 235 წლიდან 284 წლამდე 26 იმპერატორი გამოიცვალა. აღსანიშნავია, რომ ამათგან მხოლოდ ერთი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. შედარებით უფრო სტაბილური მდგომარეობა დამყარდა იმპერატორ დიოკლეტიანესა (284—305) და იმპერატორ კონსტანტინეს (306—337) მმართველობის ხანაში.

მათ შეძლეს ისეთი რეფორმების გატარება, რომლებმაც დროებით შეუწყო ხელი რომის პოლიტიკურ განმტკიცებას. რადგან ამ რეფორმებს რომის პოლიტიკური სიტუაციის განმტკიცებაში ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, ზედმეტი არ იქნებოდა ყურადღების შეჩერება დიოკლეტიანეს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე.

რეფორმათა გატარების შედეგად, მართვა-გამგეობის თვალსაზრისით, რომის იმპერია დაიყო ოთხ პრეფექტურად: 1. აღმოსავლეთის, რომელშიც შედიოდა აზია, ეგვიპტე და თრაკია; 2. ილირიის, რომელიც აერთიანებდა მაკედონიასა და საბერძნეთს; 3. იტალიის, რომელიც მოიცავდა საკუთრივ იტალიას, ბალკანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და აფრიკას და 4. გალიისა, რომელიც მოიცავდა საკუთრივ გალიას, ბრიტანეთსა და მავრიტანიას.

თავის მხრივ, პრეფექტურა რამდენსამე დიოცეზისაგან შედგებო-

და, თითოეული დიოცეზი კი დაყოფილი იყო რამდენიმე პროვინციად. ამგვარად, სამმართველო-ადმინისტრაციული ერთეულები უაღრესად დაქუცმაცებული აღმოჩნდა. იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ამ რეფორმის მნიშვნელობა, საჭიროა ზოგადად მაინც შევეხოთ იმ მიზეზებს, რომლებიც საფუძვლად დაედო დიოკლეტიანეს ამ ღონისძიებას. იგი გამოწვეული იყო იმით, რომ იმპერიის სხვადასხვა ნაწილების ეკონომიკური განვითარება სხვადასხვაგვარი იყო.

ერთნაირი მართვა-გამგებლობის გატარება რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში არც სამხედრო და სტრატეგიული თვალსაზრისით იქნებოდა გამართლებული. რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი ისეთ ხშირ თავდასხმებსა და რბევას არ განიცდიდა ბარბაროსთა ტომებისაგან, როგორც დასავლეთი ნაწილი. მაშასადამე, თუ დასავლეთ ნაწილში სამხედრო წესების შემოღება თავდაცვის მიზნით აუცილებელი იყო, აღმოსავლეთი ამას მაინცდამაინც არ საჭიროებდა.

გატარებული რეფორმა არა ნაკლებ გამართლებას პოულობდა პოლიტიკური თვალსაზრისით. ქვეყნად დაწყებული იყო, ერთი მხრივ, ფართო მასების მოძრაობა, ხოლო, მეორე მხრივ, — ცალკეული სარდლებისა და მსხვილი თანამდებობების მქონე პირთა განდგომა. მართვა-გამგებლობის დაქუცმაცება ამ მიმართულებით ერთგვარ უშიშროებას ქმნიდა, რადგან პატარა ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი, კიდეც რომ აჯანყებულიყო, ვერაფერს გახდებოდა. ცვლილებები მოხდა სახელმწიფო აპარატშიც, ჩამოყალიბდა მუდმივი საბჭო. ამასთან, პირველად შეიქმნა თავისებური სამინისტროები და ბიუროკრატიაც გაიზარდა.

სასახლეში შემოიღეს ბრწყინვალე მორთულობა და სხვადასხვა ცერემონიები. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა იმპერატორების გალმერთებას, რასაც მათი ავტორიტეტი მოსახლეობაში უნდა გაეზარდა. გარდა ამისა, მასების უფრო მეტად დამორჩილების მიზნით, იმპერატორებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ხალხის სულიერი ცხოვრების მმართველობაც თვითონ აეღოთ ხელში — რელიგიის მესაჭენიც გამხდარიყვნენ.

ქრისტიანული მოძრაობა და მისი რაობა

მესამე საუკუნის მეორე ნახევარში რომის იმპერიაში პოლითეიზმი იყო გაბატონებული. სხვადასხვა წარმართული რელიგიის გვერდით ქრისტიანობაც თანდათან იკიდებდა ფეხს. ასეთ ვითარებაში იმპერატორი ვერ გახდებოდა რელიგიის მესვეური, თუ არ მოისპობოდა პოლითეიზმი და საბოლოოდ არ გაბატონდებოდა რომელიმე ერთი რელიგია. ამიტომ იყო, რომ იმპერატორი დიოკლეტიანე შეეცადა შეექმნა ერთიანი წარმართული რელიგია და მისი საჭეები ხელში ჩაეგდო. მან

დაიწყო ქრისტიანობის დევნა. თუმცა ამ სარწმუნოების მიმდევართა შევიწროება პირველად მოხდა ნერონის დროს, მაგრამ მაშინ ის ისე მკაცრი და მასობრივი არ იყო, როგორც დიოკლეტიანეს ხანაში.

ენგელსის თქმით, ქრისტიანული თემები წინა აზიის დასავლეთ ნაწილის ქალაქებში ჩამოყალიბდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის პირველ ნახევარში. პირველი საუკუნიდან დაწყებული, მოძრაობა სწრაფად გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც მონათმფლობელობა იყო. ქრისტიანობა თავდაპირველად მონების რელიგიას წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მონების აჯანყებანი მარცხით დამთავრდა და მათ თავისუფლებას ვერ მიაღწიეს, ხსნის იმედი ამქვეყნიურობიდან ცაში იქნა გადატანილი.

მონებში გავრცელდა რწმენა იმისა, რომ მალე ქვეყნიერებას ციდან მესია მოევლინება, რომელიც ამ ქვეყანაში ჩაგრულთ იხსნის დუხჭირი მდგომარეობიდან და მონათმფლობელურ სახელმწიფოს ბოლოს მოუღებს. შემდეგდროინდელმა ქრისტიანობამ ეს მეორე დებულება სრულებით მოხსნა, ქრისტე კი ისეთ მესიად წარმოადგინა, რომელიც ქვეყნიერებას მოევლინა მხოლოდ ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად.

ადრინდელი ქრისტიანობა ყველას თანასწორად აცხადებდა, გმობდა სიმდიდრეს, მოითხოვდა დახმარების აღმოჩენას ღარიბებისათვის და, საერთოდ, რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობას, მონებს გარდა, მიემხრნენ ღარიბ-ღატაკნი და თითქმის ყველა ჩაგრული ფენა რომის იმპერიაში. მეორე საუკუნეში ქრისტიანული თემების სოციალური შემადგენლობა შეიცვალა. ახლა მათ შორის შეძლებული პირებიც კი აღმოჩნდნენ. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, ქრისტიანული მოძღვრების რადიკალური გადასინჯვა გამოიწვია. უკვე II საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანობის ზომიერ ნაწილს რელიგიაში წამყვანი როლი დაეკისრა. უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ქადაგებას მოთმინების, ბატონისადმი მორჩილების, დავალების უსიტყვოდ შესრულების შესახებ; რაც შეეხება მონების განთავისუფლებას, მათთვის კეთილი ცხოვრების შექმნას და სხვ., ყველაფერი ეს გადატანილი იქნა მხოლოდ საიქიო ცხოვრებაში.

შეიცვალა ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურაც. გაჩნდნენ მუდმივი, პროფესიონალი დიაკვნები, მღვდლები, ეპისკოპოსები, რომლებიც ახლა მკვეთრად განსხვავდებოდნენ უბრალო მრევლისაგან და ერთიმეორისადმი იერარქიულ მორჩილებაში იმყოფებოდნენ. ამასთან, თანდათან ქრებოდა ქრისტიანული თემის დამოუკიდებლობაც. რომში არსებული თემი თავისი ეპისკოპოსით პირველობას იჩემებდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ რომის ეპისკოპოსი (შემდეგში პაპი) ქრის-

ტიანული ეკლესიის მეთაურად იქნა აღიარებული. ყოველივე ამის შემდეგ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გადაქცევა გაბატონებული კლასისათვის სასურველი გახდა.

ქრისტიანობის შემდგომი გაძლიერება

რომის ხელისუფლების მიერ 313 წელს მილანოში გამოქვეყნებულ იქნა ედიქტი, რომლითაც ქრისტიანობა იმპერიაში ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული. 325 წელს ეკლესიამ დამატებითი პრივილეგიები მიიღო. იგი სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლდა და უფლება მიეცა თავისი მამულები ჰქონოდა. ამგვარად, კათოლიკური ეკლესია თვითონ გახდა მონების, კოლონებისა და სხვათა ექსპლუატატორი. ამ გარემოებამ მოსახლეობის დაბალ ფენებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სამაგიეროდ, ქრისტიანობა გადაიქცა იმპერატორის და, საერთოდ, გაბატონებული კლასის დასაყრდენ ძალად. ამიერიდან მშრომელ მოსახლეობას ავიწროებდნენ და ექსპლუატაციას უწევდნენ არა მარტო მონათმფლობელები და მათი სახელმწიფოებრივი აპარატი, არამედ ქრისტიანული ეკლესიაც. ამან გამოიწვია დაბალი ფენების ერთდროული გამოსვლები როგორც მონათმფლობელთა და ხელისუფლების წინააღმდეგ, ისე გაბატონებული კათოლიკობის წინააღმდეგაც.

მასების უკმაყოფილებამ თვით ქრისტიანულ ეკლესიაშიც გამოიწვია განხეთქილება. IV საუკუნეში ქრისტიანთა შორის გაჩნდა სხვადასხვა სახის ოპოზიციური მიმდინარეობანი „ერესების“, ანუ „მწვალებლობის“ სახით. ასეთები იყო: მონტანელობა, არიანელობა, ნესტორიანელობა, დონატიზმი და სხვ. მართალია, ეს ოპოზიციური მიმდინარეობანი მეტწილად რელიგიის დოგმატურ საკითხებზე აწარმოებდნენ დავას, მაგრამ ისინი სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უთანხმოებასაც ამჟღავნებდნენ, თუმცა გახვეული იყვნენ რელიგიურ სამოსელში. ამგვარად, რევოლუციური მოძრაობა რელიგიურ ელფერსაც ღებულობდა.

§ 8. რევოლუციური მოძრაობა რომის იმპერიის პროვინციებში

აგონისტიკოსების აჯანყება ჩრდილოეთ აფრიკაში

რომის იმპერიაში დაწყებული საყოველთაო რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრს აფრიკა წარმოადგენდა. ამ მხარეში წამოწყებული მასობრივი რევოლუციური მოძრაობა მთელი მეოთხე საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ეს მოძრაობა ხან აგრარული ხასიათისა

იყო, ხან გლეხთა ომში გამოვლინდებოდა, ხან ინასკვებოდა რელიგიურ მოძრაობაში, ხან კი აშკარად ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ღებულობდა.

მას შემდეგ, რაც იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა იმპერიაში, აფრიკის ქრისტიანულ ეკლესიაშიც განხეთქილებამ იჩინა თავი. ქრისტიანული თემების ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა რომს, ხოლო მეორე ნაწილი არ ცნობდა მას. ოპოზიციური მიმართულების წამომწყები იყო კართაგენის ეპისკოპოსი დონატუსი, რომელიც მოღალატეებად აცხადებდა ყველას, ვინც გადადიოდა ოფიციალური ეკლესიის მხარეზე. დონატისტები საბოლოოდ გამათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაებნენ და, ბუნებრივია, რომისათვის საშიშნი გახდნენ, მით უფრო, რომ რაც დრო გადიოდა, აფრიკაში დონატისტური მოძრაობა მით უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭდა. მალე დონატისტებს მხარი დაუჭირა უფრო რადიკალურმა მოძრაობამ აგონისტიკოსების სახით.

აგონისტიკურ მოძრაობაში ძირითადად ჩაბმულნი იყვნენ მიწის მუშა მონები, კოლონები, ხელოსნები, ის თავისუფალი გლეხები, რომელნიც დაყმევების პროცესში იმყოფებოდნენ, დავალიანებული პირები და სხვ. აგონისტიკოსების უმრავლესობა ბერბერები იყვნენ. ისინი ცხოვრობდნენ უმთავრესად თანამედროვე ცენტრალურსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტუნისში, ალჟირის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ტრიპოლის ყველა ოლქში.

340 წელს დაწყებული აჯანყების ხელმძღვანელები ყოფილან აქსიდო და ფაზირი. აჯანყებულნი არბევდნენ მემამულეთა სახლ-კარს და ცეცხლს აძლევდნენ მათ ქონებას. აგონისტიკური მოძრაობა მიმართული იყო მსხვილი მიწათმფლობელებისა და მევახშეების წინააღმდეგ. აჯანყებულნი მემამულეებს უგზავნიდნენ წერილებს, რომლებშიც წინადადებას აძლევდნენ მათ გაეთავისუფლებინათ მონები და კოლონები; მემამულეებს უარი უნდა ეთქვათ გაცემული სესხის მიღებაზე და გადასახადების აკრეფაზე. სადაც კი შესაძლებლობა მიეცემოდათ, აჯანყებულნი მიწათმფლობელებსა და მონებს როლებს უცვლიდნენ. მიწათმფლობელებს აიძულებდნენ ხორბალი დაეფქვათ და სხვა შავი სამუშაო შეესრულებინათ.

რომის ხელისუფლება სასტიკად დევნიდა აჯანყებულებს. მოძრაობის ჩასახშობად იტალიიდან აფრიკაში გადმოჰყავდათ უამრავი ჯარი. რომაელ ლეგიონებსა და აჯანყებულთა შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა დაახლოებით 340 წელს. ეს ბრძოლა აჯანყებულთა მარცხით დამთავრდა. ყველაზე დიდ შეჯახებას რომაელებსა და აგონისტიკოსებს შორის ადგილი ჰქონდა 347 წელს ქ. ბაგაისთან. ეს იყო გადამწყვეტი ბრძოლა, რომელმაც რომაელებს წარმატება მოუტანა.

რომის იმპერიაში დაწყებული უდიდესი რევოლუციური მოძრაობის მეორე მნიშვნელოვან ცენტრს გალია წარმოადგენდა. აქ „ბაგაუდების“ აჯანყება მესამე საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და დროგამოშვებით გაგრძელდა V საუკუნემდე.

რომის მიერ გალიის დაპყრობის შემდეგ ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად და ულმობლად ტარდებოდა ამ ქვეყნის რომანიზაცია. მონურმა შრომამ აქაც ბოლო მოუღო თავისუფალ შრომას. მიწათმოქმედებაში გაბატონდა ლატიფუნდიური მეურნეობა, რასაც შემდეგ კოლონატურ სისტემაზე გადასვლა მოჰყვა. იმპერატორ კომოდუსის მმართველობა (180—192) მონათმფლობელური რომის იმპერიის ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დასაწყისს დაემთხვა.

იმპერიის საგარეო და საშინაო მდგომარეობა მეტად დაჭიმული იყო. რომაელთა სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებსაც ისინი პართელებთან აწარმოებდნენ 161 წლიდან 165 წლამდე, უამრავ სახსარს და ადამიანთა მსხვერპლს მოითხოვდა გალიის მოსახლეობისგანაც. გალიისათვის უფრო მძიმე აღმოჩნდა კვადებთან და მარკომანებთან ბრძოლა. იგი დაიწყო 166 წელს და მხოლოდ 180 წელს დამთავრდა. ეს ბრძოლები გალიისა და იტალიის ტერიტორიაზე წარმოებდა, რის გამოც გალიის სოფლის მეურნეობა გაპარტახდა.

მეორე საუკუნის ბოლოს გალიაში დაიწყო აგრარული კრიზისი. იგი 15—20 წლის განმავლობაში მძვინვარებდა. ამ უბედურებას დაემატა ისიც, რომ აღმოსავლეთიდან შავი ჭირი შემოიჭრა, რომელმაც მუსრი გაავლო უმთავრესად უშუალო მწარმოებელთა ფენებს. ამას მოჰყვა მძლავრი აჯანყება, რომელსაც რომაული ლეგიონიდან გაქცეული ჯარისკაცი მატერნუსი ხელმძღვანელობდა. მან თავის მომხრეთაგან შეიარაღებული რაზმები შეადგინა. თავდაპირველად აჯანყებულნი ცალკეულსა და მოულოდნელ თავდასხმებს ახდენდნენ, შემდეგ კი მათი ძალები იმდენად გაძლიერდა, რომ ისინი რომაულ ლეგიონებთან პირდაპირ შებმასაც აღარ ერიდებოდნენ. აჯანყებულნი, რომელთაც ბაგაუდები ეწოდებოდათ, ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს ესხმოდნენ თავს. ისინი ათავისუფლებდნენ ტუსაღებს და აჯანყების მონაწილეთ ჰპირდებოდნენ მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გალიაში დაწყებული რევოლუციური მოძრაობა მალე ესპანეთსაც მოედო. კელტებისა და იბერთა ტომების უმრავლესობა მოძრაობის მონაწილე გახდა. რომის ბატონობისათვის დიდი საშიშროება იქმნებოდა. ამ ადგილებში განლაგებული რომაული ლეგიონები ვეღარ ბედავდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმას, რის გამოც საჭირო ხდებოდა დამატებით ღონისძიებათა მიღება მონათმფლობელური სა-

ხელმწიფოს მხრით. აჯანყებულნი ბრძოლას აწარმოებდნენ მონათმფლობელებისა და რომაელების გალიაში ბატონობის წინააღმდეგ. ბაგაუდების გამოსვლები დაემთხვა გალიელ მიწათმფლობელთა ლტოლვას — ჩამოსცილებოდნენ რომს და შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ბაგაუდები შეეცადნენ შექმნილი მდგომარეობით ესარგებლათ და უფრო გაბედულად ჩაებნენ ბრძოლაში რომაელების წინააღმდეგ.

რომაული ლეგიონების მოახლოებისას ბაგაუდების წარმატებით დაშინებულმა გალიის გაბატონებულმა კლასმა არჩია ქვეყანა რომისათვის დაემორჩილებინა. ვიდრე ბაგაუდები არსებულ წეს-წყობილებას გაანადგურებდნენ, აქ აშკარად გამოვლინდა ორი სხვადასხვა ქვეყნის გაბატონებული კლასების ინტერესთა სოლიდარობა. გალიელ მიწათმფლობელთა დახმარებით 273 წელს იმპერატორმა ავრელიანემ შეძლო ბაგაუდების ამ აჯანყების ჩახშობა, მაგრამ ბაგაუდების გამოსვლები გალიაში გრძელდებოდა შემდეგაც.

რევოლუციური მოძრაობა რომის იმპერიაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბაგაუდებისა და აგონისტიკოსების აჯანყებებით არ განისაზღვრებოდა. მონების, კოლონების, გლეხებისა და გაჩანაგებული ხელოსნების გამოსვლები მონათმფლობელობის წინააღმდეგ ხდებოდა რომის უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა ნაწილშიც. ამას დაემატა ძველი გერმანელი ტომების და, საერთოდ, „ბარბაროსების“ შემოსევა, რამაც ბოლო მოუღო მონათმფლობელობას.

§ 4. ძველი გერმანელი ტომების საზოგადოებრივი წყობილება

ძველი გერმანელი ტომები და მათი ადგილსამყოფელი

ანტიკური მწერლები გერმანელებს უწოდებდნენ ყველა იმ ტომს, რომლებიც ადრევე იყვნენ დასახლებულნი ბალტიისა და ჩრდილოეთის (გერმანიის) ზღვების სანაპიროებზე, იუტლანდიაზე და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ტომთა უმრავლესობა, რომელიც მდინარეებს — ლაბასა და ვისლას შორის ცხოვრობდა და ანტიკურ წყაროებში მოიხსენიებოდა გერმანელთა სახელწოდებით, სინამდვილეში სლავების წინაპარს წარმოადგენდა.

სახელწოდება „გერმანელი“ ანტიკურ წყაროებში პირველად მეორე საუკუნეში გვხვდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დადგენილია, რომ სიტყვა „გერმანელი“ ეტიმოლოგიურად კელტური ან ილირიული ენიდანაა წარმომდგარი. მაშასადამე, ბარბაროსებს ამ სახელწოდებას კელტები არქმევდნენ, თვით გერმანელები კი თავიანთ თავს ამ სახელწოდებით არ იხსენიებდნენ, გერმანელები ერთ მთლიან ხალხს არ შეადგენდნენ, ისინი იყოფოდნენ სხვადასხვა ტომებად. სხვა ხალხების

მსგავსად, გერმანელები თანდათან ერთიანდებოდნენ სამხედრო კავშირებში, რომლებშიც რიგ შემთხვევებში შედიოდნენ სხვებიც — სლავები, კელტები, ფინები და ა. შ.

აღნიშნული გარემოება მიგვითითებს იმაზე, რომ გერმანელი ხალხი „წმინდა არიულ რასას“ კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ფაშისტი მკვლევრები ქადაგებდნენ, არამედ იგი ოთხი ან ხუთი სხვადასხვა რასის შერევის შედეგია. მოძრაობაში მყოფი ძველი გერმანელი ტომები, რომელთაც ხშირად უხდებოდათ ურთიერთობა სხვადასხვა ტომებთან, მათში არევის შედეგად ვერ შეინარჩუნებდნენ თავიანთ „წმინდა სისხლს“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ტომი, რომელსაც წინათ გერმანელებს მიაკუთვნებდნენ, საეჭვოა იყოს გერმანული წარმოშობისა. ასე მაგალითად, მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ბასტარნები გერმანელები არიან, ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილი მათ კელტებად მიიჩნევს. II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისინი მოხსენიებული არიან მაკედონელ ფილიპე V-ს მოკავშირეებად რომაელებთან ბრძოლაში. ბასტარნებს რომაელებთან ბრძოლა უწარმოებიათ აგრეთვე მითრიდატეს მხარეზე.

ძველი გერმანელი ტომები სამ ჯგუფად იყოფოდნენ: დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის გერმანელებად. დასავლეთის გერმანელები, კერძოდ, სუგამბრები (გამბრიები) და მარსები, მდინარე რაინის შუაწელში მოსახლეობდნენ. უკანასკნელთა მეზობლები იყვნენ: აღმოსავლეთით — ხატები, ხერუსკები და სხვა წვრილი ტომები; ქვემო რაინის (ჩრდილოეთით), ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროს გასწვრივ ცხოვრობდნენ ფრიზები და ხავკები, ხოლო მდინარე ელბის დასაწყისში და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე — ანგლები, საქსები, ტევტონები, კიმბრები და სხვ.

აღმოსავლეთის გერმანელებს უმთავრესად მდინარეების — ოდერისა და ვისლის მიდამოები ჰქონდათ დაკავებული. აქ იმყოფებოდნენ გოთები, ვანდალები და ბურგუნდები. ჩრდილოეთის გერმანელები უმთავრესად სკანდინავიაზე იყვნენ გაფანტული — სვიონების (თანამედროვე შვედების წინაპრები) და გოთების (გუთების) სახით.

მაგრამ როცა ძველი გერმანელი ტომების ადგილსამყოფელზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანელები არ წარმოადგენდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. დასავლეთ ევროპაში ისინი გადმოვიდნენ მხოლოდ კელტური ტომების მოსვლის შემდეგ. გერმანელები დევნიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ახალი ადგილების დასაკავებლად მიიწევდნენ. ენგელსის აზრით, ამ ადგილებში გერმანელთა გადასახლება დაიწყო არა უადრეს 400 წლისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ცეზარის დროს ეს პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

დაახლოებით 130 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე კელტების ქვეყანაში, მდინარე დუნაისთან, შეჭრილან კიმბრები და ტევტონები, მაგრამ კელტური მოდგმის ტომებს — ბოიებს ისინი აქედან განუდევნიათ და ამიტომ კიმბრები და ტევტონები რომის საზღვრებისაკენ დაძრულან. 113 წელს ისინი ამბრონებთან ერთად შეჭრილან რომის პროვინციაში — ნორიკუმში. რამდენჯერმე ზედიზედ დაუმარცხებიათ რომაელები და დაურბევიათ სამხრეთი გალია. ასეთივე წარმატება მოუპოვებიათ მათ რომაელებზე 109 და 105 წლებში. 103—102 წწ. ტიროლზე გავლით კიმბრები და ტევტონები საკუთრივ იტალიაში გადასულან.

პლუტარქოსი მოგვითხრობს, რომ იმპერიაში შემოჭრილ ამ ბარბაროსთა რაოდენობა 300.000-მდე აღწევდაო. მტრების მოახლოებისას მარიუსმა თავისი ჯარები ალპებზე გავლით გადაიყვანა მდინარე როდანუსთან (რონა) და იქ დაბანაკდა. გერმანელები ორ ნაწილად დაიყვნენ: კიმბრები ნორიკუმიდან უნდა დაძრულიყვნენ კატულუსის წინააღმდეგ, ხოლო ტევტონებს და ამბრონებს მარიუსისთვის უნდა დაერტყათ ლიგურიიდან. ეტყობა, კიმბრებმა მტერზე იერიშების მიტანა დაეგვიანეს, ხოლო ტევტონები და ამბრონები ნაადრევად მიუახლოვდნენ მარიუსის ბანაკს. 102 წელს ბრძოლა გაიმართა სექსტიუსის წყლებთან (Aquae Sextiae), ამჟამინდელ ექსთან, რომელიც რომაელების გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ რომაელთა იმ ნაწილმა, რომელიც კატულუსის ხელმძღვანელობით მოქმედებდა კიმბრების წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა.

მარიუსი თავისი ძალებით იძულებული გახდა კატულუსის დასახმარებლად წასულიყო. სასტიკი ბრძოლა რომაელებსა და კიმბრებს შორის გაიმართა 101 წელს ლიბიკების ქალაქ ვერცელესთან (მდინარე პოს ზემო შესართავთან), იტალიის ახლანდელ ქალაქ ვერჩელისთან, ეს ბრძოლა მარიუსის გამარჯვებით დამთავრდა.

პლუტარქოსის ცნობების მიხედვით, ის ადგილები, საიდანაც კიმბრები და ტევტონები დაიძრნენ, დაბურული და გაუვალი ტყეებით იყო დაფარული. ამგვარად, ეს ტომები პირველად ტყის მცხოვრებნი ყოფილან. ენგელსი მათი ტანსაცმლის აღწერისას აღნიშნავდა, რომ კიმბრებისა და ტევტონების ტანსაცმელი ძალიან პრიმიტიულია, რომ იგი უფრო ტყის მცხოვრებთა ტანსაცმელს გვაგონებს, რომელიც უმთავრესად ცხოველთა ტყავისაგან და უხეში შალის მოსასხამისაგან შედგებაო. ლუციუს ანეუს ფლორუსის თქმით, ტევტონები, ნახევრად შიშველნი, ზამთარში ტრიდენტის ალპებს მიადგნენ, სადაც ყოვლად დაუჯერებელი ამბავი მოხდა. მათ ზვავივით გადალახეს თოვლით დაბურული მთები და იტალიისაკენ დაეშვნენ.

კიმბრები და ტევტონები თემური წყობილების დონეზე იმყოფებოდნენ, მაგრამ ისინი ამ წყობილების განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. ამ გარემოებას ადასტურებს ისიც, რომ საცხოვრებელ პინებად მათ გამოყენებული ჰქონდათ უბრალო ქოხები ან ღია ცის ქვეშ იძინებდნენ. გარდა ამისა, ისინი ჯერ კიდევ ფართოდ ვერ იყენებდნენ ცეცხლს საჭმლის დამზადებისათვის. ანტიკურ წყაროებში ხშირადაა აღნიშნული უმი ხორცის გამოყენება მათ მიერ. როგორც მოხეტიალე ტომები, ისინი ჩამორჩენილნი იყვნენ.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ კიმბრებსა და ტევტონებში გვარი ჯერ კიდევ დედის ხაზით წარიმართებოდა, რადგან ისინი მატრიარქატის პირობებში ცხოვრობდნენ. ამას ადასტურებს ანტიკური წყაროები. ასე მაგალითად, კიმბრებისა და ტევტონების რომაელებთან ბრძოლის აღწერის დროს, როგორც ლუციუს ანეუს ფლორუსი, ისე პლუტარქოსი გაკვირვებულნი ყოფილან ქალების მოქმედებით. კერძოდ, პლუტარქოსი წერს: როცა ტევტონები დამარცხდნენ, მათ უკან დაიხიეს, გაქცეულებს დახვდნენ თავიანთი ქალები, რომლებმაც გამოქცეულთა წინააღმდეგ იარაღი აღმართეს და სიმხდალისათვის ქმრები და ძმები დახოცესო.

ცეზარის დროინდელი ძველი გერმანელი ტომები

ცეზარის (100—44 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დროინდელ გერმანელ ტომებს, შედარებით კიმბრებთან და ტევტონებთან, ერთგვარი განვითარება დაეტყოთ, თუმცა ისინი კვლავ თემურ წყობილებაში იმყოფებოდნენ და მათში ჯერ კიდევ გაბატონებული იყო თემური წყობილება, რომელიც უმთავრესად სისხლითი ნათესაობის პრინციპს ემყარებოდა. ნაშრომში—„კომენტარები გალებთან ომის შესახებ“ ცეზარი გადმოგვცემს, რომ გერმანელების დასახლება ხდებოდა გვარებად და ტომებად. ბრძოლის დროსაც კი ახლო ნათესავები ერთად მოქმედებდნენ მტრის წინააღმდეგ.

გერმანელებში სისხლითი ნათესაობის პრინციპის გაბატონებაზე მიგვითითებს აგრეთვე მათში არსებული სისხლის აღების წესი. თუ ვინმე სხვა გვარის წევრს მოკლავდა, უნდა მომხდარიყო სისხლის აღება, ე. ი. მკვლელი ან მკვლელის ნათესავი უნდა მოეკლათ, რაგინდ დიდი ხანიც არ უნდა ყოფილიყო გასული დანაშაულის ჩადენიდან. სისხლის აღება მოკლულის ახლო ნათესავებს ევალებოდათ და თუ რაიმე მიზეზის გამო ამას ისინი ვერ შეძლებდნენ, სისხლის ამღებად მთელი გვარი უნდა გამოსულიყო. არასწორად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი მკვლევრის შეხედულება, თითქოს სისხლის ამღებად გვარი იმიტომ გამოდიოდა,

რომ მოკლულის სახით იგი მუშახელს კარგავდა. ასეთი შეხედულება არაა სწორი თუნდაც იმიტომ, რომ ზოგჯერ მოკლულიცა და მკვლელიც ერთსა და იმავე გვარს ეკუთვნოდა, მაგრამ სისხლის აღება მაინც ხდებოდა.

ცეზარის დროინდელი გერმანელი ტომები ბინადარ მცხოვრებლებს არ წარმოადგენდნენ. მათი გაჩერება ერთსა და იმავე ადგილზე დიდი ხნით არ ხდებოდა. ისინი ყოველწლიურად ადგილს იცვლიდნენ და ხვაგან გადადიოდნენ. ეს ფაქტი აშკარად მოწმობს, რომ მაშინდელი გერმანელები მკვიდრი მიწათმოქმედნი ვერ იქნებოდნენ. ისინი უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ, რის გამოც ცეზარი მათ შესახებ ამბობდა, რომ ისინი იკვებებიან არა იმდენად პურით, რამდენადაც რძით, ყველითა და ხორცითო. მესაქონლეობასთან ერთად გერმანელები ნადირობასაც ეწეოდნენ.

გერმანელების შემოსავლის სხვა წყაროს თარეში და ძარცვა წარმოადგენდა. ბრძოლაში გამოწვევა და ჭრილობის მიღება მათთვის უფრო ადვილი იყო, ვიდრე მათი იძულება — დაემუშავებინათ მიწა. „გერმანელები სიზარმაცედ და სულმდაბლობად თვლიდნენ ოფლით იმის შეძენას, რის შეძენაც სისხლით შეიძლებოდა". ამიტომ იყო, რომ ისინი მეზობლებზე სისტემატურად აწარმოებდნენ თავდასხმებს.

ცეზარის დროინდელი გერმანელები თავისებურ მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, მაგრამ მეურნეობის ეს დარგი მათთვის ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. წარმოების საშუალებათა უაღრესი ჩამორჩენილობის გამო მიწის დამუშავება პრიმიტიულად ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, წერილობითი წყაროები არსად აღნიშნავენ ხარების გამოყენებას მიწათმოქმედებაში. ცეზარი მოგვითხრობს, რომ მამაკაცთა მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა, ნადირობა და თარეშები.

ცეზარი კატეგორიულად უარყოფს მიწაზე კერძო საკუთრების არსებობას. გერმანელებში არავის არ გააჩნია მიწის ნაკვეთი კერძო მფლობელობაშიც კი. მათი უხუცესები ერთად მცხოვრებ გვარებსა და ნათესაურ ჯგუფებს მიწებს აძლევდნენ იქ, სადაც და რამდენადაც ამას საჭიროდ დაინახავდნენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ მათ სხვა ადგილებში გადასვლას აიძულებდნენ. მიწების დამუშავება ხდებოდა ერთობლივად, მოსავლის დანაწილება კი — სულადობის მიხედვით.

მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში გვარის წევრთა შორის ადგილი არ ჰქონდა არც ეკონომიკურსა და არც სოციალურ დიფერენციაციას: არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები. თუ ვისმე რამე გააჩნდა, ის ყველას საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ კერძო ინტერესი საერთოს წარმოადგენდა და პირიქით. ასეთ პირობებში სტუმართმოყვარეობა, როგორც თემური წყობილების მქონე სხვა

ტომებშიც, საყოველთაოდ იყო ძიღებული. სტუმრის შეურაცხყოფა გერმანელებს ცოდვად მიაჩნდათ.

რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის თქმით, თუ სტუმარმა ოჯახში რაიმე მოიწონა და მისი წაღება მოისურვა, მასპინძელმა არ უნდა დაუშალოს, ხოლო თუ მასპინძელს სტუმრისა რამე მოეწონა, შეუძლია დაატოვებინოს. კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში დამახასიათებელი იყო სტუმართმოყვარეობის შემდეგი გამოვლინებაც: თუ ვინმე სტუმრად მოვიდოდა რომელიმე სახლში და მასპინძელს საკვები არ აღმოაჩნდებოდა, იგი მოვალე იყო თავისი სტუმარი სხვის ოჯახში წაეყვანა და იქ გამასპინძლებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისულთ სახლის პატრონი არ დახვდებოდათ.

კიმბრებისა და ტევტონებისაგან განსხვავებით, ცეზარის დროინდელ გერმანელებში მატრიარქატი აღარ იყო, მაგრამ მისი მძლავრი გადმონაშთები მაინც მნიშვნელოვან დაღს ასვამდნენ მათ ყოფაცხოვრებას. რომაელებთან ბრძოლის დროს გერმანელები ყოველთვის ცდილობდნენ მოწინააღმდეგისათვის ტყვეებად არ ჩაეგდოთ ხელში თავიანთი ქალები. იცოდნენ რა ჩვეულება გერმანელების მიერ ქალებისადმი პატივისცემისა, თავის მხრივ, რომაელები მძევლად ქალებს მოითხოვდნენ.

რჩევა-დარიგებას, რაც მაშინ მკითხაობაში ვლინდებოდა გერმანელები ქალებისაგან ღებულობდნენ. იულიუს ციეილისი ბრძოლების წამოსაწყებად (ბატავების აჯანყება ჩვ. წ. აღრ. 69—70 წწ.) არა ერთხელ მიმართავდა რჩევა-დარიგებისათვის მკითხავ ქალს — ველედას. გერმანელებში არანაკლები პატივისცემით სარგებლობდა იმ დროისათვის ცნობილი მკითხავი ქალი ალფრუნი (ალბრუნა) და სხვ.

კერძო საკუთრებისა და კლასების არარსებობის პირობებში გერმანელებს, ცხადია, არც სახელმწიფო ექნებოდათ. ცეზარის თქმით, მშვიდობიან დროს მათ საერთო ხელისუფლება არ გააჩნდათ. ცალკეული ოლქებისა და მხარეთა უხუცესები რეგულარულად იწვევდნენ სახალხო კრებებს, რომლებზედაც იხილებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. სახალხო კრების მოწვევა და მომზადება ძალიან პრიმიტიულად ხდებოდა. მასზე გამოსატანი საკითხები წინასწარ არ იხილებოდა. ხმების დათვლა არ წარმოებდა. ამა თუ იმ საკითხზე დადებით ან უარყოფით გამოხმაურებას შეიტყობდნენ იარაღის ჟღარუნით, ანდა დამსწრეთა უკმაყოფილო წამოძახილებით.

როცა ესა თუ ის ტომი ბრძოლას წამოიწყებდა, იქნებოდა ის შეტევითი თუ თავდაცვითი ხასიათისა, გერმანელები ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, რომელთაც ხელმძღვანელობა ევალებოდათ და ენიჭებოდათ უფლება მოღალატეებისა და მხდალების სიკვდილით დასჯისა. მაგრამ ბრძოლის დამთავრების შემდეგ ყოფილი „სარდლები“ კვლავ გვა-

რის ჩვეულებრივ წევრებად იქცეოდნენ. როგორც სარდლების, ისე უხუცესების არჩევა ხდებოდა არა პრივილეგირებული წრიდან (რომელიც იმ ხანებში არ არსებობდა), არამედ ისეთი პირებიდან, რომელთაც მოსახლეობაში მოპოვებული ჰქონდათ ავტორიტეტი თავიანთი გამოცდილებით, გამბედაობით, გამჭრიახობით და სხვ.

ამგვარად, ცეზარის დროს მეთემეები თანაბარი უფლებებით საარგებლობდნენ, ყოველი ძათგანი თავისუფალ პირად ითვლებოდა და არავისზე არ იყო დამოკიდებული. სამხედრო ვალდებულების გარდა ისინი სხვა ვალდებულებებს არ ცნობდნენ. გადასახადების გაღება, ბეგარის მოხდა, ქრთამების მიღება და სხვ. მათთვის უჩვეულო ამბავი იყო. თავისუფლებისმოყვარეთ ადვილად ვერავინ იმორჩილებდა, ამიტომ რომის იმპერიაში მოხვედრისას ისინი ადვილად ვერ ეგუებოდნენ მონათმფლობელურ წესებს და ჯანყდებოდნენ.

გერმანელთა ჩამორჩენილ ეკონომიკურ მდგომარეობას შეესაბამებოდა ის პრიმიტიული რელიგია, რომელიც მათ გააჩნდათ. ჩამორჩენილობის გამო ისინი დიდად იყვნენ დამოკიდებული ბუნების მოვლენებზე და ამიტომ აღმერთებდნენ მათ: თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს, ცეცხლსა და სხვ. ამასთან, როგორც ცეზარი დასძენს, მათ დრუიდები არ ჰყავთ და მსხვერპლის შეწირვაზე მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ. მაშასადამე, გერმანელებში სასულიერო წოდება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

ძველი გერმანელი ტომები ტაციტუსის ცნობების მიხედვით

ცეზარის და ტაციტუსის მოღვაწეობის პერიოდებს შორის დროის მნიშვნელოვანმა მონაკვეთმა განვლო. ტაციტუსის მიერ ძველი გერმანელი ტომების შესახებ „გერმანიაში“ მოცემული ცნობები დაახლოებით საუკუნენახევრითაა დაშორებული ცეზარის გალიაში გალაშქრების დროიდან. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში წარმოებითი ძალები გერმანელებში ერთ წერტილზე არ იმყოფებოდა. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნად წასულა წინ.

გერმანელთა დასახლება ტაციტუსის დროსაც სისხლითი ნათესაობის პრინციპის მიხედვით წარმოებდა. ნათესაობის თანდასწრებით ხდებოდა ახალგაზრდის მიღება თემის სრულუფლებიან წევრად. ნათესავების თანდასწრებითვე ხდებოდა ქალის გათხოვება და მისთვის მზითვის გატანება. ნათესავებს უნდა გაეღოთ ან მიეღოთ „ვერგელდი“ და სხვ. თუ გარდაცვლილს შვილები არ დარჩებოდა, მისი მემკვიდრეობა გადადიოდა ახლო ნათესავებზე — ძმებზე, ბიძაზე მამის ხაზით, ბიძაზე დედის ხაზით და ა. შ. რამდენადაც მეტი იყო ნათესავი და თავისიანი, მით

უფრო საპატიო ხდებოდა მოხუცებულობა; უშვილობა მათში აუგად ითვლებოდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ტაციტუსის დროს ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარა. თუ წინათ ვისიმე მოკვლის შემთხვევაში აუცილებლად უნდა მომხდარიყო სამაგიეროს გადახდა სისხლის აღებით, ახლა შესაძლებელი გამხდარა სისხლის გამოსყიდვა „ვერგელდის" (ძვ. ქართული — „სისხლი") გაღებით. ამ შემთხვევაში მკვლელს მოკლულის ნათესავებისათვის უნდა მიეცა პირუტყვი გარკვეული რაოდენობით. სისხლის გამოსყიდვა უკვე მნიშვნელოვნად ასუსტებდა სისხლითი ნათესაობის პრინციპს. ამ მხრივ ვერგელდის შემოღება პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ასუსტებდა იმ ხოცვა-ჟლეტას, რაც სისხლის აღების წესთან იყო დაკავშირებული.

გერმანელების ეკონომიკის ძირითად საფუძველს ახლაც მესაქონლეობა წარმოადგენდა. ტაციტუსის გადმოცემით, გერმანელებს ესიამოვნებათ, როცა პირუტყვი ბევრი ჰყავთ; ამაშია მათი სიმდიდრე, თუმცა მათი პირუტყვი უჯიშოა: ხარები და ძროხები ურქო, მათი ცხენები არ გამოირჩევიან სილამაზითა და კარგი შესახედაობით. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ გერმანელებისათვის ნადირობა აღარ წარმოადგენს შემოსავლის ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, როგორც წინათ.

სამაგიეროდ, ახლა მიწათმოქმედება შედარებით გაუმჯობესებულა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთსა და იმავე ადგილზე გერმანელები ახლა უფრო მეტი ხნით ჩერდებიან, ვიდრე წინათ, ვინაიდან ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთს თავისი ძოსავლიანობით უფრო მეტი ხნით შესაძლებია ოჯახის გამოკვება. მეორე გარემოება, რომელიც აგრეთვე მიწის დამუშავების გაუმჯობესებაზე მიგვითითებს, ისაა, რომ თუ წინათ გერმანელები ტყვეებს ყიდდნენ ან კლავდნენ, ახლა თვითონ იყენებენ მათ მეურნეობაში. ჩანს, მიწათმოქმედს თავისი შრომით უკვე შეეძლო არა მარტო საკუთარი თავის გამოკვება, არამედ სხვისი ექსპლუატაციის ობიექტად გახდომაც.

თუ წინათ მიწებს მთელი სოფელი ერთად ამუშავებდა, ხოლო მიღებულ ჭირნახულს სულადობის მიხედვით ყოფდნენ, ახლა თითოეული ოჯახი მისთვის მიზომილ მიწას თვითონ ამუშავებს და მოსავალიც მთლიანად მისია, ოღონდ მიწის განაწილებაც სულადობის მიხედვით წარმოებს. მიუხედავად ამისა, მიწა ჯერ კიდევ არაა გადასული კერძო საკუთრებაში. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ თემი ყველას ჩამოართმევს მიწებს და ხელახლა უნაწილებს. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სამი წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა რაოდენობა შეიძლება გაზრდილიყო ან შემცირებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ მიწაზე კერძო საკუთრება ჯერ არ იყო

წარმოშობილი, გერმანელებში მონების გაჩენას მაინც საფუძველი უნდა ჩაეყარა სოციალური დიფერენციაციისათვის. ლენინი თავის ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ აღნიშნავდა, რომ ხალხთა უმრავლესობაში კლასების წარმოშობა მონების გაჩენით იწყებოდა. სოციალურ დიფერენციაციას, ჩვეულებრივ, წინ უსწრებდა ეკონომიკური დიფერენციაცია. ბრძოლების შედეგად წამოყვანილი ტყვეები იმ პირთა კუთვნილებად ითვლებოდა, რომლებმაც ისინი ტყვედ ჩაიგდეს. პიროვნება, რომელსაც მეტი ტყვე ჰყავდა, მეტ მიწასაც ღებულობდა (რადგან მიწებს სულადობის მიხედვით ურიგებდნენ) და თავისი მონებიდან აკრეფილი გადასახადი მას უფრო აძლიერებდა.

ამგვარად, ტაციტუსის ხანაში სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად საზოგადოება ერთგვარ ფენებად დაიყო: მონები, რომელნიც ექსპლუატაციას განიცდიან, თემის ან გვარის თავისუფალი წევრები და „ღირსეული“ ან „პატივსაცემი“ პირები, რომელთაც ტაციტუსის ხანაში დაემატნენ ქურუმები — სასულიერო წოდების წარმომადგენელნი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ კლასების საბოლოო ჩამოყალიბება და გაფორმება ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი.

სახალხო შეიარაღება განაგრძობდა არსებობას და, მაშასადამე, საზოგადოების რომელიმე ფენას არ შეეძლო ძალით მოეხვია თავზე ხალხისათვის თავისი ნება-სურვილი. ამასთან, ხალხის ტერიტორიული განლაგება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. სოფელი, თანამედროვე გაგებით, არ არსებობდა, აკრძალული იყო გვარში ვისიმეს ჩასახლება. ამის გამო სახელმწიფოს ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. ყველა მნიშვნელოვან საკითხს ისევ სახალხო კრება იხილავს, ოღონდ, როგორც ტაციტუსი გადმოგვცემს, საკითხები, რომლებზეც ხალხს გამოაქვს თავისი განაჩენი, წინასწარ იხილება უხუცესების მიერ. სახალხო კრებას შეიარაღებულნი ესწრებიან. კრებაზე სიტყვით პირველად გამოდის „მეფე“ ან რომელიმე უხუცესი თავისი ასაკის, ღირსების, მჭევრმეტყველებისა და სხვა უნარის მიხედვით.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ტაციტუსის დროს სახალხო კრების დემოკრატიული ხასიათი ასე თუ ისე შეზღუდულა. მართალია, სახალხო კრება კვლავ ირჩევს უხუცესებსა და „მეფეებს“, მაგრამ არა ყველასაგან, როგორც ეს ცეზარის დროს ხდებოდა, არამედ წარჩინებული ოჯახებიდან, ე. ი. არისტოკრატიიდან. ტაციტუსს მოაქვს ამისი მაგალითიც: ხერუსკებმა ბრძოლის შედეგად მთლიანად დაკარგეს თავიანთი წარჩინებულნი, რის გამოც „მეფის“ არჩევა გაუჭირდათ. ბოლოს მათ გაახსენდათ, რომ ამ წრიდან ერთი პიროვნებაღა გადარჩენილიყო — იტალიკუსი. მიუხედავად იმისა, რომ ის რომში ცხოვრობდა, ხერუსკებმა მაინც იგი აირჩიეს თავიანთ ხელმძღვანელად.

ძველად გერმანელთა ლაშქრობანი და ლაშქართა შემადგენლობა არ იყო მუდმივი და ერთიანი. ლაშქრობის დამთავრების შემდეგ შეიარაღებული ჯგუფი იშლებოდა. მისი ხელმძღვანელი, რომელიც ბრძოლების დროს დიდი უფლებებით სარგებლობდა, ჯგუფის დაშლის შემდეგ გვარის ისეთსავე წევრად იქცეოდა, როგორც დანარჩენები. ახლა შეიარაღებული ჯგუფის დაშლა აღარ ხდებოდა, რადგან თავდასხმები გახშირდა. ყოველ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტომი ბრძოლებს შეწყვეტდა, მისი შეიარაღებული ჯგუფები აღარ იშლებოდნენ და თავდასხმებში მონაწილეობის მისაღებად მიდიოდნენ იმ ტომებთან, რომლებიც აწარმოებდნენ ბრძოლებს.

ძველი გერმანელი ტომებისა და რომაელების ურთიერთობა

კიმბრებისა და ტევტონების შემდეგ რომის სახელმწიფოს თავს დაესხნენ სვებები (სვევები). მათ ბრძოლებით დაიკავეს თანამედროვე ბავარია, ბადენი და ვიურტემბერგი. აქედან ისინი წავიდნენ გალიაში. მათ მალე მოახერხეს ელზასისა და პფალცის დაკავება. მათი იერიშები აქ პირველად ცეზარმა შეაჩერა 58 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამიერიდან მდინარე რაინი თითქოს საზღვრად გადაიქცა გერმანელებსა და რომაელებს შორის, მაგრამ ცეზარმა შემდეგ მაინც გადალახა ეს მდინარე, პირველად 55 წელს, ხოლო მეორედ — 53 წელს. ავგუსტუსისა და ტიბერიუსის დროს ამ მხარეებიდან რომაელებს ხშირად მოჰყავდათ გერმანელი ტყვეები და მონებად აქცევდნენ მათ.

რომაელთა და გერმანელთა ასეთ ურთიერთდამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისში. რაინის მიღმა მყოფი გერმანელი ტომების რომაელთა მიერ საბოლოო დამორჩილების ცდების წინააღმდეგ არმინის (არმინიუსი) შეთაურობით აჯანყდა ხერუსკების ტომი. გერმანელებმა ჩვ. წ. აღრ. 9 წელს შეიტყუეს ტევტობურგის ტყეში რომაელი ვარუსი თავისი სამი ლეგიონით (დაახლოებით 20000 კაცი) და თითქმის მთლიანად ამოხოცეს. ვარუსმა თავი მოიკლა.

რომს პირველივე საუკუნიდან დაეტყო პოლიტიკური სისუსტე. ოდესღაც სახელგანთქმული რომაული ლეგიონების ბრძოლისუნარიანობა თანდათან ქრებოდა. ამის შემდეგ რომის იმპერატორებმა „კაცთმოყვარეობა“ გამოაცხადეს და შეტევიდან ახლა თავდაცვაზე გადავიდნენ. იმპერატორ დომიციანეს დროს თავიანთ საზღვრებზე რომაელებმა სიმაგრეების აგება დაიწყეს. სიმაგრეთა ხაზი, რომელსაც გერმანელი ტომები უნდა შეეჩერებინა, ცნობილი გახდა Limes Romanus-ის სახელწოდებით. ამ სიმაგრეთა მშენებლობის დამთავრება მოხდა მხო-

ლოდ იმპერატორ ადრიანეს დროს. ეს ხაზი იწყებოდა კობლენციდან მდინარე რაინზე და გრძელდებოდა რეგენსბურგამდე მდინარე დუნაიზე. ამიერიდან რომაელების ურთიერთობა გერმანელ ტომებთან ძირითადად ეკონომიკურ დარგში უნდა წარმართულიყო.

რომაელი ვაჭრები გერმანელებთან ერთგვარ ეკონომიკურ ურთიერთობას მანამდეც ამყარებდნენ, მაგრამ იგი მეტად უმნიშვნელო იყო. ცეზარის თქმით, გერმანელები რომაელ ვაჭრებს აქა-იქ თუ უშვებდნენ თავიანთ ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ, რომ მიეყიდათ მათთვის თავიანთი სამხედრო ნადავლი. თვითონ კი რომაელებისაგან თითქმის არაფერს ყიდულობდნენ. მეორე მხრივ, არც რომაელი ვაჭრები იყვნენ დიდად დაინტერესებულნი, რადგან მაშინ ექსპანსიური პოლიტიკის გატარების შედეგად რომაელებს უფასოდაც დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ტყვეები, რომელნიც მათ ასე ძალიან ესაჭიროებოდათ. მაგრამ ვაჭრობის შეზღუდვა ორ მხარეს შორის მაშინ ძირითადად მაინც გერმანელთა ეკონომიკური დონის უაღრესი ჩამორჩენილობით იყო განპირობებული.

ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ორივე მხრივ უკეთესი პირობები შეიქმნა ვაჭრობის განვითარებისათვის. რომაული ექსპანსიის შეჩერებით მონათმფლობელურ სახელმწიფოს აკლდებოდა ცოცხალი სამუშაო ძალა. გარდა ამისა, თუ რომაელებმა ძალით ვერ შეძლეს გერმანელების დამორჩილება, მათ სურდათ უკანასკნელებზე ეკონომიკური გავლენა მაინც მოეხდინათ. თვით გერმანელთა ტომებში, ამ რამდენ! ამე საუკუნის მანძილზე ერთგვარი ეკონომიკური განვითარება შეიმჩნეოდა. განვითარდა მესაქონლეობაც. თუ ცეზარის დროს მათ უჯიშო საქონელი ჰყავდათ, მესამე საუკუნის ბოლოს რომაელი სარდალი პრობუსი თავისი ცხენოსანი რაზმებისათვის ამჯობინებდა გერმანულ ცხენებს. გარდა ამისა, რომაული ლეგიონები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ გერმანელების საზღვრებთან, აყენებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებას გერმანიიდან ხორცის შემოზიდვაზე. ხორცის ნაწარმის გარდა რომაელებს შემოჰქონდათ ტყავეულობა, ბეწვეულობა, ქარვა და სხვ. ვაჭრობის ძირითადი ობიექტი კი მონების შემოყვანა იყო.

თავის მხრივ, რომაელებს გაჰქონდათ საომარი იარაღი, ღვინო, სხვადასხვა სახის ჭურჭლეულობა და სამკაული. არქეოლოგიურ გათხრებში სახლის ავეჯეულობიდან გვხვდება ბრინჯაოს ჯამები, სასწორი, ჭურჭლეულობა, საცერი, კოვზები, მაკრატელი და სხვ. სამკაულიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვება მძივები, დიადემები, ბეჭდები, ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები, სავარცხლები და ა. შ. სავაჭრო გზები მორავიიდან სილეზიაში სამდინარო მიმოსვლით მიემართებოდა. ბალტიის ზღვისპირეთს უკავშირდებოდნენ აგრეთვე მდინარეებით — დუნაითა და ელბით. შავი ზღვისპირეთიდან სავაჭრო გზები მიემართე-

ბოდა დნესტრისა და დნეპრის გასწვრივ მდინარე ვისლის ჩათვლით.

რომაელები გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ რაინის ქვემოწელში, „უბიების ქვეყანაში“, სადაც რომაელებმა თანამედროვე კელნის მახლობლად თავიანთი კოლონია დააარსეს. იგი მალე სავაჭრო ცენტრად გადაიქცა რომაელებსა და რაინის მიღმა მყოფ გერმანელებს შორის. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად გადაიქცა აუგსბურგი, რომელმაც დუნაის გასწვრივ დაამყარა სავაჭრო ურთიერთობა „ჰერმუნდურებთან“.

რომის იმპერიის შიგნით გერმანული წარმოშობის ძველნე მონებისა და კოლონების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა თავისთავად მიუთითებდა იმაზე, რომ მონათმფლობელური სამყაროს შემდგომი განვითარებისათვის ძველი გერმანელი ტომები სულაც აღარ წარმოადგენდნენ „გარეშე ძალას“. გერმანული ელემენტები რომის იმპერიაში სხვა მხრითაც იჭრებოდნენ. რაც დრო გადიოდა, რომის არმია ბარბაროსებით ივსებოდა; შემდეგ კი, ფედერატობის საფუძველზე, რომის იმპერიის განაპირა რაიონები გადმოსახლებული გერმანელებით გაივსო.

მესამე საუკუნის დასაწყისიდან გერმანელები კვლავ იწყებენ იერიშების მიტანას რომზე; დაახლოებით III საუკუნის მეორე ნახევრისათვის ბრძოლები წარმოებს მთლიან ხაზზე — დაწყებული დუნაის შესართავიდან, რაინის დელტამდე. გერმანელთა იერიშებისა და სხვა აჯანყებათა შედეგად, V საუკუნიდან დაწყებული, რომის იმპერია ეცემა და მის ტერიტორიაზე წარმოიქმნება ბარბაროსთა პირველი სამეფოები.

§ 6. ადრეფეოდალური სამეფოები ყოფილ რომის იმპერიის ტერიტორიაზე

ვესტგოთების სამეფოს წარმოქმნა

ხალხთა დიდი გადასახლება, რომელმაც თავდაპირველად შავი ზღვის ველების მოსახლეობა აამოძრავა, რომის იმპერიის ტერიტორიაზე გოთების (გუთების) მოსვლით დაიწყო. ტაციტუსის დროს გოთები უმთავრესად ვისლის მიდამოებში, ბალტიის ზღვის სანაპიროებზე, კუნძულ გოტლანდზე და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ბალტიის ზღვისპირელი გოთების მდგომარეობას ართულებდა სლავური და ლიტვური ტომების შემოტევები აღმოსავლეთიდან. მეორე საუკუნის მეორე ნახევარში გოთების მთელი მასა სამხრეთისაკენ დაიძრა, შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროების მიმართულებით.

გოთების ერთი ნაწილი ვისლის მიდამოებიდან მდინარე დნესტრის გასწვრივ მიემართებოდა. IV საუკუნის დასაწყისისათვის ისინი საბოლოოდ გოთების ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, რომელთაც ვესტგო-

თები, ანუ დასავლეთის გოთები ეწოდათ. ისინი ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილნი არიან აგრეთვე ტყის გოთების სახელწოდებით. გოთების მეორე ნაწილი, რომელიც მდინარე ვისლის მიდამოებიდან მიემართებოდა პრიპიატისა და დნესტრის გასწვრივ, ოსტგოთების, ანუ აღმოსავლეთის გოთების (ველის გოთები) სახელწოდებით არის ცნობილი.

სამხრეთისაკენ მოძრაობის დროს, გოთებმა შეავიწროვეს უფრო დასავლეთით მყოფი სხვა გერმანელი ტომები, რომელნიც იძულებულნი გახდნენ მათთვის ადგილი დაეთმოთ და წასულიყვნენ რომის იმპერიის საზღვრებისაკენ. ამას კი უშუალო შედეგად მოჰყვა მარკომანების ომი რომაელებთან. გარდა ამისა, მდინარე ელბის მიღმა მყოფი ალემანები და ბურგუნდები მიუახლოვდნენ რაინს, ხოლო მათი ძველი ადგილსამყოფელი გერმანელთა სხვა ტომებმა დაიკავეს, რომელთაც შექმნეს ვანდალების, ლანგობარდებისა და სხვა მსხვილი ტომობრივი გაერთიანებანი.

ხანგრძლივი მოძრაობის შემდეგ გოთების ტომთა უმრავლესობა ბალტიისპირეთიდან გადმოსახლდა შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროების დასავლეთ ნაწილში — დნეპრისა და დნესტრის აუზში. ადგილობრივი მოსახლეობა, ალახების, გეპიდების, სკვითებისა და სხვათა სახით გოთებს დაემორჩილა და მათში გაითქვიფა, ხოლო მათი კულტურა მოსულთა კუთვნილებადაც გადაიქცა.

გოთების მოსვლამდე შავი ზღვის სანაპიროების კულტურამ განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს მიაღწია. საბჭოთა არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ II—III საუკუნეებში შავი ზღვისპირეთი მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა რომთან. შავი ზღვისპირეთის კულტურას საფუძვლები პირველად სკვითების ეპოქაში ჩაეყარა და შემდეგ, სარმატულ პერიოდში, მისმა განვითარებამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ. ამგვარად, შავი ზღვის სანაპიროების კულტურა უფრო სარმატულ-ჰუნურ კულტურას წარმოადგენდა, ვიდრე გოთურს, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობდნენ ფაშისტი მკვლევრები.

ადგილობრივი კულტურის ათვისებით გოთების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გარკვეულ წარმატებას აღწევს. IV საუკუნეში „გოთების მოსე"—ულფილა იწყებს მათში არიანელობის გავრცელებას. გოთების მიერ ახალი სარწმუნოების მიღება მათში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების უშუალო შედეგი იყო. მაგრამ გოთების ეკონომიკური გახვითარების ამავე დონემ განსაზღვრა ისიც, რომ მათ შორის ვერ მოხერხდა ე. წ. ორთოდოქსალური კათოლიკობის გავრცელება. არიანელობის მარტივი შეხედულებანი აძა თუ იმ დოგმატურ საკითხებზე გოთების ჩამორჩენილ დონეს უფრო შეეფერებოდა.

შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე დასახლებული ვესტგოთები და ოსტგოთები სხვადასხვა წვრილ ტომებად იყვნენ დაყოფილნი. თითოეულ მათგანს ჰყავდა ბელადი ან „მეფე". უფრო ფართო სამხედრო გაერთიანებებს გოთები იმ შემთხვევაში ქმნიდნენ, თუ ისინი მცირე აზიაში ან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დააპირებდნენ გალაშქრებას. ამ სისტემატურ ლაშქრობათა შედეგი იყო ის, რომ 275 წელს რომი იძულებული გახდა მათთვის დაკია დაეთმო.

IV საუკუნის მეორე ნახევარში გოთების სხვადასხვა ტომებს შორის პირველობა ტომთა გაერთიანების საქმეში ოსტგოთებმა მოიპოვეს: მათ „მეფეს" — ჰერმანრიხს დაემორჩილნენ არა მარტო გოთების ბელადები, არამედ ვოლგისპირეთში მცხოვრები ფინური მოსახლეობა და, შესაძლებელია, ზოგიერთი სლავური მოდგმის ტომიც. ამგვარად, შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროების დასავლეთ ნაწილში გოთების მძლავრი სამხედრო გაერთიანება ჩამოყალიბდა.

გოთების მიერ სამხედრო კავშირის ჩამოყალიბება ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროების აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოებში, ვოლგასა და დონს შორის გაძლიერდნენ შუა აზიიდან მოსული ჰუნები. მათაც ჩამოაყალიბეს სამხედრო კავშირი, რომელიც საშიშროებას უქმნიდა გოთებს. 375 წელს ჰუნებმა ბალამბერის ხელმძღვანელობით დონი გადალახეს და იერიშები მიიტანეს გოთებზე. ამ ბრძოლაში ჰუნების ცხენოსანმა რაზმებმა გაიმარჯვეს. ოსტგოთები ჰუნებს დამორჩილდნენ, ხოლო ვესტგოთები მათ გაექცნენ.

ვესტგოთებმა 376 წელს თავი შეაფარეს რომის იმპერიას. ისინი იძლეოდნენ პირობას, რომ დაიცავდნენ რომის საზღვრებს სხვა ბარბაროსთა შემოსევებისგან და რომაელებისადმი ერთგულნი და მორჩილნი იქნებოდნენ. იმპერატორი ვალენტი დათანხმდა. მან ვესტგოთებს დასასახლებლად გადასცა მეზია (თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორია). ამასთან, რომის ხელისუფლებას ისინი გარკვეული დროის განმავლობაში სურსათ-სანოვაგით უნდა უზრუნველეყო.

გოთები, დაახლოებით 200 000 კაცი, თავიანთი ცოლებითა და შვილებით, ფედერატობის საფუძველზე დასახლდნენ მათთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე. თანახმად დადებული ხელშეკრულებისა, მათ იარაღი უნდა ჩაებარებინათ რომაელებისათვის. რომაელმა მოხელეებმა ამ შემთხვევაშიც დაინახეს კარგი შემოსავლის წყარო: გოთებისაგან მათ ქრთამი მიიღეს და იარაღი აღარ ჩამოართვეს. გარდა ამისა, ვესტგოთებისათვის განკუთვნილი თანხა თვითონ მიითვისეს და მათ სურსათ-სანოვაგე აღარ მიაწოდეს. ამ გარემოებამ და რომაელი მოხელეების უხეშმა დამოკიდებულებამ მალე გამოიწვია ვესტგოთების მძვინ-

ვარე აჯახყება. აჯახყებულთა მხარეზე გადავიდნენ რომაელი მონები, კოლონები, ოქროს საბადოების მუშები და ყველა ის, ვისთვისაც ეუტანელი გახდა რომაელთა ბატონობის მძიმე უღელი.

ვესტგოთების აჯანყებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო და რომისთვის იგი იმდენად საშიში გახდა, რომ იმპერატორმა ვალენტმა გადაწყვიტა პირადი მონაწილეობა მიეღო ამ აჯანყების ჩახშობაში. თავისი შეიარაღებული ძალებით იგი ანტიოქიიდან დაიძრა და თრაკიაში გაეშურა. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლები რომაელებსა და აჯანყებულებს შორის. ადრიანოპოლის ბრძოლაში 378 წელს აჯანყებულებმა გაიმარჯვეს. რომაელებმა 40000-მდე კაცი დაკარგეს. თვით იმპერატორი მოკლულ იქნა ადრიანოპოლთან. შემდეგ აჯანყება როგოც იქნა ჩაახშო მხედართმთავარმა, იმპერატორ გრაციანეს მომავალმა თანამმართველმა და მისმა შემცვლელმა თეოდოსიუსმა. ამ აჯანყების ჩახშობა მან მოახერხა ვესტგოთების ზოგიერთი ტომის ბრძოლაში დამარცხებით, ზოგიერთი ბელადის მოსყიდვითა და გაქნილი დიპლომატიით.

თეოდოსიუსსა და ვესტგოთებს შორის 382 წელს დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვით ვესტგოთებს მიეცათ საცხოვრებელი ბინები და უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით. მათი ახალი დასახლება მოხდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილში. ისინი ცხადდებოდნენ რომის დამხმარე შეიარაღებულ ძალებად, რომლებიც იმპერატორის მბრძანებლობაში უნდა ყოფილიყვნენ. თეოდოსიუსის ვესტგოთებისადმი კარგი დამოკიდებულების გამო უკანასკნელნი იმპერატორის მიმართ მართლაც ერთგულებას იჩენდნენ, მაგრამ მისი გარდაცვალების (395 წ.) შემდეგ მოხდა ვესტგოთების ხელმეორე აჯანყება. აჯანყებულნი ალარიხის ხელმძღვანელობით კონსტანტინოპოლს მიადგნენ, ქალაქს დიდი ხარკი გადაახდევინეს და შემდეგ წავიდნენ სხვა ადგილების დასარბევად. ბიზანტია იძულებული გახდა ვესტგოთებისათვის ილირია დაეთმო.

ილირია საუკეთესო მხარეს წარმოადგენდა არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ იქ უხვად იყო კარგი, ნოყიერი მიწები, არამედ იმიტომაც, რომ მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ილირიის დაკავებით ვესტგოთები იტალიის კარიბჭესთან აღმოჩნდნენ. ახლა ალარიხს იტალიაში ღრმად შეჭრის ოცნება აღარ ასვენებდა.

401 წელს ვესტგოთები შეიჭრნენ იტალიაში. ნოემბერში ალარიხმა აკვილეას ალყა შემოარტყა კიდეც, მაგრამ ამჯერად ალარიხის ლაშქრობა წარმატებით არ დამთავრებულა. რომის სარდალმა სტილიხონმა ბრიტანეთიდან გამოწვეული რომაული ლეგიონებითა და ბარბაროსთა დაქირავებული ჯარებით 402 წლის 6 აპრილს პოლენციასთან ვესტგოთები დაამარცხა და აიძულა ალარიხი ილირიაში გაბრუნებულიყო.

403 წელს ალარიხი მეორედ შეიჭრა იტალიაში და კვლავ მარცხი განიცადა. მალე სტილიხონი ათვალწუნებულ იქნა რომის მმართველი წრეების მიერ. 408 წელს იმპერატორის ბრძანებით იგი მოკლეს. რაკი სტილიხონი წარმოშობით ბარბაროსი იყო, ამიტომ დაიწყო სასტიკი დევნა იტალიაში მცხოვრები ბარბაროსებისა და გერმანელებისა, ყველა არიანელისა და წარმართულ სარწმუნოებათა მიმდევრებისა. ამის შედეგად 30000-მდე კაცმა დატოვა იტალია და ალარიხთან გაიხიზნა ილირიაში.

ალარიხმა შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელად ჩათვალა და თავისი ძალებით კვლავ რომისაკენ დაიძრა. იმპერატორი ჰონორიუსი რავენას სიმაგრეში ჩაიკეტა. ვესტგოთებმა დაიწყეს რომისათვის ალყის შემორტყმა. ზოსიმეს გადმოცემით, ქალაქში შიმშილი დაიწყო. რომის სენატმა თავისი წარმომადგენლები ესპანელი ბასილის მეთაურობით ალარიხთან გაგზავნა მოსალაპარაკებლად. ელჩებმა ალარიხს გადასცეს, რომ რომაელები მზად არიან მიიღონ ვესტგოთების მოთხოვნები, თუ ისინი ზომიერი იქნება. ამასთან, ალარიხს ისიც აგრძნობინეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქი თავს ღირსეულად დაიცავს, რადგან შიგ მრავალი მცხოვრებია, რომელთა დაძლევა შეუძლებელი იქნებაო.

მოლაპარაკების დროს ალარიხს ამაზე დაცინვით უპასუხია: „რამდენადაც ხშირადაა აშოსული ბალახი, იმდენად ადვილია მისი გათიბვა". ალარიხს მთლიანად მოუთხოვია ის ოქრო-ვერცხლი და ავეჯეულობა, რომელიც რომში მოიპოვებოდა. გარდა ამისა, ალარიხის კატეგორიული მოთხოვნა ყოფილა რომში მყოფი ყველა მონის განთავისუფლება. როდესაც ელჩებს უკითხავთ, რაღას უტოვებთ რომაელებსო, ალარიხს უპასუხია — სიცოცხლესო. გამართული მოლაპარაკების შედეგად ალარიხმა აიღო რომისგან უზარმაზარი ხარკი: 5000 გირვანქა ოქრო, 30000 გირვანქა ვერცხლი, დიდძალი აბრეშუმეულობა და ა. შ. მაგრამ შემდეგ წელს ალარიხმა კვლავ გარემოიცვა რომი. 410 წლის გაზაფხულის დამლევს ალარიხმა რომს ალყა მესამედ შემოარტყა. 24 აგვისტოს ქალაქში მყოფმა მონებმა ვესტგოთებს ქალაქის ბჭე გაუღეს და რომი დაეცა. ეს იყო უდიდესი ისტორიული მოვლენა. მონათმფლობელური საზოგადოება სულს ღაფავდა. რომის „მარადიულობა" მირაჟივით გაქრა.

ექვსი დღე-ღამის განმავლობაში იძარცვებოდა ქალაქი. ვესტგოთებმა ხელთ იგდეს უდიდესი განძი. ამის შემდეგ ისინი სამხრეთისაკენ დაიძრნენ. როგორც ჩანს, ალარიხს გადაწყვეტილი ჰქონდა რეგიუმიდან გადასულიყო სიცილიაზე, ხოლო აქედან — ჩრდილოეთ აფრიკაში, მაგრამ ქარიშხალმა მისი ხომალდები გაანადგურა. გზაში ალარიხი გარდაიცვალა. ამის შედეგად ალარიხის გეგმის განხორციელება შეუძლებელი

გახდა. ვესტგოთების მიერ ახლად არჩეულმა ხელმძღვანელმა ათაულფმა მოძრაობის მიმართულება რადიკალურად შეცვალა.

ორი წლის განმავლობაში იტალიის სხვადასხვა მხარის დარბევის შემდეგ ვესტგოთები გალიისაკენ წავიდნენ. თავდაპირველად ათაულფი ორმაგ პოლიტიკას ატარებდა. ის ხან რომაელების მოკავშირედ გამოდიოდა და ხან რომაულ გალიას არბევდა. ბოლოს მან ნარბონა დაიპყრო და შემდეგ დაიწყო ბრძოლა ვანდალებსა და ალანებთან ესპანეთის ნაწილების დასაპყრობად. ასე წარმოიშვა ვესტგოთების სამეფო სატახტო ქალაქ ტულუზით. ბოლოს ვესტგოთების სამეფო პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ 419 წელს რომი იძულებული გახდა იურიდიულადაც ეცნო იგი.

ბრძოლებში ვესტგოთებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათ მხარეზე გადადიოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ფენები. გარდა ამისა, რომის მდგომარეობის გართულება მათ უადვილებდა სულ ახალ-ახალ შეტევებზე გადასვლას. 476 წელს, როცა რომის უკანასკნელი იმპერატორი რომულუს ავგუსტულუსი ტახტიდან გადმოაგდეს, ვესტგოთების მეფემ ევრიხმა რომაელებთან დადებული საზავო ხელშეკრულება სავალდებულოდ აღარ ჩათვალა და კიდევ დაიპყრო რიგი მხარეებისა გალიასა და ესპანეთში. ამ წარმატებათა შედეგად ვესტგოთების სამეფო იმდროინდელი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ ძლიერ და გავლენიან სამეფოდ გადაიქცა.

ვესტგოთებმა ადგილობრივ მემამულეებს სახლებისა და შემოსავლის ერთი მესამედი ჩამოართვეს, შემდეგ აკვიტანიაში მათ ხელთ იგდეს მიწების ორი მესამედი, ნამდვილ მეპატრონეებს კი ერთი მესამედი დაუტოვეს. მოხდა ტყეების განაწილებაც; ტყეების ნახევარი თვითონ მიისაკუთრეს, მეორე ნახევარი კი რომაელებს დაუტოვეს. ვესტგოთებმა მიიღეს აგრეთვე ამ მიწებზე დასახლებული რომაელი მონები და კოლონებიც. ამასთან, შემოღებულ იქნა ისეთი საგადასახადო სისტემა, რომლითაც გადასახადები მხოლოდ რომაელებს უნდა გაეღოთ. ამ გარემოებამ ადგილობრივი მიწათმფლობელები ეკონომიკურად ძალიან შეასუსტა და მონათმფლობელური წარმოების წესიც საფუძვლიანად შეარყია.

მსხვილი მიწათმფლობელობის ნაცვლად წვრილი მიწათმფლობელური მეურნეობა გაძლიერდა, მაგრამ ვესტგოთებში სოციალური დიფერენციაცია ჯერ კიდევ არ იყო გაღრმავებული და ამიტომ ვესტგოთებსა და რომაელებს შორის დამყარებული ურთიერთობა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო დამპყრობელთა და დაპყრობილთა სხვადასხვაგვარ უფლებებზე. ჯერ კიდევ მეფე ევრიხის დროს (466 — 484) შედგენილ იქნა ე. წ. ვესტგოთების სამართალი, რომელიც დამპყრობლებს მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა. ალარიხ მეორის დროს (484—

507) რომაელებისთვისაც იქნა შედგენილი სამართალი რომაული უფლებრიობის საფუძველზე.

ვესტგოთების სამეფოში შექმნილმა ვითარებამ წინააღმდეგობა გამოიწვია ვესტგოთებსა და რომაელ მიწათმფლობელებს შორის. ეს წინააღმდეგობა მწვავდებოდა იმითაც, რომ ვესტგოთების მოსვლის შემდეგ ესპანეთში ორი მიმდინარეობის ეკლესია გაჩნდა: არიანული (ვესტგოთების) და კათოლიკური (რომაელების), რომლებიც ერთიმეორის წინააღმდეგ აწარმოებდნენ ბრძოლას პირველობისათვის. მაგრამ თვით ვესტგოთებში კლასების ჩამოყალიბების შედეგად სხვაობა მოსულებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის დროთა განმავლობაში თანდათან წაიშალა.

ორ ხალხს შორის არსებული სხვაობის მოსპობის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ VI საუკუნის პირველ მეოთხედში და იქამდე მიაღწია, რომ ზედმეტი გახდა ორი რელიგიის არსებობა 587 წელს.

ვესტგოთების მეფე რეკარედმა კათოლიკობა ოფიციალურ სარწმუნოებად გამოაცხადა. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ ახლად წარმოქმნილი კლასების ინტერესებსა და ქვეყნად დაწყებულ ფეოდალიზაციას კათოლიკობა უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე არიანელობა. VII საუკუნეში ვესტგოთებისა და ესპანელ-რომაელთა იდენტური კლასების დაახლოება და შერწყმა უფრო თვალსაჩინო გახდა. ახლა უკვე ზედმეტი იყო ორი სხვადასხვა სამართლის არსებობა. ახალ ვითარებაში საჭირო გახდა ისეთი მთლიანი კანონმდებლობის გამომუშავება, რომელიც დამყარებული იქნებოდა მხოლოდ კლასობრივი ინტერესების საფუძველზე.

ვესტგოთების სამეფოში მონათმფლობელობა აღარ არსებობდა. რაც შეეხება ფეოდალიზაციას, როგორც აღნიშნული იყო, მისი პროცესი ძლიერდებოდა უშუალო მწარმოებელთა დაყმევებისა, პატრონატისა და სხვათა სახით, მაგრამ ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასები — ფეოდალები და ყმები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფებოდნენ. ამასთან ფეოდალიზაციის პროცესი შუა გზაზე შეწყდა. 711 წელს არაბებმა დაიწყეს ბრძოლა პირენეის ნახევარკუნძულის დასაპყრობად. 714 წელს მათ თითქმის მთელი ესპანეთი დაიპყრეს. ასე მოისპო ვესტგოთების სამეფო და მის ნაცვლად კორდოვას სახალიფო ჩამოყალიბდა.

ვანდალ-ალანების სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში

ვანდალთა ტომები აღმოსავლეთ გერმანელების შტოს მიეკუთვნებოდნენ და მდინარე ოდერის შუაწელის სანაპიროებზე ცხოვრობდნენ. ვანდალთა ტომები თავიდანვე ორ ჯგუფად იყოფოდნენ: სილინგებად

და ხარიებად. ხარიების სახელწოდება შემდეგ მათი მეთაურების საგვარეულოს მიხედვით „აზდინგებად“ შეიცვალა. სამხრეთისაკენ მოძრაობა ვანდალებმა II საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს. სხვა გერმანელ ტომებთან ერთად ისინი თავს ესხმოდნენ იმპერიის საზღვრებს, რის გამოც იმპერატორი მარკუს ავრელიუსი იძულებული გახდა მათთვის მიწები მიეცა დაკიაში და იქ ფედერატობის საფუძველზე დაესახლებინა ისინი. დაკიაში ვანდალებმა IV საუკუნის 30-იან წლებამდე დაჰყვეს. შემდეგ კი, გოთების მოწოლის გამო, აიყარნენ და, რომთან შეთანხმების საფუძველზე, პანონიაში დასახლდნენ. როგორც ჩანს, ვანდალებმა ამ ხანებში მიიღეს არიანული სარწმუნოება.

ვანდალები პანონიაში V საუკუნის დასაწყისამდე დარჩნენ. ამ დროისათვის ჰუნების გაძლიერებისა და მოძალების შედეგად ისინი ხელახლა აიყარნენ და ალანებთან ერთად წავიდნენ დასავლეთისაკენ. სხვა გერმანელ ტომებთან და გალიის ხალხებთან ბრძოლაში ვანდალები გზას იკაფავდნენ ესპანეთისაკენ. მალე მათ სვებებიც შეუერთდნენ და ამგვარად, ვანდალები, ალანები და სვებები ღრმად შეიჭრნენ ესპანეთში მანამდე, ვიდრე აქ ვესტგოთები მოვიდოდნენ. 416 წელს რომმა ვესტგოთები ვანდალების წინააღმდეგ წააქეზა. ბრძოლაში ვესტგოთებმა გაიმარჯვეს. ვანდალები და ალანები ჩრდილოეთ და შუა ესპანეთიდან აიყარნენ და სამხრეთისაკენ წავიდნენ. ბრძოლების შედეგად სილინგები თითქმის მთლიანად განადგურდნენ, ხოლო სამხრეთში ალანები აზდინგებს შეუერთდნენ.

რომაელებისა და ვესტგოთების მიერ ალან-ვანდალების ერთობლივ შევიწროებას მნიშვნელოვანი გარემოება დაემთხვა. როგორც აღინიშნა, V საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ აფრიკაში კვლავ გაძლიერდა აგონისტიკური მოძრაობა, რომელიც საფუძვლიანად არყევდა რომაელთა ბატონობას აფრიკაში, მაგრამ რომის შესვეურთა მთელი ყურადღება ამ ხანებში მიპყრობილი იყო იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრებისაკენ, რომლებსაც ბარბაროსები მოსწოლოდნენ. ამ გარემოებამ აფრიკის მმართველი, დამოუკიდებლობის მოსურნე ბონიფაციუსი უფრო მეტად გაათამამა და განდგომის გზაზე დააყენა.

ბონიფაციუსმა თავისი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის დაიწყო ჯარების შეგროვება. მიუხედავად პოლიტიკური გართულებისა, იმპერიაში მოსალოდნელი იყო იმპერატორს დამსჯელი ჯარები გამოეგზავნა აფრიკაში გახდგომილი ბონიფაციუსის წინააღმდეგ. ასეთი შემთხვევისათვის ბონიფაციუსმა თავისი შეიარაღებული ძალები საკმარისად არ ჩათვალა და მოლაპარაკება დაიწყო ვანდალების ხელმძღვანელთან — გენზერიხთან. ვანდალები მან თავის დასახმარებლად ჩრდილოეთ აფრიკაში მოიწვია და ამისათვის გენზერიხს საკმაო თანხაც შეაძლია. 429 წელს ვანდალებმა და ალანებმა გენზერიხის მეთაურობით

(დაახლოებით 50—80 ათას კაცამდე) გადალახეს გიბრალტარის სრუტე და ჩრდილოეთ აფრიკაში გადავიდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ფენები — მონები, კოლონები, თავისუფალი გლეხები და სხვები, რომლებიც მონათმფლობელებისაგან და, საერთოდ, რომის ბატონობისაგან მეტად შევიწროებულნი იყვნენ, სიამოვნებით გადადიოდნენ მოსულთა მხარეზე. სალვიანეს თქმით, კართაგენის ღარიბი მოსახლეობა ღმერთს საჯაროდ ევედრებოდა, რომ მათთვის მხსნელად ბარბაროსები გამოეგზავნა. ამით წაქეზებულმა ვანდალ-ალანებმა თვითნებურად დაიწყეს სხვადასხვა ადგილების დაკავება. ბონიფაციუსის დაჟინებული მოთხოვნა ვანდალების უკან გაბრუნების შესახებ არ შესრულებულა.

დამპყრობლებმა ჩრდილოეთ აფრიკის მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიკავეს, მათი გავლენა კირენაიკამდე გავრცელდა. 439 წელს ბრძოლების შედეგად დაეცა კართაგენი — „აფრიკის რომი“, რომელიც შემდეგ ვანდალ-ალანთა სამეფოს სატახტო ქალაქად გადაიქცა. 442 წელს რომი იძულებული გახდა ვანდალებთან ხელშეკრულება დაედო და, ამგვარად, ეცნო „დე-იურედ“ მათი სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში. მიუხედავად ამისა, მათ განაგრძეს იერიშების მიტანა დასავლეთ რომის იმპერიაზე. რამდენჯერმე იქნა დარბეული სიცილია, იტალია და ბალკანეთის ნახევარკუნძული. 455 წელს გენზერიხი თავს დაესხა რომს და თითქმის მიწასთან გაასწორა იგი.

„მარადიული რომის“ მეორე დაცემა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პირველისაგან. ამჯერად რომის დარბევა თოთხმეტი დღე გრძელდებოდა. ყველა კულტურული დაწესებულება, ქანდაკება, ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლი და სხვ. ცეცხლითა და მახვილით განადგურდა. გენზერიხმა „თავისი ხომალდები ოქროთი, ვერცხლითა და სამეფო სამკაულებით დატვირთა და კართაგენში დაბრუნდა“. რომის განადგურების მომსწრეთა აზრით, ქალაქის გაძარცვისას ვანდალებმა ყოველგვარ ზომიერებას გადააჭარბეს. მას შემდეგ უდიდესი ნგრევისა და განადგურების ცნების ამსახველად ხმარობენ ტერმინს „ვანდალიზმს“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ვანდალები და ალანები ჯერ კიდევ აფრიკაში გადასახლებამდე უფრო „რომანიზებულნი“ იყვნენ, ვიდრე ზოგიერთი სხვა გერმანელი ტომი — ანგლები, საქსები, ფრიზები და თვით ვესტგუთებიც კი. მათ აფრიკელ მიწათმფლობელებს უძრავი და მოძრავი ქონების გარკვეული ნაწილი ჩამოართვეს, რითაც გაბატონებული კლასი ეკონომიკურად შეასუსტეს. მაგრამ ამავე გარემოებამ სულ მოკლე ხნის განმავლობაში თვით ვანდალებში წარმოქმნა მსხვილი მიწათმფლობელობა; მათშიც გაჩნდნენ მონები და კოლონები. სოციალუ-

რი ანტაგონიზმი მოსახლეობის დაბალ ფენებსა და ვანდალთა შეძლებულ ნაწილს შორის თანდათან უფრო მწვავდებოდა. ყველაფერ ამას ემატებოდა აგრეთვე რელიგიური წინააღმდეგობა, ვანდალთა არიანული ეკლესია ყოველმხრივ დევნიდა კათოლიკურს და ცდილობდა სრულ გაბატონებას.

საქმე რთულდებოდა იმითაც, რომ ვანდალ-ალანების შეძლებული ფენის ცალკეულ წარმომადგენელთა შორის დაიწყო უთანხმოებანი და შეთქმულებანი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. მეფე ჰილდერიხი (523—530) ტყვედ ჩაიგდო მისმა ნათესავმა გელიმერმა და თვითონ გამეფდა (530—533), ამას მოჰყვა რიგი ამბოხებებისა. ვანდალ-ალანების სამეფოში არსებული წინააღმდეგობანი უფრო საშიში ხდებოდა, რადგან სამეფოს საგარეო მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერია, ანუ ბიზანტია თავიდანვე ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ მისი აფრიკული პროვინციების გვერდით წარმოიშვა ვანდალ-ალანების სამეფო. გამეფებისთანავე ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე ოცნებობდა იმპერიის დასავლეთი ნაწილის შემოერთებაზე, რადგან ბიზანტიას ის რომის იმპერიის კანონიერ მემკვიდრედ თვლიდა. მან ჩრდილოეთ აფრიკაში მომხდარი არეულობით ისარგებლა და დაამთავრა თუ არა ომი სპარსელებთან, თავისი არმია ბელიზარის (ველიზარი) ხელმძღვანელობით 533 წელს აფრიკაში გაგზავნა. ომის დაწყებისთანავე გამომჟღავნდა ვანდალ-ალანების სამეფოს შიხაგანი სისუსტე. ბელიზარმა ზედიზედ მოიპოვა წარმატებანი და მოკლე დროში მოსპო მათი სამეფო. ხანმოკლე არსებობის გამო, ამ სამეფოში ფეოდალიზმის განვითარება არ მომხდარა.

ბურგუნდების სამეფო

გოთებისა და ვანდალების მსგავსად ბურგუნდებიც აღმოსავლეთ გერმანელების შტოს მიეკუთვნებოდნენ. უკანასკნელნი, ისევე როგორც პირველნი, საკმაოდ „რომანიზებულნი“ შემოვიდნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე. თავდაპირველად ბურგუნდები კუნძულ ბერნჰოლმზე (ბურგუნდარ-ჰოლმზე) ცხოვრობდნენ. ერთ ხანს ისინი მდინარე ოდერის შესართავთანაც მოხვდნენ. რუგიების ტომების შემოტევის შედეგად ბურგუნდები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და წასულიყვნენ მდინარე რაინის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ახლად დასახლებულ ადგილებში ბურგუნდების ცენტრად V საუკუნის დასაწყისისათვის ქ. ვორმსი გადაიქცა. ეს გარემოება თვალსაჩინოდაა აღწერილი ხალხურ თქმულებაში — „ნიბელუნგების სიმღერა“ როცა ბურგუნდებმა არეულობის ხანაში რაინი გადალახეს და მის მარცხენა ნაპირზე დასახლდნენ, ისინი უკვე ქრისტიანული სარწმუნოების

(არიანელობის) მატარებელნი იყვნენ. რომის ხელისუფლებამ ისინი 443 წელს სავოიაში გადმოასახლა. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ მაშინ ბურგუნდები რომაელების მოკავშირედ გამოდიოდნენ.

ბურგუნდების მეგობრული დამოკიდებულება რომთან არც თუ ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა. აეციუსისა და ვალენტინიანე მესამის გარდაცვალების შემდეგ რომი კვლავ ანარქიამ მოიცვა. 457 წელს ბურგუნდებმა თავიანთი სახელმწიფო დააარსეს სამხრეთ-აღმოსავლეთ გალიაში. მათ მთლიანად ხელთ იგდეს ლიონის ოლქი. ამგვარად, V საუკუნის მეორე ნახევრისათვის ბურგუნდებმა, დაიკავეს რა მდინარე რონის მთელი აუზი, ჩამოაყალიბეს თავიანთი სამეფო, რომლის ცენტრი ლიონი გახდა.

ბურგუნდიის სამეფო უფრო ძლიერდება მეფე გუნდობადის დროს. ამ ხანებში (დაახლოებით 490 წ.) შედგენილ იქნა ბურგუნდების „სამართალი" თავისი პირველი რედაქციით. როგორც ვესტგოთებმა ესპანეთში, ისე ბურგუნდებმაც, ადგილობრივ მოსახლე რომაელებისათვის რომაულ კანონთა განსაკუთრებული კრებული შეადგინეს. ამგვარად, ბურგუნდელი ტომის თითოეული წევრის საქმე განიხილებოდა მისი ტომის კანონების მიხედვით, ხოლო რომაელისა — რომაული კანონმდებლობით.

ბურგუნდებმა, ეპისკოპოსისა და მემატიანის მარიუს ავრანშელის გადმოცემით, გალიელ სენატორებს მიწები ჩამოართვეს და თვითონ გაინაწილეს. რომაელებისათვის მიწების ხელახალი ჩამორთმევა გუნდობადის დროს მოახდინეს. ახლა მიწები ჩამოურთმევიათ არა მარტო სენატორებისათვის, როგორც ამის შესახებ მარიუსი მოგვითხრობდა, არამედ ყველა მსხვილი რომაელი მიწათმფლობელისათვის. ბურგუნდების სამართალში ნათქვამია: „როცა ჩვენს ხალხს მიეცა მონების მესამედი ნაწილი და მიწების ორი მესამედი ნაწილი...", მათ ხელში გადავიდა აგრეთვე ტყეების, კარ-მიდამოს, ბაღ-ვენახებისა და სხვა მიწების ნახევარი. ამ გარემოებამ აქაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ადგილობრივ მსხვილ მიწათმფლობელთა კლასი.

მეორე მხრივ, იმავე გარემოებამ ბურგუნდების რღვევის პროცესში მყოფი თემური წყობილების სწრაფი დაშლა გამოიწვია. ბურგუნდებმა მიღებული მიწები თავის კერძო საკუთრებად გადააქციეს. ისინი განუსაზღვრელად ახდენდნენ ამ მიწების ყიდვა-გაყიდვას, გასაჩუქრებას, ანდერძით გადაცემას და სხვ. თემის წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მალე დაკარგა თავისი საკუთრება, რის შედეგად მსხვილი მიწათმფლობელი ბურგუნდების გვერდით გაჩნდნენ უმიწაწყლო ბურგუნდებიც. ამიერიდან თვით ბურგუნდები დაიყვნენ თავისუფალ პირებად, „მდაბიოებად", გააზატებულებად და მონებად. ყველა ამ ფენის ვერგელდიც სხვადასხვა იყო.

VI საუკუნის 30-იან წლებში ფრანკებთან წარმოებულ ბრძოლებს ბურგუნდების სამეფო შინაგანი — კლასობრივი წინააღმდეგობით დასუსტებული შეხვდა. ბუნებრივია, რომ ბურგუნდებში შემორჩენილი კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელნი აღტაცებით უნდა შეხვედროდნენ ერთმორწმუნე ფრანკებს, რომლებმაც ბურგუნდები გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს და 534 წელს მათი ტერიტორია შეუერთეს ფრანკთა მონარქიას.

ამგვარად, ბურგუნდების სამეფომ, ისე როგორც ვანდალებისამ, დიდხანს ვერ იარსება. მასში დაწყებულმა ფეოდალიზაციის პროცესმა ვერ პოვა შემდგომი განვითარება.

ოსტგოთების სამეფო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 375 წელს ოსტგოთები ჰუნებმა დაიმორჩილეს, მაგრამ, ჰუნების ბელადის, ატილას გარდაცვალების (453 წ.) შემდეგ, ჰუნების სამხედრო კავშირი დაიშალა და ოსტგოთები განთავისუფლდნენ მათი ბატონობისაგან. 454 წელს ოსტგოთები ბიზანტიელების მოკავშირენი გახდნენ და ფედერატობის საფუძველზე დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილში. V საუკუნის ბოლოს მათ თავიანთ ხელმძღვანელად თეოდორიხი აირჩიეს, რომელიც ამალების ცნობილ საგვარეულოს ეკუთვნოდა. თეოდორიხი ჯერ კიდევ შვიდი წლისა იყო, როცა მამამ — თეოდემირმა იგი ბიზანტიის სასახლეს მძევლად გადასცა. თეოდორიხი 18 წლის ასაკამდე ბიზანტიის სამეფო კარზე იზრდებოდა და იმპერატორების თაღლითურ საგარეო პოლიტიკას ეცნობოდა. იგი ითვისებდა ინტრიგების ყველა იმ სახეობას, რომელთაც სასახლეში იყენებდნენ.

იმპერატორ ზენონის დროს თეოდორიხი სამხედრო სამსახურში დაწინაურდა და სასახლეში უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა. ამასთან, იმპერატორის შვილობილის, პატრიციისა და კონსულის საპატიო წოდებანი მიიღო, მაგრამ ეს მას სრულიადაც არ უშლიდა ხელს იმაში, რომ იმპერატორის წინააღმდეგ რამდენჯერმე ამხედრებულიყო და კონსტანტინოპოლს დამუქრებოდა. მისი ქვეშევრდომი გოთები არბევდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულს.

ზენონის წინაშე თეოდორიხისა და ოსტგოთების თავიდან მოცილების ამოცანა დაისახა. გარდა ამისა, იმპერატორს სურდა იმპერიის დასავლეთი ნაწილი, რომელსაც ტახტიდან რომულუს-ავგუსტულუსის ჩამოგდების შემდეგ ბარბაროსი ოდოაკრი დაუფლებოდა, ბიზანტიისათვის შემოეერთებინა. ამგვარად, მან გადაწყვიტა „ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა“. თეოდორიხს მოსთხოვეს იტალიაში ოდოაკ-

რის წინააღმდეგ გალაშქრება. ოსტგოთები 200—300 ათასი კაცის შემადგენლობით 488 წელს დაიძრნენ იტალიისაკენ. მდინარე იზონცოსთან მათ შეხვდა ოდოაკრი თავისი ჯარებით. გაიმართა გაცხარებული ბრძოლა. ოდოაკრის ჯარებმა შეტევას ვერ გაუძლეს და იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ გამაგრებული ვერონასაკენ. ბრძოლები შემდეგაც გაგრძელდა.

493 წელს დაიწყო მოლაპარაკება თეოდორიხსა და ოდოაკრს შორის. მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც იტალია ორად უნდა გაყოფილიყო. ერთი ნაწილის მმართველი თეოდორიხი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორისა — ოდოაკრი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თეოდორიხმა სადილზე მიიპატიჟა ოდოაკრი და საკუთარი ხელით ვერაგულად მოკლა. ოდოაკრის მომხრეთა ერთი ნაწილი თეოდორიხის ბანკში გადავიდა, ხოლო დანარჩენები უთანაბრო ბრძოლაში დაიღუპნენ. ამის შედეგად იტალიაში მთელი ძალაუფლება თეოდორიხისა და ოსტგოთების ხელში აღმოჩნდა. თეოდორიხის მბრძანებლობა მნიშვნელოვნად გასცილდა იტალიის ფარგლებს, რომელსაც მან შემოუერთა: კუნძული სიცილია, ალპებში მდებარე ქვეყნები და პროვანსი სამხრეთ გალიაში.

იმდენად, რამდენადაც იტალიის დაპყრობა ბიზანტიის მითითებით მოხდა, იტალიის დამპყრობი თეოდორიხი ბიზანტიისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში უნდა აღმოჩენილიყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებას თეოდორიხი არამც თუ არ თაკილობდა, არამედ თვითონ იყო რომაული წეს-ჩვეულებისა და იტალიაში ძველი სახელმწიფო აპარატის უცვლელად დატოვების დიდი მოსურნე. მიუხედავად ამისა, ოსტგოთებმა იმპერატორის სანქციას აღარ დაუცადეს და, თავიანთი ჩვეულების მიხედვით, თეოდორიხი მეფედ აირჩიეს.

ოსტგოთები იტალიაში გაფანტულად დასახლდნენ, იმის გამო, რომ მათ მიერ მიღებული მიწების ერთი მესამედი იტალიის სხვადასხვა მხარეში მდებარეობდა. ამ გარემოებამ და რომაული ურთიერთობის გავლენამ უფრო მეტად დააჩქარა გოთებში თემური წყობილების რღვევა, რასაც ხელს უწყობდა აგრეთვე ოსტგოთების მეფის მიერ მსხვილი მიწების გადაცემა თავისი ლაშქრის წევრებისა და მოხელეებისათვის.

მაგრამ როცა ვლაპარაკობთ ოსტგოთების მიერ რომაელთა მიწების კონფისკაციაზე, ვგულისხმობთ, რომ ეს პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მიწების იმ კონფისკაციისაგან, რომელიც ვესტგოთებმა ან სხვა გერმანელთა ტომებმა ჩაატარეს დაპყრობილ ადგილებში. ამ მხრივ ოსტგოთები უფრო თავშეკავებულობას იჩენდნენ. რომაელი არისტოკრატიის მიმართ მათი დათმობა იმაშიც გამოიხატა, რომ მიწების ერთი მესამედი რომაელებს ჩამოერთვათ მონების გარეშე, იმ დროს, როცა ბურგუნდებმა ესპანელ მემამულეებს მონების მესამედიც წაართვეს. ამგვარად, თვითონ ოსტგოთები (რომელნიც ვალდებულნი

იყვნენ სამხედრო სამსახური გაეწიათ) რჩებოდნენ მუშახელის გარეშე. ამან ოსტგოთებში გამოიწვია უკმაყოფილება, რომელიც თეოდორიხმა აღმოფხვრა იმით, რომ გამოსცა ედიქტი, რომლის 142-ე მუხლის ძალით კოლონები თავისუფლდებოდნენ მიწაზე მიმაგრებისაგან. როდესაც განთავისუფლებული რომაელი კოლონების მნიშვნელოვანი ნაწილი ოსტგოთების მიწებზე გადავიდა სამუშაოდ, თეოდორიხმა ეს ედიქტი გააუქმა და კვლავ ძველი წესები აღადგინა კოლონების მიწაზე მიმაგრების შესახებ.

ოსტგოთებმა არც არსებული საგადასახადო სისტემა შეცვალეს. თუ ვესტგოთებში, ვანდალებსა და ბურგუნდებში გადასახადებს აწერდნენ მხოლოდ დაპყრობილი ადგილების მიწათმფლობელებს, იტალიაში მიწის გადასახადები ოსტგოთებსაც უნდა გაეღოთ. კასიოდორეს თქმით, გოთებიც ისევე იყვნენ დაბეგრილნი, როგორც რომაელები. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რომ რომაელ მსხვილ მიწათმფლობელებს ოსტგოთების იტალიაში მოსვლით ბევრი არაფერი დაუკარგავთ.

არც პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები: ძველად არსებული რომის სენატი ხელშეუხებელი დარჩა. ქვეყნის მართვა-გამგეობა სამოქალაქო დარგში რომაელი არისტოკრატიის ხელში იმყოფებოდა. რომაელებმა შეინარჩუნეს თავიანთი უფლებები, სასამართლო, მოხელეები. იტალიის არც ძველი ადმინისტრაციული დაყოფა იქნა შეცვლილი. ერთგვარი ცვლილება მოხდა იმაში, რომ წარმოიშვა ორი პოლიტიკური ცენტრი: 1. ქ. რომი თავისი სენატით და 2. ქ. რავენა, რომელიც თეოდორიხის და მისი ამალის რეზიდენციას წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ თეოდორიხი რომაული კულტურის მიმართ ქედმოხრილობას იჩენდა და ყოველმხრივ ცდილობდა რომაელი დიდკაცობის გული მოეგო, იგი მაინც მთლიანად ვერ ენდობოდა მას და რომაულ სამოქალაქო მმართველობაზე გარკვეული კონტროლი დააწესა. ამ მხრივ ყველაზე უფრო ეფექტური აღმოჩნდა თეოდორიხის მიერ დაარსებული ზედამხედველთა ინსტიტუტი. ეს დაწესებულება მთლიანად გოთებისაგან შედგებოდა და რავენაში იმყოფებოდა. აქედან თეოდორიხი სისტემატურად აგზავნიდა ზედამხედველებს პროვინციებში ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობის შესამოწმებლად. ზედამხედველები დიდი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი. მათ ევალებოდათ არა მარტო ადგილებზე დაშვებულ შეცდომათა გამოსწორება, არამედ უვარგისი მოხელის (იქნებოდა ის დეფენზორი, კურატორი თუ სხვ.) გადაყენება და ახლის დანიშვნა.

ოსტგოთების ბოსვლის შემდეგ იტალიაში ორგვარი საბართალი მოქმედებდა. ადგილობრივი მოსახლეობის საქმეებს რომაული სამარ-

თლის მიხედვით იხილავდნენ, ხოლო გოთებისას — ოსტგოთების სამართლის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა ოსტგოთსა და რომაელს შორის მომხდარი სადავო საქმე უნდა განხილულიყო, იგი სამხედრო, ე. ი. გოთების სასამართლოს გადაეცემოდა. ამგვარად, ოსტგოთების სამართალი რომაულთან შედარებით მაინც პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ოსტგოთების იტალიაში მოსვლით ერთგვარი წესრიგი დამყარდა. ჩატარდა ქალაქ რომის კეთილმოწყობა; ქვეყნად დამყარებულმა მშვიდობიანობამ ხელი შეუწყო ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნას. თეოდორიხმა მოაჭრევინა ფული, რომელზედაც ბიზანტიის იმპერატორის გამოსახულება იყო მოთავსებული, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ თეოდორიხი იმპერატორის მორჩილი იქნებოდა.

რომაელი არისტოკრატიის გულის მოგების მიზნით თეოდორიხი შემწყნარებლობას იჩენდა კათოლიკური ეკლესიის მიმართ და ზრუნავდა, რომ დიდ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონოდა არიანელ გოთებსა და კათოლიკობის მიმდევარ რომაელებს შორის. მაგრამ კათოლიკური ეკლესიისადმი შემწყნარებლობა მისაღები აღმოჩნდა მანამდე, ვიდრე არიანელობასა და კათოლიკობას შორის არსებული წინააღმდეგობანი უფრო მეტად არ გამწვავდებოდა. ამ გარემოების დაჩქარებას ხელი შეუწყო იუსტინიანეს გამეფებამ ბიზანტიაში. მის გამეფებამდე ბიზანტიის მსხვილი საერო მიწათმფლობელების წარმომადგენელი, იმპერატორი ანასტასიოსი მსხვილი სასულიერო მიწათმფლობელების შესუსტების მიზნით მწვალებლობას მფარველობდა და ეპისკოპოსებს დევნიდა. ასეთ ვითარებაში რომის კათოლიკური ეკლესია, რომელიც არიანელობის მიმართ თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი, ვერ მონახავდა აღმოსავლეთ იმპერიაში დახმარებას და იძულებული იყო თვითონაც შემწყნარებლობა გამოეჩინა ოსტგოთების მიმართ.

იუსტინიანეს გამეფებასთან ერთად ბიზანტიაში დაიწყო მწვალებლების დევნა. ასევე იდევნებოდნენ ის არიანელები, რომელნიც ჯერ კიდევ ბიზანტიაში იყვნენ დარჩენილნი და სამხედრო მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდნენ. ბიზანტიაში მომხდარი ამგვარი ცვლილებების შემდეგ, ბუნებრივია, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს ბიზანტიის მესვეურებთან უნდა ეძიათ თავშესაფარი და დახმარება არიანელობის მიმდევარი ოსტგოთების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით რომის სენატშიც შესამჩნევი გახდა სენატორების ოპოზიციური საქმიანობა. გავრცელდა ხმები, რომ სენატში დაიწყო შეთქმულება ოსტგოთების წინააღმდეგო. ყოველივე ამის შედეგად სენატორები ბოეციუსი და მისი სიმამრი სიმახუსი სიკვდილით დასაჯეს.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის აღნიშნული ღონისძიება, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო. ოსტგოთებს თავიდანვე უნდა მოეხდინათ მიწათმფლობელური რომის ეკონომიკური საფუძვლების განადგურება და მისი ზედნაშენის — სახელმწიფოებრივი აპარატის მოსპობა. მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში" თეოდორიხის შესახებ წერდა: „მისი დიდი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მან არა მარტო რომის ეკონომიკა, კანონები და სხვ. შემოინახა, არამედ გარკვეული ზომით კიდეც მოახდინა მათი გადახალისება". ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ თეოდორიხს ხელი შეეწყო ისტორიულად განწირული მონათმფლობელური ურთიერთობის მოსპობისათვის, იგი ცდილობდა მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ოსტგოთურ იტალიაში კლასობრივი ბრძოლა უფრო მეტად გამწვავებულა. კასიოდორეს მონაცემების მიხედვით, 509—511 წლების განმავლობაში რომში არა ერთხელ მომხდარა აჯანყება, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ რომაელი პლებეები, ხელოსნები და სხვ. სხვა წყაროების მიხედვით, თეოდორიხის მეფობის დროს აჯანყებებს ადგილი ჰქონდა სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, ვერონაში, რავენაში და სხვ. ეს კლასობრივი ბრძოლები და სხვა შინაგანი წინააღმდეგობანი ოსტგოთების სამეფოს თანდათან აუძლურებდა. 526 წელს გარდაიცვალა თეოდორიხი, რომელმაც ტახტის მემკვიდრედ აღიარა თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილი ათალარიხი. სამეფოს მართავდა ამ ბავშვის დედა, თეოდორიხის ჭკვიანი და განათლებული ასული ამალასუნთა. გამეფებისთანავე იგი შეეცადა სენატორებთან უფრო მეტად დაახლოებას. პროკოპი კესარიელი წერდა: „ვიდრე ის მმართველობის სათავეში იდგა, არც ერთი რომაელი არ განიცდიდა არც ფიზიკურ დასჯას, არც ქონების კონფისკაციას... სიმახინჯისა და ბოეციუსის შვილებს მან კიდეც დაუბრუნა მშობლებისათვის კონფისკაციაქმნილი ქონება". ამალასუნთას აშკარა პროროომაული პოლიტიკა, რომელიც რომის სენატორებსა და მის არისტოკრატიას მეტ პრივილეგიებს ანიჭებდა, გოთების სამხედრო დიდებულებში ძლიერ უკმაყოფილებას იწვევდა. ამალასუნთას ბიძაშვილის და მისი მეორე ქმრის თეოდატის მეთაურობით ოპოზიციამ მოულოდნელად ამოწყვიტა ამალასუნთას ზოგიერთი მომხრე და შემდეგ მოკლა თვით ამალასუნთაც.

ზემოაღნიშნული გარემოება გახდა საბაბი იმისა, რომ ბიზანტიას ომი წამოეწყო ოსტგოთების სამეფოს წინააღმდეგ. 535 წელს ცნობილი სარდლის, ბელიზარის ხელმძღვანელობით იუსტინიანემ თავისი შეიარაღებული ძალები დაძრა იტალიისაკენ. ბრძოლების პირველი ეტაპი, რომელიც დაიწყო 535 წელს და 540 წელს დამთავრდა, ბიზანტიელების მნიშვნელოვანი წარმატებებით ხასიათდებოდა. ბრძოლების პირვე-

ლი ეტაპის დამთავრების შემდეგ ბიზანტიელებს ეგონათ, რომ იტალია მთლიანად დამორჩილებული იყო. ოსტგოთების არისტოკრატია, რომელიც ომის პირველ ეტაპზე შემარიგებელ პოლიტიკას ატარებდა, ახლა, როცა დაინახა, რომ ბიზანტიელების გამარჯვების შედეგად მისი მდგომარეობაც უნდა შეცვლილიყო, იძულებული გახდა მასებისათვის ზოგიერთი რამ დაეთმო.

თეოდატის შემდეგ თავიანთ ხელმძღვანელებად ოსტგოთებმა ისეთი კანდიდატების არჩევა დაიწყეს, რომელნიც წარმოშობით დაბალი ფენებიდან იყვნენ ან მათი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ ოსტგოთების მეფე ვიტიგესი წარმოშობით დაბალი ფენებიდან იყო. ასევე ჰილდიბადი, მის შემდეგ ტოტილა, და ბოლოს ამ უკანასკნელის ნათესავი ტეია — საზოგადოების დაბალი ფენების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ამგვარად, ბრძოლების მეორე ეტაპი ისეთ ვითარებაში წარიმართა, როცა დამპყრობელთა წინააღმდეგ ამოძრავდნენ როგორც იტალიის მოსახლეობის დაბალი ფენები, ისე ოსტგოთების არისტოკრატიაც.

541 წლიდან ბრძოლები სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობად გადაიქცა. მასში აქტიურობას იჩენდნენ იტალიის მოსახლეობის დაბალი ფენები. მებრძოლთა პირველ რიგებში გამოდიოდა ოსტგოთების გლეხობა, რომელსაც ქმედით დახმარებას უწევდნენ იტალიური წარმოშობის ღარიბი გლეხები, მონები, კოლონები, ხელოსნები და სხვ. ამ მასების ზეგავლენით ოსტგოთების ბელადები უფრო გადამწყვეტ ნაბიჯებს დგამდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ისინი შეურიგებლად და თავგამოდებით ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს, რათა ამით ხალხის მასების პატივისცემა დაემსახურებინათ.

ფართო მასების ინტერესებიდან გამომდინარე, ოსტგოთების ბელადები ამ პერიოდში ისეთ საგადასახადო პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც მიმართული იყო მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, ის გადასახადები, რომლებიც მოსახლეობას მიწათმფლობელების სასარგებლოდ უნდა გაეღო, ტოტილამ სახელმწიფოს შემოსავლად გამოაცხადა. უფრო მეტიც, მან თვით მიწათმფლობელებსაც შეაწერა გადასახადები. პროკოპი კესარიელის თქმით, როდესაც ტოტილამ ბრუტიების მიწა-წყალი და ლუკანია დაიმორჩილა და აპულია და კალაბრია დაიკავა, ყველა მონათმფლობელი მძიმე გადასახადებით დაბეგრა.

ტოტილას რეფორმების მნიშვნელობა ჩანს სხვა წყაროდანაც, რომელსაც „პრაგმატული სანქცია“ (pragmatica sanctio) ეწოდება და რომელიც იუსტინიანემ ოსტგოთების დამარცხების შემდეგ გამოსცა. ამ დოკუმენტში ოსტგოთების სამეფოს არსებობის ორი ეპოქაა მოცემული: თეოდორიხისა და ამალასუნთას მმართველობის ხანა და ეპოქა ტოტილას „ტირანიისა“. „სანქციაში“ ნათქვამია, რომ ყველა ის ღონის-

ძიება, რაც ტოტილას მიერ იქნა გატარებული, უკანონოა; ტოტილას მიერ გაცემული ყოველგვარი წყალობა ან დასაჩუქრება, მის მიერ ჩატარებული უძრავ-მოძრავი ქონების კოხფისკაცია და სხვ. გაუქმებულად ცხადდებოდა; რომ კოლონები, რომლებიც ტოტილამ გაათავისუფლა, კვლავ ძველ მდგომარეობას უნდა დაჰბრუნებოდნენ, ხოლო მონები, რომლებიც აგრეთვე მაშინ განთავისუფლდნენ — კვლავ მონებად უნდა დარჩენილიყვნენ.

ტოტილას ასეთმა საშინაო პოლიტიკამ ხელი შეუწყო ბიზანტიასთან წარმოებულ ბრძოლაში წარმატებების მოპოვებას. 542 წელს ტოტილამ ცენტრალური იტალია თითქმის მთლიანად დაიკავა და გაეშურა აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთისაკენ. აქ მან მალე აიღო კალაბრია, აპულია, ლუკანია და ბრუტი. 543 წ. დაკავებულ იქნა ნეაპოლი. 544 წელს კვლავ იქნა მოპოვებული გამარჯვებები. 546 წელს ოსტგოთებმა რომს ალყა შემოარტყეს და კიდევაც აიღეს იგი. 548 წელს ბიზანტიის სარდალი ბელიზარი იტალიიდან უკან იქნა გაწვეული.

მიუხედავად ბიზანტიელთა მარცხისა, იუსტინიანემ გადაწყვიტა ამჯერად მთელი თავისი ძალები დაერაზმა გოთების წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ იტალიაში მთლიანად აღედგინა მონათმფლობელური წყობილება და იგი საბოლოოდ ბიზანტიის შემადგენელ ნაწილად გადაექცია, 552 წელს ნარსესის ხელმძღვანელობით ბიზანტიის უზარმაზარი არმია დაიძრა ტოტილას წინააღმდეგ. გაზაფხულზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა ტადინესთან, სადაც ტოტილას ჯარები დამარცხდნენ, ხოლო თვით ტოტილა ბრძოლაში დაიღუპა. ასე დამთავრდა თვრამეტი წლის განმავლობაში წარმოებული ომი. 554 წელს ოსტგოთების სამეფო საბოლოოდ დაეცა.

ლანგობარდების სამეფო

ოსტგოთების სამეფოს განადგურებით შინაგანი დაძაბული ვითარება იტალიაში არამც თუ არ შენელდა, არამედ უფრო აუტანელი გახდა. იტალიის დამორჩილებამ ბიზანტიის მიერ იგი უკანასკნელის სათარეშო ობიექტად აქცია. ბიზანტიის სახელმწიფო აპარატის უდიდესი ხარჯები და მისი შერყეული ფინანსური მდგომარეობა ახალი საშემოსავლო წყაროს გამონახვას მოითხოვდა. ამის შედეგად იტალიაში გადასახადები უფრო მეტად გაიზარდა. ბიზანტიელი მოხელეების მექრთამეობას და იტალიის სხვადასხვა კუთხეების დარბევას საზღვარი აღარ უჩანდა. იტალიის მოსახლეობა ბიზანტიის ბატონობით უკმაყოფილებას სულ უფრო მწვავე ფორმებით გამოხატავდა, რამაც ბიზანტიის პოზიციები იტალიაში მნიშვნელოვნად შეასუსტა. ჯერ 14 წელიც არ იყო გასული ოსტგოთების სამეფოს დამხობიდან, როცა იტალიაში ხელახლა დაიწყო გერმანელი ტომების, ამჯერად ლანგობარდების შემოსევა.

ლანგობარდები თავდაპირველად ელბის შესართავთან, ამ მდინარის შარცხენა ნაპირზე მოსახლეობდნენ. უფრო ადრინდელ ცნობებს მათ შესახებ პტოლემაიოსი გვაწვდის. ხალხთა დიდი გადასახლების დროს ლანგობარდებმა დაიწყეს სვლა უფრო სამხრეთისაკენ — პანონიისაკენ. სამხრეთისაკენ სვლისას დუნაისთან მათ წინააღუდგნენ ჰერულები და გეპიდები. ამ ბრძოლაში ლანგობარდებმა გაიმარჯვეს. შემდეგ ლანგობარდებმა ალბოინის ხელმძღვანელობით დაამარცხეს გეპიდები და ამით მოსპეს უკანასკნელი დაბრკოლება იტალიაზე გალაშქრების საქმეში. იტალიაში შესაჭრელად ალბოინმა შემოიერთა ჰუნები, საქსები, ბულგარელები და სხვ. მარტო საქსების რაოდენობა 20000-მდე აღწევდა. ალბოინის მეთაურობით ლანგობარდებმა და მათმა მოკავშირეებმა გადალახეს ალპების ქედი და 568 წელს შეიჭრნენ ჩრდილო იტალიაში.

ოსტგოთებისაგან განსხვავებით, ლანგობარდების დაპყრობები უფრო რევოლუციური ხასიათისა იყო. იტალიის მოსახლეობის დაბალი ფენები ბრძოლის დროს მათ მხარეზე გადადიოდნენ. იტალიაში დაწყებული მონებისა და კოლონების აჯანყება ლანგობარდებს გზას უკაფავდა ახალ-ახალი დაპყრობებისაკენ. არც ლიგურიაში შეხვდათ მათ რაიმე დიდი წინააღმდეგობა. ბრძოლები მხოლოდ მილანოსთან გაიმართა და ლანგობარდების გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ციზალპიური გალია, ზოგიერთი ადგილების გამოკლებით, ლანგობარდების ძირითად დასაყრდენ ბაზად გადაიქცა. ამიტომ იყო, რომ შემდეგ ჩრდილოეთ იტალიას — ლანგობარდია, უფრო გვიან კი ლომბარდია უწოდეს. ლანგობარდების სატახტო ქალაქად პავია გახდა (572 წ.). ჩრდილოეთ იტალიის გარდა ცენტრალური იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილიც მათ ხელში გადავიდა, ხოლო სამხრეთი იტალია და ქ. რომიც ამჯერად დაპყრობას გადაურჩა.

დაპყრობილი ადგილები 35 საჰერცოგოდ იქნა დაყოფილი. თითოეული ჰერცოგის რეზიდენცია რომელსამე მნიშვნელოვან ქალაქში იყო დაარსებული. ასეთები იყო: პავია, ბერგამო, ბრეშია, ტრიდენტი (ტრიენტი, იტალ.-ტრენტო), ფრიული, სპოლეტო, ბენევენტო და სხვ. ჰერცოგი თავის სამფლობელოში დამოუკიდებლად მოქმედებდა, „ჰერცოგები, რომელთაც ლონგინოსი (ლაპარაკია ბიზანტიის იმპერატორის ნაცვალზე იტალიაში) ნიშნავდა, — ამბობს მარქსი, — სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობათა მქონე პირები იყვნენ; ჰერცოგები, რომელთაც ალბოინი ნიშნავდა, იყვნენ ნამდვილი ფეოდალური ბელადები, რომლებიც თავ-თავიანთ ოლქებში თავიანთი ხალხის ნაწილებითურთ დამკვიდრდნენ“ [1].

---

[1] К. Маркс, Хронологические выписки, I, Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, გვ. 25.

სანამ ლანგობარდები იტალიაში მოვიდოდნენ, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ვესტგოთებისა, ოსტგოთებისა და ვანდალებისა. მათი თემური წყობილება ბარბაროსობის საშუალოდან უმაღლეს საფეხურზე ახლა იწყებდა გადასვლას. კლასების ჩამოყალიბება მათში ჯერ კიდევ არ მომხდარიყო. არც სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო დაწყებული, მაგრამ დაპყრობების შემდეგ მათი მდგომარეობა შეიცვალა. დაპყრობილი ადგილების მართვა თემური ორგანიზაციების მეშვეობით შეუძლებელი იყო.

დაპყრობის დაწყებისთანავე ლანგობარდებმა თავიანთ დასაყრდენ სოციალურ ბაზად იტალიელი მოსახლეობის დაბალი ფენები გაიხადეს, ხოლო მსხვილ მიწათმფლობელებსა და მაღალ სასულიერო წოდებას ფიზიკურად ანადგურებდნენ და მათი მამულების კონფისკაციას ახდენდნენ. ამ გარემოებას ნათლად ადასტურებს ლანგობარდების ისტორიკოსის პავლე დიაკვნისა და რომის პაპის გრიგოლის ცნობები.

აღნიშნულმა გარემოებამ რომაელთა გაბატონებული კლასი ფაქტიურად მოსპო. გარდა ამისა, ლატიფუნდიური ტიპის მსხვილი მიწათმფლობელობა სავსებით დაიშალა და მის მაგივრად წვრილი გლეხური მეურნეობა გაბატონდა, რომელიც ძირითადად თავისუფალ შრომაზე იყო დამყარებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლანგობარდები თანაბარ უფლებებს ანიჭებდნენ ყველა თავისუფალ პიროვნებას — იქნებოდა ის რომაული, თუ ლანგობარდული წარმოშობისა. სამხედრო მოვალეობა ყველა თავისუფალის ხვედრი იყო. სამხედრო პირს ისინი ლანგობარდულად „arimannus“ უწოდებდნენ, ხოლო რომაულად — „exercitaus“. ორივე ეს სიტყვა „თავისუფალს“ ნიშნავს.

იტალიის დაპყრობიდან 73 წლის შემდეგ ლანგობარდებმა „სამართალი“ შეადგინეს. 644 წელს მეფე როთარიმ პავიაში პირველად მოიწვია თავისებური წარმომადგენლობითი კრება, რომელმაც მიიღო ლანგობარდების ახლად შედგენილი კანონები. აღსანიშნავია, რომ მათ სამეფოში მოქმედებდა მხოლოდ ერთი და არა ორი სამართალი, როგორც ვესტგოთებისა და ოსტგოთების სამეფოში.

ლანგობარდების სამეფოში ფეოდალიზაციის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. ფართოდ ვრცელდებოდა „პატრონატი“. ძლიერი და „საპატიო“ პირების გარშემო მფარველობის მიზნით თავს იყრიდნენ არა მარტო მონები და გააზატებულნი, არამედ თავისუფალი ლაშქრის წევრები, რომელნიც მოვალეობის შესრულებისათვის ძლიერი პიროვნებისაგან გასამრჯელოსა და საჩუქრებს ღებულობდნენ. ძლიერი პირების მფარველობა VIII საუკუნეში ხელისუფლებისათვის, ერთი მხრივ, მისაღები აღმოჩნდა, რადგან მათში ის დამხმარეებს ხედავდა, ხოლო

მეორე მხრივ, იგივე მფარველობა მიუღებელი გახდა იმის გამო, რომ ამით კერძო პირები უფრო ძლიერდებოდნენ. ამის შედეგად ცენტრალური ხელისუფლება ხალხში გავლენას კარგავდა და მისი საფისკო შემოსავალიც მცირდებოდა.

კომენდაციაში გადასვლა, ე. ი. მფარველობის ძიება, სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. მფარველობის მიღებისათვის გლეხი თავის მიწას გავლენიანი პირის საკუთრებად აქცევდა და შემდეგ ამავე მიწას უკან ღებულობდა სამემკვიდრეო იჯარით. ამგვარი საშუალებებისა და ხანდახან პირდაპირი ძალდატანების გამოყენებითაც, იტალიაში იზრდებოდა მსხვილი მიწათმფლობელობა (როგორც საერო, ისე საეკლესიო ხასიათისა). ისეთი ფეოდალური ელემენტი, როგორიც იმუნიტეტი იყო, მართალია, დიდად არ ვრცელდებოდა, მაგრამ უკვე მზადდებოდა მისი წინაპირობანი.

ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად, VIII საუკუნის მეორე ნახევარში ლანგობარდების სამეფოს პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვნად შეირყა. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერება, ერთი მხრივ, იწვევდა გლეხთა აჯახყებებს, ხოლო მეორე მხრივ, ფეოდალების ბრძოლას სამეფო ხელისუფლებასთან. ჰერცოგების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ უფრო მეტად აქუცმაცებდა ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას.

ლანგობარდების სამეფოს პოლიტიკური ვითარება აისტულფის მეფობის დროს (749—756) დროებით გამოსწორდა. მას შესაძლებლობა მიეცა აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა; მან მოახერხა რავენადან ბიზანტიელების განდევნა და დაიძრა თავისი ჯარებით რომისა და პაპის წინააღმდეგ. უკანასკნელმა დახმარებისათვის მიმართა ფრანკების მესვეურს. 754 წელს პიპინ „მოკლეს“ ხელმძღვანელობით ფრანკების ჯარებმა ალპები გადალახეს და აისტულფი აიძულეს საზავო ხელშეკრულება დაედო.

საერთაშორისო ვითარება ლანგობარდების სამეფოსათვის უფრო მეტად გართულდა დეზიდერიუსის მეფობის დროს (756—774). ამ ხანებში დამოკიდებულება რომის პაპთან დიდად გამწვავდა. რომის პაპმა დახმარებისათვის კვლავ ფრანკებს მიმართა. ამჯერად კარლოს დიდმა წამოიწყო ლაშქრობა იტალიაში. დეზიდერიუსის ჯარებმა ფრანკებს ვერ გაუწიეს ჯეროვანი წინააღმდეგობა და VIII საუკუნის 70-იან წლებში ლანგობარდების სამეფოც დაეცა ისე, რომ მასში ფეოდალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ სავსებით არ იყო დამთავრებული.

ანგლო-საქსების სამეფოები. „ჰეპტარქია“

უხსოვარი დროიდან თემური წყობილება ფეხმოკიდებული იყო აგრეთვე ბრიტანეთში. მიწის დამუშავება კელტური მოდგმის ბრიტების

ტომებში საერთო ძალებით წარმოებდა. მათში მიწის კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი. მიწათმოქმედებასთან ერთად მოსახლეობა მესაქონლეობასაც მისდევდა. ირკვევა, რომ იქ რკინას ადრევე ხმარობდნენ, რასაც ხელს უწყობდა წიაღისეული სიმდიდრე. კალის დამუშავება და მისი გამოყენება მოსახლეობის მიერ ადრიდანვე იყო ცნობილი. ამიტომ ბრიტანეთს სხვანაირად „კალის კუნძულებსაც“ უწოდებდნენ.

იულიუს ცეზარის ბრიტანეთში გალაშქრება პირველად მოეწყო 55 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო მეორედ — 54 წელს. მიუხედავად ამ ქვეყნის დაპყრობის დიდი სურვილისა, რომაელებმა მაშინ მისი მთლიანად ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს და იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. რომაელების მიერ ბრიტანეთის საბოლოო დაკავება მოხერხდა მხოლოდ იმპერატორ კლავდიუსის დროს (43 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით). დაპყრობისთანავე რომაელები აქაც შეუდგნენ ქვეყნის რომანიზაციას. სტრატეგიული მიზნით მათ გაიყვანეს გზები, ააგეს ციხე-სიმაგრეები (ჩესტერები). თანამედროვე ინგლისის ქალაქები, რომელთა სახელწოდება „ჩესტერით“ თავდება, მაგალითად, მანჩესტერი და სხვ., თავიანთ საწყისს რომაელთა ბატონობის ეპოქაში იღებენ.

ბრიტანეთის რომანიზაცია თითქოს უფრო შორსაც წავიდა. ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით დამპყრობლებმა იწყეს ლატიფუნდიურ მეურნეობათა დანერგვა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნის საბოლოო რომანიზაცია მათ მაინც ვერ შეძლეს. სწორად უნდა ჩაითვალოს მკვლევარ პ. ვინოგრადოვის გალაშქრება სიბომისა და მის მიმდევართა შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, თითქოს მოხდა ბრიტანეთის სრული რომანიზაცია. მაშასადამე, როცა თემური წყობილების მატარებელმა ანგლო-საქსებმა ბრძოლა დაიწყეს, ბრიტანეთში ერთიმეორეს დაუპირისპირდა არა ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კონტინენტურ დასავლეთ ევროპაში, არამედ განვითარების ერთი და იგივე დონეზე მყოფი სხვადასხვა ხალხი.

ძირითადად ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ბრიტანეთის დაპყრობის პროცესი უფრო ხანგრძლივი და მწვავე ხასიათის მატარებელი აღმოჩნდა, ვიდრე იტალიის, ესპანეთის, გალიისა და სხვა რომანიზებული მხარეების დაპყრობა. ბრიტანეთის თავისუფალი გლეხობა თავგამოდებით იცავდა მტრისაგან თავის მიწა-წყალს და არ გადადიოდა მტრის მხარეზე, როგორც ამას ჩადიოდნენ ზემოხსენებული ქვეყნების ექსპლუატაციით განაწამები მონები, კოლონები და სხვა ჩაგრულნი

ბრიტების სამხედრო ხელმძღვანელები, ლაშქრის რიგითი წევრები, და საერთოდ მთელი ხალხი, ერთსულოვან და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ანგლო-საქსებს — არ აძლევდნენ მათ კუნძულზე ფეხმოკიდების საშუალებას. ლეგენდამ შემოინახა კელტების ერთ-ერთი სამხედრო ბელადის, არტურის სახელი, რომელიც გმირულ ბრძოლაში დაეცა. ამ ლეგენდარული პიროვნების შესახებ შემდეგ სათანადო რომანი შეიქმნა, რომელსაც ეწოდა: „მეფე არტური და მისი მრგვალი მაგიდის რაინდები". აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ბრძოლების სირთულე და ხანგრძლივობა.

ბრიტანეთის კუნძულზე გერმანელთა სხვადასხვა ტომის თავდასხმები წარმოებდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიმართულებით. ფრიზები კუნძულზე თავდასხმებს ჰოლანდიიდან აწარმოებდნენ, იუტები — დანიიდან (იუტლანდიიდან), ანგლები და საქსები კი — შლეზვიგ-ჰოლშტაინიდან. ფრიზების თავდასხმები დაიწყო ჯერ კიდევ III საუკუნის მეორე ნახევრიდან. თავდასხმების პირველ ეტაპზე დამპყრობლები ადგილობრივ მოსახლეობას ძარცვავდნენ და იძულებული ხდებოდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. მასობრივი შემოსევები და კუნძულზე საბოლოო დამკვიდრება მოხდა მას შემდეგ, რაც რომაული ლეგიონები ბრიტანეთიდან გაიწვიეს. იუტების ბრიტანეთში საბოლოო გადმოსახლების თარიღად მიღებულია 450 წელი. რაც შეეხება საქსებს, ისინი ანგლებზე უფრო ადრე კემბრიჯის მიდამოებში დაბანაკებულან და აქედან წასულან ცენტრალური საგრაფოების აღმოსავლეთი რაიონებისა და მდინარე ტემზის ველისაკენ.

ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლები, რომლებიც წარმოებდა ბრიტანეთის კელტური მოდგმის წინააღმდეგ, ანგლო-საქსებისაგან მოითხოვდა მთელი ძალების დაძაბვას, სამხედრო ხელმძღვანელთა უფლებების ზრდას და, საერთოდ, ცენტრალური ხელისუფლების შექმნას. მთავარი კი ის იყო, რომ ამ აუცილებლობას თემური წყობილების რღვევა და კლასების გაჩენა ქმნიდა. ჯერ კიდევ ახლად იყო დამთავრებული ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილება, რომ დაიწყო ბრძოლა თვით ანგლო-საქსების სხვადასხვა სამხედრო გაერთიანებათა შორის. ამის შედეგად VII საუკუნის მეორე ნახევრიდან ბრიტანეთში წარმოიშვა შვიდი გაერთიანება პატარ-პატარა სამეფოების სახით, რაც შემდეგ ცნობილი გახდა „ჰეპტარქიის" სახელწოდებით.

იუტების სამეფო დაარსებულ იქნა კენტში, რომელიც კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას იმყოფებოდა. საქსებმა თავის მხრივ, სამი სამეფო წარმოქმნეს. ესენი იყვნენ ესექსის, უესექსისა და სესექსის სამეფოები, რომლებიც მდებარეობდნენ აღმოსავლეთში, დასავლეთში და სამხრეთში. უფრო მოგვიანებით ჩრდილოეთში შეიქმნა ანგლების შემდეგი სამეფოები: თავდაპირველად — აღმოსავლეთ ინ-

გლისი. შემდეგ — ნორთუმბრია (ჩრდილოეთით) და მერსია (დასავლეთით). ამდროინდელი ინგლისის ისტორიისათვის დამახასიათებელია ამ სანეფოთა შორის წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლები.

ზემოხსენებულ სამეფოთაგან ჯერ გაძლიერდა ნორთუმბრია (VII საუკუნის მეორე ნახევარი), მერვე საუკუნეში — მერსიის სამეფო, მეცხრე საუკუნიდან იწყებს გაძლიერებას დასავლეთ საქსების სამეფო — უესექსი. თითოეული ძათგანი პირველობას იჩემებდა და ცდილობდა ყველა დანარჩენის დამორჩილება-შემოერთებას. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ორი სამეფო ამ ამოცანის გადაწყვეტაში უძლური აღმოჩნდა. სამეფოთა გაერთიანების პროცესი IX საუკუნის დასაწყისში წარმატებით დაამთავრა უესექსის სამეფომ.

იმის გამო, რომ ანგლო-საქსები თავიანთ პირვანდელ ადგილსამყოფელში — ჰოლანდიაში, დანიასა და შლეზვიგ-ჰოლშტაინში ტერიტორიულად შორს იმყოფებოდნენ რომის გავლენისაგან, პირველყოფილი თემური წყობილება მათ წმინდა სახით შეინარჩუნეს და ბრიტანეთში მოსვლისას ანგლო-საქსებში ჯერ კიდევ მტკიცე იყო სისხლითი ნათესაობის პრინციპი. ახალ ადგილებში მათი დასახლება კვლავ გვარებისა და თემების მიხედვით ხდებოდა, თუმცა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით დასახლებაც უკვე დაუწყიათ. გვარის წევრებს — „კერლებს“ შორის მიწები დაყოფილი იყო დიდი ოჯახების მიხედვით. თითოეული ოჯახის ნაკვეთს ჰაიდი ეწოდებოდა. აღმოსავლეთ ინგლისში იგი 48 ჰექტარს უდრიდა, ხოლო სხვა რაიონებში 16 ჰექტარს არ აღემატებოდა (ჰაიდის მოსახნავად საჭირო იყო 4 უღელი ხარი).

მიუხედავად იმისა, რომ ანგლო-საქსებში აღარ ხდებოდა მიზომილი მიწების ხელახალი გადანაწილება და ჰაიდი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა, იგი ჯერ კიდევ არ იყო კერძო საკუთრება, რადგან ჰაიდის მფლობელს მისი გასხვისება არ შეეძლო. ამგვარად, ჰაიდი სახალხო საკუთრებას, ანუ „ფოლკლენდს“ წარმოადგენდა. მოსავლის აკრეფის შემდეგ ჰაიდის ნაკვეთებზე ყველას თანაბრად შეეძლო თავისი საქონელი ეძოვებინა. საერთო სარგებლობაში იმყოფებოდა აგრეთვე ტყეები, ცალკე საძოვრები, მდინარეები და სხვ. თემში მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენა დაგვიანებით მოხდა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ VII საუკუნეშიც კი მიწა ქალზე არ გადადიოდა მემკვიდრეობით.

მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში, მართალია, ანგლო-საქსებში ბრიტანეთის კუნძულზე გადმოსახლების შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია შეიმჩნეოდა, მაგრამ კლასები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული. „კერლების“ უმრავლესობა ერთგვარად თანაბარ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა. ჰაიდის მქონე ყველა პირი თანაბრად ვალდე-

ბული იყო ბრძოლებში მონაწილეობა მიეღო. ის, ვინც ამას არ შეასრულებდა, კარგავდა თავის მიწას და თემის წევრადაც აღარ ითვლებოდა.

ბრიტანეთის დაპყრობისას ანგლო-საქსებმა ბრიტებს მიწები ჩამოართვეს და ურთიერთ შორის დაინაწილეს ჰაიდების წესის მიხედვით. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც შედგენილია მერსიის სამეფოს ჰეგემონობის დროს (VIII და IX საუკუნეთა მიჯნაზე), მთელი ინგლისი ცალკეულ ოლქებადაა დაყოფილი, რომლებიც ჰაიდების გარკვეულ რაოდენობას შეიცავენ.

საკმაო ხნის განმავლობაში, თემური წესების არსებობის გამო, სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია შორს ვერ მიდიოდა და თემის წევრებში ერთგვარი თანაბრობა იყო დაცული. დროთა განმავლობაში თემის წევრებმა მიაღწიეს იმას, რომ თავიანთი ჰაიდები კერძო საკუთრებად აქციეს, მაგრამ თემის წევრის კუთვნილი მიწის თანდათანობითმა განთავისუფლებამ თემური წესების შეზღუდულობისაგან და ამ მიწის კერძო საკუთრებად გადაქცევამ აქაც შეუწყო ხელი გლეხური საკუთრების შემდგომ მოსპობას. მას შემდეგ, რაც ჰაიდის პატრონს მიეცა შესაძლებლობა თავისი მიწის გასხვისებისა, კერლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავისი ჰაიდი ან მთლიანად დაკარგა, ან არადა საგრძნობლად შეამცირა. ჰაიდის გვერდით ახლა ნაკვეთის ახალი სახელწოდება გაჩნდა. ეს იყო „ვირგატი“, რომელიც ჰაიდის მეოთხედს (30 აკრს) უდრიდა და „ბოვატი“, რომელიც ვირგატის ნახევარს ეწოდებოდა. ვირგატებისა და ბოვატების წარმოქმნა შედეგი იყო იმისა, რომ მემკვიდრეობით გადასული ჰაიდი კერლის შვილებსა და შვილიშვილებს შორის დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ქუცმაცდებოდა.

სოციალურ-ეკონომიკურ დიფერენციაციას ანგლო-საქსებში თან სდევდა უფლებრივი სხვაობაც. თითოეული სოციალური ფენის წარმომადგენლის ვერგელდი განისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით, თუ მიწის მფლობელს რამდენი ჰაიდი გააჩნდა. თუ რომელიმე ერლს (წარჩინებულს) ხუთი ჰაიდი ჰქონდა, მისი ვერგელდი სამჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი კერლის ვერგელდი. ამ უკანასკნელის მოკვლის შემთხვევაში დამნაშავეს 200 შილინგი (იგივე, რაც ფრანკებთან— სოლიდი) უნდა გადაეხადა. ანგლო-საქსების არისტოკრატია უმთავრესად „ერლებისაგან“ შედგებოდა. თითოეულ ერლს სამი ჰაიდი გააჩნდა. ერლის ვერგელდი 400 შილინგს უდრიდა. ამათ გარდა იყვნენ „ლეტებიც“, რომელნიც ნახევრად თავისუფლებად ითვლებოდნენ და რომელთა ვერგელდიც 40, 60 ან 80 შილინგს არ აღემატებოდა. რაც შეეხება მონებს, მათზე ვერგელდის ნაცვლად ჩვეულებრივი ჯარიმა იყო დაწესებული.

ფეოდალიზმის გეხეზისის თვალსაზრისით, ახალი კლასების ფორმირების პროცესის ძირითადი საფუძველი ინგლისში იგივე იყო, რაც სხვა ქვეყნებში. ვიდრე მოხდებოდა ახალი კლასების საბოლოო ჩამოყალიბება, თემური წყობილების ეკონომიკური ბაზა — საზოგადოებრივი საკუთრება — ფოლკლენდი უნდა მოსპობილიყო და მისი ადგილი კერძო საკუთრებას უნდა დაეკავებინა. მიწის კერძო საკუთრების წარმოქმნა-განვითარების საქმეში, მსხვილი მიწათმფლობელებისა და ეკლესიის მიერ უშუალო მწარმოებელთა დაყმევებაში, და, საერთოდ, მსხვილი მიწათმფლობელობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი სამეფო ხელისუფლებას მიუძღოდა. იგი ანაწილებდა დაპყრობილ მიწა-წყალს, აწყობდა ახალ დაპყრობათა ორგანიზაციას, მორჩილებაში მოჰყავდა დაპყრობილი მოსახლეობა, მისგან კრეფდა ხარკებსა და გადასახადებს.

სამეფო ხელისუფლება გარშემო იკრეფდა უამრავ რაზმელს ან მოლაშქრეს („გეზიტებსა“ და „ტენებს“), ნიშნავდა სულ ახალ-ახალ მოხელეებს. ნატურალური მეურნეობის პირობებში შეუძლებელი იყო ამ მოხელეებისა და მოლაშქრეებისათვის გასამრჯელოს მიცემა ფულადი სახით და ამიტომ მათი დაკმაყოფილება ძირითადად უნდა მომხდარიყო მიწების და, საერთოდ, მამულების გაცემით. დასაჩუქრება ხდებოდა სათანადო სიგელის „ბოკ“-ის (book) გადაცემით, ამიტომ ასეთ მამულს ან მიწას ბოკლენდი ეწოდებოდა. ბოკლენდი კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, რის გამოც პატრონს თავისუფლად შეეძლო მისი გასხვისება. სიგელში ნათქვამი იყო, რომ გასაჩუქრებული მიწების მეპატრონეები განთავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან, ოღონდ მათ, როგორც ფოლკლენდის მფლობელებს, აქვთ სამგვარი ვალდებულება: სამხედრო სამსახური, ხიდების შეკეთება და ციხე-სიმაგრეების აგება.

სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის საქმეში თავიდანვე ერთგვარი დუალიზმი შეიმჩნეოდა. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი სახალხო კრებები თავისი უხუცესებითა და მამასახლისებით, ხოლო მეორე მხრივ — სამეფო ხელისუფლება, რომელიც ანგლო-საქსებში კერძო საკუთრების წარმოშობისა და კლასების გაჩენის შედეგად შესუსტებული სახალხო კრებების უფლებათა უზურპაციას ახდენდა და მათ ხარჯზე ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას. სახელმწიფოებრიობის განვითარების პირველ ეტაპზე მართვა-გამგებლობის ძირითად რგოლს სოფელი, სასოფლო თემი შეადგენდა. ყველა ძირითადი სამეურნეო საკითხი (თესვა, ჭირნახულის მომკა-აღება, საძოვრებისა და ტყით სარგებლობის საქმეთა მოგვარება და სხვ.), ადმინისტრაციული და სამოსამართლო საქმეები, სოფლის საერთო კრებაზე განიხილებოდა.

იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ეხებოდა მეზობელ სოფლებთან ურთიერთობას და რომელთა გადაწყვეტაც სასოფლო კრების ძალ-ღონეს აღემატებოდა, თვეში ერთხელ იწვევდნენ „ასეულის“ კრებას. ასეული რამდენიმე სოფელს აერთიანებდა, რომელნიც ერთიმეორის მეზობლად მდებარეობდნენ. ეს სახელწოდება წარმოიქმნა იქიდან, რომ თავდაპირველად „ასეული“ 100 ოჯახს აერთიანებდა. ასეულის კრებაზე ირჩევდნენ აგრეთვე მამასახლისს, რომელიც ასეულის საქმეებს განაგებდა. ასეულის კრებას, ისე როგორც სასოფლო კრებას, თემის ყველა თავისუფალი წევრი უნდა დასწრებოდა.

შემდეგ, როცა თემების შემადგენლობაში მოხდა სოციალური დიფერენციაცია, ასეულის კრებაზე ყველას გამოცხადება სავალდებულო აღარ იყო. თუ თავდაპირველად ასეულის კრებაზე ყველა დამსწრე მოსამართლედ ითვლებოდა, ახლა გამოყოფილ იქნა მოსამართლეების სპეციალური კომისია, რომელიც ასეულის თორმეტი ყველაზე უფრო გავლენიანი პირის—„უფროსი ტენებისაგან“ შედგებოდა. ამას კიდევ ერთი გარემოება დაემატა — მეფის ხელისუფლების თანდათანობით გაძლიერებასთან ერთად ასეულის მამასახლისი ფაქტიურად მეფის მოხელედ გადაიქცა. შემდეგ მან უფრო მეტად გააფართოვა თავისი უფლებამოსილება და ასეულის ყველა საქმეში იწყო ჩარევა.

ასეული წარმოადგენდა მასზე უფრო მსხვილი ადმინისტრაციული გაერთიანების — საგრაფოს ან როგორც მას ინგლისში უწოდებდნენ — შაირის ნაწილს. შაირი რამდენიმე ასეულს აერთიანებდა. თავდაპირველად ზოგიერთი შაირთაგანი ცალკე სამეფოსაც კი წარმოადგენდა. ასეთები იყო, მაგალითად, კენტისა და ესექსის შაირები, რომლებიც შემდეგ, ინგლისის პოლიტიკურ გაერთიანებასთან ერთად, თანდათან კარგავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას და გაერთიანებული სამეფოს პროვინციებად იქცეოდნენ.

შაირების სათავეში ადრე „ელდორმენები“ იდგნენ, ხშირად ისინი იმ „მეფეთა“ შთამომავალნი იყვნენ, რომელნიც დამოუკიდებელ საგრაფოებს განაგებდნენ, ელდორმენი ისტორიულად შაირის მოსახლეობასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ელდორმენი მოსახლეობის თავისებური წარმომადგენელი იყო შაირში. სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად ელდორმენის გავლენა ხალხში ისევე დაეცა, როგორც ასეულის მამასახლისისა. სამეფო ხელისუფლებამ თითოეულ საგრაფოში თავისი მოხელე — შერიფი დანიშნა.

შერიფი საგრაფოს კრებას წელიწადში ორჯერ იწვევდა. ეს იყო ძველი ტრადიციებისათვის თავისებური ხარკის გადახდა, რადგან ფაქტიურად ამ კრებას მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელები და „საპატიო“ პირები ესწრებოდნენ. ბოლოს, სახალხო კრება, ისე როგორც ასეულე-

ბი, აქაც 12 უფროსი ტენის საბჭომ შეცვალა, რომელიც შერიფთან ერთად მოქმედებდა. ამგვარად, ტაციტუსის დროინდელი სამხედრო დემოკრატია თანდათან შეიზღუდა და მის ხარჯზე გაძლიერდა სამეფო ხელისუფლება.

როგორც ჰეპტარქიის ხანაში, ისე ანგლო-საქსების სამეფოს გაერთიანების დროსაც, სახელმწიფო მასშტაბით სახალხო კრებები აღარ იწვეოდა. მის ნაცვლად შექმნილი იყო „უიტენაგემოტი", ანუ „ბრძენთა საბჭო". იგი შედგებოდა ეპისკოპოსებისაგან, აბატებისაგან, ელდორმენებისაგან, მეფის სამხედრო პირებისა და ტენებისაგან. უიტენაგემოტი დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი. მეფე როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის კანონებსა და ბრძანებულებებს მას უთანხმებდა. ასევე იქცეოდა ის იმ შემთხვევაშიც, თუ ომის წამოწყებას ან ზავის დადებას ფიქრობდა. მოსახლეობაზე გადასახადების გაწერაც უიტენაგემოტის თანხმობით უნდა მომხდარიყო. ეპისკოპოსების, ელდორმენებისა და სხვა დიდ თანამდებობათა მქონე პირების მოხსნა ან დანიშვნა ასევე უიტანებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

მაგრამ დროთა მსვლელობაში სამეფო ხელისუფლება ძლიერდებოდა და უფრო დამოუკიდებელი ხდებოდა. ვიდრე სამეფო ხელისუფლება განმტკიცდებოდა, მეფეთათვისაც დაწესებული იყო ვერგელდი. ასე მაგალითად, მეფის მოკვლის შემთხვევაში მკვლელის გვარს მოკლულის გვარისათვის ვერგელდი უნდა მიეცა 7200 შილინგის რაოდენობით, რაც 36-ჯერ მეტი იყო, ვიდრე კერლის ვერგელდი. IX საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა. ეკლესიის დახმარებით მეფე აღიარებულ იქნა ღვთის მოადგილედ და ამიტომ მისი მოკვლა ახლა უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. ამიერიდან მეფის ვერგელდი მოისპო — მეფის მკვლელი აუცილებლად სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

რადგან ანგლო-საქსები რაიმე სახელმწიფო გადასახადს ჯერ არ იხდიდნენ, მეფის ძირითადი შემოსავლის წყაროს მისი საკუთარი მამულები წარმოადგენდა. გარდა ამისა, მეფე სხვადასხვა დანაშაულისათვის აკრეფილი ჯარიმების გარკვეულ ნაწილს ღებულობდა. სამეფო შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე „ფირმის" უფლება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ძველად, როდესაც მეფე თავისი ამალით დროებით საცხოვრებლად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, მოსახლეობა ვალდებული იყო მეფე და მისი ამალა გამოეკვება. შემდეგ ამ ადგილების მოსახლეობას მეფისათვის მაინც უნდა გაეგზავნა „გამოსაკვები" ნატურის სახით, მიუხედავად იმისა, მივიდოდა იქ მეფე, თუ არა.

ანგლო-საქსებში ნამდვილი სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება დანელების შემოსევებთან დაკავშირებით იწყება. ამ გადასახადს „დანეგელდი" („დანელების ფული") ეწოდებოდა, რადგან მოსახლეო-

ბისაგან აკრეფილი ამ გადასახადით ხდებოდა დანელების შემოსევების თავიდან აცილება (მათი მოსყიდვა). ეს გადასახადი მიწაზე იყო დაწესებული და განისაზღვრებოდა 1-დან 4 შილინგამდე თითოეულ ჰაიდზე. დანელების შემოსევების შეწყვეტის შემდეგ დანეგელდის გადასახადი მაინც ძალაში დარჩა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ანგლო-საქსებში ფეოდალიზაციის პროცესი თანდათან გზას იკაფავდა, მაგრამ მისი ტემპები საგრძნობლად დაბალი იყო. ეს იმ გარემოებით აიხსნებოდა, რომ თემურ წყობილებაში მყოფ ანგლო-საქსებს დაპყრობილ ადგილებში დახვდათ აგრეთვე კელტური მოდგმის ბრიტების თემური წყობილება, რამაც ამ საზოგადოების რღვევის პროცესი გაახანგრძლივა. ანგლო-საქსებში ფეოდალიზმის განვითარება უფრო ინტენსიური ხდება ინგლისში ნორმანდელთა შემოსევების შემდეგ.

თავი II

ფეოდალიზმის განვითარება ფრანკთა მონარქიაში

§ 1. მეროვინგების ფრანკთა სამეფო

ფრანკების დაპყრობები გალიაში

დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე დაარსებული ფეოდალური სახელმწიფო, რომელშიც წარმოების ფეოდალურმა წესმა ძირითადად დასრულებული სახე მიიღო და სადაც ფეოდალური საწარმოო ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესები ყველაზე ადრე განვითარდა, იყო ფრანკთა მონარქია. მაგრამ ფრანკთა საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დარგში მომხდარი რადიკალური ცვლილებები შემდეგ გასცილდა მათ მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს ფარგლებს და თითქმის მთელ ევროპაში საყოველთაო მოვლენად იქცა. ფრანკთა ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ძირითადად, წილად ხვდა ფრანკების ტომებს, რომელთა ყოფა-ცხოვრებას ქვემოთ შეეხებით.

ძველი ფრანკების ტომები ეკუთვნოდნენ იმ დასავლელ გერმანელთა მოდგმას, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მოსახლეობდა მდინარე რაინის შუა და ქვემო წელზე. მესამე საუკუნის დასაწყისამდე ფრანკების შემადგენელი ტომები განცალკევებით ცხოვრობდნენ და ამიტომ ცალ-ცალკე სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი ანტიკური მწერლებისათვის, როგორებიცაა ბატავები, კანინეფატები, სუგამბრები, ამპსივარიები, ხატები, ხამავები, უბიები და სხვ., რომელთა უმრავლესობა ძველი ისტვეონების (ისტევონების) დაჯგუფებაში შედიოდნენ.

დროთა მსვლელობაში სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად მათში იქმნებოდა უფრო მსხვილი ტომობრივი გაერთიანებანი. ამასთან, ცალკეული ტომების სახელწოდებაც ისპობოდა და ამ სახელწოდებათა ნაცვლად იქმნებოდა ერთი საერთო სახელწოდება — „ფრანკები“. ასეთი კრებადი მნიშვნელობის მქონე ეს სახელწოდება წყაროებში პირველად მოხსენიებულია ჩვენი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში, როდესაც იწყება ფრანკების თავდასხმა გალიაზე და სა-

ფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ მაშინ ფრანკები ორ ძირითად ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: ა) სალიები, სალიელი, ანუ ზღვისპირეთის ფრანკები ცხოვრობდნენ რაინის ქვემო წელზე და ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებზე, რაინის შესართავიდან დაწყებული მდინარე შელდამდე. მათი სახელწოდება, შესაძლებელია, წარმომდგარია სიტყვიდან — Sala, რომელიც ადრევე ჰოლანდიის ერთ-ერთი მდინარის სახელწოდება იყო და ბ) რიპუარი, ანუ მდინარისპირა ფრანკები, რომლებიც ცხოვრობდნენ სალიელი ფრანკების მეზობლად, სამხრეთით, რაინის შუა წელზე.

IV საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში ფრანკებმა მთლიანად დაიკავეს გალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და იქ დასახლდნენ. ამ შემთხვევაში სალიელ ფრანკებს წილად ხვდათ ტოკსანდრია (თანამედროვე ჩრდილოეთი ბრაბანტი). აქ მათი სვლა იმპერატორმა იულიანემ შეაჩერა და ისინი აიძულა ფედერატობის საფუძველზე იმპერიის საზღვრებს შიგნით დასახლებულიყვნენ. შემდეგ სალიელი ფრანკები აქედან მიიწევდნენ სამხრეთისა და დასავლეთისაკენ. მათ ამ მხარეებში დასახლებული ადგილებიდან განდევნეს მორინები, ნერვიები და მათი ადგილები მდინარე სომამდე თვითონ დაიკავეს. ამავე ხანებში რიპუარმა ფრანკებმა ხელში ჩაიგდეს ის ადგილები, რომელნიც მდინარე რაინსა და მაასს შორის მდებარეობდა.

ამ ხანებში ფრანკები არა მარტო ბრძოლებს აწარმოებდნენ რომის იმპერიის წინააღმდეგ, არამედ ზოგ შემთხვევაში მის მოკავშირეებადაც გამოდიოდნენ. ისინი დამხმარე ჯარებს აძლევდნენ რომს ამ უკანასკნელის მიერ წამოწყებულ სხვადასხვა ბრძოლებში. 451 წელს, როდესაც აეციუსსა და ატილას შორის კატალაუნის მინდვრებზე სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა, ფრანკები რომაელებს ეხმარებოდნენ. ფრანკების ცალკეული წარმომადგენლები არაერთხელ დაწინაურებულან რომაელების სამსახურში და დიდი თანამდებობანი დაიკავეს. ზოგიერთ შემთხვევაში ფრანკები იმპერატორებსაც კი დაუმოყვრდებოდნენ ხოლმე. უფრო გვიან ფრანკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხილდერიკი, რომელიც წარმოშობით ცნობილი მეროვინგების გვარიდან იყო და რომელიც ტურნეში „მეფედ" გამოცხადდა, რომაელი ნაცვლის, ეგიდიუსის მოკავშირედ ითვლებოდა.

ხილდერიკის გარდაცვალების შემდეგ სალიელი ფრანკების მეფედ არჩეულ იქნა ხილდერიკის შვილი ხლოდვიგი, ანუ ხლოდოვეხი (481—511). თავისი მეფობის მეხუთე წელს (486 წ.) მან სალიელი ფრანკების მეორე მეფესთან — რაგნახართან კავშირი დაამყარა და გაერთიანებული ძალებით განაგრძო რომის იმპერიის ტერიტორიის დაპყრობა. მოკავშირეებმა პირველი იერიშები სუასონზე მიიტანეს. სუასონი აღებულ იქნა. ფრანკებმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს.

ფრანკების ამ წარმატებებს ერთგვარად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მათ მხარეზე გალებისა და რომაელების გავლენიანი სასულიერო წოდება გამოვიდა, ხლოდვიგმა თავისი ძალაუფლება განამტკიცა იმითაც, რომ ცოლად ბურგუნდების მეფის ასული, კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი კლოტილდე შეირთო, თუმცა შემდეგ ხლოდვიგის ამ დამოყვრებამ მას ხელი არ შეუშალა ბურგუნდებთან ბრძოლაში ჩაბმულიყო.

ხლოდვიგის აგრესიული პოლიტიკა შემდეგ უფრო მეტად ფართოვდებოდა. როგორც გრიგოლ ტურელი გადმოგვცემს, „მან ბევრჯერ წამოიწყო ომი და ხშირადაც იმარჯვებდა. თავისი მმართველობის ათი წლის თავზე მან ტიურინგების წინააღმდეგ გაილაშქრა და ისინიც თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია“. 496 წელს ხლოდვიგმა სასტიკად დაამარცხა ალემანები, რომელნიც გალიიდან განდევნის შემდეგ იძულებული გახდნენ ოსტგოთების მეფის, თეოდორიხის მფარველობის ქვეშ შესულიყვნენ. ამგვარად, ხლოდვიგს ბრძოლა უხდებოდა არა მარტო რომაელების წინააღმდეგ, არამედ სხვა გერმანელი ტომების წინააღმდეგაც, რომელთა ერთი ნაწილი ისევ წარმართულ სარწმუნოებას მისდევდა, ხოლო მეორე — არიანულ ქრისტიანობას.

მომავალი ომების უკეთ წარმოებისათვის და თავისი ძალაუფლების უფრო მეტად განმტკიცებისათვის, ხლოდვიგმა გადაწყვიტა კათოლიკური ქრისტიანობის მიღება. კათოლიკური ეკლესია ჯერ კიდევ ადრე ამჩნევდა, რომ ფრანკებთან გამკლავება შეუძლებელი იყო და თავისი ქონება რომ არ დაეკარგა, იგი, თავის მხრივ, ცდილობდა ხლოდვიგთან დაახლოებას. 496 წელს ხლოდვიგმა თავისი მხლებლებით (3000 კაცამდე) კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. ამგვარად, ხლოდვიგის მიერ კათოლიკური ქრისტიანობის მიღება წმინდა პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა.

კათოლიკურ ეკლესიასთან მჭიდროდ დაკავშირებამ ხლოდვიგს დიდი სამსახური გაუწია. სხვა ცნობების გარდა, გრიგოლ ტურელის გადმოცემითაც დასტურდება, რომ ვესტგოთებთან ომის დაწყების წინ ხლოდვიგს განუცხადებია: „მე ძალიან არასასიამოვნოდ მიმაჩნია ის, რომ ეს არიანელები გალიის ნაწილს ფლობენ, ღვთის ძალით მათ წინააღმდეგ გავილაშქროთ და მათი დაძლევის შემდეგ ეს მიწა ჩვენს ძალაუფლებას დავუქვემდებაროთო“. აქედანაც აშკარად ჩანს, თუ რატომ დასჭირდა ხლოდვიგს არიანელების საწინააღმდეგო მიმართულების მქონე კათოლიკური ქრისტიანობის მიღება.

ვესტგოთებთან ომის დროს (507—510) აკვიტანიის კათოლიკური სამღვდელოება ფრანკების მხარეზე გადადიოდა, ამიტომ იყო, რომ ქალაქების უმრავლესობა კარს უღებდა დამპყრობლებს და მათ უერთდებოდა. სხვათა შორის, ასევე იქცეოდნენ თვით ვესტგოთების დაბალი

ფენები, რომელნიც განაწამები აღმოჩნდნენ ვესტგოთების სამეფოში ამ დროისათვის შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო. გალიის მოსახლეობის დაბალი ფენებიც ფრანკებში ხედავდნენ თავიანთ მხსნელს.

მეორე მხრივ, იგივე გარემოება გალო-რომაელების ზედაფენების გარკვეულ ნაწილს აიძულებდა გამძაფრებული წინააღმდეგობა გაეწიათ ფრანკებისათვის. მაგალითად, გრიგოლ ტურელი ხლოდვიგის ბრძოლების აღწერისას აღნიშნავს, რომ ფრანკებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოვერნის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლებმა: „იქ ბევრი ოვერნელი და პირველ სენატორთაგანი დაიხოცა, რომელნიც აპოლინარიუსს თან ახლდნენ“.

ფრანკების ამგვარმა წარმატებებმა ხლოდვიგის ავტორიტეტი გაზარდა როგორც ფრანკების სხვადასხვა ტომებს შორის, ისე იმდროინდელი საერთაშორისო თვალსაზრისითაც. მალე მან აღმოსავლეთ რომის იმპერიის მესვეურისაგან (ანასტასისაგან) მიიღო კონსულის წოდება და სამეფო გვირგვინი დაიდგა. ამის შემდეგ მან დატოვა ქალაქი ტური, წავიდა პარიზში და ეს უკანასკნელი აქცია თავის რეზიდენციად.

თავისი ძალაუფლების განმტკიცებაში, და, საერთოდ, ფრანკთა ტომების გაერთიანების საქმეში, ხლოდვიგი ყოველგვარ გაიძვერულ და ვერაგ საშუალებებს იყენებდა. იგი ამ შემთხვევაში არ ინდობდა არც თავის მახლობელ ნათესავებს და არც „გუშინდელ მოკავშირეებს“, რომელთა დახმარებითაც მან ასეთ წარმატებებს მიაღწია. გრიგოლ ტურელი ამის შესახებ მოგვითხრობს: როდესაც ხლოდვიგმა ბრძოლები წარმატებით დაამთავრა და პარიზში იმყოფებოდა, მან აქედან საიდუმლოდ მიუგზავნა კაცი თავისი მოკავშირის, სიგებერტის (რიპუარების ფრანკების მეფე) შვილს ხლოდერიკს წინადადებით — „მამაშენი მოხუცებულია და ამასთან კოჭლობს. თუ ის მოკვდება, მისი სამეფო და ჩვენი მეგობრობა სამართლიანად შენზე გადმოვაო“.

ამით წაქეზებულმა ხლოდერიკმა საკუთარი მამა მოაკვლევინა, რათა მეფე თვითონ გამხდარიყო. ხლოდვიგმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა და იმის მომიზეზებით, რომ თითქოს მამის მკვლელი უნდოდა დაესაჯა, მის წინააღმდეგ გაილაშქრა, საიდუმლოდ მოაკვლევინა ხლოდერიკი და სიგებერტის სამეფო მთლიანად ხლოდვიგს დაემორჩილა. ასე მოიქცა ხლოდვიგი სალიელი ფრანკების ერთ-ერთი მეფის — ხარარიკის მიმართაც. ხარარიკი თავისი შვილით ხლოდვიგმა მოტყუებით ხელში ჩაიგდო. პირველად ისინი ბერად აღკვეცა, ხოლო შემდეგ ორივეს თავი მოჰკვეთა. ასევე ვერაგულად მოექცა ხლოდვიგი თავის ყოფილ მოკავშირეს — რაგნახარს, რომელიც სალიკელი ფრანკების ერთ-ერთი ტომის მეფე იყო და კამბრეს მართავდა. მის წინააღმდეგ

მოულოდნელად ომის წამოწყებით რაგნახარი და მისი ძმა რიხარი ტყვედ ჩაიგდო, შემდეგ ისინიც საკუთარი ხელით დახოცა და მათი ქვეშევრდომი ტომიც თვითონ დაიმორჩილა.

ფრანკთა ზემოჩამოთვლილი მეფეებისა და სხვათა უმოწყალო განადგურებით ხლოდვიგმა მთელი გალია ხელში ჩაიგდო და იქ მეროვინგების დინასტიის ბატონობას ჩაუყარა საფუძველი. ხლოდვიგი უხვად ასაჩუქრებდა ეკლესიას და მას პრივილეგიურ მდგომარეობას უქმნიდა ახლად ჩამოყალიბებულ ფრანკების სახელმწიფოში, რის გამოც სასულიერო წოდება ხლოდვიგს ქმედით დახმარებას უწევდა.

ხლოდვიგის გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილების დროს, ფრანკების სახელმწიფო ტერიტორიულად კიდევ უფრო გაფართოვდა. 534 წელს ფრანკებმა ბურგუნდია დაიპყრეს. გარდა ამისა, 536 წელს ოსტგოთებმა ფრანკებს, იმისათვის, რომ ისინი დაეხმარნენ მათ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, პროვანსი დაუთმეს. ამავე ხანებში დამთავრდა ფრანკების მიერ ალემანებისა და ტიურინგების საბოლოო დამორჩილება; ბავარებმაც მორჩილება გამოაცხადეს, მხოლოდ ნაწილობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს თავიანთი ჰერცოგის მმართველობით. საქსები, რომელნიც ერთხანს ფრანკებს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ — მათ მოხარკედ გადაიქცნენ და ყოველწლიურად ხარკად 500-მდე რქოსან პირუტყვს აძლევდნენ მათ.

ფრანკთა მონარქიის წარმოშობა

ფრანკების მიერ წარმოებულ დაპყრობათა დროს ფრანკთა ყოფაცხოვრება თემური წყობილებით განისაზღვრებოდა. ყოველ მნიშვნელოვან საკითხს სახალხო კრება წყვეტდა, ბრძოლების წარმოებისათვის კი ფრანკების ცალკეულ ტომებს თავიანთი სამხედრო ბელადები ჰყავდათ გამოყოფილი. ტაციტუსი ფრანკებს საერთოდ არ იხსენიებს. ფრანკების სამხედრო ბელადებიც, სხვა ძველი გერმანელი ტომების ბელადების მსგავსად, ბრძოლების დროს დიდი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, ხოლო ბრძოლის დამთავრების შემდეგ მათი უფლებები უქმდებოდა. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს გრიგოლ ტურელი, როცა ის მოგვითხრობს ხლოდვიგის მიერ წარმოებულ ბრძოლებზე.

ბრძოლის ხანგრძლივობის მიხედვით, სამხედრო ბელადის დიდი უფლებებიც ხანგრძლივდებოდა. მეორე მხრივ კი, იგივე ბრძოლები თემებს და, საერთოდ, ხალხის გვაროვნულ ორგანიზაციებს ძირს უთხრიდა და გადაგვარების გზაზე აყენებდა. დაპყრობილი ადგილების საბოლოო დამორჩილებასა და ამ ადგილების მოვლა-ხელმძღვანელობას თემური წყობილების ორგანიზაციები ვეღარ ახერხებდნენ. კლასობრივი საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის სახალხო კრება აღარ გა-

მოდგებოდა. ასეთ პირობებში ერთადერთ გამოსავალს სამხედრო ბელადი, მხედართმთავარი წარმოადგენდა, რომელიც „დამპყრობელი ხალხის უახლოესი წარმომადგენელი“ იყო და რომელსაც შეეძლო დაპყრობილი ოლქის დაცვა როგორც შიგნით, ისე გარეთ, თუკი მისი ძალაუფლება უფრო მეტად განმტკიცდებოდა. „დადგა მომენტი, როცა მხედართმთავრის ხელისუფლება სამეფო ხელისუფლებად უნდა გადაქცეულიყო; და გადაქცევა კიდეც მოხდა“ [1].

სამეფო ხელისუფლების განმტკიცება, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო მისი ეკონომიკური საფუძვლების გაძლიერებით. ფრანკების ტოშებმა მიწაზე თავიანთი მოთხოვნილება დაიკმაყოფილეს ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ისინი მდინარე სომამდე მიაღწევდნენ. ამიტომ გალიის დაპყრობისას ხლოდვიგმა აღარ მოახდინა მიწების განაწილება დაპყრობილებსა და დამპყრობლებს შორის. ყველა ის ადგილ-მამული, რომელიც გალიის დაპყრობისას ხლოდვიგს ჩაუვარდა ხელში, მან თავის საკუთრებად გამოაცხადა. „პირველი საქმე ფრანკთა მეფისა, რომელიც უბრალო მთავარსარდლიდან ნამდვილ მონარქად გადაიქცა, — წერს ენგელსი, — ის იყო, რომ მას ეს სახალხო საკუთრება უნდა გადაექცია საუფლისწულო ქონებად, მოეპარა იგი ხალხისათვის და დაერიგებინა საჩუქრის თუ ნაწყალობევის სახით თავისი ამალისათვის... ყველა მათ თავდაპირველად შეტწილად საჩუქრად ეძლეოდათ სახალხო მიწების ნაკვეთები, შემდეგში კი ეს ნაკვეთები მათ სარგებლობაში გადადიოდა ბენეფიციების სახით, პირველად უმრავლეს შემთხვევებში მეფის მთელი სიცოცხლის მანძილზე, და ამ გზით იქმნებოდა ხალხის ხარჯზე ახალი არისტოკრატიის საფუძველი“[2].

უამრავი მამულების გარდა სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვან შემოსავალ წყაროს წარმოადგენდა ის სასამართლო ჯარიმები, რომელთა 1/3 ნაწილი სახელმწიფოსათვის იყო განკუთვნილი. გარდა ამისა, ყოველგვარი საბაჟო გადასახადის დაწესება და „განდგომილთა“ ქონების კონფისკაცია ხორციელდებოდა სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ. ფრანკების მეფეები ხშირად სარგებლობდნენ „გამოკვების“ უფლებებით, ისევე როგორც ანგლო-საქსების მეფეები „ფირმის“ უფლებით. ბაგრამ სამეფო შემოსავლის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს მაინც პირდაპირი გადასახადები წარმოადგენდა. თავდაპირველად გადასახადები მხოლოდ დაპყრობილ მოსახლეობაზე იყო გაწერილი, თვით ფრანკებში კი იგი მიუღებელი ხდებოდა, როგორც „თავისუფალთათვის შეუფერებელი“.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 362—363.

[2] იქვე, გვ. 363.

მეროვინგთა დინასტიის პირველი წარმომადგენელნი დაჟინებით ცდილობდნენ პირდაპირი გადასახადების გაზრდას დაპყრობილ მოსახლეობაში და ფრანკების დაბეგვრას. ამ ცდებმა ფრანკ მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ფრანკთა მონარქიის აღმოსავლეთი ნაწილის მეფის თეოდებერტის გარდაცვალების (548 წ.) შემდეგ მის სამეფოში დაიწყო მღელვარება გადასახადების გაწერის წინააღმდეგ. აჯანყება მოხდა ქალაქ ტრირში. გრიგოლ ტურელის გადმოცემით, აჯანყების მონაწილეებმა ეპისკოპოსების მიერ გადამალული თეოდებერტის მრჩეველი (გადასახადების საკითხში) პართენიუსი მონახეს და ქვებით ჩაქოლეს.

ამავე მიზეზით გამოწვეულ ლიმოჟის აჯანყებაზე (579 წ.) გრიგოლ ტურელი გადმოგვცემს შემდეგს: მეფე ხილპერიკმა გასცა ბრძანება იმის შესახებ, რომ მის სამეფოში ყველგან ახალი და მძიმე გადასახადები დაეწესებინათ. ამიერიდან მიწის ყველა მფლობელი ვალდებული ხდებოდა გარდა არსებული გადასახადებისა თავისი შემოსავლის კიდევ ათი პროცენტი გაეღო. უამისოდაც მანამდე არსებული გადასახადები დიდი რაოდენობით იყო გაწერილი და ამიტომ ხალხში დიდი უკმაყოფილება დაიწყო. ბევრმა მიანება თავი დასახლებულ ადგილს და სხვა სამეფოში წავიდა. ლიმოჟის მცხოვრებნი აჯანყდნენ. მათ უნდოდათ გადასახადების ამკრეფი კანცლერი მარკუსი მოეკლათ, მაგრამ ის ეპისკოპოსმა ფერეოლმა გადაარჩინა. მაშინ აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს საგადასახადო სიები და დაწვეს.

ხილპერიკმა ლიმოჟის აჯანყება შეიარაღებული ძალით ჩაახშო. აჯანყებულთა ერთი ნაწილი დიდად დააჯარიმა, ზოგიერთნი კი სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ ხილპერიკმა, როგორც იქნა, მოახერხა ხალხის უფრო მეტი გადასახადით დაბეგვრა, მაგრამ მომდევნო წლების მოუსავლიანობამ, შიმშილმა და სხვა სტიქიურმა უბედურებებმა ხალხი კვლავ აღაშფოთა ახალი გადასახადების წინააღმდეგ. ხილპერიკის სამეფოში მდგომარეობა ისე გართულდა და იმდენად საშიში შეიქნა, რომ მეფე იძულებული გახდა დამატებითი გადასახადების აკრეფა შეეწყვიტა.

როგორც აკრეფილ გადასახადებს, ჯარიმების შემოსავალს, სხვადასხვა კონფისკაციაქმნილ ქონებასა და უზარმაზარ სამეფო მამულებს, თვით სახელმწიფოსაც კი მეფე თავის საკუთრებად მიიჩნევდა. ამიტომ იყო, რომ ფრანკებში ძველად არსებული წესი მეფის არჩევისა ხლოდვიგის მეფობის შემდეგ შეწყდა. ახლა მეფობა უკვე მემკვიდრეობით გადადიოდა შვილზე, როგორც გარდაცვლილი მამის კერძო საკუთრება და თუ რამდენიმე მემკვიდრე დარჩებოდა, მამის სამეფო თანაბრად უნდა განაწილებულიყო უფლისწულებს შორის.

ახლად წარმოქმნილი სამეფოს მეორე თავისებურება იმაში მდგო-

მარეობდა, რომ მის მესვეურს (მეფეს) არ გააჩნდა თავისთვის მუდმივი რეზიდენცია — სატახტო ქალაქი და იგი თავისი ოჯახითა და ამალით ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. ასე მაგალითად, ხლოდვიგის უკანასკნელი შვილი ხლოტარი ბერნიდან ატინიონში გადადიოდა. ამ ადგილზე ის ერთხანს დაჰყოფდა, შემდეგ კი მიდიოდა ხან კომპიენში, ხან ვერბერიში და ა. შ. ნატურალური, თვითკმარი მეურნეობის პირობებში და იმდროინდელი ტრანსპორტის ჩამორჩენილობის გამო, ალბათ ძნელდებოდა ერთ ადგილზე მეფის ოჯახისა და მისი ამალის დიდი ხნით „გამოკვება".

მეროვინგების ფრანკთა მონარქიაში თვით სამართალიც კი კერძოობითი ხასიათის მატარებელი იყო. თითოეული პიროვნების საქმე მისი ტომობრივი სამართლის მიხედვით განიხილებოდა, თუნდაც დანაშაული იმ ადგილას ყოფილიყო ჩადენილი, რომლის მოსახლეობა სხვა ტომისა ან მოდგმისა იყო. ამის შესაბამისად ფრანკთა მონარქიაში სხვადასხვა ტომობრივი სამართალი იყო გამოყენებული: სალიკური სამართალი (Lex Salica), რიპუარული სამართალი (Lex Ripuaria), ალემანების სამართალი (Lex Alamannorum), ბავარელების სამართალი (Lex Baiuvariorum), საქსონელთა სამართალი (Lex Saxonum), ანგლებისა და ტიურინგების სამართალი (Leges Angliorum et Werinorum) და სხვ.

მეფის ამალა, მოხელეთა პერსონალი შედგებოდა მისი ყოფილი მოსამსახურეებისაგან, ანუ მინისტერიალებისაგან. ისინი წარმოშობით ეკუთვნოდნენ როგორც ფრანკებს, ისე გალო-რომაელებს.. შეიძლება ითქვას, რომ მათში დიდგვაროვანი შთამომავლობისა თითქმის არავინ იყო. თავდაპირველად ისინი ან მეფის მონებს, ანდა გაზატებულებს წარმოადგენდნენ, რასაც ადასტურებს მათ მიერ დაკავებულ თანამდებობათა სახელწოდება. თავდაპირველად სასახლის მმართველ მოხელეს ფრანკებში „სენეშალი" (უფროსი მონა) ეწოდებოდა; შემდეგ კი ეს სახელწოდება „მაიორდომით" შეიცვალა. მეფის მეორე მოხელე, რომელიც ადრე მეჯინიბეთა უხუცესი იყო, „მარშალის" (მონა მეჯინიბე) სახელწოდებას ატარებდა. ასეთივე წარმოშობისა იყვნენ სასახლის სხვა მოხელეები: „რეფერენდარიები" (კანცელარიის მოხელენი), „პფალცგრაფები", რომელნიც სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებდნენ სასახლესთან არსებულ ტრიბუნალში და სხვ.

ფრანკთა მონარქია დაყოფილი იყო ოლქებად და ასეულებად, ისე, როგორც ფრანკებში გალიის დაპყრობამდე, იმ განსხვავებით, რომ თუ ადრე ეს დაყოფა გვაროვნულ-ტომობრივ საფუძველს ემყარებოდა, ახლა იგი ტერიტორიული ხასიათისა იყო. თითოეულ ოლქს მეფის მიერ დანიშნული მოხელე-გრაფი განაგებდა, ასეულს კი — მეფის მოხელე ცენტენარიუსი (ასისთავი) და ასეულის სასამართლო კრების ე. წ. მა-

ლუსის ამორჩეული თავმჯდომარე ტუნგინი. დროდადრო, როგორც საგრაფოებში, ისე ასეულებში, მეფის მიერ სპეციალური აგენტი — „საცებარონი“ იგზავნებოდა. მას დავალებული ჰქონდა ადგილებზე მოხელეთა საქმიანობის შემოწმება.

ფრანკებში ძველად არსებული თვითმმართველობანი თითქმის მთლიანად მოისპო. მხოლოდ ასეულებში შემორჩა სახალხო კრება, რომელიც გრაფის ან ტუნგინის თავმჯდომარეობით ტარდებოდა და რომელზედაც სასამართლო საქმეები იხილებოდა. ტაციტუსის დროს, ასეთ კრებებზე ყველა დამსწრე აქტიურად მონაწილეობდა და მოსამართლედაც ითვლებოდა. მეროვინგების დროს ამ მხრივაც გარკვეული ცვლილება მოხდა. ახლა კრებაზე აქტიურობას იჩენდნენ მხოლოდ მძლავრი და გავლენიანი პირები „რახინბურგები“. ფრანკთა სამეფოს მმართველობის ყველაზე დაბალ რგოლს თემი-მარკა წარმოადგენდა, რომლის კრებაზეც იხილებოდა ადგილობრივი საკითხები.

ვიდრე მეროვინგთა მონარქიაში სახალხო შეიარაღება იყო შემორჩენილი, ძველი სახალხო კრების ნაცვლად მეფეები გაზაფხულზე იწვევდნენ საერთო კრებას, რომელსაც „მარტის მინდორი“ ერქვა. აქ წარმოებდა მხოლოდ შეიარაღებული ხალხის მზადყოფნის შემოწმება მეფის მიერ და მეფის ბრძანებულებათა გამოცხადება. შედარებით უფრო მნიშვნელოვანი იყო შემოდგომის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ მსხვილი მიწათმფლობელები — მაგნატები. ამ კრებაზე მეფე დამსწრეთ უზიარებდა თავის გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე და კიდევაც ღებულობდა მათგან რჩევა-დარიგებებს.

ფრანკებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი. ფეოდალიზაციის დასაწყისი

მიუხედავად იმისა, რომ გალიის დაპყრობამდე ფრანკების ტომების საერთო განვითარების დონე ჩამორჩებოდა ვესტგოთების, ოსტგოთების, ვანდალებისა და სხვათა საერთო განვითარებას, ფრანკებში სისხლითი ნათესაობის პრინციპზე დამყარებული თემი უკვე დაშლის პროცესში იმყოფებოდა, თუმცა სისხლითი ნათესაობა კვლავ ინარჩუნებდა გარკვეულ მნიშვნელობას თემის წევრების ყოველდღიურ ცხოვრებაში. სალიკური სამართლის (ჩაიწერა V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის დასაწყისში) 62-ე თავის მიხედვით, ფრანკის მოკვლის შემთხვევაში ვერგელდის ნახევარს მოკლულის ვაჟიშვილები ღებულობდნენ. ხოლო მეორე ნახევარს იყოფდნენ ახლო ნათესავები, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ფრანკებში ნათესაობრივი კავშირი მეექვსე თაობით თავდებოდა. ამ ნათესაური კავშირის წევრები თანმიმდევრობით ღებუ-

ლობდნენ მონაწილეობას ხან ვერგელდისა და მემკვიდრეობის მიღებაში, ხან მოწმედ, ფიცის დამდებად სასამართლოში და ა. შ.

ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ არის ასახული სალიკური სამართლის 58-ე თავში — „მუჭა მიწის შესახებ", რომელშიც ნათქვამია: „უკეთუ ვინმე მოკლავს კაცს და, მთელი ქონების გაღების მიუხედავად, ვერ შესძლებს კანონით კუთვნილის გადახდას, მან უნდა წარმოადგინოს 12 თანამოფიცარი, რომ არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ მას არა აქვს იმაზე მეტი ქონება, რაც უკვე გაიღო და შემდეგ იგი უნდა შეავიდეს თავის სახლში, ოთხი კუთხიდან მუჭით შეაგროვოს მიწა, დადგეს ზღურბლზე, შიგ სახლისაკენ პირშებრუნებული, და ეს მიწა, მარცხენა ხელით თავის მხრებზე გადატანით, შეაყაროს იმას, ვისაც იგი თვლის თავის უახლოეს ნათესავად. უკეთუ მამამ და ძმებმა უკვე გადაიხადეს, მაშინ მან იგივე მიწა უნდა შეაყაროს თავისიანებს, ე. ი. სამ უახლოეს დედისეულ და მამისეულ ნათესავს. მერე, პერანგისამარა, უქამროდ, უფეხსაცმლოდ, სარით ხელში, უნდა გადახტეს ღობეზე, ხოლო ამ სამმა (დედისეულმა ნათესავმა) უნდა გადაიხადოს იმის ნახევარი, რამდენიც კანონით კუთვნილი კომპოზიციიდან არ არის გადახდილი. ასევე უნდა მოიქცეს სამი დანარჩენი მამისეული ნათესავიც. ხოლო თუ რომელიმე მათგანი ძალიან ღარიბი აღმოჩნდება იმისათვის, რომ თავისი წილი გადაიხადოს, მან თავის მხრივ მუჭა მიწა უნდა შეაყაროს რომელსამე უფრო შეძლებულს, რათა მან მთელი გადასახადი გადაიხადოს კანონის მიხედვით. უკეთუ იგი ამასაც ვერ შეძლებს, მაშინ იმან, ვინც მკვლელის თავდებობა იკისრა, უნდა წარმოადგინოს იგი სასამართლო სხდომაზე და იქ შემდეგი ოთხი სხდომის განმავლობაში თავდებად დაუდგეს მას. უკეთუ არავინ ითავდებებს კომპოზიციის გადახდას, ე. ი. იმის ანაზღაურებას, რაც მას არ გადაუხდია, მაშინ კომპოზიცია თავისი სიცოცხლით უნდა გადაიხადოს".

აქ სისხლითი ნათესაობის პრინციპის ნაწილობრივი შერბილება იმაში გამოიხატება, რომ სისხლის აღება შეცვლილია მისი გამოსყიდვით — ვერგელდით (მკვლელს მოკლულის გვარის სასარგებლოდ უნდა მიეცა: ძროხა, ცხენი, ცხვარი და სხვ.), მაგრამ სისხლითი ნათესაობის კავშირის უფრო მეტად შესუსტება ჩანს სალიკური სამართლის მე-60 თავიდან — „ვისაც სურს ხელი აიღოს ნათესაობაზე". აქ ნათქვამია, რომ ის პირი, რომელსაც აღარ სურს მონაწილეობა მიიღოს მემკვიდრეობის საკითხში, ვერგელდის მიღებასა ან გაცემაში, თავდებად ყოფნაში, და საერთოდ, ნათესაობაზე ხელს აიღებს, უნდა გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ტუნგინის წინაშე. იქ მან თავზე უნდა გადაიმტვრიოს სამი ჯოხი, მიყარ-მოყაროს ოთხი მხრივ და განაცხადოს თავისი სურვილის შესახებ. ამის შემდეგ იგი კარგავს გვაროვნული კავშირიდან გამომდინარე როგორც უფლებებს, ისე ვალდებულებებსაც.

სისხლითი ნათესაური კავშირი სხვა მხრივაც შესუსტებულია. ცნობილია, რომ ცეზარისა და ტაციტუსის ხანაში გვარის მიერ საცხოვრებლად დაკავებულ ადგილზე სხვა გვარის წევრის დასახლება ყოვლად შეუძლებელი იყო. სალიკური სამართლის 45-ე თავში — „გადასახლებულთა შესახებ“ (§ 3) — ნათქვამია: „უკეთუ გადასახლებულს 12 თვის განმავლობაში არავითარი პროტესტი არ წარედგინება, იგი ხელუხლებელი უნდა დარჩეს, ისე როგორც სხვა მეზობლები“. მაშასადამე, ამიერიდან გვარის მიერ დასახლებულ ადგილზე უცხო პირის ცხოვრებაც შეიძლებოდა.

მიუხედავად ამისა, თემი, თემური მიწათმფლობელობა კვლავ ძალაში რჩებოდა: „უკეთუ ვინმე მოისურვებს გადასახლდეს სხვასთან ვილაში, და თუ ვილის ერთი ან რამდენიმე მცხოვრები მოისურვებს მის მიღებას, მაგრამ აღმოჩნდება თუნდაც ერთი, ვინც წინ აღუდგება გადასახლებას, მას უფლება არ ექნება იქ დასახლდეს“, — ნათქვამია სალიკური სამართლის იმავე თავში (§ 1). აქედან ჩანს, რომ უცხო პირის დასახლება ვილაში უნდა მომხდარიყო მთელი თემის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ამრიგად, თემი კვლავ რჩება უმაღლესი უფლებების მატარებლად თემური მიწების ხელმძღვანელობის საქმეში, მაგრამ აქ ჩვენ საქმე გვაქვს უკვე სამიწათმოქმედო თემთან, რომელიც თავისი განვითარებით გადადის „მარკაში“.

სალიკური სამართლის ძალით, მიწები დანაწილებულია თემის წევრებს შორის დიდი ოჯახების მიხედვით. გლეხის ნაკვეთს ლათინურად „სორსი“ ეწოდება, რაც წილს ნიშნავს. XII საუკუნის შუახანებიდან იგი ატარებს „მანსის“ სახელწოდებას. გლეხის მიწის ნაკვეთის ხელახალი გადანაწილება აქ აღარ ხდებოდა და იგი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. სალიკური სამართლის 59-ე თავში — „ალოდების შესახებ“ (§ 5) — ნათქვამია: „ხოლო არავითარი მიწა არ უნდა ერგოს ქალს მემკვიდრეობად, არამედ მთელი მიწა გადავიდეს მამაკაცების, ე. ი. ძმების ხელში“.

სალიკური სამართლიდან ჩანს, რომ კერძო საკუთრება მიწაზე ჯერ კიდევ არ იყო წარმოშობილი; გლეხის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას მემკვიდრედ ვაჟიშვილი არ დარჩებოდა, მისი მიწა თემს უნდა დაბრუნებოდა. მაგრამ ჩანს, გლეხის კარ-მიდამო უკვე კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა. გლეხური მეურნეობის შემადგენელი მიწის ნაკვეთები, ყანები, ვენახები და ბოსტნები გაფანტულად იყო განლაგებული, ამიტომ ხვნა-თესვაში, მოსავლის აღებაში და სხვ. თითოეული მეურნე თემის რეგლამენტაციას უნდა დამორჩილებოდა. თემის მიერ იძულებითი თესლბრუნვა იყო შემოღებული, ხოლო ყანებიდან ჭირნახულის აღების შემდეგ ღობეები უნდა აყრილიყო და იმ ადგილებზე ყველას ეძლეოდა საქონლის ძოვების უფლება.

თემის განკარგულებაში იყო აგრეთვე განუყოფელი მიწების ფონდი — „ალმენდა". მიწის თემურ საკუთრებაზე მოგვითხრობს სალიკური სამართლის 27-ე თავი, რომლის მიხედვითაც თემის წევრები თანაბრად სარგებლობდნენ საერთო ტყით. ისინი წინასწარ ნიშნავდნენ ტყეში ხეებს, რომლებიც შემდეგ უნდა მოეჭრათ. აღნიშნული თავის მე-19 პარაგრაფში ნათქვამია: „უკეთუ ვინმე გაბედავს ერთ წელზე მეტი ხნის წინათ ნიშანდასმული ხის წაღებას, ამაში არავითარი ბრალი არ არის". მაშასადამე, ფრანკებში ტყე საერთო სარგებლობაში იმყოფებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში თემს გარკვეული წესები ჰქონდა შემოღებული, რაც თემის ყველა წევრისათვის სავალდებულო იყო.

ალმენდაში შედიოდა აგრეთვე მდინარეებით ან ტბებით საერთო სარგებლობა და საერთო საძოვარი ადგილები. ამის მნიშვნელოვან დადასტურებას იძლევა სალიკური სამართლის მესამე თავი, რომლითაც გარკვეული სასჯელია გათვალისწინებული ბოროტმოქმედისათვის, რომელიც იპარავს რამდენიმე სოფლის ნახირისათვის განკუთვნილ ერთ ბუღა-ხარს. აღნიშნული თავის მეხუთე მუხლში ნათქვამია: „უკეთუ ეს ბუღა მომსახურებას უწევდა სამი ვილის ძროხებს, ქურდი იხდის სამჯერ 45 სოლიდს". ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ რამდენიმე მეზობლად მდებარე სოფელს საერთო საძოვარი გააჩნდა. მაშასადამე, თემი ამ ხანებში რამდენიმე სოფელს შეიცავდა, ხოლო დროთა განმავლობაში ასეთი თემი დანაწილდა და სამეზობლო თემად გადაიქცა.

VI საუკუნის ბოლოსათვის ფრანკების სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება. სალიკური სამართლის ის მუხლი, რომლითაც მიწის მემკვიდრეობითი გადაცემა ხდებოდა მხოლოდ მამაკაცებზე, ფრანკების მეფე ხილპერიკმა (561—584) სპეციალური ედიქტით შეცვალა. ამ ედიქტში ნათქვამი იყო, რომ თუ გარდაცვალების შემთხვევაში გლეხს ვაჟიშვილი არ დარჩებოდა, მიწა ქალიშვილს უნდა გადასცემოდა.

ალოდის მემკვიდრეობით ქალიშვილზე გადაცემა, და, საერთოდ, მიწის ანდერძით გასხვისება, უკვე წარმოადგენდა მის კერძო საკუთრებად გადაქცევას. ეგზოგამიის არსებობის პირობებში ქალის გათხოვება გვარის შიგნით აკრძალული იყო; იგი სხვა გვარში თხოვდებოდა და თუ მას მემკვიდრეობით გადაეცემოდა მიწა, ეს უკანასკნელი სხვა გვარის საკუთრებად გადაიქცეოდა. რიპუარულ სამართალში, რომლის ნაწილი (1-დან—31 მუხლამდე) შედგენილია VI საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო მეორე — VII საუკ. 30-იან წლებში, ალოდის გაყიდვა უკვე დაწყებულია. ამრიგად, ალოდი თემისაგან სრულიად დამოუკიდებელი გახდა და თავისუფალი გასხვისების ობიექტად გადაიქცა.

ფრანკების მეფეების მიერ იმავე VI საუკუნეში გამოცემულ კაპი-

ტულარებში (ბრძანებულებებში), რომელნიც ავსებდნენ და ნაწილობრივ ცვლიდნენ სალიკურ სამართალსა და მის ცალკეულ მუხლებს, გვხვდება ტერმინები: „minoflidi“, რაც „ხელმოკლეებს“, მცირე მიწის პატრონებს ნიშნავს და „meliores“—„უკეთესნი“, ე. ი. მსხვილი მიწათმფლობელნი, რომელთაც მიწები სხვადასხვა ადგილას გააჩნიათ. გარდა ამისა, ამავე დოკუმენტებში მოიხსენიებიან ისეთი პირებიც, რომელთაც არ შეუძლიათ ჯარიმების გადახდა, რომელნიც ტყეებში დაწანწალებენ და ადგილობრივ ხელისუფალთათვის საეჭვო და მიუღებელ პირებად გადაქცეულან.

აქედან გამოდის, რომ თავისუფალი თემის წევრთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელსაც კერძო საკუთრების გაჩენამდე ჰქონდა თავისი მეურნეობა, ალოდის წარმოშობის შემდეგ დაკარგა იგი და გაჩანაგების გზას დაადგა. ამრიგად, თავისუფალი გლეხების გაჩანაგების ძირითადი მიზეზი კერძო საკუთრება იყო. ამ პროცესის დამატებითი მიზეზი იყო: მძიმე სამხედრო ვალდებულება, რომელიც გლეხებს სოფლის მეურნეობისაგან სწყვეტდა, აუტანელი და მძიმე ჯარიმები, კომპოზიციის, ანუ ვერგელდის გაღება, შიმშილი და ეპიდემია, რასაც საწარმოო ძალთა ნაკლებად განვითარების გამო იმ ეპოქაში ხშირად ჰქონდა ადგილი და ბოლოს — გადასახადები, რომლებიც VII საუკუნის დასაწყისში თვით ფრანკებსაც დააკისრეს.

ეკონომიურად გაჭირვებული გლეხი იძულებული ხდებოდა თავი გაეყიდა და მონად გადაქცეულიყო. იმ პირებს, რომელნიც დავალიანებულნი აღმოჩნდებოდნენ, ანდა ძალა არ შესწევდათ ჯარიმების გადასახდელად, დაუყოვნებლივ ატუსაღებდნენ. მათი განთავისუფლება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მათ დავალიანებას ან კუთვნილ ჯარიმას გადაიხდიდა. მსხვილი მიწათმფლობელები, განსაკუთრებით კი ეკლესია, რომელთაც სჭირდებოდათ სამუშაო ძალა, დაინტერესებულნი იყვნენ სატუსაღოებით, რადგან ეს სატუსაღოები მუშახელის ერთგვარ სათადარიგო ბაზას წარმოადგენდა. შუა საუკუნეების აგიოგრაფიებში ხშირადაა მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ დადიოდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლები ამ ადგილებში ტუსაღების გამოსასყიდად, ხოლო შემდეგ გამოსყიდულ გლეხებს საეკლესიო მიწებზე ამუშავებდნენ.

მონობის წარმოშობის არანაკლებ მნიშვნელოვან წყაროს ის ბრძოლები და თავდასხმები შეადგენდა, რომლებიც ფართოდ წარმოებდა გალიის ტერიტორიაზე. რაზმების ბელადებს უხვად მოჰყავდათ ტყვეები, რომელთაც მონებად აქცევდნენ. სალიკური სამართლიდან ჩანს, რომ ფრანკებში მონობა ფართოდ იყო გავრცელებული. აქ ჩამოთვლილია მთელი რიგი პროფესიის მონები: ხელზე მოსამსახურეები, მჭედ-

ლები, მეღორეები, ვენახში მომუშავეები, ოქრომჭედლები, ცხენების მომვლელები და სხვ. მონებს გარდა სალიკური სამართალი ასახელებს ლიტებსაც (რომლებიც ნახევრად თავისუფალნი იყვნენ) და გააზატებულებსაც. ყველა ისინი ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს და მათ სასარგებლოდ იხდიდნენ ღალას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, არ შეიძლება ითქვას, თითქოს ფრანკებში მონათმფლობელური წარმოების წესი ყოფილიყოს დამყარებული. ფრანკების მონები ისეთივე მონებს წარმოადგენდნენ, როგორც მონები ტაციტუსის ხანაში. მონებს ჰქონდათ თავიანთი მეურნეობა, ოჯახები და ქონებაც, თუმცა ძალიან შეზღუდული. სალიკური სამართალი სერვ-მონას წარმოგვიდგენს, როგორც ბატონის კუთვნილ საგანს და მთელ რიგ შემთხვევაში მას ათანაბრებს ცხოველთან; მაგრამ მისი (სამართლის) მე-12 თავის პირველი მუხლის ძალით, თუ მონა მოიპარავს რასმე, მან უნდა აანაზღაუროს მოპარულის ღირებულება, მიყენებული ზარალი და უნდა გაიშოლტოს. მაშასადამე, თავისთავად იგულისხმება, რომ მონას გააჩნია ქონება, საიდანაც მან უნდა აანაზღაუროს მონაპარის ღირებულება და მიყენებული ზარალი.

ფრანკებში დაწყებული სოციალ-ეკონომიკური დიფერენციაციის მიუხედავად, ამ საზოგადოების ძირითად ფენას ჯერ კიდევ თავისუფალი გლეხობა წარმოადგენდა, რომელიც გაერთიანებული იყო თემმარკაში და სოფლის მეურნეობის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. გალიის დაპყრობის დროს, ფრანკების მოსვლით გამრავლდა თავისუფალ გლეხთა საერთო რაოდენობა. თავდაპირველად მსხვილი მიწათმფლობელობა დაიშალა ფრანკთა სახელმწიფოს იმ ოლქებშიც კი, სადაც გალებისა და რომაელების მოსახლეობა სჭარბობდა და სადაც მსხვილმა მიწათმფლობელობამ რომაული ბატონობის უკანასკნელ ხანაში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია.

მეროვინგების ბატონობის ხანაში არც სალიკურ და არც რიპუარულ ფრანკებს გვაროვნული არისტოკრატია აღარ ჰყავდათ. თავდაპირველად გვაროვნულმა არისტოკრატიამ დაკარგა თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ხოლო შემდეგ ტომთა გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლაში მეროვინგებმა მისი წევრების უმრავლესობა ფიზიკურად მოსპეს. მაგრამ მალე წარმოიშვა ფრანკების ახალი, მსახურეული არისტოკრატია. მსხვილი მესაკუთრეები, რომლებმაც უხვად მიიღეს მიწები მეფისაგან, პირველ ყოვლისა, იყვნენ მეფის მახლობლები, მისი ამალის წევრები, მეფის რაზმელები — ანტრუსტიონები, მეფის მოხელეები — გრაფები, საცებარონები და სხვ.

რა თქმა უნდა, ფრანკთა საზოგადოების ჩვენ მიერ ზემოჩამოთვლილი სხვადასხვა ფენა, რომელთა ეკონომიკური პირობები სხვადასხვანაირი იყო, უფლებრივადაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერ-

თიმეორისაგან. სალიკური სამართლის მიხედვით, ყველაზე უფრო მეტად ანტრუსტიონების სიცოცხლე და ინტერესები იყო დაცული. თითოეული ანტრუსტიონის მოკვლის შემთხვევაში მკვლელს სამმაგი ვერგელდი, ე. ი. 600 სოლიდი უნდა გადაეხადა. თავისუფალი ფრანკის მოკვლის შემთხვევაში დაწესებული იყო ვერგელდი 200 სოლიდის ოდენობით, ლიტზე — 100 სოლიდი, გაზატებულზე კი — 83-დან 100 სოლიდამდე, ხოლო მონებზე — ჩვეულებრივი ჯარიმა — 30-დან 35 სოლიდამდე.

ფრანკების სახელმწიფოში ახალი მსახურეული არისტოკრატია შედგებოდა არა მარტო ფრანკული წარმოშობის მქონე პირებისაგან, არამედ გალო-რომაული მოსახლეობისაგანაც. ამ წრიდან მეფესთან დაახლოებულ პირებს სალიკური სამართალი იხსენიებს როგორც „რომაელი, თანამეინახე მეფისა“ („Romanus conviva regis“). გასაგებია, რომ გალიის დაპყრობისას თავდაპირველად მონების, ლიტებისა და გაზატებულ პირთა უმრავლესობა ასევე გალო-რომაული მოსახლეობისაგან შედგებოდა. აღსანიშნავია, რომ როგორც ფრანკული, ისე გალო-რომაული წარმოშობის მქონე ამ ორ ფენაში (არისტოკრატია და „მდაბიოები“) ვერგელდი ერთნაირი არ იყო, მაგალითად, თუ ფრანკი ანტრუსტიონის ვერგელდი, როგორც აღვნიშნავდით, 600 სოლიდს უდრიდა, „მეფის თანამეინახე“ რომაელის სისხლი 300 სოლიდად იყო შეფასებული; ხოლო თავისუფალი რომაელი მიწათმფლობელის სისხლი ნაზღაურდებოდა 100 სოლიდით, იმ დროს როცა თავისუფალი ფრანკის ვერგელდი 200 სოლიდით განისაზღვრებოდა.

როგორც აღნიშნული იყო, ალოდის კერძო საკუთრებად გადაქცევა ქმნიდა პირობებს მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოშობისათვის, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ხლოდვიგის დროს უკვე დაწყებული იყო მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის პროცესი. იგი, პირველ ყოვლისა, ხლოდვიგის მიერ თავისი მოლაშქრეებისა და მოხელეების მიწებით უხვად დასაჩუქრებაში გამოიხატა. ენგელსის თქმით, ცნობილმა მკვლევარმა როტმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ გასაჩუქრებულ მიწათა დიდი უმრავლესობა გაცემული იყო თავისუფალ, სამემკვიდრეო და გასასხვისებელ საკუთრებაში. მხოლოდ კარლოს მარტელის დროს მოხდა ზოგიერთი ცვლილება ამ საქმეში, მაგრამ როგორც ხლოდვიგი, ისე მისი შთამომავლობა მამულებით უხვად ასაჩუქრებდნენ არა მარტო საერო პირებს, არამედ ეკლესიასაც.

ჯერ კიდევ რომაულ ხანაში ეკლესიას მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდა გალიაში, მაგრამ გალიის ეკლესიისათვის „ოქროს ხანა“ დადგა ფრანკების მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ხლოდვიგიდან დაწყებული, ფრანკების მეფეები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ

ვინ უფრო მეტ შეწირულებას გაიღებდა ეკლესიებისა და მონასტრებისათვის. როგორც ენგელსი აღნიშნავს, მღვდლების ფავორიტისა და „ყურმოჭრილი მონის“, მეფე გუნტრამის დროს, ამ მდგომარეობას საზღვარი აღარ უჩანდა.

ეკლესიას სწირავდნენ არა მარტო მეფეები, არამედ მსხვილი მიწათფლობელები და წვრილი მესაკუთრენიც კი. VI—VII საუკუნეების განმავლობაში, ენგელსის თქმით, გალიაში არ ტარდებოდა არც ერთი საეკლესიო კრება, რომელზედაც უმაღლესი სამღვდელოება ეკლესიისაგან განკვეთით არ დამუქრებოდა ყველა იმ პირს, რომელიც გაბედავდა შეწირულებათა წინააღმდეგ გამოსვლას.

იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე მიეღოთ მოსახლეობისაგან, ეკლესიის მესვეურნი ყოველგვარ ხრიკს მიმართავდნენ. ისინი ხშირად ანდერძებისა და დოკუმენტების გაყალბებასაც არ თაკილობდნენ. XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი სიძველეთა მკვლევრის და ისტორიკოსის ლუი დე ბრეკინის მიერ ნაპოვნი მეროვინგების დროინდელი 560 დოკუმენტიდან 130 სავსებით ყალბი აღმოჩნდა. თვით პაპი იოანე VIII-ც კი ყალბი დოკუმენტით ცდილობდა პარიზის მახლობლად არსებული სენ-დენის მონასტრის მამულების ხელში ჩაგდებას. ამგვარი და სხვა საშუალებების გამოყენებით ეკლესიამ მიაღწია იმას, რომ მეშვიდე საუკუნის დამლევისათვის მთელი გალიის მიწის ფართობის $^1/_3$ მის ხელში აღმოჩნდა.

ეკლესია სხვა მხრივაც აქეზებდა მიწების მისთვის გადაცემას. ეკლესიისათვის მიწის გადამცემი, ეკლესიისაგან უკან ღებულობდა ორჯერ მეტ ფართობს, ოღონდ დროებით მფლობელობაში. როცა ის გარდაიცვლებოდა, მიწა მთლიანად (როგორც ეკლესიის მიერ გაცემული, ისე გარდაცვლილის საკუთრება) ეკლესიის განკარგულებაში გადადიოდა. ეს გარემოება საბოლოოდ „პრეკარის“ სისტემაში (precaria) ჩამოყალიბდა. არსებობდა პრეკარის სამი სახე: 1. „ბოძებული პრეკარი“ (precaria data), როდესაც უშუალო მწარმოებელს არ გააჩნდა მიწა და იგი მიმართავდა თხოვნით მსხვილ მიწათმფლობელს ან ეკლესიას. უკანასკნელთაგან მიწას მიიღებდა სიკვდილამდე და იხდიდა გარკვეულ ღალას. გარდაცვალების შემდეგ მიწა პატრონს უბრუნდებოდა; 2. „შეწირული პრეკარი“ (precaria oblata), როდესაც გლეხს საკმარისი მიწა ჰქონდა, მაგრამ იმდროინდელი ანარქიის ვითარებაში ვერ ხედავდა რა ამ მეურნეობის საბოლოო შენარჩუნების გარანტიას, თავის მიწას ეკლესიის საკუთრებად აცხადებდა და შემდეგ მას ღებულობდა დროებით მფლობელობაში. ეს უკანასკნელი გლეხის მეურნეობის დაზღვევის ერთგვარი საშუალება იყო. 3. „ჯილდოიანი პრეკარი“ (precaria remuneratoria), როდესაც გლეხს ჰქონდა თავისთვის მიწის ნაკვეთი, მაგრამ რადგან ის არ ჰყოფნიდა ოჯახის სარჩენად, მიწას გადასცემდა

ეკლესიის საკუთრებაში და მას ხელახლა იბრუნებდა დროებით მფლობელობაში დამატებით ფართობთან ერთად. გარდაცვალების შემდეგ როგორც გლეხის, ისე ეკლესიის მიწა კვლავ ეკლესიას უბრუნდებოდა.

ეკლესიის ასეთი გამოცდილება, რადგან იგი მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებისათვის, საერო მემამულეებმაც დაუყოვნებლივ გადაიღეს. სარგებლობდნენ რა თემური წყობილების რღვევით და გლეხების გაჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობით, პრეკარის ყოველ სახეს ავრცელებდნენ და ამით გლეხობის ექსპროპრიაციას ახდენდნენ. მაგრამ, როცა ვეხებით საერო და საეკლესიო მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკთა მონარქიაში ის ყველგან თანაბრად არ ვითარდებოდა. ზოგან საერო მსხვილი მიწათმფლობელობა უფრო მეტად იყო განვითარებული, ზოგან კი — საეკლესიო.

სამეფო ხელისუფლების შესუსტება და შინააშლილობა

ხლოდვიგის გარდაცვალების შემდეგ ფრანკების სამეფო საუფლისწულოებად დაიყო მის შვილებს შორის, ხოლო უკანასკნელი მათგანის — ხლოტარის გარდაცვალების შემდეგ იგი ხელახლა დანაწილდა ხლოდვიგის შვილიშვილებს შორის. ხარიბერტს წილად ხვდა მიწა-წყალი პარიზიდან სამხრეთისაკენ, რომელიც მოიცავდა სანლის, მელენს, შარტრს, ტურს, პუატიეს, სენტს, ბორდოსა და პირენეის ქალაქებს. გუნტრამს შეხვდა ორლეანის მხარე და ბურგუნდების მიერ დასახლებული მთელი ტერიტორია მდინარე სენიდან და ვოგეზებიდან ალპებამდე და პროვანსი ზღვის ნაპირამდე. ხილპერიკს გადაეცა სუასონის მხარე, რომლის საზღვარი ჩრდილოეთით შელდას, ხოლო სამხრეთით—მდინარე ლუარას გასწვრივ მიიმართებოდა. სიგებერტის სამფლობელო მოიცავდა ოვერნს, გალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს მთლიანად და იმ მიდამოებს, რომლებიც საქსებსა და სლავებს ემიჯნებოდა.

ფრანკთა სამეფოს მეორედ განაწილების დროისათვის მის ძირითად სამ ნაწილს განკერძოებულობაც დაეტყო: ნეისტრია, რომელიც პარიზთან ერთად მოიცავდა გალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, უფრო გალო-რომაული ელემენტებით იყო დასახლებული და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება თავისებურად წარიმართა. ავსტრაზია უმთავრესად დასახლებული აღმოჩნდა აღმოსავლეთის ფრანკებით და მათდამი დაქვემდებარებული სხვა გერმანელი ტომებით. ასევე გამოირჩეოდა ბურგუნდია, რომელიც ადრე დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა. უფრო გვიან ერთგვარ თავისებურებას იჩენს აგრეთვე აკვიტანიაც.

სხვა ნაწილებთან შედარებით ნეისტრიაში უფრო ადრე წარმოიქმნა მსხვილი მიწათმფლობელობა, როგორც საერო, ისე საეკლესიო. ამ უკანასკნელის უფრო მეტად გაძლიერება ერთგარ წინააღმდეგობას იწვევდა მსხვილ საერო მიწათმფლობელებში. გაბატონებული კლასის ამ ორი დაჯგუფების ქიშპობაში ნეისტრიის მეფეები მხარს უჭერდნენ მსხვილ საერო მიწათმფლობელებს. ჯერ კიდევ ხლოტარ პირველი (511—561) შეეცადა ეკლესიის მიწების სეკულარიზაცია მოეხდინა, მაგრამ შეშინდა და ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. ხლოტარის შვილი ხილპერიკიც ეკლესიის მიერ მიწების მიტაცების წინააღმდეგი იყო. მან დაიწყო ეკლესიისათვის მიწების ჩამორთმევა და საეკლესიო საქმეებში ჩარევა. იგი საეპისკოპოსო კათედრებითაც ვაჭრობდა. ერთ ხანს მან ქრისტიანულ დოგმატებში ზოგიერთი ცვლილების შეტანა მოისურვა, ამიტომაც იყო, რომ იმ ხანის საეკლესიო მწერლები მას თავისი დროის ნერონად ან ირროდად იხსენიებდნენ.

საკუთარი დოვლათის დაგროვებით გატაცებული ხილპერიკი ცდილობდა ხელი მოეთბო არა მარტო ეკლესიის ხარჯზე, არამედ მოსახლეობაში გადასახადების გაზრდითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამან ლიმოჟის აჯანყება გამოიწვია. ხილპერიკი თავის ძმებთან განუწყვეტლივ ეწეოდა ბრძოლას პირველობის მოპოვებისა და გამდიდრებისათვის. თავისი ძმის — სიგებერტის წაბაძვით მან ვესტგოთების მეფის ასული — გალესვინთა ითხოვა ცოლად. ცოლის მზითევში მან მიიღო რიგი ქალაქებისა, საიდანაც მნიშვნელოვანი შემოსავალი გაიჩინა. შემდეგ მან გალესვინთა მოკლა და ფრედეგუნდე შეირთო. მეროვინგების ისტორიაში ამით იწყება ცნობილი ორი დედოფლის — ფრედეგუნდესა და ავსტრაზიელი ბრუნიხილდეს (მოკლული გალესვინთას და, სიგებერტის ცოლი) გაშმაგებული ბრძოლა, რომელსაც მთელი რიგი ვერაგული მკვლელობანი სდევდა თან.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამ ბრძოლების მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, თითქოს ავსტრაზიელი დედოფალი ბრუნიხილდე მოითხოვდა მეუღლის, ავსტრაზიის მეფის სიგებერტისაგან შურისძიებას თავისი დის, გალესვინთას მკვლელზე — ნეისტრიის მეფე ხილპერიკზე. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ საბაბი, ნამდვილი მიზეზი კი ამ ორი ქვეყნის განსხვავებულ ეკონომიკურ და სოციალურ წყობილებაში მდგომარეობდა.

ავსტრაზია, ნეისტრიისაგან განსხვავებით, დიდი ხნის მანძილზე თავის პრიმიტიულ საზოგადოებრივ წყობილებას ინარჩუნებდა. ამ მხარეში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდნენ თავისუფალი წვრილი და საშუალო მესაკუთრე გლეხები, რომლებიც შეიარაღებულნი იყრიდნენ თავს „მარტის მინდორზე“ და რომლებიც მეფისათვის მძლავრ სო-

ციალურ დასაყრდენს ქმნიდნენ განდგომილი მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ავსტრაზიაში საეკლესიო მსხვილ მიწათმფლობელობას დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული, რის გამოც ავსტრაზიის მეფეთა სოციალური პოლიტიკა მსხვილ საერო მიწათმფლობელების წინააღმდეგ იყო მიმართული; ბრუნიხილდე ასეთი პოლიტიკის სულისჩამდგმელად გამოდიოდა. ავსტრაზიის მსხვილი მიწათმფლობელები კავშირს ამყარებდნენ ნეისტრიელ კლასობრივ მოძმეებთან და მათ ბელადთან—ხილპერიკთან, იმ მიზნით, რომ მათი დახმარებით თავიანთი პოზიციები განმტკიცებინათ ავსტრაზიაში. ბრუნიხილდე, პირიქით, ემყარებოდა რა ავსტრაზიისა და ბურგუნდიის „მდაბიოებს", ე. ი. წვრილ მიწათმფლობელებს, ხილპერიკისა და მისი ცოლის, ფრედეგუნდეს წინააღმდეგ ილაშქრებდა.

რაც შეეხება ბურგუნდიას, იგი თავისი ეკონომიკური განვითარებით და სოციალური წყობით უფრო ავსტრაზიას წააგავდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბურგუნდიაში მსხვილი საეკლესიო მიწათმფლობელობა გაცილებით უფრო ძლიერი იყო. აქაურ ეკლესიას დიდ მფარველობასა და წყალობას, როგორც აღნიშნულია დოკუმენტებში, მღვდლების ფავორიტი და „ყურმოჭრილი მონა", მეფე გუნტრამი უწევდა. ამავე დროს, იგი, ეკლესიასა და წვრილ მესაკუთრე გლეხობაზე დაყრდნობით, მსხვილი საერო მიწათმფლობელების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამ შემთხვევაში იგი, რა თქმა უნდა, ბრუნიხილდესა და მისი მცირეწლოვანი შვილის—ხილდებერტის ბუნებრივი მოკავშირე იქნებოდა.

587 წელს ავსტრაზიის მსხვილმა მიწათმფლობელებმა შეთქმულება მოაწყვეს და ბრუნიხილდეს და ხილდებერტის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ავსტრაზიაში ამით სამეფო ხელისუფლებას დიდი საშიშროება შეექმნა. დედის თანხმობით ხილდებერტმა გუნტრამთან დადო ანდელოს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს. 1. მუდმივი მეგობრობის დამყარება და ურთიერთმემკვიდრეობა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანს შვილები არ ეყოლებოდა; 2. ერთიმეორისათვის ურჩი რაზმელების („ლეკდების") გადაცემა და მოპირდაპირე მხარის გაქცეულ პირთათვის თავშესაფრის მიუცემლობა. ხელშეკრულებით დადგენილ იქნა აგრეთვე საზღვრები. დამყარებული კავშირის შედეგად ხილდებერტმა სძლია ავსტრაზიის მსხვილ მიწათმფლობელებს, ხოლო გუნტრამის გარდაცვალების შემდეგ ავსტრაზიას ბურგუნდიაც შემოუერთდა.

ხილდებერტის შვილებისა და შვილიშვილების დროსაც სამეფოს ფაქტიურ მმართველად კვლავ ბრუნიხილდე გამოდიოდა, რომელიც უარყოფითად ეკიდებოდა საერო მაგნატებს, ხოლო ეკლესიას დიდ

მფარველობას უწევდა და რომის პაპთან მეგობრული დამოკიდებულება დაამყარა. მან ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა ტრანსპორტის მოგვარებისა და ვაჭრობისათვის ხელის შეწყობის საქმეში. ბრუნიხილდეს დამოკიდებულება ნეისტრიასთან კვლავ მტრული იყო. ხილპერიკის სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ ფრედეგუნდემ და შვილმა ხლოტარ მეორემ ავსტრაზიასთან დამოკიდებულება უფრო მეტად გაამწვავეს. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ბურგუნდელთა დიდებულების ღალატის შედეგად ბრუნიხილდე დამარცხდა და მტერს ხელში ჩაუვარდა. 613 წელს მოხუცი დედოფალი ველური ცხენის კუდს მოაბეს და ნაწილებად დაახლეჩინეს. ამის შემდეგ ფრანკთა სამეფო კვლავ გაერთიანდა პოლიტიკურად.

ამრიგად, ხლოტარ მეორის გამარჯვება ფაქტიურად მსხვილ მიწათმფლობელთა გამარჯვება იყო. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 614 წელს, საერო და საეკლესიო მსხვილ მიწათმფლობელთა მოთხოვნით, მან გამოაქვეყნა ედიქტი, რომელშიც ის დიდ დათმობებზე მიდიოდა. მიწათმფლობელთათვის მეფეების შიერ წინათ ნაბოძები მამულები კვლავ პირველთა სარგებლობაში მტკიცდებოდა. გარდა ამისა, არისტოკრატიამ სხვა პრივილეგიებიც მოიპოვა. მეფე კისრულობდა ამიერიდან გრაფებად ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელნი დაენიშნა. ედიქტში ნათქვამი იყო ისიც, რომ ეპისკოპოსთა არჩევა უნდა მომხდარიყო თავისუფლად, მეფის ჩარევის გარეშე და რომ ეკლესიის ქონების რაიმე სეკულარიზაცია არ უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, ხლოტარ მეორე ქვრივების მეურვეობაზე ხელს იღებდა; მანამდე კი, თუ მეფის მიერ მამულით დასაჩუქრებული პიროვნება მოკვდებოდა და მისი ქვრივი მოისურვებდა გათხოვებას, სასიძოს კანდიდატურა მეფესთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

მიუხედავად ფრანკთა სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანებისა, მისმა სამივე ნაწილმა თავისი მაიორდომების მეთაურობით ერთგვარი ავტონომია მაინც შეინარჩუნა. ეს განსაკუთრებით ავსტრაზიაზე ითქმის. ამ მხარის არისტოკრატიამ ისიც კი მოითხოვა, რომ ავსტრაზიისათვის ცალკე მეფე მიეცათ თუნდაც ხლოტარ მეორის შვილის — დაგობერტის სახით. როგორც „ფრედეგარის ქრონიკებიდან“ ჩანს, ხლოტარ მეორემ სიცოცხლის 39-ე წელს თავის თანამმართველად და ავსტრაზიის მეფედ მართლაც დაგობერტი დანიშნა, ხოლო თავის მმართველობაში დაიტოვა მხოლოდ ნეისტრია და ბურგუნდია, მათში შემავალი სხვა ნაწილებით, რომლებიც არდენებისა და ვოგეზების გაღმა მდებარეობდნენ.

დაგობერტი ავსტრაზიას მეცის ეპისკოპოსის არნულფისა და მაიორდომ პიპინის რჩევა-დარიგებით მართავდა. ეს უკანასკნელნი ფაქტიურად ადგილობრივი მაგნატების წარმომადგენელნი იყვნენ. ხლოტარის

გარდაცვალების შემდეგ, 629 წელს, დაგობერტი კვლავ ფრანკთა გაერთიანებული სახელმწიფოს მეფე გახდა (629—639). დაგობერტმა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება გადაწყვიტა და მსხვილ საერო მიწათმფლობელთა მხარდაჭერით დაარღვია 614 წლის ედიქტი. მან სამეფო მიწების აღწერა ჩაატარა და ძველად ეკლესიებზე და სხვა პირებზე გაცემული სამეფო მიწების ერთი ნაწილი უკან დაიბრუნა. ასევე მოიქცა ის იმ კერძო პირების მიწების მიმართ, რომლებიც ეკლესიისათვის იყო შეწირული.

დაგობერტი აქტიურად ერეოდა ვესტგოთებისა და ლანგობარდების შინაურ საქმეებში. მან „მარადიული მშვიდობაც“ კი დაამყარა ბიზანტიასთან იმ პირობით, რომ ბიზანტიელებს დუნაის მახლობლად მყოფ გერმანელთა და სხვა ბარბაროსთა ტომების წინააღმდეგ მასთან ერთობლივად ემოქმედათ. როგორც ქრონიკებშია გადმოცემული, დაგობერტმა გადაწყვიტა ბოჰემიისა და მორავიის სლავების დამორჩილება, რომელთაც ამ ხანებში სამო მართავდა. ფრანკების ჯარები სამოს სამფლობელოში სამი მიმართულებით შეიჭრნენ, მაგრამ ვოგასტისბურგისათვის ალყის შემორტყმის დროს წარმოებულ ბრძოლაში ავსტრაზიელთა ნაწილები სასტიკად დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ გასცლოდნენ სლავებს.

დაგობერტის მარცხმა საგარეო პოლიტიკაში მსხვილი მაგნატები უფრო მეტად გაათამამა სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში. ისინი ახლა უფრო მეტად დაუახლოვდნენ მაიორდომებს, რომელნიც მათ პრივილეგიებს იცავდნენ მეფის ხელყოფისაგან. ბუნებრივია, რომ მაგნატების მხარდაჭერით მაიორდომის როლი ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმეში უფრო უნდა გაძლიერებულიყო. თუ ადრე მაიორდომის მოვალეობას მხოლოდ სახლთუხუცესობა წარმოადგენდა, ახლა მის განკარგულებაში გადავიდა ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა: სამეფო მიწების გასაჩუქრება, გადასახადების აკრეფა, ომში ჯარების ხელმძღვანელობა და სხვ. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ მეროვინგების დინასტიის წარმომადგენლებს მხოლოდ მეფის სახელწოდებაღა შერჩათ. დაგობერტის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები უკვე მთლიანად მაიორდომების მეურვეობით მეფობდნენ. მათ მოსახლეობაში ავტორიტეტი იმდენად დაკარგეს, რომ „ზარმაცი მეფეები“ ეწოდათ.

სასახლის ოფიციალური ისტორიკოსი ეინჰარდი (ეგინჰარდი, 770—840) „კარლოს დიდის ცხოვრებაში“ მეროვინგების გვარის უკანასკნელ წარმომადგენელს, მეფე ხილდერიკს შემდეგნაირად აღწერდა: „დიდი ხანია, რაც მას აღარ გააჩნდა აღარავითარი ცხოველმყოფელი ძალა და გარდა ცარიელი ტიტულისა არაფრით არა ბრწყინავდა, რადგან სა-

ხელმწიფო ხაზინა და ძალაუფლება სასახლის უხუცესების, მაიორდომების ხელში იმყოფებოდა, რომელთაც მთელი ძალაუფლება ჰქონდათ მოხვეჭილი სახელმწიფოში. მეფეს ისღა დარჩენოდა, მხოლოდ ტიტულით დაკმაყოფილებულიყო, გრძელი თმებითა და წვერმოშვებული ტახტზე მჯდარიყო, წარმოედგინა მხოლოდ მსგავსება მეფისა, სხვადასხვა მხრიდან მოსული ელჩებისათვის მოესმინა და გამოთხოვებისას, ვითომც თავისი სახელით, მიეცა მათთვის წინასწარ გაზეპირებული და ნაკარნახევი პასუხები".

ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მეფეს მაიორდომთან უნდა შეეთანხმებინა. ფრანკთა სამეფოში არსებულ საუფლისწულოებს ჩვეულებრივ სამი მაიორდომი განაგებდა, თითოეული მათგანი განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებდა პირველობისათვის. ერთ ხანს (VII საუკუნის მეორე ნახევარი) ნეისტრიის მაიორდომმა ებროინმა გალიის ყველა საუფლისწულოს მაიორდომების ფუნქციათა გაერთიანება შეძლო. მაგრამ როცა მან სცადა მაგნატების ხარჯზე თავისი ძალაუფლების განმტკიცება, მის წინააღმდეგ ბურგუნდიაში ისეთი მძლავრი აჯანყება დაიწყო, რომ ებროინი იძულებული გახდა სამშობლოდან გაქცეულიყო.

687 წელს ტესტრისთან (ტერტრი) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ნეისტრიისა და ბურგუნდიის მეფე თეოდორიხსა და მაიორდომ ბერთარსა და ავსტრაზიის მაიორდომ პიპინ ჰერისტალელს შორის. ბრძოლაში უკანასკნელმა გაიმარჯვა და გააერთიანა კიდეც მთელი ფრანკთა სამეფო, რომელსაც პიპინი მართავდა როგორც მაიორდომი, „ფრანკთა ჰერცოგისა და პრინცეპსის" ტიტულით. ამის შემდეგ პიპინ ჰერისტალელმა წარმატებითი ომები ჩაატარა ფრიზებთან, ალემანებთან და ბავარებთან; მათი მორჩილება უფრო მეტად რომ განმტკიცებულიყო, პიპინი ხელს უწყობდა წარმართ გერმანელთა შორის კათოლიკე მისიონერების საქმიანობას.

პიპინ ჰერისტალელის წარმატებანი ნეისტრიასთან ბრძოლაში მარტო ზემონათქვამით არ უნდა განისაზღვროს. საქმე ისაა, რომ მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა და ფეოდალიზაციის პროცესი ნეისტრიაში უფრო სწრაფი ტემპებით წარიმართა. იქაური მსხვილი მიწათმფლობელები ცენტრალური ხელისუფლების შეზღუდვას ცდილობდნენ და აღწევდნენ კიდეც თავიანთ მიზანს. რაც შეეხება ავსტრაზიას, იქ ჯერ კიდევ საკმაოდ იყვნენ შემორჩენილი თავისუფალი გლეხობა და წვრილი მიწათმფლობელები. თავიანთი სისუსტის გამო ეს უკანასკნელნი გლეხების დამორჩილებას ვერ ახერხებდნენ და ამიტომ საჭიროებდნენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დახმარებას. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში საზოგადოების ეს ფენაც ავსტრაზიის მაიორდომების სოციალური დასაყრდენი უნდა გამხდარიყო.

§ 2. ფრანკთა სამეფო კაროლინგების დინასტიის ხანაში

ფრანკთა სამეფოს შემდგომი ფეოდალიზაცია. კარლოს მარტელის რეფორმა

ფრანკთა მონარქიაში ფეოდალიზაციის შემდგომი განვითარების გამო საერო და სასულიერო მაგნატებმა უფრო მეტად აიშვეს თავი. პიპინ ჰერისტალელის გარდაცვალების შემდეგ მთელ რიგ შემთხვევებში სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც მიაღწიეს. აკვიტანიაში ოდოს დამოუკიდებელი საჰერცოგო წარმოიშვა; განდგომა დაიწყეს ზოგიერთი გერმანელი ტომების მესვეურებმაც. ფრიზეთში გაიშალა ძლიერი მოძრაობა. აჯანყებულებმა ფრიზეთის ბევრი ადგილი დაიკავეს და იქიდან მღვდლების განდევნა დაიწყეს. ეკლესიებისა და მონასტრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაანგრიეს და კვლავ წარმართობას დაუბრუნდნენ. ყოველივე ეს ფრიზების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავდა.

რაც დრო გადიოდა, ფრანკთა სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა უფრო მეტად რთულდებოდა. ფრანკების რაინისპირა ოლქებში მალე საქსების შემოსევები დაიწყო, მეორე მხრივ კი ამ ადგილებზე, და განსაკუთრებით ბავარიაზე, ავარები აწყობდნენ თავდასხმას. სამხრეთიდან იწყება არაბების შემოსევები. ისინი არბევენ აკვიტანიას და მიილტვიან ლუარასაკენ. ეტყობოდა, რომ არაბების სვლას ერთ ხანს ვერაფერი შეაჩერებდა, მით უფრო, რომ ამას ფრანკთა სამეფოს გართულებული საშინაო მდგომარეობაც უწყობდა ხელს.

პიპინ ჰერისტალელის გარდაცვალების შემდეგ ავსტრაზიაში პიპინის შვილიშვილის სახელით ძალაუფლება პიპინის ცოლმა, პლესტრუდემ იგდო ხელთ. რადგან მას თავისი ხელისუფლებისათვის პიპინის „უკანონო“ შვილი კარლოსი საშიშად მიაჩნდა, დაატუსაღა იგი. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ნეისტრიის მაგნატებმა, რომლებმაც ამ დროისათვის მაიორდომად რაგანფრიდი აირჩიეს და დაიწყეს ბრძოლა ავსტრაზიის წინააღმდეგ.

კარლოსმა მალე მოახერხა სატუსაღოდან გაქცევა. მან დიდი რაოდენობით შემოიკრიბა ავსტრაზიელი ლევდები, ბრძოლებში დაამარცხა ფრიზები და ნეისტრიელები. 715 წლიდან მან მთელი ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ და ამით საბოლოოდ განამტკიცა პიპინიდების მაიორდომობა, ხოლო შემდეგ საფუძველი ჩაეყარა პიპინიდების, ანუ კაროლინგების გვარის სამეფო დინასტიად გადაქცევას. კარლოს მარტელმა („ურომ“) იმდენად განამტკიცა თავისი ხელისუფლება, რომ მაიორდომად გახდომის შემდეგ მეროვინგთა დინასტიის გადაგვარების გზაზე დამდგარ წარმომადგენლებს ნებისმიერად თვითონ ნიშნავდა და ხსნი-

და სამეფო ტახტიდან. 737 წლიდან კი იგი აღარ ნიშნავდა „მეფეებს“ და მარტო განაგებდა ქვეყანას.

კარლოს მარტელმა რამდენჯერმე გაილაშქრა ბავარიაში, კვლავ დაიმორჩილა ალემანია, ფრიზეთში წარმართობა გაანადგურა და ისევ ქრისტიანობა გააბატონა, ხელახლა დაიპყრო საქსები. პარალელურად მან თანმიმდევრული ბრძოლები განავითარა განდგომილი დიდებულების წინააღმდეგ. ზოგი სიკვდილით დასაჯა და ქონება ჩამოართვა, ზოგი კი დაიმორჩილა. მან განაგრძო ბრძოლები აკვიტანიის წინააღმდეგ და საბოლოოდ ისიც შემოიერთა. ამგვარად, სამეფოს შიგნით მოხერხდა ერთგვარი სტაბილური მდგომარეობის შექმნა, მაგრამ მთავარი საშიშროება, რომელიც ფრანკების სამეფოს სამხრეთით ვითარდებოდა, ჯერ კიდევ თავიდან აცილებული არ იყო.

711 წელს არაბები შეიჭრნენ ესპანეთში და მალე იგი დაიპყრეს, ხოლო იქ განმტკიცების შემდეგ ფრანკთა სამეფოს საზღვრებსაც მიუახლოვდნენ, ფრანკთა მონარქიაში დაწყებული შინაგანი არეულობა ხელსაყრელი პირობა გახდა არაბთა ექსპანსიისათვის. ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომილი ფრანკი დიდებულები არაბებს ეპატიჟებოდნენ თავიანთ ქვეყანაში. ასე მოიქცა, მაგალითად, აკვიტანიის ჰერცოგი ოდო მას შემდეგ, რაც იგი კარლოს მარტელმა დაამარცხა და მოუწოდა მას მორჩილებისაკენ. ოდო დაუყოვნებლივ დაუკავშირდა არაბებს და მათთან ერთად აბდერრაჰმანის ხელმძღვანელობით ფრანკების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა.

არაბებმა მალე მდინარე გარონა გადალახეს და ბორდოს დარბევის შემდეგ, პუატიემდე მიაღწიეს. პუატიესთან 732 წელს არაბებს კარგად ორგანიზებული ფრანკების ჯარი დახვდათ, რომელსაც თვითონ კარლოს მარტელი ხელმძღვანელობდა. ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ფრანკებმა გაიმარჯვეს. არაბები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ფრანკებმა დაამარცხეს აგრეთვე არაბთა ის შეიარაღებული ნაწილები, რომლებსაც ომარ-ინ-ჰალედი ხელმძღვანელობდა. ფრანკებისა და ლანგობარდების გაერთიანებული ძალებით არაბები სასტიკად დამარცხდნენ აგრეთვე პროვანსშიც. ამ ბრძოლაში ლანგობარდებმა მონაწილეობა მიიღეს იმის გამო, რომ მათ ეშინოდათ გაძლიერებული არაბები იტალიაში არ შეჭრილიყვნენ.

არაბების წინააღმდეგ კარლოს მარტელის ბრძოლა შემდეგაც გრძელდებოდა. ახლა არაბების მხარეზე ბურგუნდების დიდებულნი გადადიოდნენ, რომლებიც სამხრეთში არაბებს თავიანთ ციხესიმაგრეებს გადასცემდნენ ხოლმე და აწყობდნენ აჯანყებებსა და თავდასხმებს. ბევრი ბურგუნდელი დიდებული სიკვდილით დაისაჯა და მათი მამულების კონფისკაცია მოხდა. ბოლოს, როგორც იქნა, არაბების შემოსევები

შეწყდა, თვით არაბულ ესპანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი. ამგვარად, კარლოს მარტელმა მოახერხა როგორც საშინაო მდგომარეობის განმტკიცება, ისე გარეშე მტრების უკუგდებაც.

კარლოს მარტელის მიერ მოპოვებული ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება მარტო გაბედული ომების წარმოებითა და დიპლომატიურ ღონისძიებათა გატარებით არ უნდა აიხსნას. ისინი, თავის მხრივ, არანაკლებად განპირობებული იყო იმ ღონისძიებებით, რაც კარლოს მარტელმა სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში გაატარა. კარლოს მარტელის დროს მიწათმფლობელობაში მომხდარი გადატრიალება ენგელსს მიაჩნდა კაროლინგების დინასტიის მიერ ჩატარებულ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად.

ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის პირობებში მეფის ანტრუსტიონებისა და სხვა მოხელეთათვის გასამრჯელოს მიცემა უთუოდ ნატურის სახით უნდა მომხდარიყო. ასეთ ვითარებაში ძირითად ობიექტს მხოლოდ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა, რადგან მოხელეთათვის პროდუქტის მიცემა, ჯერ ერთი, დაკავშირებული იყო ტექნიკურ სიძნელეებთან, და მეორეც, ფრანკთა სამეფოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე არსებული პირდაპირი გადასახადები საკმარისი არ იქნებოდა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მით უფრო, რომ გადასახადები, როგორც აღინიშნა, თავდაპირველად მხოლოდ დაპყრობილ მოსახლეობაზე იყო გაწერილი. მეორე მხრივ, გალიის დაპყრობის პირველ ხანაში ხლოდვიგისა და მისი შვილების ხელში მიწების დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი და ამიტომ მეროვინგთა დინასტიის პირველ წარმომადგენლებს, როგორც იტყვიან, მიწების ხელგაშლით დარიგება შეეძლოთ.

კარლოს მარტელამდე სამეფო მიწების კერძო საკუთრებად გასაჩუქრება ხდებოდა. მიწის მიმღები შემდეგ კიდეც რომ გადამდგარიყო მოხელეობიდან, მიღებულ მიწას სახელმწიფოს უკან აღარ უბრუნებდა. მის ადგილზე ახლად დანიშნულ პირს კვლავ ეძლეოდა მიწის ახალი ფართობი. ასეთ პირობებში სამეფო მიწის ფონდი, რაგინდ დიდიც არ უნდა ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, უნდა შემცირებულიყო. მაგრამ მდგომარეობა სწორდებოდა იმით, რომ დროდადრო სამეფო ხელისუფლების მიერ წარმოებდა განდგომილი პირების მიწების კონფისკაცია და ამით სამეფო მიწების ფონდი ნაწილობრივ ხელახლა ივსებოდა. გარდა ამისა, მხედველობაში ისიც უნდა იქნეს მიღებული, რომ მეროვინგების დროს მოხელეთა რაოდენობა არც თუ ისე დიდი იყო. სახელმწიფო აპარატი ჯერ კიდევ სახალხო ლაშქარს, და არა დაქირავებულ შეიარაღებულ ძალას ემყარებოდა.

ალოდის კერძო საკუთრებად გადაქცევის შემდეგ, როგორც ვიცით, თემის თავისუფალი წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი-

სი მიწა დაკარგა ან ნაწილობრივ, ან მთლიანად. ასეთ ვითარებაში გლეხს აღარ შეეძლო თავისი ხარჯით მონაწილეობის მიღება იმ სამხედრო ოპერაციებში, რომელიც შორეულ ადგილებზე უნდა ჩატარებულიყო, რადგან ეს მეომრისაგან მოითხოვდა სურსათ-სანოვაგის ისეთი რაოდენობით წაღებას, რაც მას ეყოფოდა რამდენიმე თვის განმავლობაში. გარდა ამისა, ცხენოსანი რაზმების შემოღებასთან დაკავშირებით საჭირო იყო ცხენის შეძენაც. ცხენი კი იმ ხანებში ძალიან ძვირად ფასობდა. რიპუარების სამართლიდან ჩანს, რომ ერთი ცხენის ფასი უდრიდა ექვსი ხარის ღირებულებას. ამგვარად, დროთა მსვლელობაში სახალხო შეიარაღებული ძალის გამოყენება თანდათან შეუძლებელი გახდა. ამას ისიც ემატება, რომ შემდეგ, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, ძველი ფორმებით სახალხო შეიარაღების შენარჩუნება გაბატონებული კლასისათვის, არც სანდო იყო და არც ხელსაყრელი.

კარლოს მარტელის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისას სამეფო მიწის ფონდი მეტისმეტად შემცირებული აღმოჩნდა. განდგომილ მსხვილ მაგნატებთან ბრძოლის წარმოებისათვის და იმ ბრძოლებისათვის, რომლებიც ფრანკთა სამეფოს მოუხდა გარეშე მტრებთან, სამეფოს შეიარაღებული ძალების გაზრდის საჭიროება გარდაუვალი აღმოჩნდა. გარდა ამისა, არაბებთან წარმოებულ ბრძოლებში ნათელი გახდა ცხენოსანთა რაზმების უპირატესობაც (ფრანკების ჯარებში კი ქვეითი ნაწილები დიდად სჭარბობდნენ ცხენოსნებს). ამრიგად, აშკარა გახდა, რომ სახალხო შეიარაღების ძველი ფორმების დატოვება შეუძლებელი იყო, ძირითად დასაყრდენად ცხენოსანი რაზმები უნდა გამოსულიყვნენ.

ზემოხსენებული გარემოების გათვალისწინებით, კარლოს მარტელმა ჯარში რეფორმები გაატარა. მან გლეხობის იმ ნაწილს, რომელსაც ცხენოსანთა რაზმები უნდა შეედგინა, მიწები დაურიგა. გლეხობის სხვა ნაწილში უნდა მომხდარიყო გაერთიანება ყოველი ხუთი ოჯახისა, რომელიც თავისი ხარჯით ერთ მეომარს წარმოადგენდა. შეიარაღებულ ძალებში ასეთი რეფორმების გატარება, თავის მხრივ, სათანადო მატერიალური შემოსავლის დამატებით წყაროს მოითხოვდა.

კარლოს მარტელმა ისიც მოისურვა, რომ დიდებულები უფრო მეტად დაექვემდებარებინა ცენტრალური ხელისუფლებისათვის. ამიტომ, მართალია დაუბრუნა მათ ჩამორთმეული მამულები, მაგრამ არა კერძო საკუთრებაში, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ დროებით და პირობით მფლობელობაში. ასეთ დასაჩუქრებას ბენეფიციუმი ეწოდებოდა (ბენეფიციუმით შეიძლებოდა გაცემულიყო სახლი, წისქვილი და მოძრავი ქონებაც). ბენეფიციუმის მიმღები ვალდებული იყო თავისი შეიარაღებული რაზმით საკუთარ ხარჯზე გამოცხადებულიყო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. თუ ის პირობას დაარღვევდა, ჩამოერთ-

მეოდა ბენეფიციუმი და სახელმწიფოს უკან დაუბრუნდებოდა. ამაში მდგომარეობდა ბენეფიციუმის პირობითობა. რაც შეეხება მის მეორე დამახასიათებელ ნიშანს — დროებითობას, ეს იმაში მდგომარეობდა, რომ ბენეფიციუმის გამცემის ან მისი მიმღების სიკვდილის შემთხვევაში ბენეფიციუმის ძალა იკარგებოდა. თუ ბენეფიციუმის გამცემი მოკვდებოდა, ბენეფიციუმის ახალ პატრონს (იქნებოდა ეს მეფე, ეპისკოპოსი თუ სხვა), ბენეფიციუმის მფლობელისათვის ხელახლა უნდა გაეცა სიგელი. იმ შემთხვევაში კი, თუ ბენეფიციუმის მფლობელი მოკვდებოდა, ბენეფიციუმი მის შვილს არ გადაეცემოდა ბენეფიციუმის ნამდვილი პატრონის თანხმობის გარეშე.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ბენეფიციუმი არ იყო კერძო საკუთრება, ისევე, როგორც არ იყო კერძო საკუთრება პრეკარი. ერთიცა და მეორეც ორ პიროვნებას ეკუთვნოდა: ერთს, — როგორც კერძო საკუთრება, მეორეს, — როგორც დროებითი მფლობელობა. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ბენეფიციუმი გაიცემოდა სამხედრო მოვალეობის შესასრულებლად, ხოლო პრეკარი ეძლეოდა გლეხს ღალის გაღებისა და ბეგარის მოხდისათვის. ერთიცა და მეორეც უკვე ფეოდალური საკუთრება იყო, თუმცა ბენეფიციუმი ჯერ კიდევ არ იყო ფეოდად (ლენად) გადაქცეული და მხოლოდ მის ჩანასახს წარმოადგენდა. ამრიგად, კარლოს მარტელმა მსხვილი საერო მიწათმფლობელების მნიშვნელოვან ნაწილს კერძო მიწათმფლობელობა მოუსპო და ეს ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული გახადა. მაგრამ სასულიერო მაგნატების მიმართ მან ამის გაკეთება აშკარად ვერ გაბედა. ენგელსის თქმით, მეამბოხე და გაწდგომილ ეპისკოპოსებს კარლოსი მხოლოდ ხსნიდა თავიანთი თანამდებობიდან და მათ ნაცვლად ნიშნავდა თავისიანებს. რადგან ისინი უფრო გამგონენი იქნებოდნენ. ასე მაგალითად, მისმა ნათესავმა ჰუგომ სამი საეპისკოპოსო და სამი ეპატო მიიღო; მისმა მახლობელმა თანამებრძოლმა მილონმა კი ტრირისა და რეიმსის საეპისკოპოსოები ჩაიბარა. ერთი სიტყვით, კარლოსის მიერ ეპისკოპოსებად დანიშნულ პირთაგან „უმრავლესობას არაფერი სასულიერო არ გააჩნდა, გარდა ტონზურისა (Sola tonsura clericus)“.

როდესაც კარლოსმა ძველი ეპისკოპოსები ძირითადად შეცვალა თავისიანებით, მან მაშინვე მოახდინა საეკლესიო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის სეკულარიზაცია (ე. ი. სასულიეროს საეროდ ქცევა). ამიერიდან ეპისკოპოსებიც საეკლესიო მიწას კარლოსისაგან ღებულობდნენ როგორც ბენეფიციუმებს და ისინიც ვალდებულნი იყვნენ სამხედრო სამსახური გაეწიათ ბენეფიციუმის პატრონებისათვის. ჯერ კიდევ VI საუკუნეში გრიგოლ ტურელს აღაშფოთებდა ის გარემოება, რომ ორმა ეპისკოპოსმა პირადი მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ ბრძოლაში. VII საუკუნეში ეპისკოპოსებს უკვე ჰყავდათ თავიანთი რაზმები, რომ-

ლებსაც ისინი ომში გზავნიდნენ. მერვე საუკუნის დასაწყისისათვის ეპისკოპოსები თვითონ ხელმძღვანელობდნენ თავიანთ რაზმებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბენეფიციუმების სისტემა იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ ბენეფიციუმის მიმღებს მისი გადამცემის დამოკიდებულებაში აქცევდა. ბენეფიციუმის გამცემს — სენიორი, ხოლო მიმღებს — ვასალი ეწოდებოდა. სენიორისა და ვასალის ეს პირადი დამოკიდებულება ერთგულების ფიცით იყო განმტკიცებული და თუ ეპისკოპოსები ცდილობდნენ ჰყოლოდათ უფრო მეტი ვასალები, ბუნებრივია, რომ ამისაკენ მიიღტვოდნენ საერო პირებიც — მსხვილი მიწათმფლობელები. ამრიგად, ხდებოდა გაბატონებული კლასის ცალკეული წევრების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი რიგების შემჭიდროება. ფეოდალური კერძო საკუთრების საფუძველზე იქმნებოდა ფეოდალური ურთიერთობა.

ასეთი მნიშვნელობისა იყო მიწათმფლობელობაში კარლოს მარტელის მიერ წამოწყებული და კარლოს დიდის მიერ დამთავრებული გადატრიალება. მაგრამ თუ ბენეფიციუმის ეს სისტემა მოწოდებული იყო ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად, მასშივე იყო მოცემული ცალკეული მაგნატების გაძლიერებისა და მათი დეცენტრალიზაციისაკენ ლტოლვის შესაძლებლობა. ამ ტენდენციამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო კარლოს დიდის გარდაცვალების შემდეგ, როცა საკუთარი ლაშქრის, სასამართლოს და იმუნიტეტის მქონე დიდებულებმა უფრო ხშირად დაიწყეს სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომა და ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება.

პიპინ მოკლეს გამეფება და კაროლინგების დინასტიის დასაწყისი

კარლოს მარტელის გარდაცვალების შემდეგ ფრანკთა მონარქია ხელახლა დაიყო, მაგრამ ამჯერად ეს დაყოფა მოხდა არა უფლისწულებს, არამედ მაიორდომის შვილებს შორის. კარლომანმა მიიღო ავსტრაზია, ალემანია და ტიურინგია, ხოლო პიპინმა (თავისი დაბალი ტანის გამო „მოკლედ" წოდებულმა) — ნეისტრია, ბურგუნდია და პროვანსი. სამეფოს ამ დაყოფას ძმათა შორის არ გამოუწვევია რაიმე შეჯახება ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინა შემთხვევებში. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ შორის უთანხმოების გაღვივებისათვის საკმაო დრო არ ყოფილა.

სამეფოს დაყოფისთანავე დაიწყო აჯანყება მაიორდომების წინააღმდეგ. პირველად აჯანყება გრიფომ წამოიწყო. გრიფო კარლოს მარტელის შვილი იყო მეორე ცოლისაგან, ბავარელი დიდებულის ასულისაგან, და მოტყუებული დარჩა მისი ნახევარი ძმების მიერ სამეფოს გაყოფის დროს. აჯანყდნენ აგრეთვე ტომთა მეთაური ჰერცოგები: ალემანიისა, ბავარიისა და აკვიტანიისა. ამ პირობებში ძმებმა ერთხანს მი-

ივიწყეს მათთვის ჩვეული კინკლაობა და ერთობლივად დაიწყეს ენერგიული ბრძოლა აჯანყებათა ჩახშობისათვის. მათ კიდეც მოახერხეს ამ აჯანყებათა ჩახშობა, მაგრამ მოსახლეობაში თავიანთი დაცემული პრესტიჟის აღდგენისათვის მიზანშეწონილად ჩათვალეს ძველი ჩვეულების გამოყენება და 743 წელს სამეფო ტახტზე მეროვინგთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, ხილდერიკ III აიყვანეს.

თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით მაიორდომებმა შეცვალეს თავიანთი მამის, კარლოსის პოლიტიკა ეკლესიის მიმართ. ადრე კარლოსის მიერ ეკლესიისათვის მიწების ჩამორთმევამ სასულიერო წოდების ზოგიერთ ფენაში უკმაყოფილება გამოიწვია. კარლოსის ასეთი დამოკიდებულებით ეკლესიის მიმართ არც რომის პაპი რჩებოდა კმაყოფილი, მით უფრო, რომ მიუხედავად პაპის ორგზისი თხოვნისა, კარლოს მარტელმა მას დახმარება არ გაუწია ლანგობარდების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ პიპინისა და კარლომანის მიერ ეკლესიის თავის მხარეზე გადაბირება არც თუ ისე ადვილი იყო.

ეკლესიისათვის იმ მიწების დაბრუნება, რომლებიც მას ჩამოერთვა კარლოს მარტელის დროს და ბენეფიციუმის სახით დარიგებულ იქნა სამხედროთა შორის, ახლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ მაიორდომებმა დაადგინეს, რომ ეს დანაკლისი ეკლესიისათვის აენაზღაურებინათ საეკლესიო გადასახადის — „მეათედის“ გაორკეცებით. ეს ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ გაგებით, რომ ამიერიდან ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის უფრო მჭიდრო კავშირი მყარდებოდა. ახლა, რაკი ხელისუფლება ადგენდა ამ საეკლესიო გადასახადს, იგი თვითონვე იძლეოდა ამ გადასახადის აკრეფის გარანტიასაც. ეკლესიის ხელისუფლება უთანხმოების შემთხვევაში დაკარგავდა ასეთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს და ამიტომ განხეთქილებაზეც აღარ წავიდოდა.

მიუხედავად ამისა, საეკლესიო რეფორმის გატარების პირველ ხანებში ძლიერდებოდა ოპოზიციური მიმართულება, განსაკუთრებით ამ რეფორმის ინიციატორის — კარლომანის წინააღმდეგ. მის სამფლობელოში არაერთხელ ჰქონია ადგილი მაიორდომის წინააღმდეგ დიდი თანამდებობის მქონე სასულიერო პირთა გამოსვლას. ამ მხრივ მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ 747 წელს კარლომანი იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო და იტალიის ერთ-ერთ მონასტერში გაეტარებინა თავისი სიცოცხლე.

კარლომანის ბერად აღკვეცის შემდეგ გაერთიანებული სამეფოს ძალაუფლება მთლიანად პიპინის ხელში გადავიდა. მართალია, ახლაც ჰქონდა ადგილი გრიფოს გამოსვლებს, რომელსაც ხან ბავარელები, ხან აკვიტანიელები და ხან ლანგობარდები ეხმარებოდნენ, მაგრამ პიპინმა შეძლო ამ გამოსვლების ჩახშობა და შინაგანი მდგომარეობის განმტკი-

ცება. ამასთან, ლანგობარდების გამოსვლამ გრიფოს მხარეზე პიპინი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ლანგობარდები უეჭველად დაიპყრობდნენ ბავარიას, თუ დროზე არ იქნებოდა მიღებული საჭირო ზომები. აუცილებელი ხდებოდა სათანადო მოკავშირის მონახვა.

როგორც ვიცით, ლანგობარდები ადრევე ცდილობდნენ იტალიის ისეთი ქალაქების დაპყრობას, როგორებიც იყო რავენა, რომი და სხვ. ლანგობარდებისაგან არაერთხელ შევიწროებული რომის პაპი იძულებული იყო კარლოს მარტელისათვის რამდენჯერმე მიემართა დახმარებისათვის. ამგვარად, პიპინის დროს ლანგობარდების შემოსევის საშიშროება ორივე მხარეს ემუქრებოდა და, ბუნებრივია, საერთო ენაც უნდა გამონახულიყო. ამას დაემატა კიდევ ერთი გარემოებაც — ფრანკთა სამეფოს გაერთიანების შემდეგ მეროვინგთა დინასტიის წარმომადგენელი, მეფე ხილდერიკ III პიპინისათვის ზედმეტი გახდა. საჭირო იყო მისი თავიდან მოცილება, ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო რომელიმე ავტორიტეტის მხარდაჭერით.

„ფრანკების სამეფო ანალებში“ აღნიშნულია, რომ „ვაისენბურგის ეპისკოპოსი ბურხარდი და კაპელანი ფოლრადი გაიგზავნენ პაპ ზაქარიასთან, რათა ეკითხათ მისთვის ფრანკთა მეფეების შესახებ, რომელთაც მაშინ არა ჰქონდათ მეფური ძალაუფლება, კარგია ეს თუ არა. და პაპმა ზაქარიამ ბრძანა პიპინისათვის გადაეცათ, რომ უკეთესია მეფე იმას ეწოდოს, ვისაც ძალაუფლება გააჩნია, ვიდრე იმას, ვინც ასეთს მოკლებულია. და რომ წესრიგი არ დარღვეულიყო, თავისი სამოციქულო ძალაუფლებით ბრძანა, რათა პიპინი ყოფილიყო მეფე“.

პაპისაგან ასეთი პასუხის მიღების შემდეგ, 751 წლის დამლევს პიპინმა სუასონში ფრანკების დიდებულები მოიწვია. ამ კრებაზე „ყველა ფრანკის არჩევით, ეპისკოპოსების კურთხევითა და ვასალთა მიერ ფიცის დადებით“ იგი სამეფო ტახტზე დასვეს, უკანასკნელი მეროვინგი ხილდერიკ III კი ბერად აღკვეცეს. ასე დაიწყო კაროლინგების დინასტიის ბატონობა. ამასთან დაკავშირებით ახალმა მეფემ ეკლესია უხვად დაასაჩუქრა, მაგრამ, როგორც ჩანს, გასამრჯელოდ პაპი უფრო მეტს მოითხოვდა; მას შეიარაღებული დახმარება ესაჭიროებოდა ლანგობარდების წინააღმდეგ.

ლანგობარდების მეფე აისტულფმა ბიზანტიელები რავენადან განდევნა და თვითონ დაიკავა იგი. ამის შემდეგ მან თავისი ჯარები რომისა და პაპ სტეფანე III-ის წინააღმდეგ დაძრა. როგორც მარქსი აღნიშნავს, 753 წელს აისტულფმა მუქარის წერილები გაუგზავნა პაპს და თავისი ჯარებით კიდეც მიადგა რომს. პაპმა დახმარებისათვის პიპინს მიმართა. ამასთან, მან პიპინი და მისი ორი შვილი მეფედ აკურთხა და პიპინს რომაელი პატრიციუსის ტიტული მიანიჭა. 754 წელს ბრიენში

გადაწყდა ლანგობარდების წინააღმდეგ ლაშქრობის წამოწყება იმ შემთხვევაში, თუ აისტულფი საზავო წინადადებებს არ მიიღებდა. პიპინის ლაშქარმა ალპები გადალახა და იტალიაში შეიჭრა. აისტულფი იძულებული გახდა ზავი დაედო, მაგრამ წავიდა თუ არა პიპინი იტალიიდან, მან კვლავ წამოიწყო ბრძოლა რომის წინააღმდეგ.

პიპინის მხრივ საჭირო გახდა მეორე ლაშქრობის წამოწყება. საკმაოდ დიდი ძალებით 756 წელს ფრანკებმა ლანგობარდები დაამარცხეს და აისტულფი აიძულეს პაპისათვის გადაეცა რავენას ეგზარქატის ქალაქები და რომის ოლქი. ასე ჩაეყარა საფუძველი პაპების საერო ხელისუფლებას იტალიაში. ამგვარად, VIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა პაპების საეკლესიო სამეფო, რომელიც შემდეგ, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, საერთაშორისო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მართალია, ბოლო ხანებში პაპების სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ვატიკანის სახით ის დღესაც განაგრძობს არსებობას.

პიპინის მიერ რავენას ეგზარქატის და რომის ოლქის პაპისათვის გადაცემა ამჯერად გაფორმდა სათანადო აქტით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გარემოება პაპებისათვის არც თუ ისე ხელსაყრელი იყო, რადგან იგი გულისხმობდა პაპების დაქვემდებარებას კაროლინგებისადმი. უფრო დამოუკიდებლად რომ ეგრძნოთ თავი და მათ მიერ მიღებული საერო ხელისუფლება უფრო „კანონიერი" რომ გაეხადათ, პაპებმა დაიწყეს თავიანთი უფლებების თეორიული დასაბუთება. ამ ნიადაგზე შეიქმნა სრულიად ყალბი დოკუმენტი, ე. წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარი" (Donatio Constantini). ამ დოკუმენტის სიყალბე სავსებით დაამტკიცა იტალიელმა ჰუმანისტმა ლორენცო ვალამ (1407—1457).

„კონსტანტინეს ნაბოძვარის" მიხედვით, იმპერატორი კონსტანტინე თითქოს პაპმა სილიბისტრომ მონათლა და იგი საშინელი სნეულებისაგან განიკურნა. სამაგიეროდ, იმპერატორმა პაპს უბოძა საიმპერატორო ნიშნები, „ქალაქი რომი, იტალიისა და მთელი დასავლეთის ქვეყნები და ქალაქები", ხოლო თვითონ დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადავიდა. გამოდის, რომ პიპინმა პაპებს მხოლოდ დაუბრუნა ის, რაც მათ კანონიერად დამკვიდრებული ჰქონდათ კონსტანტინეს მიერ. ეს „თეორია" ცნობილი იყო თვით პიპინისათვის, მაგრამ ამის საწინააღმდეგო მას ჯერჯერობით არაფერი ჰქონდა, რადგან რომის პაპისა და ეკლესიის მხარდაჭერა მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ამგვარად, პიპინმა მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი ძალაუფლება. მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ფრანკებმა მოიპოვეს რამდენიმე გამარჯვება. 759 წელს მათ არაბებს წაართვეს ნარბონა და სეპტიმანია, 760—768 წლებში დაიმორჩილეს აკვიტანია. საქსებისა და ბავარელე-

ბის წინააღმდეგ წარმატებით ჩატარებულმა ბრძოლებმა განამტკიცეს ახალი კაროლინგური მონარქიის გავლენა ამ მხარეებში. იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში ფრანკთა მონარქიამ მოწინავე პოზიციები დაიკავა. ბიზანტიის იმპერატორი ცდილობდა პიპინთან დამოყვრებას, ბაღდადის ხალიფა კი — მასთან კავშირის დამყარებას ესპანეთის არაბების წინააღმდეგ. ხშირად რომის პაპები პიპინისაგან მოითხოვდნენ ამა თუ იმ სახის დახმარებას და ფრანკთა ეპისკოპოსების მეშვეობით მართავდნენ ახლად ჩამოყალიბებულ პაპების სამეფოს.

ფრანკთა მონარქიის პოლიტიკური ვითარება 768 — 814 წლებში

პიპინმა გარდაცვალების წინ ფრანკთა მონარქია თავის შვილებს შორის გაანაწილა. უფროს შვილს, კარლოსს (შემდეგ კარლოს დიდად წოდებულს) სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გადაეცა. ამგვარად, კარლოსის სამეფოში შევიდა ავსტრაზია, ჩრდილოეთის ნეისტრია და აკვიტანიის დიდი ნაწილი. პიპინის მეორე შვილს, კარლომანს, წილად ხვდა სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავდა სამხრეთ ნეისტრიას, ბურგუნდიას, პროვანსს, ელზასს, ალემანიას, ტიურინგიას, ჰესენსა და ზოგიერთ სხვა მხარეს.

პიპინის შვილების მმართველობა თავიდანვე წინააღმდეგობის შემცველი აღმოჩნდა. ძმათა შორის უთანხმოება გამომჟღავნდა ჯერ კიდევ 769 წელს. ამ დროს ჰუნოლდის (ჰუნალდი) ხელმძღვანელობით აკვიტანიაში მოხდა აჯანყება. ეს ჰუნოლდი აკვიტანიის ჰერცოგად იყო ჯერ კიდევ კარლოს მარტელის ჟამს. მან მიიღო მონაწილეობა გრიფოს აჯანყებაში, რომლის ჩაქრობის შემდეგ მალე ბერად აღიკვეცა, ხოლო პიპინის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა აკვიტანიის აჯანყებას, რომელიც მიმართული იყო კარლოსის მმართველობის წინააღმდეგ. კარლოსმა დახმარებისათვის ძმას მიმართა, მაგრამ კარლომანმა, იმის მომიზეზებით, რომ ეს აჯანყება მის ტერიტორიაზე არ მომხდარა, ძმას დახმარებაზე უარი უთხრა, კარლოსი იძულებული გახდა მარტო, საკუთარი ძალებით ჩაეხშო ეს აჯანყება. ძმათა შორის უთანხმოება უფრო მეტად ვლინდებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

ლანგობარდებისა და პაპებისადმი დამოკიდებულების საკითხში ძმებს შორის თავი იჩინა განხეთქილებამ. კარლომანის კარზე უფრო ძლიერ დაჯგუფებას წარმოადგენდა ის, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა ფრანკების კავშირს ლანგობარდებთან; ხოლო კარლოსის კარზე კი უმრავლესობა პაპებთან მეგობრობის დამყარებას მოითხოვდა. ამ საკითხის გარშემო ურთიერთობა ძმათა შორის იმდენად გამწვავდა, რომ მათი დედის—ბერტრადას საქმეში ჩარევა აუცილებელი გახდა ვინაიდან ბერტრადაც ლანგობარდებთან კავშირისაკენ იხრებოდა, ამიტომ

კარლოსი თავდაპირველად დათმობაზე წავიდა და იქორწინა კიდეც ლანგობარდების მეფის, დეზიდერიუსის ასულ დეზიდერატზე.

771 წელს გარდაიცვალა კარლომანი, რომელსაც მცირეწლოვანი შვილები დარჩა. კარლოსი შეიარაღებული ძალებით შეიჭრა ძმის სამფლობელოში და მისი დიდებულები აიძულა გაფართოებულ კრებაზე იგი გაერთიანებული სახელმწიფოს მეფედ აერჩიათ. კარლომანის ქვრივი თავისი ბავშვებითა და ზოგიერთი თანმხლებით გაიქცა იტალიაში და თავი დეზიდერიუსის კარს შეაფარა. დეზიდერიუსმა ისინი თავის მფარველობაში მიიღო, რადგანაც მანამდე კარლოსი მის ქალიშვილს გაშორდა და ცოლად ალემანელი ქალი შეირთო. დეზიდერიუსმა რომის პაპს ადრიანეს (ჰადრიანე I) მოსთხოვა კარლომანის შვილების მეფედ კურთხევა და როცა ამაზე უარი მიიღო, შეიჭრა ეგზარქატში. პაპმა დახმარებისათვის კარლოსს მიმართა.

773 წელს კარლოსმა ლანგობარდების წინააღმდეგ გაილაშქრა. დეზიდერიუსმა პიემონტის ველზე ჯარს დიდი რაოდენობით მოუყარა თავი, მაგრამ პაპის ინტრიგების წყალობით ლანგობარდები პანიკამ მოიცვა. დეზიდერიუსი პავიაში ჩაიკეტა. ფრანკებმა მას ალყა შემოარტყეს, კარლოსმა კი რომისაკენ გასწია. იქ მას მიესალმნენ როგორც „ფრანკებისა და ლანგობარდების მეფეს“ და ფიცი დადეს მის—როგორც პატრიციუსის — წინაშე. ამის საპასუხოდ კარლოსმა პიპინის მიერ პაპისათვის გაცემული „ნაბოძვარი“ ხელახლა დაამტკიცა.

დეზიდერიუსი იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა. იგი ოჯახითურთ გაიგზავნა ფრანკთა სამეფოში და იქ ერთ-ერთ მონასტერში იქნა მოთავსებული. იტალიიდან ფრანკების ჯარების გასვლის შემდეგ ლანგობარდების ჰერცოგებმა, კერძოდ, სპოლეტოს, ფრიულისა და ბენევენტოსამ, დაიწყეს ფრანკების წინააღმდეგ აჯანყება. საჭირო გახდა კარლოს დიდის ახალი გალაშქრება იტალიაში. ლანგობარდების ჰერცოგების დამარცხების შემდეგ კარლოსი თავს დაესხა ბავარიას, მოსპო იქ ჰერცოგობა და გრაფები დანიშნა მის მმართველად. მალე ლანგობარდიის მეფედ კარლოსმა თავისი შვილი პიპინი დანიშნა, რომელსაც ჯერ ოთხი წელიც კი არ შესრულებოდა.

ლანგობარდებთან ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ კარლოს დიდმა წამოიწყო ახალი ომი საქსებთან, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კარლოსი თავისი 46 წლის მეფობის განმავლობაში (768 — 814) უმეტეს დროს ომებში ატარებდა. იგი დიდი მხედართმთავარი და დამპყრობელი იყო. მან 50-ჯერ და უფრო მეტჯერაც მიიღო პირადი მონაწილეობა სხვადასხვა ლაშქრობაში. მის დროს ფეოდალიზაციის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფრანკთა მონარქია ყველაზე უფრო აგრესიული პოლიტიკის მატარებელი იყო. ფრანკთა სამეფოს ეს შეუჩე-

რებელი აგრესიულობა ფრანკების საშუალო და წვრილ მესაკუთრეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებით იყო გამოწვეული, რადგან ფრანკთა შეიარაღებულ ძალას ძირითადად ისინი წარმოადგენდნენ. კარლოს მარტელის მიერ სამხედრო რეფორმის ჩატარების შემდეგ მოლაშქრეები ბენეფიციუმის სახით მიწის ნაკვეთებს ღებულობდნენ. კარლოს დიდის დროს აღმოჩნდა, რომ ფრანკთა სამეფოს ძირითადი ოლქების მიწები უკვე გაცემული იყო. საეკლესიო მიწების ფონდი, რომლიდანაც ბენეფიციუმები ვასალებს ეძლეოდათ, ასევე ამოწურული აღმოჩნდა. ახალი ბენეფიციუმებისათვის მიწების მიცემა მხოლოდ დაპყრობების მეშვეობით იყო შესაძლებელი.

საქსები, რომელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული ფრანკთა ეს ახალი აგრესია, ცხოვრობდნენ ქვემო რაინის აღმოსავლეთი მიდამოებიდან ჩრდილოეთით — მდინარე ეიდერამდე. მეხუთე საუკუნის ბოლოს და მეექვსე საუკუნის დასაწყისში საქსების ერთი ნაწილი ანგლებთან და იუტებთან ერთად ბრიტანეთში გადასახლდა. კონტინენტზე დარჩენილი საქსების ყოფა-ცხოვრება დიდი ხნის განმავლობაში გვაროვნულ-თემური წყობილებით განისაზღვრებოდა. ამ წყობილების რღვევა და ფეოდალიზაციის პროცესი ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა. მათში მერვე საუკუნისათვის კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ იყო წარმოშობილი. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ საქსების სამართლის 41-ე მუხლის ძალით მემკვიდრეობა გადადიოდა ვაჟზე და არა ასულზე.

საქსთა საზოგადოებაში კლასები ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული და, ცხადია, მათ სახელმწიფო არა ჰქონდათ. გვარებსა და ტომებს მართავდნენ სახალხო კრებები და არჩეული უხუცესები. ბრძოლების დროს მათ სამხედრო ბელადებიც ჰყავდათ და ტომთა სამხედრო გაერთიანებაც ხდებოდა. საქსებში სოციალური დიფერენციაცია მხოლოდ მერვე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. თანდათან იქმნებოდა საგვარეულო არისტოკრატია ედელინგების სახით. ჩნდებოდნენ აგრეთვე ნახევრად თავისუფალი ლასები (ანუ ლაცები). საქსთა ძირითადი ფენები, რომლებიც დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, იყვნენ ფრილინგები.

საქსები იყოფოდნენ ოთხ შტოდ: ვესტფალებად, ოსტფალებად, ანგარიებად (ანგრივარიები, ენგრები) და ნორდალბინგებად. თითოეული მათგანის სათავეში ტომობრივი ჰერცოგები იდგნენ. ყველა ამ შტოთაგანი წარმართული რელიგიის მიმდევარი იყო. საქსები უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ და, ამასთან, როგორც დამატებით წყაროს, მიწათმოქმედებასაც. მსგავსად ტაციტუსის დროინდელი გერმანელებისა, საქსები ხშირად ესხმოდნენ თავს მეზობელ ხალხებს და ფრანკთა სამეფოს საზღვრებს.

როგორც ეინგარდი აღნიშნავს, ლანგობარდების დამარცხების შემ-

დეგ „ხელახლა ცაიწყო საქსონური ომი, რომელიც თითქოს დროებით იყო შეჩერებული“. და მართლაც, კარლოს დიდმა პირველი ლაშქრობა საქსებში დაიწყო ჯერ კიდევ 772 წელს. ეს ბრძოლა თავიდანვე ანგარიების წინააღმდეგ წარიმართა. ფრანკებმა მალე დაიკავეს საქსების გამაგრებული ადგილი — ერესბურგი. ანგარიები ბრძოლებში რამდენჯერმე დაამარცხეს, ნადავლის ხელში ჩაგდებისა და მათგან მძევლების მიღების შემდეგ ისინი უკან დაბრუნდნენ. ამის საპასუხოდ 774 წელს საქსები თავს დაესხნენ ჰესენს, გაძარცვეს იგი და შემდეგ ფრიზები დაარბიეს.

ეინგარდის მიერ აღწერილი ფრანკების ბრძოლები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული საქსების საბოლოო დაპყრობა, იწყება მხოლოდ 775 წლიდან. ეინგარდის თქმით: „ფრანკების ხალხს არ უწარმოებია არც ერთი ომი, რომელიც ასე ხანგრძლივი, ასეთი მძაფრი და ასეთ სიძნელეებთან დაკავშირებული ყოფილიყო“. ამჯერად საქსების სამი შტო (ვესტფალები, ოსტფალები და ანგარიები) ჩაება ომში. ფრანკების მათზე შეტევა იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ დამარცხებული საქსების ბელადები იძულებულნი გახდნენ კარლოსისათვის ზავი ეთხოვათ. ფრანკებმა დაიკავეს საქსების გამაგრებული ადგილები, მათ შორის ერესბურგი. კარლოსმა მძევლების გარდა საქსებისაგან გაქრისტიანებაც მოითხოვა. 777 წელს საქსების ზედაფენის წარმომადგენლებმა პადერბორნში კარლოსისადმი ერთგულების ფიცი დადეს, რის გამოც ისინი კარლოსმა უხვად დააჯილდოვა.

ამრიგად, კარლოსმა, საქსების ზედაფენის მოსყიდვის შედეგად, შეძლო საქსებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება და მათი დამორჩილება. საქსების ზედაფენა ამით თავის საქმესაც იკეთებდა. როგორც აღნიშნული იყო, საქსებში თემების რღვევა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც საქსების შეძლებულ ნაწილს თემების თავისუფალი წევრების დამორჩილება უძნელდებოდა. ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარ ფრანკთა სამეფოში საქსების მოქცევა მათშიც დააჩქარებდა ფეოდალიზაციის პროცესს.

რა თქმა უნდა, აღნიშნული გარემოება საქსების დაბალი ფენებისთვისაც ნათელი იყო, ამიტომ ფართო მასები წინააღუდგნენ დამპყრობლებსა და თავიანთ მოღალატე წარჩინებულებს. ზემოთ აღწერილსა და მომავალ ბრძოლებს კლასობრივი ხასიათი მიეცა. მასების ერთობლივმა გამოსვლებმა ზოგიერთი წარჩინებული საქსი აიძულა გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინა დამპყრობთა წინააღმდეგ. მალე მთელ რიგ აჯანყებათა ხელმძღვანელი ვესტფალელი ედელინგი და საქსთა ჰერცოგი ვიდუკინდი გახდა. აჯანყებანი დიდხანს გრძელდებოდა (778 — 785). აჯანყებულებს ფრიზების ნაწილიც შეუერთდა, მაგრამ კარლოსმა აჯან-

ყებულები სასტიკად დაამარცხა ვერდენთან. 785 წელს ციდიკუნდიც კარლოსის მხარეზე გადავიდა და ქრისტიანობა მიიღო. მისმა ნათლიამ, კარლოსმა უხვად დაასაჩუქრა იგი. უბოძა საქსონიის ჰერცოგობა და საკუთრად ანგარიების მიწები.

კარლოსმა საქსების მიერ დაკავებულ ადგილებში მკაცრი რეჟიმი დააწესა. ყოველივე წვრილმანი დანაშაულისათვისაც კი სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. კარლოს დიდის დროს ჩაწერილ საქსების სამართალში ხშირად გვხვდება ასეთი მაგალითები: „ვინც ოთახიდან მოიპარავს რასმე, სიკვდილით დაისჯება“ (მ. 33), „ვინც ღამით შეთხრის ან შეამტვრევს სხვის სახლს და მოიპარავს ორი სოლიდის რასმე, სიკვდილით დაისჯება...“ (მ. 32), „ვინც შემოღობილიდან სკას მოიპარავს, სიკვდილით დაისჯება“ (მ. 30), „ვინც ბოროტებას განიზრახავს ფრანკთა სამეფოს წინააღმდეგ ან მეფისა და მისი შვილების მკვლელობას, სიკვდილით დაისჯება“ (მ. 24), „ვინც ეკლესიაში მოკლავს კაცს, ან იქ მოიპარავს რასმე, ან გატეხს მას, ან შეგნებულად დადებს ცრუ ფიცს, სიკვდილით დაისჯება (მ. 21) და სხვ.

ყოველივე ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ არავის გაებედა ფრანკების ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლა და ქრისტიანობის ხელყოფა. ასეთ მკაცრ ღონისძიებათა მიღებით ფრანკებმა საქსების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიმორჩილეს. ფრანკების შემდგომი ბრძოლები მხოლოდ ნორდალბინგებისაკენ წარიმართა. ეს ბრძოლები 12 წლის განმავლობაში გრძელდებოდა (793—804). ისინი არანაკლებ მკაცრი ხასიათისა იყო. როგორც ეინგარდი აღნიშნავს, „ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, იგი (კარლოსი—გ. ტ.) გაუსწორდა ყველა იმას, ვინც მისთვის წინააღმდეგობის გაწევას იყო შეჩვეული. მან 10 ათასი კაცი იმათგან, ვინც ელბის ორივე ნაპირზე ცხოვრობდა, თავიანთი ცოლებითა და შვილებით აჰყარა, და ნაწილ-ნაწილ დაასახლა გალიისა და გერმანიის სხვადასხვა ოლქებში“.

იმ დროს, როცა განუწყვეტელი ბრძოლები წარმოებდა საქსების წინააღმდეგ, კარლოს დიდმა მოულოდნელი ლაშქრობა მოაწყო პირენეებზე. კარლოს მარტელის დროს არაბებთან დაწყებული ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. 778 წელს კარლოს დიდის მოულოდნელი ლაშქრობა არაბების წინააღმდეგ აიხსნება იმით, რომ ამ დროისათვის ესპანეთში დაიწყო შინაგანი ბრძოლები ესპანეთის ჩრდილოეთ მხარის—სარაგოსას მმართველსა და კორდოვას ამირას შორის. კარლოს დიდმა თავისი ჯარებით სასწრაფოდ გადალახა პირენეის ქედი და მალე დაიკავა რიგი ქალაქებისა, მაგრამ სარაგოსასთვის ბრძოლა მისთვის წარუმატებლად დამთავრდა.

როცა კარლოს დიდი თავისი ჯარებით უკან ბრუნდებოდა, რონსევალის ხეობაში მის არიერგარდს თავს დაესხნენ გასკონელები (ბასკები)

და გაანადგურეს იგი. ბრძოლებში დაიღუპა ფრანკთა რამდენიმე დიდებული, მათ შორის ბრეტანის მარკის გრაფი (britannici limitis praefectus). მისი სახელი ეინჰარდის თხზულებაში იხსენიება როგორც „ჰრუოტლანდ“ (Hruotland, Hruodland), რომლის ფრანგული ფორმაა „როლან“ (Roland). უკანასკნელის დაღუპვასთან დაკავშირებით შემდეგ შეიქმნა ეპიკური ნაწარმოები „როლანის სიმღერა“. ეინჰარდის აზრით, ფრანკების დამარცხება აიხსნებოდა იმით, რომ ბასკებს მსუბუქი, ხოლო ფრანკებს — მძიმე შეიარაღება ჰქონდათ და რადგან ადგილმდებარეობა, სადაც ბრძოლები გაიშალა, ხელს არ უწყობდა მძიმედ შეიარაღებულთა მოქმედებას, ამიტომ ბასკებმა გაიმარჯვეს.

ამის შემდეგ კორდოვას ამირამ „საღმრთო ომი“ გამოაცხადა ფრანკთა მონარქიის წინააღმდეგ. 788 წელს არაბები აკვიტანიაში შეიჭრნენ, მაგრამ კარლოსის შვილმა, ლუდოვიკუსმა, რომელიც ამ მხარის მესვეურად ითვლებოდა, შეძლო არაბების შეჩერება. 796 წელს კარლოსმა კვლავ წამოიწყო ომი არაბების წინააღმდეგ. ამჯერად ომი წარმატებით დამთავრდა. ფრანკებმა ესპანეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი (ებრომდე) დაიპყრეს და კარლოს დიდმა აქ „ესპანეთის მარკა“ ჩამოაყალიბა.

მერვე სუკუნის 90-იან წლებში კარლოს დიდმა ჩამოაყალიბა კიდევ ერთი მარკა, რომელსაც პანონიის, ანუ აღმოსავლეთის მარკა ეწოდებოდა. საქსონიის დაპყრობამ და ბავარიის შემოერთებამ ფრანკთა სამეფო სხვა ხალხების მეზობელიც გახადა. მდინარე ელბის მიდამოებში და ამ მდინარის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ სლავების სხვადასხვა ტომები, ხოლო თანამედროვე უნგრეთის ველებზე, პანონიაში, ნახევრად მომთაბარე ავარები ბინადრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სლავთა ტომები ფრანკთა სამეფოს მიმართ ერთგვარ მეგობრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ და ზოგიერთი მათგანი, მაგალითად ობოდრიტები (აბოდრიტები, ბოდრიჩები) ერთ ხანს კიდეც ეხმარებოდნენ ფრანკებს საქსებთან ბრძოლაში, კარლოს დიდი მაინც თავს დაესხა ლუჟიცების ტომებს (789 წ.), მათი ქვეყანა ააოხრა და აიძულა ისინი ეცნოთ მისი ძალაუფლება.

კარლოსის ლაშქრობის ძირითადი სიმძიმე გადატანილი იყო პანონიაზე, ავარების წინააღმდეგ. ეინჰარდის გადმოცემით, ამ ლაშქრობას უშუალოდ კარლოს დიდი ხელმძღვანელობდა. „და თუმცა ომი მათ (ე.ი. კარლოსისა და მისი ვაჟის პიპინის) მიერ ფრიად მედგრად სწარმოებდა, ის მაინც მხოლოდ მერვე წელს ძლივს დამთავრდა“. ეს ომი ფრანკებმა 791 წელს ორი მიმართულებით წამოიწყეს — ბავარიიდან და იტალიიდან. ბრძოლებში ავარების თითქმის ყველა წარჩინებული დაიხოცა, ფრანკებმა პანონიაში ხელთ იგდეს უდიდესი სიმდიდრე, ხოლო

დაპყრობილ ადგილებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პანონიის, ანუ აღმოსავლეთის მარკა ჩამოაყალიბეს.

ფრანკთა მონარქიის ასეთი მძლავრი ექსპანსია უმთავრესად ნაკარნახევი იყო ახალი მიწების ხელში ჩაგდების სურვილით. ბენეფიციუმების გაცემა მოითხოვდა სულ ახალ-ახალ მიწებს და ისიც დიდი რაოდენობით. ამ მიწების ფონდი ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა შეევსო უკვე დაპყრობილი მიწების შენარჩუნებით და ახალ დაპყრობათა წარმოებით. პირველი ამოცანა წარმატებით გადაწყვიტეს კარლოს მარტელმა და პიპინ მოკლემ, ხოლო მეორის გადაწყვეტა ძირითადად კარლოს დიდს ხვდა წილად. მან მთელი თავისი მეფობა ამ საქმეს მოანდომა. ეინჰარდის თქმით, კარლოს დიდის დროს ფრანკთა მონარქიის ტერიტორია ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე პიპინ მოკლეს ხანაში, მართალია ეინჰარდი აჭარბებს, მაგრამ ის მაინც ფაქტია, რომ კარლოს დიდმა მამისაგან მიღებული მემკვიდრეობა ერთნახევარზე მეტად გაზარდა.

ფრანკთა სახელმწიფომ ამ დროის საერთაშორისო ურთიერთობაში მოწინავე ადგილი დაიკავა. მასთან ქიშპობა მხოლოდ ბიზანტიას თუ შეეძლო. კარლოს დიდმა გადაწყვიტა ბიზანტიის შემოერთებაც. ეს გეგმა სისრულეში უნდა მოყვანილიყო კარლოსის ბიზანტიის დედოფალ ირინეზე დაქორწინებით, რომელმაც დაატყვევა და დააბრმავებინა თავისი შვილი, კონსტანტინე VI და თვითონ გამეფდა მის მაგიერ. ამ გარემოების გამო ბევრნი იმპერატორის ტახტს ვაკანტურად თვლიდნენ. მაგრამ ირინე მალე ტახტიდან გადმოაგდეს და ამიტომ კარლოსის ეს გეგმაც განუხორციელებელი დარჩა. მიუხედავად ამისა, კარლოსის ავტორიტეტი მაინც გაიზარდა. კარლოსთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად აახენში მიემართებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩები. მასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ასტურიის მეფე ალფონსო II, შოტლანდიის მეფეები და სხვ.

კარლოსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა აღმოსავლეთზეც. პალესტინის ე. წ. „წმინდა ადგილები", რომლებიც ადრე ბიზანტიის მფარველობაში იმყოფებოდა, ეინჰარდის მიერ ჩაწერილი თქმულების მიხედვით, კარლოსს გადაეცა. მაგრამ ეინჰარდის მტკიცება, თითქოს ჰარუნ-არ-რაშიდმა მჭიდრო კავშირი დაამყარა კარლოსთან, სინამდვილეს არ შეეფერება, და სპილო, რომლის სიკვდილი აღინიშნა ფრანკების მატიანეში, ჰარუნ-არ-რაშიდის მიერ კი არ იყო გამოგზავნილი, არამედ მოყვანილ იქნა აღმოსავლელი ვაჭრების მიერ. უტყობა, ფრანკთა მონარქიის სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ერთგვარად მნიშვნელოვანი გახდა.

კარლოს დიდთან უფრო ახლო ურთიერთობაში რომის პაპები აღ-

მოჩნდნენ. ახალი პაპი ლეო III, რომელიც 795 წელს ეკურთხა, არ სარგებლობდა რომის წარჩინებულთა მხარდაჭერით. მის წინააღმდეგ უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. ერთხელ მას ქუჩაშიც კი სცემეს. პაპმა დახმარებისათვის კარლოსს მიმართა და 799 წელს თავი შეაფარა ფრანკთა მეფეს პადერბორნში. კარლოსმა პადერბორნიდან პაპი შეიარაღებული მცველების თანხლებით რომში დააბრუნა. 800 წელს კარლოსი თვითონაც გამოცხადდა რომში და პაპის ხელთაგან იმპერატორის ტიტული მიიღო. ამ გარემოების გამო ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება წარმოიშვა.

ცხადია, იმპერატორის ტიტულის მიღებას კარლოსი ადრევე ცდილობდა, რადგან ეს გარემოება მის ავტორიტეტსა და გავლენას უფრო მეტად გაზრდიდა. მეორე მხრივ, ახლა პაპი ლეო III შეეცადა კარლოსისათვის ამ ტიტულის მინიჭება მისი ინიციატივით მომხდარიყო. ისარგებლა რა კარლოსის რომში ყოფნით, 800 წლის შობა დღეს (25 დეკემბერი), როცა კარლოსი წმ. პეტრეს ტაძარში სალოცავად იმყოფებოდა, პაპმა მას მოულოდნელად თავზე საიმპერატორო გვირგვინი დაადგა. კარლოსი ამით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ იმპერატორის ტიტული მაინც მიიღო.

პაპის საქციელით გამოწვეული კარლოსის უკმაყოფილება უსაფუძვლო არ იყო, რადგან შემდგომ ეს არგუმენტი პაპებმა არაერთხელ გამოიყენეს საერო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ხელსაყრელ შემთხვევებში ისინი ყოველთვის მოხერხებულად სვამდნენ საკითხს: „განა საიმპერატორო გვირგვინი ნაბოძები არ იყო პაპის მიერ და განა ის, ვინც უბოძებს, უფრო მაღლა არა დგას იმაზე, ვინც ნაბოძებს მიიღებს?“ ამით მათ უნდოდათ ეთქვათ, რომ სასულიერო (პაპის) ხელისუფლება მაღლა დგას საერო (სამეფო) ხელისუფლებაზე.

კარლოსმა, ახლად მიღებული საიმპერატორო ტიტულის განმტკიცების მიზნით, დიპლომატიური მოლაპარაკება აწარმოა ბიზანტიასთან, მაგრამ ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა ნიკიფორემ მისი პრეტენზია უკანონოდ ცნო, რის გამოც ურთიერთობა ფრანკთა მონარქიასა და ბიზანტიას შორის რამდენიმე წლის მანძილზე შეწყდა. მაგრამ იმ დროს, როცა ბიზანტია დიდ გაჭირვებას განიცდიდა არაბებთან და ბულგარელებთან ბრძოლებში და თანდათანობით სუსტდებოდა, ფრანკთა მონარქია ძლიერდებოდა. ამიტომ კარლოს დიდის გარდაცვალების წინა წლებში ბიზანტია მაინც იძულებული გახდა კარლოსისათვის „ბასილევსის“ ტიტული მიენიჭებინა.

§ 3. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერება და ფრანკების სამეფოს დაშლა

კარლოს დიდის იმპერიის ფეოდალური ხასიათი

ახლად შექმნილი იმპერია, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორია ეკავა, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით არ იყო ერთგვაროვანი. იმპერიის სხვადასხვა ნაწილში ფეოდალიზაციის პროცესი სხვადასხვა ტემპით ვითარდებოდა, ნეისტრიაში, როგორც აღნიშნული იყო, მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება ადრევე დაიწყო და VIII საუკუნის ბოლოსთვის ფეოდალიზაციამ განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია. ავსტრაზია ამ მხრივ შედარებით დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა. აქ წვრილი მიწათმფლობელობა და თავისუფალი გლეხობა უფრო იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება საქსონიას და ზოგიერთ სხვა ადგილს, იქ ფეოდალიზაციის პროცესი ახლად იყო დაწყებული და თავისუფალ გლეხთა დაყმევება უმნიშვნელო რაოდენობით ხდებოდა.

კარლოს დიდის დაპყრობებმა მნიშვნელოვნად დააჩქარეს ფეოდალიზაციის პროცესები არა მარტო ნეისტრიაში, არამედ სხვა ნაწილებშიც, რადგან ფრანკთა სახელმწიფოებრივი აპარატი ახლად წარმოქმნილი ფეოდალური კლასის იარაღს წარმოადგენდა, ბუნებრივია, რომ მისი პოლიტიკა დაპყრობილ ადგილებშიც ფეოდალური კლასის ინტერესების შესაბამისად უნდა წარმართულიყო. დაპყრობილ ადგილებში ყველგან ხდებოდა მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა ფრანკი ფეოდალებისათვის. ეს განსაკუთრებით ითქმის საქსონიაზე, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით ნორდალბინგები) კარლოსმა დასახლებული ადგილებიდან აყარა და იმპერიის სხვადასხვა ნაწილში გადაიყვანა.

ბენეფიციუმის გაცემა, ვასალიტეტის განვითარება, იმუნიტეტის მინიჭება, თავისუფალ გლეხთა მასობრივი დაყმევებისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფოებრივი აპარატის დაუცხრომელი ბრძოლა უშუალო მწარმოებელთა მიმაგრების საქმეში და სხვა — აი, ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალური იმპერიისათვის. კარლოს დიდი მის მიერ გაცემულ უამრავ კაპიტულარში დაუცხრომლად ზრუნავდა გაქცეული სერვების თავიანთ ბატონებთან უკან დაბრუნებისათვის.

ამრიგად, კარლოს დიდის იმპერია, თავისი არსით მთლიანად ფეოდალურ დაწესებულებას წარმოადგენდა. ამ მხრივ დამახასიათებელია კიდევ ერთი გარემოება. 802 წელს კარლოსის, როგორც იმპერატორისადმი დადებულ ფიცში მოცემულია ერთგულების პირობა, რომელიც გულისხმობს, რომ მისი ვასალი ვალდებულია მის წინაშე ისევე, როგორც „რომელიმე კაცი (homo) ვალდებულია თავისი ბატონის მიმართ". გამოდის, რომ იმპერიის ქვეშევრდომის ერთგულება გათანაბრებულია

იმ ერთგულებასთან, რომელიც ვასალს თავისი სენიორის მიმართ უნდა ჰქონდეს, ეს კი, თავის მხრივ, გვიჩვენებს, თუ რამდენად იყო გავრცელებული იმ დროს ვასალურ-სენიორული დამოკიდებულება.

იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიის მართვა-გამგებლობა მოითხოვდა ადმინისტრაციული აპარატის რეორგანიზაციას. მეროვინგების დროინდელი სახელმწიფოებრივი აპარატი მისი რაზმეულებითა და მინისტერიალებით ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას. ამასთან, საჭირო იყო მმართველობის უფრო მეტად ცენტრალიზაცია. კარლოს დიდის დროს მმართველობის ცენტრი იყო სამეფო სასახლე, პალაციუმი. იქ იმყოფებოდნენ: პალაციუმის გრაფი (უმაღლესი მოსამართლე და იმპერატორის მოადგილე იმპერატორის არყოფნის დროს), კამერარიუსი (სამეფო ხაზინის უფროსი), „საჯინიბოს გრაფი" (comes stabuli, საიდანაცაა წარმომდგარი ფრანგული სახელწოდება: „კონეტაბლი", შესაბამისი ქართული „ამილახორისა" — სამეფო ცხენოსანთა რაზმების გამგებელი) და სხვ.

იმპერია, ისევე როგორც მეროვინგების დროს, დაყოფილი იყო ცალკე საგრაფოებად. IX საუკუნის დასაწყისისათვის მასში სულ 98 საგრაფო მოითვლებოდა. თითოეულ საგრაფოს ხელმძღვანელად გრაფი იყო დანიშნული. გრაფების მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა საგრაფოში სასამართლოების ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება, გადასახადებისა და ჯარიმების აკრეფა, ჯარების გაყვანა ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად და სხვ. გრაფს ჰყავდა მოადგილე (ვიცე-გრაფი), ანუ ვიკარიუსი.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, არსებობდა, აგრეთვე, მარკები (უმთავრესად საზღვრების მახლობლად მდებარე ადგილებში). მათ ხელმძღვანელებად დანიშნულნი იყვნენ მარკგრაფები, რომლებიც უფრო მეტი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, ვიდრე ჩვეულებრივი გრაფები. მათ უფრო მეტი დამოუკიდებლობა ენიჭებოდათ ცენტრიდან. მტრის თავდასხმის შემთხვევაში ისინი ვალდებულნი იყვნენ დაუყოვნებლივ წამოეწყოთ ბრძოლები და მარკის თავდაცვითი ღონისძიებანი ჩაეტარებინათ. კარლოს დიდის დროს იმპერიაში რამდენიმე მარკა იყო დაარსებული, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია მარკები: ესპანეთის, ბრეტანის, ფრიულის, პანონიის, ანუ ბავარიის, დანიისა და სორბული.

როგორც მარკგრაფი, ისე გრაფი გასამრჯელოდ საგრაფოდან სახელმწიფო შემოსავლის ერთ მესამედს ღებულობდა. გარდა ამისა, სამეფო ხელისუფლების სამსახურში ყოფნის დროს მათ მეფისაგან მიწები ეძლეოდათ ბენეფიციუმების სახით, რისთვისაც ვასალური ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ იმპერატორის წინაშე. თითოეული საგრაფო, თავის მხრივ, ასეულებად იყო დაყოფილი. მათ ხელმძღვანელებად გრაფე-

ბის მიერ ასისთავები ინიშნებოდნენ. ეს უკანასკნელნიც გასამრჯელოში ბენეფიციუმებს ღებულობდნენ, ოღონდ შედარებით უფრო ნაკლები მიწის ფართობის შემცველს.

გრაფები, გარდა იმისა, რომ მეფისაგან ნაბოძებ ბენეფიციუმებს ფლობდნენ, ყოველთვის ცდილობდნენ გამდიდრებულიყვნენ საგრაფოს მოსახლეობის ხარჯზე. ისინი ეკონომიკური და ადმინისტრაციული საშუალებებით აიძულებდნენ ცალკეულ პირებს საკუთარი მიწები დაეთმოთ და თვითონ მათ ყმებად გადაქცეულიყვნენ. ამ საშუალებით ეკონომიკურად გაძლიერებული გრაფები ცდილობდნენ სამეფო ბენეფიციუმები თავიანთ სამემკვიდრეო სამფლობელოდ, ანუ ფეოდად (ლენად) გადაექციათ. უფრო მეტიც, მათ კარლოს დიდის მემკვიდრეების მმართველობის ჟამს მიაღწიეს თავიანთი თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევას და უკვე 877 წლის კერსის კაპიტულარის მიხედვით, როგორც წესი, გრაფობა მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა. ამგვარად, ბენეფიციუმის სისტემა „ფეოდის" სისტემით შეიცვალა. ტერმინი „ფეოდალიზმიც" აქედანაა წარმომდგარი.

მაშასადამე, თვით საგრაფო ფეოდალურ სამფლობელოდ გადაიქცა. საგრაფოების ფეოდალიზაცია სხვა მხრივაც გამომჟღავნდა. საგრაფოებისა და ასეულების კრებებზე ახლა სკაბინების (შეფენების) ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, რომელმაც შეცვალა მეროვინგების დროის რახინბურგები. თუ ადრე რახინბურგები უმთავრესად მიწათმფლობელების წარმომადგენელნი იყვნენ და „არჩევის" წესით მონაწილეობდნენ ამ კრებებზე, ახლა მათი ფუნქციები თანამდებობად გადაიქცა. მეფის „წარგზავნილების" მიერ ამ თანამდებობებზე სკაბინები ინიშნებოდნენ, რა თქმა უნდა, კვლავ შეძლებულთა ფენიდან. სკაბინობაც, ისე როგორც გრაფობა, სამემკვიდრეო გახდა და მამიდან შვილზე გადადიოდა.

იმპერიაში სამოსამართლო და ადმინისტრაციული ხაზით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, აგრეთვე, ეპისკოპოსები, რომლებიც პირადად მეფის მიერ იყვნენ დანიშნულნი; ეპისკოპოსების დანიშვნაში რომის პაპებს აღარ შეეძლოთ ჩარევა; ადგილობრივ მმართველობაზე კონტროლის გაწევის მიზნით მეფე გამოყოფდა თავის საგანგებო ზედამხედველ მოხელეებს ე. წ. „მბრძანებლის წარგზავნილებს" (missi dominici). ჩვეულებისამებრ, ერთად ორი კაცი იგზავნებოდა ადგილზე მუშაობის შესამოწმებლად. ერთი მათგანი უთუოდ უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე — საერო ხასიათის მოხელე. მეფის წარგზავნილების ერთ-ერთი მიზანი იყო ცენტრალური ხელისუფლების პერიფერიებთან დაკავშირება და მეფის ბრძანებულებათა, ანუ კაპიტულარების ცხოვრებაში სწორად გატარების შემოწმება. ჩვენამდე კარლოს დიდის მიერ გაცემული კაპიტულარებიდან მხოლოდ ნაწილმა მოაღწია.

კარლოს მარტელისა და პიპინ მოკლეს მიერ მიწათმფლობელობაში ჩატარებულმა ღონისძიებებმა (საერო პირების მიწების ნაწილის კონფისკაცია, საეკლესიო მიწების ნაწილის სეკულარიზაცია და სხვ.) მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა ერთხანად თითქოს ნაწილობრივ შეაფერხა. მაგრამ, როგორც ენგელსი აღნიშნავდა, ეკლესიამ მალე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. დიდი რაოდენობით შეწირულებებმა კვლავ იწყეს დენა ტაძრებსა და მონასტრებში. „ეროსა და გრდემლს" შორის მოქცეული წვრილი მესაკუთრე გლეხობა დიდ გაჭირვებაში აღმოჩნდა. კარლოს დიდისა და მისი მემკვიდრეების დროს გლეხობის უმრავლესობა გაღატაკდა და ბევრი მათგანი ახლა იძულებული გახდა თავისი მეურნეობით ეპისკოპოსის კვერთხის მფარველობის ქვეშ გადასულიყო.

ერთ-ერთი ბურჟუაზიული მკვლევრის თქმით, ჭეშმარიტად საზიზღარი იყო ის საშუალებანი, რომელთაც ეკლესია იყენებდა იმ მიზნით, რათა მოსახლეობა აიძულებინა გაეღო შეწირულობა. თუ „ციური ნეტარება" და „ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება" მოსახლეობაზე აღარ ახდენდა რაიმე შთაბეჭდილებას, მაშინ შორეული ადგილებიდან რელიკვიებს, ე. წ. „წმინდანთა ნაწილებს" ეზიდებოდნენ, რათა ამ საშუალებით მოეხდინათ ხალხზე ზეგავლენა. ეს „წმინდანთა ნაწილები" ერთი ეკლესიიდან მეორეში გადაჰქონდათ და მათთვის ახალ ეკლესიებსაც აშენებდნენ: ყველაზე უფრო სასწაულმოქმედ მონასტრად ის ითვლებოდა, რომელშიც განთქმული „წმინდანის ნაწილი" ეგულებოდათ.

სუასონის მონასტრის—სენ-მედარის წარმომადგენლებმა დიდი ვაი-ვაგლახით და თხოვნა-მუდარით შეძლეს რომში წმ. სებასტიანეს ნეშტის მიღება და რომიდან წამოსვლისას წმ. გიორგის ნეშტის ნაწილებიც მოიპარეს. მათ მალე რომიდან დაედევნენ და გზაში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. წმ. გიორგის ნეშტის მოტანამ ხალხში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მონასტრის მიდამოებს მოსახლეობა კალიასავით მოედო. დახმარების მიღების მაძიებლები „იკურნებოდნენ" არა ცალ-ცალკე, არამედ ჯგუფ-ჯგუფად. ამის გამო შემოწირული თანხების დათვლას ბერები ვეღარ ახერხებდნენ და მათი გამოანგარიშება დაიწყეს სპეციალური საწყაებით, რომლებიც მათ 85-მდე გააჩნდათ. არსებული ცნობების მიხედვით, მონასტრის ოქროს მარაგმა 900 გირვანქამდე მიაღწია.

თუ რამდენად მოახდინა ეკლესიამ მიწების თავის ხელში კონცენტრაცია შემოწირულებათა მეშვეობით, თვალსაჩინოდ ჩანს ენგელსის მიერ განხილული მაგალითებიდან. სენ-ჟერმენ-დე-პრეს მონასტერი (ამჟამად პარიზის ფარგლებშია მოქცეული) IX საუკუნის დასაწყისში 8000

მანსს, ანუ ჰუფს ფლობდა. ეს დაახლოებით 429987 ჰექტარ მიწას უდრიდა. ამ მიწების წლიური შემოსავალი ერთ მილიონ ფრანკს, ანუ 800000 მარკას აღწევდა. დაახლოებით ამავე ხანებში ტურის, სენ-დენის, ლიუკსეის და სენ-მარტენის მონასტრები 45000 მანსს ფლობდნენ, რაც დაახლოებით 800000 ჰექტარ მიწას შეადგენდა, რომლის შემოსავალი, თძნხაზე გადატანით, მილიონნახევარ მარკას აღემატებოდა.

მაგრამ, როცა მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასა და განვითარებას ვეხებით, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მსხვილი მიწათმფლობელობა აღარ წააგავდა რომაულ ლატიფუნდიას. პირველი საფუძველიანად განსხვავდებოდა მეორისაგან. მის დასაყრდენს მიწაზე ფეოდალური კერძო საკუთრება წარმოადგენდა. მეფის ან რომელიმე მსხვილი მაგნატის მიერ თავისი ვასალებისადმი გაცემული დიდი ბენეფიციუმები უკანასკნელთა მიერ უფრო წვრილ ბენეფიციუმებად ნაწილდებოდა და ეძლეოდათ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ვასალებს. ამგვარად, ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე დროს ვასალიც იყო და სენიორიც. იქმნებოდა ფეოდალური იერარქია, კიბე, რომლის სათავეში მეფე იდგა. მეფის უშუალო ვასალებად მსხვილი მაგნატები — ჰერცოგები, გრაფები, მარკგრაფები (მარკიზები), არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და სხვანი ითვლებოდნენ. ამ უკანასკნელთა ვასალები ბარონები იყვნენ, ხოლო მათ ვასალებს უფრო წვრილი ფეოდალები — რაინდები წარმოადგენდნენ. რაინდებით თავდებოდა ფეოდალური იერარქია, გლეხები სრულფასოვან ადამიანებად არ ითვლებოდნენ.

მიწის ფეოდალურ კერძო საკუთრებაზე დამყარებული ურთიერთობა სენიორსა და ვასალს შორის, ერთი შეხედვით, თავისუფალ და ორმხრივ ნებაყოფლობით შეთანხმებას გულისხმობდა. ერთიმეორის მიმართ ორივე მხარე გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობდა. ვასალი სენიორის მფარველობაში შედიოდა, მიენდობოდა თავის სენიორს, ეფიცებოდა მას ერთგულებას და პირობას აძლევდა, რომ ყოველგვარ ბრძოლაში გაჰყვებოდა. სენიორი, თავის მხრივ, ჰპირდებოდა ვასალს მზრუნველობის გაწევას. თუ სენიორი პირობას დაარღვევდა, შეეცდებოდა თავისი ვასალის მოკვლას ან მისი ცოლისა და ქალიშვილის გაუპატიურებას, ანდა მას სამემკვიდრეო ქონებას ჩამოართმევდა და სხვა, ვასალს უფლება ჰქონდა თავისი სენიორისათვის თავი მიეუნებებინა და და სხვის მფარველობაში შესულიყო.

სხვის მფარველობაში გადასული ვასალი თავისი ბენეფიციუმით ახალ სენიორზე იყო უშუალოდ დამოკიდებული. უფრო გვიან, როცა ბენეფიციუმი ფეოდად იქცა, წესად შემოიღეს, რომ რომელიმე სენიორისაგან წასული ვასალი, თავის ფეოდთან ერთად, თავისი ყოფილი სენიორის სენიორზე, ანუ სიუზერენზე უნდა ყოფილიყო უშუალოდ დამოკიდებული. მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი ვასალურ-სენიორული და-

შოკიდებულებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა უფრო გვიან, XIII საუკუნის დასაწყისში. 1200 წელს ინგლისის მეფე ჯონ „უმიწაწყლომ“ თავის ვასალს გრაფ დე ლა-მარშს საცოლე მოსტაცა და მასზე იქორწინა. ვასალურ-სენიორული წესის ასეთმა დარღვევამ აკვიტანიის საჰერცოგოს ვასალები აალანყა, რის შედეგადაც მათ თავიანთი ვასალური დამოკიდებულება საფრანგეთის მეფე ფილიპ-ოგიუსტზე გადაიტანეს, რადგან ფილიპ-ოგიუსტი, თავის მხრივ, ჯონის სიუზერენად ითვლებოდა იმ მიწების გამო, რომლებიც უკანასკნელს მიღებული ჰქონდა საფრანგეთის მეფისაგან.

ინგლისის მეფის მიერ ბრეტანის გრაფის არტურის (ჯონის ძმისწულისა და ვასალის) მკვლელობამ ფილიპ-ოგიუსტს მისცა საბაბი საქმეში ჩარეულიყო და თვითონ ჩაეგდო ხელში ანჟუის ლენები (ანუ ფეოდები). ამრიგად, ბენეფიციუმის ან ფეოდის კონფისკაცია ხდებოდა არა მარტო ვასალის მიერ მიცემული ფიცის დარღვევის შემთხვევაში, არამედ სენიორის ღალატის დროსაც, თუმცა, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში პირობის დარღვევა დამოკიდებული იყო არა არსებული ფეოდალური წეს-ჩვეულების დარღვევაზე, არამედ იმაზე, თუ ვინ რა ძალის მქონე იყო.

სენიორისა და ვასალის ზემოხსენებული ურთიერთობა, ანუ ვასალიტეტი, თავდაპირველად არ იყო რაიმე წერილობითი დოკუმენტით ან სათანადო კანონით ფიქსირებული. უფრო მეტიც, იგი კერძო აქტს წარმოადგენდა და ცალკეული პიროვნების სურვილზე იყო დამოკიდებული. მაგრამ შემდეგ, როცა კაროლინგების დროს სამხედრო ვასალიტეტი ფრანკების საზოგადოებრიობის ძირითად მოვლენად გადაიქცა, ვასალურ-სენიორულმა დამოკიდებულებამაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. უკვე კარლოს დიდის შვილიშვილმა შარლ მელოტმა 847 წელს გაცემულ ბრძანებაში მოითხოვა: „ჩვენს სამეფოში ყველა თავისუფალმა კაცმა თავისთვის სენიორი გაიჩინოს, ვისაც იგი ისურვებს, ჩვენი ან ჩვენი ვასალების სახით“.

ვასალიტეტის არსებობა პირველ ხანებში მნიშვნელოვნად უადვილებდა სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს, რადგან სენიორი პასუხს აგებდა თავისი ვასალების მოქმედებაზე და, რაც მთავარია, შეიარაღებული ძალების ორგანიზაციას ახდენდა. ვასალები თავიანთ სენიორებს ემორჩილებოდნენ და სხვა სენიორს — თუ გინდ ეს მისი ვასალის ვასალები ყოფილიყვნენ — არ ჰქონდა უფლება ამ ვასალების უშუალო სენიორის გარეშე მისი ვასალები თვითონ მოემსახურებინა. აქედან შეიქმნა ფეოდალური დევიზი — „ჩემი ვასალის ვასალი არაა ჩემი ვასალი“.

ვასალიტეტის ეკონომიკური საფუძველი ფეოდალური კერძო საკუთრების შემდგომი განვითარების შედეგად წარმოიქმნებოდა. ჩვენ

უკვე აღვნიშნეთ, რომ ბენეფიციუმი ფეოდის, ანუ ლენის ჩანასახს წარმოადგენდა. ფეოდი იმით განსხვავდებოდა ბენეფიციუმისაგან, რომ იგი სამემკვიდრეო მფლობელობაში იმყოფებოდა. დროთა განმავლობაში ბენეფიციუმის პატრონები ბრძოლას აწარმოებდნენ ბენეფიციუმის ფეოდად გადაქცევისათვის. თუ კარლოს დიდის გამეფებამდე ეს პროცესი ახლად იწყებოდა, უკვე XI საუკუნეში სიტყვა ბენეფიციუმი აღარ გვხვდება. იგი მთლიანად ფეოდმა შეცვალა. მაგრამ ფეოდის საბოლოო გაბატონება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს მოხდა: საფრანგეთში — IX — X საუკუნეებში, გერმანიაში — XI — XII საუკუნეებში და ა. შ.

იმ მიწებს შორის, რომლებიც ფეოდების სახით სენიორის მიერ სამხედრო და სხვა მომსახურებისათვის გაიცემოდა, ორგვარი სახე შეიმჩნეოდა: ჩვეულებრივი ფეოდი და სენიორია. სენიორია ისეთ ფეოდს ეწოდებოდა, რომლის მიღებაც, გარდა სამხედრო მოვალეობისა, დაკავშირებული იყო, აგრეთვე, ადმინისტრაციულ, სახელმწიფოებრივ ან პოლიტიკურ საქმიანობასთან. ასეთი ფეოდის პატრონი მეფის რომელიმე დიდი მოხელის ვალდებულებასაც ასრულებდა, რაც შეეხება ჩვეულებრივ ფეოდს, იგი სამხედრო მოვალეობის შემსრულებელს ეძლეოდა.

სხვადასხვა დამსახურებისათვის გავლენიან ფეოდალებს მეფისაგან ე. წ. იმუნიტეტი, ანუ შეუვალობა ენიჭებოდათ. ფეოდალის მამულში, რომელსაც იმუნიტეტი ჰქონდა მინიჭებული, მეფის მოხელეების შესვლა და მათ მიერ იქ რაიმე საკითხის გადაწყვეტა იმუნისტის დაუკითხავად აკრძალული იყო. სენიორ-მემამულეს თავისი საკუთარი სასამართლო ჰქონდა და მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფა, სამხედრო ვალდებულებების მოხდა და სხვ., ფეოდალის უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა. ამგვარად, იმუნიტეტის მქონე მსხვილი მიწათმფლობელის კერძო ძალაუფლება ღებულობს სახელმწიფოებრივ ხასიათს, ხოლო მისი მამული იქცევა შემოფარგლულ პატარა სამეფოდ, რაც შემდეგ ფეოდალური საზოგადოების ძირითად უჯრედად გადაიქცა. ეს იყო სრული იმუნიტეტი. იმუნიტეტი შეიძლებოდა ნაწილობრივიც ყოფილიყო; მაგალითად, იმუნიტეტის მიღება მხოლოდ გადასახადების აკრეფაში და სხვ.

როგორც სენ-ჟერმენის, რეიმსის და სხვა პოლიპტიკებიდან (საეკლესიო-სამონასტრო მამულების აღწერილობებიდან) ჩანს, ფეოდალის მამული კაროლინგების დროს ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: საბატონო კარ-მიდამოსა და საბატონო მიწისაგან, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სოფლისაგან, სადაც ყმების ნაკვეთები მდებარეობდა. მამულის საბატონო ნაწილი შედგებოდა მემამულის სახლისაგან და სამეურნეო შენობებისაგან, რომელთა შორის სახელოსნოებიც იყო. აქ მუშაობდნენ მამაკაცები და ქალები მემამულისა და მისი ოჯახის მოთხოვნი-

ლებათა დასაკმაყოფილებლად. მამულის ამ ნაწილში გაშენებული იყო წისქვილი და მემამულის საკუთარი, ანუ კარის ეკლესია. ცალკე იყო აგებული შენობები შინაური პირუტყვისა და ფრინველისათვის. მემამულის კარ-მიდამოს ჰქონდა ბაღ-ბოსტნები და ვენახები. საბატონო მეურნეობა სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე იყო განლაგებული. ეს მიწის ნაკვეთები გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილებში. მიწის დაქსაქსულობის ასეთ პირობებში თესლბრუნვა იძულებით ხასიათს ღებულობდა. საბატონო მიწის ნაკვეთები მუშავდებოდა ბეგარის წესით და ყმების საწარმოო საშუალებებით.

როგორც აღვნიშნეთ, მამულის მეორე ნაწილი საბატონო სოფლისაგან შედგებოდა. გლეხების მიწები საგლეხო ნაკვეთებად იყო დაყოფილი. ამ ნაკვეთებს საფრანგეთში მანსი, ხოლო გერმანიაში ჰუფი ეწოდებოდა. გლეხური მიწების, ანუ ნაკვეთების ფართობი სხვადასხვა იყო, დაწყებული პატარა სახნავი მიწის ნაკვეთით ან ვენახით და დამთავრებული 15 ჰექტარი მიწის ფართობით. ასეთ დიდ ნაკვეთებზე უმრავლეს შემთხვევაში რამდენიმე გლეხური ოჯახი იყო დასახლებული, რაც მოწმობს იმას, რომ ერთ დროს არსებული დიდი ოჯახი, შემდეგ რამდენიმე ნაწილად გაიყო.

გლეხური მანსების მიწის ნაკვეთები ასევე გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილებში, ამიტომ თემ-მარკის მიერ წინასწარ გადაწყვეტილი იყო, თუ ვის რომელ მიწაზე რა უნდა დაეთესა. დადგენილი იყო ისიც, თუ რა დროს და რა ადგილებზე უნდა მომხდარიყო ჭირნახულის ერთდროულად აღება. ეს იყო თავისებური წესი, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა (მემამულის ჩათვლით). გლეხები სარგებლობდნენ აგრეთვე ალმენდის (თემის) განუყოფელი საერთო საძოვრებითა და ტყეებით. ამრიგად, მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასთან ერთად თემი-მარკა თავისი იძულებით თესლბრუნვითა და ადგილ-მამულებით კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ იგი დამოკიდებული გლეხების ერთგვარ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც მემამულის დამხმარე საშუალება უფრო იყო. თემი სათემო კრებებზე იხილავდა არა მარტო სამეურნეო საკითხებს, არამედ ღალის აკრეფისა და ბეგარის შესრულების საკითხებსაც.

გლეხთა მდგომარეობა და კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდა

ყველა, ვინც მანსებს ფლობდა, დაწყებული სერვებიდან და დამთავრებული კოლონებით, ვალდებული იყო ღალა გაეღო ფეოდალის საკარგებლოდ და შეესრულებინა გარკვეული ბეგარა. ბეგარა ხშირად კვირაში სამი დღით განისაზღვრებოდა, ზოგჯერ კი განუსაზღვრელი იყო. გლეხები ვალდებულნი იყვნენ ბატონისათვის შეშა მიეზიდათ, ხორბა-

ლი დაეფქვათ, თევზი დაეჭირათ, სოკო მოეკრიფათ და, რაც მთავარია, მოეხნათ და დაეთესათ, მოემკათ მისი ყანები და მოეთიბათ ბალახი, შეეტანათ სასუქი ყანებში და სხვ.

გლეხობის მძიმე ვალდებულებას წარმოადგენდა ღალა, რომელიც მემამულის სასარგებლოდ გაიღებოდა უმთავრესად ნატურის სახით. სენ-გალენის კარტულარიებში, რომლებიც VIII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნებოდა, ნათქვამია, თუ რა სახის ნატურალური ღალა უნდა გაეღო გლეხობას მონასტრის სასარგებლოდ. აქედან ვიგებთ, რომ გლეხებს უნდა მიეცათ: ლუდი, ხორბალი, ასლი, შვრია, გამომცხვარი პური, ღვინო, სანთელი, სხვადასხვა ფრინველი (განსაკუთრებით ქათმები), გოჭები, ცხვრები და სხვა ოთხფეხი საქონელი, ტანსაცმელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ბატონის ოჯახს, მის მოსამსახურეთ, მის სტუმრებს ესაჭიროებოდათ. მართალია, გლეხს ფულადი ღალაც უნდა გაეღო, მაგრამ იგი უმნიშვნელო იყო (2—4 დენარამდე).

ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ ფეოდალური მამული ნატურალური, კარჩაკეტილი და თვითკმარი იყო. ნატურალური მეურნეობის პირობებში ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი საზოგადოებრივი შრომის მნიშვნელოვანი დანაწილება, ხელოსნობა ჯერ არ იყო გამოყოფილი სოფლის მეურნეობისაგან, არ არსებობდა ბაზარი და თითოეული მეურნეობა, კმაყოფილდებოდა რა საკუთარი ნაწარმით, სხვა მეურნეობებთან არ ამყარებდა ეკონომიკურ კავშირს და მოწყვეტილი იყო გარეშე სამყაროს.

ფრანკთა მონარქიაში, როგორც აღვნიშნეთ, უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია თანდათან სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. ეს გარემოება იწვევდა კლასობრივი ბრძოლების გამწვავებას. უშუალო მწარმოებელთა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა დასახლებული ადგილებიდან მათ გაქცევაში გამოიხატებოდა. კაროლინგების კაპიტულარები სავსეა ცნობებით იმის შესახებ, რომ გლეხები გარბიან დასახლებული ადგილებიდან და დაეხეტებიან სხვადასხვა მხარეში. კარლოს დიდის ერთ-ერთ კაპიტულარში, რომელიც 787 წლითაა დათარიღებული, ნათქვამია: „ვერ გაუძლეს რა ჩაგვრას, ბევრნი გაექცნენ თავიანთ ბატონსა და პატრონს და მათი მიწები გაუკაცრიელდა“. უამრავი ბრძანებულება იცემოდა როგორც კარლოს დიდის, ისე მისი მომდევნო მეფეების მიერ გაქცეულთა უკან დაბრუნებისა და მათი სასტიკად დასჯის შესახებ.

მაგრამ ფეოდალური სახელმწიფოსათვის უფრო მეტ საშიშროებას შეიცავდა კლასობრივი ბრძოლის ის ფორმა, რომელიც გლეხთა შეთქმულებებს, ფარულ ორგანიზაციათა ჩამოყალიბებასა და მათ შეიარაღებულ გამოსვლებს გულისხმობდა. თუმცა ასეთი ცნობების შემცველი წყაროები შედარებით ნაკლებია, მაგრამ ცნობილია, რომ ამ ბრძო-

ლებს ხშირად ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება კარლოს დიდმა ჩაახშო რეიმსის ეკლესიის კუთვნილ ერთ სოფელში. ასეთივე აჯანყება მაინცის საარქიეპისკოპოსოში ორჯერ იქნა ჩახშობილი, პირველად — 848 წელს, ხოლო მეორედ — 866 წელს. ლუდოვიკუს „ღვთისმოსავი" თავის 821 წლის კაპიტულარში იტყობინებოდა, რომ „უკანონო" შეთქმულებები და კავშირები ეწყობა ფლანდრიაში.

ყველაზე უფრო მწვავე ხასიათისა იყო გლეხთა აჯანყება საქსონიაში. 841 — 842 წლებში, როცა წარმოებდა ბრძოლა ლუდოვიკუს „ღვთისმოსავის" შვილებს შორის, საქსონიაში დაიწყო დამოკიდებულ გლეხთა — ფრილინგებისა და ლაცის მძლავრი აჯანყება. ეს აჯანყება მიმართული იყო ადგილობრივ მემამულე ედელინგთა წინააღმდეგ, რომელთაც ფრანკების ადმინისტრაცია ეხმარებოდა გლეხთა დაყმევებისა და საბოლოო დამორჩილების საქმეში. აჯანყებულმა გლეხებმა მიიღეს „სტელინგას" (ძველი გერმანული სიტყვაა, ნიშნავს „ძველი ადათის შვილებს") სახელწოდება, განდევნეს თავიანთი ქვეყნიდან თიოქმის ყველა ბატონი და „იწყეს ძველებურად ცხოვრება". ეს აჯანყება შემდეგ ლუდვიგ გერმანელმა, როგორც იქნა, ჩაახშო. ბოლოს გლეხთა კლასობრივი ბრძოლები იმაში გამოვლინდა, რომ, როცა ფრანკთა მონარქიაში დაიწყო ნორმანების მასობრივი შემოსევები, გაჩანაგების გზაზე დამდგარი გლეხების მნიშვნელოვანმა ნაწილმა იწყო ნორმანების მხარეზე გადასვლა.

კარლოს დიდის იმპერიის შესუსტება და მისი დაშლა

ფრანკთა მონარქიაში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება ასუსტებდა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ ძლიერებას. ამ სახელმწიფოს ერანაკლები საშიშროება მოელოდა იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ კარლოს დიდის სიცოცხლეში განდიდებული ფეოდალები ცდილობდნენ თვითონ გადაქცეულიყვნენ მეფეებად. იმუნიტეტის მქონე პირები თანდათანობით წყვეტდნენ ყოველგვარ დამაკავშირებელ ძაფებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. 811 წელს კარლოს დიდს მისი მოხელეები უკვე ატყობინებდნენ: „შენი წარგზავნილნი ვეღარ ხედავენ მორჩილებას, შენი ბრძანებულებანი საგრაფოებში აღარ ხორციელდება". კარლოს დიდის იმპერიის უძლურება, ძირითადად, გამოწვეული იყო იმით, რომ მას ერთი მთლიანი ეკონომიკური ბაზა არ გააჩნდა, მასში ხელოვნურად გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა ტომები და სხვადასხვა ხალხები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი ენა და თავიანთი წესჩვეულებანი.

ჯერ კიდევ კარლოს დიდის გამეფებამდე ფრანკთა სახელმწიფო მრავალი ტომისაგან შედგებოდა. 768 წელს ამ სახელმწიფოში ფრანკების

გარდა გაერთიანებულნი იყვნენ გალო-რომანელი ხალხები და რიგი გერმანელი ტომებისა: ფრიზები, ტიურინგები, ალემანები, ბურგუნდები, ნაწილობრივ ბავარები და ვესტგოთები. კარლოს დიდმა თავისი დაპყრობებით სახელმწიფოს ეთნიკური შემადგენლობა უფრო გაზარდა. მან დაიმორჩილა საქსები და ფრანკთა მონარქიას შემოუერთა: ჩრდილოეთ და შუა იტალიის ხალხები, ლანგობარდები და ოსტგოთების ნაწილი, სამხრეთით—გალიის ბასკები, ჩრდილო-დასავლეთით—ბრეტანელები და სხვ. ამგვარად, ფრანკთა მონარქია სხვადასხვა ტომისა და ხალხის კონგლომერატს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდა ამ ხალხებთან საერთო ენის გამონახვას და განსხვავების წაშლას, ეს ცდა ეფექტურ შედეგს არ იძლეოდა და მარცხით მთავრდებოდა. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ის გარემოება, რომ კარლოს დიდის დროს კვლავ ძალაში რჩებოდა სხვადასხვა ტომის ე. წ. ბარბაროსთა სამართალი. რაკი ფრანკთა სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა, ქვეყნის მართვა-გამგებლობაში კარლოს დიდმა ლათინური ენა დააწესა. როგორც აღვნიშნეთ, მოხელეთა სახელწოდება ლათინური იყო. მიმოწერა აგრეთვე ლათინურ ენაზე წარმოებდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობისათვის ეს ენა მაინც გაუგებარი რჩებოდა. ეს გარემოება აშკარად გამომჟღავნდა „სტრასბურგის ფიცის“ დადების დროს (842 წ.). ეს ფიცი, როგორც ცნობილია, ორ ენაზე ჩაიწერა — „რომანულსა“ (რომლიდანაც შემდეგ ფრანგული ენა ჩამოყალიბდა) და გერმანულზე.

სეპარატისტული ძალები კარლოს დიდის გარდაცვალების (814 წ.) შემდეგ ფრანკთა მონარქიაში უფრო მეტად გაძლიერდნენ. კარლოსის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ლუდოვიკუს „ღვთისმოსავი“ (814 — 840), ასეთი სახელწოდება მან მიიღო იმის გამო, რომ იგი ეკლესიას დიდ პრივილეგიებს ანიჭებდა. უფრო მეტიც, იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ლუდოვიკუსი ხშირად უმაღლესი სამღვდელოების მითითებით მოქმედებდა. მის დროს მოხდა ქრისტიანობის გავრცელება დანიაში და ამავე მიზნით — ფრანკების გალაშქრება სლავების წინააღმდეგ მდინარე ელბის მიდამოებში.

ლუდოვიკუსის მმართველობის დროს, ეკლესიაზე დაყრდნობით, ერთხანს შესაძლებელი გახდა დეცენტრალიზაციის ნაწილობრივი შეჩერება, მაგრამ ქვეყნის შემდგომ ფეოდალიზაციასთან დაკავშირებით ადგილობრივი სენიორების ძალაუფლება იზრდებოდა, რაც გარდაუვალს ხდიდა სამეფოს დაშლას. ჯერ კიდევ თავისი მეფობის დროს ლუდოვიკუსი იძულებული იყო სამეფო 817 წელს თავის შვილებს შორის დაენაწილებინა. პიპინს შუა და სამხრეთ გალიის აკვიტანიური მიწები ხვდა წილად; ლუდვიგს, რომელსაც შემდეგ გერ-

მანელი ეწოდა, ურგო ბავარია და მისი მომიჯნავე მარკები, ხოლო უფროსი შვილი, ლოტარი, მამის თანამმართველად გამოცხადდა. ამგვარად, ორივე ძმა მმართველობაში მას უნდა დამორჩილებოდა.

ზემოთქმულის მიხედვით გამოდის, რომ მიუხედავად ძმათა შორის სამეფოს დანაწილებისა, იმპერიას მაინც უნდა შეენარჩუნებინა თავისი მთლიანობა, მაგრამ სინამდვილეში მან სულ სხვა შედეგი გამოიღო. ამ გარემოებამ სეპარატისტული ძალები გააქტიურა, რასაც 833 წელს მოჰყვა სამეფოს ხელახალი გადანაწილება. დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები ძმათა შორის. ლოტარის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით წამოიწყეს ბრძოლა მისმა ძმებმა — ლუდვიგ გერმანელმა და შარლ „მელოტმა“. ბრძოლა გაიმართა სოფ. ფონტენუასთან 841 წელს. ლოტარი დამარცხდა, მაგრამ შემდეგ იგი ძალას იკრეფდა სამაგიეროს გადასახდელად. 842 წელს სტრასბურგის მახლობლად მოხდა შეთანხმება ლუდვიგსა და შარლს შორის ლოტარის წინააღმდეგ შეერთებული ძალებით ახალი ბრძოლის წამოწყების თაობაზე. ეს კავშირი მათ ურთიერთისადმი მიცემული „სტრასბურგის ფიცით“ განამტკიცეს. ამ კავშირმა ლოტარი აიძულა დათმობაზე წასულიყო და იგი დაეთანხმა ძმებს, სამეფო ხელახლა დაენაწილებინათ.

ხელახალი გადანაწილება მოხდა კარლოს დიდის შვილიშვილებს შორის 843 წელს ვერდენში დადებული ხელშეკრულების თანახმად. ხელშეკრულების მიხედვით, კარლოს დიდის იმპერია სამ ნაწილად გაიყო. უფროს ძმას, ლოტარს, იმპერატორის ტიტულიღა დარჩა. მას ძმებზე რაიმე გავლენა აღარ ჰქონდა. ძმები ცხადდებოდნენ დამოუკიდებელ მეფეებად. ლოტარს წილად ხვდა იტალია და რაინს, მაასსა და შელდას შორის მდებარე მიწები ბურგუნდიის ჩათვლით. რაინის აღმოსავლეთით მდებარე მიწები შეხვდა ლუდვიგ გერმანელს, ხოლო ლოტარის სამფლობელოს დასავლეთით მდებარე მიწები — შარლ მელოტს.

ამრიგად, ფრანკთა მონარქია ისევ დაიყო ნაწილებად, რომლებიც ასე თუ ისე, როგორც ეთნიკური თვალსაზრისით, ისე ეკონომიკური განვითარების დონით, ცალ-ცალკე აღებულნი, სრულყოფილი ხასიათის მატარებელი აღმოჩნდნენ. ამის გამო მათი ხელახლა გაერთიანება აღარ მოხერხდა. ასე ჩაეყარა საფუძველი სამი სხვადასხვა ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნას. ესენი იყო: საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

თავი III

ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა და ფორმირება ბიზანტიაში

§ 1. ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნა და მისი ვითარება VII საუკუნემდე

რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის გამოყოფა

ბიზანტიონი უძველესი დროიდან იმ კოლონიას ეწოდებოდა, რომელიც ჯერ კიდევ VII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეგარიდან წამოსულმა ბერძნებმა დააარსეს ბოსფორის ევროპულ სანაპიროზე, მარმარილოს ზღვის შესასვლელთან. მეორე საუკუნის ბოლოს, ბერძნებთან რომაელების ბრძოლის დროს, სეპტიმიუს სევერუსმა გაანადგურა იგი. ბიზანტიონის ადგილზე იმპერატორმა კონსტანტინემ ახალი ქალაქი ააშენა (326 ან 328 წ.), რომელსაც კონსტანტინოპოლი ეწოდა. 330 წლის 11 მაისს იგი რომის იმპერიის მეორე სატახტო ქალაქად იქნა გამოცხადებული, ხოლო ყოფილი ბიზანტიონის, ანუ ბიზანტიის სახელწოდება შემდეგ იმ ტერიტორიას დაერქვა, რომლის ცენტრსაც ის ადრევე წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, III საუკუნეში რომის იმპერია ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში მონათმფლობელური სამყარო ამ კრიზისის გამო მნიშვნელოვნად შეირყა. მისი საბოლოო დაღუპვის ჟამის მოახლოებასთან ერთად მონათმფლობელობის ცენტრმა ადგილი იცვალა. რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილიდან იგი აღმოსავლეთში გადავიდა, ისევე, როგორც ძველი საბერძნეთის დაღუპვის გამო საბერძნეთის მონათმფლობელურმა ცენტრმა ინაცვლა ადგილი და რომის იმპერიაში გადავიდა. მარქსისტული თვალთახედვით, მონათმფლობელური ცენტრის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე დიდ სიძნელეებთან არაა დაკავშირებული, ვინაიდან მონათმფლობელური წარმოების წესის დროს მხოლოდ დოვლათის დაგროვება ხდება და არა ამ უკანასკნელის დაბანდება წარმოებაში. დაგროვილი დოვლათის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა კი, განსხვავებით კაპიტალისტური დაბანდებისაგან, უფრო ადვილად ხერხდება.

ჯერ კიდევ იმპერატორ დიოკლეტიანესათვის აშკარა გახდა, რომ მონათმფლობელობა დაღუპვის გზაზე იმყოფებოდა და საჭირო იყო მისი გადარჩენა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ ჩატარებული რეფორმები, რომლებსაც წიგნის პირველ თავში შევეხეთ. რომის იმპერიის პატარ-პატარა ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის პოლიტიკა შემდეგაც განაგრძეს დიოკლეტიანეს მემკვიდრეებმა, პირველად იმპერატორმა კონსტანტინემ და შემდეგ თეოდოსიუსმა. თეოდოსიუსის გარდაცვალების შემდეგ რომის იმპერია ორ დამოუკიდებელ სამეფოდაც გაიყო: იმპერიის დასავლეთი ნაწილის იმპერატორი თეოდოსიუსის შვილი ჰონორიუსი (395 — 423) გახდა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილის, ბიზანტიისა — თეოდოსიუსის მეორე შვილი არკადიუსი (395 — 408), რომელიც ფაქტიურად ბიზანტიის პირველ იმპერატორად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რომის იმპერიის პოლიტიკური მთლიანობა ფორმალურად 476 წლამდე არსებობდა იმ გაგებით, რომ რომის იმპერიის ერთი ნაწილი უნდა დამორჩილებოდა მეორეს, როგორც „უმცროსი მემკვიდრის სამფლობელო ემორჩილება უფროსისას". როგორც ცნობილია, 476 წელს იმპერიის დასავლეთი ნაწილის უკანასკნელი იმპერატორი რომულუს-ავგუსტულუსი ტახტიდან გადმოაგდო ოდოაკრმა, რაც დასაწყისი აღმოჩნდა რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში ბარბაროსთა ტომების გაბატონებისა. ამიერიდან ბიზანტია იძულებული გახდა ხელი აეღო იმ პრეტენზიებზე, რომელთაც ის მანამდე უყენებდა რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილს, თუმცა შემდეგ მაინც არაერთხელ სცადა მისი დაპყრობა შეიარაღებული ძალებით. ახლა ის მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილის ტერიტორიით უნდა შემოფარგლულიყო და საკუთარი ცალკე სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო.

ბიზანტიის ძირითადი ტერიტორია დასახლებული აღმოჩნდა უმთავრესად ბერძნული და ელინიზებული ხალხებით, რომლებიც ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მიუხედავად ამისა, მათში რომაული ტრადიციები იმდენად ფეხმოკიდებული იყო, რომ მხოლოდ VII საუკუნეში გახდა შესაძლებელი ბერძნული ენა სახელმწიფოებრივ ენად გადაქცეულიყო. ბერძნულ მოსახლეობაზე დიდი გავლენა მოახდინა რომაულმა ყოფა-ცხოვრებამ.

ბიზანტიის იმპერია, რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო მყარი აღმოჩნდა. თუ დასავლეთი ნაწილი, როგორც მონათმფლობელური სამყარო, მეხუთე საუკუნის ბოლოს უკვე მოისპო, აღმოსავლეთმა ნაწილმა ბიზანტიის სახით კიდევ დიდხანს განაგრძო არსებობა. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალისწინოთ ბიზანტიის ტერიტორიის თავისებურება და, რაც მთავარია, მისი ეკონომიკური ვითარება. რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილისაგან განცალკევებისას, თერთმეტი დიოცეზიდან ბიზანტიას წილად ხვდა რვა დიოცეზი: ეგვიპტე, აზია, პონტო, სირია, აღმოსავლეთი, მაკედონია, საბერძნეთი და თრაკია. ეგვიპტე, ჯერ კიდევ ამ დაყოფამდე, იმპერიისათვის „პურის ბეღელს" წარმოადგენდა. მცირე აზიაში, რომლის მთლიანი გაძარცვა რომაელებმა ვერ მოასწრეს, საუკეთესო საძოვრები იყო. იქ მესაქონლეობა წამყვან როლს ასრულებდა. დიდი რაოდენობით მზადდებოდა მატყლი, ტყავი და სხვა ნედლეული წარმოებისათვის. არანაკლები ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე იყო სირია თავისი მსხვილი სავაჭრო, სამრეწველო და კულტურული ცენტრებით, ისეთებით, როგორებიცაა ანტიოქია, ტიროსი, ბეირუთი და სხვ.

ბითინიისა და თრაკიის პროვინციების შესახებ ერთ-ერთი ვაჭარი 350 წელს წერდა: „ჰელესპონტეს მიღმა მდებარეობს საოცარი ბითინია, რომელიც დიდია და მდიდარი და რომელიც ყოველგვარ ნაყოფს უხვად წარმოქმნის. იქ ბევრი ქალაქია, რომელთაგან შესანიშნავია ნიკეა და ნიკომედია... ნიკეა ყოველმხრივ შემკული და კეთილმოწყობილია. ნიკომედია საუკეთესოა და შესანიშნავი, იგი ყველაფრით აღსავსეა... ბითინიას მოსდევს თრაკიის პროვინცია, რომელიც პროდუქტებით მდიდარია და რომელიც ბრძოლისუნარიან მამაცთა დიდ რაოდენობას მოითვლის... თრაკიის საუკეთესო ქალაქებია კონსტანტინოპოლი და ჰერაკლეა".

ბიზანტიის სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებს შორის მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა ეგვიპტის ალექსანდრია. იმდროინდელ მსოფლიოში იგი განთქმული იყო შუშის ნაწარმითა და პაპირუსის (ქილის) წარმოებით. „ალექსანდრია, — ნათქვამია ერთ ძეგლში, — მეტად დიდი ქალაქია. მას საუკეთესო ადგილმდებარეობა გააჩნია და მდიდარია დოვლათითა და პროდუქტებით. (ეს) ქალაქი იკვებება სამი სახის თევზეულით — მდინარისა, ტბისა და ზღვისა, რაც სხვა ქალაქებს არ გააჩნიათ. მასში უხვად მოიპოვება სურნელებანი, არომატები და ბარბაროსთა სხვა საქონელი, რადგან თებაისსის (ძველად ასე ეწოდებოდა ზემო ეგვიპტეს, რომლის დედაქალაქი თებე იყო) მიღმა ინდური ხალხები იმყოფებიან; და ალექსანდრია, ღებულობს რა მათგან ყველაფერს, ყველაზე უფრო მაღლა დგას...".

არანაკლებ გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ქ. თესალონიკი, მაგრამ ყველაზე მეტი მნიშვნელობა თვით ბიზანტიის სატახტო ქალაქს, კონსტანტინოპოლს ენიჭებოდა. ამ ქალაქის შესანიშნავი ადგილმდებარეობის გამო მარქსმა მას უწოდა „ოქროს ხიდი აღმოსავ-

ლეთსა და დასავლეთს შორის". ვიდრე ინდოეთისაკენ ახალი საზღვაო გზა აღმოჩნდებოდა, კონსტანტინოპოლი უზარმაზარი ბაზრის როლს ასრულებდა. ამ ქალაქის მეშვეობით საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა ევროპული ქვეყნების დაკავშირება შავი ზღვის სანაპიროების სახელმწიფოებთან და აგრეთვე ირანთან, ჩინეთთან და ინდოეთთან. მაგრამ, გარდა ამ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე სატრანზიტო ვაჭრობისა, კონსტანტინოპოლი სამრეწველო ცენტრსაც წარმოადგენდა. მასში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა საწარმოო წამოწყებანი, რომლებიც ამზადებდნენ ძვირფასი აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, საიუველირო ნაწარმს და ფუფუნების ყოველგვარ საგანს.

იმ დროს, როდესაც რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილს ეკონომიკური კრიზისი შიგნიდან ღრღნიდა და მასში ვაჭრობისა და აღებმიცემის შესუსტების შედეგად ნატურალური, თვითკმარი მეურნეობა ძლიერდებოდა, ბიზანტიის ფართო სატრანზიტო ვაჭრობა და მისი მრავალფეროვანი მრეწველობა იმპერატორებს დიდი თანხებისა და მატერიალური რესურსების დაგროვების შესაძლებლობას აძლევდა. V საუკუნის ბოლოს იმპერატორმა ანასტასიოსმა სახელმწიფოს შემოსავალი იმდენად გაზარდა, რომ ოქროს მარაგმა ამ იმპერატორის მბრძანებლობის დასასრულს 320 ათას ლიბრას (გირვანქას) მიაღწია. ამ ხანებში ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნდა ისეთი ფინანსური რესურსები, როგორიც ბიზანტიას. ასეთი დიდი ფულადი რესურსები იმპერატორებისათვის გადაიქცა მძლავრ დასაყრდენ ბაზად აქტიური — როგორც საშინაო, ისე საგარეო—პოლიტიკის გატარების საქმეში. საკმარისი იყო რომელიმე სახელმწიფოს მიერ ბიზანტიისათვის ომის გამოცხადება, რომ ბიზანტიის მესვეურნი ამ თანხებს უმალ იყენებდნენ სხვადასხვა ხალხებისაგან შემდგარი ჯარების დასაქირავებლად. ხშირად ისინი ფულების გაღებით მოიპოვებდნენ ხოლმე გამარჯვებას მტერთან ბრძოლაში.

ბიზანტიის იმპერიის დალუპვისაგან გადარჩენის საქმეში არანაკლები მნიშვნელობა მართვა-გამგებლობის ცენტრალიზაციას ენიჭებოდა. ადრინდელ შუა საუკუნეებში სამეფო ხელისუფლება არსად ისეთი მტკიცე და გავლენიანი არ იყო, როგორც ბიზანტიაში; ცენტრალური სამეფო ხელისუფლების სიმტკიცე, თავის მხრივ, ბიზანტიაში არსებულ თავისებურ აგრარულ წყობას ემყარებოდა. ბიზანტიის მსხვილ მიწათმფლობელთა შორის ყველაზე დიდი მიწათმფლობელი თვითონ იმპერატორი იყო, რომელსაც მიწის დიდი ფონდები გააჩნდა იმპერიის თითქმის ყველა ნაწილში. ამ მამულების შემოსავალი არანაკლებ აძლიერებდა მეფესა და მის ხაზინას.

ბიზანტიის აგრარული წყობის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ყოფილი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში დიდხანს იყო შემორჩენილი ე. წ. „აღმოსავლური თემი“, რომლის მფარველობით თემში გაერთიანებული თავისუფალი გლეხობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მემამულეებს, რომლებიც ცდილობდნენ გლეხების დამორჩილებას და მათ ექსპლუატაციას. ბიზანტიაში თავისუფალი გლეხობის მნიშვნელოვანი რაოდენობით არსებობა იმპერატორებს შესაძლებლობას აძლევდა მრავალრიცხოვანი რეკრუტების შედგენისა, რაც ადევილებდა გარეშე მტრის შემოსევების უკუგდებას. მეორე მხრივ, იგივე თავისუფალი გლეხობა იმპერატორისათვის იქცეოდა საყრდენ სოციალურ ძალად იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მსხვილი მემამულე მოისურვებდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომას.

ამგვარად, ვიდრე არსებობდა თემი და მასთან ერთად — თავისუფალი გლეხობა, ცენტრალური სამეფო ხელისუფლება და, მაშასადამე, ბიზანტიის სახელმწიფოც, სიცოცხლის უნარს ინარჩუნებდა. მეშვიდე საუკუნეში ბიზანტიურ თემებს უკვე დაეტყოთ შინაგანი რღვევა, მაგრამ ამ გარემოებას ისიც დაემთხვა, რომ სლავთა ტომებმა იწყეს მასობრივი შემოჭრა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მისი კოლონიზაცია. აქ მოსვლისას სლავებმა თან მოიტანეს თემური წყობილება, რამაც ადგილობრივი თავისუფალი თემი ხელახლა განამტკიცა, ამან კი უზრუნველყო თავისუფალი გლეხობის არსებობა კიდევ რამდენსამე საუკუნის მანძილზე.

ამას გარდა, ბიზანტიის აგრარული წყობა, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებისა, მოიცავდა მსხვილ საეკლესიო მიწათმფლობელობას, ოღონდ, ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, უფრო დიდი მასშტაბით. ბიზანტიის ე. წ. „მართლმადიდებელ“ ეკლესიას დიდი პრივილეგიები ჰქონდა მიღებული ხელისუფლებისაგან, ის ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმეში და ხშირად თვითონაც უწყობდა ხელს სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიის ეკლესია იმ ხანებში ყველაზე უფრო ძლიერ სოციალურ ფენას წარმოადგენდა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია შემდეგი მაგალითები: მარტო კონსტანტინოპოლში VI საუკუნეში 70-მდე მონასტერი მოქმედებდა; ამავე დროს ეგვიპტის ექვსი მილიონი მოსახლეობიდან 500 ათასამდე ბერ-მონაზონი იყო.

მუქთახორების ეს ხროვა, მსხვილი საერო მიწათმფლობელობის მიერ ხალხის უმოწყალო ექსპლოატაცია, გაძლიერებული ბიუროკრატია, დესპოტური სახელმწიფოებრივი აპარატი. დაქირავებული შეიარაღებული ძალები — ყველა ერთად აჩანაგებდა უშუალო მწარ-

მოებლებს, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. გარდა ამისა, ბიზანტიის მოსახლეობის დაბალი ფენები იტანჯებოდნენ აქ დაწყებული ფეოდალიზაციის გაჭიანურებული პროცესით. თუ რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში მძლავრმა სოციალურმა რევოლუციამ შედარებით სწრაფად მოსპო მონათმფლობელობა და ამავე დროს მნიშვნელოვნად შეარყია გაბატონებული კლასის მდგომარეობა მიწების ჩამორთმევითა და პოლიტიკური ძალაუფლების წართმევით, ხოლო მეორე მხრივ, უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობა თუნდაც დროებით შეარბილა, ასეთი რამ ბიზანტიაში არ მომხდარა. აქ ფეოდალიზაცია მთლიანად უშუალო მწარმოებლის ხარჯზე ხდებოდა.

ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიური ვითარება V — VI საუკუნეებში და კლასობრივი ბრძოლები

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიაში ქალაქები მნიშვნელოვანი რაოდენობით არსებობდა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც სოფლის მეურნეობას მიჰყვებოდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი შემადგენლობა არ იყო ერთფეროვანი. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მონები და კოლონები შეადგენდნენ. ისინი მუშაობდნენ ყანებში, ვენახებსა და ბაღებში. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ კოლონების რაოდენობა მონებისას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. თავის მხრივ, კოლონები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი: 1. თავისუფალი კოლონები (coloni liberi), რომელთაც იჯარით ჰქონდათ აღებული მიწა დასამუშავებლად და რომელთა გადასვლა სხვა ადგილზე ასე თუ ისე თავისუფლად ხდებოდა და 2. მიწაზე მიწერილი კოლონები (ლათინურად — adscripti), რომელნიც რაოდენობით უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე პირველნი. ისინი მიმაგრებულნი იყვნენ მიწის ნაკვეთებზე და როგორც მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მემამულის საკუთრებას, ისე — მიწერილი კოლონიც. ამგვარად, მიწერილი კოლონის მდგომარეობა მიწათმოქმედი მონის (servi rustici) მდგომარეობას უახლოვდებოდა.

მონათა ჯგუფს ეკუთვნოდნენ, აგრეთვე, „ორიგინარიები" (originarü) — მკვიდრი მცხოვრებნი, ე. ი. შთამომავლობითი მონები, რომელნიც მონობაში დაიბადნენ და მემკვიდრეობით მიმაგრებულნი იყვნენ მემამულის მიწაზე. მონათა მდგომარეობა კოლონებთან შედარებით უფრო მწვავე იყო, რადგან ისინი მთლიანად გაიგივებულნი იყვნენ წარმოების საშუალებებთან და მათ პატრონს თავისუფლად შეეძლო მონის ყიდვა-გაყიდვა და გასაჩუქრება. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ექსპლუატაციის უღლის დიდი სიმძიმე მათ აწვებოდათ კისერზე.

მიწათმოქმედებაში ჩაბმულ მუშაკთა შორის გვხვდება მიწაზე მიმაგრებულთა კიდევ ერთი ფენა, რომლის წარმომადგენლებს „პარიკებს“ უწოდებდნენ და რომელნიც ამუშავებდნენ საეკლესიო ან საეპისკოპოსო მიწებს. თავდაპირველად ისინი მოიხსენიებიან სირიის ქრონიკებში. პარიკების რიგები უმთავრესად უშუალო მწარმოებელთა ყველაზე ღარიბი ნაწილისაგან ივსებოდა. რაც შეეხება თავისუფალ გლეხობას, ჩვენ მათზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, აქ კი აღვნიშნავთ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შენარჩუნებული იყო იმ ოლქებში, რომლებიც ადრევე არ მოექცნენ კლასიკური ტიპის მონათმფლობელური მეურნეობის გავლენაში (ზემო ეგვიპტე, ისავრია, თრაკია და სხვ.), თავისუფალი გლეხები მოიხსენიებიან ეგვიპტურ პაპირუსებში და სირიულ დოკუმენტებში.

უშუალო მწარმოებელთა ყველა ფენა ვალდებული იყო გადასახადი უმთავრესად ნატურის სახით მიეცა როგორც მემამულისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. გადასახადების რაოდენობა, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო გაღებული, გამოიანგარიშებოდა მიწის ფართობისა და მისი შემოსავლიანობის მიხედვით. მხედველობაში იყო მიღებული ისიც, თუ რამდენი მიწის მუშა და მუშა საქონელი იყო ჩაბმული ამა თუ იმ მეურნეობაში. წყაროებიდან ჩანს, რომ მიწები გაზომილი იყო ჯერ კიდევ იმპერატორ დიოკლეტიანეს ხანაში. ერთხელ ჩატარებული მიწების აღწერა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა გადასახადების გაწერა, ძალას ინარჩუნებდა 15 წლის განმავლობაში. ამ გარემოებამ შემდეგ საფუძველი ჩაუყარა „ინდიქტიონების“ გამოანგარიშებას.

რადგან გადასახადების გაწერისას მეურნეობის შემოსავლიანობა უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული, ამიტომ მიწებიც ამის მიხედვით იყო დახარისხებული. ერთნაირი გადასახადები გაიწერებოდა: პირველი ხარისხის 20 იუგერზე (დაახლ. 2500 კვ. მეტრი), მეორე ხარისხის 40 იუგერზე და მესამე ხარისხის 60 იუგერზე. ასეთსავე დახარისხებას ახდენდნენ ზეთისხილის ხეებზე. ერთნაირი გადასახადი უნდა გაეწერათ პირველი ხარისხის 225 და მეორე ხარისხის 450 ხეზე. გადასახადები იკრიფებოდა აგრეთვე სათიბ ადგილებზე და საძოვარ მინდვრებზე. ცალკე წარმოებდა გადასახადების გაწერა ოთხფეხ საქონელზე, რომლის გადახდა შეიძლებოდა როგორც ფულადი ისე ნატურის სახით და სხვ. გარდა ამისა, მოსახლეობა ვალდებული იყო შრომითი ბეგარა შეესრულებინა, მიეზიდა მასალა ციხესიმაგრეებისა და ხიდების ასაგებად, გზების გასაყვანად, ჯარებისათვის გამოეცხო პური, ორცხობილა და ა. შ. განსაკუთრებით მძიმე ასატანი ხდებოდა ჯარის ნაწილების ჩაყენება ამა

თუ იმ ადგილებში დიდი ხნით, რაც სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას პირდაპირ აჩანაგებდა.

ქალაქების ხელოსნები და ყველა ის პირი, რომელიც ფიზიკურად მუშაობდა, ასევე იბეგრებოდნენ სხვადასხვა გადასახადით. ზოგიერთ პროვინციაში, ჯერ კიდევ III საუკუნეში, ქალაქის მოსახლეობა სულადობრივ გადასახადს იხდიდა. განსაკუთრებით დიდ პროტესტს ქალაქის მოსახლეობაში ე. წ. „ხრისარგირონი“ — ოქრო-ვერცხლის გადასახადი იწვევდა. ეს გადასახადი ფულადი სახისა იყო და გაიწერებოდა ყოველგვარ ხელობაზე, ვაჭრობაზე, მეძავ ქალებზე და სხვ. როგორც იქნა, ეს გადასახადი 488 წელს გაუქმეს და მის ნაცვლად სხვა გადასახადები შემოიღეს, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ პროფესიებზე უშუალო მწარმოებლები ქალაქად ისევე მიმაგრებულნი აღმოჩნდნენ, როგორც კოლონები სოფლად. მაგალითად, მონეტარიები (ფულის მჭრელები) „თავიანთ წოდებაზე“ იყვნენ მიმაგრებულნი და მათ აკრძალული ჰქონდათ სხვა სამუშაოზე გადასვლა. დიდი ჯარიმები იყო დაწესებული იმათთვის, ვინც ტექსტრინიებიდან (სახელმწიფო საფეიქრო სახელოსნოები) და გენიკეებიდან (საფეიქრო სახელოსნოები, რომლებშიც მხევალი ქალები მუშაობდნენ) გაქცეულს თავშესაფარს მისცემდა. ლითონის დამმუშავებელ სახელოსნოებში მომუშავე პირებს ხელებზე უკეთებდნენ „სახელმწიფოებრივ ასოებს“ („სტიგმატებს“), რომ სახელოსნოდან არ გაქცეულიყვნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული უშუალო მწარმოებელთა მძაფრ წინააღმდეგობას იწვევდა. ბევრი მათგანი ტოვებდა დასახლებულ ადგილებს და გარბოდა. მღელვარება თანდათან იზრდებოდა. მონებისა და კოლონების აჯანყება თავს იჩენდა მცირე აზიის სხვადასხვა ნაწილში, ეგვიპტეში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. გლეხები, კოლონები და გაქცეული მონები ქმნიდნენ რაზმებს, რომლებიც მონათმფლობელთა მამულებზე ახდენდნენ თავდასხმებს. განსაკუთრებული სიძლიერისა სკამარების აჯანყება იყო, რომელიც დიდხანს (V — VI საუკ.) გრძელდებოდა დუნაისპირა პროვინციებში, აგრეთვე თრაკიასა და ილირიაში. აჯანყებულებმა 505 წელს ბიზანტიის ათიათასიანი ჯარი გაანადგურეს. მასების ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ ქალაქებში „დიმების“ ორგანიზაციაში ვლინდებოდა.

მეხუთე საუკუნეში ბიზანტიაში გავრცელდა სხვადასხვა სახის მწვალებლობა: არიანელობა, ნესტორიანობა, მონოფიზიტობა და სხვ. ყველა მათგანი ოპოზიციურ მდგომარეობაში აღმოჩნდა გაბატონებული ეკლესიის მიმართ, ამიტომ ბიზანტიაში დაწყებულმა მასების

მოძრაობამ მწვალებლობის სახით გამოძებნა დარაზმულობის ბრამზარეული ფორმა და რელიგიურ სამოსელში გაეხვია. მასებზე ყველაზე უფრო მეტ გავლენას მონოფიზიტობა ახდენდა, რადგან მისი მიმდევრები უარყოფდნენ ფუფუნებასა და როგორც სამღვდელოების, ისე, საერთოდ, გაბატონებული კლასების გახრწნილ ყოფა-ცხოვრებას. მონოფიზიტობა უმთავრესად გავრცელდა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში: სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში.

მწვალებლური მოძრაობის სხვადასხვა ფორმა თავისი სოციალური შემადგენლობით მეტად რთულ ელფერს ღებულობდა, რადგან ამ მოძრაობაში ხალხის მასები საერთო ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედს ეძებდნენ. მსხვილი საერო მიწათმფლობელნი ცდილობდნენ მათ გამოყენებას მსხვილი სასულიერო მიწათმფლობელების წინააღმდეგ პოლიტიკური ძალაუფლების მთლიანად თავიანთ ხელში ჩასაგდებად, საქმე ისაა, რომ ამ ხანებში მომძლავრებული მსხვილი საერო და სასულიერო მიწათმფლობელები ერთიმეორეს ექიშპებოდნენ პოლიტიკურ სარბიელზე. ვინაიდან მსხვილი სასულიერო მიწათმფლობელები ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელნი იყვნენ (რომელთა მიმართ მწვალებლობა, და, განსაკუთრებით, მონოფიზიტობა, ოპოზიციურად იყო განწყობილი), ამიტომ მსხვილი საერო მიწათმფლობელნი მონოფიზიტებს იყენებდნენ თავიანთი მოქიშპეების წინააღმდეგ.

491 წელს მსხვილ მიწათმფლობელთა ამ ორ დაჯგუფებას შორის არსებული პოლიტიკური ბრძოლა მსხვილ საერო მიწათმფლობელთა წარმატებით დამთავრდა. იმპერატორის ტახტზე მათი კანდიდატი, უზურპატორი ანასტასიოსი ავიდა (491 — 518). იგი თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკით ახორციელებდა მსხვილი საერო მიწათმფლობელების ინტერესებს და იმ მიზნით, რომ შეესუსტებინა მსხვილი სასულიერო მიწათმფლობელნი, მფარველობასა და დახმარებას უწევდა მონოფიზიტობას. ანასტასიოსის მიერ გამოცემული კანონის მიხედვით, ის კოლონები, რომლებიც 30 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ამუშავებდნენ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთს, მიმაგრებულად ცხადდებოდნენ ამ მიწაზე. გარდა ამისა, შეიცვალა გადასახადების აკრეფის წესი. თუ ადრე გადასახადების აკრეფა სამოქალაქო თემის მეშვეობით ხდებოდა, ახლა დაიწყეს გადასახადების აკრეფის უფლების იჯარით გაცემა „ვინდიკებზე", ე. ი. საგადასახადო მოიჯარეებზე. გადასახადის აკრეფისას ასეთი მოიჯარეები ცდილობდნენ ერთიორად აენაზღაურებინათ ის თანხები, რომლებიც მათ წინასწარ გაიღეს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ახალმა საგადასახადო წესებმა და ვინდიკების თავხედობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში, რასაც შედეგად მოჰყვა

აჯანყებები ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში. პირველი მნიშვნელოვანი აჯანყება დაიწყო ისავრიაში 498 წელს. ეს აჯანყება ხელისუფლებამ ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო. ასეთივე ბედი ეწია თვით ქ. კონსტანტინოპოლში მომხდარ აჯანყებას 512 წელს. არანაკლები მნიშვნელობის მქონე აჯანყება დაიწყო თრაკიაში 515 წელს. აჯანყებაში ჩაება მოსახლეობის თითქმის მთელი დაბალი ფენა. ეს აჯანყება უფრო საშიში გახდებოდა, ხელისუფლების მიერ გამოყენებული მკაცრი ღონისძიებებით იგი დროზე რომ არ ჩაეხშოთ.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინოპოლში მომხდარი ზემოაღნიშნული აჯანყება, რომელსაც ვიტალიანე ხელმძღვანელობდა, ჩახშობილ იქნა, მართლმადიდებელ სასულიერო წოდებას თავის მხარეზე გადაჰყავდა თრაკიის უკმაყოფილო ელემენტები, სატახტო ქალაქის მასები და ჯარის ერთი ნაწილიც კი. თუ ანასტასიოსის სიცოცხლეში მსხვილი სასულიერო მიწათმფლობელობა ვერაფერს გახდა, ანასტასიოსის გარდაცვალების შემდეგ სენატში მან ისეთი იერიშები მიიტანა მსხვილ საერო მიწათმფლობელებზე, რომ კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. გაბატონებული კლასის დაბნეულობამ იქამდე მიაღწია, რომ ვერც ერთმა მისმა დაჯგუფებამ, ვერც საერო და ვერც სასულიერო მსხვილმა მიწათმფლობელებმა, იმპერატორის ტახტზე საკუთარი კანდიდატი ვერ წამოაყენეს.

მონათმფლობელური სახელმწიფოს განმტკიცების ცდები და „ნიკას“ აჯანყება

სენატში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა არმიამ და იმპერატორის ტახტზე თავისი კანდიდატი იუსტინე წამოაყენა. იუსტინე უწიგნური ილირიელი გლეხის შვილი იყო, რომელმაც განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა არმიაში, დაწინაურდა და შემდეგ იმპერატორიც კი გახდა. იუსტინეს სხვისი დახმარების გარეშე ქვეყნის მართვა არ შეეძლო; ამიტომ სასახლეში თავისი დისწული იუსტინიანე მოიწვია და მის რჩევა-დარიგებებს დაეყრდნო. თავისი დროისთვის იუსტინიანე მეტად განათლებული პიროვნება იყო. როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ის მოქნილი და მოხერხებული აღმოჩნდა. სიმკაცრე და ვერაგობა მის „თანდაყოლილ თვისებას“ წარმოადგენდა. 527 წელს იგი იმპერატორი გახდა და დამოუკიდებლად განაგებდა ქვეყანას. როგორც ირკვევა, იუსტინიანეს დროს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში გარკვეულ როლს ასრულებდა მისი ცოლი თეოდორა, რომელიც გათხოვებამდე ცირკის მსახიობი იყო.

იმპერატორების ახალმა დინასტიამ გამეფებისთანავე რადიკალურად შეცვალა სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება სასულიერო წოდებისადმი. თუ ანასტასიოსი და სენატის წევრთა უმეტესობა

მხარს უჭერდნენ მონოფიზიტებს, იმ მიზნით, რომ თავიანთი მდგომარეობა განემტკიცებინათ აღმოსავლეთში, იმპერატორი იუსტინიანე ცდილობდა დაყრდნობოდა ძლიერ ეკლესიას, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ბიზანტიის ევროპულ პროვინციებში. იგი ცდილობდა მჭიდრო კავშირის დამყარებას ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის.

რასაკვირველია, იუსტინიანეს სულაც არ ახასიათებდა განსაკუთრებული გატაცება, მას მხოლოდ ეკლესიის გულის მოგება, ძისგან დახმარების მიღება სურდა. სამაგიეროდ იგი ეკლესიასა და სასულიერო წოდებას უდიდეს პრივილეგიებს ანიჭებდა. იუსტინიანეს სასახლის ოფიციალური ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი თავის „საიდუმლო ისტორიაში“ ამას შესახებ წერდა: „გამოდიოდა, რომ იუსტინიანეს რწმენა ქრისტესადმი ღრმა და მტკიცე იყო, მაგრამ ესეც კი დამღუპველი აღმოჩნდა მის ქვეშევრდომთათვის“.

იუსტინიანეს მეფობა დაიწყო იმით, რომ მან გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც სასტიკი დევნა უნდა დაწყებულიყო, როგორც მონოფიზიტობის, ისე ყოველგვარი მწვალებლობისა. ბრძანებულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ იმ მწვალებელს, რომელიც სამი თვის განმავლობაში არ მიანებებდა თავს მწვალებლობას და „მართლმადიდებელ“ სარწმუნოებას არ დაუბრუნდებოდა, ყოველგვარი სამოქალაქო უფლება ჩამოერთმეოდა და სასტიკად დაისჯებოდა. ამ ბრძანებულების ცხოვრებაში გატარებას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. მონოფიზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს.

იუსტინიანეს მიერ მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მხარდაჭერამ და მწვალებლობის დევნამ ფართო მასებში და, განსაკუთრებით, ხალხის იმ ნაწილში, რომელიც მწვალებლობას თანაუგრძნობდა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მასების არანაკლებ სიძულვილს იწვევდა ისიც, რომ იუსტინიანემ ძალიან გაზარდა სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობა, რომელთა შენახვაზე უამრავი თანხა იხარჯებოდა. სასახლის ბრწყინვალე მორთულობამ, ნადიმებმა, დაქირავებული ჯარის ნაწილების გამრავლებამ და სხვ. უდიდესი ქონება შთანთქა და ანასტასიოსის მიერ ხაზინაში დაგროვილი დოვლათი მთლად ამოწურა. გარდა ამისა, თავდაცვითი ობიექტების ფართო მასშტაბით მშენებლობა მოითხოვდა სულ ახალ-ახალი მატერიალური რესურსების გამონახვას. საჭირო გახდა მოსახლეობაში არსებული გადასახადების გაზრდა და ახალი სახის გადასახადების შემოღება.

ხალხის უკმაყოფილება ჩვეულებრივზე უფრო მეტად გაიზარდა. 532 წელს რევოლუციური სიტუაცია, პირველ ყოვლისა, თვით სატახტო ქალაქში, კონსტანტინოპოლში გამომჟღავნდა. აღნიშნულ

წელს აქ დაიწყო გრანდიოზული აჯანყება, რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა „ნიკას“ აჯანყების სახელწოდებით. „ნიკა“ ბერძნულად ნიშნავდა მოწოდებას: „გაიმარჯვე“ და იგი აჯანყებულთა ლოზუნგად გადაიქცა. რაკი ამ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა პარტიები და დიმები, ამიტომ საჭირო იქნება მათი რაობისა და საქმიანობის მოკლე განმარტება.

კლასობრივი ბრძოლა ბიზანტიაში ხშირად დიმებისა და პარტიების ბრძოლაში გადადიოდა. ბიზანტიური დიმები ქალაქის უბნების თავისუფალ მოქალაქეთა ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ქალაქის კეთილმოწყობაში ისინი სამეურნეო ფუნქციებს ასრულებდნენ და მის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. დიმები პოლიტიკურ პარტიებში ერთიანდებოდნენ, რომლებიც თავის სახელწოდებას იპოდრომზე შეჯიბრში მონაწილე მეეტლეთა ტანსაცმლის ფერის მიხედვით იღებდნენ. ჩვეულებრივ, მეეტლენი გამოდიოდნენ მწვანე, ცისფერ, წითელ და თეთრ ტანსაცმელში. ამგვარად, კონსტანტინოპოლში არსებობდა რამდენიმე პარტია, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი „ცისფერი“ და „მწვანე“ ფერის პარტიები იყო. პირველ მათგანს ვენეტების პარტია ეწოდებოდა, ხოლო მეორეს — პრასინების პარტია.

ამ პარტიების სოციალური შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო. ორივე მათგანში შედიოდნენ არისტოკრატები, ვაჭრები, ხელოსნები და სხვ. ვენეტების პარტიის ზედაფენა სენატორული არისტოკრატიის, მსხვილი მიწათმფლობელებისაგან შედგებოდა და წამყვან როლს ასრულებდა. პრასინების პარტიის ზედაფენა მდიდარ ვაჭრებსა და მსხვილ საერო მიწათმფლობელებს აერთიანებდა. ამ პარტიების ძირითადი ნაწილი კი მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენებიდან ივსებოდა. ზოგჯერ ორივე პარტიის დაბალი ფენები, თავიანთი პარტიისაგან დამოუკიდებლად, არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ერთობლივად გამოდიოდნენ.

სატახტო ქალაქის პურით უზრუნველყოფა და მოსახლეობისათვის სანახაობათა უფასო ჩვენება რომის იმპერატორების მიერ ადრევე იყო შემოღებული. მაგრამ კონსტანტინოპოლის იპოდრომი მასებს იზიდავდა არა მარტო იმიტომ, რომ იქ უფასოდ შეიძლებოდა გართობა, არამედ უფრო იმიტომ, რომ იმ ხანებში იგი გადაქცეული იყო ადგილად, სადაც პოლიტიკური კრების მოწყობა შეიძლებოდა. ცირკის სანახაობებს იმპერატორი სისტემატურად ესწრებოდა თავისი ამალით. არსებული ჩვეულებების თანახმად, მაყურებელს შეეძლო შეკითხვით ან საჩივრით მიემართა იმპერატორისათვის. ზემოთ დასახელებული პარტიებიდან, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი და ანგარიშგასაწევი ორი პარტია იყო. იმპერატორები, ჩვეუ-

ლებრივ, ერთ მათგანს უპერდნენ მხარს და მისი საშუალებით გავლენას ახდენდნენ მეორეზე. იმპერატორი ანასტასიოსი, მაგალითად, „მწვანე“ პარტიას ეყრდნობოდა, ხოლო იუსტინიანე — „ცისფერს“.

532 წლის 11 იანვარს, კვირა დღეს, ჩვეულებისამებრ, საცირკო სანახაობა გაიმართა, რომელსაც იუსტინიანე ესწრებოდა მთელი თავისი ამალით; მან მაშინვე შეამჩნია რომ მაყურებლები ძლიერ აღგზნებული იყვნენ. ცირკის იმ საფეხურებზე, რომლებზედაც „მწვანეები“ იყვნენ ჩამომსხდარნი, განუწყვეტელი ხმაური და სტვენა გაისმოდა. „მწვანე“ პარტიას გადაეწყვიტა საჩივარი აღეძრა და კიდეც გამოთქვამდა დიდ უკმაყოფილებას „ცისფერთა“ პარტიის მიმართ. იგი იმპერატორისაგან მოითხოვდა ხალხისათვის საძულველ მოხელეთა გადაყენებას. თავინთ თხოვნაზე უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ „მწვანეებმა“ მალე აჯანყება დაიწყეს. ეს აჯანყება მთელ ქალაქს მოედო.

როგორც პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, იუსტინიანე იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. ხალხისათვის საძულველი მოხელეები — ქალაქის ეპარქოსი იოანე კაბადოკიელი და კვესტორი ტრიბონიანე მან თანამდებობიდან გადააყენა, მაგრამ აჯანყებულნი ამით არ დაკმაყოფილდნენ და დაიძრნენ სასახლისაკენ. მდგომარეობა ხელისუფლებისათვის იმდენად კრიტიკული შეიქნა, რომ იუსტინიანემ გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ ოფიციალური ვერსიის მიხედვით დედოფალმა თეოდორამ მას გადაწყვეტილება შეაცვლევინა და ხელისუფლებამ სამზადისი დაიწყო აჯანყების ჩასახშობად.

აჯანყების მეექვსე დღეს, როგორც იქნა, ბელიზარის ჯარების დახმარებით (რომელიც ირანელებთან ბრძოლის შემდეგ უკან ბრუნდებოდა) ეს აჯანყება სასტიკად ჩაახშეს. პროკოფი კესარიელის თქმით, „გამარჯვება სრული იყო; ხალხის დიდი უმრავლესობა დახოცეს. ფიქრობდნენ, რომ მაშინ 30 ათასზე მეტი კაცი გაწყდა“. თეოფანეს „ქრონოგრაფიდან“ ჩანს, რომ „მოხდა საშინელი ჟლეტა და ადამიანთა მასები, რომლებიც იუპატიუსთან ერთად იპოდრომზე იმყოფებოდნენ (ამბობენ, 35 000 კაცი), დაიღუპნენ“. ამის შემდეგ სასტიკი რეპრესიები დაიწყო. სიკვდილით დასჯა და ქონებათა კონფისკაცია გახშირდა. ყველაფერი ეს შეეხო არისტოკრატიის იმ ნაწილს, რომელიც მოძრაობის მონაწილე აღმოჩნდა.

იუსტინიანეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა

532 წლის ამბებმა იუსტინიანეს საშინაო პოლიტიკაზე დიდი გავლენა იქონია. იმპერატორს ეშინოდა, კვლავ არ განმეორებულიყო ასეთი აჯანყება. „ნიკას“ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბიზანტიის ხელი-

სულელებამ დიდი რეორგანიზაცია ჩაატარა: კონსტანტინოპოლში და სხვა ქალაქებში გააძლიერეს პოლიციის ძალაუფლება; სამეფო ხელისუფლების უფრო მეტი ცენტრალიზაციის მიზნით გატარდა სათანადო ღონისძიებანი, ყოველივე ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ამ ხანებში გაძლიერება დაიწყო მონათმფლობელობის წიაღში ჩასახულმა ფეოდალიზმის ელემენტებმა, პატრონატმა და კერძო ძალაუფლებამ.

ბიზანტიის გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი, გადასახადების ამკრეფთა და სახელმწიფო მოხელეთა მექრთამეობისაგან განაწამები, იძულებული იყო თავშესაფარი რომელიმე მსხვილ მიწათმფლობელთან ეძებნა. ასეთი „მფარველის“ მონახვის შემდეგ იგი სახელმწიფო გადასახადებს თავს არიდებდა და, სამაგიეროდ, თავისი „მფარველის“ დავალებებს ასრულებდა. მონათმფლობელური სახელმწიფო აპარატისათვის ეს გარემოება მეტად საზიანო იყო არა მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფო ხაზინა შემოსავალს კარგავდა, არამედ იმიტომაც, რომ ფეოდალური ელემენტების გაძლიერება არსებულ წყობილებას ძირს უთხრიდა.

გარდა ამისა, პატრონატი კერძო პირს აძლიერებდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. უშუალო მწარმოებელთა რაც უფრო მეტი რაოდენობა გადავიდოდა კერძო პირის მფარველობაში, მსხვილი მაგნატი მით უფრო გააძლიერებდა თავის სასამართლოსა და შეიარაღებულ რაზმს. ამგვარად გაძლიერებული პიროვნება ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებას აღარ მოისურვებდა და სახელმწიფოში ძლიერდებოდა სეპარატისტული ტენდენცია. იუსტინიანეს კოდექსში ნათქვამი იყო: „ჩვენ გვსურს, არავის არ მიეცეს უფლება, რომ ქალაქში ან მამულში ბუკელარიები (რაზმეული), ისავრიელები და შეიარაღებული მონები ჰყავდეს. თუ ვინმე ამ ჩვენი სასარგებლო ბრძანებულების საწინააღმდეგოდ გბედავს ბუკელარიები ან ისავრელები თავის მამულში, ან თავისთან ახლოს იყოლიოს, ჩვენ ვბრძანებთ, რომ გარდა 100 გირვანქა ოქროთი დაჯარიმებისა, ის სასტიკად დაისაჯოს“.

იუსტინიანეს ხელისუფლება მონათმფლობელური წყობილების განმტკიცებას დიდ ყურადღებას აქცევდა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ის მონათმფლობელობის აღდგენასაც კი ცდილობდა ყოფილი რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში. ბიზანტიაში არსებული წყობილების განმტკიცების მიზნით, იუსტინიანემ გამეფების მეორე წელსვე (528 წ.) გამოჩენილი იურისტის — ტრიბონიანეს მეთაურობით საკოდიფიკაციო კომისია ჩამოაყალიბა. ამ კომისიას დავალებული ჰქონდა თავი მოეყარა ყველა რომაული კანონისათვის, გადმოეცა რომაელ იურისტთა განმარტებანი. კომისია აღიჭურვა უფლებით — მოესპო მათში

არსებული წინააღმდეგობანი და შეექმნა სამოქალაქო უფლებათა ერთი მთლიანი კრებული, ანუ „კორპუს იურის ციკილის“.

გარკვეული მუშაობის ჩატარების შემდეგ კომისიამ შეადგინა სამოქალაქო უფლებათა კრებული. იგი ოთხ ძირითად ნაწილს შეიცავდა: 1. „იუსტინიანეს კოდექსი“ (Codex constitutionum, გამოქვ. 534 წ. 16 ნოემბ.), რომელსაც სისტემაში მოჰყავს რომის ყველა წინანდელი იმპერატორის კანონები და აუქმებს მოძველებულ „თეოდოსიუსის კოდექსს“; 2. „დიგესტები“ (Digesta), ანუ „პანდექტები“ (Pandectae, გამოქვ., 533 წლ. 16 დეკ.) — რომაელი იურისტების ავტორიტეტული შეხედულებანი და განმარტებანი იურისპრუდენციის სხვადასხვა საკითხებზე; 3. ინსტიტუციები (Unstitutiones, გამოქვ. 533 წლ. 21 ნოემბ.) — რომაული სამართლის მოკლე სახელმძღვანელო და 4. „ნოველები“ („Novellae“,) ე. ი. ახალი კანონები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო იუსტინიანეს მიერ კოდექსის გამოცემის შემდეგ, 535—565 წლებში. ეს კოდიფიკაცია მიზნად ისახავდა მონათმფლობელური საზოგადოების რღვევის შეჩერებას და იმპერატორის განუსაზღვრელი ძალაუფლების განმტკიცებას. კოდექსის ძირითადი დებულების მიხედვით „ყველაფერს, რასაც იმპერატორი ისურვებს, კანონის ძალა აქვს“. კომისიის მუშაობა 528 წლიდან 534 წლამდე გრძელდებოდა.

იუსტინიანეს დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, მშენებლობას. გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, ციხე-სიმაგრეებსა და სხვ. იმ ხანებშია აშენებული კონსტანტინოპოლის „აია სოფიას“ ტაძარი, თავისი არქიტექტურით დღესაც განცვიფრებას რომ იწვევს. იუსტინიანემ ხელახლა გააშენებინა ანტიოქია, რომელიც ირანის მეფის ხოსროს მიერ იყო განადგურებული. ციხესიმაგრეების აგებაში განსაკუთრებული ყურადღება იმპერიის საზღვრებთან ახლომდებარე რაიონებს ექცეოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიზანტიას დიდი ხნის მანძილზე უხდებოდა ბრძოლა ირანთან. მებრძოლ მხარეთათვის ეს გარემოება საქართველოს ტერიტორიას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რისთვისაც იუსტინიანემ მთელი თავისი ყურადღება ამ მხარეს მიაპყრო და აქ ააგო რიგი ციხესიმაგრეებისა. ჭანეთში, მაგალითად, აიგო ციხესიმაგრეები: ჰორონონი, ბარხონი, სისილისონი, ქარტონი, ბურგუსნოისი, სქიმალინიქონი (ლაზიკაში), ლოსორიონი; ხევებში მოაწყო გამაგრებული ადგილები სპეციალური კედლებით, რომლებსაც კლისურები ეწოდებოდა. აშენებულ იქნა, აგრეთვე, პეტრა, ბიჭვინტა და სხვ.

„ნიკას“ აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როდესაც იუსტინიანემ მოახერხა ბიზანტიის მდგომარეობის განმტკიცება, მან გადაწყვიტა აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა როგორც იმპერიის დასავლე-

თის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით. დასავლეთის მიმართულებით მას მიზნად ჰქონდა დასახული ისეთივე რეაქციული სურვილების განხორციელება, რომლებსაც ის საშინაო პოლიტიკაში ატარებდა, სახელდობრ — მონათმფლობელური ურთიერთობის აღდგენა რომის იმპერიის იმ ნაწილში, სადაც ბარბაროსული ტომების შემოსევების შედეგად ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ვანდალ-ალანების სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში, ხოლო მეორე მხრივ, ოსტგოთების სამეფო იტალიაში. იუსტინიანე ფიქრობდა, რომ აღნიშნული ქვეყნების კანონიერი მემკვიდრე ბიზანტია იყო და ამიტომ, მისი აზრით, ბიზანტიის მესვეურობით უნდა მომხდარიყო რომის იმპერიის დიდების აღდგენა. ამგვარად, მის მიერ დასავლეთით წარმოებული ომი, ისევე როგორც აღმოსავლეთით, საშინაო პოლიტიკის აშკარა გაგრძელებას წარმოადგენდა.

533 წელს ბიზანტიის შეიარაღებული ძალები, ცნობილი სარდლის, ბელიზარის ხელმძღვანელობით დაიძრნენ ვანდალ-ალანების სამეფოს წინააღმდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში. იმის გამო, რომ მაშინ ეს სამეფო დაუძლურებული იყო შინაგანი წინააღმდეგობებით, ბელიზარმა ადვილად მოახერხა მისი განადგურება. მაგრამ ბიზანტიის ხელისუფალთა რეაქციულმა პოლიტიკამ ჩრდილოეთ აფრიკაში (მიწების გადაცემა რომაელ მონათმფლობელთა მემკვიდრეებისათვის, გააზატებული მონებისა და კოლონების დაბრუნება ძველ მეპატრონეთათვის, გაბატონებული ეკლესიის დაცვა და მწვალებელთა დევნა და სხვ.) 536 წელს ხალხთა მასებში მძლავრი აჯანყება გამოიწვია. აჯანყებულნი შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ მონათმფლობელური იმპერიის წინააღმდეგ 542 წლამდე. ბოლოს, როგორც იქნა, ბიზანტიამ შემოიერთა ჩრდილოეთი აფრიკა, რომელიც მის ბატონობაში დარჩა 698 წლამდე, ე. ი. მანამდე, ვიდრე ეს მხარე არაბებმა არ დაიპყრეს.

ბიზანტიელებისათვის გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა ოსტგოთებთან ბრძოლა იტალიაში. მიუხედავად თავდაპირველი წარმატებებისა (535 წ. სიცილიის დაპყრობა, 536 — 541 წწ. იტალიის დიდი ნაწილის დაპყრობა), საბოლოოდ (544—548 წწ.), ბელიზარის სამხედრო ოპერაციები აქ მარცხით დამთავრდა და იუსტინიანემ იგი იმ დროისათვის სახელგანთქმული მთავარსარდლით — ნარსესით შეცვალა. ოსტგოთებთან ბიზანტიელების ბრძოლა 535 წელს დაიწყო და მხოლოდ 555 წელს დამთავრდა. ამ ხანგრძლივი ბრძოლისათვის ბიზანტიას უზომო მატერიალური სახსრების გაღება დასჭირდა. „პრაგმატიული სანქციის“ (554 წ.) გამოქვეყნებით, იტალიაში, ისე როგორც ჩრდილოეთ აფრიკაში, მონათმფლობელური ურთიერთობის აღდგენა დაიწყეს და, რადგან მოსახლეობა ამის წინააღმდეგ წავიდა, ბიზანტიელმა მონათმფლობელებმა ქვეყანა ცეცხლსა და მახვილს მისცეს;

მაგრამ ბიზანტიამ იტალიის შენარჩუნება დიდი ხნით მაინც ვერ შეძლო. იუსტინიანეს გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ იტალია ლანგობარდებმა დაიპყრეს; ბიზანტიამ ასევე მალე დაკარგა სამხრეთ ესპანეთი.

თუ ბიზანტიამ თავისი საგარეო პოლიტიკა დასავლეთში ასე თუ ისე წარმატებით განახორციელა, სამაგიეროდ, ბიზანტიის ომები ირანთან, რომლის პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და რომელსაც სასანიანების დინასტიის ისეთი წარმომადგენელი მართავდა, როგორც ხოსრო ანუშირვანი იყო, უმეტეს შემთხვევაში მარცხით მთავრდებოდა. იუსტინიანე ხშირად იძულებული იყო დიდი ხარკის გაღებით ირანთან ზავი დაედო. ირანთან ომების წამოწყება ნაკარნახევი იყო იმით, რომ ბიზანტიას სურდა შავი ზღვის სანაპიროებზე თავისი ჰეგემონია შეენარჩუნებინა, ხოლო ირანი, თავის მხრივ, ცდილობდა შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაჭრას.

ირანის ბრძოლებით დამარცხება ძნელდებოდა. ამიტომ იუსტინიანე ფართოდ იყენებდა დიპლომატიურ ხრიკებს მის წინააღმდეგ. ხოსროს მან ყველა მეზობელი აუმხედრა. ირანის წინააღმდეგ წაქეზებული აღმოჩნდნენ საბირელი ჰუნები (ირანის ჩრდილოელი მეზობლები), სირიის უდაბნოს მომთაბარეები (სამხრეთით), ნეჯდის ბედუინები, იემენის არაბები, ეთიოპიის აქსუმის სამეფო. იუსტინიანე მხარს უჭერდა ლაზიკის მეფეებს, რომელნიც ირანელებს გზას უხშობდნენ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ.

თუ იმდროინდელი ბიზანტია, ერთი შეხედვით, პოლიტიკურად ძლიერი იყო და გარეგნულად ბრწყინავდა, მეორე მხრივ, საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად ჯერ კიდევ იუსტინიანეს დროს მისი ძლიერება საკმაოდ შეირყა. ეს გარემოება უცხოელებისათვის შეუმჩნეველი რომ დარჩენილიყო, სასახლის ბრწყინვალება უფრო მეტად გაზარდეს. საგარეო საქმეთა უწყება, რომელიც თვით პირველი მინისტრის (Magister officiorum) — შემდეგ „დიდი ლოგოთეტის“ — გამგებლობაში იყო, დიდი შტატისაგან შეადგინეს; ჰყავდათ თარჯიმნები ყველა ენისა, გამომუშავებულ იქნა ელჩების მიღების რთული წესები. ამით სურდათ უცხოელი ელჩები განცვიფრებაში მოეყვანათ და მათ წინაშე ბიზანტია ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ დაესახათ. ამავე დროს, ელჩების მიღება ისე ეწყობოდა, რომ იმპერიის სუსტი მხარეები ძათთვის უცნობი დარჩენილიყო.

ასეთივე მიზანი ჰქონდა დასახული იმპერატორის სასახლის ოფიციალურ ისტორიოგრაფიას. სასახლის ისტორიკოსი პროკოპი (პროკოპიოს) კესარიელი თავის დიდ ნაშრომში—„ომები“ (8 წიგნად), რომელშიაც მოთხრობილია ისტორია ბიზანტიელთა ომებისა სპარსელებთან, ვანდალებთან და გოთებთან და თხზულებაში „ნაგებობათა შესახებ“

(„Ktismata"), რომელშიაც მოთხრობილია იუსტინიანეს დროის მშენებლობის შესახებ, პროკოპი აქებდა და ადიდებდა როგორც ბიზანტიის პოლიტიკურ ძლიერებას, ისე იუსტინიანეს ნიჭსა და გამჭრიახობას, მის ქველმოქმედებასა და სიუხვეს. მაგრამ იგივე პროკოპი კესარიელი თავის „საიდუმლო ისტორიაში" („Anecdota") ბიზანტიის მდგომარეობას ძალიან მუქი ფერებით აღწერდა. ავტორი სასტიკად აკრიტიკებდა ბიზანტიაში გაბატონებულ უსამართლობას, მოხელეთა თაღლითობას, მათ მიერ ხალხის ძარცვასა და შევიწროებას, მასების გაღატაკებასა და სიდუხჭირეს, ბოლოს კი თვით იუსტინიანეს არაადამიანურ ქცევას, ვერაგობასა და გახრწნილებას.

იუსტინიანეს მეფობა გარეგნულად მართლაც ბრწყინვალე იყო, მაგრამ იგი მძიმე უღლად აწვა ფართო მასებს. მისი მეფობის დროს გადასახადების გაწერა მოსახლეობაზე ერთიორად გაიზარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფო ხაზინა დაცარიელებული აღმოჩნდა. დამატებითი გადასახადების შემოღება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან ხალხი უამისოდაც უკმაყოფილო იყო და აჯანყებებს აწყობდა. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ იუსტინიანეს მემკვიდრემ — იუსტინიანე მეორემ (565—578) აღარ იცოდა როგორ დაეღწია თავი ფინანსური კრიზისისაგან. ასეთსავე უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მომდევნო იმპერატორები — ტიბერიუსი (578 — 582) და მავრიკიოსი (582 — 602).

ბიზანტიის საზოგადოებრივი წყობილება VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში დიდი შინაგანი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. მონათმფლობელობა ირღვეოდა. მონური შრომა წარმოების თითქმის ყველა დარგიდან იდევნებოდა, მაგრამ მონათმფლობელობა მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი. ახალი, უფრო პროგრესული ფეოდალური ურთიერთობა ძალიან ნელი ტემპებით იკვლევდა გზას, რის გამოც საწარმოო ძალთა განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდებოდა. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოდესღაც ნაყოფიერი ადგილები დაუმუშავებელი რჩებოდა, ისევე როგორც მცირე აზიაში.

ეკონომიკურ კრიზისთან ერთად იქმნებოდა პოლიტიკური კრიზისიც. იმპერატორ მავრიკიოსის დროს ჯარის ნაწილები აჯანყდნენ. მათ მოსახლეობის ფართო ფენებმაც დაუჭირეს მხარი. აჯანყების ხელმძღვანელმა ცენტურიონმა ფოკამ 602 წელს იმპერატორს ბრძოლა გაუმართა. ამ ბრძოლაში მავრიკიოსი თავისი ხუთი შვილით დაიღუპა და ძალაუფლება ფოკას ხელში გადავიდა (602 — 610), მაგრამ არც მისი მმართველობა აღმოჩნდა ხანგრძლივი. გამოირკვა, რომ ახალ მთავრობას არ გააჩნდა დადებითი მოქმედების რაიმე პროგრამა. დაიწყო მა-

სების ხელახალი გამოსვლები. ამას დაემთხვა ხოსროს ჯარების სირიაში შემოჭრა, მათ სათარეშო ასპარეზად იქცა, აგრეთვე, მესოპოტამია და მცირე აზია. ასეთ ვითარებაში სენატის პარტიამ იმპერატორად აფრიკის ეგზარქოსი ჰერაკლე გამოაცხადა. ფოკა დამარცხებულ იქნა და 610 წელს იგი სიკვდილით დასაჯეს.

ბიზანტიის საგარეო მდგომარეობა ჰერაკლეს იმპერატორობის დროს (610 — 641) ოდნავ გამოსწორდა. ეკლესიისაგან დიდი სესხის მიღების შემდეგ ჰერაკლემ მოახერხა არმიის გარდაქმნა და ამიერკავკასიის ხალხების (იბერების, ლაზების, სომხების და სხვ.) დახმარებით ავარებისა და ირანელების კონსტანტინოპოლზე თავდასხმა უკუაქცია. შემდეგ თვითონ გადავიდა შეტევაზე ირანის წინააღმდეგ და კიდეც გაიმარჯვა. 627 წლის ბრძოლაში ხოსრო სასტიკად დამარცხდა. აღმოსავლეთით ბიზანტიამ აღადგინა თავისი საზღვრები, მაგრამ ახლა მას უფრო მეტი საშიშროება არაბების მხრიდან გაუჩნდა.

არაბები ბიზანტიაზე თავდასხმებს იწყებენ ომარის ხალიფობის დროს (634 — 644). ისინი 634 წელს სირიაში შეიჭრნენ. სირიის ქალაქები არა თუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ მომძლავრებულ მტერს, არამედ მას ზედიზედ უბრძოლველად ბარდებოდნენ კიდეც, რადგან არაბების მოსვლით ფიქრობდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. 636 წელს, მდინარე იარმუკთან ბრძოლისას, არაბებმა ბიზანტიის ძირითადი შეიარაღებული ძალები გაანადგურეს, 636 — 642 წლებში მათ ხელში აღმოჩნდა სირია, პალესტინა, ზემო მესოპოტამია და მთელი ეგვიპტე. არაბები ამის შემდეგაც განაგრძობდნენ წინსვლას და იერიშები კონსტანტინოპოლზეც კი მიიტანეს, მაგრამ საზღვაო ბრძოლა და კონსტანტინოპოლის გარემოცვა (668 — 675) ამჯერად ბიზანტიელების გამარჯვებით დამთავრდა და არაბთა ექსპანსიამაც იკლო. მიუხედავად ამისა, ბიზანტია პოლიტიკურად სუსტდებოდა, VII საუკუნის ბოლოსათვის ბიზანტიამ საბოლოოდ დაკარგა „არმენია“, ლაზიკა და ჩრდილოეთი აფრიკა მთლიანად.

§ 2. ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავიზაცია

სლავთა ტომები „სამიწათმოქმედო კანონის“ მიხედვით

VII საუკუნის „აბობოქრებული“ ხანა დადებითი მოვლენებითაც ხასიათდებოდა. ბიზანტიამ, დაკარგა რა თავისი ტერიტორიის ისეთი ნაწილები, როგორიც იყო ჩრდილოეთი აფრიკა და სხვ., ძირითადად ბერძენი მოსახლეობის ადგილსამყოფლად გადაიქცა. ამიერიდან ბიზანტია ბერძნულ-რომაულ ქვეყანას აღარ წარმოადგენდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეშვიდე საუკუნეში ბერძნული ენა სახელ-

ფეოდალებრივ ენად გადაიქცა. ალექსანდრიისა და ანტიოქიის დაკარგვასთან ერთად, ბიზანტიის იმპერიისათვის ქალაქ კონსტანტინოპოლის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო მეტად გაიზარდა. იმპერიის მთელი ყურადღება ახლა კონსტანტინოპოლისაკენ იყო მიქცეული.

ბიზანტიის ისტორიაში დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, უპირველეს ყოვლისა, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავიზაცია. სლავთა ტომების შეკრა ამ მხარეში ადრევე დაიწყო. სლავებმა გადალახეს ბიზანტიის საზღვრები, მოსპეს მისი საზღვრისპირა გარნიზონები, შეიჭრნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მეზიის, თრაკიისა და ილირიის დარბევა დაიწყეს. აქედან ისინი შუა საბერძნეთშიც კი გადავიდნენ. მათ შემოსევებს იუსტინიანე გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ VI საუკუნის ბოლოს სლავები თანდათან ახერხებენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის კოლონიზაციას, რამაც უფრო ფართო ხასიათი VII — VIII საუკუნეებში მიიღო და მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაც საფუძვლიანად შეიცვალა.

სლავების ტომებმა თავდაპირველად მეზია, თრაკია და მაკედონია დაიკავეს. ამავე დროს მათი სვლა პელოპონესის მიმართულებით, სამხრეთისაკენ წარიმართა. VII საუკუნის პირველ ნახევარში ხორვატებმა და სერბებმა დაიკავეს ისეთი ადგილები, რომლებიც შემდეგ ცნობილი გახდა ბულგარეთის, სერბიის, ხორვატიის, ბოსნიის, ჰერცეგოვინის, ჩერნოგორიის სახელწოდებით. ახალ ადგილებში სლავთა ტომებმა თემური წყობილება მიიტანეს, რითაც შესაძლებელი გახდა ბიზანტიის სოციალური წყობილების ერთგვარი დემოკრატიზაცია.

სლავების თემურმა წყობილებამ ბიზანტიაში მყოფი თავისუფალი გლეხების მდგომარეობა ასე თუ ისე განამტკიცა. სლავების მოსვლით გამრავლდა თავისუფალი გლეხების რაოდენობა. ამგვარად, სლავებმა იმპერიას მისცეს ის, რაც მას აკლდა და რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების დაჩქარება. ბიზანტიაში დასახლებულ სლავ გლეხთა მდგომარეობის საუკეთესო ამსახველია ე. წ. „სამიწათმოქმედო კანონი“. ამ დოკუმენტიდან არსად არ ჩანს არც მისი შედგენის თარიღი და არც ადგილი, სადაც ის შეადგინეს. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, იგი VII საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს, ხოლო მეორეთა თვალსაზრისით — მერვეს. უკანასკნელთა შეხედულება სწორიც რომ იყოს, ეს დოკუმენტი მერვე საუკუნესთან ერთად მეშვიდე საუკუნის აგრარულ ურთიერთობასაც ასახავს.

„სამიწათმოქმედო კანონის“ მე-7 მუხლის მიხედვით სოფელს ყანები აქვს და იგი მეზობლებთან დავაში იცავს თავის მიწა-წყალს.

ერთი სოფლის მცხოვრებთ შეუძლიათ ურთიერთშორის გაცვალონ თავიანთი ნაკვეთები (§ 3). თუ მიწების განაწილება თემის წევრებს შორის შეცდომით იყო ჩატარებული, დაშვებულია თემის მიწების ხელახალი გადანაწილება (§ 8). თემს გააჩნია საერთო განუყოფელი მიწები საძოვარი ადგილებისა და სხვათა სახით. 79-ე მუხლში ნათქვამია, რომ სახნავ-სათესი მიწები ჰირნახულის აღების შემდეგ საერთო საძოვრებად იქცევა.

ამავე დოკუმენტიდან აშკარა ხდება, რომ თემის წევრებს შორის დაწყებულია სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია. მე-15 მუხლში ნათქვამია, რომ მიწის ნაკვეთი დასამუშავებლად შეიძლება სანახევროდ გაიცეს, მაშასადამე, მიწის მცირე ნაკვეთების მფლობელნი, რომელთაც თავიანთი მეურნეობით არ შეეძლოთ წლის დამთავრებამდე ოჯახის გამოკვება, იძულებულნი იყვნენ მიწა იჯარით აეღოთ. ამასვე ადასტურებს მეათე მუხლიც, რომლის მიხედვით მიწის პატრონს ყოველივე მეათე ძნა უნდა მისცემოდა. გარდა ამისა, 37-ე მუხლით დაშვებული იყო უშუალო მწარმოებლის მებეგარე გლეხად გადაქცევა.

„სამიწათმოქმედო კანონიდან“ და უფრო გვიანდელი ხანის რომანოზ პირველის ნოველიდან ჩანს, რომ ბიზანტიის იმპერატორები ცდილობდნენ თემის წევრი გლეხისათვის შეენარჩუნებინათ მისი მეურნეობა და დაეცვათ იგი ძლიერთა ხელყოფისაგან. რა თქმა უნდა, ამას ისინი ჩადიოდნენ არა იმიტომ, რომ გლეხები ებრალებოდათ, არამედ იმის გამო, რომ ისინი ზრუნავდნენ შეენარჩუნებინათ მებეგარეთა და მებრძოლთა ის კონტინგენტი, რომელიც ასე ძალიან ესაჭიროებოდა ბიზანტიის სახელმწიფო ხაზინასა და არმიას. სლავთა მასებმა VII და VIII საუკუნეებში განამტკიცეს ბიზანტიის არმია და სახელმწიფოს შესაძლებლობა მიეცა თავი დაეღწია შექმნილი რთული მდგომარეობიდან. წვრილი გლეხური მეურნეობის საფუძველზე ბიზანტიაში სტრატიოტების სახით ახალი სამხედრო წოდება წარმოიშვა.

სტრატიოტები ქმნიდნენ სამხედრო დასახლებულ ადგილებს, რომლებსაც თემები ეწოდებოდა. თემებს „სტრატეგოსები“ ედგნენ სათავეში. სტრატეგოსის ხელში გაერთიანებული იყო როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ძალაუფლება და იგი ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდა. რადგან თემები უმთავრესად საზღვრებთან მდებარე ადგილებში იყო განლაგებული, ამიტომ მათი შეიარაღებული ძალების მთავარ დანიშნულებას თავდაცვა წარმოადგენდა. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ სამხედრო თემები უფრო ხშირად

სლავებით იყო დასახლებული, მაგრამ ისეთი თემებიც არსებობდა, რომელთა მოსახლეობას სხვა ტომები (ავარები, სომხები და სხვ.) წარმოადგენდნენ.

ქვეყნის სლავიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებები

იმპერიის სოციალურ განახლებასთან ერთად შეიცვალა მისი ადმინისტრაციული ორგანიზაცია. ეს ახალი ორგანიზაცია სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა იყო, რომელმაც თემური წყობის საბოლოოდ ბა მიიღო. ამგვარად, თემის თავისუფალი გლეხობა ბიზანტიის ახალი ჯარის დასაყრდენ სოციალურ ბაზად გადაიქცა. ეს ახალი და შედარებით უფრო ბრძოლისუნარიანი არმია ბიზანტიამ ამ თავისი ყველაზე უფრო საშიში საგარეო მტრის — არაბების წინააღმდეგ გამოიყენა. ამ გარდაქმნების დადებითმა მნიშვნელობამ განსაკუთრებით იჩინა თავი VIII საუკუნეში, როდესაც ბიზანტიის სათავეში ისავრელთა დინასტია მოექცა.

ისავრელთა დინასტიას საფუძველი ლეო მესამემ ჩაუყარა, რომელიც წარმოშობით მცირე აზიაში, სირიის საზღვრებთან მდებარე ისავრიის პროვინციიდან იყო. ვიდრე იმპერატორი გახდებოდა, ის ერთ-ერთი თემის ხელმძღვანელი სტრატეგოსი იყო. ლეო მესამე, ისევე როგორც მომდევნო იმპერატორი კონსტანტინე მეხუთე (741 — 775), სამხედრო პირი იყო და ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა. მას ურთულეს პირობებში მოუხდა გამეფება. მანამდე ბიზანტიაში შინაგან პოლიტიკურ კრიზისს ჰქონდა ადგილი. 22 წლის განმავლობაში ექვსი იმპერატორი გამოიცვალა, თითოეულ გადამდგარ იმპერატორს ასახიჩრებდნენ (სჭრიდნენ ცხვირს, აბრმავებდნენ და სხვ.), რომ ისინი კვლავ არ დაბრუნებოდნენ იმპერატორის ტახტს.

VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის საგარეო მდგომარეობა მეტად დაძაბული აღმოჩნდა. არაბები მცირე აზიაში შეიჭრნენ, მალე მათ დაიკავეს კუნძულები კიპროსი და როდოსი. 717 წელს არაბებმა თვით ბიზანტიის სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლს შემოარტყეს ალყა, რაც 718 წლამდე — 13 თვეს გაგრძელდა. ამგვარად, ლეო მესამის მოღვაწეობა კონსტანტინოპოლის დაცვით დაიწყო. ქალაქის დაცვის დროს ხელახლა გამოიყენეს „ბერძნული ცეცხლი“ (პირველად იგი გამოყენებული იყო 687 წელს), რომელიც მზადდებოდა ნავთობისაგან, გოგრდისაგან, გვარჯილისაგან და სხვადასხვა კუპრისაგან. მას ისეთი თვისება ჰქონდა, რომ წყალშიც არ ქრებოდა. მისი საშუალებით არაბების ხომალდებს ბერძნები ცეცხლს უკიდებდნენ და ზღვაში ძირავდნენ. „ბერძნული ცეცხლით“ ლეო მესამემ შეძლო არაბების საზღვაო ფლოტის ძირითადი ნაწილის განადგურება და

კონსტანტინოპოლისათვის ალყის მოხსნა. არაბებთან ბრძოლაში მას დიდი დახმარება გაუწიეს ბულგარელებმა.

ამგვარად, ბიზანტიის იმპერია, რომლის ბედიც როგორც იტყვიან, ბეწვზე ეკიდა, დაღუპვისაგან გადარჩა. გარეგანი საშიშროება თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ ფართო რეფორმათა გატარება ბიზანტიაში მაინც აუცილებელი ხდებოდა, ვინაიდან ამ ქვეყანაში მომხდარი სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები არსებულ საწარმოო ურთიერთობას ვეღარ ეგუებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ნიკას" აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაბატონებული კლასის ერთმა ნაწილმა, სენატორული არისტოკრატიის სახით, რომელიც ამ აჯანყების მონაწილე იყო, VIII საუკუნისათვის დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ხშირი კონფისკაციების შედეგად მსხვილმა საერო მემამულეებმა ხელი აიღეს თავიანთ მიწებზე, რომლებიც უმთავრესად სტრატეგოსებს, მათ მოადგილეებს („ტურმარქოსებს") და სამხედრო წოდების სხვა წარმომადგენლებს გადაეცათ. გარდა ამისა, ისავრელთა დინასტიის გაბატონებამდე იმპერატორები უფრო მეტად სასულიერო წოდებას ეყრდნობოდნენ, რის გამოც ეკლესია მეტისმეტად გაძლიერდა. VII საუკუნეში საუკეთესო მიწების თითქმის ნახევარი ეკლესიის ხელში აღმოჩნდა. ამასთან, სამონასტრო მამულები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. მათ სასარგებლოდ იმპერატორები უხვად გასცემდნენ ხოლმე სიგელებს, რომლებითაც ეკლესია თავისუფლდებოდა ბეგარისაგან და გადასახადებისაგან. ამასთან, იგი შეუვალი ხდებოდა მართვა-გამგებლობის საქმეში. ეს იყო „ექსკუსია", რაც დასავლეთ ევროპის იმუნიტეტს შეესაბამებოდა.

მაშასადამე, გაბატონებულ კლასში მომხდარი სოციალური ცვლილება, ერთი მხრივ, სასულიერო წოდების, და საერთოდ ეკლესიის გაძლიერებაში გამოიხატა, ხოლო მეორე მხრივ, მსხვილი საერო მიწათმფლობელები, სენატორული არისტოკრატია სტრატეგოსებმა და ტურმარქოსებმა შეცვალეს. ეს უკანასკნელნი ფულად ჯამაგირთან ერთად მიწებსაც ღებულობდნენ და, არსებითად, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სამხედრო-ფეოდალური წოდების წარმომადგენელნი იყვნენ.

არც სტრატიოტების ფენა იყო სოციალურად ერთფეროვანი. ჯერ კიდევ „სამიწათმოქმედო კანონიდან" ჩანდა, რომ თემის წევრებს სხვადასხვა ზომის ნაკვეთები გააჩნდათ. დროთა მსვლელობაში თემს ახლად წარმოშობილი მსხვილი მიწათმფლობელები გამოეყვნენ „ვლასტელების", ანუ „დინატების" სახით. ახლა ყველა სტრატიოტს სამხედრო საქმეში თანაბარი მოვალეობის შესრულება აღარ შეეძლო იმის გამო, რომ ყოველი მათგანი უკვე აღარ ფლობდა თანაბარ ეკონომიკურ ძალას. სტრატიოტების ერთი ნაწილი — მიწათმოქმედნი —

ქვეითი ჯარის რიგებს ავსებდნენ, მეორე ნაწილს, რომელსაც ცხენები ჰყავდა. წვრილ-მემამულური ტიპის თავისებური რაინდები წარმოადგენდნენ. ამგვარად, VIII საუკუნეში მსხვილი და წვრილი ფეოდალების რაოდენობა იზრდებოდა. ამასთან, რა თქმა უნდა, უმიწაწყლო გლეხები ასევე სწრაფად კარგავდნენ თავისუფლებას და ყმურ დამოკიდებულებაში ექცეოდნენ.

ბიზანტიაში დიდი მოთხოვნილება იყო სამხედრო წოდების რიცხობრივ ზრდაზე, ამიტომ საჭირო ხდებოდა მიწების დამატებითი ფონდის გამონახვა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ძველი საერო მსხვილი მიწათმფლობელობა თითქმის აღარ არსებობდა. თვით სამეფო მიწების ფონდიც ძალიან შემცირებული აღმოჩნდა. პოლიტიკური დასუსტების გამო ბიზანტიას აღარ შეეძლო მასობრივი დაპყრობების წარმოება. ერთადერთი გამოსავალი ეკლესიის მიწების სამხედრო პირებისათვის გადაცემა იყო, მაგრამ ეს ძლიერი ეკლესიის წინააღმდეგობას გამოიწვევდა. მაშასადამე, ვიდრე სამონასტრო მიწების კონფისკაცია მოხდებოდა, აუცილებელი იყო ჯერ ეკლესიის გავლენის შესუსტება მოსახლეობაში.

§ 3. ფეოდალური საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბება ბიზანტიაში

ფეოდალური ურთიერთობის გაძლიერება და მასობრივი გამოსვლები

ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნასთან ერთად ბიზანტიაში დაიწყო მასების მძლავრი გამოსვლები, რაც ისტორიაში ცნობილი გახდა პავლიკიანელთა მოძრაობის სახელწოდებით. პავლიკიანელთა მოძრაობა იყო მასების პროტესტი დაყმევებისა და ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. პავლიკიანელები უარყოფდნენ ფუფუნებით ცხოვრებას, სოციალურ გათანაბრებას მოითხოვდნენ და უნდოდათ საეკლესიო იერარქიის მოსპობა. ამასთან, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხატებისადმი თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობაა და ამიტომ ეკლესიებში ხატების ჩამოხსნას მოითხოვდნენ. მათი აზრით, არაბები ბიზანტიელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში იმიტომ იმარჯვებენ, რომ ისინი კერპთაყვანისმცემლები არ არიან, რადგან მათ ხატები არ გააჩნიათო. ამგვარად, პავლიკიანელობა მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგაც იყო მიმართული.

როგორც ჩანს, პავლიკიანელებმა თავიანთი სახელწოდება პავლე მოციქულისაგან მიიღეს, რადგან მათი იდეოლოგები ამტკიცებდნენ, თითქოს პავლიკიანელთა შეხედულებანი პავლეს ეპისტოლეთაგან გა-

მომდინარეობდა. პავლიკიანელების მანიქეველებზე უფრო აქტიურ მებრძოლებად გამოსვლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ უზრუნველყოფდა პავლიკიანელობის სწრაფ და ფართო გავრცელებას მოსახლეობაში; ეს ითქმის, განსაკუთრებით, მცირე აზიასა და სომხეთზე.

ახალი დიდკაცობის წარმომადგენლებმა, ლეო მესამემ და კონსტანტინე მეხუთემ პავლიკიანელობას მხარი დაუჭირეს. ამგვარად, ბიზანტიაში „ხატთმებრძოლეობა“ დაიწყო. ამ მხარდაჭერაში იმპერატორებს პავლიკიანელთა იდეები კი არ იზიდავდა, არამედ ეკლესიის შესუსტებისა და სამონასტრო მიწების ხარჯზე ჯარების გაძლიერების სურვილი. როცა ბერებმა და, საერთოდ, ეკლესიამ, ხატთმებრძოლეობის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ბიზანტიის ხელისუფლებმა მონასტრების შევიწროება დაიწყეს. მონასტრების უმრავლესობა ყაზარმებად აქციეს, ხატები დაწვეს და მათი დამზადება აკრძალეს. ამან მოსახლეობაში ეკლესიის ავტორიტეტი დასცა და მისმა შემოსავალმაც იკლო. ეკლესიის შესუსტების შემდეგ კი დაიწყო მისი განძეულობის კონფისკაცია, სამონასტრო მიწების სეკულარიზაცია და მათი სამხედრო დიდკაცობისათვის გადაცემა. სეკულარიზებული მიწების მეორე ნაწილი სტრატიოტების ახალი ნაკვეთების შედგენას მოახმარეს. ბიზანტიის ახლად ფორმირებულ რაინდობას აღნიშნული სამონასტრო მიწები ეძლეოდა დასავლეთ ევროპის ბენეფიციუმების მსგავსად; აქ მათ „ბარისტიკიები“ ეწოდებოდათ.

ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცების მიზნით და, საერთოდ, ბიზანტიის პოლიტიკური გაძლიერებისათვის, ისავრელთა დინასტიამ სხვა ღონისძიებებიც ჩაატარა. გამოქვეყნდა „სამხედრო“ და „საზღვაო“ კანონები: პირველი ითვალისწინებდა ჯარების გარდაქმნას — მთელ იმპერიაში თემური სისტემის გავრცელებას, მეორე კანონი კი ფლოტის შემადგენლობას საგრძნობლად ამცირებდა იმის გამო, რომ მასში გაძლიერებული იყო ოპოზიცია ხატთმებრძოლეობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამასთან, საჭირო შეიქნა ძველი „იუსტინიანეს კოდექსის“ გარდაქმნა ახლად შექმნილი პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, გამოცემულ იქნა კანონთა კრებული „ეკლოგა“, რომელიც მიზნად ისახავდა ფეოდალური ოჯახის განმტკიცებასა და ახლად წარმოქმნილი დიდკაცობის ინტერესების დაცვას. ისავრელთა დინასტიის წარმომადგენელთა რეფორმებმა თავიანთ მიზანს მიაღწია. ბიზანტია პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ მისთვის გარეშე მტრების შემოსევა საშიში აღარ იყო. ხელოსნური წარმოება ქალაქებში მნიშვნელოვნად განვითარდა. მრეწველობისა და ვაჭრობის შედარებით მაღალი დონის შესახებ მოგვითხრობს IX საუკუნის „ეპარქოსის წიგნი“. მასში

უხვადაა მოცემული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ახდენდა ხელისუფლება წარმოების რეგლამენტაციას.

გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცებასაც, მაგრამ ფეოდალიზმის განვითარებასთან სდევდა ექსპლუატაციის ახალი ფორმები. უშუალო მწარმოებელთა დაყმევება უფრო სწრაფად წავიდა წინ. ოდესღაც თავისუფალი სტრატიოტები ჯერ მიწებს კარგავდნენ და შემდეგ მთლიანად დამოკიდებულნი ხდებოდნენ მემამულეებზე. დინატები, ანუ ვლასტელები თანდათან ხელთ იგდებდნენ თემის სახნავ-სათეს მიწებსა და საძოვარ ადგილებს, ხოლო სტრატიოტებს ყმებად აქცევდნენ. IX საუკუნისათვის, როდესაც არაბების თავდასხმები შეწყდა, სტრატიოტი გლეხების მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. განსაკუთრებით მწვავე ჩაგვრა სლავებით დასახლებულ ადგილებში შეიმჩნეოდა.

ხალხის მზარდი უკმაყოფილების საფუძველზე 821 წელს მცირე აზიაში დაიწყო ახალი მძლავრი მოძრაობა, რომელსაც თომა სლავის აჯანყება ეწოდა. თომა წარმოშობით სლავი იყო. ჯერ კიდევ ლეო V დროს (813 — 820) იგი ტურმარხად, ანუ სამხედრო მეთაურად ითვლებოდა მცირე აზიის ერთ-ერთ თემში. მან დაყმევების პროცესში მყოფი გლეხების უკმაყოფილებით ისარგებლა, აჯანყების მეთაური გახდა და თავისი თავი იმპერატორად გამოაცხადა. ერთ-ერთი ყამთალმწერლის მიხედვით, თომა სლავი წარმოშობით ღარიბთა წრეს მიეკუთვნებოდა. საერთოდ კი, აჯანყებულთა სოციალური შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო.

აჯანყების მონაწილეთა ძირითად ბირთვს დამოკიდებული გლეხობა, სტრატიოტები და დაპყრობილი ტომები შეადგენდნენ. მოძრაობაში ჩაებნენ აგრეთვე პავლიკიანელები. მცირე აზიიდან აჯანყება თრაკიასა და მაკედონიაშიც გავრცელდა. აჯანყებულთ ჰყავდათ ძლიერი შეიარაღებული ძალები და საზღვაო ფლოტიც კი გააჩნდათ. აჯანყებულებმა კონსტანტინოპოლს შემოარტყეს ალყა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. 823 წელს, გამცემლობის შედეგად და ბულგარელების დახმარებით თომა სლავის აჯანყება ჩაახშეს. თომა სლავის ერთგული მომხრეები 825 წლამდე განაგრძობდნენ ბრძოლას იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში.

ბიზანტია მაკედონელთა დინასტიის (867 — 1057) ხანაში

ბიზანტიაში ახალი დინასტიის გამეფებამდე ხატმებრძოლეობა თანდათან შესუსტდა. ჯერ კიდევ VIII საუკუნის ბოლოს დედოფალმა ირინემ სცადა ხატებისადმი თაყვანისმცემლობის აღდგენა, მაგრამ ეკ-

ლესიისადმი დამოკიდებულების პოლიტიკის რადიკალური შეცვლა მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა სამხედრო წოდება სავსებით დაკმაყოფილდა ეკლესიისაგან მიღებული მიწებით. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ისავრელთა დინასტიის წარმომადგენელნი ხატმებრძოლეობას მხარს უჭერდნენ არა იმიტომ, რომ ისინი პავლიკიანელთა იდეების მიმდევარნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ ესაჭიროებოდათ სამონასტრო მიწების თავისი მიზნებისათვის გამოყენება და როცა ამის საჭიროება მოისპო, ხატმებრძოლეობა არამც თუ მარტო ზედმეტი, არამედ მავნეც კი გახდა. 843 წელს დედოფალმა თეოდორამ, რომელიც თავისი მცირეწლოვანი შვილის, მიხეილ III-ის (842 — 867) სახელით მართავდა იმპერიას, აღადგინა „მართლმადიდებლობა" და ხატებისადმი თაყვანისცემაც.

ბიზანტიური ეკლესიის პრივილეგიათა აღდგენა და მისი განმტკიცება გაბატონებული კლასებისათვის მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ფეოდალიზმის იდეოლოგიური დასაყრდენი მტკიცე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეკლესიასთან ხელისუფლების შერიგებას უნდა მოჰყოლოდა ეკლესიის მოწინააღმდეგე მიმდინარეობის — პავლიკიანელობის სრული განადგურება. ბევრი პავლიკიანელი დაბოცეს. პავლიკიანელთა ერთმა ნაწილმა თავისი დასახლებული ადგილები დატოვა და დაიწყო თავგამოდებული პარტიზანული ბრძოლა. საზღვრისპირა რაიონებში პავლიკიანელთა რამდენიმე ციხესიმაგრე აღიმართა. აჯანყებულთა მეთაური კარვეასი გახდა, რომელთანაც თავს იყრიდნენ გაქცეული პავლიკიანელები. მოძრაობის ცენტრად ქ. თეფრიკა იქცა. შეიარაღებულმა გლეხებმა და ხელოსნებმა სექტანტური რესპუბლიკა დააარსეს. ხელისუფლების მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ წამოწყებული რამდენიმე ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ბრძოლებში მოკლული კარვეასი მისმა ნათესავმა — ხრისოხირმა შეცვალა. პავლიკიანელთა გმირული ბრძოლები გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სამეფო ტახტი მაკედონელთა დინასტიის ხელში არ გადავიდა.

მაკედონელთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი ბასილ პირველი (867 — 886) წარმოშობით მაკედონელი გლეხი იყო, რომელმაც ხელისუფლებისაკენ გზა თავისი მფარველის, მიხეილ III-ის მოკვლით გაიკაფა. მეფობა მან პავლიკიანელებთან ბრძოლით დაიწყო. ეს ბრძოლა დამთავრდა მხოლოდ 872 წელს, ხრისოხირის მოკვლითა და პავლიკიანელთა სასტიკი დასჯით. თუ როგორი ზიზღით უყურებდა ეს იმპერატორი აჯანყებულთ, იქიდან ჩანს, რომ როცა მას ხრისოხირის მოჭრილი თავი მიუტანეს, ამ მოჭრილ თავს მან კიდევ სამი ისარი ესროლა. მიუხედავად პავლიკიანელთა ფანატიკური დევნისა, ბასილმა მაინც ვერ შესძლო ამ მოძრაობის სრული ჩახშობა.

ახალმა იმპერატორმა ისავრელთა დინასტიის თითქმის ყველა რეფორმა გააუქმა და იუსტინიანეს კანონმდებლობა ხელახლა აღადგინა. ბუნებრივია, ისავრელების ყველა ბრძანებულება, რომელიც ხატთმებრძოლეობას ეხებოდა, გაუქმდა. ბერობას კვლავ გაბატონებული მდგომარეობა შეუქმნეს. მის მიერ წინათ მიღებული ზარალი, ახალი დინასტიის წარმომადგენლებმა ეკლესიას ერთიორად აუნაზღაურეს. ისინი ეკლესიას უხვად ასაჩუქრებდნენ მიწებით, მას ექსკუსიებს ანიჭებდნენ, უშენებდნენ მრავალ ახალ მონასტერს და ა. შ.

მმართველობაში უფრო რეაქციული ხაზის გამტარებელი ბასილ პირველის მომდევნო იმპერატორი ლეო VI (886 — 912) აღმოჩნდა. მან, სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციის მიზნით, ქალაქების თვითმმართველობა მოსპო, აკრძალა მუნიციპალურ ხელისუფალთა არჩევნები, გააუქმა ქალაქის დემების მნიშვნელობა, გაზარდა ბიუროკრატიული აპარატი. ამ ხანებში თანდათან მუშავდებოდა სასახლის ცხოვრების რთული ცერემონიალი, რომელიც ნათელ ფორმებშია გადმოცემული იმპერატორ კონსტანტინე VII-ის (913 — 959) ტრაქტატში — „კარისა და ცერემონიათა წესების შესახებ", რომლის მიხედვით იმპერატორის ამალამ ხალხს უნდა მისცეს უზენაესი ხელისუფლების გაღმერთების მაგალითი: იმპერატორის წინაშე პირქვე უნდა დაეცნენ, თავი მიწაზე უნდა დახარონ, იმპერატორს ფეხებზე ემთხვიონ და სხვ. ერთი სიტყვით, იმპერატორი ხალხს უნდა წარმოუდგინონ ზებუნებრივ არსებად.

ჯერ კიდევ იუსტინიანეს ხანაში ხელისუფლება ამჩნევდა, რომ წვრილი მიწათმფლობელების მეზობლად მყოფი ძლიერი პიროვნება პირველთ მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა. ამის გამო იუსტინიანეს კოდექსი ოლქის მმართველს უკრძალავდა რისამე შესყიდვას ან შეძენას თავის ოლქში. ეს გარემოება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც აფერხებდა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებას. ლეო მეექსვემ ეს წესი 84-ე ნოველით შეცვალა. ამიერიდან „დადგენილია, რომ უფროსთა შემადგენლობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეუძლია ააშენოს და კიდეც შეიძინოს რაიმე თავისი სურვილების მიხედვით..." ამგვარად, დინატებსა და სხვა დიდკაცებს ფართო გასაქანი მიეცათ თავიანთი მამულების გამსხვილებისათვის.

ისავრელთა დინასტიის წარმომადგენელთა „ეკლოგა" შეიცვალა ახალი საკანონმდებლო კრებულით — „ბასილიკებით". ამ კრებულში თვალსაჩინოდაა ასახული თავისუფალი გლეხური მეურნეობის ყოველმხრივი დაკაბალება და თვით გლეხის დაყმევების პროცესი. ერთი მხრივ, თავისუფალი გლეხები კარგავდნენ მიწებს და „პარიკე-

ბად“ იქცეოდნენ, მეორე მხრივ კი, იზრდებოდა მსხვილი მიწათმფლობელობა. არისტოკრატია სულ უფრო ძლიერდებოდა. თავის მხრივ, ხელისუფლება ცდილობდა არისტოკრატიისათვის ყოველმხრივ პრივილეგიური მდგომარეობა შეექმნა.

ფეოდალიზაციის პროცესი მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელთა დროს იმდენად სწრაფი ტემპებით წარიმართა, რომ მნიშვნელოვანი საშიშროება შეიქნა არმიის რიგითი ჯარისკაცების რაოდენობის შემცირებისა თავისუფალი გლეხების მასობრივად ყმებად გადაქცევის გამო. იგივე გარემოება ხაზინის შემოსავალს მკვეთრ შემცირებას უქადდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შემდეგ თვით იმპერატორები გახდნენ იძულებულნი ზომები მიეღოთ ამ პროცესის შესანელებლად.

პირველი იმპერატორი, რომელმაც ამ საშიშროების მნიშვნელობა გაითვალისწინა, რომანოზ I იყო (919 — 944). მისი მეფობის დროს ბიზანტიაში თავისუფალი გლეხების მიერ მიწების დაკარგვით გამოწვეული კლასობრივი ბრძოლები წარმოებდა. გლეხთა მძლავრი აჯანყება მოხდა მცირე აზიაში დაახლოებით 932 წელს ვინმე ბასილის, მეტსახელად „სპილენძის ხელის“ ხელმძღვანელობით. 934 წელს სლავთა ტომების აჯანყება დაიწყო პელოპონესში და სხვ. ყველა ეს აჯანყება სასტიკად ჩაახშეს. გლეხთა აჯანყებების გავლენითა და იმ მოსაზრებით, რომ შეენარჩუნებინათ ჯარის სულ ცოტა, 120 000-იანი კონტინგენტი და სახელმწიფო გადასახადები, იმპერატორმა 922, 934 და 943 წლებში გამოსცა ნოველები, რომლებითაც ცდილობდა შეეზღუდა მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა გლეხურ მეურნეობათა ხარჯზე.

922 წელს გამოცემული ნოველის მიხედვით, გლეხური მიწების გასხვისების შემთხვევაში მიწის შესყიდვის უფლება, პირველ ყოვლისა, ამ გლეხის ნათესავებს, მეზობლებს და, ბოლოს, — თანასოფლელებს ჰქონდათ, და მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის მყიდველი არ გამოჩნდებოდა, შეიძლებოდა ამ მიწის უცხო პირებისათვის მიყიდვა. ამავე ნოველის მიხედვით, დინატებს გლეხური მიწების ყიდვა ეკრძალებოდათ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ ამ სოფელში საკუთარი მიწები ჰქონდათ. ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე ისჯებოდა იმით, რომ იგი ნაყიდ მიწას უკან აბრუნებდა საფასურის მიუღებლად და, გარდა ამისა, უნდა გაეღო ფულადი ჯარიმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

სხვა ნოველები, ფაქტიურად 922 წლის კანონის გამეორება იყო. უნდა ითქვას, რომ მათი ცხოვრებაში გატარება წინააღმდეგობებს აწყდებოდა, მსხვილი მიწათმფლობელობა კი სულ უფრო მეტად იკაფავდა გზას. ასეთივე მარცხით დამთავრდა იმპერატორის მომდევნო

ანალოგიური ღონისძიებანიც. 963 წელს ტახტზე ავიდა ნიკიფორე II ფოკა, რომელიც აგრესიული პოლიტიკის გატარების მომხრე იყო როგორც აზიაში, ისე ევროპაში; იგი მცირე აზიის სამხედრო დიდკაცობის წარმომადგენლად გამოდიოდა, რის გამოც საშინაო პოლიტიკაში დინატების ინტერესებს ახორციელებდა. 967 წელს გამოცემულ კანონში იგი ამტკიცებდა, რომ მისი წინამორბედი იმპერატორები თითქოს გადაჭარბებულ მზრუნველობას იჩენდნენ გლეხებისადმი, რაც „უსამართლობას“ წარმოადგენდა მსხვილი მიწათმფლობელების მიმართ.

ამგვარად, მაკედონელთა დინასტიის ექსპანსია მეათე საუკუნეში ორი მიმართულებით გამოვლინდა: ერთი მხრივ, მისი წარმომადგენლები ბიზანტიის პროვინციებში ახდენდნენ გლეხური საკუთრების ლიკვიდაციას, მეორე მხრივ კი ბიზანტიის ტერიტორიას აფართოებდნენ აზიასა და აფრიკაში, არაბეთისა და ბულგარეთის ტერიტორიათა ხარჯზე. ნიკიფორე ფოკამ, ისარგებლა რა არაბთა სახალიფოს დაშლით წვრილ ფეოდალურ ერთეულებად, ქვეყნის მრავალი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მომდევნო იმპერატორმა იოანე ციმისხიმ (969 — 976) ხელი შეუწყო ეკლესიის გაძლიერებას და მსხვილი მიწათმფლობელების მიერ გლეხთა დაყმევებას. ყველა ძალის მობილიზაციის შემდეგ მან შეძლო ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან კიევის მთავრის, სვიატოსლავის განდევნა. 972 წელს ციმისხიმ ბიზანტიას დუნაისპირეთის ბულგარეთი შემოუერთა, ხოლო 974—975 წლებში უკან დაუბრუნა იმპერიას არაბების მიერ მიტაცებული სირია და მესოპოტამიის ერთი ნაწილი.

შემდგომი ფეოდალიზაცია და ბიზანტიის პოლიტიკური შესუსტება

X საუკუნის მეორე ნახევრისათვის, ერთი შეხედვით, ჩანდა, რომ ბიზანტიის პოლიტიკური სიძლიერე თითქოს მნიშვნელოვანი იყო და მაკედონელთა დინასტიის საგარეო პოლიტიკაც მიზანსწრაფული გახდა; მაგრამ, ამავე დროს, ბიზანტიაში, ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად, იზრდებოდა ცალკეული კერძო პირებისა და, ხანდახან, ცალკეულ გვარეულობათა პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც საფუძველს უთხრიდა ბიზანტიის პოლიტიკურ მთლიანობას და, მაშასადამე, მის სიძლიერესაც. კომნინოსების, კანტაკუზინების, დუკებისა და სხვა ფეოდალურ გვარეულობათა სიმდიდრე და გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. XI — XII საუკუნეებში, ფეოდალიზაციის პროცესის დამთავრებასთან ერთად, ბიზანტიაში გაძლიერდა ცენტრიდანული ძალები.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებას აღმოეფხვრა ასეთი ტენდენცია, XI საუკუნეში იგი თვითონ იწყებს მისთვის ხელის შეწყობას. ამ დროს ფართოდ ვრცელდება „პრონიების“ (ბენეფიციუმების) გაცემა. პრონიების სახით დინატებზე გაიცემოდა არა მარტო სახელმწიფო მიწები, არამედ ის მიწებიც, რომლებიც ადრევე გლეხურ თემებს ეკუთვნოდა. პრონიის მიმღები დინატი სენიორის უფლებებს მოიპოვებდა იმ გლეხებზეც, რომლებიც მანამდე ამ მიწის ან მამულის თავისუფალ მუშახელად ითვლებოდნენ. ამგვარად, პრონიების სისტემა თუ, ერთი მხრივ, დინატების რაოდენობას ზრდიდა, მეორე მხრივ, თავისუფალ გლეხთა შემორჩენილი მეურნეობის ლიკვიდაციასაც ახდენდა.

მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგმა მალე იჩინა თავი. ბიზანტიის პოლიტიკური ძლიერება იმდენად შეირყა, რომ ბასილ მეორის გარდაცვალების (1025 წ.) შემდეგ ბიზანტიელები იძულებულნი გახდნენ ყველა საზღვარზე შეტევიდან თავდაცვაზე გადასულიყვნენ. პაჭანიკებმა მდინარე დუნაი გადალახეს და თრაკია ადრიანოპოლამდე საშინლად დაარბიეს. მათ კონსტანტინე IX მონომახოსი დაამარცხეს და აიძულეს დიდი ხარკი გაეღო და მათთვის მიწებიც დაეთმო. გარდა ამისა, აღმოსავლეთის საზღვრებთან ახალი დიდი საშიშროება გაჩნდა. 1055 წელს, მას შემდეგ, რაც თურქ-სელჩუკებმა აიღეს ბაღდადი, დაიწყო მათი შემოსევები სირიაში, მესოპოტამიაში, მცირე აზიასა და სხვა ბიზანტიურ სამფლობელოებში. სელჩუკების მიერ ამ ადგილების დაპყრობათა შედეგად ბიზანტიის ჯარები იძულებულნი იყვნენ ზღვის სანაპიროებისაკენ დაეხიათ.

ბიზანტიის საერთაშორისო მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ 1054 წელს მოხდა ქრისტიანული ეკლესიის საბოლოოდ ორად განაწილება: დასავლეთის, რომაულ-კათოლიკურ და აღმოსავლეთის, მართლმადიდებლურ ეკლესიებად. ქრისტიანული ეკლესიის გაორებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში, რომის იმპერიის ორად გაყოფის შედეგად. მას შემდეგ ქრისტიანობის ორი ცენტრი წარმოიშვა, დასავლეთით — ქ. რომი (დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთათვის), ხოლო აღმოსავლეთით — კონსტანტინოპოლი (აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის), რომლისკენაც მიილტვოდნენ თვით ბიზანტია, ბალკანეთის სლავები და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები. დროებითი განხეთქილება ამ ორ ცენტრს შორის ხდებოდა V, VI და VII საუკუნეებში.

დამოკიდებულება ეკლესიათა შორის განსაკუთრებით გამწვავდა მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, რაც დაკავშირებული იყო მო-

რავიისა და ბულგარეთის გაქრისტიანებასთან. ამ ეკლესიათაგან თითოეულს სურდა თავისი გავლენა გაევრცელებინა ამ ქვეყნებში. 1054 წლის განხეთქილების უშუალო საბაბს კი წარმოადგენდა შემდეგი გარემოება: რომის პაპმა ლეო IX-მ (1048-54) თავისი კანდიდატი აკურთხა სიცილიის არქიეპისკოპოსად, რითაც კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიხეილ კერულარიოსის უფლებები შელახა. ამის საპასუხოდ, უკანასკნელმა ბიზანტიაში დახურა ყველა ის ეკლესია და მონასტერი, რომელიც რომაული კათოლიკობის მიმდევარი იყო. 1054 წელს ორივე ეკლესიის მესვეურებმა შერისხეს და ეკლესიიდან განკვეთეს ერთმანეთი. ეკლესიის ამ განხეთქილებამ ბიზანტიას მოუსპო პაპის მხარდაჭერა ნორმანებთან ბრძოლაში, რომლებმაც სამხრეთი იტალია დაიპყრეს და ახლა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაიწყეს შეჭრა.

ასეთ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში ბიზანტიის შინაგან სიმტკიცეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ კიდევ ადრე (1040 წ.) ბულგარეთში მძლავრი აჯანყება დაიწყო. ბიზანტიის ხელისუფლებამ, როგორც იქნა, მოახერხა ამ აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ ბიზანტიის სამხედრო წოდების წარჩინებულთა ფენა სისტემატურად ცდილობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ამ მიზნით ხელისუფლების წინააღმდეგ აწყობდა გამოსვლებს იმპერიის სხვადასხვა ნაწილში. როცა ამ მხრივ სამეფო ხელისუფლების მდგომარეობა გართულდა, მან გადაწყვიტა შეემცირებინა სამხედრო დიდკაცების მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში. ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ შეამცირა ასიგნობანი სამხედრო დარგში.

მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა მიერ სახელმწიფო პოლიტიკის ამგვარ შეცვლას მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალურმა დიდკაცობამ 1057 წელს მძლავრი აჯანყებით უპასუხა. მან ბრძოლაში დაამარცხა ხელისუფლების შეიარაღებული ძალები და მცირე აზიის ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალი ისააკ კომნინოსი იმპერატორად გამოაცხადა (1057 — 1059). ისააკის გამეფებასთან ერთად ხელახლა დაიწყო ფეოდალური ანარქია, რამაც ბიზანტიის სახელმწიფო უფრო მეტად დაასუსტა. 1071 წლის აგვისტოში თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში იმპერატორი რომანოზ IV დიოგენი მანასკერტთან საშინლად დამარცხდა. თურქ-სელჩუკებმა იგი ტყვედ ჩაიგდეს. ბიზანტიაში ანარქიას ბოლო მოეღო მხოლოდ 1081 წლიდან, როცა იმპერატორად სამხედრო-ფეოდალური დიდკაცობის წარმომადგენელი ალექსი კომნინოსი (1081 — 1118) გახდა. ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა კომნინოსების დინასტიის ბატონობას (1057 — 1185).

როგორც მარქსი აღნიშნავდა, ალექსი კომნინოსი განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდა შინაგან ამბოხებათა წინააღმდეგ და გარეშე მტრების მიმართაც — რობერტ გისკართან და მის შვილთან, ბოემუნდთან; 20 წლის შემდეგ კვლავ გაიმართა ბრძოლა ბოემუნდთან. იმპერიის ჩრდილოეთით არ წყდებოდა პაჭანიკებისა და ყივჩაყების გამანადგურებელი თარეშები; აღმოსავლეთით სელჩუკების სულთნებმა იმპერიას ნიკეა და იკონია ჩამოაცილეს. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. თურქ-სელჩუკების მესვეურმა ჩახამ, რომელმაც თავისი საზღვაო ფლოტი კონსტანტინოპოლს მიაყენა, პაჭანიკებთან კავშირი დაამყარა და ერთობლივი მოქმედებით ბიზანტიას ემუქრებოდა. ალექსი კომნინოსმა დახმარება სთხოვა დასავლეთ ევროპას, მაგრამ რეალური მხარდაჭერა მაშინ ვერ მიიღო. სამაგიეროდ, აღნიშნული მტრის წინააღმდეგ მან ყივჩაყნი და სლავები გამოიყენა. საფრთხე დროებით აცილებულ იქნა და ჯვაროსანთა ლაშქრობების დაწყების წინ ბიზანტიის მდგომარეობა ასე თუ ისე სტაბილური გახდა.

თავი IV

საფრანგეთი X — XI საუკუნეებში

§ 1. საფრანგეთი ვერდენის ხელშეკრულებიდან კაპეტინგების დინასტიის გაბატონებამდე

ვერდენის 843 წლის ხელშეკრულების მნიშვნელობა და მისი შედეგები

როგორც ცნობილია, ვერდენის ხელშეკრულების შედეგად ფრანკთა მონარქია დაიშალა. ფრანკთა სახელმწიფოს მნიშვნელობის შესახებ ენგელსი წერდა: „...რაგინდ უნაყოფოდაც უნდა გვეჩვენებოდეს ეს ოთხასი წელიწადი, ამ პერიოდმა ერთი დიდი შედეგი დაგვიტოვა: თანამედროვე ეროვნებანი, დასავლეთი ევროპის კაცობრიობის ახალი ფორმირება და დანაწილება მომავალი ისტორიისათვის"[1]. და მართლაც, ვერდენის ხელშეკრულების შემდეგ იწყება ისეთი სახელმწიფოების არსებობა, როგორებიცაა თანამედროვე საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

ამგვარად, ცალკე საფრანგეთის, გერმანიისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა ისტორია იწყება მხოლოდ ვერდენის 843 წლის ხელშეკრულებიდან და ამიტომ გერმანელი ფაშისტი „მკვლევრების" მტკიცება იმის შესახებ, თითქოს გერმანიის სახელმწიფოს არსებობა ორი ათასი წლით უნდა განისაზღვროს, სხვა რომ არა იყოს რა, ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციას წარმოადგენს. გერმანიის სახელმწიფოს პირველ მეფედ პირობითად შეიძლება ლუდვიგ გერმანელი (840—876) ჩაითვალოს, ისევე როგორც საფრანგეთის პირველ მეფედ — შარლ მელოტი (840 — 877).

ფრანკთა მონარქია ვერდენის ხელშეკრულებამდეც ხშირად ნაწილდებოდა, მაგრამ ფრანკების სამეფოს მთლიანობა კვლავ აღდგებოდა ხოლმე, ვიდრე მასში თანდათან არ მომწიფდა პირობები ცალკეული

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 366—367.

ხალხების ჩამოყალიბებისათვის. ერთ-ერთი ამ პირობათაგანი, პირველ ყოვლისა, იყო ენა. აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ფიცი, რომელიც ძმებს, ლუდვიგ გერმანელსა და შარლს შორის 842 წელს დაიდო, ორ ენაზე ჩაიწერა: „რომანულზე" (ლათინური ენა, რომელიც ბარბაროსულ გამოთქმებთან იყო შერეული და ასეთი სახით ათვისებული ფრანკების მიერ) და გერმანულ ენაზე, რომელზედაც რაინის მიღმა მყოფი გერმანელი ტომები ლაპარაკობდნენ. ორ სხვადასხვა ენაზე ფიცის წარმოთქმა უკვე იმას ნიშნავდა, რომ მოპირდაპირე მხარეებს ერთიმეორისა აღარ ესმოდათ.

ახლად წარმოქმნილ ხალხებში სხვა თავისებურებანიც იჩენდა თავს. ასეთ პირობებში სხვადასხვა ხალხებად დანაწილებული სამეფოს ხელახლად აღდგენას უკვე სიძნელეები ეღობებოდა, მით უფრო, რომ სამეფოს ცალკეული ნაწილების ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვაგვარი იყო. ფრანკთა სამეფოს გაერთიანების უკანასკნელ ცდას ადგილი ჰქონდა 880 — 887 წლებში, მაგრამ იგი მარცხით დამთავრდა და არავითარი ნაყოფი არ გამოიღო.

ენის წარმოქმნის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო. X საუკუნისათვის დასავლეთის ფრანკების (შემდეგ — საფრანგეთის) სამეფოში ორი მონათესავე ხალხი ჩამოყალიბდა, რომლებიც რომანული ენების სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობდნენ. საფრანგეთის ჩრდილო ნაწილის მოსახლეობა, ბრეტანის გამოკლებით, მისთვის ჩვეული ძველი ფრანგული ენის ნორმანდულ, პიკარდულ და სხვა დიალექტებზე ლაპარაკობდა. სამხრეთი საფრანგეთი დასახლებული იყო ფრანგი და პროვანსელი ხალხით, რომელიც ლიმუზენურ, გასკონურ, ლანგედოკურ და სხვა დიალექტებზე მეტყველებდა. ამ ხალხთა ბუნებრივი შერწყმის პროცესი ერთ დროს შეჩერებულ იქნა ასწლიანი ომის წამოწყებით ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ხოლო XVI საუკუნის დასაწყისში იგი საბოლოოდ დამთავრდა.

ვერდენის ხელშეკრულების თანამედროვეთათვის 843 წელს ფრანკთა მონარქიის დაყოფა თითქოს არ წარმოადგენდა იმპერიის საბოლოო განაწილებას, რადგან სამივე ნაწილს ჯერ კიდევ კაროლინგების დინასტიის წარმომადგენელნი განაგებდნენ. გარდა ამისა, სახელწოდება „გერმანია" ჯერ კიდევ არ იხმარებოდა. ყველა იმ ოლქს, რომელიც შემდეგ გერმანიის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, „აღმოსავლეთი საფრანგეთი", ე. ი. ფრანკების აღმოსავლეთი მიწები ეწოდებოდა, ისევე, როგორც რაინის დასავლეთით მდებარე მიწებს — „დასავლეთი საფრანგეთი".

იმპერიის მთლიანობის შთაბეჭდილებას მაშინ თითქოს ის გარემოებაც ქმნიდა, რომ ფრანკთა მონარქიის განაწილებისას, ჩვეულე-

ბის თანახმად, კაროლინგების შთამომავლობიდან უფროს ძმას უმცროსები უნდა დამორჩილებოდნენ. მაგალითად, ლუდოვიკუს „ღვთისმოსავმა“ (814 — 840) ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, 817 წელს სამეფო თავის შვილებს გაუნაწილა. პიპინმა მიიღო აკვიტანიის მიწები გალიის შუა და სამხრეთ ნაწილში. მეორე შვილს, ლუდვიგს, შემდეგ გერმანელად წოდებულს, წილად ხვდა ბავარია თავისი მომიჯნავე მარკებით (სამხედრო ოლქებით), ხოლო უფროსი შვილი, ლოტარი, მამის მემკვიდრედ და თანამმართველად გამოცხადდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ უმცროსი ძმები ლოტარს უნდა დამორჩილებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ დანაწილების (რომელიც სამეფოს მთლიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად) წინააღმდეგი იყვნენ სეპარატისტულად განწყობილი ის მაგნატები, რომელნიც უმცროსი ძმების პიპინისა და ლუდვიგის სამფლობელოებში ცხოვრობდნენ. მათი წინააღმდეგობის შედეგად 823 წელს იმპერიის ხელახალი გადანაწილება მოხდა. ლოტარს, თავისი წილის გარდა, ამჯერად უფროსობის მხოლოდ ტიტულიღა შერჩა. მისი ძალაუფლება ძმების სამფლობელოებზე აღარ ვრცელდებოდა. მაშასადამე, ლუდვიგის და პიპინის სამფლობელოები სავსებით დამოუკიდებლად ცხადდებოდა. ზემოხსენებული ხელახალი გადანაწილების საბაბი გახდა ის გარემოება, რომ ლუდოვიკუს ღვთისმოსავს ამ ხანებში კიდევ ერთი შვილი (შარლი) გაუჩნდა, რომლისთვისაც ახალი განაწილების დროს ცალკე იქნა გამოყოფილი საუფლისწულო.

ლუდოვიკუს ღვთისმოსავის გარდაცვალების შემდეგ ძმათა შორის ხელახლა დაიწყო გამძაფრებული ბრძოლები. უფრო სწორად, ეს იყო ბრძოლები არა ძმებს შორის, არამედ წამქეზებელი მაგნატების ორ დაჯგუფებას შორის: ერთნი გამოდიოდნენ იმპერიის მთლიანობის დამცველებად. მეორენი კი თავიანთი ხალხების დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. იმპერატორი ლოტარი, რომელიც ფაქტიურად განაგებდა იტალიას, ჰელვეციას, პროვანსსა და ბელგიური გალიის პატარა ნაწილს, შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავის ძმებს: „იცოდეთ, რომ იმპერატორის ტიტული მე უმაღლესი ხელისუფლებისაგან მომენიჭა და შეიგნეთ, თუ ხელისუფლების როგორი ფარგლები და როგორი ბრწყინვალება შეეფერება ამგვარ ტიტულს“.

ლოტარის ასეთი მიმართვა ფაქტიურად ცდა იყო იმისა, რომ დაეთრგუნა ხალხთა ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. თავისი ძმების დამორჩილებით იმპერატორს სურდა ახლადჩამოყალიბებული ხალხები მმართველობის ძველი სისტემისათვის, ე. ი. გაერთიანებული მონარქიისათვის დაექვემდებარებინა. ბუნებრივია, ლოტარის ამ საქციელმა აღაშფოთა ტევტონები და გალები, რომელთაც მტკიცედ გადაწყვიტეს წინააღმდეგობა გაეწიათ კარლოს დიდის მიერ შექმნი-

ლი პოლიტიკური სისტემისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე სხვადასხვა ხალხებს წარმოადგენდნენ, საერთო მტრის წინააღმდეგ მჭიდროდ გაერთიანდნენ და დაიწყეს შეურიგებელი ბრძოლა ლოტართან.

მოწინააღმდეგეთა შორის დიდი ბრძოლა გაიმართა ფონტენუაში, ოკსერთან ახლოს. კარლოს დიდის დროინდელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ მოკავშირეთა აღფრთოვანებული მზადება ააშკარავებდა იმას, რომ ეს ბრძოლა იყო არა მარტო დინასტიური, არამედ უფრო მეტიც — ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ეს ორი მოკავშირე ახლა საერთო მიზნის გარშემო მჭიდროდ დაირაზმა და ლოტარის შეიარაღებული ძალები ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა.

ამ ხალხთა სოლიდარობა მკაფიოდ გამოვლინდა საერთო მტრის დამარცხების შემდეგ გამართულ გართობებში. პირველად საქსებმა, გასკონელებმა, ავსტრაზიელებმა და ბრეტონებმა მოაწყეს შეჯიბრი რბენაში. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრში მონაწილეთა ამ დიდ მასაში სხვადასხვა ხალხის მრავალი წარმომადგენელი შედიოდა, ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა ვისთვისმე რაიმე შეურაცხყოფის მიყენებას, ვერც ფიზიკურის, ვერც სიტყვიერის. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, „ეს იყო სანახაობა, რომელიც თავისი სილამაზითა და წესრიგით ყურადღების ღირსი იყო. გართობათა ჩატარების შემდეგ ასეთ ვეებერთელა ბრბოში სხვადასხვა წარმოშობის ადამიანთა შორის არ აღმოჩნდნენ არც დაჭრილები, არც შეურაცხყოფილნი, რაც იშვიათი გარემოებაა იქაც კი, სადაც პროფესიონალი სამხედრო პირები მცირე რაოდენობით იყრიან თავს შეჯიბრების მოსაწყობად და ერთიმეორის მახლობლად არიანო“. ზემოთქმულით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვერდენის 843 წლის ხელშეკრულებით ფრანკთა იმპერიის განაწილებას საფუძვლად ეთნიკური პრინციპი დაედო. როგორც ცნობილია, გალიის ის ნაწილი, რომელიც მდინარეების — შელდას, მაასის, სენასა და რონას დასავლეთით მდებარეობდა, ჩრდილოეთ ესპანეთის ჩათვლით მდინარე ებრომდე, წილად ხვდა შარლ მელოტს. მიწები, რომლებიც მდებარეობდა მდინარე რაინისა და ალპების გასწვრივ და სადაც უმთავრესად გავრცელებული იყო გერმანული ენა, ლუდვიგ გერმანელს მიეკუთვნა; ხოლო ლოტარის წილი, რომელიც შედგებოდა იტალიისაგან და გალიის აღმოსავლეთი ნაწილისაგან — ხელოვნურად შეკოწიწებულ ერთეულს წარმოადგენდა. აქ სამ-ოთხ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა იყრიდა თავს. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ფრანკთა ყოფილი იმპერიის პირველი ორი ნაწილი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, მესამე — დაიშალა.

შარლ მელოტი თავიდანვე მიისწრაფოდა ცენტრალური ხელისუფლების აღდგენისაკენ, მაგრამ მისი ცდები ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაციის გამო მარცხით მთავრდებოდა. მსხვილი ფეოდალები ცდილობდნენ ყველაფრის ბატონ-პატრონები გამხდარიყვნენ და სამეფო ხელისუფლებისაგან თავიანთი განდგომით ცენტრალური ხელისუფლება დაესუსტებინათ. 847 წელს გამოცემული „მერსენის კაპიტულარით“ შარლ მელოტი იძულებული იყო მსხვილი ფეოდალების მიმართ მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო. მიუხედავად ამისა, შარლმა გადაწყვიტა დაემორჩილებინა აღმოსავლეთ საფრანგეთი რომის პაპის დახმარებით. ამ მიზნით მან 875 წელს მოაწყო ლაშქრობა იტალიაში და კიდევაც მიაღწია რომის პაპისაგან იმპერატორისა და იტალიის მეფის ტიტულის მიღებას. მაგრამ რეალური ძალაუფლება ამ ტიტულს არ ჰქონდა. შარლ მელოტის მიერ 876 წელს ჩატარებული ცდა აღმოსავლეთი ნაწილის ძალით შემოერთებისა, სრული მარცხით დამთავრდა. სამეფოს შინაური ვითარება კვლავ რთულდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შარლ მელოტი იძულებული გახდა კვლავ დაეთმო მსხვილი ფეოდალებისათვის.

877 წელს გამოცემულ იქნა „კერსის კაპიტულარი“, რომლის მიხედვითაც გრაფების დამოუკიდებლობა უფრო მეტად განმტკიცდა. თუ მანამდე გრაფები, ფაქტიურად, სასამართლოს თავმჯდომარეები და სამხედრო ხელმძღვანელები იყვნენ თავიანთ ოლქებში, ამიერიდან ისინი გახდნენ ამ ოლქების სრული ბატონ-პატრონნი და მოხელეებიდან ერთგვარ პატარა მეფეებად გადაიქცნენ თავიანთ სამფლობელოებში. IX საუკუნის ბოლოსათვის გრაფობა მთლიანად მემკვიდრეობითი გახდა და, ენგელსის თქმით, ასე ჩაეყარა საფუძველი „გვიანდელ მფლობელ მთავართა ტერიტორიულ სუვერენიტეტს“.

რაც დრო გადიოდა, მსხვილი ფეოდალების მომძლავრების გამო, შარლ მელოტის ხელისუფლება სულ უფრო სუსტდებოდა. ამას ის გარემოებაც დაემატა, რომ მისი მოკავშირის — რომის პაპის იოანე VIII-ის (872 — 882) მდგომარეობა მერყევი აღმოჩნდა. ბერძნებისა და არაბების თავდასხმები პაპის სამფლობელოებზე გახშირდა. დახმარებისათვის პაპმა შარლ მელოტს მიმართა. 877 წელს უკანასკნელმა იტალიაში მეორე ლაშქრობა მოაწყო, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, რადგან მას აცნობეს ბავარიის მეფის — კარლომანის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ შარლის სამეფოზე. იტალიიდან უკან გამობრუნებისას, 877 წლის ოქტომბერში, იგი გზაში გარდაიცვალა.

კაროლინგების დინასტიის ბატონობის პერიოდში ყოფილი ფრანკთა იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში სახელმწიფოს მთლიანობის აღდგენის ცდები თითქოს არ წყდებოდა. გერმანიის მეფის კარლ სქელის მეფობის დროს ერთ ხანს შესაძლებელი გახდა იმპერიის მთლიანობის აღდგენა. 881 წლიდან 887 წლამდე კარლ სქელი ფრანკების იმპერატორად ითვლებოდა, მაგრამ იმპერიის მთლიანობის აღდგენას რეალური მნიშვნელობა არ ჰქონია — სინამდვილეში კაროლინგებს მხოლოდ ნომინალური უზენაესობა შერჩათ.

კარლ სქელის დროსაც გრძელდებოდა მსხვილი მიწათმფლობელებისა და ადგილობრივი მაგნატების მომძლავრება, რაც არა მარტო სამეფო ხელისუფლებას, არამედ გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვასაც ასუსტებდა. ასეთ პირობებში, სამხედრო ძალების ძველი სახით შენარჩუნება რთულდებოდა, სახელმწიფო ხარჯზე ჯარის შეიარაღება და მისი შენახვა შეუძლებელი ხდებოდა ნატურალური მეურნეობის იმ ეპოქაში, რომელიც თითქმის არ იცნობდა არც ვაჭრობას, არც ფულს. სამხედრო საქმე ახლა ძირითადად მსხვილი ფეოდალებისა და მათი შეიარაღებული ძალების ხელში გადავიდა. მეფის მიერ თავისუფალი ფრანკებისაგან შემდგარი ლაშქრის ნაცვლად ისეთი ჯარი გაჩნდა, რომელიც მსხვილი ფეოდალების მსახურთაგან შედგებოდა. ამის უშუალო შედეგი იყო ჯარის რაოდენობის საგრძნობი შემცირება. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანებში ფეოდალური ომები დიდი ძალებით არ ტარდებოდა.

დასავლეთ ევროპის პოლიტიკური დაქუცმაცება, რასაც ხელს უწყობდა სამთავროებისა და სათავადოების წარმოშობა, თავის მხრივ, შეიარაღებული ძალების დეცენტრალიზაციას იწვევდა. სენიორის ლაშქარი დამოუკიდებელ პატარა ერთეულად გადაიქცა, რომელსაც უფრო შინაბრძოლებისათვის იყენებდნენ. ლაშქრობაში ყოფნის ვადა განსაზღვრული იყო 40 დღით წელიწადში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ვასალი დახმარების გარეშე ტოვებდა თავის სენიორს გაცხარებული ბრძოლის დროსაც კი. ასეთ პირობებში ზედმეტი იყო ლაპარაკი ჯარების ცენტრალიზაციაზე და სამხედრო დისციპლინაზე. ბუნებრივია, რომ ასეთი ჯარი გარეშე მტრებთან ბრძოლაში ხშირად დამარცხებული გამოდიოდა.

IX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთი ევროპა დიდ საგარეო გართულებებს განიცდიდა. ევროპის აღმოსავლეთ ნაწილს ერთ დროს სლავებმა შემოუტიეს, დაიწყო უნგრელების შემოსევებიც. იტალიის სამხრეთ ნაწილსა და საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს არბევდნენ არაბები, ან როგორც მათ დასავლეთში უწოდებდნენ — „სარკინოზები“ (ლათ. Saraceni. ასე ეწოდებოდა ერთ-ერთ არაბულ

ტომს. „ბედნიერ არაბეთში“ მობინადრეს. რომლის სახელწოდება ძველმა მწერლებმა გაავრცელეს ყველა არაბზე და, საერთოდ, მუსლიმებზე). სარკინოზები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ აფრიკიდან და სიცილიიდან. გალიაში იწყებოდა აკვიტანელებისა და ბრეტანელების აჯანყებანი. გაცილებით უფრო ადრე, დაახლოებით 800 წლიდან, ევროპაში ნორმანების განუწყვეტელი თარეში იწყება, რომლის გამანადგურებელი შედეგი განსაკუთრებით მწვავედ საფრანგეთმა იწვნია.

ნორმანების თავდასხმები და მათი შედეგები

ევროპის მატერიკის ჩრდილოეთი ნაწილი, დაახლოებით თანამედროვე სახელმწიფოების — ნორვეგიის, შვეციისა და დანიის ტერიტორია, ე. ი. სკანდინავიის ნახევარკუნძული და იუტლანდია, ადრევე ნორმანებით იყო დასახლებული. ეს სახელწოდება წარმომდგარია სკანდინავიური გამოთქმიდან „northman“, რაც ნიშნავს „ჩრდილოეთის კაცს“.

ნორმანებით დასახლებული ტერიტორია, შვეციის გამოკლებით, მთაგორიან ადგილს წარმოადგენდა. იგი მდინარეებით იყო დასერილი და მისი ნაპირები ბევრ ადგილას ზღვაში იყო შეჭრილი, რაც ხელს უწყობდა ნაოსნობის განვითარებას ნორმანებში. მუდმივი თოვლით დაფარული მთები და მზის სხივების სიმკრთალე არ იძლეოდა ხორბლის დამწიფების შესაძლებლობას. ასეთ ვითარებაში, მომრავლებული მოსახლეობის გამოკვება სკანდინავიას არ შეეძლო. ხშირი მოუსავლიანობითა და შიმშილით შეწუხებული ნორმანები საარსებო წყაროს სხვა ქვეყნებში ეძებდნენ.

სკანდინაველების საწარმოო ძალებისა და საერთო განვითარების დონე მეტად დაბალი იყო. VIII საუკუნეში ისინი ჯერ კიდევ პირველყოფილ თემური წყობილების სტადიაზე იმყოფებოდნენ. კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ე. ი. მაშინ, როცა დაიწყო თემის წევრების მასობრივი გაღატაკება, სკანდინავიაში ცხოვრება აუტანელი გახდა. მართალია, ნორმანები მისდევდნენ მეთევზეობასა და ვაჭრობას, მაგრამ ეს გარემოება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა.

შუა საუკუნეების ჟამთაღმწერელნი გადმოგვცემენ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ნორმანების ახალგაზრდობა სამშობლოს ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდა და შორეულ ქვეყნებში მიდიოდა ბედის საძიებლად. უფრო მეტიც, სკანდინავიაში ჩვეულებად გადაიქცა „ოსტრაკიზმი“, რომელიც ძველ საბერძნეთში შემოღებული ანალოგიური წესისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ „კენჭის ამოღების“ დროს ვისაც უცხოეთში წასვლა წილად ხვდებოდა, სამშობლო დაუყოვნებ-

ლივ უნდა დაეტოვებინა და შორეულ საზღვაო მოგზაურობას უნდა. შედგომოდა.

VIII საუკუნის დასასრულს, თემური წყობილების რღვევის შედეგად გამოყოფილმა გვაროვნულმა არისტოკრატიამ ნახევრად მძარცველური, ნახევრად სავაჭრო ხასიათის ექსპედიციები წამოიწყო უცხოეთის ქვეყნებში. ამ ექსპედიციებში მან უმთავრესად თავისი თანამემამულენი ჩაობა, რომელნიც გაღატაკებულნი აღმოჩნდნენ კერძო საკუთრების აღმოცენების შედეგად. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრამდე ეს ექსპედიციები მიზნად ისახავდა სამხედრო ნადავლისა და მონების ხელში ჩაგდებას და მათ გაყიდვას სხვადასხვა სახელმწიფოში. ნორმანელი მოლაშქრეები ვიკინგების მეთაურობით აწყობდნენ შორეულ მოგზაურობებს ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებზე, ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაზე.

ნორმანები სხვადასხვა მიმართულებით აწარმოებდნენ თარეშს. დანელები და ნორვეგელები უფრო მეტად დასავლეთისაკენ ილტვოდნენ. IX საუკუნის დასაწყისისათვის ისინი ხშირი „სტუმრები" იყვნენ ინგლისის, ირლანდიის და საფრანგეთისა. ნორვეგელები ღრმად იჭრებოდნენ სენის, ლუარასა და გარონას მიდამოებში, ხოლო აქედან პირენეების მიღმაც გადადიოდნენ. ისლანდიასა და გრენლანდიაში გაჩნდა მათი კოლონიები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დასტურდება, რომ დაახლოებით 1000 წლისათვის მათ ამერიკის ჩრდილოეთი სანაპიროებისთვისაც კი მიუღწევიათ.

აღმოსავლეთის ნორმანები (შვედები) კი უფრო ბიზანტიისაკენ და რუსეთისაკენ მიილტვოდნენ. რუსეთში ისინი ვარიაგების სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი. ისინი გადადიოდნენ ვოლგაზე და კასპიის ზღვის სანაპიროზე, სადაც ნადავლით ვაჭრობდნენ არაბებთან. რუსეთში ნორმანები მეორე მიმართულებითაც მიდიოდნენ — დნეპრით შავი ზღვისაკენ. ამ მიმართულებით ისინი კონსტანტინოპოლში ჩადიოდნენ, სადაც გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ. ნორმანები ხშირად დაქირავებულ რაზმელებად მსახურობდნენ ბიზანტიის ჯარებში და რუს მთავრებთან. იმ დროს, როცა რუსი მთავრები ვარიაგების თავდასხმათა უკუგდებას ხშირად ახერხებდნენ, ფეოდალურ ევროპას ამის უნარი არ შესწევდა და იქაური მეფეები ფულით იცილებდნენ ნორმანების რბევას.

ნორმანების თავდასხმები ევროპაზე მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ახალ ფაზაში გადადის. ახლა ისინი აღარ კმაყოფილდებიან რომელიმე კუთხის ძარცვა-რბევით. დაუსრულებელ ხეტიალში ნორმანები გაეცნენ უფრო მაღალ კულტურას და დაიწყეს დაპყრობილ ადგილებში მუდმივი დასახლება, დაბინადრება. მაგალითად,

მეცხრე საუკუნეში დანელებმა დაიპყრეს ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. მათ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღეს და მუდმივად დასახლდნენ ამ ადგილებში. მეთერთმეტე საუკუნის ბოლოსათვის ნორმანებმა მთლიანად დაიპყრეს სამხრეთი იტალია და სიცილია და აქ დააარსეს თავიანთი სახელმწიფო სიცილიის სამეფოს სახელწოდებით. 1066 წელს ნორმანდელებმა გიიომ (უილიამ) დამპყრობლის მეთაურობით დაიპყრეს ინგლისი და ა. შ.

ლუდოვიკუს ღვთისმოსავის გარდაცვალების შემდეგ, როცა მისი შვილების ურთიერთშორის ბრძოლების შედეგად ფრანკთა მონარქია რამდენსამე დამოუკიდებელ სამეფოდ დანაწილდა, ნორმანების თავდასხმები ყველაზე მეტად საფრანგეთმა განიცადა. საფრანგეთის მეფე შარლ მელოტი სრულიად უმწეო აღმოჩნდა. იგი ვერ ბედავდა რაიმე წინააღმდეგობის გაწევას და დიდი თანხების გაღებით ნორმანების ძარცვა-რბევას თავიდან იშორებდა. ნორმანები, ღებულობდნენ რა მეფისაგან თანხებს, მართალია, თავს ანებებდნენ მიზანში ამოღებული ადგილის დარბევას, მაგრამ მცირე დროის გავლის შემდეგ ისინი სამეფოს სხვა ნაწილში გამოჩნდებოდნენ ხოლმე და აწიოკებდნენ მას.

საფრანგეთში ყველაზე უფრო საშინელი მდგომარეობა იყო მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა აქ კვლავ შემოიჭრნენ ნორმანები ვინმე ჰასტინგის ხელმძღვანელობით. ამჯერად ისინი მდინარე ლუარას შესართავიდან დაიძრნენ და ამ მდინარის გასწვრივ მთელი ქვეყანა ააოხრეს. ქალაქი ნანტი მთლიანად გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს. დაარბიეს მდინარე გარონას მიდამოებიც. შემდეგ ჰასტინგის მეკობრეები მდინარე სენით გაეშურნენ პარიზისაკენ. ამ დროს შარლ მელოტი თავისი ჯარებით სენ-დენის მიდამოებში იყო დაბანაკებული და ვერ ბედავდა მრისხანე მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას. ამასობაში ჰასტინგის ლაშქარში გადამდები სენი გაჩნდა და ამით შარლ მელოტს შესაძლებლობა მიეცა 7000 გირვანქა ვერცხლის გაღებით ზავი დაედო ჰასტინგთან.

ჰასტინგი ამის შემდეგაც არ სცილდებოდა საფრანგეთის ტერიტორიას. სკანდინავიიდან დამატებითი ძალების შემოერთების შემდეგ იგი თავს ესხმოდა სამეფოს ხან ერთ, ხან მეორე ნაწილს. მოხუცებულობისას ჰასტინგმა გადაწყვიტა თავი მიენებებინა ძარცვა-რბევისათვის. ქრისტიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ მან შარლ მელოტს შარტრის საგრაფო ჩამოართვა და „მშვიდობიან“ ფეოდალად — ბარონად გადაიქცა.

არანაკლებ მწვავე იყო ნორმანების თავდასხმები საფრანგეთზე კარლ სქელის მეფობის დროს. ნორმანების დიდი ხროვა კვლავ დაიძრა მდინარე სენასაკენ და 885 წელს მიადგა ქალაქ პარიზს. კარლ

სქელი, რომელმაც ამ დროისათვის გააერთიანა კარლოს დიდის იმპერია და მიიღო იმპერატორის ტიტული, ყოვლად უმსგავსო ადამიანს წარმოადგენდა. იგი ყველაზე მეტად სასახლის ინტრიგებით იყო გართული. აღსანიშნავია, რომ მას განუწყვეტელი თავის ტკივილები ჰქონდა, რასაც ის სიგიჟემდე მიჰყავდა. კარლი არ იღებდა სათანადო ზომებს შემოსეული მტრის წინააღმდეგ, რის გამოც პარიზს საკუთარი ძალებით მოუხდა თავის დაცვა ნორმანებისაგან. პარიზის დაცვას გრაფი ედი ხელმძღვანელობდა. ნორმანებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს და ათი თვის განმავლობაში იერიშები მიჰქონდათ მასზე. ბოლოს, როგორც იქნა, იმპერატორის ჯარებიც გამოჩხდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კარლ სქელმა ვერ გაბედა ნორმანებთან პირდაპირ შებმა და არჩია ფულით გამოესყიდა ქალაქი. ფულის მიღების შემდეგ ნორმანებმა პარიზს ალყა მოხსნეს.

ნორმანების თავდასხმები საფრანგეთზე შემდეგაც გრძელდებოდა. მეათე საუკუნის დასაწყისისათვის მათ იმდენად ფართო ხასიათი მიიღეს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა სრულიად შეუძლებელი გახდა. ამ ხანას უნდა მიეკუთვნოს ეკლესიებში შემდეგი ლოცვის შემოღება: „ღმერთო, გვიხსენი ნორმანების გააფთრებისაგან!“. გახშირებული შემოსევების შედეგად 911 წელს საფრანგეთის მეფე შარლ „მიამიტმა“ (898 — 923) ნორმანების ბელადს როლოს (ფრანგ. — როლონი, რაული; ქრისტ. მონათვლის შემდეგ — რობერი) სენის შესართავთან დაუთმო ტერიტორია, რომელზეც წარმოიშვა ნორმანდიის სამემკვიდრეო საჰერცოგო. ნორმანებმა მიიღეს ქრისტიანობა და ცნეს ვასალური დამოკიდებულება საფრანგეთის მეფეებისადმი.

კაროლინგების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელნი საფრანგეთში

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფრანკთა მონარქია რამდენსამე ნაწილად დაიყო. თითოეული ნაწილი შემდეგ დამოუკიდებელ სამეფოდ იქცა. მიუხედავად ამისა, ამ სამეფოებს ვერდენის 843 წლის ხელშეკრულების შემდეგაც ერთ ხანს ძველი, კაროლინგების დინასტია განაგებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ სამეფოებში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არ უპერდა მხარს კაროლინგების წარმომადგენლებს. ამ გარემოებამ აშკარად იჩინა თავი ჯერ კიდევ კარლ სქელის მეფობაში. პარიზში მომხდარი ამბების შემდეგ ერთი წელიც კი არ იყო გასული, რომ დიდებულებმა კარლ სქელი ტახტიდან ჩამოაგდეს.

არსებული წესის თანახმად, სამეფო ტახტზე კაროლინგების უკანასკნელი წარმომადგენელი, მცირეწლოვანი შარლი (შემდეგ „მიამიტად“ წოდებული) უნდა ასულიყო, მაგრამ მის ნაცვლად ფრანგებმა პარიზის დაცვის გმირი ედი აირჩიეს საფრანგეთის მეფედ. ფრანგმა დიდკაცებმა ის არჩიეს კაროლინგთა დინასტიის წარმომადგენლებს, რადგან ეს დინასტია მათ საფრანგეთის დამოუკიდებლობის მტრად მიაჩნდათ. ახლად წარმოქმნილი საფრანგეთისათვის საჭირო იყო ერთხელ და სამუდამოდ გამიჯვნა ფრანკთა იმპერიის ნაშთებისაგან.

შარლ „მიამიტმა“ მალე დაამტკიცა თავისი უღირსობა პოლიტიკური მართვა-გამგეობის საქმეში. როცა ის დარწმუნდა თავის უძლურებაში, გერმანიის მეფის, არნულფის მფარველობაში შევიდა. „უმწეო აღმოჩნდა რა ედის ძლიერების წინაშე, — ამბობს ძველი ისტორიკოსი, — მან ქედმოხრილად იწყო მეფე არნულფის მფარველობის ძიება. ქალაქ ვორმსში მოწვეული იყო საჯარო კრება. შარლი იქ მივიდა და, მიართვა რა არნულფს მდიდარი საჩუქრები, მისგან სამეფო ძალაუფლება მიიღო, რის შემდეგ თავის თავს მეფეს უწოდებდა“.

მაგრამ შარლი მაინც ვერ გახდა მთელი საფრანგეთის მეფე. საფრანგეთის ერთი ნაწილი კვლავ ედის ხელში იყო. იწყება ხანგრძლივი ომი ედსა და შარლს შორის. მხოლოდ ედის გარდაცვალების (898 წ.) შემდეგ გახდა შარლი მთელი საფრანგეთის მეფე. როგორც მარქსი აღნიშნავს, მისი მმართველობის დროს გრაფები და ჰერცოგები მათ მფლობელობაში შემავალ ტერიტორიას თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ და სრულიად დამოუკიდებელნი გახდნენ სამეფო ხელისუფლებისაგან.

ბრძოლა საფრანგეთიდან კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა განდევნისათვის შემდეგაც გრძელდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრძოლა ამ შემთხვევაშიც ჩრდილოეთ საფრანგეთის, კერძოდ, პარიზის მესვეურთა ინიციატივით ხდება. ამჟამად გაცხოველებულ ბრძოლას საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის პარიზის გრაფი ჰიუგი, ანუ ჰუგო იწყებს. მან მოახერხა ნორმანდიის ჰერცოგის თავის მხარეზე გადაბირება და გაერთიანებული ძალებით 945 წელს შარლის შვილი, ლუი ზღვისმიღმელი დაამარცხა, ტყვედ ჩავარდნილი ლუი ლანის ციხეში ჩასვეს. შემდეგ, 946 წელს, გერმანიის მეფის, ოტოს დახმარებით ლუი განთავისუფლებულ იქნა ტყვეობიდან. იგი გარდაიცვალა 954 წელს.

კაროლინგთა შემდეგი წარმომადგენელი, ლუი ზღვისმიღმელის შვილი ლოტარი, საფრანგეთში გამეფდა ისე, რომ ოპოზიციის მხრიდან მას დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ეს აიხსნება, ჯერ ერთი,

იმ გარემოებით, რომ ამ ოპოზიციის სულისჩამდგმელი გრაფი ჰიუგი ლოტარის გამეფებიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა; მეორეც, თვით ლოტარმა, რომელმაც ანგარიში გაუწია ოპოზიციურად განწყობილ დაჯგუფებას, შეცვალა თავისი დამოკიდებულება გერმანიის მიმართ. მან კავშირი გაწყვიტა გერმანულ სამფლობელოებთან და საფრანგეთის ტერიტორიის გაფართოება დაიწყო უკანასკნელთა ხარჯზე. ამის შედეგად ლოტარის მეფობის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია აჯანყებებს მის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ლოტარის ავტორიტეტი და გავლენა საფრანგეთში თანდათან ეცემოდა. „ლოტარი მხოლოდ სახელწოდებით არის მეფე, — წერდა ერთ-ერთ თავის წერილში X საუკუნის ერთი გამოჩენილი მოღვაწე, — ჰიუგს ტიტული არ გააჩნია, მაგრამ ფაქტიურად ისაა მეფე". ამ ამონაწერში ლაპარაკია ზემოხსენებულ ჰიუგის შვილზე, ჰიუგზე, რომელიც „საფრანგეთის" (ილ-დე-ფრანსის) ჰერცოგი და პარიზისა და ორლეანის გრაფი იყო და რომლის პოლიტიკური გავლენაც შეუჩერებლად იზრდებოდა. მალე მას საფრანგეთის დიდებულთა უმრავლესობა მიემხრო და 987 წელს (ლოტარი გარდაიცვალა 986 წელს) მეფედ ჰიუგი (შემდეგ „კაპეტად" წოდებული) აირჩიეს. ასე დაიწყო საფრანგეთში კაპეტინგების დინასტიის ბატონობა.

§ 2. კაპეტინგების დინასტიის პირველი წარმომადგენლების ლონისძიებანი სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეში

საფრანგეთის სამეფოს საზღვრები და ჰიუგ კაპეტის დომენი

საფრანგეთის პირვანდელი საზღვრები მთლიანად არ ემთხვევა არც თანამედროვე საფრანგეთის საზღვრებს და არც რომის იმპერიის დროინდელი გალიის ტერიტორიას. სახელმწიფოს საზღვარი იწყებოდა შელდას შესართავთან, გადიოდა მაასის გასწვრივ. ტურნე და ვალანსიენი საფრანგეთს ეკუთვნოდა, ხოლო კამბრე რჩებოდა საფრანგეთის საზღვრებს გარეთ. დასავლეთიდან ეს საზღვარი შელდას სათავეებიდან აღმოსავლეთისაკენ — მაასამდე, ჰენეგაუმდე და მობეჟამდე მიემართებოდა. შემდეგ იგი სამხრეთისაკენ უხვევდა, ყოფდა შამპანს ლოტარინგიისაგან (ლორენი), ბურგუნდიის სამეფოს — ბურგუნდიის საჰერცოგოსაგან (ბურგონი) და მდინარე სონას მიუყვებოდა. სამხრეთით ეს საზღვარი პირენეებზე გადადიოდა და ბარსელონას საგრაფოს მოიცავდა.

როცა ვეხებით სახელმწიფოს საზღვრებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში, როდესაც ხალხები ჯერ კიდევ არ იყვნენ საბოლოოდ ჩამოყალიბებულნი და, მით უფრო, არ არსებობდნენ ერები, საზღვრის ცნება პირობითი იყო. ასევე, იმდროინდელი

საფრანგეთის სამეფოში უკვე კარგა ხანია არ არსებობდა არც კელტური ტერიტორიის განმასხვავებელი ნიშნები, არც რომაელების მიერ აღმართული გასამიჯნი ბოძები, წარწერები, თხრილები და სხვ. ახლად წარმოქმნილი ფეოდალური ურთიერთობა რომელიმე სამეფოში მუდმივი და მყარი საზღვრების გატარებას ბუნებრივად ვერ ეგუებოდა. ძნელი იყო სახელმწიფოს ქვეშევრდომისა და ვასალის ერთმანეთისაგან განსხვავება.

ვასალი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს მეფის წინაშე ერთგულების ფიცს დებდა, თავისი სამფლობელოთი შეიძლებოდა ტერიტორიულად სულაც არ ყოფილიყო თავისი სენიორის მომიჯნავე. რომელიმე ფრანგი ფეოდალი შეიძლებოდა გერმანიის მეფის ვასალი ყოფილიყო და, პირიქით, გერმანელი ფეოდალი — საფრანგეთის მეფის ვასალი. მაგალითად, შამპანის გრაფები მთელი საუკუნის მანძილზე ჰოჰენშტაუფენების ვასალებად ითვლებოდნენ. იყვნენ ისეთი სენიორებიც, რომელთაც საზღვრის აქეთაც და იქითაც ფეოდალური სამფლობელოები ჰქონდათ. მაგალითად, ფლანდრიის, შალონისა და მაკონის გრაფები, ისე როგორც აბატი ბოლიე, გრაფი ვალენტინუა და სხვ. ფეოდალური წესების თანახმად ვასალები ემორჩილებოდნენ, პირველ ყოვლისა, თავიანთ სენიორებს და არა მეფეებს.

ყველაფერი ეს საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებულ საზღვრებს იმდენად გაურკვეველს ხდიდა, რომ უფრო გვიან პაპი კლიმენტი IV საფრანგეთის მეფეს ლუი IX-ს ამ საზღვრების შესახებ სწერდა: „ჩვენ ვერ ვხედავთ მათ განსაზღვრას ვერც ერთ წერილობით დოკუმენტში, თუმცა დიდი ხნის წინათ გვსმენია, რომ ისინი აღინიშნებოდა მდინარეებით ან საეკლესიო პროვინციებით, ანდა ეპარქიებით. მაგრამ ამჟამად ჩვენ არ ძალგვიძს მათი ზუსტად დადგენა. ამის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცითო“.

ჩვეულებრივ, დომენი ფეოდალის პირად სამფლობელოს წარმოადგენდა და ვასალის მიერ სენიორისაგან მიღებული მიწებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება იყო. ფეოდალური დაქუცმაცების პერიოდში მეფეთათვის ძირითად ეკონომიკურ დასაყრდენს მათი საკუთარი დომენი წარმოადგენდა. ჰიუგ კაპეტის დომენი, ე. წ. საფრანგეთის საპერცოგო — „ილ-დე-ფრანსი“, საიდანაც შემდეგ წარმოიშვა სიტყვა „საფრანგეთი“ და რომელიც მან მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო, ჩრდილოეთ საფრანგეთში, მდინარეების სენას და ლუარას მიდამოებში მდებარეობდა. იგი შედგებოდა პარიზის, ორლეანის, მელენისა და ეტამპის საგრაფოებისაგან. გარდა ამისა, ჰიუგ კაპეტს ეკუთვნოდა ნავსადგური მონტრეი, რომლითაც შემდეგ საფრანგეთი ზღვაში გასასვლელს პოულობდა.

საფრანგეთის ფეოდალური დაქუცმაცების პირობებში ჰიუგ კაპეტის სამეფო ხელისუფლება ფაქტიურად მხოლოდ მის საკუთარ დომენზე ვრცელდებოდა. საფრანგეთის ჰერცოგები და გრაფები, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, დამოუკიდებელ მმართველებს წარმოადგენდნენ და ხშირად მეფისადმი ურჩობასაც იჩენდნენ. ამ ხანებში სამეფო ხელისუფლების სისუსტე იმაშიც გამოვლინდა, რომ, დაწყებული იმ დროიდან, როცა გადაყენებულ იქნა კარლ სქელი (887 წ.), მეფეთა არჩევის პრინციპი თანდათან იმარჯვებდა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემაზე. ედი, რობერი და ჰიუგი არჩევითი და არა მემკვიდრეობითი მეფენი იყვნენ. იმათ, ვინც ჰიუგი მეფედ აირჩიეს, ამით სრულებითაც არ სურდათ ახალი დინასტიის გაბატონება. უფრო მეტიც — ფრანგი ფეოდალები, რომელთაც შეძლეს მეფეთა არჩევის წესი დაემყარებინათ, ფიქრობდნენ, რომ სამეფო ტახტზე მემკვიდრეობითობის გაუქმება უზრუნველყოფდა შემდეგ მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

თვით ჰიუგის დომენიც არ იყო კომპაქტური მდინარე სენასა და ლუარას მიდამოებში. დომენის მნიშვნელოვანი ნაწილი გაფანტული იყო სხვა სენიორების სამფლობელოებში. ამგვარად, ჰიუგი არ იყო ნამდვილი მბრძანებელი არც საკუთარ დომენში, ვინაიდან აქ მას ჰყავდა ისეთი ვასალები, რომელნიც მეფეს მხოლოდ ფორმალურად თვლიდნენ თავიანთ სიუზერენად. იმისათვის, რომ მეფე თავისი დომენის ერთი ადგილიდან მეორეში გადასულიყო, მას თან უნდა ხლებოდა შეიარაღებული რაზმები. პარიზიდან ორლეანამდე გზა გადიოდა მისი ისეთი ვასალების სამფლობელოებზე, სადაც მტაცებელთა კოშკები იყო აგებული და სადაც ხშირად ადგილი ჰქონდა სავაჭრო ქარავნების ძარცვას.

საფრანგეთის პოლიტიკური დაქუცმაცება

კაპეტინგების დინასტიის პირველ წარმომადგენელთა ხანაში (X—XI) პოლიტიკური, კულტურული და ეთნიკური თვალსაზრისით, საფრანგეთი არ წარმოადგენდა მთლიან ერთეულს. მას შემდეგ, რაც საგრაფოები და საჰერცოგოები გრაფებისა და ჰერცოგების საკუთარ სამფლობელოებად გადაიქცა და ამით სამთავროების სისტემას ჩაეყარა საფუძველი, საფრანგეთი პოლიტიკურადაც უაღრესად დაქუცმაცებული აღმოჩნდა. თითოეული მსხვილი ფეოდალი ცდილობდა თავისი სამფლობელოს სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო და მხოლოდ ნომინალურად თუ ემორჩილებოდა სამეფო ხელისუფლებას. მაგრამ თვით ამ მსხვილი ფეოდალების ვასალებიც ასევე ცდილობ-

დნენ თავიანთი სენიორების მიმართ ყოფილიყვნენ დამოუკიდებელნი და ხშირ შემთხვევაში, ისინიც გრაფებსა და ჰერცოგებს არ ემორჩილებოდნენ.

თავისებურ გამონაკლისს ამ მხრივ ნორმანდიის საჰერცოგო წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საჰერცოგოშიც ხდებოდა ჰერცოგის ხელისუფლებისაგან ცალკეული ფეოდალების განდგომა, წარმოებდა ურთიერთბრძოლები ფეოდალთა შორის და სხვ., ნორმანდიის ჰერცოგები, უმეტეს შემთხვევაში, მაინც ახერხებდნენ განდგომილთა მორჩილებაში მოყვანას და საერთოდ წესრიგის დამყარებას. შედარებით მშვიდობიანი მდგომარეობა საჰერცოგოში ხელს უწყობდა ნორმანდიის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებას. ნორმანდიის პოლიტიკური სიძლიერე ჰიუგ კაპეტს აიძულებდა ნორმანდიის ჰერცოგთან კარგ დამოკიდებულებაში ყოფილიყო. გამეფებამდე მამამისი ურჩევდა ჰიუგს, მეგობრული კავშირი დაემყარებინა ნორმანდიის ჰერცოგ რიშართან. ამგვარად, ნორმანდიის საჰერცოგოს დაარსებისას შარლ მიამიტი ფიქრობდა, რომ ნორმანდიაში დასახლებული ნორმანები საფრანგეთში სხვა ნორმანების შემოსევას უკუაგდებდნენ და თვითონ საფრანგეთის მეფის მორჩილნი იქნებოდნენ. მაგრამ ნორმანდიის საჰერცოგო არა მარტო დამოუკიდებლობას იჩემებდა, არამედ აქტიურადაც კი ერეოდა საფრანგეთის საშინაო საქმეებში, ხოლო მოგვიანებით (1066 წ.) ნორმანდია პოლიტიკურად შეუერთდა ინგლისს.

ნორმანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფლანდრიის საგრაფო მდებარეობდა, რომელსაც ეკონომიკური თვალსაზრისით მოწინავე ადგილი ეჭირა და რომელიც, აგრეთვე, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო. ჯერ კიდევ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში იგი ევროპის ერთ-ერთ მთავარ სამრეწველო და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. მისი საფეიქრო წარმოება იმდენად განვითარებული იყო, რომ საფრანგეთის მოთხოვნილებას ძირითადად აკმაყოფილებდა. ფლანდრიის ტერიტორიაზე, საიდანაც გაჰქონდათ როგორც შალეული, ისე სხვა საქონელი, გადიოდა ევროპის სავაჭრო გზები. ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან და ამის შედეგად ფეოდალური ქალაქების წარმოშობა ფეოდალურ ევროპაში, იტალიისდაგვარად, ყველაზე ადრე ფლანდრიაში დაიწყო; შემდეგ კი მისი ქალაქები — გენტი, ბრიუგე და იპრი მთელი ევროპისათვის ცნობილ სამრეწველო ცენტრებად გადაიქცა.

ნორმანდიის საჰერცოგოს სამხრეთ-დასავლეთით ბრეტანის საჰერცოგო მდებარეობდა. ისტორიულმა პირობებმა იგი საფრანგეთის სხვა ფეოდალური ერთეულებისაგან მნიშვნელოვნად განასხვავა. უძველესი დროიდან ამ ოლქს არმორიკა ეწოდებოდა. მეხუთე-მეექვსე

საუკუნეებში, როცა ბრიტანეთს თავს ესხმოდნენ ანგლო-საქსები, ბრიტების ერთმა ნაწილმა დატოვა თავისი სამშობლო და არმორიკაში გადასახლდა, რის შედეგადაც ამ ადგილს ბრეტანი ეწოდა. ბრეტანის მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე კელტურ ენაზე ლაპარაკობდა და თავის საკუთარ ზნე-ჩვეულებებს ინარჩუნებდა. ნორმანებისაგან განსხვავებით, იგი სწრაფად არ გათქვეფილა ფრანგ მოსახლეობაში და თავისი ყოფა-ცხოვრებით კარგა ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ამ უკანასკნელისაგან.

ნორმანდიის ჰერცოგისა და ფლანდრიის გრაფის მსგავსად, ბრეტანის ჰერცოგი ნომინალურად თუ ითვლებოდა მეფის ვასალად. ხშირ შემთხვევაში ის დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში. ბრეტანის ჰერცოგებმა თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს. ბრეტანის საჰერცოგოს საფრანგეთთან საბოლოო შეერთება მხოლოდ 1532 წელს მოხერხდა.

ბრეტანის საჰერცოგოსა და ილ-დე-ფრანსის შუა, მდინარე ლუარას გასწვრივ, ანჟუს, ტურენისა და მათგან ცოტა ჩრდილოეთით, მენის საგრაფოები იყო განლაგებული. ამ საგრაფოების მფლობელნი, განსაკუთრებით ანჟუს გრაფი ფულკ ნერა, განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ თავიანთი სამფლობელო ტერიტორიების გაფართოებისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ საფრანგეთის ზემოჩამოთვლილი ჰერცოგები და გრაფები ნომინალურად მაინც მეფის ვასალებს წარმოადგენდნენ და ზოგჯერ მეფის დავალებით სამხედრო ვალდებულებას იხდიდნენ. ისინი რეიმსში მეფის კურთხევის პროცესსაც ესწრებოდნენ.

ამ მხრივ უფრო შორს წავიდნენ სამხრეთ და აღმოსავლეთ საფრანგეთის ჰერცოგები და გრაფები. ეს უკანასკნელნი არა მარტო ფაქტიურად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, არამედ მათ ნომინალურადაც კი არ სურდათ მეფის გავლენის ქვეშ ყოფნა. აკვიტანიის ქრონიკის ავტორმა ადემარ დე შაბანემ დაახლოებით 1030 წლისათვის შეთხზა დიალოგი, რომელიც თითქოს ჰიუგ კაპეტსა და გრაფ ოდებერტ პერიგორელს შორის გაიმართა. პირველი მეორეს ეკითხება — „შენ ვინ გაგხადა გრაფად?“. გრაფი ასეთივე კითხვით უპასუხებს — „შენ ვინ გაგხადა მეფედ?“. სამხრეთ საფრანგეთის მთავრები მეფესთან კავშირში იმყოფებოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ამ კავშირიდან თავიანთთვის რაიმე სარგებლობას გამოელოდნენ.

მდინარე ლუარას სამხრეთით პუატუს საგრაფო მდებარეობდა, მასზე უფრო სამხრეთით კი აკვიტანიის დიდი საჰერცოგო. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილად. აკვიტანიის სამხრეთით პირენეებამდე გასკონის საჰერცოგო მდებარეობ-

და. ამ საჰერცოგოს სახელწოდება მოწმობს, რომ მისი მოსახლეობა ძირითადად ბასკებისაგან შედგებოდა. აკვიტანიის აღმოსავლეთით კი ტულუზის საგრაფო ესაზღვრებოდა. ამ საგრაფოს სხვანაირად ლანგედოკი ეწოდებოდა. ლანგედოკი გარკვეული დროის მანძილზე დაყოფილი იყო სხვადასხვა ნაწილად, რომელთაგან ყველაზე უფრო დიდი იყო ტულუზის საგრაფო. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ტულუზის საგრაფო საფრანგეთში ყველაზე მოწინავედ ითვლებოდა.

საფრანგეთის აღმოსავლეთით ბურგონის (ბურგუნდიის) საჰერცოგო იყო, იგი მდინარეების — სენასა და ლუარას ზემოწელში მდებარეობდა. ბურგონის ჰერცოგები თავიდანვე ილტვოდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ. ისინი ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელო ნამდვილ სამეფოდ გადაექციათ. ბურგონის ჩრდილოეთით მდებარე შამპანის საგრაფოში მევენახეობა და, საერთოდ სოფლის მეურნეობა იყო განვითარებული. ჯერ კიდევ კაროლინგების ხანაში შამპანის საგრაფოში ეწყობოდა ბაზრობანი, რომლებიც XII—XIII საუკუნეებში უფრო მეტად განვითარდნენ.

ამგვარად, საფრანგეთში არსებობდა მსხვილი ფეოდალური სამფლობელოები, რომელთა რაოდენობა მეთერთმეტე საუკუნეში 30-მდე აღწევდა. აქვე უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის მეფე დანარჩენ მთავრებთან შედარებით არ წარმოადგენდა ყველაზე უფრო მსხვილ ფეოდალს და თუ მათ ჰიუგ კაპეტი აირჩიეს მეფედ, სწორედ იმიტომ, რომ იგი სუსტი იყო და მთავრების დამორჩილებას ვერ შეძლებდა. მსხვილ ფეოდალურ სამთავროთა გარდა, საფრანგეთში მოითვლებოდა უამრავი წვრილი ფეოდალური ერთეული, რომლებიც არანაკლებ სეპარატისტულად იყვნენ განწყობილნი.

სამეფო ხელისუფლების სისუსტე კაპეტინგების დინასტიის პირველ წარმომადგენელთა მეფობის დროს

ყველა ზემოჩამოთვლილ გარემოებასთან ერთად, საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების სისუსტეს ხელს უწყობდა ისიც, რომ მას არა ჰყავდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არმია, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებდა ცალკეულ მსხვილ ფეოდალთა დამორჩილებას. გარდა ამისა, სამეფო ხელისუფლების ეკონომიკური ბაზაც ძალიან სუსტი იყო, რადგან მაშინ სახელმწიფო გადასახადები თითქმის არ არსებობდა, ყველა ყმა გლეხი გადასახადებს უხდიდა არა სახელმწიფოს, არამედ თავის უშუალო ბატონს. სახელმწიფო აპარატს მეფე თავისი დომენის ხარჯზე ინახავდა. მეფის დომენის შე-

მოსავალი კი ამ საქმისათვის სრულიად არ იყო საკმარისი და უმნიშვნელო იყო.

მდგომარეობა იმდენად დაძაბული აღმოჩნდა, რომ იმდროინდელი მეფეები, რომელთაც თავიანთი ჯარისა და ამალის გამოსაკვებად საკმარისი სურსათ-სანოვაგე არ გააჩნდათ, იძულებულნი იყვნენ ყოველგვარი საშუალებისათვის მიემართათ, მათ შორის „გაჩერების უფლებისთვისაც". გამოკვების მიზნით ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. სატახტო ქალაქის ნაცვლად მეფეთა სასახლეები სხვადასხვა მხარეში იყო აგებული ჯერ კიდევ კაროლინგების დროიდან, მაგრამ მეფეთა ძირითად სამყოფელ ადგილებად მაინც ქალაქები პარიზი და ორლეანი ითვლებოდა. უფრო მეტიც, რაკი მეფეთა მამულების შემოსავალი საკმარისი არ იყო, მათი ნადირობაც ხშირად გართობის მიზნით კი არ ეწყობოდა, არამედ დამატებითი შემოსავლის მისაღებად. მაშინდელი მეფეები გამოძალვასა და მექრთამეობასაც კი არ თაკილობდნენ. მაგალითად, საფრანგეთის მეფემ ლუი VI-მ, რომელსაც ქრთამად 700 ლივრი უნდა მიეღო ლანის ეპისკოპოს გოდრისაგან, 1112 წელს გაუქმებულად გამოაცხადა მის მიერვე სამი წლით ადრე ქალაქ ლანისათვის ბოძებული საკომუნალო ქარტია.

XI საუკუნის საფრანგეთში ფეოდალური ქალაქების წარმოშობით რეალური ძალა იქმნებოდა სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად. ფილიპე პირველის მეფობის დროს ქალაქები უკვე იწყებენ ბრძოლას ფეოდალების წინააღმდეგ თავიანთი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ბრძოლას კომუნისათვის. ქალაქებზე დაყრდნობით მეფეებს შეეძლოთ უფრო ფეოდალების დათრგუნვა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება. მაგრამ ფილიპე I ვერ მიხვდა ახალი მოძრაობის მნიშვნელობას, ხოლო მისი შვილი ლუი VI, ნაცვლად ქალაქების მიმართ პრინციპული პოლიტიკის წარმოებისა, ხან მათ უწყობდა ხელს სენიორების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, ხან კი სენიორებს ეხმარებოდა ქალაქების დამორჩილებაში. ასეთ პირობებში საფრანგეთის მეფეები, პირადი სარგებლობით გატაცებულნი, ორივე მებრძოლი მხარისაგან იღებდნენ ჯეროვან „გასამრჯელოს". მხოლოდ მოგვიანებით, ლუი VII-ისა და განსაკუთრებით ფილიპ-ოგუსტის მეფობაში ქალაქებთან სწორი დამოკიდებულების დამყარებით, მეფეებმა შეძლეს თავიანთი ხელისუფლების განმტკიცება.

ამგვარად, კაპეტინგების პირველი წარმომადგენელნი შექმნილ ვითარებაში უძლურნი აღმოჩნდნენ და იძულებულნი იყვნენ „თავაზიანად და მოწიწებით" მოპყრობოდნენ თავიანთ ვასალებს, რადგან ისინი მეფეზე ძლიერნი იყვნენ. მეფეთა მიერ გატარებული პოლიტიკაც მცირე მასშტაბისა იყო. ისინი კმაყოფილდებოდნენ საკუთარი ქო-

ნების დაგროვებით და ბრძოლებით თავიანთი უშუალო ვასალების წინააღმდეგ. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეში მათი ერთადერთი მნიშვნელოვანი წარმატება მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მათ თანამმართველობის წესი შემოიღეს, რითაც შემდეგ შესაძლებელი გახდა სამეფო ტახტის მამიდან შვილზე გადაცემა. ეს გარემოება კი სამეფო ხელისუფლების გაძლიერების დასაწყისს ნიშნავდა.

ჰიუგ კაპეტის მეფედ არჩევით მსხვილმა ფეოდალებმა მიაღწიეს იმას, რომ ორი საუკუნის განმავლობაში მოსპობილი აღმოჩნდა წესი, რომლითაც მანამდე სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა ხდებოდა (სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი აღდგენილ იქნა მხოლოდ 1223 წელს). ამიერიდან საფრანგეთში მეფობა არჩევითი გახდა. მეფობის პირველი წელი იმ დღიდან იწყებოდა, როცა რეიმსში მოხდებოდა მეფის კურთხევა. ჰიუგ კაპეტმა (987 — 996), ისარგებლა რა ეკლესიის მხარდაჭერითა და მაგნატების ურთიერთშორის ქიშპობით, მოახერხა თავისი შვილი რობერ II (996—1031) თავისსავე სიცოცხლეში სამეფო ტახტზე აეყვანა თანამმართველად. რობერი და მამამისი ერთად მეფობდნენ ისე, რომ სამეფო არ გაუყვიათ და არც სამეფო ფუნქციები გაუნაწილებიათ. თავის მხრივ, ასევე მოიქცა რობერი, რომელმაც თავისი შვილი, ანრი (შემდეგ პირველად წოდებული, 1031 — 1060) თავისსავე სიცოცხლეში თანამმართველად გაიხადა. ასევე „არჩევითი“ მეფე იყო ფილიპე პირველიც (1060 — 1108) და მხოლოდ ამგვარად იქნა შენარჩუნებული კაპეტინგების დინასტია.

რობერ II „ღვთისმოსავი“, თავისი მამის, ჰიუგის მსგავსად, ცდილობდა მოკავშირედ ეკლესია გაეხადა. ის და მამამისი ყოველნაირად მხარს უჭერდნენ კლუნიში დაწყებულ მოძრაობას საეკლესიო რეფორმების გატარებისათვის. სამეფო გვირგვინის მიღებისას ისინი ეკლესიის წინაშე ფიცს დებდნენ, რომ მას ჯეროვან დახმარებას გაუწევდნენ. ეკლესია, თავის მხრივ, მეფეთა სასარგებლოდ ფულად საჩუქრებს იღებდა, ჯარში თავის ვასალ რაინდებს გზავნიდა, მეფის საბჭოს განათლებულ მრჩევლებს აწვდიდა და ა. შ.

ეკლესიაზე დაყრდნობით რობერ II-მ ბრძოლები წამოიწყო ზოგიერთი მსხვილი ფეოდალის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში მეფემ გაიმარჯვა და 1002 წლიდან 1016 წლამდე დაიპყრო ბურგონის საჰერცოგო და თავის დომენს სანსის, დიჟონის და დრეს საგრაფოები შემოუერთა. მისი მეფობის ხანაში ნორმანდიაში სასტიკად ჩაახშეს 997 წელს მომხდარი გლეხთა აჯანყება. ასეთივე ბედი ეწია გლეხთა იმ აჯანყებას, რომელიც ბრეტანში მოხდა 1024 წელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რობერის სამეფო ხელისუფლება ჯერ კიდევ ძალიან

სუსტი იყო და მას არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება დაესახა ქვეყნის გაერთიანების საქმეში.

რობერ II-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე მისი შვილი ანრი პირველი ავიდა, რომელიც 1027 წლიდან მამის თანამმართველი იყო. მან არამც თუ რაიმე ახალი არ შემატა სამეფო დომენს, პირიქით, მამის მიერ შემოერთებული ბურგონის საჰერცოგოც კი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ანრი I ისეთ მიზნებს ისახავდა, რომელთა მიღწევა ნამდვილად არ შეეძლო. მეფეთა ხელისუფლების მოსპობით ადრეევ ბლუას გრაფები იმუქრებოდნენ და თუ ჰუგ კაპეტმა და მისმა შვილმა რობერმა სამეფო ამ ხიფათს გადაარჩინეს, ეს მოხდა იმის გამო, რომ მათ ნორმანდიის ჰერცოგი ჰყავდათ მოკავშირედ, ანრი კი ასეთ მოკავშირესაც უგულებელყოფდა.

ნორმანდიის ჰერცოგებისა და კაპეტინგების ეს ტრადიციული კავშირი მოულოდნელად ანრი I-მა დაარღვია. ათი წლის განმავლობაში იგი ცდილობდა ნორმანდიის ჰერცოგის, გიიომ „უკანონოდ შობილის“ (ინგლისის მეფე უილიამ დამპყრობელი) წინააღმდეგ კოალიციის ჩამოყალიბებას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. საბოლოოდ მან სასტიკი მარცხი განიცადა 1058 წელს ვარავილთან მომხდარ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, ანრი მაინც არ ისვენებდა და ახალი ექსპანსიისათვის ემზადებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება უფრო მეტად აღმოჩნდა დაუძლურებული.

ანრი პირველის გარდაცვალების შემდეგ (1060 წ.) სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ფილიპე პირველი, რომელიც 1059 წლიდან მამის თანამმართველი იყო. იგი 48 წლის განმავლობაში მეფობდა. მის დროს ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა იმისათვის, რომ ნორმანდია ჩამოეცილებინათ ინგლისისაგან და კვლავ საფრანგეთისათვის დაებრუნებინათ. ფილიპეს კარგად ესმოდა, რომ ამისათვის აუცილებელი იყო კოალიციის ჩამოყალიბება ინგლისის მეფის უილიამ დამპყრობლის წინააღმდეგ, მაგრამ რაკი ასეთი ნაბიჯი ომს გამოიწვევდა, მან ნორმანდიაზე ხელი აიღო. საშინაო პოლიტიკის დარგშიც ის ასეთსავე უდარდელობას იჩენდა. სამეფო სასამართლოს იგი იშვიათად თუ იწვევდა და ისიც მხოლოდ საკუთარ დომენში. ამ მხრივ საქმე იქამდე მიდოდა, რომ საკუთარი ვასალებისაგან ფილიპე ფიცის დადებასაც კი არ მოითხოვდა. „საღმრთო ზავისა“ და „დროებითი საღმრთო დაზავების“ დადების საქმეში ფილიპეს მხარი რომ დაეჭირა ეკლესიისათვის, ხშირ ფეოდალურ თავდასხმებსა და ძარცვა-რბევას სამეფოში თავიდან აიცილებდა.

საერთოდ, ფილიპე პირველი, თავის წინაპართაგან განსხვავებით, კლუნიურ მოძრაობას, რომელიც წამოწყებული იყო ეკლესიის გაძ-

ლიერების მიზნით, მხარს არ უჭერდა იმ მოსაზრებით, რომ საეკ-
ლესიო მიწების შემოსავლის მეტი ნაწილი თვითონ დარჩენოდა.
ამან ხანგრძლივი კონფლიქტი გამოიწვია რომის პაპებთან, რომელ-
თაც მეფე არაერთხელ განკვეთეს ეკლესიისაგან. ფილიპე განუწყვეტ-
ლივ ცდილობდა საკუთარი ქონების დაგროვებას და სამეფო დო-
მენის გაფართოებას. ამ მხრივ მან რამდენიმე ანექსიაც კი მოაწყო.
ისარგებლა რა ბარონების (თავისი უშუალო ვასალების) ოჯახური
უთანხმოებით, 1068 წელს აიძულა ისინი მეფისათვის დაეთმოთ გა-
ტინე, ხოლო 1071 წელს — კორბი. 1077 წელს ფილიპემ ფრანგული
ვექსენიც მიისაკუთრა, ხოლო მოგვიანებით შეიერთა ბურჟის საეკ-
ლესიო.

ამგვარად, ფილიპე პირველის დროს მოხდა სამეფო დომენის
ერთგვარი გაფართოება, მაგრამ საფრანგეთის სამეფო ხელისუფლე-
ბა XI საუკუნის ბოლოსათვის კვლავ უძლური რჩებოდა. სამეფოს
პოლიტიკურ გაერთიანებაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი მანამდე, ვიდრე
მსხვილი ფეოდალები თავაშვებულობას განაგრძობდნენ, ვიდრე კლა-
სობრივი ბრძოლები და ქალაქების კომუნალური მოძრაობა დღის
წესრიგში რადიკალურად არ დასვამდა ძლიერი ცენტრალური ხელი-
სუფლების შექმნის აუცილებლობის საკითხს. საფრანგეთში ასეთი
გარდატეხა ფილიპე II-ის, ანუ ფილიპ-ოგიუსტის მეფობიდან იწყება.

თ ა ვ ი V

გერმანია X—XI საუკუნეებში

§ 1. გერმანიის პოლიტიკური ვითარება ვერდენის ხელშეკრულებიდან X საუკუნის ბოლომდე

გერმანია კაროლინგების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა ხანაში

მეროვინგების დინასტიის ექსპანსიურმა პოლიტიკამ გერმანელი ტომები (ალემანები, ტიურინგები, ბავარელები და სხვ.) VI საუკუნეში ფრანკთა მონარქიას დაუქვემდებარა და მათი ტომობრივი ჰერცოგები ფრანკთა მეფეების მორჩილი გახადა. ყველაზე გვიან, მეცხრე საუკუნის დასაწყისში, ფრანკთა მონარქიის შემადგენლობაში შევიდა საქსონია, რომლის გერმანელი მოსახლეობა კარლოს დიდმა დაიპყრო. ზემოხსენებული გერმანელი ტომების დაპყრობასთან ერთად ამ მხარეებში დაჩქარდა გვაროვნული წყობილების რღვევა და კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა. აგრესორებმა ახლად დაპყრობილ მხარეებში ცეცხლითა და მახვილით დანერგეს ქრისტიანობა, რომელსაც დამპყრობელთა შემდგომი ბატონობა უნდა უზრუნველეყო და ხელი უნდა შეეწყო ფეოდალიზმის განვითარებისათვის.

ვერდენის ხელშეკრულებით კარლოს დიდის შვილიშვილს ლუდვიგ გერმანელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წილად ხვდა „ფრანკების აღმოსავლეთი მიწები". არსებითად, ესენი იყო ტომთა ჰერცოგების სამფლობელოები: საქსონია, ფრანკონია, შვაბია (ყოფილი ალემანია) და ბავარია. ცოტა უფრო გვიან მათ მიეკუთვნა დასავლეთით მდებარე ლოტარინგიის საჰერცოგო. გერმანიის ტერიტორია სავსებით და საბოლოოდ IX საუკუნის დასასრულსა და X საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მისი მოსახლეობა დიდხანს მრავალფეროვანი იყო. მხოლოდ X საუკუნიდან უწოდებენ ისინი თავიანთ თავს „ტევტონებს", საიდანაც წარმოსდგა სახელწოდება „დოიჩე", იტალიელები „ტედესკის", ხოლო ფრანგები და თურქები „ალემანებს" უწოდებენ, რუსები, პოლონელები და ბულგარელები კი—„ნემცებს", რად-

გან უკანასკნელთ გერმანული ენა არ ესმოდათ და გერმანელობა მათთვის სიმუნჯის სინონიმად იყო ქცეული.

კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა ხანაში გერმანია დაქუცმაცებული იყო არა მარტო ეთნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურადაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი დანაწილებული იყო ოთხ სხვადასხვა დამოუკიდებელ საჰერცოგოდ. ზემოხსენებული შვაბიის საჰერცოგო დუნაის ზემოწელში მდებარეობდა და, არსებითად, დამოუკიდებელი იყო სამეფო ხელისუფლებისაგან. ბავარიის საჰერცოგო, რომლის ჰერცოგებიც ასევე დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს, მდებარეობდა მდინარე ლეხის აღმოსავლეთით. ფრანკონიის საჰერცოგო მდებარეობდა მდინარე რაინისა და მაინის შუა დინებებს შორის, ხოლო საქსონია ტიურინგიასთან ერთად — დაახლოებით მდინარე ვეზერიდან მდინარე ელბამდე იყო გადაჭიმული.

კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლებს განუწყვეტელი ბრძოლა უბდებოდათ როგორც გარეშე მტრების, ისე ურჩი მაგნატების წინააღმდეგ. ამ მაგნატებს შორის პირველი ადგილი ტომთა ჰერცოგებს ეჭირათ. კარლოს დიდის დროს ისინი უბრალო მოხელეებად ითვლებოდნენ და ინიშნებოდნენ ან იხსნებოდნენ მეფის ბრძანებით. შემდეგ ჰერცოგები, როგორც დანარჩენი მოხელეები — გრაფები, მარკგრაფები და სხვ. თავიანთ თანამდებობებს მეფისაგან დამოუკიდებლად აქცევდნენ. ძალაუფლების ზრდის საქმეში ისინი თავიანთი ტომების მთლიანობას ემყარებოდნენ.

კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლებთან ბრძოლისას ეს ჰერცოგები, გარდა იმისა, რომ იცავდნენ საკუთარ დამოუკიდებლობას სამეფო ხელისუფლებისაგან, ცდილობდნენ, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად წესრიგი დაემყარებინათ თავიანთ სამფლობელოებში. ჰერცოგები, ვასალების მოთვინიერებასთან ერთად, მიილტვოდნენ აგრეთვე თავიანთ სამფლობელოებში მყოფი ეპისკოპოსებისა და აბატების საჰერცოგო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებისაკენ.

გერმანიის პოლიტიკური ვითარება კაროლინგების დინასტიის შემდეგ

კაროლინგების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, ლუდვიგ „ყრმის“ (das Kind, 900 — 911) გარდაცვალების შემდეგ გერმანიის სამეფო ტახტზე კონრად ფრანკონელი ავიდა (911 — 919). მისი მეფობის განმავლობაში შეუწყვეტელი შინაბრძოლები წარმოებდა როგორც ცალკეულ მსხვილ ფეოდალებს, ისე ფეოდალებსა და მეფეს შორის. მეფე ამაოდ ცდილობდა ურჩი ფეოდალების დათრ-

გუნვას. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ კონრადმა გერმანიის სამეფო ხელისუფლება „ნებაყოფლობით“ გადასცა თავის ყველაზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, საქსონიის ჰერცოგს ჰაინრიხს, რომელიც გამეფების შემდეგ ჰაინრიხ პირველის, „ფრინველმჭერის“ (der Vogler) სახელით იყო ცნობილი.

ჰაინრიხ პირველის გამეფებით (919 — 936) გერმანიაში საფუძველი ჩაეყარა საქსონური დინასტიის ბატონობას. თავისი მეფობის პირველ ხანებში ჰაინრიხმა, გაითვალისწინა რა თავისი წინამორბედის — კონრადის პოლიტიკის მარცხი დიდებულებთან ბრძოლაში, მთელი თავისი ყურადღება ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკაზე გადაიტანა. მან გადაწყვიტა ბრძოლები ეწარმოებინა აღმოსავლეთში სლავთა ტომების წინააღმდეგ. ასე ჩაეყარა საფუძველი ყბადაღებულ „დრანგ ნახ ოსტენის“ პოლიტიკას, რომელსაც ასე დაჟინებით განაგრძობდა შემდეგ ოტო I.

ჰაინრიხ I მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა ტომთა ჰერცოგების მიმართ. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მან გული მოუგო და თავის მხარეზე გადმოიყვანა გერმანიის წვრილი ფეოდალები, რომელთა წარმომადგენელთაგან ძლიერი ცხენოსანი რაზმები შეადგინა. მათი დახმარებით თავის დომენში — საქსონიაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ააგო ბურგები (ციხესიმაგრეები). გერმანიის საზოგადოების სხვა ფენების დახმარებით ჰაინრიხმა 928 წელს დაიწყო იერიშების მიტანა სლავთა სხვადასხვა ტომზე.

საქსონიის მეზობლად მაშინ მოსახლეობდნენ პოლაბეთის სლავები: სერბო-ლუჟიჩები, ლუტიჩები, ობოდრიტები და სხვ. ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნის დასაწყისში სლავთა ამ ტომებს გვაროვნული წყობილება ჰქონდათ და ცხოვრობდნენ განცალკევებულად. სახელმწიფოს არარსებობის გამო სლავთა პოლიტიკური სიძლიერე არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო. ჯერ კიდევ კარლოს დიდმა აიძულა ისინი ხარკი ეხადათ ფრანკთა სახელმწიფოსათვის. კარლოს დიდის გარდაცვალების შემდეგ სლავებმა ხარკის გაღება შეწყვიტეს და უნგრელებთან ერთად უკვე თვითონ უტევდნენ გერმანიას. რადგან საქსონია მათი უშუალო მეზობელი იყო, ბუნებრივია, სლავთა თავდასხმები პირველ რიგში საქსონიაზე უნდა მომხდარიყო.

ჰაინრიხ პირველმა 928 წელს გლომაჩების მთავარი ციხესიმაგრე იაჰნა აიღო და სერბო-ლუჟიჩების სხვა ტომებიც დაიმორჩილა. გერმანელები ლუტიჩების მიწა-წყალზე შეიჭრნენ და აიღეს მათი ქალაქი ბრანიბორი, რომელსაც შემდეგ ბრანდენბურგი უწოდეს. დაპყრობილ სლავთა ყველა ტომს მათ მძიმე ხარკი შეაწერეს. მიტაცებული ადგილები გაამაგრეს და იქ თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს, იმ მიზნით,

რომ სლავთა მოსახლეობა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდათ. გერმანელებს სურდათ სლავთა სრული გერმანიზაცია მოეხდინათ, მაგრამ სლავები მაინც თავიანთ ხელმძღვანელთა გარშემო ერთიანდებოდნენ, აჯანყებებს აწყობდნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ და ინარჩუნებდნენ თავიანთ წესებსა და ადათ-ჩვეულებებს.

ჰაინრიხ პირველს მადიარებთან (უფრო სწორად — მაჯარებთან) ანუ უნგრელებთან მოუხდა ბრძოლა. მორავიის სამთავროს დაცემის შემდეგ უნგრელებმა პანონია დაიკავეს და გერმანიის უშუალო მეზობლები გახდნენ. მანამდე მათ ჰქონდათ გვაროვნული წყობილება და მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ, მისდევდნენ უმთავრესად მესაქონლეობას (განსაკუთრებით ცხენის მოშენებას). ეს გარემოება უნგრელებს ძლიერი ცხენოსანი რაზმების ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევდა. უნგრელთა ცხენოსანი რაზმები სისტემატურად ესხმოდნენ თავს სხვადასხვა სახელმწიფოს, განსაკუთრებით — გერმანიას. მეათე საუკუნის დასაწყისში ისინი გერმანიას თავს ესხმოდნენ ორი მიმართულებით: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ელბაზე გავლით — საქსონიაში, ხოლო აღმოსავლეთიდან უშუალოდ ბავარიაში იჭრებოდნენ და აქედან შვაბიაში გადადიოდნენ.

უნგრელთა ასეთი თარეში გერმანიაში აიხსნებოდა გერმანიის პოლიტიკური სისუსტით. გერმანელთა ქვეითი ჯარი არ იყო ისეთი მობილური, როგორც უნგრელების ცხენოსანი რაზმები, ხოლო მას შემდეგ, რაც ჰაინრიხ პირველმა გერმანიის პოლიტიკური ვითარება ერთგვარად განამტკიცა და ჯარის რეორგანიზაცია მოახდინა, შესაძლებელი გახდა უნგრელების იერიშის შეჩერება. 933 წელს უნგრელები დიდი ძალებით შეესივნენ გერმანიას, მაგრამ გერმანელების მხრივ მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ისინი უკუგდებულ იქნენ, თუმცა უნგრელები ზოგჯერ ამის შემდეგაც ახერხებდნენ გერმანიაში შეჭრას.

ოტო პირველის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

ჰაინრიხ პირველმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში გადაწყვიტა თავისი შვილის ოტოს გამეფება. მან ერფურტში მოიწვია ჰერცოგების, გრაფებისა და ეპისკოპოსების თათბირი, რომელზედაც სამეფო კანდიდატად ოტო წამოაყენა. თათბირმა მიიღო ეს წინადადება და მალე, ჰაინრიხის გარდაცვალების შემდეგ (936 წ.) ოტო I ავიდა სამეფო ტახტზე. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ერთი წელიც არ იყო გასული მისი გამეფების დღიდან, რომ გერმანიაში დაიწყო შინაარეულობა. გარდაიცვალა ბავარიის ჰერცოგი არნულფი. მისმა უფროსმა შვილმა ებერჰარდმა თავი დაუყოვნებლივ ბავარიის ჰერცოგად გამოაცხადა,

თანაც არა თუ ნებართვა არ გამოითხოვა მეფისაგან, არამედ ფიცის დადებაზეც კი უარი განუცხადა მას.

ოტომ შეიარაღებული ძალებით დაიკავა ბავარია, იქიდან ებერჰარდი გააძევა და მის ნაცვლად მისი ბიძა ბერტოლდი დანიშნა ჰერცოგად. ეს ღონისძიება იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ჰერცოგობა აღარ უნდა ყოფილიყო მემკვიდრეობითი და მეფეს ამ თანამდებობაზე შეეძლო დაენიშნა ის, ვინც მას სურდა. ბავარიის ჰერცოგის პრივილეგიები შეზღუდულ იქნა იმითაც, რომ ბერტოლდს აეკრძალა საჰერცოგოში ეპისკოპოსების დანიშვნა, რაც მხოლოდ მეფეს შეეძლო. გარდა ამისა, მეფემ ბავარიაში პფალცგრაფის თანამდებობა დააწესა. პფალცგრაფი მეფის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო უზენაეს სასამართლოში. იგი ითვლებოდა სამეფო კოშკების, მამულებისა და ლენების გამგებლადაც, მას ევალებოდა, აგრეთვე, სამეფო შემოსავლის აკრეფა საჰერცოგოში.

დიდი ხანი არ იყო გასული ბავარიის ჰერცოგის განდგომიდან, რომ გერმანიის სხვა ჰერცოგებმა, რომელთაც თავიანთთვის საშიშად მიიჩნიეს ოტო პირველის გაძლიერება, მეფის ხელისუფლებისაგან განდგომა იწყეს. ასე მოიქცა, მაგალითად, ფრანკონიის ჰერცოგი ებერჰარდი. მან ისარგებლა ძმების — ოტო პირველისა და ტანკმარის უთანხმოებით, უკანასკნელი თავის მხარეზე გადმოიბირა და მეფის წინააღმდეგ აჯანყდა. ბრძოლა მეფის გამარჯვებით დამთავრდა. ტანკმარი ბრძოლაში მოკლეს, ხოლო ებერჰარდი იძულებული გახდა მეფისათვის მორჩილება გამოეცხადებინა. მაინცის არქიეპისკოპოსის დიდი თხოვნის შედეგად ებერჰარდი დატოვებულ იქნა ჰერცოგის თანამდებობაზე.

მეფის ოჯახში მალე ახალმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ამჯერად ოტოს განუდგა მისი უმცროსი ძმა ჰაინრიხი, რომელმაც მეფის ტახტიდან ჩამოგდება გადაწყვიტა. ჰაინრიხს მხარი ისევ ფრანკონიის ჰერცოგმა ებერჰარდმა და ლოტარინგიის ჰერცოგმა გიზელბერტმა დაუჭირეს. ამ უკანასკნელთა მხარეზე აღმოჩნდა აგრეთვე საფრანგეთის მეფე ლუი IV. ოტო პირველის ბრძოლა ძმისა და ურჩი ჰერცოგების წინააღმდეგ ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ბრძოლაში ებერჰარდი და გიზელბერტი დაიღუპნენ, ხოლო საფრანგეთის მეფე იძულებული გახდა ზავი დაედო ოტოსთან. ჰაინრიხი როგორც იქნა, ძმას შეურიგდა, შემდეგ ოტომ იგი ბავარიის ჰერცოგად დანიშნა, ხოლო ფრანკონიის ჰერცოგად თავისი თავი გამოაცხადა.

ოტო პირველმა ჰერცოგთა უფლებების შეკვეცა შემდეგაც განაგრძო და პფალცგრაფის თანამდებობა ყველა საჰერცოგოში შემოიღო. ჰერცოგებს ომის დამოუკიდებლად დაწყებისა და ზავის დადების უფლება ჩამოართვა. ჰერცოგის გარდაცვალების შემთხვევა-

ში მეფე ჰერცოგად ისეთ პიროვნებას ნიშნავდა, ვინც ადგილობრივი არ იყო და ვინც მას თავის ერთგულად მიაჩნდა. შემდეგ ხანებში ის ჰერცოგებად ნიშნავდა მხოლოდ თავის მახლობლებსა და ნათესავებს. 950 წელს შვაბიის ჰერცოგად თავისი შვილი, ლიუდოლფი გამოაცხადა. ამავე დროს ლოტარინგიის ჰერცოგს, კონრადს, თავისი ასული ლიუტგარდი მიათხოვა.

ოტო პირველი ფიქრობდა, რომ მისი ნათესავები უფრო საიმედონი აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. 953 წელს გერმანიაში კვლავ დაიწყო შინაარეულობა, რომლის ინიციატორები იყვნენ ოტოს შვილი ლიუდოლფი (შვაბიის ჰერცოგი) და ოტოს სიძე — ლოტარინგიის ჰერცოგი კონრადი. ოტოს შეიარაღებული ბრძოლის წამოწყება მოუხდა შვილისა და სიძის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ცვალებადი წარმატებით 954 წლამდე გრძელდებოდა და დამთავრდა მეფის გამარჯვებით. როგორც ლიუდოლფს, ისე კონრადს ჩამოერთვათ ჰერცოგობა. ამ წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ ოტომ გადაწყვიტა თავის ძირითად დასაყრდენ ბაზად ახლა გერმანიის სასულიერო წოდება და ეკლესია გაეზადა.

გერმანიის ეპისკოპოსები ადრეე იყვნენ უკმაყოფილო ჰერცოგებით, რომელნიც ცდილობდნენ მათ დამორჩილებას. როდესაც ოტომ ეპისკოპოსებსა და აბატებს მოუწოდა სამეფო ხელისუფლებისათვის მხარი დაეჭირათ, ისინი სიამოვნებით ჩადგნენ მეფის სამსახურში. ურჩი ფეოდალებისათვის ჩამორთმეულ მიწებსა და მამულებს ოტო ეპისკოპოსებს უბოძებდა, როგორც ბენეფიციუმებს. სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომელნიც მეფის წყალობას ღებულობდნენ, ერთგულების ფიცს დებდნენ მეფის წინაშე. ეპისკოპოსებს სამფლობელოების მილებასთან ერთად ენიჭებოდათ სახელმწიფოებრივი უფლებები და, ხშირ შემთხვევაში, — გრაფობაც.

ამგვარად, რამდენადაც მეფის მიერ სასულიერო პირებზე გაცემული წყალობა იზრდებოდა, იმდენად ძლიერდებოდა სასულიერო პირთა საერო ხელისუფლება მთელს სამეფოში. ეპისკოპოსები იქცეოდნენ მთავრებად და, როგორც მეფის უშუალო ვასალები, უმაღლეს ფეოდალურ არისტოკრატიაში შედიოდნენ. დროთა განმავლობაში ეპისკოპოსობა და საერო ხელისუფლება გაერთიანდა. გასაგებია, რომ ასეთი მაღალი თანამდებობანი მეფეს უნდა გადაეცა თავისი ერთგული პირებისათვის; მაშასადამე, საეპისკოპოსო თანამდებობებზე დანიშვნა მეფის უფლებებში შედიოდა. მეფის უფლებას, რაც გულისხმობდა ეპისკოპოსის თანამდებობასთან დაკავშირებული ბენეფიციუმის ვისთვისმე გადაცემას, ინვესტიტურა ეწოდებოდა.

ინვესტიტურის ფართო გავრცელებით ოტომ მართლაც მოახერხა სასულიერო წოდების მხარდაჭერის მოპოვება და, მასზე დაყ-

რდნობით, ჰერცოგებისა და სხვა ურჩი ფეოდალების ალაგმვა, მაგრამ ამავე გარემოებამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად გააძლიერა სასულიერო ფეოდალები. სასულიერო წოდების მიერ სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერა პირობითი იყო, რადგან გერმანელი ეპისკოპოსები და აბატები რომის პაპის მორჩილებაში იყვნენ, რის გამოც რომის პაპს ადვილად შეეძლო გერმანიის მეფის მძლავრი მოკავშირე მის წინააღმდეგ გამოეყენებინა. გერმანიის ეპისკოპოსების მუდმივ მოკავშირეებად გადაქცევისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა თვით რომის პაპის გერმანიის მეფის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება, მაგრამ პაპის დამორჩილებისათვის, თავის მხრივ, საჭირო იყო იტალიის დაპყრობა, სადაც პაპების რეზიდენცია იმყოფებოდა.

ამგვარად, მზადდებოდა სათანადო საფუძველი გერმანიის აგრესიული პოლიტიკისათვის, რომელიც იტალიისაკენ უნდა წარმართულიყო. გერმანიის ამ აგრესიას ხელს უწყობდა სხვა გარემოებებიც. ჯერ ერთი, იტალიის ქალაქების განვითარება და იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობით მათ მიერ დაგროვილი დოვლათი გერმანელ მტაცებელთათვის მეტად სახარბიელო აღმოჩნდა და, მეორეც, იტალიის დაპყრობის საქმეში აგრესორებს დიდ წინააღმდეგობათა გადალახვა არ მოელოდათ, რადგან იმ ხანებში იტალია არ წარმოადგენდა მთლიან და მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს. შეიძლება ითქვას, რომ იტალია მეათე საუკუნის შუა ხანებში პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან დაქუცმაცებული და უძლური იყო.

იტალიაში ბევრი საერო და სასულიერო ფეოდალი ერთიმეორის წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა პირველობისათვის. არანაკლები ბრძოლები წარმოებდა შუა იტალიაში პაპის ტახტის გარშემო. რომის არისტოკრატიული გვარეულობანი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ პაპის ტახტის ხელში ჩასაგდებად. იტალიის სამხრეთი მიწები ნაწილობრივ ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი, ხოლო სხვა ნაწილებზე არაბები აწყობდნენ თავდასხმებს კუნძულ სიცილიიდან. ასეთ ვითარებაში მყოფ იტალიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა გერმანელ დამპყრობელთათვის.

იტალიაში ოტო პირველის გალაშქრებისათვის შემდეგი საბაბი გამოინახა. იტალიის მეფედ 950 წლამდე ლოტარი ითვლებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მას დარჩა ახალგაზრდა ქვრივი ადელჰაიდი. ლომბარდიის მმართველმა ბერენგარმა თავი მეფედ გამოაცხადა და, იტალიის სამეფო გვირგვინი კანონიერად რომ დარჩენოდა, წინადადება მისცა ადელჰაიდს — მის შვილს, ადელბერტს გაჰყოლო-

და ცოლად. ამ წინადადებაზე უარის თქმის შემდეგ ადელჰაიდი დააატუსაღეს, მაგრამ ის თავისი მომხრეების დახმარებით სატუსაღოდან გაიპარა და კანოსაში გადავიდა. აქედან მან დახმარებისათვის გერმანიის მეფეს მიმართა.

ოტომ მოისურვა არა მარტო დახმარების აღმოჩენა ადელჰაიდისათვის, არამედ მისი ცოლად შერთვაც. ოტოს ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ იტალიაში გალაშქრების დროს ადელჰაიდის მომხრეები ოტოს მხარეზე გადავიდოდნენ. 951 წელს ოტო დიდი ჯარით ლომბარდიაში შევიდა. ბერენგარის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალები მართლაც ოტოს მხარეზე გადავიდნენ. ოტომ ლომბარდიის სატახტო ქალაქი პავია დაიკავა, ლანგობარდების მეფის ტიტული მიიღო და ადელჰაიდი შეირთო ცოლად. ამის შემდეგ მან დააპირა თავისი უფრო ფართო გეგმის — მთელი იტალიის დაპყრობის — განხორციელება, მაგრამ იგი იძულებული გახდა ამჯერად მიღწეული წარმატებით დაკმაყოფილებულიყო და უკან წასულიყო გერმანიაში, რადგან თვით გერმანიაში დაიწყო ჰერცოგების (ლუდოლფისა და კონრადის) აჯანყება ოტოს წინააღმდეგ.

აჯანყებული ჰერცოგების დათრგუნვის გარდა ოტო I დაჟინებით განაგრძობდა ანტისლავურ პოლიტიკას. ჯერ კიდევ ჰაინრიხ პირველმა მოახერხა ჩეხების მთავრის, ვაცლავის დამორჩილება, მაგრამ ჩეხები მალე აჯანყდნენ გერმანელთა ბატონობის წინააღმდეგ და ბოლესლავის ხელმძღვანელობით დაიწყეს გააფთრებული ბრძოლა. ოტო პირველს მოუხდა მათ წინააღმდეგ გამოსვლა. ცხრა წელი დასჭირდა მას იმისათვის, რომ ჩეხები კვლავ მოხარკედ გაეხადა. ელბის ქვემო დინებაზე მცხოვრები სლავები ჰაინრიხ პირველის გარდაცვალებისთანავე ასევე აჯანყდნენ გერმანელთა მხეცობის წინააღმდეგ. ოტო პირველს პირადად მოუხდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. გერმანელებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს სლავთა ტომების ადგილსამყოფელი. ისინი არ ინდობდნენ არავის — არც ბავშვებს, არც ქალებსა და არც მოხუცებს.

ოტო პირველმა სლავთა დამორჩილებულ ტომებში „წესრიგის დამყარება“ და სლავთა სხვა ტომების დამორჩილება პირსისხლიანსა და ვერაგ მარკგრაფს, გეროს დაავალა. ეს უკანასკნელი ყოველგვარ ვერაგულ ხერხს ხმარობდა სლავების ამოსაჟლეტად და გერმანელთა კოლონიზაციისათვის აღმოსავლეთით სლავების მიწა-წყალზე. სლავებთან ერთ-ერთი დაზავების შემდეგ მან სადილზე სლავების 30 თავადი მიიპატიჟა და როცა დაათრო, მათი დახოცვა უბრძანა თავის რაზმელებს. გეროს ასეთმა ვერაგობამ სლავები უფრო მეტად აღაშფოთა. ამიერიდან ისინი უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს. ეტყობოდა, რომ მარტო ცეცხლითა და მახვილით სლა-

ვთა ტომების საბოლოო დამორჩილება და მათი გერმანიზაცია შეუძლებელი იყო. ოტო პირველმა გადაწყვიტა ამ საქმეში დამხმარედ ეკლესია გამოეყენებინა. მან სლავთა ტომებში საქსონიის სამღვდელოება გაგზავნა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების მიზნით. ლუჟიჩების, რატარებისა და ჰავოლანების მხარეში ოტომ ორი საეპისკოპოსო დააარსა. ამგვარად, ჯვარი და მახვილი ერთად მოქმედებდნენ სლავთა ტომების გერმანიზაციის საქმეში, მაგრამ, მიუხედავად ასეთი მკაცრი ღონისძიებებისა, სლავები მაინც განაგრძობდნენ გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

სლავები ყოველთვის ელოდნენ ხელსაყრელ მომენტს გერმანელთა ბატონობის უღლის გადასაგდებად. როცა ოტო პირველი უკანასკნელ ბრძოლას აწარმოებდა ურჩი ჰერცოგების წინააღმდეგ (954 წ.), სლავები აჯანყდნენ.

აჯანყებულებმა გერმანელთა მიერ აშენებული ბურგების დიდი უმრავლესობა დაანგრიეს და ოკუპანტები განდევნეს თავიანთი მიწა-წყლიდან. უფრო მეტიც, ისინი საქსონიაშიც შეიჭრნენ. მიუხედავად იმისა, რომ 954 წლის დამლევისათვის ოტომ ყველა განდგომილი გერმანელი დიდკაცი დაიმორჩილა, ამჯერად მან მაინც ვერ მოახერხა აჯანყებული სლავების წინააღმდეგ გალაშქრება, რადგან მთელი თავისი ძალები უნგრელების წინააღმდეგ უნდა წარემართა.

955 წელს უნგრელები შეიჭრნენ ბავარიაში და აუგსბურგს ალყა შემოარტყეს. ამავე წლის ივლისში ოტო თავისი ჯარებით დაიძრა უნგრელების წინააღმდეგ. აუგსბურგს იცავდა მისი გარნიზონი ეპისკოპოსის მეთაურობით, მაგრამ მას დიდი ხნით თავდაცვა არ შეეძლო სურსათ-საბოლოვაგის უქონლობის გამო. ოტოს ჯარები, რომელნიც მიდიოდნენ ქალაქის გასათავისუფლებლად და უნგრელების უკუსაგდებად გერმანიიდან, რვა ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. თითოეულ მათგანში 1000 კაცი ითვლებოდა გარდა დამხმარე პირებისა, რომელთაც საბრძოლო დანიშნულება არ ჰქონდათ. გერმანელების ცხენოსანი რაზმები უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი, ვიდრე უნგრელებისა. არასწორად უნდა ჩაითვალოს ცნობები უნგრელების რაოდენობის შესახებ, რომლებიც მოცემულია გერმანელი ჟამთააღმწერლების შრომებში. უნგრელები არამც თუ მეტნი არ იყვნენ გერმანელებზე, არამედ გაცილებით ნაკლებნიც კი.

ოტოს ჯარების პირველი სამი დანაყოფი ბავარელებისაგან შედგებოდა, მეოთხე — ფრანკონელებისაგან, მეხუთე — სამეფო დომენიდან იყო შედგენილი, მეექვსე და მეშვიდე — შვაბელებისაგან, ხოლო მერვე — ჩეხი ცხენოსნებისაგან იყო შემდგარი. მეხუთე დანაყოფს პირადად ოტო მეთაურობდა, ხოლო პირველ სამს — ლოტა-

რინგის ყოფილი ჰერცოგი კონრადი. გერმანელთა ჯარები, რომელთა წინა რიგები ბავარელებისაგან შედგებოდა, უნგრელებს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უახლოვდებოდნენ. უნგრელების ერთ-ერთმა დანაყოფმა გერმანელთა ჯარის ნაწილების განლაგების მარჯვენა ფლანგს ზურგიდან შემოუარა, თავს დაესხა მათ აღალს და გაანადგურა ჩეხი რაინდების შენაერთი, მაგრამ მალე იძულებული გახდა უკან დაეხია.

მაგ შემდეგ რაც გერმანელებმა თავიდან აიცილეს ზურგიდან მტრის შემოვლის საშიშროება, მთელი თავიანთი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ. 955 წლის 10 აგვისტოს გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა მდინარე ლეხთან, აუგსბურგიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით. მიუხედავად იმისა, რომ უნგრელები მამაცურად იბრძოდნენ, ისინი მაინც დამარცხდნენ. გერმანელები გაქცეულებს უკან დაედევნენ, ბევრი უნგრელი დახოცეს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ტყვედ იგდეს ხელთ. გერმანელთა ამ გამარჯვების პოლიტიკური მნიშვნელობა პირველ ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ უნგრელებმა ამ ბრძოლის შემდეგ სამუდამოდ შეწყვიტეს გერმანიაზე თავდასხმები. საერთოდ კი უნგრელების თავდასხმები სხვა სახელმწიფოებზეც შეწყდა იმის გამო, რომ უნგრელები მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ.

აქტიური საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარების შემდეგ, 960 წლისათვის ოტო პირველმა განამტკიცა გერმანიის მდგომარეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მას ახლა შეეძლო განეგრძო იტალიის დაპყრობის კამპანია, რომელიც 952 წელს შეწყვეტილ იქნა უკვე მოხსენებული მიზეზების გამო. მაგრამ, ვიდრე ოტო თავის მეორე ლაშქრობას წამოიწყებდა იტალიაში, მან 961 წლის მაისში საერო და სასულიერო დიდებულების კრება მოიწვია ვორმსში, სადაც თავისი 7 წლის შვილი, ოტო, მეფედ და თავის თანამმართველად აარჩევინა.

იტალიაში მეორე ლაშქრობის წამოწყებისათვის კვლავ გამოჩნდა საბაბი. ამჯერად ოტოს დახმარებისათვის 24 წლის ახალგაზრდა პაპი იოანე XII ეპატიჟებოდა, რომელსაც რომაელი ბარონები აუჯანყდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. 961 წლის შემოდგომაზე ოტომ დაიწყო მეორე ლაშქრობა იტალიაში. მას ახლდა თავისი მეუღლე და დიდძალი ჯარი, რომელშიც სლავებიც კი შედიოდნენ. გერმანელთა ლაშქრობას იტალიაში არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. 962 წლის 31 იანვარს ოტო ქალაქ რომში შევიდა. 2 თებერვალს ოტოსა და ადელჰაიდს პაპმა იმპერატორის გვირგვინი დაადგა. ასე ჩამოყალიბდა „რომის საღმრთო იმპერია“, რომლის სახელწოდებასაც მოგვიანებით დაემატა — „გერმანელი ერისა“.

რა თქმა უნდა, ასეთი სახელწოდება სრულებითაც არ ასახავდა შექმნილ სინამდვილეს. თუ ასეთ სახელწოდებაში ვიგულისხმებთ იმას, რომ თითქოს კარლოს დიდის იმპერიის აღდგენა მოხდა, ეს არ იქნება სწორი, რადგან ოტო პირველის მიერ შედგენილი იმპერია ტერიტორიულად უფრო მცირე იყო. იგი აერთიანებდა მხოლოდ გერმანიასა და იტალიას, უფრო სწორად კი იტალიის ნაწილს, რადგან სამხრეთ იტალიაში ბიზანტიელები ბატონობდნენ. იმპერიის ზემოხსენებული სახელწოდება არასწორად უნდა ჩაითვალოს იმიტომაც, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ერები და, მით უფრო „გერმანელი ერი".

ახლად შექმნილი იმპერიის სახელწოდება („საღმრთო") თეორიულად გულისხმობდა იმას, რომ იმპერიის მმართველობაში როგორც იმპერატორი, ისე პაპი თანაბარი უფლებებით აღჭურვილნი უნდა ყოფილიყვნენ. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს არ ხორციელდებოდა. ფაქტიურად პაპის ოლქი იტალიის მსხვილ ფეოდალებს ჰქონდათ მიტაცებული და, მაშასადამე, პაპებს აღარ გააჩნდათ რეალური საერო ხელისუფლება. ამგვარად, იმპერიის ნამდვილ მმართველად და ბატონ-პატრონად გერმანიის მეფე (იმპერატორი) რჩებოდა, მით უფრო, რომ იმდროინდელმა პაპებმა თითქმის სრულიად დაკარგეს სულიერი მმართველობის სადავეებიც. ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად თითოეული ეპისკოპოსი და აბატი ცდილობდა პაპისაგან განდგომას და თავისი მრევლის დამოუკიდებელ ხელმძღვანელობას.

რა თქმა უნდა, ოტო I-ს ასეთი სუსტი ძალაუფლების მქონე პაპების თანაბარი უფლებები არ ექნებოდა. გახდა თუ არა ოტო იმპერატორი, მან უზენაესი ხელისუფლება რომზედაც მოიპოვა და პაპი თავის ვასალად გადააქცია. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ოტო რომიდან პავიაში წავიდა და, როგორც ეკლესიის უზენაესმა მმართველმა, იქ მოიწვია საეკლესიო კრება. ამ კრებას უმაღლესი სასულიერო წოდების თითქმის ყველა წარმომადგენელი (არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები და სხვ.) ესწრებოდა, ხოლო თვით პაპი კრებაზე არ იყო მიწვეული. აქედან ჩანს, რომ იმპერატორი პაპებს არავითარ ანგარიშს აღარ უწევდა.

როცა გამოირკვა პაპი იოანე XII-ს ურჩობა იმპერატორისადმი, ოტომ რომში საეკლესიო კრება მოიწვია პაპის გასასამართლებლად. კრებამ, რომელსაც თვით იმპერატორი თავმჯდომარეობდა, დაადგინა, რომ „გარყვნილებისათვის" იოანე გადაყენებული ყოფილიყო. მის ნაცვლად რომის პაპად არჩეულ იქნა ოტოს კანდიდატი ლეო VIII. როცა შემდეგ რომის მოქალაქეებმა აჯანყება მოაწყეს ლეო

VIII-ის წინააღმდეგ და მის მაგივრად ბენედიქტე V აირჩიეს, ოტო პირველმა დაიპყრო ქალაქი რომი, ბენედიქტე V გადააყენა და რომაელები აიძულა ისევ ლეო VIII ეცნოთ პაპად. ამგვარად, საბოლოოდ გამოირკვა, რომ პაპების არჩევა და გადაყენება ამიერიდან მხოლოდ იმპერატორის საქმეს წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამხრეთი იტალია ნეაპოლის ჩრდილო მიდამოებამდე დაპყრობილი იყო ბიზანტიის მიერ. ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა დაჟინებით ცდილობდა ამ ადგილების შენარჩუნებას, ხელსაყრელ პირობებში კი — მათ გაფართოებასაც. ოტომ, თავის მხრივ, მიზნად დაისახა სამხრეთი იტალიის ხელში ჩაგდება, მაგრამ პირდაპირი ბრძოლებით ეს ვერ მოახერხა და იძულებული გახდა დიპლომატიური ხერხისათვის მიემართა. მან იმას მიაღწია, რომ თავისი შვილისათვის (მომავალ ოტო მეორისათვის) ცოლად მოეყვანა ბიზანტიის მეფის ასული თეოფანო. ეს გარემოება შემდეგ საფუძველი უნდა გამხდარიყო იმისა, რომ სამხრეთ იტალიაზე გერმანიასაც წამოეყენებინა პრეტენზიები, მაგრამ ოტო პირველი 973 წელს გარდაიცვალა.

§ 2. გერმანიის ფეოდალიზაცია. საქსონური დინასტიის დასასრული

ფეოდალიზაციის ნელი პროცესი გერმანიაში და ამის მიზეზები

რაინის აღმოსავლეთით მდებარე ყოფილ ფრანკთა მონარქიის ნაწილში, სადაც ვერდენის 843 წ. ხელშეკრულების შემდეგ გერმანიის სამეფო ჩამოყალიბდა, ფეოდალიზაციის პროცესი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე საფრანგეთში. ჯერ კიდევ X საუკუნის დასაწყისში გერმანია შედარებით უფრო ნაკლებად იყო ფეოდალიზებული. იქ თავისუფალი გლეხობა კარგა ხანს ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და ახერხებდა საკუთარი მეურნეობის დაცვას სხვისი ხელყოფისაგან, რის გამოც თავდაპირველად მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა გერმანიაში ძირითადად მეფეთა მიერ სიგელებით გაცემული მიწების ხარჯზე ხდებოდა და ეს ზრდა არც თუ ისე შესამჩნევი იყო.

ცხადია, ასეთ პირობებში, ფეოდალური კლასის ბატონობა სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებდა და მისი პოლიტიკური გავლენაც მოსახლეობაზე სრულად ვერ გამოვლინდებოდა. გერმანელი მემამულე თავისი სამემკვიდრეო მამულის მოსახლეობაზე სრული ბატონობის პოლიტიკური უფლებით არ სარგებლობდა. პოლიტიკურ უფლებებში მას სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელი — გრაფი ეცილე-

ბოდა. თუ საფრანგეთის ფეოდალები თავიანთ სამემკვიდრეო მამულებში სრული იმუნიტეტით სარგებლობდნენ და საკუთარი სასამართლოები ჰქონდათ, სადაც თითქმის ყველა სადავო საკითხს მეფის მოხელის დაუსწრებლად წყვეტდნენ, გერმანიაში ასე არ იყო. გერმანელი ფეოდალის სასამართლოს მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტა შეეძლო, დანარჩენები კი მეფის მოხელის — გრაფის სასამართლოსადმი იყო დაქვემდებარებული.

სამემკვიდრეო მამულში გადასახადების აკრეფის და ჯარის შეგროვების უფლებებიც ჯერ კიდევ მემამულესა და მოხელე გრაფს შორის იყო განაწილებული. ამგვარად, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი იმუნიტეტი, ლენი და სხვა ფეოდალური ინსტიტუტები გერმანიაში ნაკლებ იყო განვითარებული. სამემკვიდრეო მამულმა ჯერ კიდევ ვერ პოვა თავისი დასრულებული სახე. ამიტომ იყო, რომ, საფრანგეთისაგან განსხვავებით, გერმანია მთლიანად არ იყო დანაწილებული დამოუკიდებელ ფეოდალურ სენიორიებად და სამეფო ხელისუფლებაც ამ ხანებში აქ შედარებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ფეოდალიზაციის დაგვიანებული პროცესი გერმანიაში, პირველ ყოვლისა, უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ თემური წყობილება (მარკა) ფრანკთა მონარქიის აღმოსავლეთ ნაწილში (გერმანიაში) უფრო დიდხანს იქნა შენარჩუნებული. მართალია, თემში არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანხმოება თემის წევრებს შორის მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ თემი ჯერ კიდევ შემჭიდროებულად გამოდიოდა თავისი წევრების დასაცავად მსხვილ მემამულეთა მომძლავრების წინააღმდეგ. მსხვილი ფეოდალების მიერ გლეხების დამორჩილების ცდებს თემებში გაერთიანებული გლეხები აჯანყებით უპასუხებდნენ ხოლმე.

გლეხთა ასეთი დიდი აჯანყება მოხდა, მაგალითად, საქსონიაში 841 წელს, რომელიც 842 წლამდე გრძელდებოდა და რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა „სტელინგას“ სახელწოდებით. აჯანყების მონაწილენი მოითხოვდნენ ძველი წესებისაკენ დაბრუნებას და თავისუფალი (ფეოდალიზმამდე არსებული) თემების აღდგენას. აჯანყებულებმა შეძლეს მებატონეთა უმრავლესობის განდევნა საქსონიიდან. 843 წლის გაზაფხულზე ლუდვიგ გერმანელმა ეს აჯანყება სასტიკად ჩაახშო. მიუხედავად ამისა, გერმანული მარკა გლეხთა დაყმევებისა და მათი მიწა-წყლის მიტაცების საქმეში ხანგრძლივ წინააღმდეგობას უწევდა ფეოდალებს. გერმანიის X — XI საუკუნეების დროინდელი ისტორია სავსეა ამგვარი ბრძოლის ფაქტებით.

თვით თემის (მარკის) ხანგრძლივი არსებობა გერმანიაში, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ ბარბაროსული ტომების რომის იმპერიის ტერიტორიაზე დასახლებისას ზემოაღნიშნულმა გერმანელმა ტო-

მებმა ამ ტერიტორიის ის ნაწილები დაიკავეს, რომლებიც ყველაზე უფრო ნაკლებად იყო რომანიზებული. ამგვარად, გერმანულმა მარკამ ცივილიზაციის დამრღვევი გავლენა ნაკლებად განიცადა.

გერმანიის ეკონომიკური განვითარების სხვა თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ მისი ცალკეული რაიონები განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდა. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ ფრანკთა მონარქიის ფორმირებისას გერმანელი ტომების დამორჩილება სხვადასხვა დროს ხდებოდა. როგორც ცნობილია, ფრანკების მიერ საქსონიის დამორჩილება მხოლოდ IX საუკუნის დასაწყისში მოხერხდა. ცხადია, რომ საქსონიაში ფეოდალიზაცია დაგვიანებით უნდა მომხდარიყო.

მარკის რღვევა და მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება

მიუხედავად ზემოთქმულისა, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წარმოებდა მარკის რღვევა, რადგან მასში წარმოიშვა კერძო საკუთრება. ჰუფი, გლეხის ნაკვეთი კერძო საკუთრებად გადაიქცა. თავისუფლად შეიძლებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა, გასაჩუქრება, ანდერძით გადაცემა და ა. შ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ზოგი ჰუფი დანაწილდა, ზოგი დამსხვილდა, ზოგიერთი კი გაერთიანდა ერთი პიროვნების ხელში. ამგვარად, მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასა და განვითარებას საფუძველი ჩაეყარა, ხოლო მარკის ეკონომიკური საფუძველი შეირყა.

მსხვილი მიწათმფლობელობა თანდათან უფრო ფართოდ იკვლევდა გზას. თემის ყოფილი წევრების უმრავლესობა თანდათან ღატაკდებოდა სასამართლო ჯარიმების გადახდით, ეკლესიის სასარგებლოდ „მეათედის" გაღებით, ომებში სისტემატური მონაწილეობის მიღებით, მევახშეობის გავრცელებით და სხვ. გლეხობის ეს ნაწილი კარგავდა თავის მიწებს და ღალის გამღებად, ანუ მიწის იჯარით ამღებად იქცეოდა. ამით სარგებლობდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო მემამულენი, რომლებიც თავიანთ მამულებს ზრდიდნენ გლეხების მიწების ხარჯზე.

მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდას გერმანიაში, ისე როგორც სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებში, დიდად უწყობდნენ ხელს მეფეები. ისინი უხვად აძლევდნენ სიგელებს მიწებით დასაჩუქრების შესახებ როგორც საერო მიწათმფლობელებს, ისე სასულიერო წოდების წარმომადგენლებს. გერმანიაში ასეთი სიგელები უფრო მეტად ეპისკოპოსებსა და აბატებს ეძლეოდათ. 911 წლიდან 1002 წლამდე გერმანიის მეფეების მიერ გაცემული სიგელებიდან 310 სიგელი მიწებით დასაჩუქრების შესახებ გაცემული იყო ეპისკოპოსებისა და მონას-

ტრებისათვის. მათვე მიეცათ 287 სიგელი სხვადასხვა პრივილეგიების მინიჭებისა, ხოლო 67 სიგელი მიწებით დასაჩუქრების შესახებ გაცემული იყო საერო ფეოდალებისათვის.

X და XI საუკუნეებში მარკის შინაგანი შესუსტება, ხოლო, მეორე მხრივ, მსხვილი მიწათმფლობელობის გაძლიერება, იწვევდა პირველის მეორისადმი დამორჩილებას. თემების დამორჩილება ფეოდალების მიერ ორი გზით წარიმართებოდა: ბრძოლებისა და „ფოგტობის“ (მფარველობის) საშუალებით; იქ, სადაც ფეოდალი ძალის გამოყენებით ვერ ახერხებდა თემის ღამორჩილებას, უკანასკნელს იგი „მფარველად“ ევლინებოდა. სასამართლო პროცესში და ზოგიერთ სხვა საქმეში ფეოდალი თემის მომხრედ გამოდიოდა და ამ მფარველობისათვის თემს თავის სასარგებლოდ გარკვეულ გადასახადს ახდევინებდა. დროთა მსვლელობაში სამარკო ორგანიზაცია ფორმალურად განაგრძობდა არსებობას, მაგრამ სინამდვილეში იგი საფისკო ორგანოდ გადაიქცა და დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია და ფეოდალიზაციის შემდგომი განვითარება

მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდამ და მარკის რღვევამ გერმანული საზოგადოება ორ ერთიმეორისაგან მკაფიოდ განსხვავებულ ჯგუფად დაანაწილა: ერთი მხრივ, მდიდრები, რომელთაც გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს, მეორე მხრივ — ღარიბები, რომელნიც პირველ ჯგუფს დაექვემდებარნენ. ასეთი სოციალური უთანასწორობა იურიდიულად გაფორმდა ჯერ კიდევ ადრე, ჰაინრიხ „ფრინველთმჭერის“ (919 — 936) მიერ ჩატარებული სამხედრო რეფორმების შედეგად.

ამ რეფორმის მიხედვით, ყველა, ვისაც კი სამხედრო მოვალეობის მოხდა შეეძლო ცხენით, სამხედრო წოდებაში გადადიოდა და გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა, ხოლო ის, ვისაც ცხენის შეძენა არ შეეძლო, გადასახადების გამღებ წოდებაში ირიცხებოდა. ამგვარად, გერმანიაში ძირითადად ორი წოდება წარმოიშვა: სამხედრო წოდება და გადასახადების გამღები წოდება. პირველ წოდებაში, გარდა მსხვილი და წვრილი ფეოდალებისა, მოხვდნენ, აგრეთვე, შეძლებული გლეხებიც, რომელთაც ცხენები ჰყავდათ. ისინი სამხედრო სამსახურისათვის მეფისაგან ან მსხვილი ფეოდალისაგან ღებულობდნენ ფეოდს და არაფრით აღარ განსხვავდებოდნენ წვრილი რაინდებისაგან. ამ გარემოებამ გერმანია სხვა ფეოდალურ სახელმწიფოთაგან მნიშვნელოვნად განასხვავა; არც ერთ ფეოდალურ

სახელმწიფოში იმდენი წვრილი რაინდი არ მოიპოვებოდა, რამდენიც გერმანიაში.

ჰაინრიხ ფრინველთმჭერის დროს მიღებული ეს წესი შემდეგაც ძალაში რჩებოდა. რამდენადაც გერმანელი ფეოდალები ავითარებდნენ ექსპანსიურ პოლიტიკას აღმოსავლეთ ევროპაში სლავთა ტომებისა და უნგრელების წინააღმდეგ, რამდენადაც ხშირდებოდა მათი ლაშქრობანი სამხრეთით, იტალიაში, მით უფრო იზრდებოდა გერმანელი წვრილი რაინდების რიცხვი. რაინდობაში ახლა გადადიოდნენ მინისტერიალები — შინაყმები და სხვები, რომელნიც თავიანთ ბატონებს ომში მიჰყვებოდნენ დამხმარეებად. წარმოშობის თვალსაზრისით XI საუკუნის გერმანიაში ჯერ კიდევ ასხვაევებდნენ „კეთილშობილ“ რაინდს „არაკეთილშობილისაგან“ (Edelritter და Knechtritter) და მხოლოდ XIII საუკუნეში მოხდა მათი სრული გათანაბრება.

ისევე, როგორც სამხედრო წოდება, გადასახადების გადამხდელთა წოდებაც სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა. ამ წოდებაში, პირველ ყოვლისა, თავისუფალი გლეხები შედიოდნენ, რომელთა ნაწილს ჯერ კიდევ მოეპოვებოდა საკუთარი მიწები, ხოლო ნაწილმა დაკარგა თავისი საკუთრება და, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოიჯარადრედ (ღალის გამღებად) იქცა. გლეხობის ეს ორივე ნაწილი თავდაპირველად ფეოდალის სასამართლოს არ ემორჩილებოდა, ხოლო XI საუკუნეში გლეხობის უდიდესი ნაწილი იხდიდა ფეოდალის სასარგებლოდ არა მარტო ღალას, არამედ ფეოდალურ ბეგარასაც, ემორჩილებოდა ფეოდალის სასამართლოს და მიმაგრებული იყო მიწაზე.

ყმა გლეხის გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც წესი, შეუძლებელი იყო, მისი მიწიდან მოცილება დაუშვებლად ითვლებოდა. მიწის გაყიდვა ან, საერთოდ, გასხვისება მასზე მიმაგრებულ ყმებთან ერთად უნდა მომხდარიყო. ფრანკონული დინასტიის პირველი წარმომადგენელი — კონრად მეორე (1024 — 1039) აღშფოთებული იყო იმით, რომ ვერდენის საეპისკოპოსოში ყმები უმიწოდ გაყიდეს.

რამდენადაც ძლიერდებოდა და დასრულებულ სახეს იღებდა ფეოდალიზაცია, იმდენადვე ძლიერდებოდა უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია ფეოდალთა კლასის მიერ, რაც, თავის მხრივ, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა გლეხობაში და კლასობრივ ბრძოლებს ამწვავებდა. ერთ-ერთი ყამთაღმწერელი მოგვითხრობს, რომ ბამბერგის ეპისკოპოსმა ეკონომიკურად გაანადგურა მონასტრისადმი დაქვემდებარებული ყმა გლეხობა. მეორე ყამთაღმწერელი ბრემენის ეპისკოპოსის ადელბერტის შესახებ აღნიშნავდა: „მან იმდენად შეავიწროვა გლეხობა, რომ სიგიჟემდე მიიყვანა“. ცნობილ მკვლევარს ვა-

იცს თავის შრომებში მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვს განხილული მეფეთა სიგელები, რომლებშიც ისინი იძულებულნი არიან გააფრთხილონ მემამულეები იმის შესახებ, რომ ყმების ბეგარითა და ღალით უზომოდ გადატვირთვა კარგს არაფერს მოუტანდა მათ.

განაწამები გლეხობა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი გარბოდა დასახლებული ადგილებიდან მიუვალ ტყეებში, ქალაქებში და სხვ. ზოგან გლეხები პირდაპირ აცხადებდნენ უარს გადასახადების გაღებაზე. გეორგ ვაიცის მიერ მოყვანილი ცნობების თანახმად, ტრირის მაქსიმინეს სახელობის მონასტრის აბატი 1050 წლის სიგელში წერდა, რომ ვასერბილიხის მცხოვრებნი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მათთვის საბატონო ბეგარისა და ღალის მოთხოვნას; მაუერმიუნსტერში აბატმა გლეხობის ზოგიერთი ვალდებულება გააუქმა, რადგან გლეხები მათ მაინც ცუდად ასრულებდნენ. გარდა პირდაპირი აჯანყებისა, გლეხობა ინდივიდუალურ ტერორსაც მიმართავდა. 1103 წელს მარკგრაფი ჰაინრიხი მოკლეს აჯანყებულმა ფრანგმა გლეხებმა; 1102 წელს თავისი ყმა გლეხების მიერ მოკლულ იქნა გრაფი ლუდვიგ მემპელგარდელი.

გლეხთა შეთქმულებებსა და აჯანყებებს გაბატონებული ფეოდალური კლასი ცეცხლითა და მახვილით ახშობდა. იგი ცდილობდა გლეხობა საბოლოო მორჩილებაში მოეყვანა, მაგრამ უშუალო მწარმოებელთა წინააღმდეგობის დათრგუნვა ყოველთვის ადვილ საქმეს არ წარმოადგენდა. გლეხთა საბოლოო დამორჩილება უფრო ძნელი ხდებოდა წვრილი ფეოდალებისათვის. ამ უკანასკნელთ ყმების დამორჩილების საქმეში დამხმარე ძალა სჭირდებოდათ ძლიერი სამეფო ხელისუფლების სახით. ამასთან, წვრილი ფეოდალები შურის თვალით უყურებდნენ მსხვილი ფეოდალების უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობას და რადგან მსხვილი ფეოდალები მიილტვოდნენ სამეფო ხელისუფლების შესუსტებისაკენ, პირველნი მზად იყვნენ სამეფო ხელისუფლების დასაყრდენ სოციალურ ბაზად გადაქცეულიყვნენ.

საქსონური დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელნი გერმანიაში

ოტო პირველის შვილი — ოტო მეორე და შვილიშვილი — ოტო მესამე განაგრძობდნენ ოტო პირველის მიერ წამოწყებულ „იტალიურ“ პოლიტიკას. ოტო პირველის გარდაცვალების შემდეგ (973 წ.) გამეფდა მისი შვილი ოტო მეორე. გამეფებისთანავე იგი მოემზადა სამხრეთ იტალიის დასაპყრობად. მან შეძლო კიდეც ნეაპოლის, სალერნოსა და ტარენტის დაკავება, მაგრამ კალაბრიაში ბრძოლების

წარმოების დროს ბიზანტიელებმა და არაბებმა იგი სასტიკად დაამარცხეს 982 წელს. 983 წელს, როდესაც ოტო მეორე კვლავ ემზადებოდა სამხრეთ იტალიაში გასალაშქრებლად, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა რომში.

ოტო მეორის მმართველობის დროს გერმანიაში უფრო მეტად გაძლიერდნენ მსხვილი სასულიერო და საერო ფეოდალები, რომლებმაც გერმანიაში მეფის არყოფნით ისარგებლეს და სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომა დაიწყეს. გერმანიის შინაგანი ვითარება დაიძაბა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ პოლაბელ სლავთა ტომები განთავისუფლებულიყვნენ გერმანელთა ბატონობისაგან. 983 წელს მოხდა მათი მძლავრი აჯანყება, რის შედეგადაც ის სლავები, რომელნიც მდინარე ლაბის (ელბის) შუაწელში მოსახლეობდნენ, განთავისუფლდნენ გერმანელი დამპყრობლებისაგან. ამავე წელს გერმანელთა ბატონობა დანიაში დაამხეს დანიელებმა და უკუაგდეს ქრისტიანული სარწმუნოება.

ოტო მესამის მეფობა (983 — 1002) უფრო რთულ ვითარებაში წარიმართა. იგი სამი წლის ბავშვი იყო, როცა მეფედ აკურთხეს. მისი მეფობის პირველ ხანაში გერმანიის სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა. სამაგიეროდ, უფრო მეტად გაიზარდა მსხვილი ფეოდალების დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, მდგომარეობა კვლავ გართულდა იმის გამო, რომ პოლაბელმა სლავებმა, რომელნიც 983 წელს აჯანყდნენ, გერმანელი ფეოდალები გარეკეს მდინარე ლაბის მიღმა, რითაც შეჩერებულ იქნა გერმანელების სვლა აღმოსავლეთით. გერმანელების „დრანგ ნახ ოსტენ“ გადადებულ იქნა სულ ცოტა, საუკუნენახევრით მაინც.

სრულწლოვანების შემდეგ, როცა გერმანიის შინაგანი მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა, ოტო მესამემ დაიწყო ოცნება ისეთი იმპერიის შექმნაზე, რომელიც მოიცავდა ქრისტიანულ დასავლეთს მთლიანად. მან რამდენჯერმე (996, 998, 1001 წწ.) მოაწყო ლაშქრობა იტალიაში, მაგრამ ყველა ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

ოტო III უშვილო მიიცვალა. ტახტზე დასვეს ჰაინრიხ I „ფრინველთმჭერის“ შვილის, ბავარიის ჰერცოგ ჰაინრიხის შვილიშვილი, საქსონური დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ჰაინრიხ მეორე (1002 — 1024). იგი გაცილებით უფრო ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებდა, ვიდრე მისი წინამორბედნი. ჰაინრიხ მეორე კმაყოფილდებოდა იტალიის ფეოდალებისა და ზოგიერთი ქალაქის ვასალური დამოკიდებულებით და უფრო მეტად გერმანიაში იმყოფებოდა, რადგან სურდა მსხვილი გერმანელი ფეოდალების მორჩილებაში მოყვანა. განდგომილ ფეოდალებთან ბრძოლაში იგი საეპისკოპოსო სისტე-

მას ემყარებოდა, რის გამოც სასულიერო წოდებასა და ეკლესიას უხვად ასაჩუქრებდა და პრივილეგიებს ანიჭებდა.

აღმოსავლეთით ჰაინრიხ მეორემ ბრძოლები აწარმოვა პოლონეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლესლავ პირველის დროს გაძლიერებულმა პოლონეთის სამეფომ იგი სასტიკად დაამარცხა. ომი დამთავრდა 1018 წელს (დაიწყო 1003 წელს) ბუდიშინის (ბაუცენი) ზავით, რომლითაც ამიერიდან საზღვარი პოლონეთსა და „რომის საღმრთო იმპერიას" შორის მდინარე შპრეეს დასავლეთით გადადიოდა. ქალაქი ბუდიშინი პოლონეთის ტერიტორიაში შევიდა. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე ჰაინრიხ მეორე ბრძოლას წამოიწყებდა პოლონეთის წინააღმდეგ, იმის შიშით, რომ ვილცებსა და ობოდრიტებს მისთვის ზურგიდან არ დაერტყათ, მათ დამოუკიდებლობა მიანიჭა და დაკმაყოფილდა მათგან უმნიშვნელო ხარკის მიღებით. ჰაინრიხ მეორის გარდაცვალებით დამთავრდა საქსონური დინასტიის ბატონობა გერმანიაში.

§ 8. წინააღმდეგობათა გამწვავება იმპერატორებსა და პაპებს შორის

გერმანიის პოლიტიკური ვითარება კონრად მეორისა და ჰაინრიხ მესამის მმართველობის ხანაში

1024 — 1125 წლებში გერმანიას მართავდა ფრანკონული დინასტია. მისი პირველი წარმომადგენელი იყო კონრად მეორე (1024 — 1039). როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქსონური დინასტია თავის საქმიანობაში, პირველ ყოვლისა, სასულიერო ფეოდალებსა და ეკლესიას ემყარებოდა. სასულიერო ფეოდალები ოტო პირველისაგან უხვად ღებულობდნენ მიწებს და სარგებლობდნენ სხვადასხვა პრივილეგიებით, კონრად მეორის გამეფებისას ისინი იმდენად გაძლიერდნენ, რომ საშიში გახდნენ სამეფო ხელისუფლებისათვის. ახლა მათზე სამეფო ხელისუფლების დაყრდნობა საეჭვო საქმედ გადაიქცა. გერმანიაში მსხვილი სასულიერო ფეოდალები განდგომას იწყებდნენ, ხოლო იტალიის მსხვილი ფეოდალები, როგორც მოეპრიანებოდათ, ისე ექცეოდნენ იმპერატორის მიერ დანიშნულ პაპებს.

კონრად მეორემ გადაწყვიტა თავის დასაყრდენ ბაზად ახლა წვრილი რაინდობა გადაექცია. მან მოითხოვა სამხედრო სამსახური იმ რაინდებისაგანაც, რომელნიც მის უშუალო ვასალებს არ წარმოადგენდნენ. წვრილი რაინდობის გულის მოსაგებად და თავის მხარეზე მათ გადასაბირებლად მან შემოიღო გერმანიაში წვრილი ფეოდალების — რაინდების ლენების მემკვიდრეობით გადაცემის უფლება; ამით შესაძლებელი გახდა მსხვილი განდგომილი ფეოდალების დათრგუნვა გერმანიაში. ჰერცოგობის მემკვიდრეობითობა მოისპო და

ში ნაცვლად მეფის მიერ ჰერცოგების დანიშვნა შემოიღეს. ამ ღონისძიებათა გატარებით კონრად მეორემ საკმარისად გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. გერმანიაში მყარი სიტუაციის დამყარებამ კონრად მეორეს შესაძლებლობა მისცა აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა.

კონრად მეორემ მთელი რიგი ომები აწარმოვა: 1030 წელს პოლონეთსა და უნგრეთზე ილაშქრა, 1032 წლიდან 1035 წლამდე იბრძოდა ლუტიჩების წინააღმდეგ; მისი პირველი ლაშქრობა იტალიაში დაიწყო 1026 წელს და დამთავრდა 1027 წელს. მეორე ლაშქრობა გრძელდებოდა 1036 წლიდან 1038 წლამდე. იტალიაში მეორე ლაშქრობისას, 1037 წლის მაისში, თავის სამხედრო ბანაკში მილანოსთან გამოაქვეყნა იტალიისათვის ე. წ. „ედიქტი ბენეფიციების შესახებ", რომლის ძალით წვრილი რაინდების (ვალვასორების) ლენები სამემკვიდრეოდ იყო გამოცხადებული. ამ კანონით კონრად მეორემ თავის გარშემო მართლაც დარაზმა იტალიის წვრილი რაინდობა მსხვილი ფეოდალების (კაპიტანების) წინააღმდეგ. კონრადის მეფობის დროსვე 1032 წელს მოხდა ბურგუნდიის სამეფოს შემოერთება. ამგვარად, გერმანია ტერიტორიულად გაფართოვდა, მასში იმპერატორების ხელისუფლება განმტკიცდა და მისი საერთაშორისო ავტორიტეტი გაიზარდა.

კონრად მეორის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ჰაინრიხ მესამე „შავი" (1039 — 1056). იგი თავის წინამორბედთა პოლიტიკას განაგრძობდა რომის პაპებზე გავლენის მოსაპოვებლად. მის დროს რომის ფეოდალები კვლავ ცდილობდნენ პაპის ტახტზე თავიანთი წარმომადგენლები ჰყოლოდათ. ერთ ხანს მათ პაპის სამი კანდიდატურა წამოაყენეს. ერთი მათგანი მხოლოდ ათი წლისა იყო, პაპი რომ გახდა. საერთოდ, ამ დროს პაპების ავტორიტეტი მოსახლეობაში ძალიან დაეცა. ჰაინრიხ მესამე ცდილობდა გაეძლიერებინა პაპები და ისინი თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა. მან ამ მიზნით 1046 — 1047 წლებში იტალიაში ლაშქრობა მოაწყო, სამივე პაპი გადააყენა და პაპად გერმანელი ეპისკოპოსი დანიშნა. ამის შემდეგ პაპებად იგი გერმანელებს ნიშნავდა.

გავლენიანი და ძლიერი პაპების დამორჩილების სურვილმა ჰაინრიხ მესამე იმდენად გაიტაცა, რომ მან დროზე ვერ შენიშნა ის საშიშროება, რომელიც გაძლიერებული პაპებისაგან ემუქრებოდა იმპერატორის ხელისუფლებას. მის მიერ პაპად დანიშნული ლეო IX კლუნიური მოძრაობის ფანატიკური მომხრე იყო, ხოლო კლუნიური მოძრაობის უკიდურესი მიმდინარეობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სასულიერო (პაპების) ძალაუფლებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე საერო ხელისუფლებას.

ამ მოძრაობის სახელწოდება ბენედიქტინური მონასტრის — კლუნის სახელიდანაა წარმომდგარი. კლუნის მონასტერი 910 წელს დააარსა აკვიტანიის ჰერცოგმა საფრანგეთის ბურგუნდიაში (ბურგონი), სადაც მალე დაიწყო აღნიშნული მოძრაობა. ეს მონასტერი მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელად გადაიქცა. მისმა ეკონომიკურმა სიძლიერემ კლუნის მონასტრის გავლენა სხვა მონასტრებზეც გაავრცელა. მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში მისი ძეთაურობით დაარსდა მონასტრების კონგრეგაცია (გაერთიანება), ანუ კლუნიური ორდენი, რომელმაც ასობით მონასტერი გააერთიანა საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში და ინგლისშიც კი, და იქ ახალი წესები შემოიღო.

ადრინდელი ფეოდალური ეპოქის მიწურულში მონასტრებმა დიდი რაოდენობის საუკეთესო მიწები ჩაიგდეს ხელში. მონასტრების მამულები საერო ფეოდალების მამულებთან შედარებით უფრო ორგანიზებული აღმოჩნდა. ბერების მიერ უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია ამ მამულებში უფრო მკაცრი ხასიათის მატარებელი იყო, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს გლეხთა ხშირი აჯანყებანი სხვადასხვა საეპისკოპოსოში. მონასტრების დიდი დოვლათის დაგროვებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ბერები, როგორც შავი სამღვდელოების წარმომადგენელნი, საკუთარ ოჯახებს არ ქმნიდნენ და მონასტრის ქონებაც ისე არ ნიავდებოდა. მონასტერში ჭარბად მზადდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო, მეორე მხრივ, მონასტრების მოთხოვნილება ისეთ საგნებზე, რომელთა დამზადება საკუთარ მეურნეობაში ვერ ხერხდებოდა, მონასტრებს ადრევე აკავშირებდა ბაზრებთან და მარტივ სასაქონლო მეურნეობაში აბამდა.

ვაჭრობითა და აღებ-მიცემით დაინტერესებული მონასტრები ცდილობდნენ ვაჭრობისათვის ხელის შეწყობას, სავაჭრო გზების დაცვას ფეოდალი მტაცებლების თავდასხმებისაგან და სავაჭრო კავშირის განმტკიცებას სხვადასხვა ქვეყნებთან. გარდა ამისა, ფეოდალური ანარქიის პირობებში ფეოდალი მტაცებლები უფრო მონასტრებს ეხმოდნენ თავს, რის გამოც კლუნიური მოძრაობის მონაწილენი აქტიურობას იჩენდნენ ფეოდალური შინაშლილობის შენელების საქმეში „საღმრთო ზავისა“ და „საღმრთო დროებითი დაზავების“ შემოღებით. კლუნიური მოძრაობის ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იყო დაქუცმაცებულ ფეოდალურ ევროპაში შექნილიყო ისეთი მძლავრი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც ადვილად შეძლებდა წინააღმდეგობათა გადალახვას.

მაშინდელი კათოლიკური ეკლესია, ერთი შეხედვით, თითქოს მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენდა ფეოდალურ სამყაროში. ევროპის თითქმის ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში საუკეთესო მიწებისა და მამულების მფლობელად ეკლესია გამოდიოდა. ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის გარდა ქრისტიანობა გავრცელებული იყო ჩრდილოეთითაც — სკანდინავიის ქვეყნებში, სამხრეთით — ჩრდილოეთ აფრიკაში, დასავლეთით — ესპანეთში, აღმოსავლეთით — ბიზანტიაში, მცირე აზიაში, სირიასა და პალესტინაში, საქართველოსა და სომხეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთით — კიევის რუსეთში. ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე ყველგან ერთნაირად თუ არ იგრძნობოდა რომის პაპის ძალაუფლება, ყოველ შემთხვევაში, მის გარკვეულ გავლენას მაინც ჰქონდა ადგილი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, კათოლიკურ ეკლესიას მაშინ არც თუ ისე მყარი საფუძვლები გააჩნდა. ჯერ ერთი, ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერებასთან ერთად ეპისკოპოსები და აბატები უხვეჭდნენ თავიანთ სამფლობელოებს დამოუკიდებლობას და თვით პაპებსაც კი აღარ ემორჩილებოდნენ, რის გამოც ეკლესიის იერარქიული სტრუქტურა სუსტებოდა. ამასთან ერთად, გერმანიაში ოტოების მიერ საეპისკოპოსო სისტემის შემოღების წყალობით მოხდა ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ისეთი შერწყმა, რომელმაც პირველი მეორეს დაუმორჩილა. მაღალი სასულიერო წოდების თანამდებობაზე დანიშვნის უფლება პაპს ხელიდან გამოეცალა და მეფეს დაექვემდებარა. ყველა ზემოხსენებულმა გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ეკლესიის შიგნით დისციპლინის შესუსტებას.

თვით რომის პაპები XI საუკუნეში დაკნინდნენ და გადაგვარების გზას დაადგნენ. მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპის დახმარებით ნორმანდიის ჰერცოგმა გიიომმა (უილიამ დამპყრობელი) ინგლისის დაპყრობა მოახერხა, შემდეგ იგი პაპს აღარავითარ ანგარიშს არ უწევდა და ცდილობდა ინგლისის ეკლესია პაპისაგან მთლიანად მოეწყვიტა. გერმანიის იმპერატორები რომის პაპებს თვითონ ხსნიდნენ და ნიშნავდნენ და, ამასთან, ხშირად პაპის ისეთ კანდიდატებს აყენებდნენ, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ ეკლესიასთან არც ცოდნა-მომზადებისა და ასაკის მხრივ, არც მორალური თვალსაზრისით.

სასულიერო წოდების უვიცობამ, უხეშობამ და გაჯუჯნილმა ყოფაცხოვრებამ მოსახლეობაში ეკლესიის ავტორიტეტი საშინლად დასცა. ამას არანაკლებ უწყობდა ხელს იმ ხანებში ეკლესიის პრაქტიკაში შემოღებული „ინვესტიტურა". ძველად არსებული საეკლესიო წესების მიხედვით, ეპისკოპოსები თავისუფლად უნდა აერჩია დიოცეზის სასულიერო წოდებასა და მრევლს. XI საუკუნეში გერმანიასა

და იტალიაში ეპისკოპოსთა ასეთი არჩევა ფაქტიურად აღარ ხდებოდა. ვინმე რომ ეპისკოპოსი გამხდარიყო, გარკვეული თანხა უნდა მიეცა მეფისათვის და მის წინაშე ერთგულების ფიცი დაედო. ამგვარად, ეპისკოპოსის, აბატისა და სხვათა თანამდებობა მეფის ხელში ვაჭრობის ობიექტად უნდა გადაქცეულიყო. საეკლესიო თანამდებობების გაყიდვას კლუნიური მოძრაობის მონაწილენი „სიმონიას“ უწოდებდნენ („საქმე მოციქულთა“-ში, შემონახული თქმულების მიხედვით, სიმონ მოგვმა სთხოვა ქრისტეს მოციქულებს მიეყიდათ მისთვის ხელთ დასმით სული წმიდის გადაცემის უნარი).

საერო ხელისუფლების მიერ ინვესტიტურის გაცემა ნიშნავდა იმას, რომ ეპისკოპოსები და აბატები დამოკიდებულნი იყვნენ არა მთლიანად სასულიერო ხელისუფლებაზე, არამედ მეფეებზე და საერო ხელისუფლების მქონე პირებზე. ივიწყებდნენ რა თავიანთ ღირსებებსა და ხარისხს, ეპისკოპოსები და აბატები სასულიერო წოდებიდან საერო მოხელეებად იქცეოდნენ, ისინი ტოვებდნენ თავიანთ სამწყსოს და უახლოვდებოდნენ სამეფო კარს, ეწეოდნენ საერო ყოფა-ცხოვრებას. ინვესტიტურის მიღების შემდეგ ისინი უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი საერო საქმეებში წარმატების მოპოვებით, დიდი შემოსავლითა და ჯილდოებით, ვიდრე საეკლესიო საქმეებით.

კლუნიური მოძრაობის მონაწილენი მოითხოვდნენ აგრეთვე „ცელიბატის“ დაცვას არა მარტო შავ სამღვდელოებაში, არამედ მთელ სასულიერო წოდებაში. სამღვდელოებაში უცოლობის წესი დამკვიდრდა ჯერ კიდევ IV საუკუნეში (ელვირის საეკლესიო კრება ესპანეთში, გრანადის მახლობლად მოწვეული, საფიქრებელია, 309 და 312 წლებს შორის) გრიგოლ VII-ის პონტიფიკატამდე (რომის პაპის ხელისუფლება). ცოლოსნობის აკრძალვას სასულიერო წოდებაში ხშირად ჰქონდა ადგილი, თუმცა პრაქტიკაში მისი განხორციელება დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა. ცელიბატის დაცვა საჭირო იყო იმიტომ, რომ სასულიერო წოდების ცოლშვილიანი წარმომადგენელნი ყოველთვის ცდილობდნენ საეკლესიო ქონების მითვისებას (იქნებოდა ეს მოძრავი თუ უძრავი) და შემდეგ მის მემკვიდრეობით გადაცემას თავისიანებზე. ცოლშვილიანი ღვთის მსახური ივიწყებდა ასკეტიზმს და ფუფუნებას მისდევდა, რაც, აგრეთვე, აქვეითებდა ეკლესიის ავტორიტეტს ფართო მოსახლეობაში.

მილანისა და ჩრდილო იტალიის ზოგიერთ სხვა ქალაქში, კლუნიური მოძრაობის ზეგავლენით, მეთერთმეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო მასების გამოსვლები მსხვილი ფეოდალების — კაპიტანებისა და ლომბარდიის მდიდარი სასულიერო წოდების წინააღმდეგ. გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ არიალდი და ლანდულფი,

რომელნიც მოითხოვდნენ სიმონიის აღკვეთას და სასულიერო პირთა ცოლიანობის აკრძალვას.

ეს მოძრაობა, რომელიც ცნობილი გახდა „პატარია“-ს სახელწოდებით (სახელწოდება აღებულია მილანოს იმ კვარტლის სახელწოდებიდან, სადაც ღარიბი მეძველმანენი ცხოვრობდნენ), თავდაპირველად ალტისა და პავიაში დაიწყო, საიდანაც განდევნეს რომის საღმრთო იმპერატორის მიერ დანიშნული ეპისკოპოსები; აქედან მოძრაობა სხვა მხარეებშიც გავრცელდა, ხოლო მოძრაობის ცენტრად მილანო გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ პატარიის წინააღმდეგ გერმანიის ხელისუფალნი მოქმედებდნენ, მოძრაობამ გაიმარჯვა პაპის, გრიგოლ VII-ის მხარდაჭერით.

კლუნიურმა მოძრაობამ, რომელიც მიზნად ისახავდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის აღდგენასა და რომის პაპების ხელისუფლების გაძლიერებას, ჩაატარა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კათოლიკური ეკლესიის გარდაქმნის საქმეში. ეს ღონისძიებანი ითვალისწინებდნენ შემდეგს: მონასტერთა ცენტრალიზებული კონგრეგაციის შექმნას, მასში მკაცრი წესდების შემოღებას, რომელიც დამყარებული უნდა ყოფილიყო მორჩილებასა და ასკეტიზმზე, სასულიერო წოდებაში ცელიბატის (უცოლობის) დაცვაზე. ამასთან, იკრძალებოდა საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობა (სიმონია). გარდა ამისა, პაპების არჩევა უნდა მომხდარიყო კარდინალების კოლეგიის მიერ. ამ წესის შემოღებით იმპერატორების ჩარევა პაპების არჩევაში შეუძლებელი ხდებოდა.

ჯერ კიდევ 1059 წელს ლატერანის საეკლესიო კრებაზე რომში, პაპმა ნიკოლოზ მეორემ პაპების არჩევის ახალი წესის დეკრეტი გამოაცხადა. ამ დოკუმენტის მიხედვით, პაპი უნდა აერჩია კარდინალების კოლეგიას. მეხუთე მუხლში ნათქვამია: „მათ პაპი უნდა აირჩიონ ამავე ეკლესიის შემადგენლობიდან, თუ აღმოჩნდება მასში ღირსეული პიროვნება, და თუ ასეთი მასში არ აღმოჩნდება, მაშინ — სხვა ეკლესიიდან“. ხოლო მეცხრე მუხლში ნათქვამი იყო, რომ თუ ვინმე, უკანონო გზითა და მუხანათობით „არჩეულ იქნება მოციქულებრივ ტახტზე“, იგი „ყველას მიერ უნდა ჩაითვალოს არა პაპად, არამედ სატანად“ და ღირსია ეკლესიიდან განკვეთისა.

კლუნიელთა უკიდურესად განწყობილი ფრთა არ კმაყოფილდებოდა საერო ხელისუფალთათვის — მეფეებისა და იმპერატორებისათვის პაპების დანიშვნის უფლების ჩამორთმევით. იგი უფრო შორს წავიდა; ემყარებოდა რა დევიზს, რომ ღმერთია ყველაფრის განმგებელი როგორც ცაზე, ისე დედამიწაზე, და რომ ღვთის მოადგილე ამ ქვეყნად პაპია, ეს მიმდინარეობა გულისხმობდა რომ პაპი ისევე მაღლა დგას საერო ხელისუფლებაზე (მეფეზე, იმპერატორზე), როგორც

„სული სხეულზე“. მაშასადამე, პაპები კი არ უნდა ემორჩილებოდნენ მეფეებს, არამედ, პირიქით, მეფე პაპის ვასალი უნდა იყოს, ხოლო პაპი — მეფის სენიორი.

პაპი გრიგოლ VII (ჰილდებრანდი)

კლუნიური მოძრაობის რადიკალური მიმდინარეობის გამოჩენილი მოღვაწე იყო კლუნიელი ბერი ჰილდებრანდი (ცხოვრობდა 1020 — 1085 წწ.). ჰილდებრანდი წარმოშობით იტალიელი იყო (ტოსკანიდან). მან ასკეტიზმის მკაცრი სკოლა განვლო და კლუნიური მოძრაობის ყველაზე რადიკალური იდეები გაიზიარა. შემდეგ დაწინაურდა და 25 წლის განმავლობაში წამყვანი ადგილი ეჭირა პაპის კურიაში. მოღვაწეობა მან აქ პაპ ლეო IX-ის დროს დაიწყო და დიდ გავლენას ახდენდა შემდგომი ორი პაპის მმართველობაზე. ბოლოს თვითონ გახდა პაპი (1073 — 1085) გრიგოლ VII სახელწოდებით.

ჰილდებრანდი თავიდანვე დიდ ნებისყოფას, მოქნილ დიპლომატიასა და დიდ ფანატიზმს ამჟღავნებდა. ამავე დროს, იგი მკაცრი ადამიანი იყო და არ უყვარდა დათმობებზე წასვლა. იგი ამპარტავნულად ყველაზე მაღლა პაპის ხელისუფლებას აყენებდა და თვლიდა, რომ პაპებს შეუძლიათ ყველა მეფის გადაყენება, იმ დროს როცა პაპის გასამართლება არ უნდა მომხდარიყო ამქვეყნიური ძალების მიერ. პაპის „დიქტატის“ მე-9 მუხლში სიტყვასიტყვით იყო ნათქვამი: „ყველა მბრძანებელი ფეხებზე ეამბორება მხოლოდ პაპს“. ამავე „დიქტატის“ მე-12 მუხლში ვკითხულობთ: „პაპს შეუძლია იმპერატორების გადაყენება“. მაშასადამე, ყველა მეფე პაპის ხელმძღვანელობის მორჩილი უნდა ყოფილიყო.

თავისი მიზნების განსახორციელებლად ჰილდებრანდმა მოხერხებული მომენტი შეარჩია. ჰაინრიხ მეოთხე (1056 — 1106) ექვსი წლისა იყო, რომ გამეფდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰაინრიხის გამეფების სამი წლის თავზე (1059 წ.) პაპმა ნიკოლოზ მეორემ ჰილდებრანდის უშუალო კარნახით პაპების არჩევის ახალი წესი გამოაცხადა, რომლის მიხედვითაც იმპერატორებმა დაკარგეს თავიანთი უფლებები პაპების დანიშვნის საქმეში. უფრო ადრე, თავისი პოზიციები რომ განემტკიცებინა და მოესპო მძლავრი მოწინააღმდეგე — მილანოს არქიეპისკოპოსი, ჰილდებრანდმა დემაგოგიურად მხარი დაუჭირა პატარიის მოძრაობას. იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ მან თავის მხარეზე გადაიბირა სამხრეთ იტალიის ნორმანების ხელმძღვანელი რობერ „გისკარი“ („ცბიერი“), რომელსაც, ჰილდებრანდის ჩაგონებით ჯერ კიდევ პაპმა ნიკოლოზ II-ემ აპულიისა და კლაბრიის ჰერცოგის ტიტული უბოძა.

. კათოლიკური ეკლესიისა და პაპის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, გრიგოლ VII-მ მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებაც მოასწრო. მან საბოლოოდ დაადგინა ცელიბატის შემოღება არა მარტო შავი, არამედ თეთრი სამღვდელოებისათვისაც, ე. ი. ყველა მღვდლისათვის, ეპისკოპოსების ჩათვლით. ვიდრე ჰაინრიხ IV მცირეწლოვანი იყო, სამეფო ხელისუფლებამ ამ ორ ღონისძიებას ვერ შეუშალა ხელი, მაგრამ როცა გრიგოლ მეშვიდემ მოისურვა და კიდევაც გამოიტანა დადგენილება (1075 წ.) ინვესტიტურის გაუქმების შესახებ (ჰაინრიხი ამ დროს უკვე 25 წლისა იყო), ამ საკითხის ირგვლივ გაშმაგებული ბრძოლა დაიწყო პაპსა და გერმანიის სამეფო ხელისუფლებას შორის.

საქსონიის აჯანყება

მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიტურის გაუქმების შესახებ გამოტანილი დადგენილების დროს ჰაინრიხ IV სრულასაკოვანი იყო და შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა ამ დადგენილებისათვის, გრიგოლ VII-ს მიერ დადგენილების გამოტანისათვის შერჩეული წელი (1075) მაინც ხელსაყრელი აღმოჩნდა, რადგან ამ ხანებში ჰაინრიხის წინააღმდეგ წარმოებდა საქსონიის მძლავრი აჯანყება (1073 — 1075), რომელიც გამოწვეული იყო ჰაინრიხის საშინაო პოლიტიკით.

ჰაინრიხ IV-მ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება 1065 წლიდან დაიწყო. იგი თავიდანვე შეუდგა თავისი მამის, ჰაინრიხ მესამის პოლიტიკის გაგრძელებას მსხვილი ფეოდალების თვითნებობის აღკვეთის საქმეში და კონრად II-ის მსგავსად დასაყრდენად ნაცადი წვრილი რაინდობა გამოიყენა. ჰაინრიხ მეოთხე თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულ ადამიანად ითვლებოდა. ამასთან, ნიჭიერი მხედართმთავარი და დიპლომატიც იყო, მოხერხებულად შეეძლო თავის მოკატუნება და ფარული მზადება მოწინააღმდეგესთან გადამწყვეტი შებმისათვის. თავისი ეს უნარი მან სავსებით გამოამჟღავნა საქსონიის დამორჩილებისათვის ბრძოლაში.

საქსონიის მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალები დამოუკიდებლად თვლიდნენ თავიანთ თავს და მტრულადაც კი იყვნენ განწყობილი სამეფო ხელისუფლების მიმართ. ჰაინრიხმა საქსონიაში მსხვილ ფეოდალებს ძალით ჩამოართვა მიტაცებული სამეფო მიწები და, მათი დათრგუნვის მიზნით, დასავლეთ საქსონიაში დაიწყო საიმპერატორო ციხე-კოშკების აგება. საიმპერატორო მამულების რაოდენობა საქსონიაში თანდათან ისე გაიზარდა, რომ XI საუკუნის

დამლევისათვის იმპერატორს საქსონიაში არანაკლები რაოდენობით ჰქონდა მამულები, ვიდრე საკუთარ დომენში, ფრანკონიაში. გარდა ამისა, ჰაინრიხის განკარგულებაში აღმოჩნდა საქსონიის ტყეები. მეფის მამულებში მომუშავე მოხელეები ავიწროებდნენ საქსონელ გლეხებს და არ აძლევდნენ მათ შესაძლებლობას ჩვეულებისამებრ ესარგებლათ სათემო ტყეებითა და საძოვრებით. ამასთან, საქსონიის გლეხობის თავისუფალ ნაწილს დამატებითი გადასახადები შეაწერეს.

ამგვარად, ჰაინრიხ IV-ის სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით საქსონიაში უკმაყოფილონი შეიქნენ არა მარტო მსხვილი ფეოდალები, არამედ გლეხობაც. ამან 1073 წელს გამოიწვია მძლავრი აჯანყება, რომელშიც ერთ ხანს მონაწილეობდა საქსონიის თითქმის მთელი საზოგადოებრიობა. აჯანყებულები წვავდნენ და ანადგურებდნენ საიმპერატორო ციხე-კოშკებსა და მამულებს. მათ შეწყვიტეს გადასახადების გაღება და ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულება. აჯანყებამ ისეთი ფართო და მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ჰაინრიხ IV იძულებული გახდა საქსონიიდან გაქცეულიყო, რათა აჯანყებულთ ტყვედ არ ჩავარდნოდა ხელში. მაგრამ შემდეგ საქსონიის აჯანყების გამძაფრებამ დააშინა არა მარტო იმპერატორი, არამედ საქსონიის მსხვილი ფეოდალებიც და თუ ისინი აჯანყების დასაწყისში ერთგვარ აქტიურობას იჩენდნენ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლა პირიქით — იწყებენ მასთან დაახლოებას და შეევაჭრებას დათმობის თაობაზე. ჰაინრიხ IV-მ გაითვალისწინა საქსონიის დიდებულების ახლანდელი განწყობილება და 1075 წელს დიდძალი ჯარით ხელახლა შეიჭრა საქსონიაში. ამავე წლის 9 ივნისს იგი თავს დაესხა ჯერ მოწინააღმდეგის ჯარის იმ ნაწილს, რომელიც უმთავრესად გლეხებისაგან შედგებოდა და გაანადგურა იგი მდინარე უნსტრუტის ნაპირას მდებარე ჰოჰენბურგთან, ხოლო შემდეგ დაამარცხა მსხვილი ფეოდალებიც. მთელი საქსონიის მხარე ჯარებმა ააოხრეს. მაგრამ საქსონიის დიდებულებთან მეფემ მაინც ვერ გამონახა საერთო ენა. მართალია, დიდებულები ერთ ხანს მის მორჩილებაში აღმოჩნდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ელოდნენ თავიანთთვის ხელსაყრელ მომენტს.

ბრძოლა ჰაინრიხ IV-სა და გრიგოლ VII-ს შორის

საქსონიის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ საქსონიის ეპისკოპოსებმა, რომელნიც ის-ის იყო დაიმორჩილა ჰაინრიხ IV-მ, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ საჩივარი აღძრეს პაპის წინაშე. გრიგოლ VII-მ ჰაინრიხს მოსთხოვა, რათა საქმე განეხილათ საეკლესიო კრებაზე პაპის თანდასწრებით, რაზედაც უარი მიიღო. ამასთან ჰაინრიხ მეო-

თხემ, პაპის მიერ ინვესტიტურის გაუქმების შესახებ გამოტანილი დადგენილების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე პირი დანიშნა ეპისკოპოსებად ვაკანტურ ადგილებზე. ამის საპასუხოდ გრიგოლ VII-მ, თავის მხრივ, 1075 წლის დეკემბერში იმპერატორს მუქარით აღსავსე წერილი გაუგზავნა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ჰაინრიხმა 1076 წლის იანვარში ვორმსში მოიწვია საეკლესიო კრება და ამ კრებაზე 24 იანვარს გრიგოლ VII პაპობიდან გადაყენებულად გამოაცხადა.

ვორმსის საეკლესიო კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ჰაინრიხ IV-მ გრიგოლ VII-ს ლანძღვის წერილი გაუგზავნა შემდეგი მისამართით: „ჰილდებრანდს, ამჟამად უკვე არა პაპს, არამედ ცრუ ბერს". ამ წერილში მეფე აღშფოთებით წერდა: „შენ ჯერ უგნური თავხედობით მემკვიდრეობითი პატივი მომტაცე, რომელიც მე მეკუთვნოდა პაპის ტახტისაგან, ხოლო შემდეგ უფრო შორსაც წახვედი და უღირსი ხრიკებით შეეცადე ჩემთვის იტალიის გვირგვინის ჩამორთმევას". წერილი მთავრდებოდა შემდეგი მიმართვით: „ჩვენ, ღვთის წყალობით კურთხეული მეფე ჰაინრიხი, ყველა ჩვენს ეპისკოპოსთან ერთად, გეუბნებით შენ — გაეცალე, გაეცალე!".

ჰაინრიხ მეოთხე სასტიკად შეცდა. მან თავისი ძალების გადაფასება მოახდინა. გრიგოლ VII ვერ შეაშინა მეფის მუქარამ. თავის მხრივ, პაპმა ლატერანის სასახლეში 1076 წლის 22 თებერვალს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე ჰაინრიხ მეოთხე გადაყენებულად და ეკლესიისაგან განკვეთილად გამოაცხადა. ამასთან, მან გერმანიის მსხვილ ფეოდალებს მოუწოდა, რომ აღარ დამორჩილებოდნენ უკანონოდ ცნობილ მეფეს, რადგან ისინი მეფის წინაშე დადებული ერთგულების ფიცისაგან თავისუფალნი არიან. იმისათვის, რომ მსხვილ ფეოდალებს უფრო ენერგიულად დაეწყოთ მეფის წინააღმდეგ ბრძოლა და ეჭვი არ შეპარვოდათ პაპის გადაწყვეტილების სისწორეში, პაპმა მათ ახსნა-განმარტებითი წერილი გაუგზავნა, რომელშიც მოჰყავდა ჰაინრიხ მეოთხის გადაყენების მოტივები.

პაპის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა გაჭრეს. პაპის მოწოდებანი ნიშანი გახდა იმისათვის, რომ გერმანიაში ჰაინრიხის წინააღმდეგ დაწყებულიყო მსხვილი ფეოდალების მოძრაობა. 1076 წლის ოქტომბერში ქ. ტრიბურში მთავრებისა და პრელატების კრებამ დაადგინა, რომ მეფე ტახტიდან გადაყენებული იქნებოდა, უკეთუ მისი განკვეთიდან ერთი წლისა და ერთი დღის გასვლამდე (1077 წლის 23 თებერვალი) შენდობას არ მიიღებს პაპისაგან და განკვეთა არ მოეხსნება.

ტრიბურის კრების მიერ დადგენილი ვადა მეტად ხანმოკლე აღ-

მოჩნდა. ასეთ რთულ პირობებში ჩავარდნილმა მეფემ გადაწყვიტა მოსაჩვენებლად წასულიყო იტალიაში და პაპს შერიგებოდა. 1077 წლის იანვარში მცირე ამალით იგი იტალიისაკენ გაემართა, მაგრამ, როგორც ანალების ავტორი ლამბერტ ჰერსფელდელი აღნიშნავს, იტალიისაკენ მიმავალი გზები ჰერცოგებმა რუდოლფმა, ველფმა და ბერტოლდმა გადაკეტეს, რომ ხელი შეეშალათ იმპერატორის იტალიაში გადასვლისათვის. ჰაინრიხი იძულებული იყო ბურგუნდიის მიმართულებით წასულიყო. იგი ციინისში (ახლანდელი მონ-სენი) მივიდა, სადაც მას სიდედრი და მისი შვილი ამედეო დახვდნენ. ისინი მეფეს კარგად გაუმასპინძლდნენ, მაგრამ იმის საფასურად, რომ მეფე თავისი ამალით ბურგუნდიაზე გაეტარებინათ, იტალიაში ხუთი საეპისკოპოსო მოსთხოვეს.

მოლაპარაკებაში დიდი დროისა და ენერგიის დახარჯვის შემდეგ ჰაინრიხი თავის მოყვრებს შეუთანხმდა, რომ საფასურად გადასცემდა ბურგუნდიის ერთ-ერთ პროვინციას, რომელიც კარგი შემოსავლის მომცემი იყო. დიდი ვაი-ვაგლახითა და წვალებით მეფის ამალამ გადალახა თოვლიანი მთები და იტალიაში ჩავიდა. პაპს ეგონა, რომ მეფე მის საწინააღმდეგოდ მოდიოდა და კანოსის ციხე-კოშკში ჩაიკეტა. ეს ციხე-კოშკი ტოსკანის მარკგრაფქალს, გრიგოლ VII-ის მეგობარს მატილდეს ეკუთვნოდა. ჰაინრიხ მეოთხე კანოსაში გამოცხადდა. იანვრის სუსხიანი დღეები იდგა. სამი დღე-ღამის განმავლობაში — 1077 წლის 25, 26 და 27 იანვარს—იგი თავშიშველი და ფეხშიშველი ელოდა პაპის აუდიენციას. ბოლოს, როგორც იქნა, პაპმა მიიღო იგი და მისი თხოვნა პატიების შესახებ შეიწყნარა.

კანოსაში წასვლით ჰაინრიხ მეოთხემ დიდი დამცირება განიცადა. მაგრამ ამან მაინც ვერ უზრუნველყო პაპის საბოლოო გამარჯვება მეფის ხელისუფლებაზე. როცა მეფემ თავის მოწინააღმდეგე გერმანელ მსხვილ ფეოდალთა შორის უთანხმოება შეამჩნია, ისევ განაახლა ბრძოლა გრიგოლ VII-თან. ამის საპასუხოდ პაპმა ფეოდალები კვლავ გაათავისუფლა მეფისათვის მიცემული ერთგულების ფიცისაგან და წინადადება მისცა მათ ჰაინრიხის ნაცვლად ახალი მეფე აერჩიათ. ფეოდალები ასეც მოიქცნენ; მეფედ შვაბიის ჰერცოგი რუდოლფი აირჩიეს, რომელმაც ჰაინრიხის წინააღმდეგ ომი წამოიწყო, მაგრამ 1080 წელს გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში იგი სასიკვდილოდ დაიჭრა.

გერმანიაში ერთგვარი წესრიგის დამყარების შემდეგ ჰაინრიხ მეოთხე ხელახლა შეუდგა იერიშების მზადებას გრიგოლ VII-ს წინააღმდეგ. 1081 წელს ჰაინრიხი დიდძალი ჯარით შეიჭრა იტალიაში, მოაოხრა მატილდეს მიწები, აიღო ფლორენცია და შემდეგ გარემოიცვა რომი. მაგრამ რომის გარემოცვა გახანგრძლივდა და მხოლოდ

1084 წლის მარტში შეძლო ჰაინრიხმა რომში შეჭრა, სადაც მის მიერ დაყენებულმა ანტიპაპმა აკურთხა იგი იმპერატორად (31 მარტს). ამჯერად გრიგოლ VII, რომელიც წმ. ანგელოსის ციხე-კოშკში გამოკეტილი მედგრად იცავდა თავს, დატყვევების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ მას დახმარება აღმოუჩინა მისმა ვასალმა და მოკავშირემ რობერ გისკარმა, რომელიც დიდი ლაშქრით იმავე წლის მაისში შეიჭრა რომში, საიდანაც გააძევა გერმანელები და დაიხსნა პაპი; მაგრამ ნორმანებმა გერმანელების რომიდან გაძევების შემდეგ თვითონ იწყეს რომაელი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა და დარბევა, გაძარცვეს და გადაწვეს რომის რამდენიმე უბანი, წაიყვანეს აუარებელი ტყვე — მამაკაცები, ქალები და ბავშვები. გრიგოლ VII-მ, რომელსაც ახლა რომაელები თავიანთი უბედურების მთავარ მიზეზად თვლიდნენ, ვეღარ გაბედა რომში დარჩენა და გაჰყვა რობერს სამხრეთ იტალიაში, სადაც მალე გარდაიცვალა (1085 წ.). მან მოასწრო ანდერძის დატოვება თავისი მომდევნო პაპებისათვის, რომელშიც მოუწოდებდა ბრძოლა ეწარმოებინათ იმპერატორის წინააღმდეგ და არავითარ დათმობაზე არ წასულიყვნენ.

ვორმსის კონკორდატი

ამის შემდეგ ბრძოლები სამეფო ხელისუფლებასა და პაპებს შორის დიდხანს არ შეწყვეტილა. ინვესტიტურისათვის გამძაფრებულ ბრძოლაში განსაკუთრებულ თავგამოდებას იჩენდა პაპი ურბან მეორე (1088 — 1099). ჰაინრიხ მეოთხის წინააღმდეგ რაზმავდნენ არა მარტო ფეოდალებს, არამედ მეფის შვილებსაც კი. ამ მხრივ დიდ აქტიურობას მამის წინააღმდეგ მისი შვილი ჰაინრიხი, მომავალი ჰაინრიხ მეხუთე (1106 — 1125) ამჟღავნებდა, მაგრამ გახდა თუ არა იგი მეფე, თავისი დამოკიდებულება პაპის მიმართ შეცვალა და დაიწყო რომის პაპის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ბრძოლა ჰაინრიხ მეხუთესა და პაპ კალიქსტს შორის 1122 წლის ვორმსის კონკორდატით დამთავრდა.

ვორმსის კონკორდატი კომპრომისულ შეთანხმებას წარმოადგენდა. მის მიხედვით, ეპისკოპოსთა არჩევა სასულიერო წოდების მიერ უნდა მომხდარიყო. თუ ეს არჩევნები გერმანიაში ჩატარდებოდა, მას იმპერატორი ან მისი წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა, ხოლო თუ ბურგუნდიაში ან იტალიაში — იმპერატორის დასწრება არ იყო გათვალისწინებული. თვით ინვესტიტურა ორგვარი ხასიათისა გახდა: ინვესტიტურა სასულიერო, რომელიც გულისხმობდა ახლად არჩეული ეპისკოპოსის დამტკიცებას პაპის მიერ ბეჭდისა და კვერთხის გადაცემით და ინვესტიტურა საერო, რომელიც გულისხმობდა ახლად

არჩეული ეპისკოპოსის დამტკიცებას იმპერატორის ან მისი წარმომადგენლის მიერ სკიპტრის (სამეფო კვერთხის) გადაცემით, ამასთანავე გერმანიაში საერო ინვესტიტურა წინ უსწრებდა სასულიეროს, იტალიასა და ბურგუნდიაში კი პირიქით, სასულიერო ინვესტიტურა წინ უსწრებდა საეროს.

ვორმსის კონკორდატი გერმანიისათვის ფრიად ორჭოფულ შეთანხმებას წარმოადგენდა და, გასაგებია, რომ მან სავსებით ვერ მოსპო ორ მხარეს შორის არსებული წინააღმდეგობა, ხოლო რაც შეეხება იტალიასა და ბურგუნდიას, იქ იგი პაპის გამარჯვებას მოასწავებდა. უთანხმოების მოგვარება დროებითი ხასიათისა აღმოჩნდა. ვორმსის კონკორდატის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ იმპერატორსა და პაპებს შორის არსებულმა უთანხმოებამ უფრო მეტი სიძლიერით იფეთქა.

თავი VI

იტალია X — XI საუკუნეებში

იტალია ვერდენის 843 წლის ხელშეკრულების შემდეგ

ვერდენის ხელშეკრულების შედეგად ფრანკთა იმპერიის ის ნაწილი, რომელიც იტალიისაგან შედგებოდა, იმ მიწებთან ერთად, რომლებიც მდინარეების რაინის, მაასის, შელდას, რონასა და სონას დინებათა შორის იყვნენ მოქცეულნი, წილად ხვდა უფროს ძმას ლოტარს. ლოტარის გარდაცვალების შემდეგ (855 წ.) მისი სამფლობელოს ხელახალი დანაწილება მოხდა. ლოტარის მეორე ვაჟს — ლოტარ II-ს ამჯერად მხოლოდ რაინის, მაასისა და შელდას დინებათა შორის მდებარე მიწები ხვდა წილად, რის გამოც შემდეგ მათ ლოტარინგია (ფრანგ. — Lorraine, გერმ. — Lothringen) ეწოდა. ლოტარის უმცროს ძმას კარლოსს ბურგუნდია და პროვანსი შეხვდა, ხოლო უფროს ძმას ლუდოვიკუს II-ს (იტალ. — ლოდოვიკო, ლუდოვიკო) — იმპერატორის ტიტული და იტალია. ამის შემდეგ კელავ ხდებოდა იტალიის ფორმალური დაქვემდებარება იმპერატორის ხელისუფლებისადმი. ასე მაგალითად, 875 — 877 წწ. იმპერატორად შარლ მელოტი ითვლებოდა, 880 — 887 წწ. ლუდვიგ გერმანელის შვილი კარლ სქელი. მაგრამ მეათე საუკუნის დასაწყისში იმპერატორობის ტიტულმა სრულიად დაკარგა თავისი მნიშვნელობა და იტალიაც, როგორც იტყვიან, ბედის ანაბარად დარჩა.

იმპერატორ კარლ სქელის ტახტიდან გადაყენების შემდეგ (887 წ.) იტალიაში ფეოდალური ანარქია გაძლიერდა. გაჩნდა უამრავი ფეოდალური ერთეული, რომელიც დამოუკიდებლობას იჩემებდა და პირველობისათვის ერთიმეორესთან განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა. ყველას გამეფება სურდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ივრეასა და ფრიულის მსხვილი მთავრები — მარკგრაფები გამოირჩეოდნენ. მათ ამ საქმეში არც სპოლეტოს ჰერცოგები ჩამორჩებოდნენ. ისინი საშეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბურგუნდიისა და პროვანსის ფეოდალებსაც აბამდნენ. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, პროვანსის მფლობელი ლოტარი იტალიის მეფედ იქნა გამოცხადე-

ბული. მან ბურგუნდელი ადელჰაიდი შეირთო ცოლად და ამით ორ ჯგუფად დაყოფილ ფეოდალებს შორის თითქოს დაშავება მოხდა.

იტალიის პოლიტიკური დაქუცმაცება ფეოდალიზმის განვითარების შედეგი იყო. ფეოდალიზაციის პროცესი იტალიაში ჯერ კიდევ ლანგობარდების შემოსევების შემდეგ დაიწყო. „დანიშნეს რა ჰერცოგები, ლანგობარდების მეფეებმა ამით ფეოდალური სისტემის სათავეში მდგომნი შექმნეს. კარლოს დიდმა ფეოდალური სისტემა უფრო დაბლა დაუშვა და გააფართოვა იგი"[1]. იტალიის დაკავებისას კარლოს დიდმა იგი ოლქებად დაანაწილა და თითოეულ მათგანში გრაფი, ანუ კაპიტანი დანიშნა. იმ გრაფებმა, რომელთაც საზღვრების დაცვა ევალებოდათ, მიიღეს მარკიზის ტიტული. ამასთან, ზოგიერთი ოლქი მუდმივ მმართველობაში მემკვიდრეობით იქნა გაცემული. ქალაქებმა, ეკლესიებმა და მონასტრებმა მიიღეს მარკიზების, გრაფების და სხვა ფეოდალების უფლებები.

ამგვარად, ფრანკთა მონარქიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ფეოდალიზაციის პროცესი იტალიაში უფრო დაჩქარდა. მსხვილმა ფეოდალებმა თანდათან დაიწყეს თავიანთი გავლენის გავრცელება სამოქალაქო ცხოვრებაზე; საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ წინათ მხოლოდ სამხედრო თანამდებობანი გადადიოდა მემკვიდრეობით, ახლა სამოქალაქო თანამდებობანიც მემკვიდრეობითი ხდებოდა. ჰერცოგები, გრაფები და მარკგრაფები დაჟინებით მიილტვოდნენ სამოსამართლო უფლებების ხელში ჩაგდებისაკენ.

იტალიის შემდგომი ფეოდალიზაცია

ფეოდალების შინაბრძოლებმა, ერთი მხრივ, და არაბების თარეშებმა (უმთავრესად სამხრეთ და შუა იტალიაში), მეორე მხრივ, და გარდა ამისა, მეცხრე საუკუნის დამლევიდან უნგრელების შემოსევებმა ჩრდილოეთ იტალიაში, ხელი შეუწყვეს წვრილი და საშუალო მესაკუთრე გლეხების ეკონომიკურ გაჩანაგებას. ეს უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ გამხდარიყვნენ მსხვილ მიწათმფლობელებზე დამოკიდებულნი როგორც პირადად, ისე ქონებრივად. გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან ყმის მდგომარეობაში ექცეოდა, მეათე საუკუნეში იტალია მნიშვნელოვნად იყო ფეოდალიზებული; ფეოდალიზაციის ზოგიერთი პროცესი აქ უფრო შორს იყო წასული, ვიდრე გერმანიაში.

---

[1] К. Маркс, Хронологические выписки, I, Архив Маркса и Энгельса, V, 1938. გვ. 33.

მიუხედავად ამისა, მეათე საუკუნეში გლეხთა მასების მთლიანი მიმაგრება მიწაზე ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. იტალიის ფეოდალიზაციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ბატონყმობა აქ უფრო შერბილებულ ფორმებში ვლინდებოდა. თუ ზოგიერთ ფეოდალურ სახელმწიფოში გლეხობა ფეოდალის ნებასურვილით იხდიდა ღალას და ასრულებდა ფეოდალურ ვალდებულებებს, იტალიის გლეხობის ღალა და ბეგარა განსაზღვრული იყო გარკვეული წესებითა და ჩვეულებებით. იტალიელი მებატონე ვერ არღვევდა ამ წესებს და ნებისმიერად ვერ ზრდიდა რენტას. იტალიაში ყმა გლეხებთან ერთად ბევრი თავისუფალი გლეხიც მოიპოვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიწები დაკარგა, იგი მაინც არ აღმოჩნდა ყმურ მდგომარეობაში. ასეთი გლეხები მიწათმფლობელთა დროებით მოიჯარადოებად იქცეოდნენ. მათ ლიბერტები ეწოდებოდათ.

იტალიაში ბატონყმური ურთიერთობის შერბილება და გლეხობის მიერ ნაწილობრივი თავისუფლების შენარჩუნება უნდა აიხსნას ძირითადად შემდეგი გარემოებებით: 1. ლანგობარდებმა ჩრდილოეთ და შუა იტალიაში მთლიანად მოსპეს მონათმფლობელობა. მონათმფლობელთა კლასს ჩამოართვეს მიწები და დაურიგეს თავისუფალ გლეხობას, რამაც უკანასკნელი გააძლიერა; 2. ლანგობარდული თემი კარგა ხნის მანძილზე მტკიცედ იცავდა თავისუფალ გლეხობას დაყმევებისაგან; 3. იტალიაში ქალაქებმა ადრევე დაიწყეს განვითარება, რის გამოც იტალიის სოფელი არ იყო ისე კარჩაკეტილი, როგორც სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებში. იგი ქალაქს აწვდიდა სოფლის მეურნეობის ნაწარმს, რის გამოც დაყმევებულ გლეხს ფულის დაგროვების საშუალებით შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი თავის გამოსყიდვისა; და 4. ბატონის მკაცრი მოპყრობის შემთხვევაში გლეხი ქალაქში გარბოდა და იქ მოიპოვებდა თავისუფლებას.

იტალიის ფეოდალიზაციის თავისებურება გაბატონებულ ფეოდალურ კლასსაც დაეტყო. რადგან ფეოდალიზაცია იტალიაში ადრე დაიწყო, ამიტომ აქ ფეოდალები დიდი რაოდენობით იყვნენ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ იტალიის მეფეები თავიანთი სისუსტის გამო ვერ ახერხებდნენ განდგომილ ფეოდალთა ძალით დათრგუნვას, ხოლო „რომის საღმრთო იმპერიის“, ანუ გერმანიის იმპერატორები იტალიაში ხშირად არ იმყოფებოდნენ. საკმარისი ამით, იტალიელი ფეოდალები განუწყვეტლივ აწარმოებდნენ შინაბრძოლებს, რათა თავიანთი გავლენისათვის დაეპყრობინათ მნიშვნელოვანი ქალაქები და ძირითადი სავაჭრო გზები ხელში ჩაეგდოთ.

იტალიის ქალაქები ადრევე იზიდავდნენ ფეოდალებს. ფეოდალების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქებში სახლდებოდა და ქალაქური

ცხოვრების გავლენას განიცდიდა. იტალიელი რაინდებიც ქალაქის მცხოვრებლებში ითქვიფებოდნენ და ვაჭრებად იქცეოდნენ, თუმცა თავიანთ წოდებას დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდნენ. იტალიელი ფეოდალები თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის მიხედვით, ძირითადად, ორად იყვნენ გაყოფილნი: მსხვილი ფეოდალები, რომელთაც კაპიტანები ეწოდებოდათ და წვრილი ფეოდალები— „ვალვასორები“, ანუ „ვავასორები“. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, კონრად მეორის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ვალვასორების მდგომარეობა გაუმჯობესდა იმით, რომ მათი მიწები მემკვიდრეობითი გახდა.

მეათე საუკუნეში, გარდა საერო ფეოდალებისა, იტალიაში დიდი რაოდენობით იყვნენ სასულიერო ფეოდალებიც: პაპი, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და უამრავი მონასტრები. ისინიც არანაკლებ ეურჩებოდნენ სამეფო ხელისუფლებას და ცდილობდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ გამხდარიყვნენ. ხშირად ისინი საერო ფეოდალებთან აწარმოებდნენ ბრძოლას და, საჭირო შემთხვევაში, სამეფო ხელისუფლებასაც უკავშირდებოდნენ. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები ჩაღდებოდა რომის წარჩინებულ ოჯახებსა და პაპებს შორის. ამგვარად, მეათე საუკუნის იტალიაში იქმნებოდა სოციალურ წინააღმდეგობათა მრავალფეროვანი და უკიდურესი გამწვავება, რაც იტალიის პოლიტიკურ ვითარებას მძიმე დაღს ასვამდა.

იტალიის ქალაქები

მეათე საუკუნიდან იტალიაში ძლიერდება ხელოსნობა და ვაჭრობა, რომელთა ცენტრები ქალაქებად გადაიქცა. იმ ხანებში საშუამავლო ვაჭრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და დასავლეთ ევროპას შორის. სატრანზიტო ვაჭრობით იტალიის ქალაქებმა დიდი სიმდიდრე დააგროვეს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, გერმანიის მეფეების (დაწყებული ოტო პირველიდან) ანექსიონისტური პოლიტიკა იტალიის მიმართ ნაკარნახევი იყო, აგრეთვე, იტალიის მდიდარი ქალაქების ქონების დატაცების სურვილით. იმპერატორების მტაცებლურმა პოლიტიკამ იტალიის ქალაქების აჯანყება გამოიწვია. ქალაქ რომში ოტო მეორის წინააღმდეგ 980 წელს მოხდა მძლავრი აჯანყება, ხოლო ოტო მესამის წინააღმდეგ ამავე ქალაქში ორი აჯანყება მოეწყო: პირველად — 998 წელს, მეორედ — 1001 წელს.

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების უმრავლესობას სენიორებად ეპისკოპოსები ჰყავდა, რომელთაც ამ ქალაქების მოსახლეობა გარკვეულ გადასახადებს უხდიდა და მათ მმართველობას ემორჩილებო-

და. ეპისკოპოსების ბატონობა ქალაქებზე უფრო მეტად გაძლიერდა მას შემდეგ (962 წ.), რაც იტალია „რომის საღმრთო იმპერიის“ შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. ოტო პირველმა თავისი საეპისკოპოსო პოლიტიკით იტალიის ეპისკოპოსებიც გააძლიერა. თუ მანამდე ჩრდილოეთ იტალიის ქალაქები ცდილობდნენ თავიანთი სენიორებისაგან განთავისუფლებას, ახლა მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა. იმპერატორების ბრძოლამ პაპობასთან ინვესტიტურის გამო და ამ ბრძოლის დამთავრებამ ვორმსის კონკორდატით, იმპერატორების გავლენა იტალიაზე მნიშვნელოვნად შეამცირა და საეპისკოპოსო სისტემაც შეასუსტა. ამან ხელი შეუწყო ქალაქების ბრძოლას სენიორ-ეპისკოპოსების წინააღმდეგ და ქალაქთა უმრავლესობაც დამოუკიდებელი გახდა. ჩრდილო იტალიის ქალაქებმა დამოუკიდებელი თვითმმართველობა (კომუნა) შექმნეს და მალე ზოგიერთი მათგანი ქალაქ-რესპუბლიკად გადაიქცა.

იტალიის პოლიტიკური დაქუცმაცება. ლომბარდიის დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელოები

შეიძლება ითქვას, რომ მეთერთმეტე საუკუნის იტალია, პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე უფრო დაქუცმაცებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი დაყოფილი იყო მრავალ დამოუკიდებელ საჰერცოგოდ, საგრაფოდ, სამარკიზოდ (იტალ. — მარკეზატო, სამარკგრაფო), საარქიეპისკოპოსოდ, საეპისკოპოსოდ, დამოუკიდებელ ქალაქებად, ქალაქ-რესპუბლიკებად და ა. შ. იტალიის ჩრდილო-დასავლეთი მხარე კოტის ალპებიდან გენუის ოლქამდე და ქალაქ ასტიმდე, დამოუკიდებელ მონფერატოს სამარკიზოს წარმოადგენდა, ხოლო ქალაქი ასტი — თავდაპირველად საჰერცოგოს, შემდეგ საგრაფოს რეზიდენცია — ფაქტიურად ეპისკოპოსის სამფლობელოს წარმოადგენდა.

ამ სამარკიზოს მეზობლად ქალაქი მილანი მდებარეობდა. ქალაქ მილანოს განაგებდნენ არქიეპისკოპოსები, რომელთა უფლებამოსილება სხვა მახლობელ ქალაქებზედაც ვრცელდებოდა. არქიეპისკოპოსები უძლიერესი ფეოდალები იყვნენ და დამოუკიდებლად ეწეოდნენ მართვა-გამგებლობას. მათი სასამართლო არავის არ ექვემდებარებოდა და სისხლის სამართლის ისეთი მძიმე დანაშაული, როგორიცაა მკვლელობა და სხვ., მათ კომპეტენციას წარმოადგენდა. არქიეპისკოპოსთა უფლებაში არ შედიოდა მხოლოდ ფულის მოჭრა. ეს უფლება მეფეს ეკუთვნოდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქალაქები მეფის სასარგებლოდ იხდიდნენ გარკვეულ გადასახადს. ეს იყო და ეს. დანარჩენ საქმეებში არქიეპისკოპოსები ისე იქცეოდნენ, როგორც მათ მოეპრიანებოდათ.

რაც შეეხება პროვინციული ქალაქების მმართველ ეპისკოპოსებს, ისინი მილანოს მმართველებს სულაც არ ჩამორჩებოდნენ. უკანასკნელთა წაბაძვით ცდილობდნენ ყოველმხრივ გაეფართოებინათ თავიანთი უფლება-მოსილება. ისინი პატარა მეფეებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ძალიან ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი რომის საღმრთო იმპერიის (გერმანიის) იმპერატორებზე და იტალიის მეფეებზე. ეპისკოპოსების მფლობელობაში იმყოფებოდა, აგრეთვე, ცნობილი ქალაქები მოდენა და რეჯო. კარლო ბოტას თქმით, ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი და არქეოლოგი მურატორი (1672 — 1750) ამ ქალაქებს არასწორად დ'ესტეს საგვარეულოს მიაკუთვნებს.

იტალიის ცალკეულ სამარკიზოებს, საჰერცოგოებსა და საგრაფოებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ვერონის ოლქმა მოიპოვა, რადგან მას სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა გააჩნდა. მასზე გადიოდა გზა, რომელიც გერმანიას იტალიასთან აკავშირებდა, ამიტომ გერმანიის იმპერატორები ვერონის ოლქს მეტად უფრთხილდებოდნენ. ვერონის ოლქი, მათი თვალსაზრისით, იტალიის გასაღებს წარმოადგენდა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ ვერონის ოლქის მმართველებად გერმანელები დაენიშნათ და, საერთოდ, იქ თავიანთი ერთგული პირები ჰყოლოდათ. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ამ ოლქის დამოუკიდებლობაც მეტად შეზღუდული იყო.

ჯერ კიდევ კარლოს დიდის მიერ იტალიის დაპყრობის დროიდან, სიცილიის სამეფოს ჩრდილოეთით მდებარე მხარე ორ სხვადასხვა ერთეულად დაიყო: ლომბარდიად, რომელშიც უმთავრესად ლანგობარდები ცხოვრობდნენ და რომელმაც მათგან მიიღო თავისი სახელწოდება და რომანიად. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საჰერცოგოები და საგრაფოები ლომბარდიას მიეკუთვნებოდა. იმისათვის, რომ მოვათავოთ ლომბარდიის ძირითადი ფეოდალური სამფლობელოების განხილვა, საჭირო იქნება ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ ფეოდალურ სამფლობელოზე. ესაა ტოსკანის სამარკიზო.

ტოსკანის სამარკიზოს დასავლეთით ტირენის ზღვა ერტყა, ჩრდილოეთით მას ესაზღვრებოდა გენუა და კანოსა, ჩრდილო-აღმოსავლეთით—რომანია, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით — პაპის სამფლობელოები. შეიძლება ითქვას, რომ ტოსკანა სხვა ფეოდალურ სამფლობელოებთან შედარებით უფრო „მოწესრიგებული“ და დამოუკიდებელი იყო. მარკიზების ხელისუფლება აქ უფრო ცენტრალიზებული იყო, მასში ისე ხშირად არ წარმოებდა შინაგანი ფეოდალური ბრძოლები და დამყარებული მშვიდობიანობა ხელს უწყობდა მეურნეობის განვითარებას. ყველა ამ გარემოების ხელშემწყობ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ერთი მხრით ის, რომ

ტოსკანა გარშემორტყმული იყო მთებით, რაც მას გარეშე მტრისა-თვის მიუწვდომელს ხდიდა, მეორე მხრით კი მისი მარკიზების მოხე-რხებული პოლიტიკა. მონფერატის მარკიზთა გვარიდან გამოვიდნენ ძალიან ცნობილი ევროპელი და ჯვაროსანი მოღვაწენი, მათ შორის ოთხი ძმა; გვილიელმო გრძელმახვილიანი (გარდ. 1175) — იაფას და ასკალონის გრაფი, რანიერო (გარდ. 1183) — ბიზანტიის იმპერატო-რის სიძე, თესალონიკის მეფე, კონრადი (გარდ. 1192) — ქალაქ ტი-როსის მბრძანებელი, მცირე ხანს, იერუსალიმის მეფე; ბონიფაციო (ბონიფაჩიო, გარდ. 1207) — ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის მთა-ვარი ბელადი, ერთდროულად მონფერატის მარკიზი და თესალონი-კის მეფე.

რომანიის სამარკიზოები, საჰერცოგოები და საგრაფოები. იტალიის დამოუკიდებელი ქალაქები

რაც შეეხება რომანიას, ისიც სხვადასხვა დამოუკიდებელ ფეოდა-ლურ სამფლობელოდ იყო დაყოფილი. ასეთები იყო: ჩრდილოეთით— ე. წ. რავენას ეგზარქატი, ცოტა უფრო სამხრეთით — ანკონის სამა-რკიზო, რომლის სამხრეთ-დასავლეთით — სპოლეტოს საჰერცოგო და ბოლოს პაპის ოლქი, ანუ წმ. პეტრეს მამული. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ადრე, კაროლინგების ნაბოძვართა წყალობით, საკმაოდ გაძლიერდა. ცნობილია, რომ ქალაქი რომი თავიდანვე კათოლიკური რელიგიის ცენტრს წარმოადგენდა და ამიტომ პაპების გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო პაპის ოლქზე, არამედ მთელ იტალიასა და სხვა ფეოდალურ სამფლობელოებზეც. მიუხედავად ამისა, პაპის ოლქში უფრო ხშირად ხდებოდა შინა ბრძოლები. თვით ქალაქ რო-მში არაერთხელ ჰქონდა ადგილი აჯანყებას პაპების წინააღმდეგ. რო-მში მყოფი ძლიერ გვარეულობათა სხვადასხვა დაჯგუფება და პარტია-განუწყვეტლივ იბრძოდა პირველობისათვის. რაც შეეხება პაპის ოლქის სხვა ნაწილებს, იქ არანაკლებ თარეშობდნენ სხვადასხვა ბა-რონები, რომელთა შორის პირველობას ტუსკულუმელი მსხვილი ფეოდალები იჩემებდნენ.

სპოლეტოს საჰერცოგო, ისევე როგორც მისი მარკა კამერინო (ძველი კამერინუმი. იგი XVI საუკუნის დამდეგს საჰერცოგოდ იქცა), დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა, საკუთარი მართვა-გამგებ-ლობა გააჩნდა. სპოლეტოს ჰერცოგები მხოლოდ მაშინ ცნობდნენ იტალიის მეფეთა სიუზერენიტეტს, როცა ეს უკანასკნელნი პირადად მათ საჰერცოგოში მივიდოდნენ და აიძულებდნენ მორჩილებაში ყო-ფნას. სხვა შემთხვევებში კი, ტოსკანის მარკიზებისა და ლომბარდიის სხვა სასულიერო და საერო სენიორების მსგავსად, ისინი დამოუკი-

დებელ საქმიანობას ეწეოდნენ. რაც შეეხება რავენას, მისმა არქიეპისკოპოსებმა ადრევე მოიპოვეს რავენას ეგზარქატზე საერო ძალაუფლება და საიმპერიო მთავრებად გადაიქცნენ.

დაქუცმაცებული იტალიის ფეოდალური სამთავროებიდან და ქალაქ-რესპუბლიკებიდან თავისი ეკონომიკითა და მმართველობის ფორმებით გამოირჩეოდა სამი ქალაქი, რომელთაგან ერთი არასოდეს არ ყოფილა დაქვემდებარებული რომელსამე ფეოდალი სიუზერენისადმი, ხოლო დანარჩენი ორი ცდილობდა ასეთი სიუზერენისაგან თავის დაღწევას. პირველი იყო ვენეცია, რომელიც იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. XI საუკუნიდან იგი სავსებით დამოუკიდებელი იყო და რესპუბლიკური მმართველობა ჰქონდა. ვენეცია ადრევე გადაიქცა მსოფლიო სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრად და შემდეგ ხანებში იმდენად გაძლიერდა, რომ ევროპის სხვა სახელმწიფოთა მოწინავე რიგებში იმყოფებოდა.

რაც შეეხება გენუას, რომელიც ჩრდილოეთ იტალიის დასავლეთით მდებარეობდა, და ლიგურიის ზღვის სანაპიროზე მდებარე პიზას, მართალია, სრული დამოუკიდებლობა მათ ჯერ კიდევ ვერ მოიპოვეს, მაგრამ ისინი მაინც დამოუკიდებლად ეწეოდნენ სავაჭრო ოპერაციებს არა მარტო მეზობელ კუნძულებთან — სიცილიასთან, სარდინიასთან და კორსიკასთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთგვარად დამოკიდებული იყვნენ იტალიის მეფეებზე და ტოსკანის მარკიზებზე, მაინც ახერხებდნენ მათთან შეუთანხმებლად ომის გამოცხადებასა და ზავის დადებას. შემდეგ ხანებში კი გენუა იმდენად გაძლიერდა, რომ ვენეციასაც კი დაუწყო ქიშპობა მსოფლიო ვაჭრობის საქმეში.

სამხრეთი იტალია

სამხრეთ იტალიის ის ნაწილი, სადაც შემდეგ ნეაპოლის სამეფო წარმოიშვა, XI საუკუნეში პოლიტიკურად ისევე დაქუცმაცებული აღმოჩნდა, როგორც იტალიის სხვა ნაწილები. აქ იყვნენ ისეთი დამოუკიდებელი საჰერცოგოები, როგორიცაა სალერნო, კაპუა და ბენევენტო. ამ მხარეს ჩრდილოეთით პაპის ოლქი და სპოლეტოს საჰერცოგო ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით — აპულია და კალაბრია. თითოეული ეს საჰერცოგო (სალერნო, კაპუა და ბენევენტო) თავის მხრივ ცალკეულ პატარ-პატარა საგრაფოდ იყო დაყოფილი და მათი გრაფები ისევე დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს, როგორც ჰერცოგი, თუმცა ფორმალურად ჰერცოგი მათ სიუზერენად ითვლებოდა. ლანგობარდების სამეფოს დაცემის შემდეგ ლანგობარდული წარმოშობის მთავრები

ამ ადგილებში კიდევ ერთი საუკუნის მანძილზე განაგრძობდნენ ბატონობას, შემდეგ კი ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგეს.

მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა ოტო მეორის ლაშქრობა სამხრეთ იტალიაში (ოტო მეორემ ნეაპოლი — იტალ. — ნაპოლი, სალერნო და ტარენტი — იტალ. ტარანტო დაიკავა, მაგრამ ბიზანტიელებისა და სიცილიელი არაბებისგან 982 წლის 13 ივლისს გამართულ ბრძოლაში დამარცხება განიცადა და ახალი ლაშქრობის მზადებისას, 983 წლის დეკემბერში გარდაიცვალა რომში), აპულია და კალაბრია ბიზანტიელების ხელში დარჩა. ბიზანტიის იმპერატორები ამ მხარეებს განაგებდნენ თავიანთი მოხელეების, ან როგორც მათ ზოგჯერ უწოდებდნენ, „კატაპანების“ მეშვეობით. აპულიისა და კალაბრიის დაკავებით ბიზანტიის იმპერატორები უშედეგოდ ცდილობდნენ ყოფილი რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის ბიზანტიასთან შეერთებას.

827 წელს ჩრდილო აფრიკიდან გადმოსულმა სარკინოზებმა (არაბებმა) დაიწყეს კუნძულ სიცილიის დაპყრობა, რაც დაასრულეს კიდეც 878 წელს ქ. სირაკუზის აღებით. ამის შემდეგ აქ განსაკუთრებული საამირო ჩამოყალიბდა. აქედან არაბები სამხრეთ იტალიის სხვა ნაწილებშიც შეიჭრნენ. მეთერთმეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება სამხრეთ იტალიელი ნორმანების ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ სიცილიის დასაპყრობად. ამ ბრძოლების შედეგად არაბებმა თავიანთი სამფლობელოების დიდი ნაწილი დაკარგეს, მაგრამ მონტეგარგანოსთან შეინარჩუნეს თავიანთი დასაყრდენი პუნქტი, საიდანაც ისინი ხშირ თავდასხმებს აწარმოებდნენ ბიზანტიელების სამფლობელოებზე იტალიაში (ბენევენტო და სხვ.) და აგრეთვე რომის პაპის ოლქზე. ეს გარემოება განუწყვეტელ ბრძოლებს იწვევდა მუსლიმებს და ქრისტიანთა შორის, რაც ისედაც ანარქიულ მდგომარეობას უფრო მეტად ამწვავებდა.

ამგვარად, იტალიის შესვლამ „რომის საღმრთო იმპერიაში“ და იქ გერმანელი იმპერატორების ბატონობამ არათუ რაიმე დადებითი გავლენა არ იქონია იტალიაზე, არამედ ის პოლიტიკურად უფრო მეტად დააქუცმაცა და მისი შინაგანი წინააღმდეგობანი ერთიორად გამწვავდა.

თავი VII

ინგლისი X—XI საუკუნეებში

§ 1. ინგლისი ნორმანდელთა თავდასხმამდე

ინგლისისა და სკანდინავიის ურთიერთობა XI საუკუნის დასაწყისამდე

ბრიტანეთის კუნძული, რომელზედაც შემდეგ ინგლისის სახელმწიფო წარმოიშვა, როგორც ზემოთ ვთქვით (იხ. თავი I, § 5, გვ. 74—80), საუკუნეების მანძილზე განიცდიდა გარეშე მტრების თავდასხმებს. ჯერ იყო და მას თავს ესხმოდნენ რომაელები (რომაელების პირველი შემოსევა ბრიტანეთში ცეზარის ხელმძღვანელობით 55 და 54 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომაელების მიერ ბრიტანეთის დაპყრობა კლავდიუსის დროს — 43 წ. ჩვ. წელთაღრიცხვით), შემდეგ III საუკუნიდან კუნძულზე იჭრებიან ფრიზები, იუტები, ანგლები და საქსები, ხოლო რომაული ლეგიონების გაყვანის შემდეგ, V საუკუნიდან, ბრიტანეთში საბოლოოდ მკვიდრდებიან ანგლო-საქსები და აარსებენ თავიანთ სამეფოებს. ერთ ხანს ბრიტანეთში თითქოს შეწყდა გარეშე მტრების შემოსევები, მაგრამ 793 წლის 18 ივნისს, — მოგვითხრობს ქრონიკა, — წარმართებმა ლინდისფარნში ძარცვისა და მკვლელობის საშუალებით ღვთის ეკლესია საშინლად გაანადგურესო.

ამ ძოკლე ჩანაწერით იწყება თხრობა იმ უბედურებასა და ბრძოლებზე, რაც დაახლოებით სამას წლამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში უცხოელებმა ინგლისის ნახევარი დაიპყრეს, ხოლო სკანდინაველმა დამპყრობლებმა და მათმა ზნე-ჩვეულებებმა ამ ქვეყანას წარუშლელი დაღი დაასვეს. ამ ხანებში ინგლისზე თავდასხმას ორი სახელმწიფო აწარმოებდა: დანია და ნორვეგია. პირველი უმთავრესად ინგლისს ესხმოდა თავს, ხოლო მეორე — ირლანდიასა და შოტლანდიას. IX საუკუნის განმავლობაში ნორვეგელებისა და დანელების თავდასხმები ინგლისზე უფრო გახშირდა. დამპყრობლებმა თანდათანობით ხელთ იგდეს ინგლისის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა ნორთუმბრია, მერსია და აღმოსავლეთი ინგლისი, ოლქებს, რომლებიც შემდეგ დანელების ხელში აღმოჩნდა, „დანური უფლების

მხარე“ ეწოდა. ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ამჯერად გადაურჩა დანელთა ბატონობას. იგი უესექსის ჰეგემონობით დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა.

ინგლისელების ბრძოლა დანელებთან ახალ ფაზაში შევიდა უესექსის მეფის, ალფრედ დიდის დროს (871—900). ალფრედის გამეფების პირველსავე წლებში ინგლისელები რამდენჯერმე დამარცხდნენ დანელებთან ბრძოლაში. 876 წ. დანელები კვლავ შეიჭრნენ უესექსში. მდგომარეობა მეტად გართულდა. ალფრედი იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო მოწინააღმდეგესთან და დიდძალი თანხა მიეცა, რომ დაეთანხმებინა ზავზე. მალე დანელებმა ეს ზავი დაარღვიეს და ახალი ბრძოლები წამოიწყეს. ამჯერად ინგლისელები უფრო დარაზმულად ეკვეთნენ მტერს და 878 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში დაამარცხეს იგი. დანელთა ხელმძღვანელი — გუტრუმი იძულებული გახდა ზავი დაედო. ამ ზავის მიხედვით, მთელი ინგლისი ინგლისელებსა და დანელებს შორის ორად განაწილდა. ინგლისელებს ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი, ხოლო დანელებს — ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ერგოთ. ქალაქი ლონდონი დანელებს გადაეცათ, მაგრამ იგი ალფრედმა კვლავ დაიბრუნა. დანელთა ამ სამეფოს ეწოდა „დენლო“, ე. ი. „დანური სამართლის“ მხარე.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელნიც უზრუნველყოფდნენ ინგლისზე მტრის ახალი თავდასხმების თავიდან აცილებას. ალფრედმა თავის დასაყრდენ ბაზად თავისუფალი გლეხობა აირჩია, რითაც შეძლო ზოგიერთი მსხვილი მიწათმფლობელის დამორჩილება. მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია გატარდა სამხედრო საქმეში. მთელი სამეფო დაიყო რამდენსამე სამხედრო ოლქად. თუ ადრე ომი სახალხო რაზმებით წარმოებდა, ახლა მუდმივი შეიარაღებული რაზმები ჩამოყალიბდა. დადგენილ იქნა, რომ მოსახლეობას ხუთ ნაკვეთზე („ჰაიდი“) ერთი მეომარი უნდა შეენახა. ამგვარად, შესაძლებელი გახდა მძიმედ შეიარაღებული ჯარის ნაწილების შექმნა. შემოღებულ იქნა, აგრეთვე, ციხესიმაგრეების აგების სისტემა. ციხეებში მძიმედ შეიარაღებული მეომრები ჩააყენეს. გათვალისწინებულ იქნა ისიც, რომ ნორმანებთან ბრძოლაში წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო საზღვაო ფლოტზე. ამ მიზნით ალფრედმა 100 ხომალდი ააგებინა, რომლებიც „ორჯერ უფრო გრძელი და არა ნაკლებ სწრაფმავალი, გამძლე და მაღალი იქნებოდა მტრის ხომალდებზე...“.

ადმინისტრაციული საქმიანობის მოწესრიგებასთან ერთად ალფრედი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამართლის საქმის მოგვარებას. შედგენილ იქნა კანონთა კრებული, რომელსაც „მეფე ალფრედის სამართალი“ ეწოდა. მანამდე ყველა ცალკეულ ანგლოსაქსურ სამეფოს ინგ-

ლისში თავისი საკუთარი სამართალი გააჩნდა. ასე მაგალითად, მოქმედებდა კენტის, უესექსის, მერსიისა და სხვა მეფეთა სამართლები. ახლა ალფრედის სამართალში თავი მოიყარა ყველა ამ სამართლის ძირითადმა კანონებმა, რომელთაც ალფრედმა დაუმატა თავისი ახალი კანონები. მეფე ალფრედის სამართალში ძველგერმანულ წყობილებასთან ერთად აისახა ფეოდალური წესწყობილების მნიშვნელოვანი განვითარება. ალფრედის სამართალი გაერთიანებულ ინგლისს ემსახურებოდა და იქცა ცნობილი ინგლისური საადათო სამართლის (Common law) საფუძვლად.

ალფრედი თავისი საქმიანობით კარლოს დიდს ჰგავდა. ალფრედის დროს ხელი ეწყობოდა სწავლა-განათლების განვითარებას, საზღვარგარეთიდან მოჰყავდათ მასწავლებლები, აარსებდნენ სკოლებს. თავისთან დაახლოებულ სწავლულთა დახმარებით ალფრედმა პირადად თარგმნა ლათინურიდან ინგლისურად ოროზიუსის მსოფლიო ქრონიკა, ბედას „ანგლების საეკლესიო ისტორია", რომის პაპის — გრიგოლის ნაწარმოებნი და სხვ. ამ ხანებში იწყება ქრონიკების წერაც, რომლებშიც მოთხრობილია ალფრედ დიდის მეფობის შესახებ. სწავლა-განათლების დანერგვის მიზნით სასულიერო პირთათვის საეპისკოპოსო კათედრებთან ჩამოყალიბდა სკოლებიც.

ამგვარად, მეათე საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ განმტკიცდა. სკანდინავიელების შემოსევები თანდათან შეწყდა. დანელებისა და ნორვეგელების თარეშის სიმძიმე ახლა უმთავრესად გადატანილ იქნა საფრანგეთის ტერიტორიაზე, სადაც ფეოდალური ანარქიისაგან შესუსტებულ ქვეყანას მათთვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. მეათე საუკუნის შუა ხანებში ინგლისი იმდენად გაძლიერდა, რომ თვითონ დაიწყო იერიშები დანელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში ინგლისელებმა გაიმარჯვეს. მეფე ედგარმა (959—975) დაიმორჩილა „დანური სამართლის" მხარე — „დეინლო" და, ამგვარად, მთელი ინგლისი გააერთიანა.

მერსიის მსხვილმა ფეოდალებმა 957 წელს ედგარი ჯერ მერსიის მეფედ, შემდეგ, 959 წლის ოქტომბერში უესექსისა და გაერთიანებული ინგლისის მეფედ გამოაცხადეს. ედგარის დროს ქვეყნის ფაქტიური მმართველი იყო კენტერბერის არქიეპისკოპოსი დუნსტანი. მაშასადამე, სამეფო ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს ეკლესია წარმოადგენდა. ედგარი ხელს უწყობდა ვაჭრობას. მის დროს ქალაქი ლონდონი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად იქცა. პტი-დიუტაის თქმით, „ეგბერტის, ალფრედ დიდის, ატელსტანის და ედგარის მეფობა ბრწყინვალე იყო. ატელსტანი და ედგარი ტრაბახობდნენ და ბაზილევსის, ცეზარის ტიტულს იჩემებდნენ".

დანელთა ახალი შემოსევები ინგლისში. ინგლისის პოლიტიკური დასუსტება

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, ფეოდალიზაციის შემდგომ განვითარებასთან ერთად, ინგლისის სამეფო ხელისუფლება კვლავ იწყებს შესუსტებას. ძლიერდება მსხვილი მიწათმფლობელობის პარტიკულარიზმი. ინგლისის იმდროინდელმა მეფემ, ეთელრედ II-მ (978—1016) სამეფო ავტორიტეტი დაკარგა. მას დაცინვით „უჯიათი" ანუ „შეუსმენელი" შეარქვეს. ამავე დროს ინგლისისათვის კვლავ დაიწყო საგარეო გართულებანი.

მეათე საუკუნის ბოლოს, დანიის მეფემ სვენმა თავისი გავლენა გაავრცელა ნორვეგიაზე. სვენმა და ნორვეგიის მეფე ოლაფმა გაერთიანებული ძალებით ინგლისზე გაილაშქრეს. სკანდინაველებისათვის საფრანგეთი თავდასხმების ობიექტად აღარ გამოდგებოდა, ვინაიდან იქ მათ მიერვე ჩამოყალიბებული ნორმანდიის საჰერცოგო X საუკუნის დამლევისათვის საკმაოდ ძლიერი და ახალი თავდასხმებისათვის მიუწვდომელი გახდა.

დანელებთან ბრძოლაში ეთელრედი უძლური აღმოჩნდა, მით უფრო, რომ ახლა ინგლისზე თავდასხმებს აწყობდნენ არა დანელთა არაორგანიზებული ცალკეული დაჯგუფებანი, არამედ მას თავს ესხმოდა სკანდინავიის გაერთიანებული სამეფო. დანელები თავიანთი შემოსევების დროს მოითხოვდნენ ხარკს, რომლის მიღების შემდეგ ისინი ტოვებდნენ ინგლისის მიწა-წყალს, რათა რამდენსამე წლის შემდეგ თავდასხმა და ხარკის აღება განეახლებინათ. ამ ფულად ხარკს შეერქვა „დანეგილდ" — „დანელების ფული". სვენის შეფობაში 991 და 1014 წლებს შორის ეს ხარკი შვიდჯერ აიკრიფა და შეადგინა, ერთობლივ, 158 ათასი გირვანქა ვერცხლი. „დანეგელდი" იქცა პირველ ფულად სახელმწიფო გადასახადად, რომელიც შემდეგაც იკრიბებოდა.

კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის ეთელრედმა მოკავშირედ გარეშე ძალების ძებნა დაიწყო. მან დახმარებისათვის ნორმანდიის ჰერცოგს მიმართა და მისი და ემა ცოლად შეირთო. ემას ინგლისში ნორმანდიის დიდებულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გაჰყვა. ამით პირველად ჩაეყარა საფუძველი ინგლისისა და ნორმანდიის ურთიერთობას, უფრო სწორად, — ნორმანდიის გავლენას ინგლისზე.

ნორმანდიის დახმარებამ ვერ უშველა ეთელრედის მდგომარეობას. დანელებმა და ნორვეგელებმა ინგლისის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს. ათი წლის ბრძოლის შემდეგ ეთელრედის ხელისუფლება სამარცხვინოდ დაეცა, თუმცა ქალაქი ლონდონი კვლავ განაგრძობდა თავდაცვას, სანამ ინგლისის ყველა სხვა ნაწილი არ გამოაცხადებდა მორჩილებას; ეთელრედი ცოლითა და შვილებით ნორმანდიაში გაიქცა.

შის მაგიერ ინგლისის მეფედ სვენი გამოაცხადეს. მაგრამ სვენიც მალე გარდაიცვალა და გაერთიანებული ინგლისის მეფედ სვენის შვილი კნუდი იქნა გამოცხადებული.

ინგლისელებმა, თავიანთ მხრივ, მეფედ კვლავ ეთელრედი მოიწვიეს. ინგლისელებსა და სკანდინაველებს შორის ბრძოლებმა მწვავე ხასიათი მიიღო. ეთელრედს ნორმანდიიდან თან გაჰყვა მისი შვილი ედმუნდი — „რკინის ფერდიანი". თავდაპირველად იგი სარდლის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ მეფე გახდა (იმეფა 1016 წ. აპრილიდან ნოემბრის დამლევამდე). ედმუნდმა ბრძოლებში დიდი ენერგია და ნიჭი გამოიჩინა. მან შვიდი თვის განმავლობაში შვიდი დიდი ბრძოლა მოიგო, არაერთხელ უკუაგდო მტრის ალყა ლონდონიდან და მოასწრო ინგლისის სამხრეთი ნაწილის განთავისუფლება უცხოელებისაგან. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ედმუნდმა და კნუდმა ზავი დადეს, რომლითაც ინგლისი მათ შორის განაწილდა. საზღვრად აღიარებულ იქნა მდინარე ტემზა, მაგრამ ზავის დადებიდან რამდენსამე დღის შემდეგ ედმუნდი მოულოდნელად გარდაიცვალა და გაერთიანებულ ინგლისის მეფედ კნუდი, ანუ კნუტი გახდა. ასეთი გამარჯვებით დამთავრდა დანელების ბრძოლა ინგლისისათვის და ამით დაიწყო დანელთა მეფის — კნუდ დიდის 18 წლიანი მმართველობა (1017—1035).

ინგლისი კნუდის მმართველობის ხანაში

დანელი მეფის — კნუდის გაერთიანებულ სამეფოში შედიოდა: ინგლისი, დანია, შვეციისა და ნორვეგიის ნაწილები, პრუსიელ ლიტველთა ტომის ოლქი და პომერანია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კნუდი თავისი შვიდი სამფლობელოდან უპირატესობას ინგლისს აკუთვნებდა და საკუთარი ტიტულის დასახელებისას პირველ რიგში ინგლისს მოიხსენიებდა. მან თავის რეზიდენციად ინგლისი გაიხადა და ცხოვრობდა არა „დანური სამართლის" მხარეში, არამედ სამხრეთ ინგლისში, საქსების ძირითად ოლქში — უესექსში.

კნუდი ცდილობდა უფრო მეტად დაახლოებოდა ინგლისელებს. სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე იგი ძირითადად ინგლისელებს ნიშნავდა. ამიერიდან ინგლისელი დიდებულებისათვის დანიაშიც ფართოდ იყო კარი გაღებული. ინგლისელებთან დაახლოების მიზნით, მან ცოლად ეთელრედის ქვრივი, ემა შეირთო. ემა თავისი შვილებით — ედუარდითა და ალფრედით ნორმანდიაში იმყოფებოდა. ემამ შვილები ნორმანდიაში დატოვა და თვითონ კნუდთან წავიდა ინგლისში.

ვიდრე კნუდი მმართველობის სათავეში მოექცეოდა, ინგლისი 39 ცალკეულ საგრაფოდ, ანუ როგორც მაშინ ინგლისში უწოდებდნენ,

შაირად იყო დაყოფილი. შაირების სათავეში იმყოფებოდნენ სამხედრო ხელმძღვანელები — ელდორმენი და შერიფი, მოხელენი, რომელთაც სამეფო შემოსავალთა აკრეფა ევალებოდათ. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ უესექსი წარმოადგენდა. აქ ხელმძღვანელებად არ იყვნენ ელდორმენები და შერიფები, იგი მეფის საკუთრებად ითვლებოდა. კნუდმა ეს წესი შეცვალა, უესექსზე თავისი უშუალო მმართველობა გააუქმა და მასაც შერიფი დაუნიშნა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უესექსის მმართველი სხვებთან შედარებით მოწინავე ადგილს იკავებდა და მეფის მოადგილედ ითვლებოდა. კნუდმა უესექსის მმართველად, ე. ი. თავის მოადგილედ, ინგლისელი გოდვინი დანიშნა. ამით ჩაეყარა საფუძველი გოდვინების საგვარეულოს გაძლიერებას.

კნუდის პოლიტიკა ნაკარნახევი იყო ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარი მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესებით. მან საყოველთაო გადასახადი — „დანელების ფული“ კვლავ შეინარჩუნა და კიდეც განამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი გროვდებოდა როგორც ხარკი დანელებისათვის. ეს პირველი ფულადი გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას და მისი მიწაზე მიმაგრების პროცესი დააჩქარა. მეორე მხრივ, ამავე გადასახადმა ადგილობრივი შაგნატების ძალაუფლება გააძლიერა. რადგან ეს უკანასკნელნი პასუხისმგებელი იყვნენ ამ გადასახადის სრულ აკრეფაზე, ცხადია, გადასახადების გამღები გლეხობა მათ უნდა დამორჩილებოდა.

კნუდის დროს ინგლისში გრძელდებოდა მუშაობა ერთიანი კანონმდებლობის შემოღებისათვის, და კიდეც გამოიცა კანონთა კრებული, რომელსაც საფუძვლად დაედო როგორც ანგლო-საქსების, ისე დანელების კანონები. ამ ორი სხვადასხვა მოდგმის ხალხის კანონთა გაერთიანება მოწმობს, რომ ინგლისში მყოფი დანელების სოციალურ-ეკონომიკური წყობილება და ყოფა-ცხოვრება ინგლისელებისას შეერწყა და რომ ფეოდალიზაცია ინგლისში თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. კნუდის კანონმდებლობა იყო ფეოდალიზაციის პროცესის იურიდიული გაფორმება.

მიუხედავად ამისა, კნუდის გაერთიანებული სამეფო დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. თუ ინგლისში მყოფ დანელებსა და ინგლისელებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური სხვაობა წაიშალა, სამაგიეროდ ნორვეგიისა და დანიის ეკონომიკური განვითარება სრულიად არ ემთხვეოდა ინგლისისას. ბართალია, პირველ ორ ქვეყანაში დაიწყო ფეოდალიზაციის პროცესი, მაგრამ თემური წყობილების ნაშთები იქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ამიტომ ეკონომიკურად შედარებით უფრო განვითარებულ ინგლისთან მათი შეერთება ძნელდებოდა. ამგვა-

რად, ამ ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება უფრო მეტად მეფის უნარიანობაზე აღმოჩნდა დამოკიდებული და კნუდის გარდაცვალებასთან ერთად იგი დაიშალა, რასაც თან მოჰყვა დანელთა ბატონობის მოსპობა ინგლისში.

ინგლისის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ნორმანდელების დაპყრობამდე

ინგლისში X—XI საუკუნეებში შეიმჩნეოდა საწარმოო ძალების ერთგვარი პროგრესი წინა პერიოდთან შედარებით. სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობა მიწის გაუმჯობესებული დამუშავების შედეგად გაიზარდა. XI საუკუნის ისტორიული მასალებიდან ჩანს, რომ ყანების გასანოყიერებლად შეჰქონდათ ბუნებრივი სასუქები. ამასთან, ყანების დამუშავება წლის განმავლობაში უკვე რამდენჯერმე წარმოებდა (გაზაფხულზე, ზაფხულში და ზამთარში). იმდროინდელი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხორბლეულის მოყვანასთან ერთად ტექნიკური კულტურების მოშენებაც დაიწყეს. ასე მაგალითად, XI საუკუნეში უკვე მოიპოვებოდა ენდრო (რომლიდანაც საღებავს ამზადებდნენ) და სელი; ხორბალთან და ქერთან ერთად (რომელიც გავრცელებული იყო ჯერ კიდევ VII—VIII საუკუნეებში) გვხვდება პარკოსანი მცენარეების სახელწოდებანი და ა. შ.

ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობის წინა ხანაში, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალიზმი უკვე ძირითად ეკონომიკურ წყობას წარმოადგენდა, რომელიც სოციალური ურთიერთობების სხვა ფორმების ნაშთებს თანდათან სპობდა. ზემოხსენებული საწარმოო ძალების ერთგვარი განვითარება გამოწვეული იყო ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის ხელშეწყობით. საზოგადოების წარმოების ძირითადი უჯრედი — გლეხური მეურნეობა ფეოდალი მესაკუთრის ბატონობაში იმყოფებოდა. გლეხი სულ უფრო და უფრო ექცეოდა ბატონის პირად დამოკიდებულებაში, ხოლო მისი მეურნეობა ფაქტიურად ფეოდალის კუთვნილებას წარმოადგენდა. X—XI საუკუნეებში ზოგიერთი თემიც კი ყმურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მასების დაყმევების პროცესს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს თვით ფეოდალური აპარატი. მეფე ათელსტანი, იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებინა მართვა-გამგეობის ტვირთი, ლორდებისაგან მოითხოვდა თვითონ ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი იმ ადამიანებზე, რომლებიც მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და რომელნიც შემჩნეულნი იქნებოდნენ ქურდობაში ან სხვა ბოროტმოქმედებაში. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ლორდთაგანს ბევრი დაქვემდებარებული პირი ჰყავდა და ამიტომ ვერ შეძლებდა პირადად გაეწია ყველასათვის მეთვალყუ-

რეობა, მას თავის ყოველ სოფელში უნდა დაენიშნა ისეთი მმართველი, რომელიც მისი ნდობით იქნებოდა აღჭურვილი და რომელსაც შეეძლო პასუხისმგებლობა ეკისრა.

ჰლაფორდატი (პატრონატი) ინგლისში ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ თუ ის წინათ კერძო ხასიათს ატარებდა, X—XI საუკუნეებში საყოველთაო მოვლენად გადაიქცა. ჯერ კიდევ „ათელსტანის კანონების“ მიხედვით, ყველა ვალდებული იყო თავისთვის „პატრონი“ მოენახა. ასეთ ვითარებაში მფარველები მფარველობის ქვეშ აყვანილ პირთა მიწასაც თვითონ ისაკუთრებდნენ. რაც დრო გადიოდა, ფეოდალების ძალაუფლება უფრო და უფრო იზრდებოდა. გლეხობა კარგავდა თავის მიწასა და დამოუკიდებლობას. ანგლო-საქსთა პერიოდის მიწურულში არსებობდა უშუალო მწარმოებელთა რამდენიმე ფენა: თავისუფალი გლეხები, რომელთაც საკუთარი მიწები ჯერ კიდევ გააჩნდათ და იხდიდნენ გადასახადს ნაწილობრივ მეფის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში — მეზობელი ლორდის სასარგებლოდ; ყმები, რომელთაც ფეოდალებისაგან ნაკვეთები ჰქონდათ მიღებული და რომელნიც მძიმე ღალას იხდიდნენ. ისინი მთელი წლის განმავლობაში კვირაში რამდენსამე დღეს ფეოდალის საკუთარ მეურნეობაში უფასოდ მუშაობდნენ და, გარდა ამისა, იხდიდნენ ღალას შინაური პირუტყვით, ფულით და სხვ. და ბოლოს, კოტერები — მცირე მიწის მფლობელები, რომელნიც იძულებულნი იყვნენ აგრეთვე ფეოდალური ვალდებულება შეესრულებინათ.

მიუხედავად ამისა, ანგლო-საქსებში ფეოდალიზაცია მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში მოიპოვებოდა თავისუფალი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ინგლისის გლეხობის დიდი ნაწილი „მფარველობის“ ქვეშ იმყოფებოდა და მხოლოდ ამით იყო ვალდებული ინგლისელი ფეოდალის მიმართ. არც ყმების მდგომარეობა იყო სავსებით გარკვეული. ზოგჯერ ისინი დამოკიდებულნი იყვნენ თავიანთ ბატონებზე, მაგრამ ისინი ბატონყმურ მდგომარეობაში ჯერ სავსებით არ იყვნენ მოქცეულნი. ამასთან, იმუნიტეტის (ინგლისურად იმუნიტეტს „სოკა“ ეწოდებოდა) გავრცელება უფრო ცალმხრივი იყო; ფეოდალების კერძო სასამართლოები უკვე არსებობდა, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი სამეფო სასამართლოს ექვემდებარებოდა.

ინგლისი ნორმანდელების შემოსევის წინ

კნუდი გარდაიცვალა 1035 წელს. მის შვილებს — ჰარალდსა და ჰარდიკნუდს (ჰარტაკნუტი) შორის პირველობისათვის ატყდა ბრძოლა, რომელიც იმით დამთავრდა, რომ ინგლისი კვლავ გაიყო. ჩრდილოეთში

ჰარალდი გამეფდა, ხოლო სამხრეთში — ჰარდიკნუდი. ინგლისში ატეხილი შინაგანი ბრძოლით ისარგებლეს ნორმანდიამ და მისმა ჰერცოგმა, რომელმაც ინგლისის ყოფილი მეფის უმცროსი შვილი, ალფრედი, 900 რაინდით გაგზავნა ინგლისში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ნორმანდელთა ეს ექსპედიცია მარცხით დამთავრდა. მართალია, ალფრედმა ინახულა გოდვინი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ალფრედი ხელთ იგდეს ჰარალდის კაცებმა და თვალები დასთხარეს, ხოლო მისი მხლებლები ამოწყვიტეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ალფრედი გარდაიცვალა.

ჰარალდის გარდაცვალების შემდეგ ინგლისი ჰარდიკნუდმა გააერთიანა. მან შეცვალა პოლიტიკა და შეეცადა ყველაფერში დანელები გაებატონებინა. ინგლისელთაგან ის დანელთა სასარგებლოდ ხარკს კრეფდა და ცდილობდა ყველა მაღალ თანამდებობაზე ეს უკანასკნელნი დაენიშნა. ამან ინგლისელებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის შედეგადაც ინგლისის ცალკეულ მხარეებში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო. ასეთ ვითარებაში ჰარდიკნუდი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ მოძრაობას სათავეში გოდვინი ჩაუდგა. ვიდრე დანელები მოასწრებდნენ ახალი მეფის არჩევას, მან ზედიზედ დაამარცხა დამპყრობლები და ინგლისიდან განდევნა. ამის შემდეგ ინგლისელებმა გადაწყვიტეს, მეფედ მოეწვიათ ეთელრედ II-ის უფროსი შვილი, ედუარდი, რომელიც ნორმანდიაში იმყოფებოდა.

ედუარდ „აღმსარებელი" (1042—1066) ბავშვობიდანვე ნორმანდიაში იზრდებოდა. ცხადია, ის ნორმანდიის ჰერცოგის დიდ გავლენას განიცდიდა. როცა იგი ნორმანდიიდან ინგლისში დაბრუნდა სამეფო ტახტის მისაღებად, მას თან ახლდა უამრავი მრჩეველი და ამალის წევრი — ნორმანდელი, ბურგონელი და ფლამანდელი დიდებულები. მათი რიცხვი შემდეგ უფრო გაიზარდა. წარმოშობით ინგლისელმა მეფემ სამეფო სასახლე უცხოელებით გაავსო. მათივის მეფის მიერ შექმნილი პრივილეგიური მდგომარეობა შურით ავსებდა ინგლისელ დიდებულებს, მით უფრო, რომ მეფე მთლიანად უცხოელთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

სახელმწიფო აპარატის ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობანი ახლა ნორმანდელებმა დაიკავეს. კენტერბერის არქიეპისკოპოსის ადგილიც კი მათ ხელში აღმოჩნდა, მიუხედავად ამ თანამდებობის არჩევითი ხასიათისა. ედუარდმა ამ თანამდებობაზე ნორმანდელი ბერი რობერტი დანიშნა. გოდვინი, რომლის ხელიდანაც ედუარდმა სამეფო გვირგვინი მიიღო და რომლის ასულიც ცოლად შეირთო, თანდათანობით სულ უფრო ჩამოაცილეს მართვა-გამგებლობის საქმეს. უკმაყოფილო გოდვინი, თავის მხრივ, გარშემო იკრებდა ყველა იმ პირს, ვინც მეფის ნორმანდული პოლიტიკის ოპოზიციაში აღმოჩნდა. შეიძლება

ითქვას, რომ ედუარდ აღმსარებლის მმართველობის ისტორია სამეფო ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვებისათვის გოდვინსა და ნორმანდელთა შორის განუწყვეტელი ბრძოლის ისტორიაა.

განსეთქილება გოდვინსა და მეფეს შორის დუვრში მომხდარი ამბებით დაიწყო. მეფეს 1051 წელს ეწვია ნორმანდული ბულონიის გრაფი, ამაყი და, ამავე დროს, მეტად გოროზი პიროვნება. ამ მოგზაურობის დროს იგი თავისი რაინდებით დუვრში გაჩერდა ღამის გასათევად. ნორმანდელების უხეშმა საქციელმა მოქალაქეთა ამბოხება გამოიწვია. დუვრელებმა ბრძოლაში რამდენიმე რაინდი მოკლეს. თვით გრაფმა ძლივძლივობით მოასწრო დუვრიდან გაქცევა. დუვრი უესექსის საგრაფოს ეკუთვნოდა, რომლის ერლი (გრაფი) გოდვინი იყო.

მეფე ედუარდმა გამოიძახა გოდვინი და წინადადება მისცა დუვრის მოსახლეობა სასტიკად დაესაჯა. ამ უკანასკნელმა მეფის ბრძანება არ შეასრულა და თავისი მხლებლებით გაიქცა. ამას მოჰყვა მისი ქონების კონფისკაცია. თვით გოდვინს უიტენაგემოტმა დაუსწრებლად გაძევების განაჩენი გამოუტანა. მეფის სასახლის კარზე ნორმანდელებმა და მათი ორიენტაციის მომხრეებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. გოდვინის გაქცევის შემდეგ ნორმანდელთა წინააღმდეგ ვეღარავინ ბედავდა გაშოსვლას. ასეთ ვითარებაში ინგლისს სტუმრად თვით ნორმანდიის ჰერცოგი გიიომი (ინგლისურად — უილიამი) ეწვია, რომელსაც ნორმანდელებმა დიდი ზეიმი მოუწყვეს.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემონათქვამს ნორმანდელების მიმართ, არც ისე საკვირველი გახდება ნორმანდიის ჰერცოგის გიიომის გადაწყვეტილება ინგლისის დაპყრობის შესახებ. ინგლისის დაპყრობა ნორმანდელების მიერ დიდი ხნით უფრო ადრე მზადდებოდა, ვიდრე გიიომი თავის შეიარაღებულ ძალებს გადმოსხამდა ინგლისის ტერიტორიაზე. ამჟამად კი ნორმანდელების სიხარული მოპოვებული წარმატების გამო, ცოტა არ იყოს, ნაადრევი აღმოჩნდა.

რაც უფრო მეტ თავაშვებულობას იჩენდნენ ნორმანდელები მეფის სასახლეში, იმდენად უფრო მეტად იზრდებოდა გოდვინის მომხრეთა წინააღმდეგობა. გოდვინის სახელი უცხოელებთან ბრძოლის სიმბოლოდ გადაიქცა. ინგლისში დღითიდღე იზრდებოდა მოძრაობა ნორმანდელების წინააღმდეგ. როცა ამ მოძრაობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, გოდვინი თავისი შვილით ჰაროლდითა (ჰარალდი) და შეიარაღებული რაზმებით ინგლისში გადმოვიდა და ლონდონისაკენ გაემართა. გზადაგზა მისი შეიარაღებული ნაწილები თანდათან იზრდებოდა. ლონდონის მოსახლეობაც მალე გოდვინის მხარეზე გადავიდა და ედუარდ აღმსარებელი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

ბოლოს და ბოლოს, გოდვინებმა გაიმარჯვეს. მათ მეფე მთლიანად თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს. ამ დროისათვის მთელი ინგლისი

ოთხ დიდ საერლოდ (საგრაფოდ) იყო დაყოფილი. აქედან სამი საერლო გოდვინების კუთვნილებაში აღმოჩნდა. ნორმანდელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ინგლისი და თავიანთ სამშობლოში — ნორმანდიაში წასულიყვნენ. მალე გოდვინი გარდაიცვალა. მისი შვილი, ჰაროლდი, უესექსის ერლად (გრაფად) და მეფის მოადგილედ დაინიშნა. 1066 წლის დასაწყისში, ედუარდ აღმსარებლის გარდაცვალების შემდეგ, ინგლისის უიტენაგემოტმა ჰაროლდი მეფედ გამოაცხადა.

ჰაროლდის მეფედ გამოცხადებას, მართალია, უიტენაგემოტმა ერთსულოვნად დაუჭირა ძხარი, მაგრამ ჩრდილოეთ ინგლისის ორი ოლქი — მერსია და ნორთუმბერლენდი, ანუ ნორთუმბრია — ასეთი არჩევანის წინააღმდეგ წავიდა. ამ ოლქებმა ჰაროლდი მეფედ არა ცნეს. შემდეგ ჰაროლდს პირადად დასჭირდა ჩრდილოეთში წასვლა ამ ოლქების დასამორჩილებლად. ამ ოლქების ერლები (გრაფები) ედვინ მერსიელი და მორკერ ნორთუმბრიელი (ეს დიდგვარიანი ერლები ძმები იყვნენ), იძულებულნი გახდნენ მას დამორჩილებოდნენ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ისინი კვლავ მოისურვებდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას. ინგლისის შინაგანი მდგომარეობა იმითაც გართულდა, რომ ნორმანდელების ინგლისიდან წასვლის შემდეგ ინგლისში მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩნდნენ ნორმანდელთა ორიენტაციის მქონე პირები.

იმდროინდელ ინგლისს სხვა მხრივაც მოელოდა საფრთხე. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე ჰაროლდი მეფე გახდებოდა, მისი ძმა ტოსტიგი ნორთუმბერლენდის ერლად იყო დანიშნული. ამ უკანასკნელმა საქმე ისე წარმართა, რომ მას ნორთუმბერლენდის მოსახლეობა აუჯანყდა. ჰაროლდს დაევალა აჯანყების მიზეზის გამოკვლევა. სამეფო ხელისუფლების წინაშე მან განაცხადა, რომ აჯანყების საქმეში მისი ძმა ტოსტიგი იყო დამნაშავე. ამის შემდეგ ტოსტიგი ნიდერლანდებში გაიქცა და იქ ელოდა ხელსაყრელ მომენტს ძმისათვის სამაგიეროს გადასახდელად.

§ 2. ინგლისის დაპყრობა ნორმანდელების მიერ

ნორმანდიის ჰერცოგის — გიიომის მზადება ინგლისის დასაპყრობად

ედუარდ აღმსარებლის გარდაცვალებისთანავე, იმის გამო, რომ ედუარდმა თავისი ანდერძით, როგორც უშვილომ, ვითომდა გადასცა მას ინგლისის სამეფო ტახტი, გიიომმა ინგლისზე განაცხადა პრეტენზია და მზადება დაიწყო მის დასაპყრობად. პირველ რიგში საჭირო იყო მოკავშირის მოძებნა. გიიომის მოკავშირედ ძლიერი რომის პაპი გამოდგე-

ბოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომის პაპი უნდა დაინტერესებულიყო გიიომის ამგვარი ავანტიურისტული წამოწყებით.

ფეოდალურ ევროპაში არსებულ კათოლიკურ ეკლესიათა შორის რომის პაპს ყველაზე ნაკლებად ინგლისის ეკლესია ემორჩილებოდა. ინგლისის ეკლესიას ძრავალი თავისებურება ჰქონდა, რაც პაპისათვის მიუღებელი ხდებოდა. ნაცვლად იმისა, რომ ინგლისის ეკლესიაშიც გაბატონებულიყო ლათინური ენა, წირვა-ლოცვას ანგლოსაქსურ ენაზე აწარმოებდნენ. გარდა ამისა, კლუნიური მოძრაობის საწინააღმდეგოდ, საეკლესიო საქმეებს სასულიერო და საერო წოდებათა წარმომადგენელნი ერთად აგვარებდნენ. ცალკე საეკლესიო კრებები არ იმართებოდა, სასულიერო წოდება მთლიანად დაქვემდებარებული იყო საერო კანონმდებლობისადმი. რომის პაპი უკმაყოფილო იყო იმითაც, რომ ინგლისში ეპისკოპოსების დანიშვნა ხშირად პაპების ნება-სურვილის გარეშე წარმოებდა.

როდესაც გიიომმა რომის პაპს მიმართა, უკანასკნელმა მას სიამოვნებით აღუთქვა დახმარება. პაპმა გამოაქვეყნა ბულა, რომელშიც ჰაროლდი გამოცხადებული იყო „უზურპატორად", ხოლო გიიომი — ინგლისის „კანონიერ მეფედ". აძასთან, პაპი ყველას მოუწოდებდა გიიომს დახმარებოდნენ „საღმრთო საქმეში" — ინგლისის დაპყრობაში. ამიტომ ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობა ერთდროულად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სკანდინაველების უკანასკნელი შემოსევები და როგორც ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა.

პაპის ბულის გამოქვეყნების შემდეგ გიიომმა მთელ საფრანგეთში დაგზავნა თავისი აგენტები, რომელნიც დაუცხრომლად მოუწოდებდნენ მოსახლეობას ამ „ჯვაროსანთა ლაშქრობაში" მონაწილეობა მიეღოთ. ნორმანდიის საპერცოგოს შეიარაღებულ ძალებს დღითი დღე ემატებოდნენ ყველა ჯურის ავანტიურისტები და თავზეხელაღებულნი საფრანგეთის თითქმის ყველა საჰერცოგოდან და საგრაფოდან. მალე ჰაროლდის ძმა, ტოსტიგიც გამოჩნდა. გიიომის წაქეზებითა და დახმარებით იგი გაეშურა ჩრდილოეთისაკენ ინგლისში სხვა მიმართულებით შეჭრისათვის და ძმისათვის სამაგიეროს გადასახდელად.

არსებული წყაროების უმეტესობა მეტად აზვიადებს გიიომის შეიარაღებული ძალების რაოდენობას. ზოგიერთის აზრით, გიიომმა თავი მოუყარა 60 000-მდე კაცს და 700 ხომალდს, ზოგიერთის მიხედვით კი, გიიომის ჯარების რაოდენობა 12 000 კაცს არ აღემატებოდა, სხვანი ნორმანდელების ძალებს განსაზღვრავენ 7—10 ათასი კაცით. უკანასკნელთა აზრი უფრო შეესაბამება სინამდვილეს. მთელ ამ ავანტიურისტულ ხროვას წინ მიუძღოდა გიიომი (შემდეგ უილიამ „დამპყრობლად" წოდებული), რომელიც იბრძოდა რომის პაპის მიერ ნაბოძები საბრძოლო დროშით.

ნორმანდელების ბრძოლა ინგლისელებთან და ნორმანდელთა მიერ ინგლისის დაპყრობა

გიიომის მზადება ომისათვის ჰაროლდმა ადრევე შეიტყო და :მიტომ ინგლისიც მოამზადა თავდაცვისათვის. ჰაროლდმა ინგლისის ჩრდილოეთი საგრაფოების დაცვა ედვინსა და მორკერს დაავალა, თვითონ კი შეიარაღებული ძალებით გაემართა სამხრეთი სანაპიროებისაკენ, საიდანაც მოსალოდნელი იყო ნორმანდელების თავდასხმა. იგი მთელი ოთხი თვის განმავლობაში (1066 წლის გაზაფხულის ბოლო და ზაფხული) ელოდა მოწინააღმდეგესთან შეხვედრას. ჰაროლდის ჯარებში უკმაყოფილება დაიწყო. მტერი არ ჩანდა. ყანების მომკის დრო კი ახლოვდებოდა; მეომრები შინ დაბრუნებას მოითხოვდნენ. რამდენსამე დღის შემდეგ ჰაროლდის ბანაკში მიღებულ იქნა ცნობა, რომ ჰაროლდის ძმამ, ტოსტიგმა და მისმა ამხანაგმა, ნორვეგიის მეფემ, ინგლისის ჩრდილოეთი საზღვრები გადმოლახეს და იორკი დაიპყრეს.

საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. ჰაროლდმა თავი მიანება სამხრეთს და თავისი ჯარით ჩრდილოეთისაკენ გაემართა. თავისი ჰაუსკერლებით (მეფის მცველი გვარდია) იგი სწრაფად მიადგა სტამფორდბრიჯს, რომლის მახლობლადაც გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. 25 სექტემბერს ჰაროლდმა მტერი სასტიკად დაამარცხა და ინგლისიდან განდევნა. ამ ბრძოლაში მოკლულ იქნენ როგორც ნორვეგიის მეფე, ისე ტოსტიგიც.

ვიდრე ჰაროლდი ჩრდილოეთში იმყოფებოდა, გიიომ დამპყრობელი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თავისი ჯარებით პევენსიში გადავიდა. ცნობა ნორმანდელების ინგლისში გადასვლის შესახებ ჰაროლდმა მხოლოდ პირველ ოქტომბერს მიიღო. იგი სასწრაფოდ სამხრეთისაკენ დაიძრა. ლონდონში მან რამდენიმე დღე დაჰყო, რომ მაშველ ძალებს დალოდებოდა. მაგრამ ედვინი და მორკერი თავიანთი ძალების გამოყვანას განგებ აგვიანებდნენ. მათ ეგონათ, რომ გიიომის ხელში ისინი უფრო მეტ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ, ვიდრე ჰაროლდის მმართველობის დროს. ჰაროლდს დაყოვნება აღარ შეეძლო. შექმნილი ვითარება მოითხოვდა სწრაფ მოქმედებას და იგი მთელი თავისი ძალებით ჰასტინგსისაკენ გაემართა. ჰაროლდი დაბანაკდა სენლაკის გორაკზე, ჰასტინგსთან, რომლის მახლობლადაც განლაგებული იყო გიიომის ჯარი.

მოწინააღმდეგეთა ჯარები თავიანთ სამხედრო აღნაგობით ერთიმეორისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. ნორმანდელი რაინდები მთლიანად ჯავშანში იყვნენ ჩამსხდარნი და, ძირითადად, ცხენოსან რაზმებს შეადგენდნენ. მათ საბრძოლო იარაღიც უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე ანგლო-საქსებს, რომელნიც უმთავრესად ცულებითა და მშვილდ-ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი და თავდაცვის კარგი საშუალებანი არ გა-

აჩხდათ. ნორმანდელ რაინდებთან მხოლოდ ჰაუსკერლების დაპირისპირება შეიძლებოდა, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოეთში წარმოებული ბრძოლების დროს დაიღუპა, ხოლო დანარჩენი მოქანცული აღმოჩნდა. გარდა ამისა, ანგლო-საქსები ძლიერნი იყვნენ მხოლოდ შემჭიდროებულ მწყობრში, ორთაბრძოლებში კი მოისუსტებდნენ.

ანგლო-საქსების ერთადერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მოხერხებული პოზიცია დაიკავეს. ისინი ტყით · დაფარულ გორაკზე განლაგდნენ ისე, რომ მტერს მათი ზურგიდან შემოვლა არ შეეძლო. პირდაპირი იერიშების მიტანა მწყობრში ჩამდგარ ანგლო-საქსებზე კი დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ანგლო-საქსების მთავარი მიზანი მტრის წინსვლის შეჩერება იყო. მაშასადამე, ჰაროლდს პირველ ხანებში მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლა უნდა ეწარმოებინა.

ბრძოლა ჰასტინგსთან 1066 წლის 14 ოქტომბერს მოხდა. იერიში ნორმანდელმა მოისრეებმა მიიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ძალები რიცხობრივადაც და ისრების ტყორცნის მანძილითაც მოწინააღმდეგისას სჭარბობდა, ისინი მაინც იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, რადგან ანგლო-საქსები მაღლობიდან მტერს უფრო მეტ ზიანს აყენებდნენ. ადგილმდებარეობამ ხელი შეუწყო ჰაროლდის ნაწილებს მტერი მეორედაც უკუექციათ; როცა ნორმანდელების ცხენოსანმა და ქვეითმა ნაწილებმა ერთად მიიტანეს იერიში, აღმართზე იერიში მათ გაუჭირდათ. ანგლო-საქსებმა მტრის რამდენიმე მძაფრი იერიში მოიგერიეს. მაშინ გიიომმა „სკვითური ტაქტიკა“ გამოიყენა. უბრძანა თავის ცხენოსნებს ერთხელ კიდევ მიეტანათ იერიში მოწინააღმდეგეზე და სწრაფად უკან გამოქცეულიყვნენ იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს მიეტოვებინა თავისი ხელსაყრელი ადგილი და უკან დასდევნებოდა. მოხერხებულმა ტაქტიკამ გაჭრა. ანგლო-საქსები გამოიტყუეს ვაკეზე, აქ კი რაინდობას მტრის განადგურების მეტი შესაძლებლობა მიეცა. ანგლო-საქსები დამარცხდნენ, ჰაროლდი მოკლეს.

ნორმანდელებისათვის ჰასტინგსთან ბრძოლის მოგება მთელი ინგლისის ხელში ჩაგდებას ნიშნავდა, ვინაიდან ორგანიზებული წინააღმდეგობა დამპყრობლებს თითქმის აღარ შეხვედრიათ. პევენსისთან ნორმანდელების მოსვლიდან სამი თვის შემდეგ, 25 დეკემბერს, გიიომ დამპყრობელი ლონდონში ინგლისის მეფე უილიამად იქნა გამოცხადებული. დაპყრობილ ადგილებში დაიწყო ინგლისელების მიწების კონფისკაცია და მათი ნორმანდელ დამპყრობთათვის გადაცემა. მიწებით, პირველ ყოვლისა, დასაჩუქრებულ იქნენ უილიამის ნათესავები, თანამებრძოლნი და ნორმანდიიდან მოსული სასულიერო პირები. ნორმანდელებმა დაიტაცეს, აგრეთვე მოძრავი ქონება — ოქროსა და ვერცხლის სახით. ნორმანდელების მიერ წარმოებული ძარცვა-რბე-

ვა და მათი არაადამიანური მოპყრობა მოსახლეობისადმი ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილსაც მოედო, სადაც ნორმანდელების ძირითადი ძალები ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული. დამპყრობელთა ასეთმა ქცევამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. დამპყრობელთა წინააღმდეგ თავდაპირველად ინგლისის დასავლეთი ნაწილი აჯანყდა, სადაც მოძრაობის ცენტრად ხალხმრავალი ეკზეტერი გადაიქცა. ვიდრე აჯანყებულთ სხვა რაიონები დაეხმარებოდნენ, უილიამ დამპყრობელმა შოასწრო ამ ქალაქის დაკავება და აჯანყება სისხლში ჩაახშო. მან ქალაქს უზომო ხარკი გადაახდევინა. თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ამ მხარეში ააგო ციხესიმაგრეები და შიგ ნორმანდელების გარნიზონები ჩააყენა. ყველაფერი ეს მან მოახერხა მანამდე, სანამ ჩრდილოეთში დაიწყებოდა ახალი და უფრო საშიში აჯანყება დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ ინგლისის აჯანყება სახიფათო იყო, რადგან მის შეიარაღებულ ძალებს ჰასტინგსთან ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ და ცოცხალი მებრძოლი ძალა მთლიანად შენარჩუნებული იყო. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ნაწილში თავისუფალი გლეხობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა. ნორმანდელ დამპყრობლებს ინგლისში თან ძოჰქონდათ დაყმევების უფრო მკაცრი ფორმები, რის წინააღმდეგაც არ შეიძლებოდა არ ამხედრებულიყვნენ თავისუფლებისმოყვარე გლეხები. მაგრამ ვიდრე მოძრაობა ამ ადგილებში აჯანყებაში გადაიზრდებოდა, უილიამ დამპყრობელი თავისი ჯარებით იორკს მიადგა. იქ მყოფი ჩრდილოეთის ჯარის ნაწილი დაშალა და ციხესიმაგრეები ააგო. ამის შემდეგ აქაც დაიწყო მიწების კონფისკაცია.

უილიამის წასვლის შემდეგ იორკი კვლავ აჯანყდა. ამჯერად აჯანყებულებს დანელებიც დაეხმარნენ. იორკში აჯანყებულებმა ორივე ციხესიმაგრე დაანგრიეს და იქ მყოფი ნორმანდული გარნიზონები ამოხოცეს. უილიამმა კვლავ გაილაშქრა აჯანყებულთა წინააღმდეგ და 1069 წელს იორკი აიღო. დამპყრობლებმა მთელი იორკის ველი გადაწვეს. გლეხთა დიდი რაოდენობა ბრძოლაში გაწყდა. ყველაფერი, რისი განადგურებაც კი შეიძლებოდა, მტერმა მოსპო. ჩვიდმეტი წლის შემდეგ ჩატარებული ინგლისის საყოველთაო აღწერის მასალებში ჩრდილოეთის საგრაფოები შემდეგნაირად იყო დახასიათებული: „უკაცრიელი ადგილი“, „იორკსა და დარემს შორის არც ერთი ქალაქი არ გადარჩენილა“ და სხვ. ნორმანდელების მხეცობა ისეთი საშინელი აღმოჩნდა, რომ ამის შემდეგ რაიმე ახალი აჯანყების მოწყობა სრულიად უაზრო ხდებოდა. დამპყრობელთა ბატონობა ურყევი იყო.

§ 3. ნორმანდელთა შემოჰრის შედეგები

ინგლისის გაბატონებულ კლასში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები ნორმანდელთა შემოჭრის შემდეგ

უილიამსა და მის დამქაშებს ამიერიდან თავისუფლად შეეძლოთ ესარგებლათ ინგლისზე გამარჯვებით. მიწების კონფისკაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. დაკარგა რა თავისი ეკონომიკური ძლიერება, ინგლისური წარმოშობის არისტოკრატია პოლიტიკურადაც არარაობად იქცა. ანგლო-საქსთა ლორდების მნიშვნელოვანი ნაწილი ან დაიღუპა, ან ინგლისიდან გადაიხვეწა. მათი პრივილეგიები და პოლიტიკური უფლებები ახლა ნორმანდელი დამპყრობლების ხელში გადავიდა. მაგრამ უილიამს კარგად ესმოდა, რომ განდიდებული ნორმანდელი ფეოდალები ორანაკლებ სახიფათონი იქნებოდნენ ცენტრალური, სამეფო ხელისუფლებისათვის. ამიტომ მათთვის მიწების გადაცემა თავისებური ხერხით წარიმართა: ნორმანდელ ფეოდალებს მიწები გადაეცათ არა კომპაქტურად, არამედ ცალ-ცალკე, სხვადასხვა საგრაფოში. მიწების ამგვარი განაწილების დროს ფეოდალის ძალები, რაგინდ მსხვილი მიწათმფლობელიც არ უნდა გამხდარიყო იგი, მაინც დაქსაქსული აღმოჩნდებოდა და, მაშასადამე, განდგომის შემთხვევაში ეს გარემოება სამეფო ხელისუფლებისათვის დიდ საშიშროებას აღარ შექმნიდა.

რადგან ახალმა ფეოდალებმა მიწები უშუალოდ მეფის ხელისუფლებისაგან მიიღეს, მათი ვასალური დამოკიდებულება მეფისადმი უფრო მტკიცე უნდა ყოფილიყო, ვიდრე კონტინენტურ ევროპაში. მიღებული მიწების საფასურად ფეოდალები ვალდებულნი იყვნენ მეფისათვის სამსახური გაეწიათ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გადასახადები უნდა გაეღოთ მეფის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფეოდალის მამული მემკვიდრეობით გადავიდოდა მამიდან შვილზე („რელიეფი"). ამას დაემატა ისიც, რომ უილიამმა ფეოდალურ ევროპაში არსებული წესი—„ჩემი ვასალის ვასალი არაა ჩემი ვასალი"—დაარღვია და მის ნაცვლად ყველა ვასალისაგან მეფის ხელისუფლებისადმი უშუალო დამორჩილება მოითხოვა.

1086 წელს, ინგლისის აღწერის ჩატარების შემდეგ, უილიამმა, ქრონიკების გადმოცემით, „არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, აბატებს, გრაფებს, ბარონებსა და შერიფებს უბრძანა თავიანთი რაინდებით პირველი აგვისტოსათვის მასთან გამოცხადებულიყვნენ სოლსბერიში და როცა ყველა გამოცხადდა, აიძულა ისინი ერთგულების ფიცი დაედოთ მის წინაშე". ამგვარად, ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობის შედეგად სამხედრო-ფეოდალურმა სისტემამ მკაცრი, ცენტრალიზებული ხასიათი მიიღო, რამაც ინგლისის სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვნად განამტკიცა.

არანაკლები ცვლილებები მოხდა გაბატონებული კლასის მეორე ფენაში — სასულიერო წოდებაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უილიამ დამპყრობელმა თავისი გამარჯვება რომის პაპის დახმარებით მოიპოვა. პაპს იმედი ჰქონდა, რომ უილიამის სახით ინგლისში მას საიმედო მოკავშირე ეყოლებოდა და მისი დახმარებით ინგლისის ეკლესიას ისე გარდაქმნიდა, როგორც აშას კლუნიური მოძრაობა მოითხოვდა. მართლაც, ინგლისში გაბატონების შემდეგ უილიამმა გადააყენებინა კენტერბერის არქიეპისკოპოსი სტიგანდი და მის ნაცვლად 1070 წელს ცნობილი იტალიელი სწავლული იურისტი და სქოლასტი ლანფრანკი დანიშნა. გადაყენებულნი აღმოჩნდნენ თითქმის ყველა დანარჩენი ეპისკოპოსები და აბატები, რომელთა ადგილი იტალიელებმა, ფრანგებმა და ნორმანდელებმა დაიკავეს.

ამის შემდეგ უილიამმა ეკლესია უხვად დაასაჩუქრა. მან ახლად დაყენებულ სასულიერო პირებს შეუქმნა მეტად პრივილეგირებული მდგომარეობა. უილიამის ერთგული ეპისკოპოსები და აბატები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფო საბჭოს საქმიანობაში. დიპლომატიური მისიების შედგენისას მეფე ცდილობდა მათში სასულიერო პირებიც შეეყვანა. ინგლისის ეკლესიასთან ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური საეკლესიო სასამართლო. ამიერიდან ყველა სადავო საკითხი, რომელიც წამოიჭრებოდა საეკლესიო ხაზით, უნდა განხილულიყო არა ასეულების სასამართლოში, არამედ „ეპისკოპოსთა კანონების“ საფუძველზე. სასულიერო პიროვნება ყველაზე დიდი ბოროტმოქმედების ჩადენის შემთხვევაშიც კი საეკლესიო სასამართლოს მიერ გამოტანილი ლმობიერი განაჩენით ისჯებოდა. ხშირად საეკლესიო სასამართლო დამნაშავისათვის საყვედურის მიცემითა და მითითებით კმაყოფილდებოდა.

ლანფრანკმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ინგლისის ეკლესიაში, რაც ნაკარნახევი იყო კლუნიური მოძრაობის ინტერესებით. ჯან მონასტრებში ასკეტიზმის დანერგვა დაიწყო. მართალია, ცელიბატის გავრცელება თეთრ სამღვდელოებაზე მან ვერ გაბედა, მაგრამ მაინც შეეცადა შერბილებული ფორმებით ცხოვრებაში მის გატარებას. ძველი ქორწინებანი ძალაში დატოვა, მაგრამ ახალი დაქორწინება აკრძალულად გამოაცხადა. ცოლოსანი მღვდლები კათედრალური ტაძრებიდან მოხსნა და სოფლის სამრევლოებში გადაიყვანა. მიუხედავად ამისა, საეკლესიო რეფორმების ძირითადი საკითხი — პაპისა და მეფის დამოკიდებულება ინვესტიტურის საკითხში — უკანასკნელის (მეფის) სასარგებლოდ გადაწყდა. უილიამის მოთხოვნით, ლანფრანკი ყოველნაირად ცდილობდა ინგლისის ეკლესია რომის პაპისაგან დამოუკიდებელი გაეხადა.

ქრონიკა გადმოგვცემს, რომ უილიამის ბრძანებით, პაპის მოწერილობანი ინგლისში ძალაში ჩაითვლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც

ისინი მოწონებული იქნებოდნენ მეფის მიერ. მეფის არც ერთი ვასალი არ უნდა განკვეთილიყო ეკლესიიდან, მისი საქმე არ უნდა გადასცემოდა საეკლესიო სასამართლოს, თუ ამაზე არ იქნებოდა მეფის თანხმობა. ეპისკოპოსების დანიშვნა ინგლისში, მათთვის ინვესტიტურის გადაცემა, ხდებოდა უშუალოდ უილიამის და არა პაპის მიერ. მიუხედავად ამისა, გრიგოლ მეშვიდე, რომელიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ანალოგიურ მოვლენათა წინააღმდეგ გერმანიაში, ინგლისის მიმართ ხმას ვერ იღებდა, რადგან მძლავრი უილიამის მტრად გადაკიდებისა ეშინოდა.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცება

ყველა ზემოთქმული ღონისძიება მიმართული იყო ცენტრალური სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. დამპყრობთა რაოდენობა დაპყრობილებთან შედარებით ძალიან უმნიშვნელო იყო. თავისი ბატონობის განმტკიცებისათვის ინგლისში უილიამს ძალაუფლების კონცენტრაცია უნდა მოეხდინა. ამას აუცილებელს ხდიდა სხვა გარემოებაც: ახლად აღზევებული ფეოდალები, მიუხედავად თავიანთი ნორმანდული წარმოშობისა, მაინც ცდილობდნენ პარტიკულარიზმი განევითარებინათ და თავიანთი შემდგომი ბატონობის საკითხი კატასტროფულ მდგომარეობაში არ ჩაეგდოთ.

ეს ყველაფერი კარგად ესმოდა უილიამ დამპყრობელს. მან ამის გამოცდილება ადრევე მიიღო, როცა იგი ნორმანდიის ჰერცოგი იყო და კარგად ხედავდა კაპეტინგების საფრანგეთში არსებულ ფეოდალურ ანარქიას. უილიამი რკინისებური ხელით მართავდა. პირქუში შეხედულების მქონე ამ გიგანტს, დაღვრემილსა და მიუკარებელს, განრისხების ჟამს ულმობელს, თავის ხელქვეითებში შიშის შთანერგვა და მათი მორჩილებაში მოყვანა შეეძლო. სპობდა რა ყოველგვარ წინააღმდეგობას, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო ის გამომდინარე, უილიამი თანმიმდევრულად აძლიერებდა სამეფო ხელისუფლებას.

ინგლისის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მძიმე იყო უილიამისა და მისი მიმდევრების — ფრანგულ-ნორმანდული წარმოშობის ფეოდალების მიერ დამყარებული რეჟიმი. იმ შემთხვევაში, როცა უთანხმოება ჩამოვარდებოდა ანგლო-საქსსა და ფრანგ-ნორმანდელს შორის, უილიამის ხელისუფლება დაუყოვნებლივ გამოდიოდა უკანასკნელის მხარდამჭერად და მისი მოკვლის შემთხვევაში სასტიკ პასუხს აგებინებდა არა მარტო მკვლელს, არამედ მთელ იმ ოლქს (ასეულს), რომელსაც მკვლელი ეკუთვნოდა. უილიამი მკაცრი და საშინელი ტერორით უპასუხებდა ყველას, ვინც ცდილობდა დამპყრობელთაგან განთავისუფლებას.

როგორც აღინიშნა, უილიამის გამეფებამდე მთელი ინგლისი „შაირებად" იყო დაყოფილი. უილიამმა ინგლისური წარმოშობის შქონე ყველა ხელშეძღვანელი ძოხსნა და ხორმანდელები დანიშნა. ამიერიდან თვით შაირებსაც ფრანგული ტერმინი—„საგრაფო" შეარქვეს. რაკი მოხელე-შერიფები მეფეზე იყვნენ დამოკიდებულნი, ისინი ყურმოჭრილი მონებივით თანმიმდევრულად ასრულებდნენ მის ბრძანებებს. ახალმა სამეფო ხელისუფლებამ ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ძველად არსებული ანგლოსაქსური დაწესებულებანიც შეინარჩუნა. ფისკალური მიზნებისათვის გამოყენებული იყო ასეულებისა და შაირების (საგრაფოების) კრებები. სასამართლოს წარმოება, გადასახადების აკრეფა და სხვა ღონისძიებანი მათი მეშვეობით სრულდებოდა. ანგლოსაქსურ ეპოქაში ყველა სახის გადასახადი უილიამმა ძალაში დატოვა და სხვა ახალიც დააწესა.

ამგვარად, უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია დამპყრობელთა ბატონობის პირობებში მეტად გაძლიერდა. საკმარისი იყო დაემოწმებინათ, რომ ესა თუ ის გლეხი წინათ ლორდს უხდიდა მცირე ღალას, ანდა მის სასარგებლოდ ბეგარას ეწეოდა, მას დაუყოვნებლივ ვილანების კატეგორიაში ჩაწერდნენ, რაც სრულ ყმობას ნიშნავდა. თავისუფალი გლეხობა ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგაც მნიშვნელოვანი რაოდენობით შემორჩა, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც დანელთა მოსახლეობა სჭარბობდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, თავისუფალი გლეხობის შეძლებული ნაწილი მეფის მომხრედ გამოდიოდა, რადგან ნორმანდელთა ბატონობის პირობებში გლეხობაზე გაწერილი გადასახადი ასე თუ ისე განსაზღვრული იყო და არა ნებისმიერი. გარდა ამისა, უილიამის ხელისუფლებამ შეძლო საბოლოოდ შეეწყვიტა უცხოელების შემოსევა ინგლისში. სასტიკი ღონისძიებების შედეგად შინაგანი ფეოდალური არეულობა აღარ ხდებოდა. დამყარდა მშვიდობიანობა და გლეხობას უკვე შეეძლო თავისი მეურნეობის უკეთ გაძღოლა.

გაითვალისწინა რა თავისუფალი გლეხობის ასეთი განწყობილება, უილიამმა ფეოდალურ ჯარებთან ერთად ძალაში დატოვა ძველად არსებული თავისუფალი გლეხების ლაშქარიც. მათი დახმარებით მან მეფის ხელისუფლებით უკმაყოფილო ბარონების შეთქმულება 1075 წელს სასტიკად ჩაახშო. ამ ძლავრი ადმინისტრაციული სისტემით, ძლიერი შეიარაღებული ნაწილებითა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსების გამოყენებით უილიამმა შეძლო ხელისუფლების ისეთი განმტკიცება, როგორიც ინგლისის ისტორიას მანამდე არ ახსოვდა.

სამეფო ხელისუფლების ეკონომიკური სიძლიერე, უპირველეს ყოვლისა, მიწების სამეფო ფონდის შექმნაში გამოიხატა. ინგლისის დაპყრობის შემდეგ უილიამმა თავის განკარგულებაში ჩამორთმეული

სახნავ-სათესი მიწების 1/7 ნაწილი დაიტოვა. მიწების სამეფო ფონდს შემდეგ კვლავ ემატებოდა ცალკეული ბარონების მამულები (მათი კონფისკაციის შედეგად). გარდა ამისა. ინგლისის ტყეების ერთი მესამედი აგრეთვე მეფის საკუთრებად გამოცხადდა. ტყეების ცალკეული რაიონები, რომლებიც მეფის სანადიროდ იყო განკუთვნილი, ნაკრძალად იქნა აღიარებული. ამ ადგილებიდან გლეხური მეურნეობა აიყარა. ვინც მეფის ნებართვის გარეშე დაიწყებდა აქ ნადირობას, თვალებს სთხრიდნენ. ეტყობა, უილიამის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათაგან ყველაზე მიუღებელს „ტყის კანონების" შემოღება წარმოადგენდა. თუ რამდენად საზიზღარი და აუტანელი გახდა მოსახლეობისათვის ეს „კანონები", ჩანს იქიდან, რომ უილიამის ორი შვილი დაიღუპა „ახალ ტყეში" (New Forest, ჰემპშირი), მათ შორის ერთი იყო მეფე უილიამ II წრეთური — ისრით გულგანგმირული.

ეკონომიკური და ფინანსური საქმეების მოგვარების მიზნით და თავისი ვასალების ეკონომიკური ძალის გამოსავლენად უილიამმა სპეციალური კომისია გამოყო, რომელსაც ინგლისის საყოველთაო აღწერა დაევალა. მსგავსი რამ ფეოდალური ევროპის ისტორიას არ ახსოვს. აღწერა ჩატარდა 1086 წელს. ყველა სოფელი, დასახლებული პუნქტი და ქალაქი აღწერეს ადგილზე ნახვითა და სათანადო დამოწმებით. აღწერის სიებიდან შედგენილ იქნა დავთარი, რომელსაც ინგლისის მოსახლეობამ საუკუნენახევრის შემდეგ „საშინელი სამსჯავროს წიგნი" („Domesday book") უწოდა. მას ასე ეწოდა, ვინაიდან ისინი, ვინც აძლევდნენ აღმწერლებს ცნობებს მისი შედგენისათვის, სასჯელის მუქარის ქვეშ მოვალენი იყვნენ ელაპარაკათ სიმართლე, არაფერი დაეფარათ, სწორედ ისევე, როგორც „საშინელ სამსჯავროზე", რომელსაც, საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ქვეყნის აღსასრულისას. თავის მეორედ მოსვლის ჟამს მოაწყობს იესო ქრისტე.

ეს წიგნი შეიცავს დაწვრილებით ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი სამეფო მამული იყო თითოეულ საგრაფოში, რამდენი მამული ეკუთვნოდა საერო და სასულიერო ფეოდალებს, თითოეულ მამულს რამდენი გამწეები ძალა და გუთანი გააჩნდა, რამდენი იყვნენ მასში ვილანები, ბორდიარები, კოტერები, სერვები, თავისუფალი გლეხები და სხვ. ამასთან, აღწერის მასალებში დადგენილი იყო ისიც, თუ რა შემოსავალი ჰქონდა თითოეულ მამულს ფულად ანგარიშზე გადატანით. ყველაფერი ეს საჭირო იყო კიდევ იმიტომ, რომ ამ მონაცემების მიხედვით, შემდეგ მოეხდინათ გადასახადების გაწერა და დაეკისრებინათ ფეოდალური სამსახური. ამგვარად, „საშინელი სამსჯავროს წიგნი" მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს იმდროინდელი ინგლისის ისტორიის შესწავლის საქმეში.

„საშინელი სამსჯავროს წიგნის“ მიხედვით, ინგლისში უკვე ოთხმოცამდე ქალაქი არსებობდა. ინგლისის მოსახლეობის 5% ქალაქებში ცხოვრობდა. მართალია, ეს ქალაქები ჯერ კიდევ მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას და სოფლისაგან, ძირითადად, თავიანთი ციხესიმაგრეებით განსხვავდებოდნენ, მაგრამ ამავე დროს, მათში ხელოსნობა და ვაჭრობა ვითარდებოდა. ამ მხრივ ლონდონს მოწინავე ადგილი ეჭირა. იგი ვაჭრობას ეწეოდა არა მარტო ინგლისის შიგა რაიონებთან, არამედ ნორმანდიასთან და ფლანდრიასთან. ამ ადგილებიდან ინგლისელი ვაჭრები სხვა სახელმწიფოებთანაც კი ამყარებდნენ სავაჭრო ურთიერთობას.

უილიამის მიერ ინგლისის დაპყრობით ინგლისელ ვაჭრებს უკეთესი პირობები შეექმნათ: ჯერ ერთი, ნორმანდიაც და მენიც, რომელიც აგრეთვე საფრანგეთში მდებარეობდა და რომელიც უილიამის საკუთრებას წარმოადგენდა, ინგლისს შეუერთდა პოლიტიკურად. მეორეც, უილიამმა ცოლად ფლანდრიის გრაფის ასული შეირთო და ამით მიიღო შესაძლებლობა ფლანდრიასთან ვაჭრობა თავისი მფარველობის ქვეშ მოექცია. ინგლისში წესრიგის დამყარების შედეგად სავაჭრო გზები უხიფათო შეიქნა. აღარ ხდებოდა სავაჭრო ქარავნებზე თავდასხმები და მათი ძარცვა. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ხელს უწყობდა ინგლისის ვაჭრობის განვითარებას, ხოლო ქალაქებს მეფის მოკავშირეებად აქცევდა.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პოლიტიკას უილიამ დამპყრობლის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი, უილიამ მეორე „წითური“ (1087—1100) განაგრძობდა. ეს უკანასკნელი ცდილობდა სამეფო ხელისუფლების გაძლიერება მოეხდინა ფეოდალ-მაგნატების შესუსტების ხარჯზე. მეფემ და მისმა მრჩეველმა რალფ ფლამბარდმა გაზარდეს ფეოდალური გამოსაღები, რომელსაც მეფის უშუალო ვასალებს ახდევინებდნენ. როდესაც რომელიმე მათგანი მოკვდებოდა და მამის ქონება მის შვილს უნდა გადასცემოდა, უკანასკნელს მეფის სასარგებლოდ გაზრდილი რელიეფი უნდა გადაეხადა, ეპისკოპოსის ან აბატის გარდაცვალების შემთხვევაში, დარჩენილი ქონება მეფის მემკვიდრეობად ცხადდებოდა. გარდაცვალებულის ადგილზე დიდი ხნით არ ინიშნებოდა ახალი პირი იმ მოსაზრებით, რომ მონასტრებისა და ტაძრების შემოსავალი სამეფო ხელისუფლებას დარჩენოდა.

მეფის მიერ მოსახლეობისაგან ფულის მიღების ძალდატანებითი პოლიტიკა ისე შორს მიდიოდა, რომ მის განსახორციელებლად არ თაკილობდნენ ყოველად უმსგავსო საშუალებებსაც კი. ქრონიკა გადმოგვცემს, რომ ერთხელ (1094 წ.) უილიამ მეორემ მოითხოვა სახალხო ლაშქრის 20 000 ქვეითი მეომარი მასთან გამოცხადებულიყო ნორმანდიაში, „მტერთან ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად“. რალფმა

გასცა განკარგულება, რომ მათ ჰასტინგსში მოეყარათ თავი. როდესაც ლაშქარი დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა, მის მონაწილეებს რაც კი რამ ფული ჰქონდათ, ჩამოართვეს და შემდეგ სახლებში დააბრუნეს.

მსხვილი ფეოდალური მაგნატების შესუსტება ხდებოდა აგრეთვე ამ ფეოდალების სასამართლო ფუნქციების თანდათანობით სამეფო სასამართლოზე გადაცემით. სამეფო სასამართლოს განსამტკიცებლად უფრო მნიშვნელოვანი რეფორმები გატარებულ იქნა შემდეგ, ჰენრი პირველის დროს. სამეფო ხელისუფლების სიმტკიცემ ინგლისში ჰენრი პირველის სიკვდილამდე გასტანა.

ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ შედგენის შემდეგ

ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან დააჩქარა ინგლისის ფეოდალიზაციის პროცესი. მარქსი, წერდა რა თავისუფალი ფრიჰოლდერების რაოდენობის შემცირების შესახებ, დასძენდა: „ფეოდალიზმის მიერ ინგლისში უწინდელი თავისუფლების განდევნის ეს ტენდენცია (უილიამის) დაპყრობამ გააძლიერა და დააჩქარა“ [1]. ნორმანდელების დაპყრობამ ხელი შეუწყო ინგლისში ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის საბოლოო ჩამოყალიბებას. ადარებს რა ინგლისის ფეოდალურ წყობილებას საფრანგეთისას, მარქსი აღნიშნავს, რომ ინგლისის ფეოდალიზმი უფრო დასრულებული ხასიათისა იყო, ვიდრე საფრანგეთისა, სადაც ფეოდალიზმის ჩამოყალიბება დაპყრობათა გარეშე, ბუნებრივი გზით ხდებოდა.

კ. მარქსი შემდეგნაირად ახასიათებს იმ ვითარებას, როდესაც „დაპყრობილ ქვეყანაში გადააქვთ მზამზარეულად სხვა ნიადაგზე განვითარებული ურთიერთობის ფორმა“, „იმ დროს, როდესაც თავის სამშობლოში ურთიერთობის ასეთი ფორმა ჯერ კიდევ დამძიმებულია წარსული ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული ინტერესებითა და ურთიერთობებით, ახალ ადგილას მას შეუძლია და კიდეც უნდა მთლიანად განმტკიცდეს შეუფერხებლად, თუნდაც იმიტომ, რომ დამპყრობელთათვის უზრუნველყოფილ იქნეს ხანგრძლივი ბატონობა (ინგლისი და ნეაპოლი, ნორმანების მიერ მათი დაპყრობის შემდეგ, როდესაც მათ ფეოდალური ორგანიზაციის დასრულებული ფორმა მიიღეს)“[2].

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. VIII, გვ. 324.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. второе, т. 3, М., 1955, გვ. 73.

„საშინელი სამსჯავროს წიგნი“ ინგლისის უშუალო მწარმოებელთა სოციალური ფენებისა და მათი რაოდენობის შემდეგ სურათს იძლევა:

სოციალური ფენები	პროცენტული შეფარდება	რაოდენობა
მონები	9%	25000
ბორდარიები და კოტერები	32%	89000
ვილანები	38%	106000
თავისუფალნი	12%	33000

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ვილანების ფენა უფრო ხალხმრავალი იყო, ვიდრე დანარჩენები. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ქვეყნის აღწერის დროს დამპყრობლები ცდილობდნენ მათ რიცხვში მოექციათ თავისუფალი გლეხებიც, რადგან ვილანად აღიარების შედეგად მათზედაც ვრცელდებოდა ბეგარა და ღალა. ისე როგორც საერთოდ ვილანებზე. უილიამ დამპყრობლის აღმწერლებმა ტრადიციული კერლების, ყმებისა და თავისუფალთა ფენების ნაცვლად ინგლისის მოსახლეობაში ორი ძირითადი კატეგორია დაინახეს: „ვილანები“ და „თავისუფალნი“. როგორც ჩანს, ვილანების ფენა წარმოქმნილა ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობის წინ, ხოლო გავრცელებულა, ძირითადად, აღწერის ჩატარების შემდეგ.

ვილანები ინგლისის მანორების (ფეოდალური მამულების) მთავარ და წამყვან ძალას წარმოადგენდნენ. ისინი მიმაგრებულნი იყვნენ მიწაზე: თითოეულ მათგანს გააჩნდა მიწის ნაკვეთი და ფეოდალს უხდიდა როგორც ღალას, ისე ბეგარას. მას ფეოდალის მამულში მთელი წლის მანძილზე უფასოდ უნდა ემუშავა კვირაში სამი დღე. გარდა ამისა, ვილანი ვალდებული იყო გადაეხადა საქორწინო გადასახადი, ე. წ. „მერკეტი“, ვილანის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მეუღლეობის მემკვიდრეზე გადაცემის დროს, ფეოდალს უხდიდნენ ერთდროულ გადასახადს, რომელსაც „ჰერიოტი“ ეწოდებოდა. ამგვარად, ინგლისელი ვილანი, როგორც მიწით, ისე პირადად, დამოკიდებული იყო ფეოდალზე, მაშინ როცა ფრანგი ვილანი ფეოდალის პირადი დამოკიდებულებისაგან თავისუფალი იყო. მაშასადამე, ინგლისელი ვილანი უფრო ფრანგ სერვს წააგავდა, ვიდრე ვილანს. ინგლისის ვილანობა ძირითადად თანაბრად მოსახლეობდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მათი ნაკლებობა შეიმჩნეოდა მხოლოდ აღმოსავლეთ ინგლისსა და ლინკოლნშირში.

ბორდარიები, როგორც „საშინელი სამსჯავროს წიგნიდან“ ჩანს, ვილანებზე უფრო დაბლა იდგნენ. ისინი მიწების შედარებით ნაკლებ ფართობს ფლობდნენ და, მაშასადამე, ეკონომიკურადაც უფრო ღარი-

ბები იყვნენ, ვიდრე ვილანები. ამგვარად, ეკონომიკური შეძლების თვალსაზრისით ისინი ვილანებსა და მათზე უფრო ღარიბ კოტერების შორის იყვნენ მოქცეულნი. ბორდარიების ეს ფენა გაჩნდა ნორმანდელების შემოსევამდე მათი ნაკვეთების დაქუცმაცების შედეგად. პეთერთმეტე საუკუნის ბოლოს ბორდარიების რაოდენობა დაახლოებით გლეხობის ერთ მესამედს შეადგენდა. დროთა განმავლობაში ბორდარიების ერთი ნაწილი ვილანებად გადაიქცა, ხოლო მეორე, გაღატაკებული ნაწილი, კოტერების ფენაში გადავიდა.

კოტერებს უწოდებდნენ გლეხობის ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ფენას. მასში გაერთიანებულნი იყვნენ მცირე მიწის მფლობელი და სრულიად უმიწო გლეხები. ეს უკანასკნელნი უფრო მეტად მიწათმფლობელებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ისინი ბეგარას იხდიდნენ თავიანთი მიწების ფართობის მიხედვით. ხშირად კოტერები იძულებულნი ხდებოდნენ დაქირავებოდნენ რაინდებს შუშებად, ზოგჯერ კი შეძლებულ გლეხებთანაც მუშაობდნენ. ბორდარიებისა და კოტერების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა ესექსსა და ჰემპშირში.

უშუალო მწარმოებელთა უკანასკნელ ფენას მონები (სერვები) წარმოადგენდნენ. ზემოთ დასახელებულ სტატისტიკურ ცნობებში ისინი მთელი მოსახლეობის 9% შეადგენდნენ; მაშასადამე, ინგლისის აღწერის მომენტში მათი ჯგუფი თანდათან მცირდებოდა. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ XII საუკუნის აღწერებში ტერმინი „სერვი“, ანუ „მონა“ აღარ გვხვდება. მონები ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში მანორის ყმათა მასაში გაითქვიფნენ და კოტერებად ან, უკეთეს შემთხვევაში, ბორდარიებად გადაიქცნენ. მონების „გათქვეფის“ ფაქტი იმ ახალი ფეოდალური ღონისძიების შედეგია, რომელიც დამპყრობლებმა 1066—1086 წლებში გაატარეს.

მონების როლი მეურნეობაში ინგლისშიც ისეთივე მნიშვნელობისა იყო, როგორც სხვა ქვეყნებში. გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლისას მონობა დამოკიდებულების პრიმიტულ ფორმას წარმოადგენდა. მონობის ყმური დამოკიდებულებით შეცვლა შეიძლებოდა მხოლოდ თემის ინტენსიური დაშლით და თემის წევრების სწრაფი სოციალური დიფერენციაციით. რამდენადაც ასეთი პროცესები VII—VIII საუკუნეების ინგლისში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მონობა დიდხანს ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. მონობის დიდი ხნით შენარჩუნებას ხელს უწყობდა აგრეთვე დანელებთან წარმოებული ხშირი ომები. ტყვეთა უმრავლესობა მონად იქცეოდა.

„საშინელი სამსჯავროს წიგნიდან“ ჩანს, რომ მონები, ანუ სერვები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი „დომენის გუთნებთან“. ისინი იყვნენ შინაყმები, რომელნიც მიეკუთვნებოდნენ დომენის (მამუ-

ლის) ინვენტარს, ისე როგორც ხარები, რომლებსაც თვითონ უვლიდნენ. მაშასადამე, საბატონო მამულის (რომელიც უფრო განმტკიცდა ნორმანდელების შემოსევის შემდეგ) ინტერესები მოითხოვდა, რომ მონა მიმაგრებული ყოფილიყო არა პირადად ბატონზე, არამედ მანორის მიწაზე, როგორც მისი განუყრელი შემადგენელი ნაწილი.

მეთერთმეტე საუკუნეში გახშირდა მონათა „განთავისუფლება", რაც ფაქტიურად წარმოადგენდა მათ გადაქცევას ყმებად და მიწაზე მიმაგრებულ პირებად. მეთერთმეტე საუკუნეში შედგენილ ერთ ანდერძში ნათქვამია, რომ მონათმფლობელი ათავისუფლებს თავის მონებს იმ ქონებით, რომელიც მათ მონობაში ყოფნის დროს ჰქონდათ. მეორე ანდერძში ეს აზრი უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული: „...დაე, ყველა ჩემი კაცი იყოს თავისუფალი და თითოეულმა მათგანმა მიიღოს თავისი ნაკვეთი, თავისი ძროხა და ხორბალი". სხვა ანალოგიურ დოკუმენტში განთავისუფლებული პირები მონებად კი არ იყვნენ წოდებული, არამედ „მიწაზე დასახლებულ" პირებად; ეს პირები „თავიანთ განკარგულებაში" ღებულობდნენ ნაკვეთებს, რომლებზედაც შრომობდნენ მაშინ, როცა მონებად ითვლებოდნენ.

ამგვარად, რამდენადაც უფრო უახლოვდებოდა ფეოდალიზაცია თავის დასასრულს, იმდენად იზრდებოდა უშუალო მწარმოებელთა ნიველირებაც და, მაშასადამე, როგორც თავისუფალი გლეხები, ისე ყოფილი მონები, ფეოდალური კლასის ძირითად საექსპლუატაციო ობიექტად — ყმებად იქცეოდნენ.

და ბოლოს, „საშინელი სამსჯავროს წიგნი" ჩამოთვლის რამდენიმე ათას სასულიერო წოდების პირს და „წარჩინებული ოჯახის" მეთაურს, რომელნიც წარმოშობით ან ნორმანდელები არიან, ან ინგლისელი „ტენები", ვისაც შეწყნარების გამო დამპყრობლებმა მიწები არ ჩამოართვეს. „საშინელი სამსჯავროს წიგნის" სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მორტონი ინგლისის მოსახლეობის რაოდენობას 1,75—2 მილიონი კაცით განსაზღვრავს: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოსახლეობის 5% ქალაქებში ცხოვრობდა.

თავი VIII

ესპანეთი არაბთა შემოსევიდან XI საუკუნემდე

ესპანეთის დაპყრობა არაბების მიერ

მერვე საუკუნის დასაწყისისათვის ვესტგოთების (ვესტგუთების) სამეფოში დაწყებულმა ფეოდალიზაციამ განვითარების შემდგომ საფეხურს მიაღწია. უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ზრდამ ესპანეთის გლეხობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც უფრო მეტად გააძლიერა კლასობრივი ბრძოლა. ამ დროისათვის ვესტგოთების ზედაფენა ადგილობრივ მაგნატებს შეუერთდა და წარმოიშვა მიწათმფლობელთა მთლიანი კლასი, რომლის ბატონობა უფრო განმტკიცდა; მაგრამ ამავე პროცესმა ზოგიერთი მაგნატი იმდენად გააძლიერა, რომ მისი პარტიკულარული ტენდენცია სახიფათო გახდა. კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად დაიწყო ცალკეული მაგნატების განდგომა ცენტრალური სამეფო ხელისუფლებისაგან.

ვესტგოთებში ძლიერი სამეფო ხელისუფლების უკანასკნელი მფლობელი იყო მეფე ვამბა (672—680), რომელიც ტახტიდან გადმოგდებულ იქნა მისივე ნათესავის, ერვიგის (680—687) მიერ. გამეფების შემდეგ ამ უკანასკნელსაც მოუხდა ბრძოლების წარმოება ურჩი მაგნატების დასამორჩილებლად. ერვიგის შემდეგ სამეფო ტახტი ვამბას ნათესავის, ეგიკას (687—701) ხელში გადავიდა. ახლა დაიწყო ვამბას მოწინააღმდეგეთა დევნა, რასაც მოჰყვა ცალკეულ დიდებულთა შეთქმულება. შეთქმულების ხელმძღვანელი ამჯერად ტოლედოს ეპისკოპოსი სისბერტი იყო. მართალია, შეთქმულება დროზე გამომჟღავნდა და მისი მონაწილენი დაისაჯნენ, მაგრამ სამეფო ხელისუფლება მაინც დასუსტდა. მეფე ვიტიცას დროს (მეფობდა 708 ან 709 წლამდე) შეთქმულებები კვლავ განმეორდა. სამეფო ხელისუფლებას განუდგნენ კორდოვას ჰერცოგი ტეუდეფრედი და ვინმე პელაიო. შეთქმულების გამომჟღავნებისას პირველს თვალები დასთხარეს, ხოლო მეორე გაძევებულ იქნა.

მეფეები ცდილობდნენ სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცე-

მის წესი დაემკვიდრებინათ. მათი აზრით, ეს გარემოება განამტკიცებდა სამეფო ხელისუფლებას. მაგრამ ასეთი წესის დამყარების საწინააღმდეგოდ ვესტგოთების წარჩინებულნი გამოდიოდნენ. ამგვარად, სამეფო ხელისუფლება სუსტდებოდა და ფართო გასაქანი ეძლეოდა ანარქიულობას. ვესტგოთების უკანასკნელი მეფის, როდრიგოს (გამეფდა 710 წელს) დროს სახელმწიფოს შინაგანი ვითარება მეტად დაძაბული აღმოჩნდა. ამას დაემატა ისიც, რომ არაბებმა ესპანეთზე იერიშების მიტანა დაიწყეს.

არაბთა ისტორიაში დამასკოს სახალიფოს (661—750) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ ხანებში არაბთა სახელმწიფოს ტერიტორია ისე გაფართოვდა, რომ მისი დასავლეთის საზღვარი ატლანტის ოკეანეს აღწევდა, აღმოსავლეთისა კი — ჩინეთსა და ინდოეთს. აღნიშნული ტერიტორია მნიშვნელოვნად აღემატებოდა ძველი დროის უდიდეს მონარქიებს, ისეთებსაც კი, როგორიც იყო ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფო და ავგუსტუსისა და ტრაიანეს დროინდელი რომის იმპერია. მერვე საუკუნის დამდეგს არაბებმა ჩრდილოეთი აფრიკა დაიპყრეს; მთელი მავრიტანია, ბერბერთა უამრავი ტომით, არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა. ამგვარად, არაბები პირენეის ნახევარკუნძულის უშუალო მეზობლები გახდნენ. ერთადერთი, რაც არაბებს პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთ საზღვარს აცილებდა, ეს იყო ქალაქი სეუტა, რომელიც გიბრალტარის სრუტის აფრიკულ ნაპირზე მდებარეობდა.

ქ. სეუტას გარნიზონის ხელმძღვანელად იმ დროს ვესტგოთი გრაფი იულიანე ითვლებოდა. ისტორიოგრაფიაში მიღებულია ის აზრი, რომ იულიანეს ქალიშვილი მეფე როდრიგომ შეურაცხყო, რის გამოც განაწყენებული იულიანე განუდგა მეფეს და ხალიფას მოადგილესთან—მუსა-იბნ-ნუსუირთან დაიწყო მოლაპარაკება, რათა ეს უკანასკნელი წაექეზებინა როდრიგოს წინააღმდეგ. ამ გარემოებას, ერთი მხრივ, დაემთხვა ის, რომ იულიანე მანამდე დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა და, მეორე მხრივ კი, ის, რომ არაბებს ადრევე ჰქონდათ გადაწყვეტილი ესპანეთში შეჭრა. მუსა დაუკავშირდა ხალიფა ვალიდს და მასთან ამ საკითხის შეთანხმების შემდეგ, ლაშქრობის მზადება დაიწყო.

ცნობილია, რომ არაბების დაპყრობებს, როგორც წესი, წინ უძღოდა დასაპყრობი ადგილის წინასწარი დაზვერვა მცირე ლაშქრობის მოწყობის მეშვეობით. 710 წელს მუსამ გამოყო მცირე ლაშქარი 400 ქვეითისა და 100 ცხენოსნის რაოდენობით. ამ ლაშქრის მეთაურად მან დანიშნა აბუ-ზორა-თარიფი, რომელსაც დაავალა გადაელახა გიბრალტარის სრუტე და ესპანეთში შეჭრილიყო, ეს ლაშქარი მოთავსებულ

იქნა ოთხ ბომალდზე, რომლებიც იულიანემ არაბებს მიაწოდა. გადავიდა რა სრუტის მეორე სანაპიროზე, ამ ლაშქარმა ალხესირასის მიდამოები დაარბია და უკან დაბრუნდა აფრიკაში.

არაბების შემდეგი, უფრო მნიშვნელოვანი ლაშქრობა მოეწყო 711 წელს. ამ შემთხვევაშიც ხელსაყრელი მომენტი იქნა შერჩეული. ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში როდრიგოს ბასკები აუჯანყდნენ. როდრიგო იძულებული გახდა თვითონ წასულიყო იქ აჯანყების ჩასახშობად. მუსამ ამ ლაშქრობისათვის გამოყო 7000 კაცი, რომელთა ხელმძღვანელებადაც ტარიკ-იბნ-ზიადი და გრაფი იულიანე დანიშნა. არაბებმა ჯერ გიბრალტარის მთა (იმ დროიდან გიბრალტარს ჯებელ-ატ-ტარიკი ეწოდებოდა, რაც ნიშნავს „ტარიკის კლდეს“), ალხესირასი და ქ. კარტეია დაიკავეს და ამის შემდეგ გაემართნენ კორდოვასაკენ. არაბებმა ბრძოლებში წარმატებები მოიპოვეს, მაგრამ მათი შემდგომში სვლა შეჩერებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობის გამო.

ამასობაში როდრიგომ გაიგო არაბების შემოჭრის ამბავი და თავისი შეიარაღებული ძალებით სამხრეთისაკენ გაეშურა. ტარიკმა მუსას სთხოვა სასწრაფოდ გაეგზავნა მისთვის დამხმარე ძალები. მალე ტარიკის შეიარაღებულმა ძალებმა 12000 კაცამდე მიაღწია. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ხანდას ტბის სანაპიროებთან 711 წლის 19 ივლისს. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ როდრიგოს შეიარაღებული ძალები მტერს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მეფის ჯარების ერთი ნაწილი მოსყიდული აღმოჩნდა როდრიგოს მტრების მიერ, რომელთა შორის იყვნენ ეპისკოპოსი ოპასი და ვინმე სისბერტი. ბრძოლაში არაბებმა გაიმარჯვეს, ხოლო როდრიგო რამდენსამე მხედართმთავართან ერთად, მცირერიცხოვანი ლაშქრითურთ გაიქცა.

არაბების ამ გამარჯვების შემდეგ ვესტგოთებში ადგილი ჰქონდა საერთო ანარქიას. გლეხებს აღარ უნდოდათ ბრძოლა თავიანთი ბატონებისათვის. ებრაელები, რომელნიც როდრიგოს ხელისუფლებით შეიწროებული იყვნენ, აჯანყდნენ და არაბების მხარეზე გადავიდნენ. იმ დროის ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ესპანეთში ებრაელთა რაოდენობა თითქმის 90000 კაცამდე აღწევდა. სოფლებისა და ქალაქების მნიშვნელოვანი ნაწილი წინააღმდეგობის გარეშე ბარდებოდა მტერს. ამან არაბები გაათამამა. მათ განაგრძეს შეტევები. დაიპყრეს კორდოვა, ვესტგოთების სატახტო ქალაქი ტოლედო მალე დამპყრობელთა ხელში აღმოჩნდა. წინააღმდეგობის გაწევა ყველაზე დიდხანს ხალხმრავალმა სევილიამ შეძლო. მისი ალყა რამდენსამე თვეს გრძელდებოდა.

ქვეყნის საბოლოო დაპყრობისათვის საჭირო გახდა არაბების დამხმარე ძალები. 712 წლის ზაფხულში 18000 კაცით თვით მუსა მოვიდა. მან სევილია აიღო, დაიპყრო მთელი რიგი ციხესიმაგრეებისა და შემდეგ მერიდისაკენ გაემართა. ერთწლიანი ალყის შემდეგ მუსას და ტარიკის გაერთიანებული ძალები სეგოიულასთან ეკვეთნენ ვესტგოთებს (713 წლის სექტემბერი). ეს ბრძოლაც არაბების გამარჯვებით დამთავრდა. როდრიგო ბრძოლაში მოკლეს. ამით დამთავრდა ვესტგოთების სამეფოს არსებობა. ესპანეთში არაბთა ბატონობის ხანა დაიწყო.

კორდოვას დამოუკიდებელი საამირო

არაბების დაპყრობები ჩრდილოეთ ესპანეთში შეჩერებულ იქნა. მთაგორიანი ასტურია დამოუკიდებელი დარჩა. არაბების ახალი სარდლის, ალ-ხურის აგრესია ახლა გალიისაკენ წარიმართა. დიდი ბრძოლების შემდეგ არაბებმა სამხრეთ გალიის ერთი ნაწილი დაიკავეს. მაგრამ 732 წელს ტურსა და პუატიეს შორის ისინი დაამარცხა კარლოს მარტელმა და ამით არაბთა წინსვლა შეჩერებულ იქნა.

ცოტა ხნის შემდეგ, 755 წელს, არაბეთში ბრძოლა ომაიანებსა და აბასიანებს შორის უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა. ომაიანების დინასტიის თითქმის ყველა წარმომადგენელი დახოცეს, მხოლოდ ერთი მათგანი — აბდ-არ-რაჰმანი გაიქცა ესპანეთში, ხელთ იგდო ძალაუფლება და იქ არაბების დამოუკიდებელი ამირა გახდა 756 წელს. ასე ჩაეყარა საფუძველი ჯერ კორდოვას საამიროს, ხოლო შემდეგ, 929 წლიდან — კორდოვას სახალიფოს. ასე გადაინაცვლა ომაიანების დინასტიამ ესპანეთში.

არაბებმა ესპანეთის დაპყრობისას მიწების 1/5 სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს, შემდეგ ხანებში კი დამპყრობთა ხელში მიწების უფრო დიდი რაოდენობა გადავიდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 711 წელს ტარიკის ხელმძღვანელობით ესპანეთში შეიჭრნენ არაბები, მაგრამ სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ ტარიკმა აქ მოიყვანა უმთავრესად ბერბერები, ხოლო შემდეგ მოსული მუსას შეიარაღებულ ძალებს უმეტესად არაბები შეადგენდნენ. მიწების დანაწილებისას არაბებმა ბერბერებს ესპანეთის ჩრდილოეთი პროვინცია (გალისია, ლეონი და სხვა) არგუნეს, ხოლო თვითონ ანდალუზია დაიკავეს. ამ გარემოებამ შემდეგ ხანებში მნიშვნელოვანი უკმაყოფილება წარმოშვა დამპყრობელთა შორის, რადგან ბერბერებმა უნაყოფო მთაგორიანი ადგილი დაიკავეს, სადაც კლიმატური პირობები გაცილებით უფრო მკაცრი იყო, ვიდრე აფრიკაში; აქ ხალხი უფრო მცი-

რედ იყო დასახლებული და, ამასთან, შედარებით უფრო მეტ წინააღმდეგობას იჩენდა დამპყრობელთა მიმართ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში, ვიდრე ესპანეთის სახალიფოდ გადაქცევა მოხდებოდა, არაბთა ბატონობა არ იწვევდა მაინცდამაინც დიდ წინააღმდეგობას დაპყრობილ მოსახლეობაში. მთელი მერვე საუკუნის მანძილზე ისტორიული წყაროები მხოლოდ ერთხელ იხსენიებენ ქრისტიანული მოსახლეობის ერთი ნაწილის უკმაყოფილებას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ ხანებში არაბთა კულტურის განვითარების დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო, რის გამოც მათ არ შეეძლოთ შეეჭრა დაპყრობილ ხალხთა შინაგან სოციალურ ცხოვრებაში და იძულებულნი იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ შედარებით იოლი ხარკის აკრეფით და ზოგიერთი გადასახადის დაპყრობილ მოსახლეობაზე გაწერით.

დაპყრობილ ესპანეთში ძირითად გადასახადს ერთ ხანს „ხარაჯა" წარმოადგენდა. ეს იყო გადასახადი მიწაზე, რომელიც გაანგარიშებული იყო ამ მიწის შემოსავლის მიხედვით. ხარაჯის სიდიდე ზოგან გლეხის შემოსავლის $^1/_3$-ს, ზოგან კი — $^1/_5$-ს უდრიდა. ხარაჯის გადასახადი უნდა გაეღო ყველა უშუალო მწარმოებელს, იქნებოდა ის ქრისტიანული თუ მუსლიმური სარწმუნოების მიმდევარი. ამ მხრივ. სხვა ხასიათის მატარებელი იყო არაბების მეორე ძირითადი გადასახადი — „ჯიზია". იგი წარმოადგენდა სულადობრივ გადასახადს და ეხებოდა მხოლოდ ქრისტიანულ მოსახლეობას. ისლამის სარწმუნოების მიმდევარნი ამ გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. „ჯიზია" დიფერენცირებული იყო: შეძლებულთ სულზე უნდა გაეღოთ 48 დირჰემი, საშუალო შეძლების მქონეთ — 24, ხოლო უფრო დაბალი ფენებიდან გამოსულთ—12 დირჰემი. ქალები, ბავშვები, მონაზვნები, ინვალიდები და მონები ამ გადასახადიდან თავისუფლდებოდნენ.

ამგვარად, უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობა, წარსულთან შედარებით ერთგვარად გაუმჯობესდა. გარდა ამისა, მიწების ჩამორთმევამ მსხვილ მიწათმფლობელთათვის და მათმა დარიგებამ წვრილ მწარმოებელთათვის, ერთი მხრივ, ესპანური წარმოშობის არისტოკრატია შეასუსტა, მეორე მხრივ კი, წვრილგლეხური მეურნეობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მონების მდგომარეობა; მით უფრო რომ თითოეული მათგანის ძიერ ისლამის სარწმუნოების მიღება უკანასკნელს ათავისუფლებდა მონობიდან და პრივილეგირებულ მდგომარეობაშიც კი აყენებდა.

თავდაპირველად არაბები ქრისტიანული სარწმუნოების მიმართაც ერთგვარ რჯულშემწყნარებლობას იჩენდნენ. მაშინ არ ხდებოდა ისლამის ძალდატანებითი გავრცელება. ეს აიხსნება იმით, რომ საამიროს ძირითად შემოსავალს, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანულ მო-

სახლეობაზე გაწერილი „ჯიზიას“ გადასახადი წარმოადგენდა. რამდენადაც მეტი ქრისტიანი მიიღებდა ისლამის სარწმუნოებას, იმდენად შემცირდებოდა ეს გადასახადი. მაშასადამე, არაბებისათვის ქრისტიანების მასობრივი გამაჰმადიანება ასეთ პირობებში არცთუ ისე ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ესპანეთში ქრისტიანული სარწმუნოების მქონე პიროვნების მიერ ძველი სარწმუნოების უარყოფასა და ისლამის მიღებას ადგილი არა ჰქონდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს პირველად ნებაყოფლობის საფუძველზე ხდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი და ძალდატანებითი გამაჰმადიანება იწყება მას შემდეგ, რაც არაარაბული წარმოშობის მაჰმადიანებმა ქრისტიანებთან თანაბრად ჯიზიას გადასახადი გაიღეს. იმ პირებს, რომლებიც სარწმუნოებას შეიცვლიდნენ, რენეგადებს (renegados; საშ. ლათ. renegatus — „სჯულის უარმყოფელისაგან“ წარმომდგარი) უწოდებდნენ.

ქრისტიანული სამეფოები და სამთავროები ესპანეთში

რჯულშემწყნარებლობა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სხვა გარემოებითაც აიხსნებოდა. საქმე ისაა, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაბებმა თავის დროზე ვერ შეძლეს ესპანეთის ჩრდილოეთი ნაწილების დაპყრობა და მაშასადამე, ბრძოლები ქრისტიანულ სამთავროებთან და სამეფოებთან კვლავ გრძელდებოდა. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ასტურია. მერიდაში, კასტილიასა და სხვა ადგილებში არაბების მიერ დამარცხებული ვესტგოთი დიდებულები ცენტრალური და სამხრეთი ესპანეთიდან მთაგორიან ასტურიაში გაიხიზნენ, სადაც, მათი აზრით, შეიძლებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დარაზმვა არაბების წინააღმდეგ. როდრიგოს გარდაცვალების შემდეგ ასტურიაში მეფედ არჩეულ იქნა პელაიო (718—737). 718 წელს მის წინააღმდეგ გაილაშქრეს არაბებმა, რომელთაც ალკამა ხელმძღვანელობდა, მაგრამ კოვადონგის ველსე ისინი დამარცხდნენ, ხოლო ალკამა ბრძოლაში მოკლეს.

კოვადონგის ბრძოლის შემდეგ პელაიოს ხელისუფლება უფრო მეტად გაძლიერდა. მას გალისიისა და კანტაბრიის მახლობლად მცხოვრები გრაფები შეუერთდნენ. მათ სურდათ არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლება. პელაიოს ახალი ცდები არაბების სხვა ადგილებიდან განდევნისა, მარცხით დამთავრდა. მთელი მერვე საუკუნის განმავლობაში ასტურია თითქმის აღარ აწარმოებდა ბრძოლას არაბების წინააღმდეგ. ასტურიის იმდროინდელი მეფეები მხოლოდ შინაგანი საქმე-

ებით იყვნენ გართულნი. ისინი ცდილობდნენ სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას სამეფო ტახტის მემკვიდრეობითად გადაქცევის მეშვეობით, მაგრამ ამ ცდებს წარჩინებულნი სისტემატურად ეწინააღმდეგებოდნენ.

პელაიოს სიძემ მეფე ალფონსო I-მა (739—756) და შემდგომმა მეფეებმა თანდათანობით მოახერხეს ასტურიის სამეფოს ტერიტორიის გაფართოება არაბებთან ბრძოლის წარმოების მეშვეობით, მაგრამ მეთერთმეტე საუკუნის დაწყებამდე მათ მაინც ვერ მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს. არაგონის ნაწილი კვლავ რჩებოდა არაბების ბატონობის უღელქვეშ. ალფონსო პირველის დროს ხდებოდა ახლად დაკავებული მიწების დასახლება და სამეფო საზღვრების განმტკიცება. ალფონსო პირველის გარდაცვალება (756 წ.) დაემთხვა აბდ-არ-რაჰმანის მიერ კორდოვას დამოუკიდებელი საამიროს ჩამოყალიბებას, რითაც არაბთა მდგომარეობა ესპანეთში განმტკიცდა.

ასტურიის სამეფოს ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა ალფონსო მეორის მეფობის ხანაში (792—842). მან კვლავ დაიწყო ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. იგი არბევდა პორტუგალიის მხარეს, იტაცებდა ნადავლს და ხელთ იგდებდა ტყვეებს. თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, ალფონსო მეორე ცდილობდა ძლიერი მოკავშირის მოძებნას არაბების წინააღმდეგ. იგი დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს კარლოს დიდთან და მის შვილთან, ლუდოვიკუს ღვთისმოსავთან.

ასტურიის გარდა, პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში არაბთა ბატონობის წინააღმდეგ იქმნებოდა ახალი ცენტრები. ერთი მათგანი ნავარაში წარმოიქმნა, ხოლო მეორე—არაგონში. ისინი თავგამოდებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ არაბების წინააღმდეგ. ეს განუწყვეტელი ბრძოლები საჭიროებდა ორგანიზებას, ამიტომ ირჩევდნენ სამხედრო ხელმძღვანელებს, რომელნიც შემდეგ მეფეები ხდებოდნენ. თავდაპირველად ნავარა და არაგონი ერთობლივად მოქმედებდნენ როგორც არაბების, ისე ფრანკების წინააღმდეგ, ისინი ცდილობდნენ პირენეების მიღმა მყოფი ადგილებიც უკან დაებრუნებინათ. X საუკუნის ბოლოს არაგონი ნავარაში გაითქვიფა და ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი გახდა. 1037 წელს კი არაგონი კვლავ დამოუკიდებელ ერთეულად გამოიყო.

არანაკლებ მნიშვნელოვან ცენტრად, საიდანაც აგრეთვე დაიწყო „რეკონკისტა" (ბრძოლა არაბების წინააღმდეგ ესპანური მიწების უკან დასაბრუნებლად), გადაიქცა „ესპანური მარკა". VIII საუკუნის დასასრულს, ჯერ კიდევ კარლოს დიდის დროს, ფრანკებმა ბრძოლა დაიწყეს კორდოვას საამიროს წინააღმდეგ. 785 წელს მათ დაიკავეს ციხე-

სიმაგრე ხერონა, 801 წელს — ბარსელონა, 809 წელს — ტარაგონა და 811 წელს — ტორტოსა. ამ ადგილების დაკავების შემდეგ მათ შექმნეს „ესპანური მარკა", რომელიც ოთხი საგრაფოსაგან შედგებოდა: რუსილიონის, ამპურიასის, ბესალუსა და ბარსელონასაგან. ერთ ხანს აღნიშნული საგრაფოების ხელმძღვანელები ფრანკების მიერ ინიშნებოდნენ და ფრანკთა მონარქიას ექვემდებარებოდნენ, ხოლო შემდეგ „ესპანურმა მარკამ" დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ესპანეთში არაბთა საწინააღმდეგო ცენტრები შეიქმნა და ცალკეულ შემთხვევებში ამ წვრილი ერთეულებიდან დამოუკიდებელი საგრაფოები და პატარა სამეფოებიც კი წარმოიქმნა, არ შეიძლება ითქვას, რომ მეთერთმეტე საუკუნემდე მათი მხრიდან არაბების წინააღმდეგ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ეწყობოდა. ეს, ერთი მხრივ, აიხსნება იმით, რომ ამ ერთეულების შიგნით, ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად, ჯერჯეროობით შეუძლებელი იყო მძლავრი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბება, ხოლო მეორე მხრივ, განმტკიცდა არაბთა ბატონობა ესპანეთში.

კორდოვას საამირო მერვე საუკუნის 80-იანი წლებიდან კორდოვას სახალიფოდ გადაქცევამდე

ესპანეთში ფეხის მოკიდების შემდეგ არაბებმა ოფიციალურ ენად არაბული ენა გამოაცხადეს. გაიზარდა უშუალო მწარმოებელთა (გლეხებისა და ქალაქების ხელოსანთა) ექსპლუატაცია. თუ აბდ-არ-რაჰმან პირველის დროს (756—788) მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადების რაოდენობა 300 ათას დინარს არ აღემატებოდა, აბდ-არ-რაჰმან მეორის დროს (822—852) მან ერთ მილიონს მიაღწია, ხოლო აბდ-არ-რაჰმან მესამის ხანაში (912—961) მოსახლეობისაგან გადასახადები 5 მილიონ 408 ათასი დინარის რაოდენობით იქნა აკრეფილი. გარდა ამისა, კორდოვას ამირებმა კვლავ გაიხსენეს 700 წლის დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყველა მუსლიმს, რომელიც არ იყო არაბული წარმოშობისა, გადასახადი უნდა გაეღო სხვა არამუსლიმ მოსახლეობასთან ერთად. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შედეგად ესპანელ რენეგადებსაც მოესპოთ პრივილეგიები.

ამრიგად, ფართო მასების უკმაყოფილებას, რაც გამოწვეული იყო ფეოდალიზაციის განვითარებით, რენეგადების უკმაყოფილებაც დაემატა. ამასთან, ფეოდალიზაციის წარმატებანი თვით არაბული წარმოშობის ზედაფენებშიც იწვევდა ძველად არსებული წეს-ჩვეულებების შეცვლას. ამირების სასახლეში ჩვეულებად იქცა ბრწყინვალე მორთულობა და განცხრომით ცხოვრება. ახლა თვით ამირებმაც დაიწყეს

მაგარი სასმელების ხმარება, ნადირობის მოწყობა და სხვ. ყველაფერი ეს პირველი ხალიფების დროს ისლამის სარწმუნოების წინააღმდეგ ხდებოდა, რის გამოც არაბთა სასულიერო წოდების ერთი ფენა, განსაკუთრებით თეოლოგი ფაკიხები, ოპოზიციურად განეწყვნენ. ფანატიკურად განწყობილ ამ პირების რაოდენობა და მათი გავლენა ხელისუფლებაზე თანდათან იზრდებოდა.

ეს გარემოება იგრძნობოდა ჯერ კიდევ აბდ-არ-რაჰმან პირველის მემკვიდრის, ჰიშამ პირველის დროს (788—795). ამ უკანასკნელის ამირობა დაიწყო ურჩი მმართველების წინააღმდეგ ბრძოლების წარმოებით, რაც მიმართული იყო ამირას ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ. ჰიშამ პირველმა ბრძოლები აწარმოვა აგრეთვე ასტურიელთა, გალისიელთა, ბასკთა და ფრანკთა წინააღმდეგ, მაგრამ მის მთავარ საზრუნავს მაინც რელიგიური მხარე წარმოადგენდა. იგი იძულებული იყო თეოლოგი ფაკიხებისათვის უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა შეექმნა და ქვეყნის მმართველობის საქმეში მათთვის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო.

ახალი ამირას, ჰაკამ პირველის დროს (795—822) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ფაკიხების საქმიანობა ჰაკამის მიერ აღებული პოლიტიკური ხაზისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, მით უფრო, რომ თვით ჰაკამი ეტანებოდა ღვინოს, ნადირობას და სხვ. ახალმა ამირამ ქვეყნის მმართველობის საქმეებიდან ფაკიხების გამოთიშვა და მათი შევიწროება დაიწყო. თავის მხრივ, ფაკიხების პარტიამ, რომლის ხელმძღვანელი იაჰია-იბნ-იაჰია იყო, დაიწყო დემაგოგიური აგიტაცია კორდოვას მოსახლეობის უკმაყოფილო ფენებში. ქალაქ კორდოვას ხელოსნები და ღარიბი ფენები აღდგნენ ესპანური და არაბული წარმოშობის მქონე ექსპლუატატორების წინააღმდეგ და მოითხოვეს ქონების დანაწილება. აჯანყებულთა აზრით, „ისლამის წახდენა“ პირველი ხალიფების სოციალური პროგრამის უარყოფით იყო გამოწვეული. 814 წელს კორდოვას ეს აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩაახშეს. კორდოვაში მყოფი რენეგადების დიდი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ აფრიკასა და ეგვიპტეში გაიხიზნა.

კორდოვას აჯანყების ჩახშობამ და ფაკიხების ოპოზიციის დათრგუნვამ ჰაკამს იმის შესაძლებლობა მისცა, რომ უფრო მეტად განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება. ამირამ გადაწყვიტა ბოლო მოეღო ქალაქ ტოლედოს დამოუკიდებლობისათვის. პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობისას ქალაქი ტოლედო, რომლის მოსახლეობა ვესტგოთებისა და ესპანელი რომაელებისაგან შედგებოდა, უბრძოლველად ჩაბარდა არაბებს და მისი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისლამის სარწმუნოება მიიღო. ამიტომ, დამპყრობლებმა ამ ქალაქს მაშინ დამოუკიდებლობა შეუნარჩუნეს და მასთან ხელშეკრულება დადეს,

რომლის ძიხედვითაც, უმნიშვნელო ხარკით დაკმაყოფილდნენ. საერთოდ პირველი ხალიფების დროს ის ადგილები, რომლებიც უბრძოლველად ბარდებოდნენ დამპყრობლებს, ინარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას და შეღავათებს, მაგრამ ეს გარემოება ჰაკამ პირველს დრომოჭმულად მიაჩნდა და გადაწყვიტა ტოლედოს დამოუკიდებლობისათვის ბოლო მოეღო.

საქმე დაიწყო იმით, რომ ჰაკამმა ტოლედოში მმართველად რენეგადი გაგზავნა. ამით ამირას სურდა ტოლედოს მოსახლეობის გული მოეგო. ტოლედოს ახალმა მმართველმა თავის სასახლეში ყველა გამოჩენილი პირი მიიპატიჟა და ვერაგულად დაახოცინა. ამის შემდეგ ქალაქი იძულებული გახდა ამირას ხელისუფლებას დამორჩილებოდა, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ (829 წ.) მან ისევ დამოუკიდებლად გამოაცხადა თავი და აბდ-არ-რაჰმან II-ს რვა წელი დასჭირდა მისი საბოლოო დამორჩილებისათვის. ასევე ჩახშობილი იქნა ის მოძრაობა, რომელიც ამირას წინააღმდეგ დაიწყო მერიდასა და მურსიაში და რომელიც გამოწვეული იყო ამ ადგილებში ხარკის მნიშვნელოვანი გადიდებით.

კორდოვას სახალიფო

რენეგადებისა და მოსარაბების (ასე ეწოდებოდა ესპანეთის ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მართალია არაბთა ბატონობის უღელქვეშ იყო, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას) მიერ წამოწყებული ყველა აჯანყება მარცხით მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი მეორდებოდა, ვიდრე კორდოვას ამირა აბდ-არ-რაჰმან მესამე (912—961) არ გახდა. ეს უკანასკნელი მეტად ენერგიული, სამხედრო საქმის კარგი მცოდნე და მოხერხებული მმართველი აღმოჩნდა. აბდ-არ-რაჰმან მესამემ ძირითადი ყურადღება შეიარაღებული ძალების გაძლიერებას მიაქცია. მან დაქირავებული პირებისაგან, „საკალიბებისაგან“ (არაბები ტყვედ ჩაგდებულ პირებს „საკალიბებს“, ე. ი. „სლავებს“ უწოდებდნენ) მუდმივი ჯარი შეადგინა. ეს იყო ძირითადი ბირთვი და საუკეთესო ნაწილი არაბთა მთელი შეიარაღებული ძალებისა. ომიანობის შემთხვევაში იგი სახალხო შეიარაღებულ ძალებთან ერთად მოქმედებდა და ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა.

აბდ-არ-რაჰმან მესამე თავიდანვე აქტიურ საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა. მას მიზნად ჰქონდა დასახული მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების შექმნა. იგი ცდილობდა ყველა თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა და თვითონ აბსოლუტური მმართველი გამხდარიყო. მან ბერბერთა დამოუკიდებელი შეი-

ხების წინააღმდეგ გაილაშქრა პორტუგალიის სამხრეთ ნაწილში, ალიკანტეში, ვალენსიაში, ბადახოსსა და სხვა ადგილებში: ისინი თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა და ტოლედოც დაიპყრო. ასეთი წარმატებების მოპოვების შემდეგ, ამირას ტიტული თავის საკადრისად აღარ ჩათვალა და 929 წელს თავისი თავი ხალიფად გამოაცხადა.

კორდოვას ხალიფა სამეფო ტერიტორიის გაფართოების მიზნით დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდა ქრისტიანულ ქვეყნებთანაც. ამ ბრძოლებში მან მთელი რიგი ქალაქები დაიპყრო, თვით ქალაქი პამპლონაც კი. იქ, სადაც ხალიფა ძალით ვერ ახერხებდა თავისი გავლენის გავრცელებას, ქრისტიანული სამეფოების შინაგან საქმეებში ერეოდა და მხარს უჭერდა ისეთი მეფის კანდიდატურას, რომელიც გამეფების შემდეგ მისი მორჩილი შეიქნებოდა. მაგალითად, ასე იქცეოდა ის ლეონის სამეფოს მიმართ. აბდ-არ-რაჰმან მესამე აქტიურ და აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა ჩრდილოეთ აფრიკის მიმართაც. მისმა ჯარებმა აღნიშნული მხარე დაიპყრეს და კორდოვას სახალიფოს შეერთეს. ამგვარად, კორდოვას სახალიფო პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ მან საერთაშორისო ასპარეზზე მოწინავე ადგილი დაიკავა. არაბების საზღვაო ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზე ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა.

პროვინციელი ფეოდალებისა და ბერბერთა ტომების დამორჩილებამ კორდოვას სახალიფოს მიერ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანულ ქვეყნებთან წარმატებით წარმოებულმა ბრძოლებმა, მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი კორდოვას სახალიფოს ეკონომიკურ გაძლიერებას. ახლა უფრო გაძლიერდა აღებ-მიცემა და ვაჭრობა. გაიზარდა ხელოსნური წარმოებაც ქალაქებში. ამასთან, გადიდდა სახელმწიფო შემოსავალი გადასახადების გაზრდით, საბაჟოების შემოსავლის გაორკეცებით, ნადავლითა და ხარკით, რომელიც გაწერილი იყო ომში დამარცხებულ ქვეყნებზე. ამ უდიდესი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რა თქმა უნდა, სამხედრო საქმეზე და ადმინისტრაციულ აპარატზე იხარჯებოდა, მაგრამ მეორე ნაწილი მიდიოდა კულტურულ მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

აბდ-არ-რაჰმანის მემკვიდრის ჰაკამ მეორის დროს (961—976) ჩატარებული აღწერის მიხედვით, ესპანეთში ექვსი დიდი ქალაქი წარმოადგენდა პროვინციების ცენტრებს. გარდა ამისა, მოითვლებოდა 80 ქალაქი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობით. წვრილ ქალაქთა რაოდენობა 300 აღწევდა, აუარებელი დასახლებული ადგილი, ციხე და სოფელი (მარტო გვადალკვივირის ველზე — 12 ათასამდე); კორდოვაში აღრიცხული იყო ორასი ათასამდე სახლი, 600 მეჩეთი, 900 აბანო და ბევრი სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა. ხალიფებისა და სხვა მაღალი თანამდებობის მქონე პირთა სასახლეები გა-

კვირვებას იწვევდა თავიანთი არქიტექტურითა და საუცხოო ბაღებით. დიდი მეჩეთი (შემონახული როგორც კათოლიკური ტაძარი), რომლის მშენებლობაც აბდ-არ-რაჰმან პირველის დროს დაიწყო, სხვა ხალიფების დროს დამთავრდა. იგი გრანდიოზულ შენობას წარმოადგენდა, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთამდე 19 თაღი ჰქონდა გაკეთებული, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთამდე — 30. ალაყაფის 21 კარი ემსახურებოდა მეჩეთში შემსვლელთ. მეჩეთს ჰქონდა 1293 სვეტი, რომლებიც გაკეთებული იყო ეშმის ქვისა და ძოწისაგან; ყველა სვეტის თავი ოქროთი იყო მოვარაყებული.

არაბთა ბატონობა ესპანეთში თავდაპირველად ხასიათდებოდა იმით, რომ დამპყრობლები უფრო სამხედრო საქმიანობას მისდევდნენ, ვიდრე მეურნეობის მოვლა-მოშენებას, მაგრამ სულ მალე მათ აითვისეს სამეურნეო საქმეც, და თუ პირველ ხანებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე დაწერილი შრომების ავტორებად მოსარაბები ითვლებოდნენ, შემდეგ სოფლის მეურნეობის საქმეს არაბები იმდენად დაეუფლნენ, რომ, მიუხედავად ყურანის მიერ ღვინის სმის აკრძალვისა, ისინი მაინც რგავდნენ ვაზს და სოფლის მეურნეობას ავითარებდნენ. არაბებმა ესპანეთში პირველებმა დანერგეს ისეთი კულტურები, როგორიცაა ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ბროწეული, ზეთისხილი და სხვ.

არაბების ბატონობის დროს განვითარდა მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და მებაღეობა. ისეთ ადგილებშიც კი, როგორიც იყო „ახალი კასტილია", ანუ ტოლედოს ოლქი, მებაღეობა ფართოდ იყო გავრცელებული სოფლებში და თვით ქალაქ ტოლედოშიც. ტოლედოს ოლქის რამდენიმე სოფელი არაბული წარმოშობის სახელწოდებას ატარებს: ჯანან („ჯინან"-ბაღები), ალმუნია და სხვ. ზეთისხილის გავრცელებას მოწმობს სოფლების შემდეგი დასახელება: აზეიტე, აზეიტუნა (ზეითუნ — ზეთისხილი), მასარამდროს (სიტყვიდან — მაასარა—ზეთსახდელი) და ა. შ.

სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს აღმოსავლეთიდან გადმოტანილი საირიგაციო სისტემა. მარქსი „კაპიტალის" პირველ ტომში აღნიშნავდა, რომ „ესპანეთისა და სიცილიის სამრეწველო აყვავების საიდუმლოება არაბების ბატონობის დროს არხების გაყვანაში მდგომარეობდა" [1]. ცხადია, ამასვე ემყარებოდა სოფლის მეურნეობის აყვავებაც. ამისათვის შუა საუკუნეებში გამოყენებული იყო ძირითადად „ნორია", ესე იგი ბორბალი, რომლითაც წყალი ამოჰქონდათ მაღლა და შემდეგ სპეციალური არხებით რწყავდნენ მიწებს. ბორბლების ამოძრავება მდინარეების მეშვეობით წარ-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 648.

მოებდა. მეთორმეტე საუკუნის მოღვაწე არაბი ავტორი აბუ აბდალაჰ მუჰამედ ელ ედრისი (იდრისი) გადმოგვცემს, რომ ასეთი ნორიები გაკეთებული იყო ტოლედოში, კორდოვაში და სხვა ადგილებში, მდინარეებზე. ზოგიერთი მათგანის დიამეტრი 9 მეტრამდე აღწევდა.

იგივე ავტორი აგვიწერს ნორიას, რომელიც მდინარე ტახოზე მდებარეობდა და რომელსაც თანამედროვენი განცვიფრებაში მოჰყავდა. იგი მოცულობით უზარმაზარი იყო. მას წყალი 42,3 მეტრის სიმაღლეზე აჰყავდა. მაგრამ ეს ნორია გამონაკლისს არ წარმოადგენდა. არაბი ავტორები განცვიფრებულნი იყვნენ მეორე ნორიით, რომელიც აგრეთვე მდინარე ტახოზე მდებარეობდა და რომლითაც ტოლედოელი ალ-მამუნის ვანთქმული ბაღები ირწყვებოდა მეთერთმეტე საუკუნეში. ნორიების ფართო გავრცელებას ესპანეთში ადასტურებს აგრეთვე ამ სიტყვებიდან წარმომდგარი სხვადასხვა დასახლებული პუნქტების სახელწოდება: ანორა — კორდოვაში, ნორა — ლეონში და ოვიდოში, ნორა — მურსიაში, ნორა—ბურგოსში და ა. შ.

ხილი ფართოდ საღდებოდა არა მარტო კორდოვას სახალიფოს სხვადასხვა ნაწილში, არამედ საზღვარგარეთაც. განსაკუთრებით განთქმული იყო ტოლედოსა და სხვა ადგილების ბროწეული და ყურძენი, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ნუშსა და კაკალს. სელი და კანაფი იხმარებოდა ქაღალდის დასამზადებლად. ქაღალდს ამზადებდნენ არა მარტო სახალიფოსათვის, არამედ უცხოეთში გასაყიდადაც. აშენებდნენ ვარდის სპეციალურ პლანტაციებს. ამ პლანტაციებში წარმოებდა ვარდის ფურცლის პირველადი დამუშავება, ამზადებდნენ ვარდის ესენციებსა და ზეთებს, რომელთა ნაწილს წამლების დასამზადებლად იყენებდნენ, ხოლო დანარჩენი ნელსაცხებელთა წარმოებას ხმარდებოდა.

მეათე საუკუნეში მნიშვნელოვნად განვითარდა წარმოებაც, რასაც ხელს უწყობდა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები. ხაენის, ბულჩას, არობჩას მაღაროებში წარმოებდა ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონების მოპოვება. ხშირი ომების გამო პირენეის ნახევარკუნძულზე დიდი მოთხოვნილება წარმოიშვა საომარ იარაღზე. ალმერიაში, მურსიაში, სევილიაში, ტოლედოში, გრანადაში და თვით კორდოვაში საომარი იარაღების დამზადება ინტენსიურად მიმდინარეობდა. კორდოვაში მზადდებოდა ყოველგვარი ტყავი სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ტყავის დამუშავება ფართოდ წარმოებდა აგრეთვე ტოლედოში. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ ქალაქში ცალკე იყო გამოყოფილი მეტყავეთა მთელი უბანი და ქალაქის ალაყაფის კარი მეტყავეთა სახელწოდებას („დარ ად-დაბბაღი") ატარებდა. ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში გამოიგონეს იბნ-ფირმინის დამ-

ზადების თავისებური საშუალება, რამაც ხელი შეუწყო ესპანეთში მინის წარმოების განვითარებას.

კორდოვას სახალიფომ განვითარების უმაღლეს წერტილს ჰიშამ მეორის (976—1009) დროს მიაღწია. მისმა სარდალმა ალ-მანსურმა რიგი ახალი ადგილებისა დაიპყრო და ქრისტიანული სამეფოებისა და სამთავროების მმართველნი ფაქტიურად დაუმორჩილა სახალიფოს. დამოუკიდებლობა შეინარჩუნა მხოლოდ ასტურიისა და გალისიის ზოგიერთმა ნაწილმა. მიუხედავად ამისა, კორდოვას სახალიფოს სიძლიერე, მასში ფეოდალიზაციის განვითარების გამო, სწრაფად დაეცა. მასების მკაცრი ექსპლუატაციის შედეგად გლეხებისა და ხელოსნების აჯანყებათა რიცხვი იზრდებოდა. ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, როგორც რენეგადების, ისე მოსარაბების მხრით — ხშირდებოდა. უთანხმოებები გაიზარდა აგრეთვე ბერბერთა ტომებსა და თვით არაბებს შორის. ყოველივე ამას დაემატა ბრძოლები სამეფო ტახტისათვის.

1031 წელს ტახტიდან გადმოგდებულ იქნა ესპანური ომაიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ჰიშამ მესამე. ამგვარად, კორდოვას საამირო, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა აბდ-არ-რაჰმან პირველის მიერ და რომელიც 929 წელს, აბდ-არ-რაჰმან მესამის დროს სახალიფოდ გადაიქცა, 275 წლის არსებობის შემდეგ დაიშალა. ცალკეულმა მსხვილმა ფეოდალებმა და ზოგიერთმა ქალაქმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მათ ქვეყანა პოლიტიკურად დააქუცმაცეს და მრავალი წვრილი საამირო შექმნეს. მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის სახალიფოში უკვე 23 დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული წარმოიშვა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო კორდოვას, სევილიის, მალაგის, გრანადის, ალმერიის, სარაგოსას, ტოლედოს, ბადახოსის, დენიისა და ბალეარის კუნძულების საამიროები. ამ ფეოდალურ ერთეულებს შორის გაჩაღდა განუწყვეტელი ბრძოლა პირველობისათვის. ზოგიერთი ამ ამირათაგანი ერთდროულად ატარებდა „ხალიფას“ ტიტულს. ასე დაიწყო ფეოდალური ანარქია ყოფილ კორდოვას სახალიფოში.

რეკონკისტა

რეკონკისტა, რაც ბრძოლების საშუალებით არაბების მიერ ესპანეთის მიტაცებული მიწების უკან დაბრუნებას ნიშნავდა, თითქმის რვა საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. რეკონკისტას მნიშვნელობის შესახებ მარქსი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ესპანეთის სახელმწიფოს შინაგანი ვითარება, მისი ცალკე პროვინციებისა და კომუნების დამოუკიდებლობა, ესპანეთის სახელმწიფოს ფორმირებაში შექმნილი

თავისებურებანი და სხვ. თავდაპირველად შეპირობებული იყო პირენეის ნახევარკუნძულის სპეციფიკური მდებარეობით, ხოლო შემდეგ მათი განვითარება წარიმართა იმის მიხედვით, თუ როგორ ხდებოდა ესპანეთის მიწების თანდათანობით განთავისუფლება მავრების (ამ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ არაბებსა და ბერბერებს) ბატონობისაგან.

როგორც აღნიშნული იყო, რეკონკისტა ესპანეთში დაიწყო ჯერ კიდევ 718 წელს, კოვადონგის ბრძოლით. ამ ბრძოლას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. დამარცხებული მავრები იძულებულნი გახდნენ ასტურიის აღმოსავლეთი ნაწილი დაეტოვებინათ და უკან დაეხიათ სამხრეთისაკენ. ასტურიის სამეფო არაბებთან დაუცხრომელი ბრძოლებით თანდათან აფართოებდა თავის ტერიტორიას. მეცხრე საუკუნის დამლევისათვის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი გალისიიდან კატალონიამდე დამოუკიდებელი გახდა როგორც არაბების, ისე ფრანკებისგანაც. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანული სამეფოების და სამთავროების იერიშები ისლამის სამყაროზე უმნიშვნელო იყო. საუკეთესო და ხელსაყრელ პირობებშიც კი მათი საზღვარი გვადარამის ხაზს არ გასცილებია. კორდოვას სახალიფოს დაშლასთან ერთად (1031 წ.) როგორც ისლამის მიმდევართათვის, ისე ქრისტიანულ სამეფოთათვის იწყება ახალი ერა, რომელიც არსებითად განსხვავდება წინა ეპოქისაგან.

კორდოვას სახალიფოს დაშლის შემდეგ კასტილია ცალკე სამეფოდ გამოიყო. მისმა მეფემ, ფერნანდო პირველმა (1035—1065), ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და იწყო აქტიური პოლიტიკის გატარება მეზობელ მუსლიმურ სამფლობელოთა წინააღმდეგ. მის სამოქმედო ასპარეზად, პირველ რიგში, პორტუგალია გადაიქცა. 1057 წელს ფერნანდომ სწრაფად მოახერხა ქალაქების — ვიზეუსა და ლამეგუს დაკავება. შემდეგ იერიშები მიიტანა არაგონიის მუსლიმურ სამფლობელოებზე. ბრძოლების წარმატებით ჩატარების შედეგად ბადახოსის, ტოლედოსა და სარაგოსას მუსლიმი მმართველები ფერნანდო პირველის მოხარკეებად გადაიქცნენ. 1063 წელს მის მოხარკედ თავი გამოაცხადა აგრეთვე სევილიის ამირამ ალ-მუტადიდმა.

მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში მუსლიმურ სამფლობელოებში დიდი ანარქია დაიწყო. გახშირდა ურთიერთშორის ბრძოლა პირველობისათვის, რამაც თითოეული მათგანი პოლიტიკურად შეასუსტა. ამ გარემოებამ კასტილიის მეფეები უფრო მეტად გაათამამა. ახლა არაბთა მფლობელების მოხარკეობა კასტილიის მეფეთათვის აღარ იყო ხელსაყრელი. საჭირო გახდა კასტილიის სამეფოს ტერიტორიის გაფართოება საამიროების ხარჯზე. ალფონსო VI-მ (1072—1109)

დიდძალი ჯარი შეაგროვა (რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ფრანგი რაინდები) და ბრძოლებით ქ. ტოლედოს მიადგა. 1085 წლის 25 მაისს ესპანელები ტოლედოში შეიჭრნენ და გაათავისუფლეს იგი არაბთა ბატონობისაგან.

ესპანელების მიერ ტოლედოს დაკავებამ სამხედრო და პოლიტიკური ვითარება პირენეის ნახევარკუნძულზე არსებითად შეცვალა. ტოლედო ამიერიდან რეკონკისტას ძირითად დასაყრდენად გადაიქცა. ტოლედოს სტრატეგიული მდებარეობა ესპანელებს საუკეთესო პირობებს უქმნიდა შემდგომი შეტევების გასაფართოებლად მუსლიმური სამყაროს წინააღმდეგ. კასტილიის ჯარების ერთმა ნაწილმა სარაგოსას შემოარტყა ალყა, მეორემ ვალენსია დაიკავა. რაინდების ერთმა რაზმმა ალედოს ციხესიმაგრე აიღო და მურსიასა და ალმერიას დაემუქრა.

ტოლედოს დაცემამ დიდი დაბნეულობა გამოიწვია საამიროებში. მომხდარი ფაქტით დაშინებულმა ამირებმა დაიწყეს მფარველობის ძებნა თვით ალფონსოსთან. ისინი ითხოვდნენ ზავის დადებას, მზად იყვნენ უამრავი ხარკი გაეღოთ, ოღონდ შეენარჩუნებინათ თავიანთი საამიროების დამოუკიდებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში მოხერხებული დიპლომატიით აღწევდნენ კიდეც თავიანთ მიზანს, მაგრამ ამავე დროს გრძნობდნენ, რომ მათ მიერ მოპოვებული წარმატება დროებითი ხასიათისა იყო. მდგომარეობის გამოსწორებისათვის უფრო საიმედო გამოსავლის ძოძებნა იყო საჭირო. ამ მიზნით ამირათა შორის ჩატარებული მოლაპარაკების შედეგად ბადახოსის, სევილიის, გრანადისა და კორდოვას ყადიები დახმარების მისაღებად ალმორავიდების ბელად იუსუფთან გაემგზავრნენ.

ალმორავიდები ფეოდალურ ბერბერთა დინასტიას ეწოდებოდა. ალმორავიდების სამეფო მეთერთმეტე საუკუნის შუახანებში დაარსდა კორდოვას სახალიფოს დაშლის შემდეგ. აბდალაჰ იბნ-იასინის მეთაურობით საჰარის ბერბერებმა მაროკოს სამხრეთი ნაწილი დაიპყრეს. შემდეგში ალმორავიდებმა იუსუფ იბნ-ტაშფინის (1061—1106) მეთაურობით მთელი მაროკო და თანამედროვე ალჟირის ნაწილი დაიკავეს და ამით უფრო მეტად გააძლიერეს თავიანთი სამფლობელო. 1086 წლის ოქტომბერში ესპანელი ამირების მიწვევით ისინი ესპანეთში შეიჭრნენ. სალაკასთან (ბადახოსის მახლობლად) სასტიკ ბრძოლაში მათ დაამარცხეს ესპანელები და მთელი ანდალუზია დაიპყრეს, მაგრამ ამის შემდეგ ალმორავიდებს ხანგრძლივი ბრძოლების წარმოება დასჭირდათ ქრისტიანებთან, რომელთაც სათავეში ედგა ხალხურ ეპოსში გაიდეალებული სახელგანთქმული მებრძოლი სიდი.

ალფონსო VI-ის მმართველობის ხანაში სამხედრო ასპარეზზე გამოდის კასტილელი რაინდი როდრიგო დიას დე ვივარი, რომელიც

შემდეგ ცნობილი გახდა სიდ კამპეადორის სახელწოდებით. სახელი Cid როდრიგომ მიიღო მუსლიმ მეომართაგან. იგი წარმოსდგა არაბული „სეიდ“-ისაგან, რაც „ბატონს“ აღნიშნავს. ესპანურ ეპოსში როდრიგოს ეწოდება „Mio Cid“ — „ჩემი სიდი“, ე. ი. „ჩემი ბატონი“. ხოლო „კამპეადორი“ ესპანურად „მებრძოლს“ აღნიშნავს. მისი დაბადების წელი ზუსტად არაა დადგენილი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, იგი დაბადებული უნდა იყოს 1040 წელს, ხოლო ზოგის მიხედვით — 1043 წელს. სიდი გარდაიცვალა 1099 წელს. მან რეკონკისტაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. სიდმა არაერთხელ დაამარცხა მავრების შეიარაღებული ძალები. მისი ლაშქარი ბრძოლების დროს უფრო ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა. სიდის სახელი უმთავრესად პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ალმორავიდები სასტიკად დაამარცხეს და ამით 1094 წელს ესპანელებს შესაძლებლობა მისცეს ვალენსია გაეთავისუფლებინათ.

ყოველივე ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ სიდი თავისი შეიარაღებული ძალებით ზოგჯერ მავრების ცალკეულ ამირებსაც ეხმარებოდა სხვა ამირებთან ბრძოლაში, და ხანდახან თვით ესპანელების წინააღმდეგაც გამოდიოდა, ესპანელმა ხალხმა, პატრიოტიზმის აღმავლობის პირობებში, სიდს ეს შეუნდო და იგი სახალხო გმირად აღიარა. სიდს ესპანელებმა უძღვნეს გმირული ეპოსი — „სიმღერა ჩემ სიდზე“. ამგვარად, ამ ნაწარმოების შინაარსი ისტორიულ საფუძველზეა აგებული, თუმცა ზოგჯერ იგი სინამდვილეს სცილდება. პოემაში სიდი გამოყვანილია პატრიოტად, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე მავრებთან ბრძოლას მოანდომა. ფაქტიურად კი, როგორც აღვნიშნეთ, სიდი ზოგჯერ მავრების მომხრედაც გამოდიოდა. გარდა ამისა, სიდი ამ ნაწარმოებში ისეთ პირადაც არის გამოყვანილი, რომელიც იბრძვის მოსახლეობის დაბალი ფენების ინტერესებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში სიდი ულმობელი და მკაცრი ფეოდალი იყო, რომელიც თავის პირად გამდიდრებასა და ძალაუფლების მოხვეჭას ემსახურებოდა.

პოემაში ისტორიული სინამდვილიდან ცალკეული გადახვევა გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხს ასეთ დადებით პირად უნდოდა წარმოედგინა თავისი გმირი. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოემა სიდის მოღვაწეობიდან ერთი საუკუნის შემდეგ (XII საუკუნის შუა ხანებში) შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში სიდის უარყოფითი მხარეები ხალხმა ან დაივიწყა, ან არადა აპატია მას ისინი. ერთადერთი ხელნაწერი — „სიმღერა ჩემ სიდზე“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის.

თავი IX

სკანდინავიის ქვეყნები ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში

სკანდინავიის ქვეყნების საერთო ვითარება ფეოდალიზაციის დაწყებამდე

სკანდინავიის უძველესი ხანის შესახებ რაიმე მნიშვნელოვანი წყარო არ მოგვეპოვება. მხოლოდ ტაციტუსის ხანიდან იწყება სკანდინავიის თავისებური შესწავლა რომაელების მიერ და ისიც არასრულად, რადგან მათი ურთიერთობა ამ მხარესთან უფრო მეტად სხვა გერმანელი ტომების მეშვეობით ხდებოდა. ტაციტუსი თავის შრომაში — „გერმანია" პირველად იხსენიებს სვიონების ტომს, რომელიც, მისი აზრით, ლუგიებზე, გოტონებზე, რუგიებზე და ლემოვიებზე გაცილებით უფრო დაშორებულად ცხოვრობდა. შემდეგ, 150 წელს ჩვ. წელთაღრიცხვით, ბერძენმა მეცნიერმა პტოლემაიოსმა პირველად შეადგინა ცოტად თუ ბევრად სწორი რუკა იმ ქვეყნებისა, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ბალტიის ზღვის მახლობლად. ამ რუკაზე აღნიშნულია ოთხი კუნძული. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც მოთავსებულია აღმოსავლეთით, ის სკანდიას უწოდებს, რაც სკანდინავიას ნიშნავს. ამგვარად, გამოდის, რომ პტოლემაიოსი სკანდინავიის ქვეყნებს კარგად ვერ იცნობდა, რადგან სკანდინავია მას წარმოდგენილი ჰქონდა არა ნახევარკუნძულად, არამედ კუნძულად. სკანდინავიის ხალხებზე შედარებით უფრო მეტ ცნობებს პროკოპი კესარიელი გვაწვდის.

შუა საუკუნეების დასაწყისში სკანდინავიის ნაწილი და იუტლანდია დაკავებული ჰქონდა გერმანელი ტომების ჩრდილოეთის განშტოებას. იმ ტომთა შორის, რომელნიც ადრევე იყვნენ დასახლებულნი, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე, ყველაზე ადრე ცნობილნი გახდნენ გეოთები (ეოთები), რომელნიც ზოგიერთ წყაროში გაუტებად და გეატებად იხსენიებიან, და სვეონები, ანუ სვიონები, რომელთაც შეერქვათ შვედები. რადგან პირველნი (გეოთები, ანუ ეოთები) უმთავრესად თანამედროვე შვეციის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ ვენერნისა და ვეტერნის ტბებს შუა, ამიტომ ამ ადგილმა დღესაც თავისი სახელ-

წოდება შეინარჩუნა — გეოთალანდი, რაც გეოთების მიწას ნიშნავს. დაახლოებით თანამედროვე შვეციის ცენტრალურ ნაწილში, გეოთებს ჩრდილოეთით, ტბა მელარენის ირგვლივ დაბინადრებული იყვნენ სვიონები, სვეონები, აქედან წარმოსდგა სახელწოდება სვეალანდი, ანუ შვედების მიწა.

სკანდინავიის დასავლეთ ნაწილში (თანამედროვე ნორვეგიაში) მოსახლეობდა უამრავი წვრილ-წვრილი ტომი: რაუმები, ხალეიგები, ხორდები, რიუგიები და სხვ., რომელნიც თანამედროვე ნორვეველთა წინაპრებს წარმოადგენდნენ. ყველა ესენი ერთმანეთისაგან დაშორებით ცხოვრობდნენ ნახევარკუნძულზე ღრმად შეჭრილი ყურეების სანაპიროებზე და მაღალი მთებით იყვნენ გათიშულნი. დანიის არქიპელაგის კუნძულებზე, სკანდინავიის სამხრეთ ნაწილის მიდამოებში და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ დანები, ანუ დანელები, შვეციისა და ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილებში კი — ფინების ტომები.

სკანდინავიის მოსახლეობა უფრო ნაკლებად მისდევდა მიწათმოქმედებას, ვიდრე მესაქონლეობას, ნადირობას, მეთევზეობასა და სხვ. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ იქ არსებული კლიმატური პირობები, მთაგორიანი ადგილები და ნიადაგის სიმწირე მიწათმოქმედების განვითარებას ხელს არ უწყობდა. ამ შემთხვევაში ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა იუტლანდია, სკანდინავიის სამხრეთი ნაწილი, შვეციის ცენტრალური ადგილები და უპლანდის ის ადგილები, რომლებიც მელარენის ტბას ემიჯნებოდა. თავდაპირველად ამ ადგილებში მოჰყავდათ ჭვავი და ქერი, ხოლო შემდეგ იწყეს შვრიის, სელის, სვიისა და სხვა კულტურების მოყვანაც.

მიწათმოქმედების დარგში სკანდინავიის ნახევარკუნძულის საკმაოდ დიდი ტერიტორია აუთვისებელი რჩებოდა. ნორვეგიისა და შვეციის შიწების დიდი ნაწილი მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი იყო. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი იუტლანდიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილშიც. ჩამოთვლილი მხარეები უხვად იყო დაფარული გაუვალი ტყეებით, მთებითა და ჭაობიანი ადგილებით. მართალია, აქაც აქა-იქ ხვნა-თესვას აწარმოებდნენ, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო მასშტაბით. ამგვარად, ჯერ კიდევ ფეოდალიზაციის დასაწყისში სკანდინავიაში უფრო მეტად ნადირობას, მესაქონლეობასა და მეთევზეობას მისდევდნენ, მაგრამ მისი მომრავლებული მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება თანდათან შეუძლებელი ხდებოდა.

ასეთ პირობებში უფრო მეტად მეურნეობის ის დარგი უნდა განვითარებულიყო, რომელსაც უკეთესი შესაძლებლობა გააჩნდა გავრცელებისათვის. სკანდინავიის მდინარეები, ტბები და უამრავი ყურე

მდიდარი იყო თევზით, რის გამოც მეთევზეობა ძალიან განვითარდა. თევზს იჭერდნენ არა მარტო ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ უცხოეთში გასაყიდადაც. მეთევზეობის განვითარებას თან სდევდა ზღვაოსნობის განვითარებაც. სკანდინავიის შეჭრილ-შემოჭრილი ნაპირები და სამდინარო მიმოსვლა ხელს უწყობდა ნორმანების („ჩრდილოეთის ხალხის") დახელოვნებას ზღვაოსნობაში. ნავებისა და ხომალდების აშენება იოლად ხდებოდა იმიტომაც, რომ სკანდინავიაში უხვად მოიპოვებოდა საშენი მასალა საუკეთესო ტყეებისა და რკინის დიდი მარაგის სახით.

სკანდინაველები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ ზღვაოსნობას და დიდ გულადობას იჩენდნენ შორეულ საზღვაო მიმოსვლაში. რომელიმე „ვიკინგის" (სიტყვიდან „ვიკ", რაც ნიშნავს ყურეს) ხელმძღვანელობით რაზმი, რომელიც ჩვეულებრივ 100-მდე კაცისაგან შედგებოდა, ჩასხდებოდა ხომალდში („ზღვის მგელში", ან „ზღვის ცხენში") და შორეულ გზას გაუდგებოდა. ამასთან, ნორმანები მიზნად ისახავდნენ არა მარტო თევზის ჭერას, არამედ ვაჭრობასაც, რომელიც უშუალოდ ყაჩაღობასთან და ძარცვა-გლეჯასთან იყო დაკავშირებული. ამგვარად, ზღვად გასული ნორმანებიდან თითოეული ერთდროულად ასრულებდა ყაჩაღის, მებრძოლისა და ვაჭრის საქმეს (ნორმანების ლაშქრობათა შესახებ იხ. IV თავი).

სკანდინაველებს თემური წყობილება ჰქონდათ. სხვა გერმანელი ტომები, რომლებიც რომის იმპერიის მახლობლად ცხოვრობდნენ, რომანიზაციას განიცდიდნენ. სკანდინავიას ასეთი გავლენა არ განუცდია და ამიტომ იქ თემური წყობილება დიდხანს უცვლელი რჩებოდა. სკანდინაველების თითოეულ ტომს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა, რომელსაც იარლი ეწოდებოდა. რამდენიმე ტომი ქმნიდა უფრო მსხვილ ტომობრივ გაერთიანებას, რომლის მნიშვნელოვან საქმეებს საერთო კრება იხილავდა. იყო აგრეთვე უხუცესთა საბჭოებიც. თითოეული ტომი, თავის მხრივ, ასეულებად იყოფოდა, რომელსაც ასეულის უფროსი განაგებდა. საზოგადოების საფუძველს თავისუფალი გლეხები შეადგენდნენ, რომელთაც ბონდები ეწოდებოდათ.

როგორც აღვნიშნეთ, თემური წყობილება სკანდინავიაში უფრო მყარი იყო, ვიდრე ძველი გერმანელების სხვა ტომებში, მაგრამ თანდათან თემური წყობილება აქაც ირღვეოდა და კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა ხდებოდა. უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი როლი ამ შემთხვევაშიც მონობას მიეკუთვნებოდა. მართალია, სკანდინავიის ქვეყნებს არ გაუვლიათ განვითარების მონათმფლობელური საფეხურები კლასიკური სახით, მაგრამ პატრიარქალური მონობა ამ ქვეყნებში ყველგან იყო გავრცელებული. ის განსაკუთრებით განვითა-

რდა IX—XI ს-ში, როდესაც სკანდინავიის მოსახლეობის გარკვეული ფენა სისტემატურად აწარმოებდა ლაშქრობებს შორეულ ქვეყნებში.

სკანდინაველები ამ ლაშქრობებში ხშირად ხელთ იგდებდნენ უამრავ ტყვეს, რომელთაც ნაწილობრივ სხვა ქვეყნებში ყიდდნენ მონებად, ხოლო დანარჩენ ნაწილს თავიანთ მეურნეობაში იყენებდნენ და მათ ექსპლუატაციას ეწეოდნენ. სკანდინავიის ეკონომიკურად განვითარებულ რაიონებში, განსაკუთრებით დანიაში, სამხრეთ შვეციაში და, ნაწილობრივ, მის ცენტრალურ ადგილებში — მონური შრომა ფართოდ იყო განვითარებული. მონებისათვის სპეციალურად იყო გამოყოფილი ცალკე ხაკვეთები, რომლებზედაც ისინი მუშაობდნენ და იხდიდნენ გადასახადებს თავიანთი ბატონების სასარგებლოდ.

მონობამ წარჩინებულები უფრო მეტად გააძლიერა ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც და მკვეთრად გამოყო ისინი თემის თავისუფალი წევრებისაგან. თემის თავისუფალი წევრები, თემური წყობილების რღვევასთან დაკავშირებით თანდათან წარჩინებულებს ექვემდებარებოდნენ. თემური წყობილების რღვევა და კლასების წარმოშობა ყველაზე ადრე შესამჩნევი გახდა შვედებში, ანუ სვიონებში. ჯერ კიდევ ადრე ამის შესახებ ტაციტუსი წერდა: „სიმდიდრე სვიონებში ქებულია. ამიტომ მათ ერთი პიროვნება მართავს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე...“ ტაციტუსი სვიონებში სხვადასხვა ფენებს ასახელებს: წარჩინებულთ, თავისუფალთ, გაზატებულთ და მონებს, მაგრამ საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია და კლასების ფორმირების პროცესი სკანდინავიაში ხანგრძლივი აღმოჩნდა. მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც კი აქ საკმაოდ იყო შემორჩენილი თემური წყობილების ნაშთები სისხლის აღებისა და სტუმართმოყვარეობის სახით.

იმ ეპოქის თანამედროვე (XI საუკუნე) ადამ ბრემენელი შვედების შესახებ წერდა: „მხოლოდ ქალთა საკითხში მათ ზომა არ იციან: თითოეულ შვედს, მისი ქონებისდა მიხედვით, ორი, სამი და უფრო მეტი ცოლი ჰყავს. მდიდრებსა და წინამძღოლებს ცოლები უამრავი რაოდენობით გააჩნიათ... თუმცა ყველა ჰიპორბორელი (სკანდინაველი) სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შვედების სტუმართმოყვარეობა. მათთან ყველაზე დიდი სირცხვილია უარის თქმა მოგზაურის მიღებაზე; ისინი ეჯიბრებიან ერთმანეთს იმაში, თუ ვინ უფრო ღირსია სტუმრის მიღებისა“.

თემური წყობილების არსებობის გახანგრძლივების შედეგი იყო ის, რომ სკანდინავიაში ფეოდალიზაციის პროცესი მხოლოდ IX—XI საუკუნეებში დაიწყო. ამავე გარემოებამ განსაზღვრა ფეოდალიზაციის ნელი ტემპებიც. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, თავისუფალი გლეხობა სკანდინავიაში, თუმცა კლებადი რაოდენობით, მაგრამ

მაინც არსებობდა. ამასთან, დიდი ხნის მანძილზე შემორჩენილ იქნა თემური წყობილება დაუმუშავებელ მიწაზე, საძოვარ მინდვრებზე, სათიბზე, ტყეებზე, ჭაობებზე და სხვა საკარგულებზე. ამან თავისი გავლენა იქონია თვით ყმა გლეხზე, რომელმაც, სხვა ქვეყნის ყმებისაგან განსხვავებით, პირადი თავისუფლება დიდი ხნით შეინარჩუნა. ასეთი იყო ფეოდალიზმის განვითარების თავისებურებანი სკანდინავიაში.

სკანდინავიაში ფეოდალიზაციის პროცესის დაგვიანებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, როგორც ფეოდალურმა იდეოლოგიამ, მეცამეტე საუკუნემდე იქ ფეხი ვერ მოიკიდა, მიუხედავად იმისა, რომ ფრანკებმა არაერთხელ სცადეს იქ ქრისტიანობის დანერგვა. ამ მისიით ჯერ კიდევ 829 წელს სკანდინავიაში ბერი ანსგარი გაემგზავრა. მართალია, თავდაპირველად მან უმნიშვნელო წარმატებას მიაღწია, მაგრამ მალე მისი საქმიანობა ჩაიშალა. ასეთივე უშედეგო აღმოჩნდა მეორე მისიონერული ცდა, წამოწყებული X საუკუნის 30-იან წლებში. ქრისტიანობის გავრცელების ცდა კვლავ უშედეგოდ დარჩა.

დანიის სამეფოს წარმოშობა

გამონაკლისს მხოლოდ დანია წარმოადგენდა, სადაც ფეოდალიზაცია შედარებით ადრე დაიწყო. მას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ დანიაში, სკანდინავიის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად მისდევდნენ მიწათმოქმედებას, გარდა ამისა, დანია ტერიტორიულად ახლოს იმყოფებოდა ფრანკთა მონარქიასთან, სადაც გაცილებით უფრო ადრე ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ფეოდალური უფლებრივობა. ფრანკების გაბატონებული ფეოდალური კლასი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი გავლენა მეზობელ ქვეყნებზეც გაევრცელებინა. დანიაში ფეოდალიზაციის პროცესის, სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო ადრე დაწყებამ ასევე უფრო ადრე წარმოქმნა ადრეული ფეოდალური სამეფო.

ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში დანიის მეფემ (კონუნგმა) ჰარალდმა „მებრძოლმა კბილმა" გააერთიანა დანია და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი — სკონე, ჰალანდი და ბლეკინგი. მეფე გოდფრიდის მეფობაში (გარდაიცვალა 810 წ.) დანიის სამეფოს შეუერთდა აგრეთვე შლეზვიგი. X—XI საუკუნეებში დანიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო ძლიერი მეზობლების მიმართაც კი, დანელი ვიკინგების ლაშქარი სისტემატურ თავდასხმებს აწყობდა კაროლინგების იმპერიაზე (პირველად — 834 წელს). 885 წელს დანელებმა პარიზს ალყა შემოარტ-

ყეს, 866 წელს მათ ჩრდილო-აღმოსავლეთი ინგლისი დაიპყრეს და იქ გაბატონდნენ.

X საუკუნის მეორე ნახევარში, ფეოდალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ქრისტიანული რელიგიის შემოღება. დანიის მეფემ ჰარალდ „ლურჯკბილიანმა“ (დაახლოებით 950—986 წლები) ქრისტიანობა მიიღო. მან ეკლესია მიწებით დაასაჩუქრა და მას ფეოდალური პრივილეგიები მიანიჭა. ჰარალდი ექსპანსიურ პოლიტიკას აწარმოებდა ლიტველი მოდგმის ტომებთან, პრუსიელებთან და აგრეთვე ზღვისპირეთის სლავებთან. მან რამდენჯერმე მოაწყო გალაშქრება ინგლისში. დანია მის დროს მძლავრ სამეფოდ გადაიქცა.

მეფე სვენის, „ორთითა წვერებიანის“ დროს (დაახლ. 960—1014) დანიამ ინგლისი კვლავ დაიმორჩილა და ნორვეგიის ნაწილი დაიპყრო, მაგრამ დანელების ბატონობა ამჯერად ხანმოკლე აღმოჩნდა. ინგლისზე ხელახალი თავდასხმები კვლავ დაიწყო სვენის ვაჟის მეფე ჰარალდ სვენსონის დროს (1014—1017), მაგრამ იგი ვერ მოესწრო ინგლისის საბოლოო დამორჩილებას. მის მიერ დაწყებული საქმე სვენის მეორე შვილმა, კნუდმა (1017—1035) განაგრძო. როგორც ცნობილია, მან საბოლოოდ მოახერხა ინგლისის დაპყრობა. მისი მეფობის დროს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა დანია, ნორვეგია, ინგლისი და შვეციის ერთი ნაწილი. კნუდის ექსპანსიონისტური პოლიტიკა ნაკარნახევი იყო დანელი ფეოდალების მიერ. მაგრამ კნუდის მიერ გაერთიანებული სახელმწიფო მყარი არ აღმოჩნდა. იგი გარდაიცვალა და ეს სახელმწიფოც დაიშალა. დანელების მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან დანიის სამეფოს შემადგენლობაში დარჩა მხოლოდ სამხრეთი სკანდინავია (იხ. თავი VII).

ფეოდალიზაციის პროცესი ნორვეგიაში

სკანდინავიის ქვეყნებში ფეოდალიზაციის პროცესის თავისებურება უფრო გასაგები ხდება ნორვეგიის მაგალითიდან, ამიტომ მის განხილვაზე ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას შევაჩერებთ.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი ისევე დასახლებული აღმოჩნდა ძველი გერმანელი ტომებით, როგორც ამ ნახევარკუნძულის სხვა ნაწილები. ძველ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ტომები, რომელთა საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას დიდი ხნის მანძილზე თემური წყობილება განსაზღვრავდა. ნორვეგელთა გვარი, რომელიც ეგზოგამიის მკაცრ პრინციპს ემყარებოდა. მოიცავდა ნათესაობის ფართო წრეს მეექვსე თაობის ჩათვლით. ამასთან, იგი შედგებოდა დიდი ოჯახებისაგან, რომლებშიც 20—40 მამა-

კაცამდე მოითვლებოდა. ნორვეგელი არქეოლოგების მიერ ასეთი დიდი ოჯახების ბევრი ძველი დასახლებაა აღმოჩენილი. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში შენარჩუნებულია III—IV საუკუნეებში არსებული კარ-მიდამოს ნაშთები. მათი სახნავ-სათესი ნაკვეთები მცირე ფართობისა იყო, რადგან ქვიშიანი ნიადაგის დამუშავება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ასეთ კარმიდამოში ერთი ან ორი სახლი იდგა, თითოეული სახლის სიგრძე 15—30 მეტრს აღემატებოდა, ხოლო სიგანე 5—10 მეტრს.

ნორვეგიის სოფლები ქვეყნის შიგნით წვრილ ერთეულებს წარმოადგენდა და უფრო ემსგავსებოდა პატარა ხუტორებს, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა მცირე იყო. ასეთი დასახლება აიხსნებოდა ნორვეგიის ბუნებრივი პირობებით. აქ არ იყო ვრცელი ვაკე ადგილები, რომლებზეც შესაძლებელი იქნებოდა დიდი სოფლების გაშენება. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ნორვეგელები ცხოვრობდნენ პატარ-პატარა ოლქებში (ფიულკებში), რომლებიც მაღალი მთებით იყვნენ გათიშული ერთმანეთისაგან და რომელთა დაკავშირება ხდებოდა მხოლოდ ყურეების (ფიორდების) მეშვეობით; ითქვა, რომ თითოეულ ტომს მართავდა უხუცესი — „იარლი“.

რამდენიმე ტომი ტომობრივ კავშირში ერთიანდებოდა. ამ გაერთიანების საქმეებს სახალხო კრება — „ტინგი“ (thing) ხელმძღვანელობდა. სახალხო კრებაზე თავდაპირველად გვარის ყველა თავისუფალი წევრი უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ შემდეგ, ტომობრივი კავშირის გაფართოებასთან ერთად, ყველას გამოცხადება მეტად ძნელი ხდებოდა, რადგან ტინგზე გამოცხადებისათვის შორეული ადგილებიდან წამოსული გვარის წევრი თავის მეურნეობას დიდი ხნით უნდა მოწყვეტოდა და თანაც ხშირ შემთხვევაში დანიშნულ ადგილზეც ვერ ცხადდებოდა. გვარში მომხდარ სოციალურ დიფერენციაციასთან ერთად ტინგების ხასიათიც იცვლებოდა. სამხედრო ხელმძღვანელები და სხვა წარჩინებული პირნი თავიანთი ამალით სახალხო კრებაზე სისტემატურად ცხადდებოდნენ (მათ ამისი შესაძლებლობა უფრო მეტი ჰქონდათ) და თავიანთ ნება-სურვილს კრებას თავს ახვევდნენ.

ტომთა უფრო მსხვილ გაერთიანებას „რიკი“ წარმოადგენდა. თითოეულ ასეთ გაერთიანებას სათავეში „მეფე“ (კონუნგი) ედგა, რომელსაც სახალხო კრება — ტინგი ირჩევდა. იმ შემთხვევაში, თუ მეფე არ დააკმაყოფილებდა სახალხო კრების მოთხოვნებს, კრება მას გადააყენებდა. ტომთა გაერთიანების შემდეგ ნორვეგიაში ოთხი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ოლქი წარმოიქმნა, რომელთაც გააჩნდათ თავიანთი ტინგები, ჰქონდათ საკუთარი კანონები და ადგილობრივი

წესები. რა თქმა უნდა, მათ შორის არსებული სხვაობა გამოწვეული იყო მათი ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონითა და სოციალური წყობით. ამ მხრივ ჩრდილოეთი ნორვეგია, მაგალითად, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სამხრეთისაგან.

ზღვიდან დაშორებული მხარე უფრო კონსერვატიული აღმოჩნდა თავის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი მოსახლეობა, რომელიც მიწათმოქმედებასთან ერთად მისდევდა მესაქონლეობას, მეთევზეობას, ნადირობასა და სხვა საქმიანობას, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ნორვეგიის მეფეებს, რომელნიც ცდილობდნენ მისი დამოუკიდებლობის მოსპობას და არაერთხელ აიძულებდა მათ მასებისადმი დათმობაზე წასულიყვნენ. სამხრეთ-დასავლეთი ნორვეგიის მცხოვრებლებთან შედარებით, ზღვიდან დაშორებული ადგილების მოსახლეობა ვიკინგების საზღვაო ექსპედიციებსა და ლაშქრობებში უფრო უმნიშვნელო მონაწილეობას იღებდა.

ნორვეგიაში, ისე როგორც სკანდინავიის სხვა ქვეყნებში, ფეოდალიზაციის დასაწყისს დიდი ხნით ადრე წინ უძღოდა კერძო საკუთრების წარმოშობა მიწაზე და თემური წყობილების რღვევა. ამ მხარეში თემური წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლის პერიოდი (როგორც უკვე აღინიშნა, სკანდინავიის საზოგადოებრიობამ კლასიკური მონობის საფეხური გამოტოვა), ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, თვით სკანდინავიური თემის თავისებურებით უნდა აიხსნას. სკანდინავიური თემი კონსერვატიული ბუნებისა იყო. თემის ძირითადი საყრდენი, მსხვილი ოჯახი, საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა, იმდენად უცვლელი, რომ იგი XI საუკუნის სამართლის წიგნებშიც კი მოიხსენიება.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მსხვილი ოჯახისათვის განკუთვნილი მეურნეობის დაყოფა მემკვიდრეთა შორის არ იყო დაშვებული. უკეთუ მამულის მემკვიდრე ორი ძმა აღმოჩნდებოდა, მაშინ მიწა ერთ-ერთ მათგანზე გადადიოდა კენჭისყრის წესით. ეს გარემოება მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილ ძმას აიძულებდა საკუთარი ძმის ოჯახში დარჩენილიყო საცხოვრებლად და, ამგვარად, ოჯახის დაყოფაც არ მოხდებოდა. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ დიდი ოჯახის კუთვნილი მიწის ესა თუ ის ფართობი ინდივიდუალურ, კერძო საკუთრებას კი არა, არამედ ამ დიდი ოჯახის კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენდა.

კერძო ინდივიდუალური საკუთრების გაჩენასთან ერთად მსხვილ ოჯახებს მცირე ოჯახები გამოეყო, მაგრამ კერძო საკუთრების გაჩენასა და მის შემდგომ განვითარებას ისევ და ისევ თემური ტრადიციები აფერხებდა. ჯერ ერთი, არსებული ტრადიციების მიხედვით,

თუ ვინმე გადაწყვეტდა თავისი მიწის გაყიდვას, მიწა მის ნათესავს უნდა ეყიდა. გარეშე პიროვნებას მისი ყიდვის უფლება არ ჰქონდა მანამდე, სანამ მიწის გამყიდველის ყველა ნათესავი უარს არ იტყოდა ამ მიწის ყიდვაზე. მეორეც, მიწის გამყიდველს უფლება ჰქონდა 20 წლის განმავლობაში უკან გამოესყიდა თავისი გაყიდული მიწა იმავე ფასებში, როგორშიც გაყიდა. თუ აღნიშნული ხნის განმავლობაში მიწის მყიდველს ნაყიდ მიწაზე გაშენებული ჰქონდა რაიმე, შეეძლო მისი საფასური დამატებით გამოერთმია. იმ შემთხვევაში კი, თუ მიწის გამყიდველი 20 წლის განმავლობაში გარდაიცვლებოდა, მის მემკვიდრეს შეეძლო გაყიდული მიწის უკან გამოსყიდვა კიდევ ათი წლის განმავლობაში სრულწლოვნად გახდომის შემდეგ.

კერძო საკუთრების განვითარების ეს ხელის შემშლელი პირობები ხდებოდა აგრეთვე ფეოდალიზაციის პროცესის დაგვიანების ან მისი შერბილების მიზეზიც. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია თანდათან მატულობდა. თემი კარგავდა თავის ცხოველმყოფელობას და იზრდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა, რაც ფეოდალური სახელმწიფოს წარმოშობას გარდაუვალს ხდიდა.

ნორვეგიის სამეფოს ჩამოყალიბება და მისი შემდგომი ვითარება

ყოველივე ზემოხსენებულის პარალელურად, როგორც აღნიშნული იყო, ცალკეული ნორვეგიელი ტომები უფრო მსხვილ ტომობრივ გაერთიანებებს ქმნიდნენ. IX საუკუნის მეორე ნახევარში ნორვეგიის ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული ოლქის კონუნგმა ჰარალდ ჰაარფაგრმა („მშვენიერთმიანმა") თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა ნორვეგიის აღმოსავლეთი ნაწილი. იგი ბრძოლებს აწარმოებდა აგრეთვე დასავლეთ ნორვეგიის გაერთიანებისთვისაც, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის საკმაო სოციალურ-ეკონომიკური ბაზა არ გააჩნდა.

როგორც ნორვეგიაში, ისე სკანდინავიის სხვა ქვეყნებში, სახელმწიფოს პოლიტიკურად გაერთიანების საქმეში მეფეთა მნიშვნელოვან დამხმარედ კათოლიკური ეკლესია გამოდიოდა, თუმცა ზოგჯერ, როგორც ფეოდალური ორგანიზაცია, ისიც იჩენდა ხოლმე ცენტრიდანულ ტენდენციას. ნორვეგიაში ქრისტიანობა გავრცელებას იწყებს X საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამავე საუკუნის ბოლოს მეფე ოლაფ პირველმა (995—1000) იგი ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. ქრისტიანობის გავრცელებას ეწინააღმდეგებოდნენ ხალხის მასები და საგვარეულო არისტოკრატია, რომლებიც ადგილობრივ წარმარ-

თულ კულტებს ემყარებოდნენ. ნორვეგიაში ქრისტიანული ეკლესია უფრო მეტად მეფე ოლაფ მეორის დროს (1015—1028) გაძლიერდა. მეფე უხვად აჯილდოებდა ეკლესიას და მას პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნიდა, რისთვისაც ეკლესიამ იგი „წმინდანად“ აღიარა და, გარდა ამისა, დიდი დახმარება აღმოუჩინა ქვეყნის პოლიტიკურად გაერთიანების საქმეში.

ამგვარად, ნორვეგიის ცალკეული ტომებისა და მათი კავშირების ერთი მეფის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანება მოხდა X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. მაგრამ ნორვეგიის პოლიტიკური გაერთიანება დანიის მეფემ თავისთვის მაინცდამაინც ხელსაყრელად არ ჩათვალა. 1025 წელს მან ომი წამოიწყო ნორვეგიის წინააღმდეგ. სკონეში, მდინარე ჰელგეოსთან გამართულ ბრძოლებში დანელებმა ნორვეგელები დაამარცხეს. 1028 წელს დანიის მეფე კნუდმა ოლაფ მეორე აიძულა ნორვეგიიდან გაქცეულიყო და ნოვგოროდში შეეფარებინა თავი. ამგვარად, ნორვეგია ერთ ხანს დანიის სამეფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. დანელთა ბატონობისაგან ნორვეგია მაშინ განთავისუფლდა, როცა კნუდი გარდაიცვალა და მისი სამფლობელო დაიშალა. ოლაფ მეორის შვილმა 1035 წელს შეძლო ნორვეგიის სამეფო ტახტის დაკავება, ხოლო 1042 წლიდან 1047 წლამდე იგი დანიის მეფედაც კი ითვლებოდა.

XI საუკუნის ბოლოს ნორვეგიის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნეოდა. მეურნეობაში მიწათმოქმედების ხვედრითი წონა თანდათან გაიზარდა. უფრო თვალსაჩინო გახდა ტექნიკის განვითარება. შედარებით გაფართოვდა ვაჭრობა და აღებ-მიცემა. ამას შესაფერისი სოციალური ცვლილებებიც მოჰყვა. თავისუფალი გლეხობა ეკონომიკურად უფრო მეტად მემამულეებზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ამიერიდან ქვეყნის ფეოდალიზაციამ განვითარების მეტი გასაქანი მოიპოვა.

შვეცია

როგორც აღნიშნული იყო, შვეციაში მოსახლეობდნენ გერმანელი ტომები: სამხრეთით გეოთები, ანუ გოთები, ხოლო ცენტრალურ ნაწილში სვიონები, ანუ შვედები. აღნიშნული იყო ისიც, რომ შვეციის მოსახლეობას დიდი ხნის მანძილზე გვაროვნული წყობილება ჰქონდა. აქ გვაროვნული წყობილების რღვევა შესამჩნევი გახდა მხოლოდ VI—VII საუკუნეებში. ეს პროცესი თანდათანობით ძლიერდებოდა მერვე საუკუნისათვის, როდესაც თემის შინაგან რღვევას დაემატა გარეგანი ფაქტორის გავლენაც. აღნიშნულ ხანაში შვედებმა უფრო მეტად გააფართოეს აღებ-მიცემა და ვაჭრობა მეზობელ სა-

ხელმწიფოებთან, განსაკუთრებით ფრანკებთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. შვედი ვიკინგების ლაშქრობანი, სკანდინავიის სხვა ქვეყნების ვიკინგების ლაშქრობებთან შედარებით, მტაცებლური ხასიათისა არ იყო. ისინი უფრო მეტად სავაჭრო ურთიერთობაში ვლინდებოდნენ. IX საუკუნეში ვარიაგები (ასე უწოდებდნენ ნორმანებს რუსეთში) მიემგზავრებოდნენ რუსეთში, ბიზანტიასა და არაბულ ქვეყნებში ვაჭრობის გასაფართოებლად, რის შედეგადაც შვეციის პირველი ქალაქი ბირკა, რომელიც მელარენის ტბასთან მდებარეობდა, ბალტიის ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა.

თემური წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის ნელი პროცესი კარგა ხნის განმავლობაში არ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ფეოდალური ურთიერთობის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის, რაც შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას: შვეციაში, ისე როგორც ნორვეგიაში, უმრავლეს შემთხვევაში, ბუნებრივი პირობების გამო მიწათმოქმედება ვერ გადაიქცა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად, შვედების საარსებო საშუალება უმთავრესად მესაქონლეობა, ნადირობა, მეთევზეობა და სამთამადნო მრეწველობა გახდა. ასეთ პირობებში მსხვილი ფეოდალური მეურნეობის წარმოქმნა შეუძლებელი იყო. თუ დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში ფეოდალებს საკუთარი მეურნეობა ჰქონდათ, რომელშიც გამოყენებული იყო ყმის შრომა ბეგარის სახით, შვეციის ფეოდალები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ ყმებისაგან მარტო ღალის მიღებით, ესე იგი, როგორც მარქსი ამბობდა, პროდუქტული რენტით. შვეციის განვითარების თავისებურებას, გარდა ამისა, ახასიათებდა ისიც, რომ მასში არსებული გლეხური თემი თავისი მყარი ფორმით კარგა ხანს იცავდა თავისი წევრების თავისუფლებას ფეოდალების ხელყოფისაგან.

შვეციის სამხედრო-მიწათმფლობელ არისტოკრატიას, რომელიც მონებით დასახლებულ მიწებს ფლობდა და რომელიც თავისი გავლენის ქვეშ თავისუფალ გლეხობასაც აქცევდა, ჰყავდა პატარ-პატარა მეფეები (კონუნგები), რომელთა შორისაც განუწყვეტელი ბრძოლები წარმოებდა პირველობისათვის. X საუკუნეში წარმოებული მეფეთა ურთიერთბრძოლების შედეგად შვეციაში ორი სამეფო ჩამოყალიბდა: ერთი, შუა შვეციის დიდი ტბების ჩრდილოეთით, საკუთრივ შვეცია (Svealand), რომლის ცენტრი უპსალა იყო, მეორე, ამ სამეფოს სამხრეთით.

იმის გამო, რომ უპსალას ოლქი ნაყოფიერი მიწების შემცველი იყო, კარგად დაცული უბეები გააჩნდა და სამხედრო და სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იგი მალე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. დროთა განმავლობაში ჩრდილოეთის სამეფო საკმაოდ გაძლიერ-

და. რაც შეეხება შვეციის სამხრეთ ნაწილს, იგი უფრო მეტად აღმოჩნდა დაკავშირებული დანიისა და გერმანიის სამეფოებთან. სამხრეთ შვეციის მესვეურნი უცხოელების (დანელების) დახმარებით უპსალას სამეფოსთან განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ. ეს ბრძოლები X—XI საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ბრძოლებში უპსალელებმა გაიმარჯვეს, რის შედეგადაც XI საუკუნის დამდეგს მოხდა ამ ორი სამეფოს გაერთიანება. გაერთიანებული სახელმწიფოს პირველი მეფე ოლაფ შეტკონუნგი იყო.

როგორც ჩანს, ოლაფმა ქვეყნის გაერთიანების საქმეში ქრისტიანული ეკლესიაც გამოიყენა; მისი მეფობის დროს (დაახლოებით 1000 წელს) შვეციაში დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება, რომელმაც გაბატონებული მდგომარეობა უფრო გვიან, XII საუკუნეში მოიპოვა. შეიძლება ითქვას, რომ ოლაფის სახელმწიფო ადრინდელ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რადგან ფეოდალური ურთიერთობანი მასში მხოლოდ ახლად იწყებდნენ განვითარებას, მათი საბოლოო ჩამოყალიბება კი ხდება გაცილებით გვიან, XII—XIV საუკუნეებში.

თავი X

დასავლეთ ევროპის ადრინდელი ფეოდალური საზოგადოების ზოგადი დახასიათება

ფეოდალური საზოგადოების ოთხი დამახასიათებელი ნიშანი ლენინის მიხედვით

მას შემდეგ, რაც ფრანკთა მონარქიაში ძირითადად დასრულდა ფეოდალური წყობილების განმტკიცება, დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში X და XI საუკუნეებშიც გრძელდებოდა ფეოდალიზაციის პროცესი. ამ ხნის მანძილზე ფეოდალური წარმოების წესი გაბატონდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ბიზანტიასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ფეოდალურმა სამყარომ XI საუკუნეში დასრულებული სახე მიიღო არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ ევროპის აღმოსავლეთ ნაწილსა და სხვა ქვეყნებშიც.

როგორი იყო ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები? რითი განსხვავდებოდა იგი დანარჩენი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისაგან?

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი თავის თხზულებაში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" (იხ. თხზულებათა III ტომი), ადარებდა ფეოდალური წარმოების წესს კაპიტალისტურს, პირველის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებად თვლიდა: „ჯერ ერთი, ნატურალური მეურნეობის ბატონობას. ბატონყმური მამული უნდა ყოფილიყო თვითკმარი, კარჩაკეტილი მთელი, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან... მეორეც, ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ; ესეც ცოტაა — საჭიროა, რომ ის მიმაგრებული იყოს მიწაზე, რადგან სხვანაირად მემამულე მუშახელით არ იქნება უზრუნველყოფილი. მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტის მიღების წესები საბატონო და კაპიტალისტური მეურნეობის დროს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს: პირველი დამყარებულია მწარმოებლისათვის მიწის მიცემაზე, მე-

ორე — მიწისაგან მწარმოებლის განთავისუფლებაზე. მესამეც. მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან. მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შეძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა. საჭიროა, მაშასადამე, „გარეეკონომიკური იძულება"... ბოლოს მეოთხეც..., ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა"[1].

ნატურალური მეურნეობა და მისი რაობა

ლენინის განმარტებით, ნატურალური მეურნეობის პირობებში საზოგადოება უფრო ხშირად ერთგვაროვანი სამეურნეო ერთეულებისაგან (პატრიარქალური გლეხური ოჯახებისაგან, პრიმიტიული სასოფლო თემებისაგან, ფეოდალური მამულებისაგან) შედგებოდა. ყოველი ასეთი ერთეული მრავალმხრივ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა, დაწყებული სხვადასხვა ნედლეულის მოპოვებით და დამთავრებული მოხმარებისათვის მისი საბოლოო გადამუშავებით. ამგვარად, აუცილებელი მოთხოვნილების ყველა საგანი ფეოდალურ მეურნეობაში მზადდებოდა, იქნებოდა ეს სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი, საპონი თუ სხვ. ფეოდალური საზოგადოების რომელსამე წევრს თავისი რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში, არ სჭირდებოდა ბაზრისათვის მიმართვა.

ნატურალური მეურნეობის პირობებში საზოგადოებრივი შრომის დანაწილება შორს არ იყო წასული, ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა სასაქონლო მეურნეობის დროს. განვითარებულ სასაქონლო მეურნეობაში საქონელი მზადდება არა პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ ბაზრისათვის — გასაყიდად. თუ სასაქონლო მეურნეობაში მესაათე დროის გარკვეულ მონაკვეთში, ვთქვათ. 100 საათს ამზადებს, ან მეჩექმე კერავს 100 წყვილ ფეხსაცმელს. ამას ისინი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ აკეთებენ, რადგან თითოეულ მათგანს ერთი წყვილი ფეხსაცმელი ან ერთი საათი სავსებით ეყოფოდა.

ამგვარად, ნატურალური მეურნეობა, რომელშიც საზოგადოებრივი შრომის დანაწილება შორს არაა წასული, და სადაც, ძირითადად, ადგილი არა აქვს აღებ-მიცემას ან ვაჭრობას, უფრო სწორედ, იგი უმნი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გამოცემა მეოთხე, 1948, გვ. 207—209.

შვნელო როლს ასრულებს, სადაც ყველაფერი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მზადდება — კარჩაკეტილი მეურნეობაა. მაგრამ სიტყვა „კარჩაკეტილი“ არ უნდა გვესმოდეს აბსოლუტური გაგებით. ნატურალური მეურნეობა სულაც არაა ე. მაიერისებური „საოჯახო (ოიკოსური) მეურნეობა“, რომლის დროსაც, თითქოს არ წარმოებდა არავითარი გაცვლა-გამოცვლა და ვაჭრობა. როგორც მარქსი აღნიშნავდა, აღებ-მიცემას და ვაჭრობას, საერთოდ, დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი მეტ-ნაკლებად წარმოებდა, როგორც ფეოდალური მეურნეობის, ისე მონათმფლობელობის პირობებში და თემური წყობილების დროსაც კი. ნატურალური მეურნეობა, რაგინდ კარჩაკეტილიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გულისხმობდა ერთგვარ ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლას, თუნდაც იმ გაგებით, რომ წიაღისეული სიმდიდრე ყველა ფეოდალის მიწა-წყალზე არ შეიძლებოდა ერთი და იგივე სახისა ყოფილიყო. მაგალითად, მარილი შეიძლება მოეპოვებინათ მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში. ფეოდალი, რომლის მამულშიც მარილი არ იშოვებოდა, რა თქმა უნდა, იძულებული გახდებოდა ვაჭრობის ან გაცვლა-გამოცვლის საშუალებით იგი სხვა ადგილებიდან შემოეტანა. მიუხედავად ამისა, ნატურალური მეურნეობა ძირითადად მაინც კარჩაკეტილი იყო, ვინაიდან მასში წარმოებულ გაცვლა-გამოცვლას ან ვაჭრობას სპორადული ხასიათი ჰქონდა.

ტექნიკის განვითარების დაბალი დონე ფეოდალური წარმოების წესის დროს

ნატურალური მეურნეობა სხვა მხრივაც განსხვავდებოდა სასაქონლო მეურნეობისაგან. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ-სასაქონლო მეურნეობაში კონკურენციაა გაბატონებული და ამ კონკურენციაში იმარჯვებს ის, ვინც ეკონომიკურად ძლიერია, ვისი წარმოებაც მსხვილია. ეს გარემოება კონკურენციის მონაწილეებს აიძულებს შემდეგისათვის რაც შეიძლება უფრო მეტად გაზარდონ და გაამსხვილონ თავიანთი წარმოება. ამის შედეგად კი ხდება გაფართოებული რეპროდუქცია. ასეთ ვითარებაში იქმნება ტექნიკის უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობა.

ნატურალური მეურნეობა, რომელიც გაანგარიშებული იყო მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გაფართოებულ რეპროდუქციას სულაც არ საჭიროებდა. ერთი წლის განმავლობაში ყმა გლეხის ოჯახი შეიძლებოდა ერთი ან ორი სულით გაზრდილიყო. მაშასადამე, მისი ოჯახის მოთხოვნილებაც უმნიშვნელოდ გაიზრდებოდა. ამიტომ იყო, რომ გლეხი მომავალი წლისათვის თა-

ვის მიწებზე თესდა ერთი ან ორი ფუთი ხორბლით მეტ სათესლე მასალას. ამგვარად, რეპროდუქცია აქ დიდი მასშტაბით არ ხდებოდა. ასეთ პირობებში ტექნიკის განვითარებაც ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მით უფრო, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელიც ფეოდალური ეკონომიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა, ტექნიკის სწრაფი განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას იყო მოკლებული. ტექნიკის განვითარება ჩამორჩებოდა, „რადგან მეურნეობის გაძღოლა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ"[1].

მიუხედავად ამისა, ტექნიკისა და, საერთოდ, წარმოებითი ძალების განვითარების თვალსაზრისით, ფეოდალური წარმოების წესი, მონათმფლობელური წარმოების წესთან შედარებით უფრო პროგრესული აღმოჩნდა, ვინაიდან ფეოდალურ საზოგადოებაში უშუალო მწარმოებელი ყმა გლეხის სახით, სამუშაო იარაღებთან ორგანულად იყო დაკავშირებული. სახნისი, გამწევი ძალა (ხარები), თოხი, ბარი და ნიჩაბი ყმა გლეხის საკუთრებას წარმოადგენდა, იმ დროს, როცა მონათმფლობელური წარმოების წესის პირობებში მონა არამცთუ არ ფლობდა რაიმე საწარმოო იარაღს, არამედ თვითონ იყო გადაქცეული სამუშაო იარაღად და უკანასკნელისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ იგი, როგორც ანტიკური მოღვაწენი ამბობდნენ, „მოლაპარაკე იარაღს" წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ყმა გლეხი უფრო მეტად იყო ტექნიკის განვითარებით დაინტერესებული, ვიდრე მონა, მით უფრო, რომ პირველს, გარდა ზემოთქმულისა, ჰქონდა თავისი მეურნეობა, ჰყავდა საკუთარი ოჯახი, რაც მას განვითარებისათვის უფრო ძლიერ იმპულსს აძლევდა.

ყმის ექსპლუატაცია „გარეეკონომიკური იძულების" საფუძველზე

ის გარემოება, რომ ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის დროს უშუალო მწარმოებელს პირად საკუთრებაში ჰქონდა სამუშაო იარაღები, გააჩნდა თავისი მეურნეობა (თუნდაც ფეოდალის კუთვნილ მიწაზე), მას არსებობის შესაძლებლობას აძლევდა. ამ თვალსაზრისით, კაპიტალისტურ ურთიერთობაში მყოფი უშუალო მწარმოებელი — მუშა სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდა. რადგან იგი აბსოლუტურად მოწყვეტილი იყო სამუშაო იარაღებს და არ გააჩნდა არსებობის არავითარი საშუალება, გარდა თავისი სამუშაო ძალისა,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გამოცემა მეოთხე, 1948, გვ. 209.

იძულებული ხდებოდა დაქირავებულიყო კაპიტალისტურ წარმოებაში. „ჩიტივით თავისუფალი“ მუშა, თავისუფალი არსებობის ყოველგვარი საშუალებისგანაც, ეკონომიკურად დამოკიდებული ხდებოდა კაპიტალისტზე. შიმშილი, ანუ ეკონომიკური ფაქტორი აიძულებდა მას კაპიტალისტის ულმობელი ექსპლუატაციის უღელქვეშ მოქცეულიყო.

უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ფორმათა ზემოხსენებული სხვაობის შესახებ ლენინი წერდა: „... ბატონყმური მეურნეობის სისტემა კაპიტალისტურისაგან განირჩევა შემდეგი სამი მხრით. ჯერ ერთი, ბატონყმური მეურნეობა არის ნატურალური მეურნეობა, კაპიტალისტური მეურნეობა კი ფულადი მეურნეობაა. მეორე, ბატონყმურ მეურნეობაში ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს მომუშავის მიმაგრება მიწაზე, მისთვის მიწის მიცემა, კაპიტალისტურ მეურნეობაში კი — მომუშავის განთავისუფლება მიწისაგან. შემოსავლის (ე. ი. ნამეტი პროდუქტის) მისაღებად მებატონე-მემამულეს თავის მიწაზე უნდა ჰყავდეს გლეხი, რომელსაც მოეპოვება ნადელი, ინვენტარი, პირუტყვი. უმიწაწყლო, უცხენო, უმეურნეო გლეხი უვარგისი ობიექტია ბატონყმური ექსპლოატაციისათვის. შემოსავლის (მოგების) მისაღებად კაპიტალისტს თვალწინ უნდა ჰყავდეს სწორედ უმიწაწყლო, უმეურნეობო მომუშავე, რომელიც იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა შრომის თავისუფალ ბაზარზე. მესამე, გლეხი, რომელსაც მიწა აქვს მიღებული, პირადად დამოკიდებული უნდა იყოს მემამულისაგან, ვინაიდან მიწის მქონე გლეხი არ წავა საბატონო სამუშაოზე ისე, თუ იგი იძულებული არ არის. მეურნეობის სისტემა აქ წარმოშობს „გარეეკონომიკურ იძულებას“, ბატონყმობას, იურიდიულ დამოკიდებულებას, არასრულუფლებიანობას და ა. შ. პირიქით, „იდეალური“ კაპიტალიზმი არის სრული თავისუფლება ხელშეკრულებისა თავისუფალ ბაზარზე — მესაკუთრესა და პროლეტარს შორის“[1].

ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ თუმცა ყმა გლეხს აქვს საკუთარი წარმოების საშუალებანი და მუშასავით მშიერი არ რჩება, მაინც, რაკი თვითონ ნახევრად ბატონის საკუთრებას წარმოადგენს (ფეოდალს არა აქვს უფლება თავისი ყმის მოკვლისა), ამიტომ ამ პირადი დამოკიდებულების საფუძველზე ფეოდალს შეუძლია თავისი ყმა მათრახით აიძულოს ბატონის მამულში უსასყიდლოდ იმუშაოს (შრომითი ბეგარა) და გამოართვას მის მიერ შექმნილი ზედმეტი პროდუქტი სხვადასხვა გამოსაღების სახით (ღალა). ამგვარად, რო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს, იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, 1950, ტ. 15, გვ. 86.

ორც მუშა, ისე ყმა გლეხი ექსპლუატაციის ქვეშ არიან მოქცეულნი, ოღონდ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მუშა ეკონომიკურად ხდება იძულებული („შიმშილი მათრახზე უფრო მწვავეა") იმუშაოს კაპიტალისტის სასარგებლოდ, ხოლო ყმის ექსპლუატაცია გარეეკონომიკური იძულების საშუალებით ხდება.

უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ნორმა და ექსპლუატაციის ფორმათა სხვადასხვა გამოვლინება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფეოდალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი არ იყო ფართო რეპროდუქცია, იმ დროს როცა წარმოების ფართო რეპროდუქცია კაპიტალისტური მეურნეობის განუყრელ მოვლენას წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში, უშუალო მწარმოებლისაგან მიღებული ზედმეტი პროდუქტის განსაზღვრული ნაწილი კაპიტალისტს წარმოების გაფართოებაში უნდა დაებანდებინა, როგორც კაპიტალი, ხოლო ფეოდალს ეს არ სჭირდებოდა: მაშასადამე, ყმა გლეხის ექსპლუატაციის ნორმა მუშასთან შედარებით უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, როცა ლაპარაკია უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმაზე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნატურალური მეურნეობის პირობებში, რადგან ვაჭრობა უმნიშვნელო იყო, უშუალო მწარმოებლისაგან (გლეხისაგან) მიღებული ზედმეტი პროდუქტი არ გადაიქცეოდა ფულად (იგულისხმება ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომელთა დაგროვება, პროდუქტისაგან განსხვავებით, დიდი ხნის განმავლობაში იყო შესაძლებელი). ასეთ ვითარებაში, უშუალო მწარმოებლისაგან იმაზე მეტი პროდუქტის მიღება, რაც საკმარისი იქნებოდა ფეოდალის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, უაზრობას წარმოადგენდა. ფეოდალის მიერ ყმისაგან მიღებული ზედმეტი პროდუქტის საშუალებით დიდი დოვლათის დაგროვება უმიზნო იქნებოდა იმ გაგებითაც, რომ დაგროვებული პროდუქტი, მისი ბაზარზე გაუსაღებლობის გამო, მალე დალპებოდა და გაფუჭდებოდა (პროდუქტების კონსერვირების თანამედროვე მეთოდები მაშინ უცნობი იყო).

კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი ეკონომიკური კანონი ზემოგების მიზანს ემსახურება და არა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მეორე მხრივ კი, ყოველი სახის დაგროვება კაპიტალად იქცევა. ამიტომ კაპიტალისტი დაჟინებით მიილტვის ასეთი დაგროვებისაკენ. იგი ცდილობს, რაც შეიძლება გაზარდოს უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც კი არსებობს უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის

ერთგვარი მიჯნა. ბოლოს და ბოლოს, დღე-ღამეში 24 საათია და, მაშასადამე, ამ დროის განმავლობაში მუშას კაპიტალისტი ვერ აიძულებს 30 საათი იმუშაოს. გარდა ამისა, სამუშაო დღის გაგრძელება 24 საათის განმავლობაში ფიზიკურად შეუძლებელია. წინა დღით დახარჯული ენერგია მუშამ ხომ უნდა აანაზღაუროს, ამისათვის კი საჭიროა კაპიტალისტმა მუშას ძილისათვის 24 საათიდან გარკვეული დრო დაუთმოს. ამგვარად, თუ ყმა გლეხის ექსპლუატაციის ნორმა, როგორც მარქსი ამბობდა, „ფეოდალის კუჭით" განისაზღვრებოდა, მუშის ექსპლუატაციის ნორმა მისი ფიზიკური შესაძლებლობის ფაქტორზეა დამოკიდებული.

ზემონათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ ისიც, რომ უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს სხვადასხვაა. ფეოდალურ ხანაში უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია უფრო აშკარად და თვალსაჩინოდ ვლინდებოდა, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. ყმა გლეხი თვალსაჩინოდ ხედავდა, რომ მას, როგორც მიწაზე მიმაგრებულს, ძალით, უსასყიდლოდ ამუშავებდნენ ფეოდალის მამულში. როგორც ცნობილია, ყმა გლეხის შრომითი ბეგარა ზოგან კვირაში სამი დღით განისაზღვრებოდა, ზოგან კი კვირაში ექვსი დღე მას უფასოდ ბატონის სასარგებლოდ უნდა ემუშავა. თავისი მეურნეობის დასამუშავებლად კი მას რჩებოდა მხოლოდ კვირა დღე და მთვარიანი ღამეები. გლეხებისათვის ასევე თვალსაჩინო იყო ის გარემოება, რომ ისინი რაიმე სამაგიეროს მიღების გარეშე ფეოდალის სასარგებლოდ იხდიდნენ ღალას სხვადასხვა გადასახადების სახით.

მუშის ექსპლუატაცია კი კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში მუშისათვის არცთუ ისე თვალსაჩინოა. ჯერ ერთი, მუშისა და კაპიტალისტის გარიგება თითქოს ნებაყოფლობით პრინციპს ემყარება. ყმისაგან განსხვავებით, მუშა ხომ იურიდიულად თავისუფალია. მეორეც, მუშა, იღებს რა ყოველდღიურად კაპიტალისტისაგან გასამრჯელოს, ერთ ხანს ფიქრობს, რომ ამით ის მთლიანად ინაზღაურებს დახარჯულ შრომას, თითქოს იგი თავის მიერ შექმნილ ღირებულებას მთლიანად ღებულობს და, მაშასადამე, მას ექსპლუატაციას არ უწევენ.

იმ გარემოებას, რომ ყმა გლეხის ექსპლუატაცია უფრო თვალსაჩინო იყო, ვიდრე მუშისა, კლასობრივი წინააღმდეგობა ფეოდალურ საზოგადოებაში უფრო მეტად უნდა გაემწვავებინა და ამით გაბატონებული ფეოდალების კლასი აეძულებინა უფრო მონოლითურად შემჭიდროებულიყო ყმების წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი ბატონობის შემდგომი შენარჩუნებისათვის. გარეეკონომიკური

იძულების საფუძველზე წარმოებული ყმების ექსპლუატაცია აძლიერებდა ფეოდალური კლასის ეკონომიკას, მის ბატონობას უშუალო მწარმოებლებზე, მაგრამ ფეოდალური კლასის მონოლითური შემჭიდროება უმეტესად მიწის ფეოდალურ საკუთრებას ემყარებოდა.

ფეოდალური საკუთრების თავისებურებანი

ვიდრე ზემოაღნიშნული საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭირო იქნება ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიულ საკუთრებასთან დაპირისპირება. ბურჟუაზიული საკუთრება მისი წინამორბედი ფეოდალური საკუთრებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი გვევლინება „წმინდა“ სახით. კაპიტალისტურ ურთიერთობაში ყველაფერი ცალკეული პიროვნების (ინდივიდის) ან ჯგუფის (კომპანიის) განუსაზღვრელ საკუთრებას წარმოადგენს. ქარხნის პატრონს თავისი ქარხანა შეუძლია დაანგრიოს, გაყიდოს, გააჩუქოს, მზითევში გაატანოს, ვისმე ანდერძით დაუტოვოს და სხვ., ისე, რომ ამის შესახებ მას არ დასჭირდება ვისთანმე შეთანხმება ან ვისგანმე ნებართვის აღება. ერთი სიტყვით, საკუთრების გასხვისება აქ წარმოებს ყოველგვარი შეპირობებისა და შეზღუდვის გარეშე.

ფეოდალურ ურთიერთობაში არსებული კერძო საკუთრება ძირითად წარმოებით საშუალებაზე — მიწაზე პირობადებულობის გარეშე არა ვლინდება. ამ შემთხვევაში მიწაზე არსებული საკუთრება უფრო ჯგუფურ საკუთრებას წარმოადგენს, ვიდრე ცალკე ინდივიდისას. ასეთი საკუთრება თავისებურ იერარქიულ პრინციპს ემყარება. მიწა, რომელზედაც გლეხური მეურნეობაა მოწყობილი, იურიდიულად ბატონის საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო იგივე მიწა გლეხის ფაქტიურ მფლობელობაშია. რაკი ყმა გლეხი მიმაგრებულია ამ მიწაზე, ამიტომ ამ მიწის გაყიდვა ან გასხვისება მასზე დასახლებული გლეხის გარეშე შეუძლებელი ხდება. მაგრამ ასეთი მიწის შესყიდვის შეპირობება უფრო შორსაც მიდის — იგივე მიწის ნაკვეთი ბატონს მიღებული აქვს თავისი სენიორისაგან როგორც ფეოდი (პირობითი მფლობელობა) და ამიტომ საბოლოო ანგარიშში იგი სენიორს ეკუთვნის. ამ უკანასკნელს ეს მიწა, თავის მხრივ, მასზე უფრო მაღლა მდგომი სენიორისაგან მიუღია. ამგვარად, მიწის გაყიდვის შემთხვევაში საჭიროა სათანადო შეთანხმება სიუზერენთანაც.

ფეოდალური საკუთრება როგორც ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ფეოდალიზმის დროს ცალკეული პირები კი არ გვევლინებიან კერძო მესაკუთრეებად, არამედ

ფეოდალების ჯგუფი და, საბოლოო ანგარიშში კი, მთლიანად ფეოდალური კლასი, რომელიც მონოპოლიურად ფლობს ყველა მიწას. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო დევიზი — „არ არსებობს მიწა სენიორის გარეშე", მაგრამ ფეოდალური მიწათმფლობელობა შეპირობებული იყო: მიწა, როგორც წესი, მიღებულია ვისმე მიერ ვისგანმე გარკვეული პირობით. მიწის მიმღები ფეოდალი თავის სენიორს პირობას აძლევს, რომ იგი საკუთარი შეიარაღებული ძალებით თავისი სენიორის დამხმარედ გამოვა, როცა უკანასკნელს დასჭირდება ვასალის დახმარება. რა თქმა უნდა, სენიორს თავისი ვასალის დახმარება სჭირდებოდა არა მარტო მაშინ, როცა ის იბრძოდა შემოსეული მტრის წინააღმდეგ, არამედ უფრო მაშინ, როცა მის სამფლობელოში იწყებოდა ყმა გლეხების აჯანყება. რაკი მიწის საკუთრების ასეთი ფორმა ფეოდალური კლასის ცალკეულ წარმომადგენლებს ურთიერთშორის აკავშირებდა და მათ კერძო ინტერესებს კლასობრივ ინტერესებად ხდიდა, ამიტომ ყმების აჯანყების შემთხვევაში ფეოდალები ერთად ილაშქრებდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ და ერთობლივი მოქმედებით ცდილობდნენ თავიანთი ბატონობის შენარჩუნებას და მის გახანგრძლივებას. მიწათმფლობელობის იერარქიული სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული რაზმების ყოლა ფეოდალებს ყმებზე ძალაუფლებას ანიჭებდა.

ფეოდალური საკუთრების განმასხვავებელი ნიშანი მონათმფლობელური და კაპიტალისტური კერძო საკუთრებისაგან, ძირითადად, მისი იერარქიული სტრუქტურაა. ფეოდალური იერარქიის კიბურის ყველაზე უფრო მაღალ საფეხურზე მეფე იდგა. განვითარებული ფეოდალური ხანის წეს-ჩვეულების თანახმად, სახელმწიფოში არსებული მიწების უზენაეს მესაკუთრედ მეფე ითვლებოდა. მიღებული იყო, რომ ფეოდალური კლასის ყველაზე მაღალი ფენის წარმომადგენელნი (ჰერცოგები, გრაფები, მარკიზები) მიწებს მეფის წყალობით ფლობდნენ. ამ უკანასკნელთა „წყალობით" კი მიწები განეკუთვნებოდათ უფრო დაბალ საფეხურზე მყოფთ: მათ ვასალებს, ქვევასალებს და რაინდობას. თუ მსხვილი ფეოდალი ერთი რომელიმეს მიმართ იქნებოდა სენიორი, სხვის მიმართ (თავისზე უფრო მაღლა მდგომის მიმართ) იგი იყო ვასალი. არსებული ფეოდალური წესის თანახმად, ვასალ-სენიორობა წვრილი რაინდობით თავდებოდა. წვრილ რაინდებს არ უნდა ჰყოლოდათ ვასალები. რაც შეეხება გლეხობას, იგი ფეოდალურ-იერარქიული კიბურიდან გამოთიშული იყო, თუმცა ამ პირამიდის მთელი სიმძიმე მას აწვა კისერზე.

ფეოდალური საზოგადოება ძირითადად ორ ჯგუფად იყოფოდა: მიწების მონოპოლიურად მფლობელი ფეოდალები, რომელნიც უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციით ცხოვრობდნენ და ყმა გლეხობა, რომლის ხარჯზეც (განსაკუთრებით ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში) მთელი ფეოდალური საზოგადოება განაგრძობდა არსებობას. ამ ორი ანტაგონისტურად განწყობილი ნაწილის გარდა ფეოდალურ საზოგადოებაში გვხვდება აგრეთვე შინაკლასობრივი დაჯგუფებებიც, რომლებიც სხვადასხვა წოდებათა სახით გვევლინება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასი და წოდება, როგორც ცნება, ყოველთვის იდენტური არაა: მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წოდება ერთსა და იმავე გაბატონებულ კლასს ეკუთვნის, მათი უფლებრივი მდგომარეობა შეიძლება განსხვავდებოდეს. ფეოდალურ საზოგადოებაში, მაგალითად, ყმა გლეხები და ხელოსნები (რომელნიც მესამე წოდებას ეკუთვნოდნენ), ფართო გაგებით, უშუალო მწარმოებლებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ექსპლუატირებულნი იყვნენ გაბატონებული კლასის მიერ, მაგრამ მათი მდგომარეობა წარმოებაში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, რადგან ხელოსნებს მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, არ ესაჭიროებოდათ ისე, როგორც გლეხებს. აქედან გამომდინარე, ფეოდალებთან მათი უფლებრივი დამოკიდებულებაც სხვაგვარი იყო.

რაც შეეხება ფეოდალურ კლასს, იგი ორი ძირითადი წოდებისაგან შედგებოდა: სასულიერო (პირველი) წოდება და საერო ფეოდალები (მეორე წოდება). ისინი ექსპლუატატორებს წარმოადგენდნენ, თუმცა თავიანთი მდგომარეობით ერთიმეორისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ. მიწის იერარქიულ მფლობელობაში საერო ფეოდალებს სამემკვიდრეო საკუთრება გააჩნდათ, ხოლო ეკლესიის თავისებური წესების გამო სასულიერო წოდებაში მიწათმფლობელობა ინდივიდებს შორის მემკვიდეობით არ გადადიოდა. გაბატონებული კლასის წოდებათა შორის არსებული ეს განსხვავება ერთგვარად ჩქმალავს ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული ანტაგონიზმის სურათს; სინამდვილეში ეკლესია არამცთუ არ ჩამორჩებოდა საერო ფეოდალებს უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის საქმეში, არამედ ბევრად უფრო სჭარბობდა მათ. ამას ამტკიცებს გლეხთა უფრო ხშირი აჯანყება საეკლესიო მამულებში.

ფეოდალურ კლასობრივ დაჯგუფებათა შესაბამისად, წოდებანი, თავის მხრივ, იყოფოდა პრივილეგიებით აღჭურვილ მაღალ წოდებად და დაბალ წოდებად, რომელიც პრივილეგიებს მოკლებული იყო და უუფლებო მასას წარმოადგენდა. უმაღლესი წოდებისათვის პრივი-

ლეგიების მინიჭების საფუძველი მისი ფეოდალური (გაბატონებული) კლასისადმი კუთვნილება იყო. მაღალი წოდების წარმომადგენელნი „გვარიშვილებად“ ითვლებოდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში მათ ეკრძალებოდათ ისეთი „არაკეთილშობილური“ საქმიანობა, როგორიც იყო ვაჭრობა, ხელოსნობა და სხვ. დაბალი წოდების წარმომადგენლებად კი ითვლებოდნენ ისინი, ვინც თავადაზნაურობასა და საასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა. დაბალი წოდების წარმომადგენელნი თავიანთი ვალდებულების (გადასახადების გაღება, ბეგარის მოხდა) გამო მებეგარეებად იწოდებოდნენ. საფრანგეთში, მაგალითად, „მესამე წოდებას“ მებეგარეებსაც უწოდებდნენ. მას მიეკუთვნებოდა გადასახადების ყველა გამღები: ვაჭრები, ხელოსნები, გლეხობის ყველა ფენა, უფრო გვიან კი — დაქირავებული მუშებიც.

კლასებისა და წოდებების შესახებ ლენინი წერდა: „ცნობილია, რომ მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში კლასების განსხვავება აღინიშნებოდა მოსახლეობის წ ო დ ე ბ რ ი ვ ი დაყოფითაც, რომ მას თან სდევდა განსაკუთრებული ი უ რ ი დ ი უ ლ ი ადგილის დაწესება სახელმწიფოში თითოეული კლასისათვის. ამიტომ მონათმფლობელური და ფეოდალური (ბატონყმური) საზოგადოების კლასები ამავე დროს ცალკე წოდებანიც იყვნენ. პირიქით, კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იურიდიულად ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან, წოდებრივი დაყოფა მოსპობილია (ყოველ შემთხვევაში—პრინციპულად), და ამიტომ კლასები აღარ არიან წოდებანი“[1].

ფეოდალურ საზოგადოებაში წოდებებად დაყოფისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ნიშნები: წოდებათათვის გარკვეულ უფლებათა და მოვალეობათა დადგენა, წოდებათა კარჩაკეტილობა (მეტნაკლებად სხვადასხვა სახელმწიფოში), წოდებრიობის მემკვიდრეობით გადასვლა, მაღალ წოდებათა პრივილეგიური მდგომარეობა და დაბალთა უუფლებობა. დაბალი წოდებისაგან უფრო მეტად გამიჯვნის მიზნით მაღალი წოდების წარმომადგენელნი თავიანთ თავს ადიდებდნენ და „ცისფერი სისხლის“ მქონედ თვლიდნენ. ფეოდალი, თუნდაც არანორმალური, როგორც მაღალი წოდების წარმომადგენელი, „გვარიშვილად“ ცხადდებოდა, ხოლო გლეხი, რაგინდ ზრდილი და ჭკვიანიც არ უნდა ყოფილიყო, ადამიანად არ ითვლებოდა. ერთი სიტყვით, წოდებრიობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ინდივიდი კი იჩქმალებოდა.

აღმავალი ბურჟუაზია ფეოდალური წოდებრივი ეთიკის წინააღ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა, იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 6, 1949, გვ. 131, შენიშვნა სქოლიოში.

მდეგ ილაშქრებდა, რადგან ფეოდალური სამყაროს მიწურულშიც კი იგი დაბალ წოდებად ითვლებოდა. ეკონომიკურად მომძლავრებულ ბურჟუაზიას აღარ შეეძლო დამცირების ატანა და პროტესტს აცხადებდა. ამ პროტესტის შორეული გამოხმაურება წოდებრიობის წინააღმდეგ საქართველოში მოხდენილადაა აღნიშნული გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანის-ცემა ღირსებას,
ნიჭს აღლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარის-შვილობას!“

ფეოდალიზმი კაპიტალიზმისაგან სხვა ნიშნებითაც განსხვავდებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეული ასეთი თავისებურება ფეოდალური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე პუდმივად უცვლელი კი არ რჩებოდა, არამედ ვითარდებოდა და დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახეს ღებულობდა. მაგალითად, ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში არსებული ნატურალური მეურნეობა კლასიკური ფეოდალიზმის დროს ისეთივე კარჩაკეტილი აღარ იყო. მასში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა თანდათან ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. მიწის რენტაც ასევე იცვლიდა სახეს. თუ თავდაპირველად ის უფრო შრომით ბეგარაში გამოიხატებოდა, ხოლო განვითარების შემდგომ საფეხურზე — პროდუქტულში, ფეოდალიზმის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ფულადი რენტა სჭარბობდა.

გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში, საფრანგეთის აგრარული ისტორია, მაგალითად, აღარ ხასიათდება ფეოდალის საკუთარი მეურნეობის ფართო გავრცელებით. ამ დროისათვის ფრანგი ფეოდალების თითქმის მთელი მიწა გლეხთა შორის იყო დანაწილებული და, მაშასადამე, ყმური შრომის გამოყენება მას ნაკლებად შეეძლო. ამგვარად, მიწის რენტის სამი სახიდან ძალაში უფრო მეტად პროდუქტული და ფულადი რენტა რჩებოდა. საერთოდ კი, მიწის რენტის ყველაზე დაბალ საფეხურს შრომითი რენტა შეესაბამებოდა, შემდეგ — პროდუქტული რენტა, ხოლო უფრო განვითარებულს — ფულადი რენტა. შესაძლებელი იყო რენტის სამივე სახის ერთდროულად არსებობა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის გაბატონებით.

ფეოდალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ცალკეულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა აგრეთვე უშუალო მწარმოებლების ფეოდალთან პირადი დამოკიდებულების სიმწვავის მეტნაკლებობაც. დასავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ბატონყმური დამოკიდებულება XIV—XV საუკუნეებიდან, ძირითადად, უკვე გაუქმებულია,

მაგრამ წოდებრივი უთანაბრობა კვლავ განაგრძობს არსებობას. გლეხები კვლავ ბატონის სასამართლოს ექვემდებარებიან და შეზღუდულნი არიან უფლებრივად.

გლეხობა X—XI საუკუნეებში

რაც უფრო უახლოვდებოდა ფეოდალიზაციის პროცესი განვითარების შემდგომ საფეხურს, უშუალო მწარმოებელთა ნიველირება სულ უფრო და უფრო მატულობდა. მონობა და კოლონობა თანდათანობით გაქრა. თავისუფალი გლეხობის რაოდენობა მეტად შემცირდა და XI საუკუნისათვის მათი დიდი უმრავლესობა დაყმევებული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, გლეხობაში მიანც შეიმჩნეოდა სოციალური და ეკონომიკური დიფერენციაცია. მცირე რაოდენობის შეძლებულ გლეხობასთან ერთად იყო აგრეთვე საშუალო შეძლებისა და ღარიბ-ღატაკი, ბოგანო გლეხების დიდი რაოდენობა. ამ უკანასკნელთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა უფრო მეტად მწვავდებოდა იმით, რომ ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში მიწის ნაკვეთების დამუშავებას უხეში იარაღით აწარმოებდნენ. ყანებს მძიმე სახნისით ხნავდნენ; ამ საქმეში გამოყენებული იყო გუთანი, რომელშიც შებმული უნდა ყოფილიყო 2—4 უღელი ხარი. იშვიათად თუ მოიპოვებოდა გლეხური ოჯახი, რომელსაც ასეთი გუთნის ამოძრავებისათვის საკმარისი რაოდენობის გამწევი ძალა ჰყავდა. ამ შემთხვევაში გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთიანდებოდა („მოდგამი"), მაგრამ ზოგიერთს ამის შესაძლებლობა არ გააჩნდა და იძულებული იყო თავისი ყანა ბარით ან ნიჩბით დაემუშავებინა. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში მოსავალი მცირე იყო და მას ყანებიდან ზურგით ეზიდებოდნენ შინ.

გამწევი ძალის ნაკლებობა ძალზე დამახასიათებელი იყო იმდროინდელი სოფლისათვის. ხშირად ხდებოდა, რომ ხარების უყოლობის გამო უღელში ძროხას აბამდნენ. სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ძროხებთან ერთად გამწევ ძალად თხასაც იყენებდნენ. ცხადია, ეს, პირველ ყოვლისა, ღარიბ გლეხებზე ითქმის. იმდროინდელი ჩვეულების მიხედვით, ფეოდალები გადასახადებით პირუტყვებსაც ბეგრავდნენ. ამასთან, გამწევი ძალის დაბეგვრა უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე არაგამწევისა. რაკი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხარების ნაცვლად ძროხებსა და თხებს იყენებდა, ხოლო ამით ბატონი თავისი შემოსავლის ნაწილს კარგავდა, ამიტომ გადასახადების გაწერისას ასეთ ძროხებსა და თხებს ბატონი ხარებთან ათანაბრებდა. ერთ-ერთ სიგელში ამის შესახებ ნათქვამი იყო: „თუ გუ-

თანში ხარებთან ერთად შებმული იქნება თხაც, იგი ხარად უნდა ჩაითვალოს", ე. ი, თხაზე და ხარზე ერთნაირი გადასახადი უნდა ყოფილიყო.

ყმა გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა. მოუსავლიანობა და შიმშილი

გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა სოფლის მეურნეობის იმ-დროინდელი განვითარების დონითა და ფეოდალური ექსპლუატა-ციით განისაზღვრებოდა. XI საუკუნეში სოფლის მეურნეობას ერთ-გვარი გაუმჯობესება დაეტყო. შემოიღეს მიწის დამუშავების სამ-მინდვროვანი სისტემა, თუმცა მეურნეობის ორმინდვროვანი სის-ტემა და „ადგილგადანაცვლება" ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას. გაუმჯობესდა მებაღეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა. უკვე კაროლინგების ეპოქაში დაინტერესდნენ ანტიკური აგროტექნიკური ლი-ტერატურით. გარკვეული რაოდენობით იქნა გადაწერილი კოლუ-მელას, პალადიუსისა და პლინიუსის ტრაქტატები. კარლოს დიდის ხანაში შედგენილ იქნა კაპიტულარი ვილების შესახებ, რომელიც თა-ვისებურ ინსტრუქციას წარმოადგენდა მამულების მოვლა-პატრონობ-ის საქმეში. ამასთან, იწყება ბრძოლა სარეველა მცენარეების წინა-აღმდეგ. მიწის ნაკვეთების მოხვნა და განოყიერება XI საუკუნიდან უკეთ წარმოებს, ვიდრე კაროლინგების ხანაში. ყველაფერმა ამან მოსავლიანობის გადიდებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. XII საუკუნის შუახანების ერთ-ერთი ფრანგული წყაროს მიხედვით, სა-შემოდგომო და საგაზაფხულო ნათესების შემოსავალი განისაზღვრე-ბოდა შეფარდებით: ერთი ექვსზე.

მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარება მაინც ნელი ტემპით მიმდი-ნარეობდა. ფეოდალური ანარქიულობისა და ხშირი თავდასხმების პირობებში მეურნეობის უკეთესად მოვლა და დამუშავება ძნელდე-ბოდა. ამასთან, ხშირი იყო გვალვიანი წლები და მოუსავლიანობა. 970 წლიდან 1040 წლამდე, ე. ი. 70 წლის მანძილზე, 48 წელი მოუ-სავლიანი აღმოჩნდა. ფრანგი ბერი, რაულ გლაბერი (აღწერს 900—1046 წლების ამბებს), რომელიც ბურგონში (ფრანგულ ბურგუნდია-ში) ცხოვრობდა, 1032 წელს წერდა: „... ადამიანთა მთელი მოდგმა გაწამებული იყო საკვების უქონლობით, მდიდარი და შეძლებული ხალხი შიმშილისაგან ღარიბებზე არანაკლებ იფიტებოდა, რადგან საყოველთაო გასაჭირში ძლიერებს ვისიმე გაძარცვა აღარ შეეძლოთ... როცა საქონელი და ფრინველი გადაჭამეს და შიმშილმა ადამიანები უფრო მეტად შეაწუხა, მაშინ მათ ლეშისა და სხვა წარმოუდგენელი რისამე შთანთქმა იწყეს... საშინელია იმის გადმოცემა, თუ რამდენად

დაეცა ადამიანთა მოდგმა... ადამიანები ადამიანების ხორცს ნთქავდნენ... ზოგიერთები ბავშვებს უჩვენებდნენ ვაშლს ან კვერცხს, გაიტყუებდნენ განცალკევებულ ადგილზე, შემდეგ ხოცავდნენ მათ და ჭამდნენ"...

გლეხობის ძირითადი ფენები

X—XI საუკუნეებში გლეხობა იყოფოდა მიწაზე მიმაგრებულ (პირადად დამოკიდებულ) გლეხობად და ისეთ გლეხებად, რომელთაც პირადი თავისუფლება ჰქონდათ, ოღონდ მიწის მიღების საქმეში დამოკიდებულნი იყვნენ ფეოდალისაგან. მიწაზე მიმაგრებული ყმა გლეხები ფეოდალის კუთვნილებად ითვლებოდნენ „მიწების, ტყის ნაკვეთების, მინდვრებისა და წყლების" თანაბრად. XI საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ სიგელში პირდაპირ იყო ნათქვამი: „... აი ალოდები..., რომლებიც აბატების მუდმივ მფლობელობაშია... (ჩამოთვლილია ალოდები) თავისი კუთვნილებით, სახელდობრ — ყმურ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცებითა და ქალებით, დამუშავებული და დაუმუშავებელი მიწებით, ტყეებით, მინდვრებითა და წყლებით". აქედან თვალსაჩინო ხდება, რომ ყმაც აბატის ისეთივე კუთვნილებაა, როგორც მიწა, ტყე, მინდორი და ა. შ.

ადრინდელი ფეოდალიზმის საფეხურზე მყოფი ყმა გლეხი თავისი იურიდიული მდგომარეობით ერთგვარ შუალედ ადგილს იკავებდა ანტიკურ მონასა და თავისუფალ პიროვნებას შორის. ზოგჯერ ის თითქოს ფეოდალური მამულის დამატებითი ცოცხალი ინვენტარი იყო და გასხვისების ობიექტს წარმოადგენდა, რაც მას მონურ მდგომარეობას უახლოვებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონისაგან ის იმით განსხვავდებოდა, რომ იგი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უშუალოდ მიწაზე იყო მიმაგრებული და თუ ვინმე მოინდომებდა მის გასხვისებას, ეს მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან ერთად უნდა მომხდარიყო. არსებული წესების მიხედვით, ყმას თავის ნაკვეთზე მტკიცე უფლება ჰქონდა და შეეძლო იგი შვილისათვის მემკვიდრეობით გადაეცა, თუმცა ამ წესებს ფეოდალები ზოგჯერ არღვევდნენ.

ყმა გლეხები, რომელთაც საფრანგეთში სერვები ეწოდებოდათ, ვილანებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ პირველნი დამატებით სპეციფიკურ გადასახადებს იხდიდნენ და, პირადად თავისუფალი გლეხებისაგან განსხვავებით, ფეოდალურ ვალდებულებასაც კისრულობდნენ. სერვები ვალდებულნი იყვნენ გაეღოთ „სულადობრივი" გადასახადი (შევაჟი). თავისუფალ პირებთან შეუღლების ან სხვა მემამულის ყმა ქალის შერთვის შემთხვევაში იხდიდნენ „საქორწილო" გადასახადს (ფორმარიაჟი). იმისათვის, რომ შვილს გარდაცვლილი

მამის მეურნეობა მიეღო, ეგრეთ წოდებული „მენმორტის“, ანუ „მკვდარი ხელის“ გადასახადი უნდა გაეღო. ეს უკანასკნელი ორმაგად აჩანაგებდა ყმა გლეხს. ჯერ ერთი, ამ გადასახადში მას ფეოდალისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ძროხა ან ცხენი უნდა მიეცა, და, მეორეც, მენმორტის გაღება მას აგრძნობინებდა, რომ მისი მეურნეობა ერთსა და იმავე დროს ფეოდალის კუთვნილებაცაა და რადგან ბატონს შეუძლია ყმისათვის მისი ჩამორთმევა, ამიტომ ამ მეურნეობის მოვლა-პატრონობის იმპულსი მასში სუსტდებოდა. ყმა გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა უფრო მეტად რთულდებოდა ნებისმიერი „ტალიის“ გადასახადით. ფეოდალის ეს უფლება იმაში გამოიხატებოდა, რომ მას განუსაზღვრელად შეეძლო ამ გადასახადის აკრეფა გლეხობისაგან იმ რაოდენობით, რამდენიც მას სურდა და როდესაც ამას საჭიროდ დაინახავდა.

პირადად თავისუფალი გლეხობა

ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების დროსაც მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იყვნენ პირადად თავისუფალი გლეხები, რომელნიც აგრეთვე ტალიის გადასახადს იხდიდნენ, ოღონდ ამ შემთხვევაში ეს გადასახადი განსაზღვრული რაოდენობით იყო დაწესებული და ნებისმიერს აღარ წარმოადგენდა. პირადად თავისუფალი გლეხების მდგომარეობა ნაწილობრივ იმით იყო შემსუბუქებული, რომ სერვების მსგავსად ისინი არ იხდიდნენ შევაჟს, ფორმარიაჟს და მენმორტის გადასახადს. ამგვარად, პირადად თავისუფალი გლეხი, ანუ ვილანი (როგორც მას საფრანგეთში უწოდებდნენ) სერვისაგან, ანუ პირადი ყმისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ვილანი გადასახადებს იხდიდა მის მიერ დაკავებული მიწის ფართობის ან მისი შემოსავლის მიხედვით, ხოლო სერვი გადასახადებს და ვალდებულებებს იხდიდა პირადი დამოკიდებულების საფუძველზე. ამასთან, თუ პირადად თავისუფალი გლეხის გადასახადების რაოდენობა მტკიცედ იყო ფიქსირებული და არ შეიძლებოდა მისი შეცვლა, სერვის გადასახადები უფრო ნებისმიერს წარმოადგენდა. იმდროინდელ ადათ-ჩვეულებათა მიხედვით, ვილანები იმდენად იხდიდნენ გადასახადებსა და ვალდებულებებს, რამდენადაც ისინი ფეოდალის მიწას ფლობდნენ, ხოლო თუ ისინი ამ მფლობელობაზე უარს იტყოდნენ, ეს ვალდებულებები ეხსნებოდათ. სერვი ასეთ უფლებას მოკლებული იყო, რადგან ის მიწაზე იყო მიმაგრებული.

პირადად თავისუფალი გლეხი იურიდიული უფლებებითაც უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ყმა. ვილანს ბატონის დაუკითხავად დაქორწინება შეეძლო და ფორმარიაჟს არ იხდიდა. გარდა ამისა, პირადად

თავისუფალ გლეხს სასულიერო წოდებაში შესვლის უფლება ეძლეოდა. მას თავისუფლად შეეძლო ემოქმედა სასამართლოში არა მარტო როგორც მოწმეს, არამედ როგორც მოდავესაც. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გლეხი, როგორი თავისუფალიც არ უნდა ყოფილიყო, საბოლოო ანგარიშში დამოკიდებული ხდებოდა ფეოდალზე. იმ შემთხვევაში კი, თუ ის უარს იტყოდა რომელიმე ფეოდალის მიწის იჯარით აღებაზე და ამით ფეოდალურ ვალდებულებებს თავიდან მოიხსნიდა, იძულებული იყო მიწის მისაღებად სხვა ფეოდალისათვის მიემართა და კვლავ ყმური ვალდებულებანი ეკისრა.

ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდა და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება

ფეოდალურ საზოგადოებაში პირადად თავისუფალი გლეხებისა და მათთვის მტკიცედ ფიქსირებული ღალის არსებობა ფეოდალს დროებით სჭირდებოდა იმის გამო, რომ იმ ხანებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა ყამირი, დაუმუშავებელი მიწები. ამ მიწების მოსავლელად და დასამუშავებლად აუცილებელი იყო უშუალო მწარმოებლის ერთგვარი წაქეზება მისთვის შედარებით უკეთესი პირობების შექმნით. გარდა ამისა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ მოიპოვებოდა ტყე, რომლის გაკაფვა და მასზე მეურნეობის მოწყობა შესაძლებელი იყო, ამიტომ გადასახადებით შევიწროებული გლეხების ერთი ნაწილი ტოვებდა დასახლებულ ადგილებს და გარბოდა იქ ახოს ასაღებად. ახალ ადგილებზე გახიზნულ გლეხებს შედარებით უკეთესი პირობები ხვდებოდათ.

როცა დამთავრდა დასავლეთ ევროპის შინაგანი კოლონიზაცია და გლეხს აღარ ჰქონდა დასახლებული ადგილიდან გაქცევის შესაძლებლობა, ბატონმა გადასახადების რაოდენობა უფრო მეტად გაზარდა. უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ნორმის ზრდისაკენ ფეოდალის ლტოლვას სხვა გარემოებაც უწყობდა ხელს. ჯერ ერთი, XI საუკუნეში საბოლოოდ განმტკიცდა ფეოდალური ურთიერთობა და, მაშასადამე, გაძლიერდა ფეოდალური კლასი, მეორეც, XI საუკუნეში ვაჭრობის გაცხოველება უფრო შესამჩნევი გახდა. ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების შედეგად ფეოდალური კლასის მოთხოვნილება ფულზე უზომოდ გაიზარდა. აღმოსავლეთის ნარნარ ქსოვილებსა და სურნელოვან სანელებლებს ევროპის ბაზაზრე სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ფეოდალის მიერ მათი შეძენა და მოხმარება უშუალო მწარმოებლის ხარჯზე უნდა მომხდარიყო.

უშუალო მწარმოებლის მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად

იზრდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა. ამასთან დაკავშირებით კი იცვლებოდა კლასობრივი ბრძოლის ფორმები. თუ წინათ კლასობრივი ბრძოლა ღალის გადახდაზე უარის თქმასა და დასახლებული ადგილებიდან გლეხების გაქცევაში გამოიხატებოდა, ახლა. რაკი გაქცევა შეუძლებელი გახდა, იგი უმთავრესად გლეხების შეთქმულებაში და აჯანყებაში ვლინდებოდა. სამწუხაროდ, წერილობითი ცნობები ამ აჯანყებათა შესახებ ნაკლებად მოგვეპოვება, ვინაიდან გაბატონებული კლასის ის წარმომადგენელნი, რომელთა მონოპოლიას წერა-კითხვის ცოდნა წარმოადგენდა, გლეხობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და წერდნენ მხოლოდ ეკლესიასა და ფეოდალურ-რაინდულ ყოფა-ცხოვრებაზე. აუტანელი ღალა, ბეგარა, მოუსავლიანობა, შიმშილი და ფეოდალების მიერ ყმების შევიწროება საერთოდ, გაწამებულ გლეხობას პირდაპირ აჯანყების გზაზე აყენებდა. ერთ-ერთი ასეთი აჯანყების შესახებ მოგვითხრობს XI საუკუნის მოღვაწის გიიომ ჟიუმიეჟელის (გარდ. დაახლ. 1090 წ.) „ნორმანდული ქრონიკა". ის ადგილი ამ ქრონიკისა, რომელიც ნორმანდიაში მომხდარ საყოველთაო აჯანყებას ეხება, შემდეგნაირად არის დასათაურებული: „იმის შესახებ, თუ [ჰერცოგმა რიჩარდმა] როგორ ბრძნულად ჩაახშო გლეხთა საყოველთაო შეთქმულება, რომელიც მათ სამშობლოს მშვიდობის დარღვევით მოაწყვეს".

ამ ქრონიკის დასათაურებიდანაც ჩანს, რომ მისი ავტორი ფეოდალური კლასის წარმომადგენელს — ჰერცოგ რიჩარდ მეორეს სოტბადიდებით იხსენიებს, რადგან თვითონაც ფეოდალური კლასის წარმომადგენელია. მაგრამ, მიუხედავად ავტორის სიმპათიისა ფეოდალური კლასის მიმართ, იგი იძულებულია ობიექტურად გადმოგვცეს გამარჯვებული ფეოდალების მხეცური დამოკიდებულება აჯანყებულთა მიმართ. ამასთან, ქრონიკის ავტორი აღიარებს, რომ გლეხთა ეს აჯანყება მოედო არა რამდენიმე სოფელს, არამედ მთელ ნორმანდიას. აი, როგორაა აღწერილი ნორმანდიის გლეხთა აჯანყება და მისი ჩახშობა:

„ნორმანდიის სხვადასხვა საგრაფოში გლეხებმა ყველგან თავმოყრა დაიწყეს. მათ დადგენილებები გამოჰქონდათ იმის შესახებ, რომ ეცხოვრათ თავიანთ ნებაზე, ისე რომ ტყიანი სავარგულებითა და წყლებით თავიანთი კანონების მიხედვით ესარგებლათ, თავიანთი კანონების შესაბამისად ადრე შემოღებულ ყოველგვარ შემზღუდველ სამართლისათვის ანგარიშგაუწევლად და იმისათვის, რათა ეს გადაწყვეტილებანი დაემტკიცებინათ, მძვინვარე ხალხის ყოველ კრებაზე ისინი ირჩევდნენ ორ-ორ წარმომადგენელს, რომელთაც მათი დადგენილებანი უნდა გაეტანათ იმ მხარის საერთო კრებაზე დასამტკიცებლად. როცა ამის შესახებ ჰერცოგმა შეიტყო, მათ წინააღმდეგ სას-

წრაფოდ გაგზავნა გრაფი რაული მრავალი რაინდით, რათა მათ სოფლური თავხედობა და გლეხური ამხანაგობა აღეკვეთათ. და აი, მან (რაულმა) დაუყოვნებლივ საიდუმლოდ შეიპყრო [გლეხთა] ყველა რწმუნებული ზოგიერთ სხვასთან ერთად, და მოჰკვეთა რა მათ ხელფეხი, დასახიჩრებულნი უკან გაუგზავნა მათ თანამოაზრეებს, რათა შეეკავებინათ ისინი ამგვარ [წამოწყებათაგან] და თავიანთი მაგალითით ჩაეგონებინათ მათთვის, რათა არ განეცადათ უარესი ხვედრი. ამგვარად შთაგონებული გლეხები დაჩქარდნენ [თავიანთ] შეკრებათა შეწყვეტას და თავიანთ გუთნებს დაბრუნებოდნენ".

რაინდობა

გლეხთა მღელვარებებისა და აჯანყებების ჩახშობა უმთავრესად შეიარაღებული რაინდების ხელით ხდებოდა. რაინდობა, ვიწრო გაგებით, სამხედრო წოდებას წარმოადგენდა და უმთავრესად საშუალო და წვრილი ფეოდალებისაგან შედგებოდა, რაინდობის ფართო გაგება კი გულისხმობდა მსხვილ ფეოდალებსაც, რომელნიც რაინდებად ეკურთხებოდნენ ხოლმე. შეიარაღებულ ძალებში რაინდობა უმთავრესად ცხენოსან რაზმებს შეადგენდა. რაინდობის წარმოშობა იწყება VIII საუკუნიდან, როცა ფრანკების არაბებთან ბრძოლაში გამოირკვა ცხენოსანთა რაზმების უპირატესობა ქვეით მეომრებთან შედარებით. ამ მხრივ პირველი რეფორმა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, კარლოს მარტელმა ჩაატარა.

მაგრამ რაინდობის წარმოშობის ძირითად მიზეზად არაბებთან ბრძოლა კი არ უნდა ჩაითვალოს, როგორც ეს მიღებულია ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში, არამედ ის სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რომლებსაც ამ დროისათვის ადგილი ჰქონდა ფეოდალიზაციის პროცესში მყოფი ფრანკების საზოგადოებაში. როგორც ცნობილია, სახალხო შეიარაღება რაინდობამ შეცვალა. სახალხო შეიარაღება ფრანკებში თავის არსებობას ამართლებდა მაშინ, როცა საზოგადოება ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილების ნიადაგზე იდგა და, ამის გამო, საჭირო არ იყო ერთი რომელიმე კლასის მიერ მეორის დამორჩილება შეირაღებული ძალით. ასეთ ვითარებაში სახალხო შეიარაღება მიზნად ისახავდა ან საერთო მტრის უკუგდებას, ან არადა საერთო ძალებით მოწინააღმდეგეზე თავდასხმას.

მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებად დაიყო და საჭირო გახდა ერთი კლასის მეორეზე გაბატონება, საზოგადოების იმ ნაწილის განიარაღება უნდა მომხდარიყო, რომლის დამორჩილებაც განზრახული ჰქონდა ექსპლუატატორთა კლასს. ასეთ პირობებში სახალხო შეია-

რაღება ზედმეტი ხდებოდა. მარტო ექსპლუატატორთა კლასი უნდა გადაქცეულიყო მონოპოლისტად შეიარაღების საქმეშიც. ამგვარად, კარლოს მარტელის სამხედრო რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი. არაბებთან ბრძოლა ამ პროცესის მხოლოდ დამაჩქარებელი ფაქტორი იყო. სახალხო შეიარაღების ნაცვლად ფეოდალი რაინდების ცხენოსანი რაზმები გაბატონებული კლასისათვის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა თავისი ბატონობის შემდგომი შენარჩუნების საქმეში.

ცხენოსანი რაზმების, ანუ კავალერიის წარმოშობის შესახებ ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ტევტონური წარმოშობის დამპყრობელთა არისტოკრატიის განმტკიცებამ კავალერიის ისტორიაში ახალ ერას დაუდო საწყისი. მძიმედ შეიარაღებული დიდკაცობა ყველგან კავალერიას შეადგენდა. ეს იყო ცხენოსანი ჯარის ყველაზე მძიმე სახეობა, რომელშიაც არა მარტო მხედრები, არამედ ცხენებიც ლითონის თავდაცვითი ჯავშნით იყვნენ დაფარულნი. პირველი ბრძოლა, რომელშიც ასეთი კავალერია გამოჩნდა, იყო ბრძოლა პუატიესთან, სადაც კარლოს მარტელმა 732 წ. არაბების შემოსევის ღვარი უკუაქცია[1].

რადგან რაინდობა გაბატონებული კლასის შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდა და უმთავრესად უშუალო მწარმოებელთა დამორჩილებას ისახავდა მიზნად, შეუძლებელი იყო მის შემადგენლობაში დაბალი ფენის წარმომადგენელთა მიღება. ასე მაგალითად, გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხ პირველის ბრძანებით, სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილებს და გლეხობას აკრძალული ჰქონდათ რაინდობა. ასეც რომ არ ყოფილიყო, გლეხის მოხვედრა რაინდების სამხედრო წოდებაში მაინც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან საამისო მატერიალური პირობები მას არ გააჩნდა. რიპუარების სამართლის მიხედვით, ერთი ცხენი ღირდა 12 სოლიდი, ანუ 6 ხარი, ქარქაშიანი მახვილი — 7 სოლიდი, ანუ $3^1/_2$ ხარი, ჯავშანი — 12 სოლიდი, ანუ 6 ხარი, მუზარადი — 6 სოლიდი, ანუ 3 ხარი, საბარკული — 6 სოლიდი, ანუ 3 ხარი, შუბიანი ფარი — 2 სოლიდი, ანუ 1 ხარი; სულ — 45 სოლიდი, ანუ $22^1/_2$ ხარი.

ვასალებისა და სენიორების ურთიერთდამოკიდებულება

გლეხის რაინდად გახდომა სხვა თვალსაზრისითაც შეუძლებელი ხდებოდა. საქმე ისაა, რომ ყველა რაინდი ვისიმე ვასალი უნდა

---

[1] Ф. Энгельс, Кавалерия, იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание второе, т. 14, М., 1959. გვ. 303.

ყოფილიყო, ხოლო, თანახმად არსებული წესებისა, არ შეიძლებოდა გლეხი ვისიმე ვასალი გამხდარიყო. ვისმე რომ ვინმე თავის ვასალად აეყვანა, პირველს (სენიორს) უკანასკნელისათვის (ვასალისათვის) ფეოდი უნდა მიეცა. სენიორის სამსახურისათვის ვასალს ფეოდად შეიძლებოდა გადასცემოდა არა მარტო მიწები, არამედ მოძრავი ქონება და, საერთოდ, შემოსავლის რაიმე წყარო. სენიორის მიერ ვასალისათვის ფეოდის გადაცემის ცერემონიას ინვესტიტურა ეწოდებოდა, ვისიმე ვასალად მიღებას კი — ომაჟი. ჩვეულებრივ, ომაჟი ვასალის მიერ ერთგულების ფიცით — ფუათი (foi) უნდა გაფორმებულიყო.

თანახმად ჟან იბელინის წიგნისა, რომელშიაც ასახულია ის ძველი ფეოდალური ადათი, რომელიც იერუსალიმის „ასიზებში" იყო მოცემული, ომაჟისა და ფუას ცერემონია შემდეგში მდგომარეობს: „როდესაც ვინმე მამაკაცი ან ქალი, სამეფოს უზენაესი სენიორისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში შედის, მან მის წინ მუხლი უნდა მოიყაროს, ხელები უნდა შეაერთოს და სენიორის ხელებში მათი ჩაწყობისას ასე უნდა უთხრას მას: „ბატონო, ამა და ამ ფეოდისათვის, — და დაასახელებს ფეოდს, რომლის გამოც ის ცნობს ვასალურ დამოკიდებულებას — მე თქვენი ახლობელი (უშუალო) ვასალი ვხდები და პირობას გაძლევთ, რომ დაგიფარავთ და დაგიცავთ ყველა კაცთაგან, ვინც [კი] იცოცხლებენ და დაიხოცებიან". ამის საპასუხოდ სენიორმა უნდა მიუგოს: „გღებულობთ თქვენ ვასალურ დამოკიდებულებაში ღვთისადმი და ჩემდამი ერთგულების დაცვით, იმ პირობით, რომ თქვენ ჩემს უფლებებს არ დაარღვევთ". და ნიშნად ერთგულებისა, იგი მას ტუჩებზე უნდა ეამბოროს".

ვასალის ვალდებულებანი თავისი სენიორის მიმართ მეტად მრავალფეროვანი და, ამასთან, რთული შესასრულებელი იყო. ვასალი ვალდებული ხდებოდა დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სენიორის მიერ წამოწყებულ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად. სენიორის მოთხოვნით, ვასალს რომელიმე პუნქტის თავდაცვა უნდა მოეწყო თავისი ძალებით და უნდა ჰყოლოდა ჩაყენებული გარნიზონი ამა თუ იმ კოშკში. ომიანობის შემთხვევაში ვასალი მძევლადაც შეიძლებოდა გაცემულიყო სენიორის მიერ. თავისი სენიორის მაგიერ ვასალს პასუხი უნდა ეგო მატერიალურადაც და პირადადაც. გარდა ამისა, მას მატერიალური დახმარება უნდა გაეწია სენიორისათვის, თუ უკანასკნელი ამას საჭიროებდა. ჩვეულებრივ, ვასალი სენიორის საბჭოს (კურიის) წევრად ითვლებოდა და მონაწილეობა უნდა მიეღო მის სასამართლოში. სენიორის სასამართლო პერებისაგან (ურთიერთ „თანასწორი" ვასალებისაგან) შედგებოდა და მის თავმჯდომარედ სენიორი

ითვლებოდა. თუ ეს სასამართლო ცნობდა, რომ რომელიმე ვასალმა დაარღვია სენიორისადმი ერთგულება, დაადგენდა, რომ ურჩი ვასალისათვის ჩამოერთმიათ ფეოდი და სენიორისათვის უკან დაებრუნებინათ. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ხშირად შეუძლებელი ხდებოდა შეიარაღებული ძალების გამოყენების გარეშე.

ზემოაღნიშნული გარემოების თვალსაჩინო დადასტურებაა ბლუას გრაფის ოდოს საქციელი, რომელიც მან თავისი სიუზერენის (უმაღლესი სენიორი) მეფე რობერის მიმართ ჩაიდინა. ოდოს მიერ ორგულობის გამოჩენის გამო მეფემ გადაწყვიტა მისთვის ფეოდი ჩამოერთმია, მაგრამ გრაფმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და მეფეს 1025 წელს მისწერა: „როგორ შემიძლია მე ჩემი ფეოდი დავთმო და [იარაღით] არ დავიცვა იგი? ღმერთსა და ჩემს სულს ვიმოწმებ, რომ უმალ სიკვდილს ვამჯობინებ ჩემს ფეოდზე, ვიდრე სიცოცხლეს უფეოდოდ“.

რადგან ყოველი ვასალი თავისი სენიორის მოწინააღმდეგე ვასალის მტრადაც უნდა გამოსულიყო, ამიტომ იგი საკუთარი შეიარაღებული ძალებით თავისი სენიორის მტრის წინააღმდეგ უნდა წასულიყო. იმდროინდელი ჩვეულების თანახმად, პიროვნება ერთსა და იმავე დროს შეიძლებოდა ორი სენიორის ვასალი ყოფილიყო და მათთვის მიცემული ფიცით ორსავეს ერთგული უნდა გამხდარიყო. თუ ეს ორი სენიორი ერთიმეორის წინააღმდეგ დაიწყებდა ბრძოლას, ბუნებრივია, რომ მაშინ ვასალი ერთ რომელსამე მხარეზე აღმოჩნდებოდა და, მაშასადამე, მეორისათვის მიცემულ ფიცს დაარღვევდა. მაშინ ასეთ განდგომილ და მტრად ქცეულ ვასალს სენიორი ფეოდს ჩამოართმევდა, ეს კი იწვევდა ფეოდალთა შორის ახალ ბრძოლას.

ფეოდალური ბრძოლები და შინაარეულობა

ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო X—XI საუკუნეებში გახშირებული იყო ფეოდალების ურთიერთთავდასხმა. მათი ურთიერთმიხდომა მემკვიდრეობითაც კი გადადიოდა და დასასრული არ უჩანდა. რაულ გლაბერი (აღწერს 900—1046 წლების ამბებს) თავის მეორე წიგნის X თავში წერდა: „მოხდა ისე, რომ სანსის ოლქში მდებარე ერთ-ერთი სოფელი, რომელსაც Allanto ეწოდება, მიღებული მათ მიერ (დასახელებულია ამ სოფლის ფეოდად მიმღები ვასალი არლებოდი და მისი შთამომავლობა) წმინდა ქალწულ კოლუმბანას მონასტრის წინამძღვართაგან წყალობად, ოსერში მცხოვრებმა რაინდებმა მათ ძალით გამოსტაცეს. ისინი კი ყოველმხრივ ცდილობდნენ მის (სოფლის) უკან დაბრუნებას. მათი დავა მრავალ წელს გრძელდებოდა, სანამ

ერთხელ, ყურძნის კრეფის დროს, თვით ამ სოფელში ორივე მხარე ერთმანეთს არ შეებრძოლა. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგეთაგან ბევრი დაიხოცა, ხოლო ზემოაღნიშნულმა სახლმა (არლებოდის) თერთმეტი შვილი და შვილიშვილი დაკარგა. მოწინააღმდეგეთა შორის დროთა განმავლობაში ჩხუბი და უთანხმოება უფრო და უფრო მწვავდებოდა და 30 და უფრო მეტი წლის მანძილზე ამ ოჯახის წევრთა და მათი მტრების ხოცვა-ჯლეტა და განადგურება არ წყდებოდა".

ფეოდალური ომები დაკანონებული იყო ფეოდალური წეს-ჩვეულებით, ფეოდალი იურისტები განსაზღვრავდნენ ომის წამოწყებისა და ბრძოლაში გამოწვევის წესებს. რადგან მოულოდნელი თავდასხმა მათ ბოროტებად მიაჩნდათ, ამიტომ დაწესებული იყო წინასწარი გაფრთხილება, მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვეოდა. ჩვეულებრივ, ფეოდალების ერთმანეთზე თავდასხმით ყველაზე უფრო მეტი ზიანი გლეხებსა და მათ მეურნეობას მოსდიოდა. ამ ბრძოლებში ყველაზე უფრო მეტად შეუიარაღებელი გლეხობა წყდებოდა. რაინდების ცხენების ფეხქვეშ ითელებოდა და ნადგურდებოდა გლეხის მეურნეობა. მაგრამ რაინდების მხრივ ძარცვასა და რბევას არანაკლებ განიცდიდა საეკლესიო დოვლათი და მეურნეობა. გლეხების გაძარცვასთან ერთად რაინდები არბევდნენ მონასტრებს და იტაცებდნენ მათ ქონებას.

აღშფოთებულ სასულიერო წოდებას სურდა საყოველთაო მშვიდობის დამყარება, მაგრამ რადგან ამას ის საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა, ამიტომ იგი (კერძოდ, საფრანგეთის სასულიერო წოდება) X საუკუნის დასასრულიდან ცდილობდა, როგორმე მაინც შეენელებინა ეს ბრძოლები დროისა და ტერიტორიის განსაზღვრით. საეკლესიო კრებებზე ადგენდნენ „საღმრთო ზავს". XI საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებული, ეკლესია დამატებით აცხადებს „დროებით საღმრთო დაზავებას", რომლის მიხედვითაც ომის წამოწყება კვირადღეობით იკრძალებოდა, შემდეგ კი ასეთი აკრძალვა გავრცელდა ოთხშაბათ საღამოდან ორშაბათ დილამდე. ეკლესია ხანდახან იმასაც კი ცდილობდა, რომ ბრძოლები აეკრძალა სხვა უქმე და მარხვის დღეებშიც.

მუდმივი მშვიდობიანობა დაცული უნდა ყოფილიყო იმ ადგილებში, სადაც გაშენებული იყო ეკლესიები და მონასტრები. ამასთან, რადგან ეკლესია დაინტერესებული იყო შორიდან მოსული მლოცველებითა და ვაჭრებით, ამიტომ მიმოსვლის გზებზე ის ქვების ჯვრებს აღმართავდა და ამით ასეთ ადგილებშიც კრძალავდა ბრძოლების წარმოებას. მაგრამ ეკლესიის ასეთი ღონისძიება, საბოლოოდ, თავის მიზანს მაინც ვერ აღწევდა. ჯერ ერთი, რომ აკრძალული დღეების გარდა წელიწადში უამრავი დღეები რჩებოდა და, მაშასადამე, ამ დღეებში ფეოდალური ომების წამოწყებას ეკლესია თვითონ აძლევ-

და დასტურს და, მეორეც, „მშვიდობის“ პოლიტიკის ბოლომდე გატარების საქმეში თვით სასულიერო წოდებაში არ იყო ერთსულოვნება. ყოველივე ეს აღვირახსნილ რაინდებს, რა თქმა უნდა, ვერ შეაჩერებდა.

რაინდის კოშკი და მისი მნიშვნელობა

ანარქიულობისა და ბოროტების ბუდედ გადაქცეული იყო რაინდის კოშკი. კოშკები ევროპაში დიდი რაოდენობით გავრცელდა IX საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოზე გახშირდა ნორმანების, უნგრელებისა და არაბების თავდასხმები. გერმანიაში, მაგალითად, კოშკებს აშენებდნენ მსხვილი ფეოდალები და იმპერატორებიც კი, იმ მიზნით, რომ კოშკების გარშემო მყოფი მოსახლეობა მტრის თავდასხმებისაგან დაეცვათ. მაგრამ უფრო ხშირ შემთხვევაში ფეოდალების კოშკები ურთიერთზე თავდასხმისათვის და მონასტერთა გაძარცვისათვის იყო გამიზნული. კოშკები იქცა იმ დასაყრდენ ადგილებად, საიდანაც სისტემატურად ახდენდნენ თავდასხმას როგორც მეზობლებზე, ისე მგზავრებზე. ფეოდალის კოშკი მუქარას წარმოადგენდა თვით სამეფო ხელისუფლებისათვისაც კი, რადგან მიუდგომელ კოშკში მყოფი ფეოდალი მეფეს ხშირად აღარ ემორჩილებოდა და ცდილობდა სამეფო ხელისუფლების ხარჯზე თავისი გავლენა გაევრცელებინა მოსახლეობაზე.

შარლ მელოტის მიერ 864 წელს გამოქვეყნებულ კაპიტულარში კოშკების შესახებ ნათქვამი იყო: „ჩვენ გვსურს და დაბეჯითებით მოვითხოვთ იმას, რომ ვინც ბოლო ხანებში ჩვენს ნებადაურთველად კოშკები, სიმაგრეები და მესერები ააგო, აგვისტოს კალენდებისათვის სრულიად მოსპოს, რადგან მეზობლები და მახლობელი მცხოვრებლები მათგან ძარცვასა და შევიწროებას განიცდიან“. მაგრამ ფრანკთა მონარქიაში, ისე როგორც ინგლისში (სადაც კოშკებს აგრეთვე „უკანონოდ აგებულად“ თვლიდნენ), მეფეთა ამგვარ განკარგულებას ასრულებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეფო ხელისუფლება ძლიერი და გავლენიანი იყო.

კოშკებს უმთავრესად ბუნებრივ სიმაგრეებზე აგებდნენ (გორაკებზე, ტბის შუაგულში არსებულ კუნძულზე და სხვ.). თავდაპირველად, X—XI საუკუნეებში კოშკების სამშენებლო მასალად უმთავრესად ხეს იყენებდნენ. ეს კოშკები პრიმიტიული იყო. ისინი არ წაგავდნენ იმ კოშკებს, რომელთა ფართო მშენებლობა ქვის მასალისაგან იწყება XII—XIII საუკუნეებში. უბრალო კოშკი ხშირად ორსართულიანი იყო. ზემო სართულში ცხოვრობდა რაინდი თავისი ოჯახით, ხოლო ქვემოთ მოთავსებული იყო სხვადასხვა საწყობი, ინ-

ვენტარი, ოთხფეხა საქონელი და ა. შ. რიგ შემთხვევაში, ორი სართულის გარდა კოშკს „სარდაფსაც“ უკეთებდნენ. ეს უკანასკნელი უფრო ჭას წარმოადგენდა, რომელიც, ერთი მხრივ, წყლით მომარაგებას ისახავდა მიზნად, ხოლო მეორე მხრივ, გამოიყენებოდა, როგორც ტყვეთა სამყოფელი.

კოშკის გარშემო მდებარე მიდამოები, ჩვეულებრივ, მესერით იყო შემოღობილი. ხოლო მესერს გარეთ თხრილი გაჰყავდათ. ეს თხრილი ყოველთვის წყლით იყო სავსე, რათა მტერს ადვილად არ გადაელახა ის და უშუალოდ კოშკს არ მისდგომოდა. რადგან იმ ხანებში დენთი ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული, შუბებით, მახვილებითა და ისრებით ამ სიმაგრეთა აღება შეუძლებელი ხდებოდა. კოშკის დასაკავებლად და მასში მყოფ მცველთა ხელში ჩასაგდებად მოიერიშეს ან ხანგრძლივი ალყა უნდა გამოეყენებინა, რათა კოშკის მცველნი შიმშილით აეძულებინა დანებებულიყვნენ, ან არადა ცეცხლი წაეკიდებინა კოშკისათვის და მისი მისასვლელებისათვის. მაგრამ ეს გათვალისწინებული იყო კოშკის მფლობელთა მიერ — ისინი კლავდნენ საქონელს და მის ტყავს აკრავდნენ ხისაგან აგებულ კოშკის კედლებს, რათა ხანძარი თავიდან აეცილებინათ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ხის კოშკისათვის ცეცხლის წაკიდება და მისი მოსპობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ქვისაგან აგებული შენობისა. მაგრამ, თუ ხის კოშკის დაწვა ადვილი იყო, სამაგიეროდ, ხისაგან ახალი კოშკის აშენებაც არ იყო ძნელი. ჩვეულებრივ, ხის კოშკის აგება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ხანდახან მას რამდენსამე დღის განმავლობაში და ხან კი ერთ ღამეშიც ამთავრებდნენ. დღისით რომელიმე მოძღვარი რომ დაათვალიერებდა მონასტრის მიდამოებს და ყველაფერი რიგზე ეჩვენებოდა, მეორე დილას იმავე ტერიტორიაზე შიშითა და ძრწოლით შეამჩნევდა ერთ ან ორ ასეთ კოშკს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ კოშკებიდან რაინდების თავდასხმა უნდა დაწყებულიყო.

ფეოდალური ომების თავისებურებანი

ფეოდალური ანარქიის პერიოდში ომები ხშირად წარმოებდა, მაგრამ მათ, უმრავლეს შემთხვევაში, წვრილი შეტაკების ხასიათი ჰქონდა და ასეთი „კერძო ომი“ მიზნად ძარცვასა და რბევას ისახავდა. ჰქონდა რა ფეოდალს თავისი კოშკი, მას თავისი შეიარაღებული რაზმიც ჰყავდა. ამ რაზმის სიდიდე ფეოდალის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. ყველა ასეთი რაზმი მხოლოდ თავის სენიორს ემორჩილებოდა. თითქმის ყველა ფეოდალი ერთიმეორის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა. მათი დროებითი გაერთიანება ხდებოდა მხოლოდ

მაშინ, როცა ისინი დააპირებდნენ უცხო ქვეყნების დაპყრობას ან შემოსეული მტრისაგან თავდაცვას. თუმცა ამ შემთხვევაშიც მათ ერთიანობას ნაკლებად ჰქონდა ადგილი. მაშინდელი პოლიტიკური დაქუცმაცებულობა განსაზღვრავდა ფეოდალურ ომებს. კარლოს დიდის შემდეგ ფეოდალურ დასავლეთ ევროპას მნიშვნელოვანი ხნის განმავლობაში არ ახსოვს დიდი ომები, გარდა გერმანელი „რომის საღმრთო" იმპერატორების შეჭრისა იტალიაში და ჯვაროსანთა ომების წამოწყებისა. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ სახელმწიფოებრივი საერთო არმია იმ დროს არ არსებობდა, ხოლო შეიარაღებული რაზმები ცალკეულ ფეოდალებს მიეკუთვნებოდა, რომელთაც დიდი არმიის შედგენის შესაძლებლობა არ გააჩნდათ.

იმდროინდელი ომები მონაწილეთა მცირე რაოდენობით და მეომართა თავისებური შეიარაღებითაც გამოირჩეოდა. მძიმედ შეიარაღებული ფეოდალი-რაინდი ბრძოლისუნარიანი იყო მაშინ, როცა ის ცხენზე იჯდა, რადგან ცხენის გარეშე დამოუკიდებელი მოძრაობა საჭურვლის სიმძიმის გამო არ შეეძლო. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჯავშანი ცხენსაც ჰქონდა მორგებული და ამიტომ არც ცხენს შეეძლო სწრაფი მოძრაობა. იგი ნაბიჯით დადიოდა და ჭენებას ძალიან მოკლე მანძილზე თუ უძლებდა. მხედარი ცხენიდან ჩამოგდების შემთხვევაში ეგდო ადგილზე და ვერ ახერხებდა ადგომას მანამდე, ვიდრე მას მოწინააღმდეგე ტყვედ არ ჩაიგდებდა ხელში. სამაგიეროდ ასეთი მეომრის დაჭრა ან მოკვლა ისევე ძნელი საქმე იყო, როგორც მისი ფეხზე წამოდგომა. მუზარადსა თუ ჩაფხუტს, ფარსა თუ ჯაჭვის პერანგს შუბი ან მახვილი, მით უფრო ისარი, დიდ ზიანს ვერ აყენებდა.

მაშინდელი ფეოდალური ბრძოლებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ეპიზოდი: 1119 წელს დიდი შეჯახება მოხდა ინგლისელ და ფრანგ რაინდებს შორის. ამ გამწვავებულ ბრძოლაში ორივე მხრიდან 900 კაცი მონაწილეობდა. ერთი შეხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ ეს ბრძოლა, რომელმაც დაღამებამდე გასტანა, დიდი მსხვერპლით დამთავრდებოდა. სინამდვილეში კი ბრძოლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოკლული იყო მხოლოდ სამი კაცი, ტყვედ კი ასი რაინდი წაიყვანეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარე გაფაციცებით ცდილობდა ტყვეთა მეტი რაოდენობა წაეყვანა, რათა მეტი გამოსასყიდი მიეღო.

რაინდული ყოფა-ცხოვრება

ხშირი ომიანობა და ანარქიულობა რაინდობაში ავითარებდა უხეშობას, სიმკაცრეს, ვერაგობას, სიშმაგესა და სხვა მხეცურ ჩვე-

ვებს. თავის კოშკში მომწყვდეული რაინდი საზოგადოებას მოწყვეტილი იყო და თავისი მეზობლების მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, რის გამოც რაინდობაში განუწყვეტლივ იზრდებოდა შუღლი და უნდობლობა ერთიმეორისადმი. ისინი სტუმრად იშვიათად მივიდოდნენ ერთმანეთთან და სახლის გარეთ ხეტიალსა და მოგზაურობაში პოულობდნენ გასართობს.

იმისათვის, რომ სავაჭრო ქარავნებსა და მგზავრებზე მოეწყოთ თავდასხმები, რაინდები ტოვებდნენ თავიანთ კოშკებს და აწყობდნენ შორეულ მოგზაურობებს. ხანდახან რაინდი რამდენიმე თვით არ უბრუნდებოდა თავის ადგილსამყოფელს. კოშკში დარჩენილი რაინდის ოჯახი წინასწარ შეზიდავდა სურსათ-სანოვაგის მარაგს და საიმედოდ ჩაიკეტებოდა, რომ რაინდის უკან დაბრუნებამდე მას ვინმე თავს არ დასხმოდა. რაინდის სახლში დაბრუნების შემდეგ კვლავ იწყებოდა კარჩაკეტილი ცხოვრება და მისი უხეში ჩვევების უფრო მეტად გამძაფრება. ანარქიულობის პირობებში ფიზიკური ძალა, რომელიც უგულებელყოფდა ყოველგვარ წესებსა და კანონებს, რაინდის სიამაყეს წარმოადგენდა.

X—XI საუკუნეებში ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული რაინდული ზრდილობა და თავაზიანობა. რაინდის მიერ ცოლის შერთვა უმთავრესად შიშველ ანგარიშიანობას ემყარებოდა. მეორე მხრივ, ფეოდის უზენაესი მფლობელი, სიუზერენი, ცდილობდა, რომ მისი ფეოდი, რომელიც ქალიშვილს ან ახალგაზრდა ქვრივს მზითვად უნდა გაჰყოლოდა, არ ჩავარდნოდა ხელში ისეთ პირს, რომელიც სიუზერენისათვის მიუღებელი იქნებოდა. მაშასადამე, გათხოვების საქმეში არც ქალს შეეძლო თავისი სურვილისამებრ გადაედგა ნაბიჯი. მისი გათხოვება ამა თუ იმ პიროვნებაზე წინასწარ სენიორთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. კიდევ კარგი, თუ გასათხოვარ ქალს სენიორი საქმროდ რამდენიმე კანდიდატურას დაუსახელებდა. ხშირ შემთხვევაში იგი ერთზე მიუთითებდა და ქალი ვალდებული იყო სენიორის ნებასურვილს დამორჩილებოდა.

XII საუკუნის შუახანების ერთ-ერთ საგმირო თქმულებაში — „Charroi de Nimes“ მეფე გიიომს ეუბნება: „ამ დღეებში ერთ-ერთი ჩემი დიდებულთაგანი მოკვდება; თუ გსურთ, მე გაჩუქებთ მის მიწებსა და ცოლს“. შემდეგ მეფე დასძენს — „თუ გსურთ, აიღეთ მიწა მარკიზ ბერანჟესი, რომელიც ახლახან გარდაიცვალა და წაიყვანეთ მისი ცოლი მის ფიეფთან (ფეოდთან) ერთად“. „ბატონო, — უპასუხებს გიიომი, — თქვენ მოკლე მეხსიერება გქონიათ. გაიხსენეთ ის დღე, როცა სარკინოზებთან ბრძოლაში თქვენ ცხენიდან ჩამოგაგდეს და სიკვდილი ის-ის იყო თავზე უნდა დაგტეხოდათ, რომ ერთ-ერთმა

თქვენმა გრაფმა... გადაგარჩინათ. ეს იყო მარკიზი ბერანჟე, ვისი ცოლიც ახლა გინდათ მე გადმომცეთ. მას პატარა ვაჟიშვილი დარჩა, რომლის დაჩაგვრაც თქვენ არ გეპატიებათ".

რაინდის უხეში და ტლანქი ბუნება ქალის მიმართაც ვრცელდებოდა. რაინდის სახლიდან სადმე წასვლის შემთხვევაში ცოლი, ქმრისათვის რომ არ ეღალატა, კოშკში ჩაკეტილი უნდა ყოფილიყო ქმრის დაბრუნებამდე და მასთან მისვლის უფლება არავის არ ჰქონდა. ქმრის ეჭვიანობა იქამდე მიდიოდა, რომ წასვლის წინ რაინდი ცოლისათვის სპეციალურ ქამარს ამზადებინებდა, რომლის გასაღებს თან გაიყოლიებდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მას ავიწყდებოდა, რომ ქამრის დამამზადებელ ხელოსანს სხვა მსგავსი გასაღების დამზადებაც შეეძლო. ერთ-ერთ საგმირო თქმულებაში ქალისადმი დამოკიდებულების შესახებ ვხვდებით შემდეგ დარიგებას: „თუ ქალი გეწინააღმდეგება ან ტყუის, აღიღე შენი მუშტი და პირდაპირ თავში დაჰკარ". რომელიღაც რაინდმა ეს დარიგება გამოიყენა და როცა ცოლმა მას უსაყვედურა ღალატის გამო, მან ცოლს ისე გაარტყა, რომ, როგორც თქმულებაშია აღნიშნული, „მას ცხვირიდან სისხლი წასკდა".

რაინდობაში ურთიერთის მიმართ ზრდილობიანი დამოკიდებულების, ქალებისადმი მოწიწებით მოპყრობის და სხვა ჩვევათა დამკვიდრება აღმოსავლეთის ქვეყნების გავლენით მოხდა. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დასავლეთი აღმოსავლეთის ქვეყნებს დაუახლოვეს და აღმოსავლური კულტურა სხვადასხვა გზებით ევროპაში შეიჭრა, რაინდული ყოფა-ცხოვრებაც გარდაიქმნა. აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებში რაინდების ერთობლივმა მოქმედებამ საერთო მტრის წინააღმდეგ რაინდების წოდება უფრო მეტად შეამჭიდროვა და თუ მანამდე ისინი ერთმანეთს ხშირად მტრულად ხვდებოდნენ, ახლა, აწყდებოდნენ რა დიდ წინააღმდეგობებს შორეულ ქვეყნებში, უფრო სოლიდარულ ურთიერთობას ამყარებდნენ, ერთიმეორის მიმართ იჩენდნენ თავაზიანობას და ჯეროვან დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს, თუმცა ქალებისადმი დამოკიდებულების საკითხში ისინი კვლავ ძველ ტრადიციას მისდევდნენ. რაინდები, მართალია, უცხო ქალებს აღმერთებდნენ, სამაგიეროდ, საკუთარ ცოლებს კვლავ ძველებურად უხეშად ეპყრობოდნენ.

ყველაზე დიდ ბედნიერებად ითვლებოდა ის, თუ ფეოდალის ოჯახში ვაჟიშვილი დაიბადებოდა. რაინდს ვაჟიშვილის გაჩენა უფრო იმიტომ უხაროდა, რომ მას მემკვიდრე ეყოლებოდა, რომლის ხელშიც მამის ფეოდები გადავიდოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რაინდის სიკვდილის შემდეგ აღნიშნული მიწები უმაღლეს სიუზერენს (მეფეს, ჰერცოგს ან გრაფს) უკან აღარ დაუბრუნდებოდა. ერთ-ერთ

საგმირო თქმულებაში გადმოცემულია შემდეგი დიალოგი: ფრამონს, თქმულების გმირს, მახარობელი ეკითხება „... თქვენ ვაჟიშვილი გაგიჩნდათ... ღვთის გულისათვის, გვითხარით, რა სახელი გნებავთ, რომ დაარქვათ?“... „მისი სახელი ფრამონდინი იქნება“, უპასუხებს ფრამონი, „რადგან ჩემს შემდეგ ჩემი მიწების მემკვიდრე იგი უნდა იყოს“. ბოლოს ფრამონი იწვევს ყველა თავის ვასალს და ეუბნება: „გიხაროდეთ და ამიერიდან დაწყნარებული იყავით, დაიბადა ის სენიორი, რომლის მიმართაც თქვენ იქნებით დავალებული თქვენი ფეოდებით, დაიბადა ის, ვინც თქვენ მდიდარი ბეწვეულით დაგასაჩუქრებთ. თხუთმეტი წლის შემდეგ ჩემი შვილი რაინდი გახდება“.

ბავშვის, მომავალი რაინდის აღზრდაში დედებს მაინცდამაინც დიდი წვლილი არ მიუძღოდათ. ბავშვებს ძიძები კვებავდნენ, ძიძათა რაოდენობა კი დამოკიდებული იყო ბავშვის დიდგვაროვნებაზე. როცა ბავშვი 12 წლის ასაკს მიაღწევდა, იგი უნდა წაეყვანათ მისი მომავალი სენიორის სახლში, სადაც ის 5—7 წელს დაჰყოფდა. აქ იგი თავისი სენიორის საჭურველმტვირთველი უნდა ყოფილიყო და მას ყველგან თან უნდა ხლებოდა. ეს იყო თავისებური სკოლა, სადაც ახალგაზრდას სამხედრო საქმე უნდა შეესწავლა და დროთა განმავლობაში ერთგულების ჩვეები გამოემუშავებინა თავისი სენიორის მიმართ.

ფეოდალის ოჯახში სადილი, და, მით უფრო, წვეულება დიდხანს გრძელდებოდა. სუფრის თავში სენიორი და ყველაზე „საპატიო“ პირები უნდა დამსხდარიყვნენ. დანარჩენ ადგილებს კი იკავებდნენ სენიორის ვასალები, ისევ და ისევ რანგის მიხედვით. თუ რამდენად უხეში იყო სუფრაზე დამსწრე საზოგადოება, ჩანს უფრო გვიანდელი (XII—XIII სს.) დარიგებებიდან, რომელთა მიხედვით სტუმარმა არ უნდა შეჭამოს პური, ვიდრე პირველ კერძს არ მოიტანენ სუფრაზე. თითები სუფთა და ფრჩხილებდაჭრილი უნდა იქონიოს, რადგან ხორცის აღება საერთო თეფშიდან მას ხელით მოუხდება. ჭამის დროს თითებით არ უნდა მოიფხანოს კისერი და არ უნდა გამოიწმინდოს ცხვირი, გამოხრული ძვლები ზურგს უკან არ უნდა გადაყაროს და, რაც მთავარია, ჭამის დროს ქამარი არ უნდა შეიხსნას. აქედან ნათელი ხდება, თუ რა კულტურის მქონენი უნდა ყოფილიყვნენ სტუმრები, რომელნიც ასეთ ელემენტარულ დარიგებას საჭიროებდნენ, მით უფრო XII—XIII საუკუნეებში.

რაინდების გართობა უმთავრესად ისეთ ვარჯიშში გამოიხატებოდა, რომელსაც სამხედრო ხასიათი ჰქონდა. ასეთი იყო: ნადირობა, ფარიკაობა და ეგრეთ წოდებული ტურნირი. ძნელდება ამ უკანასკნელის წარმოშობის ზუსტი თარიღის დადგენა. შუა საუკუნეების ზოგიერთი ქამთაღმწერელი ტურნირის გამოგონებას ჟოფრუა დე

პრეის მიაწერს, რომელიც 1066 წელს გარდაიცვალა, მაგრამ დიუ-კანჟმა დაამტკიცა, რომ ტურნირის შემოღება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. თავდაპირველად იგი საფრანგეთში გაჩნდა, ხოლო შემდეგ გავრცელდა ინგლისსა და გერმანიაში. ტურნირის განვითარების პირველ ეტაპს რაინდობის ორი მოპირდაპირე ჯგუფის სამაგალითო ბრძოლა წარმოადგენდა. დროთა მსვლელობაში უფრო გახშირდა ორთაბრძოლა (joute), რომელიც ფეოდალ მაყურებელს საუკუნეების მანძილზე ძლიერ აღელვებდა.

ტურნირის მოწყობის წინ, რამდენიმე დღით ადრე, იწვევდნენ მაყურებლებს 100—130 კილომეტრის ფარგლებში. იქ, სადაც ტურნირი უნდა მოწყობილიყო, თვალსაჩინო ადგილზე სახელდახელო სავარძლებს აწყობდნენ ქალებისა და მსაჯებისათვის. სტუმრად მოსული რაინდებისათვის დგამდნენ კარვებს, ხოლო ქალაქი, რომელიც სანახაობას აწყობდა, მორთული იყო ტურნირში მონაწილე რაინდების დროშებით. ვიდრე ორთა შერკინება დაიწყებოდა, მაყურებლებს აცნობდნენ საჯირითო მოედანზე გამოსული რაინდის სახელსა და გვარს. ორთაბრძოლა წარმოებდა გარკვეული წესების მიხედვით. ამ წესების დაცვას თვალყურს ადევნებდნენ მსაჯები. მარცხდებოდა ის, ვინც ამ ბრძოლაში ცხენიდან გადმოვარდებოდა.

მიუხედავად საბრძოლო წესების დაცვისა და აგრეთვე იმისა, რომ შემდეგ, ტურნირის დროს, საბრძოლო იარაღის (მახვილისა და შუბის) დაბლაგვება შემოიღეს, რათა ერთმანეთისათვის ზიანი არ მიეყენებინათ, ასეთი შერკინება ხშირად მაინც დიდი მსხვერპლით მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპაში ტურნირების მოწყობა კიდევ დიდხანს იყო ძალაში, იგი აიკრძალა მხოლოდ XVI საუკუნიდან.

თავი XI

დასავლეთ ევროპის ადრეფეოდალური კულტურა (V—XI საუკ.)

მონათმფლობელური კულტურის დაცემა

ჩვეულებრივ, ტერმინი „კულტურა“ ფართო და ვიწრო გაგებით იხმარება. ფართო გაგებით ეს ტერმინი მოიცავს მატერიალურსა და სულიერ ღირებულებებს, რაც კი ადამიანის შრომით შექმნილა ისტორიის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მატერიალური კულტურის ცნების ქვეშ იგულისხმება ტექნიკა, ტრანსპორტის სხვადასხვა საშუალებანი, მშენებლობანი, საერთოდ მატერიალურ-კულტურული ძეგლები და ა. შ. ხოლო სულიერი კულტურის ცნების ქვეშ გულისხმობენ ცოდნის დონეს, მის გავრცელებას მასებში, განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების ხარისხს, ხელოვნების (კინო, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა და სხვ.) აყვანას განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ხალხური შემოქმედების გაფართოებას და სხვ. ტერმინს — „კულტურა“ უფრო ხშირად ამ უკანასკნელი გაგებით ხმარობენ.

ლენინის განმარტებით, ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ ნაციონალურ კულტურაში კულტურის ორი საწყისია მოცემული: ერთი მათგანი საზოგადოებაში გაბატონებულია, იგი მონოპოლიურ მწვერვალებს ფლობს და პრივილეგიურ კლასს მიეკუთვნება. მაშასადმე, ამ შემთხვევაში კულტურა ბურჟუაზიულია; მეორე საწყისი დაქვემდებარებულ პირობებში იმყოფება; ის ხალხურია, უფრო სწორად, მოცემული ელემენტების სახით დემოკრატიული, სოციალისტური კულტურაა. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რამდენადაც ბურჟუაზიაა მასებზე გაბატონებული, იმდენად ბურჟუაზიული კულტურა გაბატონებულია დემოკრატიულზე და ამ უკანასკნელს ის განვითარების არავითარ გასაქანს არ აძლევს. ასეთსავე კლასობრივ ხასიათს ღებულობს კულტურა საერთოდ ანტაგონისტურ საზოგადოებაში.

როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურა წარმოადგენს ზედნაშენს, რომელსაც თავისი შესაფერისი ბაზისი გააჩნია. ბაზისსა

და ზედნაშენს მარქსიზმის კლასიკოსები შემდეგნაირად განმარტავენ: ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიკური წყობილება მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ზედნაშენია საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი.

ყოველ ბაზისს აქვს საკუთარი, თავისი შესაბამისი ზედნაშენი. ფეოდალური წყობილების ბაზისს აქვს თავისი ზედნაშენი, თავისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი. კაპიტალისტურ ბაზისს თავისი ზედნაშენი აქვს, სოციალისტურს — თავისი. თუ იცვლება და ისპობა ბაზისი, ამას მოჰყვება მისი ზედნაშენის შეცვლა და მოსპობა, თუ წარმოიშობა ახალი ბაზისი, შეიქმნება მისი შესაბამისი ზედნაშენიც.

ამგვარად, ბაზისის შეცვლა აუცილებლად იწვევს ზედნაშენის შეცვლასაც, მაგრამ ზედნაშენი წარმოებასთან უშუალოდ არაა დაკავშირებული და ამიტომ ბაზისის მოსპობასთან ერთად ზედნაშენის მოსპობა დაუყოვნებლივ არ ხდება. ეს მით უფრო ითქმის ზედნაშენის ისეთ ნაწილზე, როგორიცაა სულიერი კულტურის გადმონაშთები. სულიერ კულტურას ამა თუ იმ დარგში ერთ ხანს კიდევ შეუძლია ინერციით განაგრძოს არსებობა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ როცა იტალიაში ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის შემდეგ, XVI საუკუნის მეორე ნახევარში, მრეწველობა და ვაჭრობა დაცემის გზას დაადგა, კულტურის სფეროში იქმნებოდა ხელოვნების გენიალური ნაწარმოებები, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიოდნენ გამოჩენილი მოაზროვნეები და სწავლულები, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა და უკვე XVII საუკუნის დასაწყისში იტალიაში, ეკონომიკური დაცემის შემდეგ, კულტურის დაცემაც დაიწყო.

რომის იმპერიაში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის შემდეგ მონათმფლობელური კულტურაც დეგრადაციის გზას დაადგა. ეს, პირველ ყოვლისა, ანტიკურ ფილოსოფიას დაეტყო. ანტიკური ფილოსოფიის ორიგინალურ მოაზროვნეთაგან უკანასკნელი იყო ნეოპლატონიკოსი ეგვიპტელი ბერძენი პლატონოსი (დაახლ. 207—270). წარმართული ფილოსოფია მის მოწაფეთათვის უკვე უბრალო რიტორიკად და მჭევრმეტყველების ხელოვნებაში უნაყოფო ვარჯიშად გადაიქცა. ანტიკური ფილოსოფიის დაკნინებასთან ერთად, მოისპო მასთან დაკავშირებული მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიც იყო მათემატიკა და ბუნებისმეტყველება. ეს განსაკუთრებით ითქმის შემდგომ პერიოდზე (IV საუკ.), როცა ქრისტიანების მესვეურმა, პატრიარქმა თეოფილემ 390 წელს გადააწვევინა ალექსანდრიის მდიდარი

ბიბლიოთეკა და წარმართულ მეცნიერებათა ეს დიდი ცენტრი გაანადგურა.

ანალოგიური ბედი ეწია ანტიკურ ისტორიულ მეცნიერებას. IV საუკუნეში ერთადერთი პიროვნება, რომელიც ნამდვილ ისტორიკოსად შეიძლება ჩათვლილიყო, ამიანუს მარცელინუსი იყო (დაახლოებით 330—400 წწ.). ასევე დაკნინების გზას ადგა იმდროინდელი პოეზია. პოეტები და მწერლები მთლად დაშორდნენ რეალურ ცხოვრებას. ორიგინალური და მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი აღარ იქმნებოდა. პოეზიის მოღვაწენი ახლა აქებდნენ და ადიდებდნენ რომის წარსულ ძლიერებას, მისტიროდნენ მას და, ამასთან, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ იმპერატორებს. ამავე დროს ისინი არ ივიწყებდნენ გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეებს და მხედართმთავრებს. პანეგირიკული ნაწარმოები სულ უფრო და უფრო მეტ გასაქანს პოულობდა. პანეგირიკოსთა შორის ყველაზე თვალსაჩინო პიროვნებას კლაუდიანუსი წარმოადგენდა (დაახლ. 370 — დაახლ. 408). თავის ლექსებში ის ქება-დიდებით იხსენიებდა იმპერატორ ჰონორიუსს, აღმოსავლეთ რომის იმპერატორ არკადიუსსა და მის მახლობლებს კი აძაგებდა, თვლიდა რა მათ იმპერიის დანაწილების მიზეზად.

ანალოგიურ მდგომარეობას ვერ ასცდნენ ვერც გალიის გამოჩენილი პოეტი აუსონიუსი (დ. 310) და ვერც გალიის ცნობილი მწერალი სიდონიუს აპოლინარისი (დაახლ. 430—480), რომელიც მოხუცებულობისას ქალაქ კლერმონის ეპისკოპოსი გახდა. ის პოეტები, რომლებიც მიმართავდნენ ისტორიას, თავიანთ ნაწარმოებებში იმპერატორებისა და სასახლეში მყოფ პირთა ცხოვრებიდან უმთავრესად ანეკდოტებს გადმოსცემდნენ, რათა ისინი მკითხველთათვის მიმზიდველი გაეხადათ. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ანტიკური კულტურა ხრწნის პროცესში იმყოფებოდა და მის წარმომშობ მონათმფლობელურ წყობილებასთან ერთად უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

არქიტექტურამ და დეკორატიულმა ხელოვნებამ თავისი ორიგინალობა უფრო ადრე დაკარგა. მათ ვერ გადაიტანეს მონათმფლობელური ფორმაციის ეკონომიკური კრიზისი და მისი სოციალური რეგრესი. არქიტექტურა და ხელოვნება ისეთსავე არისტოკრატიულ ხასიათს ღებულობდა, როგორც ლიტერატურა და პოეზია. იმპერატორების პატივსაცემად არქიტექტორები აგებდნენ სატრიუმფო თაღებს, დიდებულ სასახლეებს და წარჩინებულთათვის — ვილებს. მოქანდაკენი ხელისუფალთა უზარმაზარ ქანდაკებებს აკეთებდნენ და ამით ცდილობდნენ მათი „ზეკაცური“ ბუნება გამოეხატათ. რაც დრო გადიოდა, არქიტექტურა სულ უფრო მეტად კარგავდა მნიშვნელობას, იმპერა-

ტორ კონსტანტინესა და მის მემკვიდრეების ხანაში მან ხელოვნების არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი არ დაგვიტოვა. უფრო მეტიც, სწორედ ამ ხანაში იწყება არსებული ძეგლების ნგრევა-განადგურება.

ამგვარად, ანტიკური კულტურის ცალკეული დარგები, მონათმფლობელური საზოგადოების საერთო კრიზისის შედეგად, დროის სხვადასხვა მონაკვეთში ისპობოდა და საბოლოოდ მთლიანად განადგურდა. ანტიკური კულტურის დაღუპვა მნიშვნელოვნად დააჩქარა ქრისტიანული რელიგიის ბრძოლამ წარმართობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ აფრიკელმა ტერტულიანემ (დაახლ. 160 — დაახლ. 220) გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ სარწმუნოებაში ფილოსოფიას ყოველთვის ეჭვი შეჰქონდა, იგი ურწმუნოებას წარმოქმნიდა და ეკლესიას ასუსტებდა. ტერტულიანე დაასკვნიდა, რომ ქრისტიანობა ფილოსოფიასთან შეუთავსებელია. ამის შესახებ მარქსი აღნიშნავდა: „... ქრისტიანობას, როგორც ამას პროტესტანტი თეოლოგების ყველაზე უფრო სოლიდური და თანმიმდევრული ნაწილი ამტკიცებს, არ შეუძლია შეთანხმება გონებასთან, რადგან „საერო" გონება წინააღმდეგობაშია „რელიგიურ" გონებასთან, — რაც ტერტულიანემ უკვე გამოთქვა თავისი კლასიკური ფორმულით: „Verum est, quia absurdum est" („ეს ჭეშმარიტია. რადგან აბსურდულია")"[1].

ანტიკური კულტურის წინააღმდეგ უფრო მეტი სიმძაფრით „ნეტარმა" ავგუსტინემ (354—430) გაილაშქრა. მან ასამდე შრომა დაწერა მეცნიერებისა და მატერიალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, რათა ქრისტიანული რელიგიის საფუძვლები განემტკიცებინა. მის კალამს ეკუთვნის: „აკადემიკოსების წინააღმდეგ", „სულის უკვდავების შესახებ", „ნებისყოფის თავისუფლების შესახებ", „ქრისტიანული მეცნიერების შესახებ", „აღსარება", „მწვალებლობათა შესახებ", „ღმერთის სახელმწიფოს შესახებ" და სხვ. ამ ნაწარმოებებში ავტორი ცდილობდა უკანასკნელი მახვილი ჩაეცა ანტიკური აზროვნებისათვის და ამით ახალი იდეოლოგიის საბოლოო გაბატონებისათვის გზა გაეკაფა.

ქრისტიანობის გამარჯვება და მისი სახელმწიფოებრივ რელიგიად გადაქცევა უშუალოდ დაკავშირებული იყო წარმართული ფილოსოფიური აზროვნების ლიკვიდაციასთან რომის იმპერიის ყველა ნაწილში. წარმართული ფილოსოფიის უკანასკნელი წარმომადგენელნი, რომელთაც თავი მოეყარათ ათენის უმაღლეს სასწავლებელში, 529 წელს განდევნა იმპერატორმა იუსტინიანემ. ჯერ კიდევ ადრე (415 წ.)

---

[1] К. Маркс, Передовица в № 179 «Kölnische Zeitung». იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание второе, т. I, М., 1954, გვ. 100.

მოკლულ იქნა ალექსანდრიელი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი ქალი ჰიპატია. ამგვარად, მონათმფლობელური საზოგადოების რღვევამ და კათოლიკური ეკლესიის ბრძოლამ წარმართული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ანტიკური კულტურა თითქმის მთლიანად გაანადგურა.

ფეოდალური საეკლესიო კულტურა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მონათმფლობელურ ბაზისთან ერთად მოისპო ანტიკური კულტურაც და სრულიად ახალ საფუძველზე წარმოიქმნა ფეოდალური ზედნაშენი. ენგელსი ამის შესახებ აღნიშნავდა: „შუასაუკუნეობრიობა სრულიად პრიმიტიულ საფუძველზე განვითარდა. მან სავსებით აღგავა პირისაგან მიწისა ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა და იურისპრუდენცია, რათა ყოველივე თავიდან დაეწყო. ერთადერთი, რაც მან დაღუპულ ძველ სამყაროდან ისესხა, იყო ქრისტიანობა და რამდენიმე ნახევრად დანგრეული, ცივილიზაციისაგან გაძარცული ქალაქი. ამის შედეგად, როგორც ყოველთვისაა განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, გონებრივი განათლების მონოპოლია ხუცებმა ჩაიგდეს ხელთ და ამიტომ თვით განათლებამ უაღრესად თეოლოგიური ხასიათი მიიღო. ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო დარგებად იქცა და იმავე პრინციპებს დაექვემდებარა, რომელიც ამ უკანასკნელში ბატონობდა“[1].

სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან V საუკუნეში ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების დაწყებასთან ერთად, იქმნებოდა ახალი ეკონომიკური ბაზისი, ყალიბდებოდა ახალი გაბატონებული კლასი ფეოდალების სახით, რომელთა მოთხოვნილებებს ანტიკური კულტურა ვეღარ უპასუხებდა. ახალი ბაზისი ქმნიდა ახალ ზედნაშენს, ახალ კულტურას. ფეოდალური კლასი, რომელმაც მონათმფლობელების ბატონობა შეცვალა, იდეოლოგიის ისეთ ფორმებს ქმნიდა, რომლებიც მის კლასობრივ ინტერესებს უფრო მეტად შეესაბამებოდა და განამტკიცებდა მის ბატონობას. ფეოდალური კლასი თავის ფორმირებასთან ერთად, ნაწილობრივ საკუთარი რიგებიდან და ნაწილობრივ მოსახლეობის დაბალი ფენებიდან, ახალ ინტელიგენციას ადგენდა. დღიდან ფეოდალიზმის წარმოქმნისა, ეს ინტელიგენცია თითქმის მთლიანად სასულიერო წოდებას მიეკუთვნებოდა. თვით სიტყვა „clericus“ („კლერიკი“) ეკლესიის მსახური,

---

[1] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 39.

სწავლული, წერა-კითხვის მცოდნე პირის სინონიმად იყო გადაქცეული.

თუ ვინმე საეროთაგანი წერა-კითხვის მცოდნე იყო (რაც მაშინ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა), მას უთუოდ სასულიერო წოდებას მიაკუთვნებდნენ; უფრო მეტიც, ასეთი პიროვნება, რა სამუშაოს პატრონიც არ უნდა ყოფილიყო, მსგავსად ბერებისა, უცოლოდ უნდა დარჩენილიყო თავისი სიცოცხლის მანძილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავდა ბენეფიციუმს, ანუ „პრებენდას“ (საეკლესიო შემოსავალს), რითაც შუა საუკუნეების სწავლულები ირჩენდნენ თავს. პარიზის უნივერსიტეტის სამედიცინო მეცნიერების დოქტორებმაც კი, რომელნიც სხვა მეცნიერებთან შედარებით შორს იდგნენ რელიგიიდან, დაქორწინების ნებართვა მიიღეს მხოლოდ XV საუკუნის შუა ხანებში.

კათოლიკური ეკლესია ცდილობდა ერთადერთი ყოფილიყო ადამიანთა სულიერი მმართველობის საქმეში. იგი ყველაფერს თავის ინტერესებს უმორჩილებდა და ეკლესიის მსახურად აქცევდა. ამის შედეგი იყო, რომ წარმართული ხასიათის ანტიკური ფილოსოფია გადაიქცა კათოლიკურ თეოლოგიად. მეცნიერებათა ის ელემენტები, რომლებიც ასე თუ ისე დაღუპვისაგან გადარჩა, გადააკეთეს და ახლა ეკლესიის მოძღვრების საყრდენად აქციეს. არარსებული წმინდანების ყოფა-ცხოვრება საუკუნეების მანძილზე გადაიქცა ლიტერატურული შემოქმედების სახედ, რის გამოც საერო ხასიათის ნაწარმოებები სავსებით მოისპო. ისტორიული მეცნიერება საეკლესიო ქრონიკებმა შეცვალა; პოეზია და მუსიკა, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები, ამიერიდან მხოლოდ ეკლესიას ემსახურებოდა; კულტურის ცენტრად უმთავრესად მონასტერი იქცა; სკოლები ჩამოყალიბდა მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან და ეკლესიის მორჩილებაში აღმოჩნდა. მათი ცალკე არსებობა ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც ბიბლიოთეკების არსებობა მონასტრების გარეშე.

იმ ხანებში არსებული სკოლები (როგორც საეპისკოპოსო, ისე სამონასტრო) სასულიერო წოდების ხელში იმყოფებოდა. ბუნებრივია, რომ, როგორც სკოლის ხელმძღვანელები, ისე მასწავლებლები, სასულიერო პირები იყვნენ. ეკლესია აღგენდა მათთვის პროგრამას და ახდენდა მოსწავლეთა ჩარიცხვას სკოლებში. ამასთან, ეკლესიის მიზანს წარმოადგენდა — მოემზადებინა ისეთი კადრები, რომლებიც ქადაგების მეშვეობით შეძლებდნენ მოსახლეობის ფართო ფენებზე გავლენის მოხდენას, მათ მორჩილებაში ყოლას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეკლესია თავის მსახურთაგან, არსებითად, სულ ცოტას მოითხოვდა: ლოცვების ცოდნას, ლათინურ ენაზე სახარების

წაკითხვას (თუნდაც ტექსტის გაუგებრად) და ეკლესიისათვის მომსახურების გაწევას. ის პირნი, რომელნიც თავიანთი ცოდნით გასცილდებოდნენ აღნიშნულ პროგრამას, ისჯებოდნენ კიდეც, ამიტომ იყო, რომ ასეთები VI—X საუკუნეებში ძალზე იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეკლესია ნამდვილ მონოპოლისტად რომ გადაქცეულიყო, აუცილებელი ხდებოდა ცოდნის თუნდაც მინიმუმის დაუფლება. მაშასადამე, ეკლესია, ანადგურებდა რა ანტიკურ მეცნიერებათა დარგებს, იძულებული იყო მისი ნაშთებიდან ზოგი რამ აეთვისებინა და გადაერჩინა დაღუპვისაგან. იმდროინდელი სასულიერო წოდების ზოგიერთი პირი — ჰიერონიმე, ამბროსი მედიოლანელი (მილანოელი), პრუდენციუსი და სხვ. — თვითონ იყო აღზრდილი ანტიკური კულტურის ნიადაგზე და, ბუნებრივია, შეეცდებოდა ანტიკური კულტურის ამა თუ იმ ელემენტის გამოყენებას ეკლესიის სასარგებლოდ.

ერთ-ერთ ასეთ პირს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ჰიპონის (სწორია: ჰიპო) ეპისკოპოსი ზემოხსენებული ნეტარი ავგუსტინე წარმოადგენდა, რომელიც ანტიკურ კულტურას უტილიტარული თვალსაზრისით უყურებდა. ბიბლიისა და „ეკლესიის მამათა“ გაგებისათვის, წარმართობისა და მწვალებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, — ამბობდა ის, — საჭიროა რიტორიკის, გრამატიკის, დიალექტიკის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ავგუსტინე გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა წარმართული ფილოსოფიის წინააღმდეგ, იგი მაინც ამბობდა: „არ უნდა იქნეს ათვალისწუნებული კარგი რამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ნათქვამია წარმართების მიერ“.

ეკლესიამ V საუკუნის დასაწყისში გაშალა მუშაობა ცოდნის იმ მინიმუმის შესაძენად, რაც მის მიერ იყო აღიარებული აუცილებელ საჭიროებად. დაახლოებით 430 წლისათვის აფრიკელმა მწერალმა მარციანუს კაპელამ თავისი ცნობილი შრომის ცხრა წიგნში, რომელსაც „ფილოლოგიის მერკურიუსზე დაქორწინება“ ეწოდებოდა, თავი მოუყარა ელემენტარულ დებულებებს, რომლებსაც მოიცავდა ანტიკურ ხანაში ცნობილი „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია და მუსიკა.

კულტურის დაცემასთან და ეკლესიის გაბატონებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ცოდნის ამ დარგებში ანტიკურ მეცნიერთა მიერ მოცემული ღრმა შინაარსი შუა საუკუნეების პერიოდში დაყვანილ იქნა ელემენტარულ ცოდნაზე. ამ ცოდნის ცალკეული დარგები

აუცილებელი ხდებოდა კათოლიკური ეკლესიისათვის: რიტორიკა — როგორც საშუალება საეკლესიო ქადაგებათა მჭევრმეტყველურად წარმართვისათვის; გრამატიკა გულისხმობდა მხოლოდ ზოგიერთი კლასიკოსი ავტორის ნაწარმოების კითხვასა და მის კომენტირებას; დიალექტიკა გამოიყენებოდა მწვალებლებთან დავის გადაწყვეტისათვის, იგი შეეფარდებოდა ფორმალურ ლოგიკას თანამედროვე გაგებით, ესე იგი ასწავლიდა იმას, თუ მოცემული წანამძღვრებიდან როგორ უნდა გაკეთებულიყო სწორი დასკვნა; ასტრონომია — საეკლესიო დღესასწაულთა გამოანგარიშებისათვის; გეომეტრია იძლეოდა ელემენტარული ფიგურების ცოდნას, რაც საჭირო იყო „ტაძრების აგებისათვის"; არითმეტიკა — აგრეთვე საეკლესიო დღესასწაულთა გამოანგარიშებისათვის და სავაჭრო საქმეების მოგვარებისათვის; ხოლო მუსიკა — როგორც კათოლიკური ეკლესიის საგალობელთა დამხმარე საშუალება.

VI საუკუნეში „შვიდი თავისუფალი ხელოვნება" ბოეციუსისა და კასიოდორუსის მიერ ორად იქნა დანაწილებული: ტრივიუმად (trivium, რაც სამგზისს ნიშნავს) და კვადრივიუმად (quàdrivium, სიტყვა-სიტყვით — ოთხგზისი). პირველ ნაწილში შედიოდა გრამატიკა, რიტორიკა და დიალექტიკა, ხოლო მეორეში — არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა. ტრივიუმი თავისებური დაწყებითი სწავლისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო კვადრივიუმი შემდეგ საფეხურზე ისწავლებოდა. ასეთი სისტემის განათლება გვიანდელ ეპოქაში საბოლოოდ კლასიკური გიმნაზიების სისტემით შეიცვალა.

ქრისტიანობა, როგორც ფეოდალური იდეოლოგია

როგორც უკვე აღინიშნა, ფეოდალიზმის ხანაში კათოლიკური ეკლესია ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ყმების ექსპლუატაცია საეკლესიო მამულებში გაცილებით უფრო ძველი ხასიათისა იყო, ვიდრე საერო ფეოდალების მამულებში. უფრო მეტიც, ფეოდალური დაქსაქსულობის ხანაში ეკლესია თავისი ორგანიზებულობით იმდენად ძლიერი იყო, რომ ქვეყნის გამაერთიანებელ ცენტრადაც იქცეოდა. ამიტომ იყო, რომ საერო ფეოდალებთან ერთად სასულიერო ფეოდალები ხელიხელჩაკიდებულნი გამოდიოდნენ გლეხთა აჯანყებების ჩასახშობად და, საერთოდ, უშუალო მწარმოებელთა დასათრგუნად. გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლებში თუ საერო ხელისუფალნი გლეხების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ცეცხლითა და მახვილით, ეკლესია უშუალო მწარმოებელთა წინააღმდეგ არანაკლებ საშინელი იარაღით აწარმოებდა ბრძოლას. მის განკარგულებაში იყო იმ დროისათვის ისეთი ქმედითი საშუალება, როგორიცაა ადამიანის

შერისხვა და ეკლესიიდან განკვეთა, ინტეოდიქტის გავრცელება ამა თუ იმ სახელმწიფოზე, ვისიმე მწვალებლად აღიარება და მისი კოცონზე დაწვა და, ბოლოს, რაც მთავარია, საერთოდ, ქრისტიანული მოძღვრება.

ამ მოძღვრების თანახმად, სამყარო ორადაა გაყოფილი: საიქიოდ და ააქაოდ. ადამიანის ცხოვრება ამქვეყნად იწყება და შემდეგ ის საიქიოში განაგრძობს არსებობას. ამასთან, თუ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება რაღაც რამდენიმე ათეული წლით განისაზღვრება, საიქიოში იგი მარადიულად იქცევა. ამიტომ, თანახმად ქრისტიანული მოძღვრებისა, ამქვეყნიური ცხოვრება ფაქტიურად არარაობას წარმოადგენს. ადამიანი ამ ქვეყნის მოკლე ხნის სტუმარია. მაშასადამე, ადამიანის მთავარი საფიქრებელი უნდა იყოს ზრუნვა არა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, არამედ საიქიოზე, თავის მხრივ, საიქიო ძირითადად ორად არის გაყოფილი: სამოთხედ და ჯოჯოხეთად. პირველი სანეტარო ადგილს წარმოადგენს, ხოლო მეორე უსასრულო ტანჯვა-წამებაა და ვაი იმას, ვინც იქ მოხვდება, ამქვეყნიური ცხოვრების დამთავრების შემდეგ ადამიანთა ერთი ნაწილი სამოთხეში მოხვდება, ხოლო მეორე — ჯოჯოხეთში.

მას შემდეგ, რაც ადამმა და ევამ ეშმაკის წაქეზებით შესცოდეს, მათი ყველა შთამომავალი ცოდვილი გახდა და ვერ მოხვდება სამოთხეში, თუ ეკლესიის მეშვეობით მან ააქაოში არ მოინანია თავისი ცოდვები. ეკლესიის გარეშე ადამიანი თავის ცოდვებს ვერ მოინანიებს, თავისი მადლით მხოლოდ ეკლესიას შეუძლია იხსნას ცოდვილი მარადიული ტანჯვა-წამებისაგან, ჯოჯოხეთისაგან. მადლის მიღება კი შეიძლება ნათლობით, აღსარებით, ზიარებით და ყველა იმ რიტუალის შესრულებით, რაც მხოლოდ სასულიერო პირს შეუძლია. ამგვარად, ადამიანთა ბედ-იღბალი მთლიანად ეკლესიაზეა დამოკიდებული; მაშასადამე, ადამიანი თაყვანს უნდა სცემდეს ეკლესიას და უყოყმანოდ უნდა ემორჩილებოდეს მას.

ეკლესიის მიერ ამქვეყნიური ცხოვრების უგულებელყოფა და მთელი ყურადღების გადატანა საიქიო ცხოვრებაზე მიზნად ისახავდა იმას, რომ მასები არ ცდილიყვნენ თავიანთი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას ამქვეყნად, დაკმაყოფილებულიყვნენ მცირედით და თავიანთი მონაგარი სიამოვნებით გადაეცათ ბატონებისათვის; არ დაეწყოთ ბრძოლა თავიანთი ექსპლუატატორების წინააღმდეგ და ჰქონოდათ იმედი, რომ სამაგიეროდ ისინი საიქიოში მოიპოვებდნენ ნეტარებას. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ადამიანები უნდა იყვნენ მორჩილნი არა მარტო ეკლესიისა, არამედ თავიანთი საერო ბატონებისაც. ის, ვინც ცდილობს ამქვეყნად გამდიდრებას ან, საერთოდ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ღვთის საწინააღმდეგო

საქმეს სჩადის (რა თქმა უნდა, ეს ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს არ ეხებოდათ). ურჩობა და აჯანყება ბოროტებაა — „ვინც მახვილს აიღებს მახვილითვე დაიღუპება“. თითოეული ადამიანი ამქვეყნად თავშეკავებულ ცხოვრებას უნდა მისდევდეს; მარხულობა და ლოცვა უადვილებს ადამიანს სამოთხეში მოხვედრას; ვინც ფეოდალების მორჩილებაში იქნება, ის სამოთხესაც დაიმკვიდრებს, „მიეცით კეისარს კეისრისა, ღმერთს ღვთისა“. ასეთი იყო ის მოძღვრება, რომელიც მჩაგვრელთა ხელში უაღრესად ეფექტურ იარაღს წარმოადგენდა.

იმ მიზნით, რომ მასებისათვის მოთმინება და მორჩილება ჩაენერგა, ეკლესია მოუწოდებდა მათ მიწიერი სიკეთისაგან ჩამოცილებას და ამქვეყნიურობიდან განდგომას. ასკეტიზმი, — აი, რა გახდა მთავარ დევიზად ქრისტიანულ მოძღვრებაში — ფეოდალურ იდეოლოგიაში, თუმცა თვით ეკლესიის მსახურნი და ფეოდალური საზოგადოების ზედაფენა საკუთარი დევიზიდან ძალიან შორს იდგნენ.

ასკეტიზმისაკენ ლტოლვამ ჯერ კიდევ ადრე (IV საუკუნიდან) იჩინა თავი. რომის იმპერიის საყოველთაო კრიზისის პირობებში, როცა მოუსვენარმა ცხოვრებამ დაკარგა თავისი მიმზიდველობა, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა თავი მიანება სოფლებსა და ქალაქებს და მიუვალ ადგილებში გაიხიზნა, სადაც „ამქვეყნიურ ცდომილებათაგან“ ადვილად შეიძლებოდა თავის დაღწევა და „სულის ხსნა“. ასეთ ადგილებში წარმოიშვა მონასტრები ბერ-მონაზონთათვის. პირველად მონასტრები დაარსდა აღმოსავლეთში: ეგვიპტესა და სირიაში. მონასტრის წესდება ბერებისაგან მოითხოვდა მოთმინებასა და მორჩილებას უფროსებისადმი, თავიანთ საკუთრებაზე ხელის აღებას და მის გადაცემას მონასტრისათვის. გარდა ამისა, შეუღლებაზე უარი უნდა ეთქვათ და „ცელიბატის აღთქმა“ დაედოთ.

მალე მონასტრების მშენებლობა დაიწყო დასავლეთშიც. აქ მონასტრების დაარსება პირველად წამოიწყო ბენედიქტე ნურსიელმა, რომელმაც 528 წელს სამხრეთ იტალიაში, ნეაპოლის მახლობლად დააარსა მონტე-კასინოს ცნობილი მონასტერი. თუ მონასტრები თავდაპირველად წარმოადგენდნენ განდეგილთა თავშესაფარს, სადაც მონასტერში შემსვლელთ თავი ფიზიკური შრომით უნდა ერჩინათ, სადაც ასკეტიზმის შესაბამისად დაცული უნდა ყოფილიყო ზომიერი და თავშეკავებული ყოფა-ცხოვრება, და სადაც თანასწორუფლებიანობა უნდა ყოფილიყო დამყარებული, VI საუკუნიდან მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: თუ თავდაპირველად კათოლიკური ეკლესია მონასტრების საქმიანობას ეჭვის თვალით უყურებდა, უმაღლესი სამღვდელოება მალე მიხვდა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ბერების გამოყენებას ეკლესიის გაძლიერების საქმეში.

ეკლესიამ დაიწყო მფარველობის გაწევა ბერებისათვის და მათთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა, რის შედეგადაც ბენედიქტეს მმართველობაში მყოფი მონასტრები ბენედიქტინელთა ორდენის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ამის შემდეგ შეიცვალა სხვა მონასტრების ვითარებაც. მონასტრები ახლა იწყებენ ქონების დაგროვებას. სხვადასხვა შეწირულებისა და ზოგჯერ ძალდატანების შედეგადაც თავს უყრიდნენ სახნავ-სათეს მიწებსა და მამულებს, რის გამოც მსხვილ მიწათმფლობელებად იქცეოდნენ და ამით კათოლიკური ეკლესიის მატერიალურ ბაზას ამტკიცებდნენ. ბენედიქტინელთა ორდენი აძლიერებდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტსა და სასულიერო წოდების პრესტიჟს მოსახლეობის ფართო მასებში.

ჯერ კიდევ ადრე, ბენედიქტეს მიერ შემოღებული სამონასტრო წესდების მიხედვით, ლოცვისა და, საერთოდ, ღვთისმსახურების შესრულების შემდეგ ბერებს თავისუფალი დრო უნდა გამოეყენებინათ ფიზიკური და გონებრივი შრომისათვის. უკანასკნელი გულისხმობდა წიგნების კითხვას და მათ გადაწერას. მონტე-კასინოს მონასტერში შეიქმნა ბიბლიოთეკა, რომელიც ბერების ხელით გადაწერილი სასულიერო და საერო ხასიათის წიგნებისაგან შედგებოდა. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მონასტრები სულაც არ ისახავდნენ მიზნად ანტიკური კულტურის ნაშთების დაღუპვისაგან გადარჩენას, ობიექტურად მაინც აქამდე მიდიოდნენ, თუმცა ზოგჯერ ანტიკური ეტრატის ხელნაწერებს რეცხავდნენ (რის გამოც ისპობოდა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები) და პერგამენტის ქაღალდს ლოცვების ჩასაწერად იყენებდნენ.

ანტიკური კულტურის ზოგიერთი ნაშთის შემონახვაში გარკვეული როლი შეასრულეს ირლანდიის მონასტრებმა VI—VII საუკუნეებში. იმ დროს, როდესაც დასავლეთი ევროპა ბარბაროსთა ტომებისაგან ხშირ თავდასხმებს განიცდიდა და მისი კულტურა განადგურების გზას ადგა, ირლანდია შედარებით მშვიდობიან მდგომარეობაში იმყოფებოდა. V საუკუნეში გალიიდან გაიქცნენ ანტიკური სწავლულების უკანასკნელი წარმომადგენლები და ირლანდიას შეაფარეს თავი. მათი მეშვეობით ირლანდიაში შეტანილ იქნა რომაული და ბერძნული ლიტერატურის ნიმუშები. ირლანდიის მონასტრების ბერების ნაწილმა ბერძნული ენაც კი აითვისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ენა ევროპაში უკვე მივიწყებული იყო.

VII საუკუნის ბოლოს ანგლო-საქსებშიც შენდებოდა მონასტრები. სამონასტრო სკოლები იწყებენ მოქმედებას იორკში, იაროუში (სწორია: ჯარო) და მალმსბერიში. იაროუსა და ნორტუმბრიაში მოღვაწეობდა თავისი დროისათვის ცნობილი ბედა „პატივცემული“

(დაახლ. 673—735). მან დაწერა „ანგლების ხალხის საეკლესიო ისტორია“, რომელიც ლეგენდებთან და თქმულებებთან ერთად შეიცავს ინგლისის ისტორიას 731 წლამდე. იორკის საეპისკოპოსო სკოლაში სწავლობდა მეორე ცნობილი პიროვნება, წარმოშობით ანგლოსაქსი ალკუინი, რომელიც „კაროლინგური აღორძინების“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, VII საუკუნის მეორე ნახევრამდე ევროპის ძირითადი ტერიტორია, გალიისა და იტალიის ჩათვლით, ბნელეთით იყო მოცული, აზროვნებას არავითარი გასაქანი არ ეძლეოდა, საგნებზე და მოვლენებზე მეცნიერული წარმოდგენა ან სულ არ არსებობდა, ან არადა იგი მეტად პრიმიტიული იყო. ეს თვალსაჩინოდ ჩანს თუნდაც შემდეგი გარემოებიდან: სევილიის ეპისკოპოსმა ისიდორემ (დაახლ. 560—636) სცადა შეედგინა თავისებური ენციკლოპედია, რომელსაც ავტორმა „ეტიმოლოგია“ უწოდა იმის გამო, რომ მასში თითოეული საგნის განმარტებას წინ უძღოდა ამ სიტყვის ფანტასტიკური ეტიმოლოგია. ასე მაგალითად, მასში აღნიშნული იყო, რომ ყველა ცხოველს სახელი პირველად ადამმა შეარქვა ებრაულ ენაზე, რომ ქვები თითქოს შეიცავენ სასწაულთმოქმედების ძალას, რომ რიცხვები შედგება ლუწისა და კენტისაგან და ა. შ. ისიდორეს ეს „ეტიმოლოგია“ საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა სიბრძნისა და შემეცნების წყაროს.

მაშინდელი აზროვნებისა და შემეცნების უაღრესად დაბალი დონის ამსახველია აგრეთვე ბიზანტიელი კოზმა ინდიკოპლეისტის (VI საუკუნე) „ქრისტიანული ტოპოგრაფია“. მასში ავტორი ცდილობს ბიბლიაზე დაყრდნობით დაამტკიცოს, რომ დედამიწას ბრტყელი პარალელოგრამის ფორმა გააჩნია, რომელსაც გარშემო ოკეანე აკრავს, ოკეანეს მიღმა არის სამოთხე, რომლის უკიდურეს საზღვრებზე კედლებია აღმართული. ეს კედლები თავს იყრის ჩვენს ზემოთ და ქმნის ცის თაღს. ავტორის აზრით, მზე, მთვარე და სხვა სხეულები მოძრაობენ იმ მაღალი მთის გარშემო, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს: ზამთარში მათი მოძრაობა ხდება მთის ძირთან, რის გამოც დღე პატარავდება; ზაფხულში — მთის მწვერვალთან, რის გამოც დღე იზრდება და სხვ.

„კაროლინგური აღორძინება“

ადრინდელი ფეოდალური ეპოქის კულტურის დაბალი დონე, პირველ ყოვლისა, აიხსნებოდა საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონით. დაღუპვის გზაზე მდგარი რომის იმპერიის ბატონობამ უკანასკნელ საუკუნეებში ერთი მხრით, და ბარბაროსთა დაპყრობებ-

მა, მეორე მხრით, „საწარმოო ძალების მასა გაანადგურეს"; მიწათ-მოქმედება დაეცა, მრეწველობა შესუსტდა, ვაჭრობა და აღებ-მიცემა ჩაკვდა, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა შემცირდა. ფეოდალური წარმოების წესი, რომელმაც მონათმფლობელური წარმოების წესი შეცვალა, ჯერ კიდევ უსუსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც ენგელსი აღნიშნავს, ახალ ფეოდალურ წარმოების წესს სამი საუკუნე დასჭირდა იმისათვის, რომ თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა მონათმფლობელური წარმოების წესთან შედარებით. მაშასადამე, ფეოდალური საწარმოო ძალების განვითარება ასე თუ ისე შესამჩნევი ხდება მხოლოდ VIII საუკუნიდან.

საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების საფუძველზე ფრანკთა მონარქიაში ფეოდალური ურთიერთობა უფრო მეტად განმტკიცდა. კარლოს მარტელის დროიდან დაწყებულმა და კარლოს დიდის დროისათვის დამთავრებულმა საფუძვლიანმა აგრარულმა გადატრიალებამ გააძლიერა ფეოდალების კლასი და, ამავე დროს, უშუალო მწარმოებლები გლეხობის სახით ძირითადად ყმურ მდგომარეობაში მოაქცია. ამავე აგრარული გადატრიალებიდან გამომდინარეობდა კარლოს დიდის ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა, რამაც ფრანკთა მონარქიის ტერიტორია მეტად გაზარდა. ასეთი საგარეო პოლიტიკის გატარებისას და უზარმაზარი სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის პირობებში, კათოლიკურ ეკლესიას უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ჯერ ერთი, სხვადასხვა ქვეყნის დაპყრობას თან სდევდა წარმართთა გაქრისტიანება და, მეორეც, იმპერიის მართვა-გამგებლობას სჭირდებოდა ასე თუ ისე მომზადებული კადრები, რომელთაც შეეძლებოდათ თუნდაც მეფის ბრძანებულებათა გაცნობა მოსახლეობისათვის.

ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა, პირველ ყოვლისა, ეკლესიის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. მას უნდა მოემზადებინა აღნიშნული კადრები. ფეოდალებს თავიანთი ბატონობის განმტკიცებისათვის, გარდა შიშველი ძალდატანებისა, სჭირდებოდათ აგრეთვე სისტემატური იდეოლოგიური ზემოქმედება მასებზე, ეს კი მხოლოდ ეკლესიას შეეძლო. მაგრამ ეკლესიის გავლენა მასებზე იმ შემთხვევაში იქნებოდა უფრო ქმედითი, თუ მისი ავტორიტეტი სათანადო სიმაღლეზე იდგებოდა. კარლოს დიდის გამეფებისას გამოირკვა, რომ ამ მხრივ ეკლესია ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას. რადგან საეკლესიო შემოსავალი დიდი იყო, ამიტომ სასულიერო თანამდებობაზე ხშირად წერა-კითხვის უცოდინარი ფეოდალებიც ინიშნებოდნენ. ეს კი მოსახლეობაში ეკლესიის ავტორიტეტს დაბლა სცემდა.

კარლოს დიდის მიერ 769 წელს გამოცემულ პირველ კაპიტულარ-

ში ნაბრძანები იყო, გადაეყენებინათ ყველა ხუცესი, ვინც კი წერა-კითხვის უცოდინარი იქნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კაპიტულარის სრული განხორციელება მაშინ ვერ მოხერხდა, რის გამოც 787 წელს ეპისკოპოსებისა და მონასტრებისადმი მიმართვებში კარლოს დიდი კვლავ მოითხოვდა წერა-კითხვის უცოდინარ სასულიერო პირთა შეცვლას მცოდნე პირებით. ამ მხრივ მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა საზღვარგარეთიდან სწავლული პირები მოეწვია საჭირო კადრების მოსამზადებლად. კარლოსის სასახლეში იტალიიდან, ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან თავი მოიყარეს გრამატიკოსებმა, რიტორებმა და სხვ. მათ წინაშე დასახულ იქნა ამოცანა — შეედგინათ სახელმძღვანელოები მონასტრებთან არსებული სკოლებისათვის და წერა-კითხვა გაევრცელებინათ თვით მმართველ წრეებში.

კარლოსის სასახლეში თავმოყრილ მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდა ზემოხსენებული ანგლო-საქსი ბერი ალკუინი (Alchuine, წარმოსდგა სახელწოდებისაგან „ალჰვინ", რაც „ტაძრის მეგობარს" აღნიშნავდა, 735—804 წწ.). იგი კარლოსს პირველად პარმაში (იტალია) შეხვდა 781 წელს. მოლაპარაკების შედეგად ალკუინმა მეფისაგან გასამრჯელოდ მიიღო სამი სააბატოს შემოსავალი, რის შემდეგაც იგი მეფის მრჩევლად დაინიშნა განათლების საქმეში და ამავე დროს გახდა კარლოსისა და მისი შვილების მასწავლებელი. ალკუინის ინიციატივით ხდებოდა მონასტრებთან სკოლების დაარსება. მანვე შეადგინა სახელმძღვანელოები გრამატიკაში, რიტორიკაში, ასტრონომიასა და სხვა დარგებში. ეს სახელმძღვანელოები მარციანე კაპელას, ბოეციუსის და ისიდორე სევილიელის შრომათა კომპილაციას წარმოადგენდა. ამგვარად, ალკუინის საქმიანობა, ისევე როგორც დანარჩენებისა, ანტიკურ მეცნიერებათა ნამდვილ აღორძინებას კი არ ნიშნავდა, არამედ მათი ნაშთების უბრალო თავმოყრას და მათ გამოყენებას ფეოდალური იდეოლოგიის განმტკიცების საქმეში.

თავის თხზულებებში ალკუინი ადრინდელი ფეოდალური განათლების ერთგვარ სისტემატიზაციას ახდენდა. მისი თხზულებანი სიტყვიერ-სქოლასტიკური და მკაფიო ღვთისმეტყველური ხასიათის მატარებელი იყო. მისი სახელმძღვანელოები შედგებოდა გასაუბრებათაგან, ხოლო არითმეტიკული კრებული — სხვადასხვა გამოცანებისაგან. მაგალითად, კარლოს დიდის შვილის, პიპინისათვის შედგენილ დიალოგში (დაახლ. 790 წ.), რომელშიაც პიპინის მიერ დასმულ კითხვაზე უპასუხებს ალკუინი, ნათქვამი იყო: „პიპინი: რა არის ასო? — ალკუინი: ისტორიის მცველი. პიპინი: რა არის სიტყვა? — ალკუინი: სულის გამცემი... პიპინი: ვისა ჰგავს ადამიანი? — ალკუინი: სფეროს. პიპინი: როგორ... მდგომარეობაში იმყოფება ადამი-

ანი? — ალკუინი: ისეთში, როგორც ლამპარი ქარში... პიპინი. რა არის თავი? — ალკუინი: სხეულის მწვერვალი. პიპინი: რა არის სხეული? — ალკუინი: სულის სადგომი... პიპინი: რა არის ზამთარი? — ალკუინი: განდევნილი გაზაფხულის მიერ. პიპინი: რა არის გაზაფხული? — ალკუინი: მიწის მხატვარი" და სხვა.

თვით კარლოსის, მისი ოჯახის წევრებისა და მისი ამალის სწავლულებისათვის იმპერატორმა დააარსა ეგრეთ წოდებული „სასახლის აკადემია". აქ იმართებოდა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოძრაობს მზე, მთვარე და სხვ. განმარტავდნენ ამა თუ იმ ლათინური სიტყვის მნიშვნელობას, კითხულობდნენ „ეკლესიის მამათა" და ძველი ავტორების ნაწარმოებებს და სხვ. ამ წრეში, ალკუინის გარდა, მონაწილეობას ღებულობდნენ გოთი თეოდულფი, ლანგობარდი პავლე დიაკონი და სხვა მეცნიერნი.

„კაროლინგური აღორძინების" წარმომადგენელთაგან ალკუინის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო ზემოხსენებული თეოდულფი იყო. იგი ადრინდელი შუა საუკუნეების პოეტსა და ღვთისმეტყველს წარმოადგენდა. დაახლ. 781 წელს თეოდულფი ეპისკოპოსი გახდა და დიდად პატივცემული იყო პაპისაგან. თავის ნაწარმოებში — „მოსამართლეთა წინააღმდეგ" — ის ააშკარავებდა გაბატონებული კლასის ზნე-ჩვეულებებს, გრაფებისა და მათი თანაშემწეების თვითნებობას. თეოდულფმა სხვა დანარჩენებზე უფრო მეტად შეიტანა ფეოდალურ კულტურაში ანტიკური ცოდნის ელემენტები. მან დაამუშავა და საბოლოოდ დაადგინა „შვიდი თავისუფალი ხელოვნების" სწავლების მეთოდიკა. თეოდულფმა შეადგინა რუკა, რომელზედაც დედამიწა წარმოდგენილია სფეროს სახით.

„კაროლინგური აღორძინების" ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე პავლე დიაკონი იყო, წარმოშობით იგი ცნობილ ლანგობარდულ გვარს მიეკუთვნებოდა. მან თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო. ადრე ის ლანგობარდიის მეფეებთან აისტულფთან და დეზიდერიუსთან მუშაობდა, ხოლო კარლოს დიდის მიერ ლანგობარდების სამეფოს დაპყრობის შემდეგ პავლე 783 წლიდან კარლოსთან გადავიდა სამუშაოდ. მის მთავარ ნაშრომს „ლანგობარდების ისტორია" (ექვს წიგნად — თხრობა იწყება ლანგობარდთა ისტორიის დასაბამიდან და მიყვანილია 744 წლამდე) წარმოადგენს. პავლე დიაკონის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რიგი სხვა ისტორიული ნაწარმოებებისა და პოეტური თხზულებებისა. იგი მოწვეულ იქნა კარლოს დიდის სასახლეში, როგორც გრამატიკის, ბერძნული ენის, ლათინელი ავტორებისა და სხვათა მცოდნე.

ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ მოღვაწეს კარლოს დიდისა და მისი მემკვიდრეების კარზე წარმოადგენდა ფულდის მონასტერსა და

ალკუინის სკოლაში აღზრდილი ეინჰარდი, ანუ ეგინჰარდი (770—840 წწ.), რომლის მთავარ თხზულებას წარმოადგენს რომაელი ისტორიკოსის სვეტონიუსის მიბაძვით დაწერილი „კარლოს დიდის ცხოვრება“ („Vita Caroli Magni“).

მიუხედავად იმისა, რომ „კაროლინგურ აღორძინებაში“ გატარებული ღონისძიებანი ძალიან შეზღუდული ხასიათისა იყო და მხოლოდ გაბატონებული კლასის ზედაფენას შეეხო, მაინც ნაბიჯი იყო გადადგმული წინ წინა პერიოდთან შედარებით. ამ ეტაპზე ხელნაწერების გარეგნული გაფორმება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. უშნო და გაურკვეველი ხელით ნაწარმოებთა გადაწერა შეცვალა გარკვეულმა და ლამაზმა ნაწერებმა, რამაც მიიღო კაროლინგური მინუსკულის სახელწოდება და რომელიც თანამედროვე ლათინური ასოების მოყვანილობას დაედო საფუძვლად. გადაწერისას გარკვეული ხელის გამომუშავებაში არანაკლები როლი შეასრულა „სკრიპტორიუმების“ ჩამოყალიბებამ.

ეს სკრიპტორიუმები, ანუ წერის სახელოსნოები ჩამოყალიბებულ იქნა უმთავრესად მსხვილ მონასტრებთან (ტურში, კორბიში, ბობიოში, ფულდაში და სხვ.). ამ სკრიპტორიუმებში რამდენიმე ბერი ერთი ბერის კარნახით ახდენდა თხზულებათა გადაწერას. იგივე მოკარნახე გადამწერთა ხელს ამოწმებდა და, საჭირო შემთხვევაში, სათანადო მითითებებს იძლეოდა. ამ გზით ხელნაწერთა რაოდენობაც მატულობდა. მონასტრებთან გაჩნდნენ ისეთი ბიბლიოთეკები, რომლებიც 300—400 ხელნაწერს ითვლიდნენ. სკრიპტორიუმში ახდენდნენ არა მარტო რელიგიური ხასიათის წიგნების გადაწერას, არამედ საერო ამბების შემცველი წიგნებისაც. ასე მაგალითად, სკრიპტორიუმებში გადაწერილ იქნა ცეზარის, ტაციტუსის, სვეტონიუსის, ლივიუსის, ვირგილიუსისა და სხვა ანტიკური მწერლების ნაწარმოებნი.

კარლოს დიდის სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურად საკმაო გაძლიერებამ, ფრანკთა სამეფოში შექმნილმა მყარმა სიტუაციამ, ქვეყნად არსებულმა შედარებითმა სიმშვიდემ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, მატერიალური რესურსების მნიშვნელოვანმა დაგროვებამ, კარლოსს მისცა შესაძლებლობა ხელოვნების განვითარების ერთგვარი წაქეზებისათვის, მით უფრო, რომ კარლოსმა იმპერატორის ტიტული მიიღო და ახლა საჭირო გახდა ბიზანტიის იმპერატორისა და მისი სასახლის ბრწყინვალებისათვის წაბაძვა. აახენში, ინგელჰაიმში, ვორმსში და ნიმვეგენში, სადაც იმპერატორს თავისი ამალით, ასე თუ ისე, დიდი ხნით უხდებოდა გაჩერება, დაიწყეს სასახლეებისა და ეკლესიების შენება. ამ საქმეში იმპერატორს ბაძავდნენ მსხვილი ფეოდალებიც.

რადგან „კაროლინგური აღორძინების“ ხანაში ორიგინალური არქიტექტურის განვითარება შეუძლებელი ხდებოდა, ამიტომ წამბაძველობა დიდ გასაქანს პოულობდა არა მარტო შენობათა რაოდენობრივ ზრდაში, არამედ თვით ამ შენობების აგების საქმეშიც. ამა თუ იმ შენობის აგებისას ხელოსნები და ხუროთმოძღვრები უმთავრესად ბიზანტიურ ან სხვა ქვეყნების ხელოვნებას ბაძავდნენ. კაროლინგური ძეგლი — აახენის კაპელა, რომელიც 805 წელს იქნა აგებული, თავისი გაფორმებით მთლიანად წააგავს წმ. ვიტალიუსის ეკლესიას, რომელიც ბიზანტიური ხელოვნების უძველეს ძეგლს წარმოადგენს. იგივე ითქმის კარლოს დიდის სასახლეზე, რომელიც აგრეთვე აგებული იყო აახენში. მას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი აღწერილობიდან ჩანს, რომ იგი მთლიანად წააგავდა ოსტგოთი თეოდორიხის სასახლეს რავენაში.

სამშენებლო ტექნიკა იმდროინდელ დასავლეთ ევროპაში დაბალ დონეზე იდგა. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მშენებლობისათვის უმთავრესად ხის მასალას იყენებდნენ, მისგან დამზადებული ნაგებობანი კი მალე ნადგურდებოდა. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ხიდს, რომელიც ათი წლის განმავლობაში ხისაგან შენდებოდა მდინარე რაინზე მაინცთან. მას ცეცხლი გაუჩნდა და ერთი დღის განმავლობაში მთლიანად დაიწვა. კარლოს დიდმა გადაწყვიტა ახლა ქვის ხიდი აეგო, მაგრამ გამოირკვა, რომ ამისათვის სახელმწიფოს საკმაო სახსრები არ გააჩნდა და, რაც მთავარია, მშენებლებმა ვერ იკისრეს ამავე ზომის ქვის ხიდის გაკეთება. ასეთივე მარცხით დამთავრდა კარლოსის ცდა არხის მეშვეობით მდინარეების — რაინისა და დუნაის შეერთებისა.

გარდა ამისა, იმდროინდელი ტექნიკისა და არქიტექტურის განვითარების დაბალ დონეს მოწმობს ისიც, რომ ფრანკთა მონარქიაში სასახლეებისა და ეკლესიების მშენებლობისათვის კარლოს დიდის ბრძანებით იტალიიდან შემოჰქონდათ შენობათა დამზადებული მთლიანი ნაწილები და მორთულობანი: სვეტები, კაპიტელები (სვეტის თავები), კოზმიდები და სხვ.

ამგვარად, „კაროლინგური აღორძინების“ ძირითად მიზანს იმ კულტურის ელემენტების თავმოყრა და გადამუშავება წარმოადგენდა, რომელიც მან IV—V საუკუნეებიდან მიიღო.

ხალხური შემოქმედება ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო ფეოდალური იდეოლოგია, რომელიც, მიილტვოდა რა მონოპოლიისაკენ, თავის გზაზე სხვას ყველაფერს ანადგურებდა, მან ბოლომდე

ვერ შეძლო ხალხური შემოქმედების ჩახშობა, რის გამოც ხალხური სულიერი კულტურის ესა თუ ის ელემენტი ფეოდალური იდეოლოგიის პარალელურად განაგრძობდა არსებობას და ხშირად ახერხებდა კიდეც ფეოდალური კულტურის სხვადასხვა სფეროში შეჭრას. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეობრივი ეპიკური ნაწარმოებების საფუძვლად ხალხური თქმულებები გამოიყენებოდა. ხალხური თქმულებები განსაკუთრებით გავრცელებული იყო ევროპის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნებში, სადაც გვაროვნულ-თემური წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც თავისუფალი გლეხობის დიდი რაოდენობა კარგა ხნის მანძილზე განაგრძობდა არსებობას.

„ნიბელუნგების სიმღერა" შეიქმნა დაახლოებით 1200 წელს, მაგრამ ამ პოემის ისტორიულ საფუძვლად აღებულია 437 წელს ბურგუნდიის სამეფოს განადგურება ჰუნების მიერ. რაკი პოემა XII საუკუნის ბოლოს შეიქმნა, ბუნებრივია, რომ ეს ნაწარმოები უფრო მეტად დაკავშირებულია აღნიშნული დროის ფეოდალურ გერმანიასთან, ვიდრე იმ ხანის ბარბაროსთა ცხოვრებასთან, რომელიც ამ პოემის ისტორიულ საფუძვლად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, „ნიბელუნგების სიმღერა" სულაც არაა ფეოდალური ურთიერთობის აპოთეოზი, რის დამტკიცებასაც ცდილობენ უცხოელი კრიტიკოსები. ამ ნაწარმოებში ჩვენ ვხედებით ფეოდალური სამყაროს ბოროტებათა ნამდვილ სურათს. სწორედ ამაში გამოვლინდა გერმანული პოემის ხალხურობა და რეალიზმი, რაც ძველი გერმანული ეპოსის ტრადიციებთანაა მჭიდროდ დაკავშირებული.

ფრანგი ხალხის გმირული ეპოსის უდიდეს ძეგლს წარმოადგენს „როლანის სიმღერა". თავისი ძველი რედაქციით (ამ ნაწარმოების ოქსფორდისეული ტექსტი შედგენილი უნდა იყოს XI საუკუნის შუახანებში) იგი საბოლოოდ უნდა გაფორმებულიყო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში, მანამდე ეს ისტორიული ფაქტი (როლანის გმირული სიკვდილი) ალბათ ხალხური თქმულებების სახით გადადიოდა თაობიდან თაობაში. რა თქმა უნდა, ეს ხალხური თქმულებანი გზადაგზა გადაკეთდა გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ხალხური შემოქმედება ამ ნაწარმოებში მაინც იჩენს თავს სხვადასხვა სახით. კერძოდ, ეს აშკარად ჩანს პოემის იმ ადგილებიდან, სადაც ლაპარაკია „მშვენიერი საფრანგეთისადმი სიყვარულზე" და მტრებისადმი სიძულვილზე. ამის დამადასტურებელია აგრეთვე ის ადგილი, რომელშიც ლაპარაკია ფეოდალების უღირს საქციელზე, რომლებიც პირადი ინტერესებისათვის ღალატობენ სამშობლოს.

V საუკუნიდან XI საუკუნემდე ხალხურ შემოქმედებაში უდავოდ

დიდი როლი მუსიკასა და პოეზიას ენიჭებოდა. ფრანკთა საზოგადოებაში ყველაზე უფრო ფართო გასაქანი მოიპოვეს ხალხურმა სიმღერებმა, საგმირო თქმულებებმა, ყოველგვარმა სახუმარო და სატირული ხასიათის მქონე ლექსებმა. განსაკუთრებით ცხოველმყოფელი აღმოჩნდა ხალხური ცეკვები და გართობანი, რომლებიც ხშირად წარმართული სარწმუნოების ელფერს ატარებდნენ. ხალხურ მომღერლებს მიმები ეწოდებოდათ, ხოლო მოცეკვავეებს — ჰისტრიონები.

ხალხური შემოქმედება არანაკლებ იჩენდა თავს სახვით ხელოვნებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მთლიანად ეკლესიისადმი იყო დაქვემდებარებული, უცნობ დახელოვნებულ ხელოსნებსა და მხატვრებს, რომელნიც აკეთებდნენ ეკლესიისათვის საჭირო საგნებს (ზარებს, ბარძიმებს, ჯვრებს, შანდლებს და სხვ.) ან ასურათებდნენ თვით ეკლესიის შენობას და ცდილობდნენ სამუშაოები შეესრულებინათ ისე, როგორც ამას ხუცები მოითხოვდნენ, თავისდა უნებურად, ხალხური გავლენა გადაჰქონდათ თავიანთ ნახატებში. ეს ვლინდებოდა ადამიანთა ფიგურების რეალისტურ მოხაზვაში, ხალხური ორნამენტების გამოყენებაში და სხვ. საეკლესიო ხელნაწერებშიც კი, მინიატურების შესრულებისას, ხატავდნენ სხვადასხვა ცხოველებსა და მხეცებს. „მხეცური ორნამენტიკა“, როგორც ცნობილია, ხალხურ შემოქმედებაში შენარჩუნებული იყო ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან.

კათოლიკური ეკლესია დევნიდა ყველაფერს, რაც წარმართული იყო, რაც ქრისტიანულ რელიგიას ეწინააღმდეგებოდა, იქნებოდა ეს ხალხური პოეზია, მუსიკა, ცეკვები თუ მხატვრობა. ის დაჟინებით მოითხოვდა მათ აკრძალვასა და ყველა შემსრულებლის დასჯას. აი, რატომ აცხადებდა ალკუინი, რომ „კაცი, რომელიც თავის სახლში უშვებს ჰისტრიონებს, მიმებსა და მოცეკვავეებს, ვერ ერკვევა იმაში, თუ უწმინდური სულების რა დიდი ბრბო დასდევს მას კვალდაკვალ“. ხალხური შემოქმედების გარშემო არა ერთხელ აღძრულა საკითხი საეკლესიო კრებებზე, სადაც სათანადო განაჩენებიც გამოჰქონდათ. თავის მხრივ, კარლოს დიდი სჯიდა ასეთ „დამნაშავეებს“. ამგვარად. სასულიერო და საერო ხელისუფალნი ერთად მოქმედებდნენ ყოველივე ხალხურის წინააღმდეგ, მაგრამ ხალხური შემოქმედების საბოლოო აღმოფხვრა მათ მაინც ვერ შეძლეს.

ფეოდალური კულტურის ვითარება IX საუკუნის მეორე ნახევრიდან XI საუკუნის დასასრულამდე

კარლოს დიდის დროს ძირითადად დამთავრდა ფრანკთა მონარქიის ფეოდალიზაცია. კათოლიკური ეკლესია ახლა ცდილობდა ეს

პროცესი იდეოლოგიურ სფეროშიც დაემთავრებინა. ხალხური საერო ხასიათის ის ელემენტები, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ეკლესიის მიერ ძირითადად განიდევნა ხელოვნებიდან. ახლა ყველაფერი იწერებოდა რელიგიურ თემაზე. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები იმდენად გახშირდა, რომ ყველასათვის მოსაბეზრებელი გახდა. ამ მხრივ საქმე იქამდე მივიდა, რომ ასეთი ხასიათის ნაწარმოებებს წარმტაც სათაურებს („ვარდთა თაიგული" და სხვ.) უკეთებდნენ, რათა მკითხველი როგორმე დაეინტერესებინათ.

კათოლიკური ეკლესიის რეაქციას არანაკლებ შეუწყო ხელი კარლოსის მემკვიდრემ, ლუდოვიკუს ღვთისმოსავმა, რისთვისაც მან ეკლესიისაგან ეს სახელწოდება მიიღო. იგი ანტიკურ ლიტერატურას ზიზღით უყურებდა და ამბობდა, რომ არც თვითონ წაიკითხავს ჰორაციუსის, ვირგილიუსისა და სხვათა ნაწარმოებებს და არც სხვას მისცემს ამის ნებას. რეაქციული სამღვდელოების რჩევით, მონასტრებში მან ისეთი ღონისძიებანი ჩაატარა, რომელთა საშუალებითაც ყოფაცხოვრებიდან უნდა განედევნათ საერო ელემენტი. რიგი სამონასტრო სკოლებისა, რომლებიც საეკლესიო კადრებს უშუალოდ არ ამზადებდნენ, მან დახურა. გადაკეთებულ იქნა ნურსიელი ბენედიქტესეული მონასტრების წესდებაც. ბერების ფიზიკურმა შრომამ ჯერ კიდევ ადრე დაკარგა მნიშვნელობა. მონასტრების გადაკეთებული წესდებით ახლა ბერების გონებრივი შრომაც ზედმეტად იყო აღიარებული, ისინი მხოლოდ ლოცვებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ამგვარად, საეკლესიო რეაქციის შედეგად კულტურის დონე მნიშვნელოვნად დაეცა.

IX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ფეოდალური კულტურის დაქვეითება იმითაც უნდა აიხსნას, რომ ამ ხანიდან მოყოლებული, ვიდრე XI საუკუნის მეორე ნახევრამდე, დასავლეთი ევროპა არახელსაყრელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ფრანკთა მონარქია პატარ-პატარა პოლიტიკურ ერთეულებად დაიყო და ამ პოლიტიკური დაქუცმაცების პირობებში ატყდა განუწყვეტელი ფეოდალური ბრძოლები, და მეორეც, გახშირდა და პირდაპირ აუტანელი შეიქნა ნორმანების, უნგრელებისა და სარკინოზების შემოსევები ევროპაში სხვადასხვა მიმართულებით. ამ გარემოებამ მოშალა სოფლის მეურნეობა. შიმშილი და გადამდები სნეულებანი მუსრს ავლებდა ადამიანებს. ასეთ პირობებში კულტურის წინ წაწევისათვის არავის ეცალა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უმრავლესობა ამისათვის უძლური აღმოჩნდა.

ზემოხსენებული მიზეზების გამო აზროვნების სფერო ძალიან შეიზღუდა. გონებრივი შემოქმედება ფაქტიურად ჩაკვდა. ლიტერატურული ნაწარმოებების რაოდენობა სულ უფრო და უფრო კლებუ-

ლობდა. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შემცირდა არა მარტო საერო პირთა შორის, არამედ თვით სასულიერო წოდებაშიც. კვლავ გამრავლდნენ უცოდინარნი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგჯერ თვით მეფეებიც კი წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ. ასე მაგალითად, გერმანიის იმპერატორმა ოტო პირველმა სწავლას მხოლოდ მოხუცებულობაში მოჰკიდა ხელი. თუ რამდენად სავალალო იყო ამ მხრივ მდგომარეობა, ჩანს იქიდანაც, რომ უმაღლეს სასულიერო წოდებაშიც კი რამდენიმე განათლებული პირი ძლივს აღმოჩნდა. ესენი იყვნენ ალკუინის მოწაფე რაბან მავრი და ირლანდელი იოანე სკოტ ერიგენა.

ალკუინის მოწაფე, „გერმანიის მასწავლებლად“ წოდებული რაბან მაური (ლათ. Hrabanus Maurus, დაახლ. 776—856) ერთ დროს იყო ფულდას მონასტრის აბატი, შემდეგ მაინცის არქიეპისკოპოსი. ფულდას მონასტერში ყოფნის დროს მან თავი მოუყარა ხელნაწერებს და ბიბლიოთეკა დააარსა. რაბან მავრი ბევრს წერდა თეოლოგიურ საკითხებზე. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, უამრავი ლექსი და პროზაული ხასიათის ნაწარმოები კომპილაციური შინაარსისა. მაგრამ მის ნაწარმოებებში ტექსტის დიდი ნაწილი უბრალოდ გადმოწერილია სხვადასხვა „საღმრთო წიგნებიდან“ ან „ეკლესიის მამათა“ თხზულებებიდან. ორიგინალური შემოქმედება ნაკლებადაა მოცემული.

რაბან მავრისაგან მნიშვნელოვნად განირჩეოდა მისი თანამედროვე იოანე სკოტ ერიგენა (დაახლ. 833 — დაახლ. 880), რომელიც ერთადერთი ორიგინალურად მოაზროვნე პოეტი, გრამატიკოსი და თეოლოგი იყო. როგორც აღვნიშნეთ, ერიგენა ირლანდელი იყო. 845 წელს, ირლანდიაზე ნორმანების განუწყვეტელი თავდასხმების ჟამს, მან თავისი სამშობლო დატოვა და ფრანკთა მონარქიაში გადასახლდა. იგი მიიღო კარლოს დიდის შვილიშვილმა შარლ მელოტმა. მის დროს ერიგენა ისეთსავე საქმიანობას ეწეოდა, როგორც ალკუინი კარლოს დიდთან. იგი ასწავლიდა პარიზის უმაღლეს სკოლაში. მისი ცოდნა გაცილებით უფრო ღრმა და მრავალმხრივი იყო, იგი ფლობდა ბერძნულ ენას, რამაც მას შესაძლებლობა მისცა გასცნობოდა ნეოპლატონიკოსების მოძღვრებას. მისი თხზულება „ბუნების დაყოფის შესახებ“ („De divisione naturae“), არსებითად, ნეოპლატონიკური მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. ამ ნაშრომში ერიგენა ამტკიცებდა, რომ ღმერთი და მისი შემოქმედების ნაყოფი ერთი და იგივენი არიან. ასეთმა მტკიცებამ ერიგენა პანთეიზმამდე მიიყვანა. მაგრამ ქრისტიანული ეკლესიისათვის უფრო სახიფათო აღმოჩნდა ერიგენას მტკიცება იმის შესახებ, რომ გონებას უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა ავტორიტეტთან შედარებით. ეკლესია სიცოცხლეშივე სდევნიდა

ერიგენას. იგი იძულებული შეიქნა 877 წელს საფრანგეთიდან ინგლისში გადასახლებულიყო, სადაც მისი დევნა გრძელდებოდა. მაგრამ ეკლესია მაშინ ღრმად ვერ ჩასწვდა ერიგენას მოძღვრების ძირითად მოტივებს. სამაგიეროდ, როცა XIII საუკუნეში „მწვალებლებმა" ერიგენას ძირითადი ნაშრომი გამოიყენეს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, პაპმა ჰონორიუს III-მ გასცა ბრძანება (1225 წ.) ამ ნაშრომის დაწვის შესახებ.

თუ IX საუკუნის მეორე ნახევარში „კაროლინგური აღორძინებისა" რაბან მავრისა და ერიგენას სახით ჯერ კიდევ ერთგვარ გავლენას ინარჩუნებდა, სამაგიეროდ, მისი ძალა მეათე საუკუნეში თითქმის მთლიანად ამოიწურა. ამგვარად, „კაროლინგური აღორძინება" არც ხანგრძლივი ყოფილა და არც ძლიერი. ამ ხანებში სკრიპტორიუმების მნიშვნელობაც დაეცა. წიგნების გამრავლება ისე ხშირად აღარ ხდებოდა, რის გამოც წიგნის ფასი დიდად გაიზარდა: XI საუკუნეში პრისციანეს გრამატიკის ფასი ერთი სახლისა და მისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ფასს უდრიდა, ხოლო უბრალო „კურთხევანი" მთელ ვენახად იყიდებოდა. მონასტრებში აქა-იქ კვლავ ხდებოდა წიგნების გადაწერა, მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ საეკლესიო წიგნებსა და მონასტრების სამამულო დოკუმენტებს, რომლებშიც ფიქსირებული იყო მონასტრის უფლებანი ამა თუ იმ მოძრავ ან უძრავ ქონებაზე.

კულტურული ცხოვრების ოდნავი წინსვლა გერმანიაში შესამჩნევი გახდა X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში. ეს პერიოდი ემთხვევა საქსონიის დინასტიის ისეთ წარმომადგენელთა მეფობას, როგორებიც იყვნენ ოტო I, ოტო II და ოტო III. ამიტომ მას „ოტოთა აღორძინებას" უწოდებენ. ამ მეფეებმა იმპერატორის ტიტულთან ერთად ხელთ იგდეს ჩრდილოეთი იტალია და ლამობდნენ მისი სხვა ნაწილების დამორჩილებასაც. მათ ექსპანსიურ პოლიტიკასა და განდიდებას ესაჭიროებოდა ისეთივე ბრწყინვალე მორთულობა, როგორც კარლოს დიდის სასახლეს, ამიტომ ოტო პირველმა კარლოს დიდისადმი წაბაძვა მოისურვა არა მარტო საგარეო პოლიტიკაში, არამედ განათლების საკითხებშიც. მან თავის სასახლეში ჩამოაყალიბა სკოლა. კარლოსის მსგავსად ოტომ სასახლეში მიიწვია ისეთი უცხოელი სწავლულები, როგორებიც იყვნენ ლანგობარდი ისტორიკოსი და დიპლომატი ლიუტპრანდი და ბერი გერბერტი.

ლიუტპრანდი (დ. 922 წ.) კრემონის ეპისკოპოსი იყო. დიდგვარიანი ლანგობარდი ემსახურებოდა ჯერ იტალიის მეფეებს, შემდეგ ოტო I-ს, როგორც მეცნიერი და დიპლომატი. მის კალამს ეკუთვნოდა რამდენიმე ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოები, მათ შო-

რის გერმანიის და იტალიის ისტორია (886—949 წლებში) და ოტო I-ის მეფობის ისტორია. აკვიტანელი გერბერტი (დაახლ. 950—1003 წწ.) ოტო II-მ თავდაპირველად დანიშნა რეიმსის სკოლაში „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ მასწავლებლად. არჩეულ იქნა რეიმსის არქიეპისკოპოსად (991 წ.). შემდეგ გერბერტი ოტო მესამის მასწავლებელი იყო. ამ უკანასკნელმა გერბერტი, სილიბისტრო მეორის სახელწოდებით, რომის პაპად აარჩევინა (999 წ.).

თვითონ გერბერტი ოდესღაც სწავლობდა ეგრეთ წოდებულ ესპანეთის მარკაში, რომელიც კარლოს დიდის მიერ დაარსებული იყო კორდოვას სახალიფოს საზღვრებთან. იმ დროისათვის კორდოვას სახალიფოში არაბული კულტურა მნიშვნელოვნად განვითარდა. იგი ერთგვარ გავლენას ახდენდა ევროპის სხვა ქვეყნებზეც, ეტყობა, გერბერტი აქ დაუფლებია მათემატიკას, რითაც შემდეგ მას გაკვირვებაში მოჰყავდა თანამედროვენი. გერბერტმა არაბებისაგან გადმოიღო „აბაკი“ (საანგარიშო დაფა), რომლითაც ადვილად აწარმოებდა არითმეტიკულ მოქმედებებს. მან პირველმა გამოიყენა არაბული ციფრები ნაცვლად რომაულისა, თუმცა ნულის სრული მნიშვნელობა მაინც ვერ გაიგო.

გერბერტმა კომენტარები გაუკეთა ბოეციუსის არითმეტიკულსა და მუსიკალურ ნაწარმოებებს. ამ კომენტარებიდან ჩანს, რომ გერბერტის ხელში არითმეტიკამაც კი კლასობრივი ელფერი მიიღო. მისი აზრით, არსებობს ორი კატეგორიის რიცხვები: სხეულოვანი, რომლებიც გარესამყაროს კონკრეტულ საგნებს ეხება, და უსხეულო, რომლებიც მუდმივსა და გარდაუვალ არსებას წარმოადგენს. ადამიანის ცხოვრებაში კონკრეტული რიცხვი გამოსახავს ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში: „ასე, მეფე არის დიდი რიცხვის გამომსახველი, მაშინ როცა არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი უმნიშვნელობით არავითარ რიცხვს არ განასახიერებენ“. სხეულოვანი რიცხვი ადამიანს დამშვიდებას აჩვევს და მიუთითებს მის უბრალოებაზე, ხოლო უსხეულო რიცხვი ადამიანს ეხმარება ღვთის ძლევამოსილების გაგებაში. ამ თვალსაზრისით, არითმეტიკა გვასწავლის, რომ „უსხეულო საგნები ჩაითვალოს უფრო გამძლედ, ვიდრე კონკრეტული საგნები“.

გარდა გერბერტისა, გერმანიაში კულტურის ფრონტზე აქა-იქ სხვებმაც წამოიწყეს მუშაობა (სანკტ-გალენის მონასტრის ბერი ეკეჰარდი, განდერსჰაიმსის მონასტრის მონაზონი ჰროსვიტა და სხვ.), მაგრამ კულტურის საერთო დონე გერმანიაში მაინც ჩამორჩებოდა „კაროლინგურ აღორძინებას“. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ადრინ-

დელ ფეოდალურ ეპოქაში ფეოდალურმა იდეოლოგიამ შეძლო გზის გაკაფვა და XI საუკუნეში ძირითადად ჩამოაყალიბა თავისი მთავარი დასაყრდენი — ღვთისმეტყველება. ლათინური ენა, როგორც აზროვნების გამოსახვის გაბატონებული ფორმა, საბოლოოდ განმტკიცდა. ნამდვილი ჭეშმარიტების დადგენა ცდების ჩატარებისა და გონების გამოყენებით სავსებით უგულებელყოფილ იქნა და მის ადგილზე, პირველ რიგში, ავტორიტეტი იქნა აღიარებული.

ნაწილი მეორე

განვითარებული, ანუ კლასიკური ფეოდალიზმი

თავი XII

ფეოდალური ქალაქები

§ 1. ფეოდალური ქალაქების წარმოშობა

ბურჟუაზიული მკვლევრების კრიტიკა ქალაქის ცნების განმარტების საკითხში

დასავლეთ ევროპის საზოგადოებისათვის XI საუკუნე მეტად მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენდა. ამ დროს ძირითადად დამთავრდა ფეოდალურ სახელმწიფოთა საბოლოო ჩამოყალიბება; გარდა ამისა, XI საუკუნის მიწურულში დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობანი, რომელთაც ევროპის საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ. ამავე დროს მასობრივად ხდება ფეოდალური ქალაქების წარმოშობა სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის შედეგად.

ვიდრე ქალაქების წარმოშობის შესწავლას შევუდგებოდეთ, ზედმეტი არ იქნება, თუ გავეცნობით ზოგიერთი ბურჟუაზიული მკვლევრის შეხედულებას ქალაქის ცნების საკითხზე. ბურჟუაზიული მკვლევრები ქალაქს სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიად არ თვლიან. მისი განსაზღვრის დროს ისინი იურიდიულ ან სხვა მეორეხარისხოვან ფაქტორებს აქცევენ ძირითად ყურადღებას. ასე მაგალითად, ნეოკანტიანელი მაქს ვებერის (1864—1920) აზრით, ქალაქი ისეთ დასახლებულ პუნქტს უნდა ეწოდოს, სადაც მეზობლები ერთიმეორეს არ იცნობენ. ერთი შეხედვით, ასეთი გაგება თითქოს სინამდვილეს უახლოვდება, რადგან სოფელში, ქალაქისაგან განსხვავებით, ყველა მოსახლე ერთმანეთს იცნობს, მაგრამ ვებერის შეხედულება მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს. მისი აზრით, გამოდის, რომ ყოველი ადგილი ან ჯარის ბანაკი, სადაც თავს იყრიან ისეთი პირები, რომელნიც ერთიმეორეს არ იცნობენ, ქალაქს წარმოადგენს.

ქალაქის ცნების განმარტების საკითხში ასეთივე მცდარ შეხედულებას გამოთქვამდა ცნობილი ბურჟუაზიული მკვლევარი გეორგ-ლუდვიგ ფონ მაურერი (1790—1872). მისი აზრით, ქალაქი უნდა

ეწოდოს ყველა იმ ადგილს, რომელიც გარშემოვლებულია კედლებით, ანუ გალავნით. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქალაქი კედლებით გარშემორტყმული სოფელია“. ეს აზრი რომ გავიზიაროთ. ყველა ციხესიმაგრე ქალაქად უნდა მივიჩნიოთ, რაც მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

ქალაქის ცნების განმარტების დროს, მაურერისაგან განსხვავებით, სხვა აზრს გამოთქვამდა ბურჟუაზიული იურისტი და ისტორიკოსი პაულ ფონ როტი (1820—1892). მისი შეხედულებით, ქალაქის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია თვითმმართველობა, ამიტომ დასახლებული პუნქტი, რომელსაც თვითმმართველობა გააჩნია, ქალაქია. როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ იურიდიულ მსჯელობასთან გვაქვს საქმე. არავითარი სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი როტის მოსაზრებას არ გააჩნია.

ქალაქის ცნების განმარტებას ეკონომიკური თვალსაზრისით, თითქოს ვერნერ ზომბარტი (1863—1941) ახდენს. ამ ბურჟუაზიული ვულგარული ეკონომისტის აზრით, ქალაქი უნდა ეწოდოს ყველა იმ დასახლებულ ადგილს, „რომელიც სოფლის ნაწარმს მოიხმარს“. ამგვარად, ზომბარტი თითქოს უახლოვდება ქალაქის ცნების სწორ განმარტებას, მაგრამ ამ განმარტებაში ის გადამწყვეტ ფაქტორად „მოხმარებას“ აღიარებს და არა წარმოებას, რაც ნამდვილად მეცნიერული ახსნა იქნებოდა.

ბურჟუაზიულ მკვლევართა კრიტიკა ქალაქების წარმოშობის საკითხში

ისევე, როგორც ქალაქის ცნების განმარტების საკითხში, ბურჟუაზიული მკვლევრები არამეცნიერულ საფუძველზე დგანან ფეოდალური ქალაქების წარმოშობის მიზეზთა გაშუქების დროსაც. ქალაქების წარმოშობის ქრონოლოგიური განსაზღვრის საკითხში ბურჟუაზიულ მკვლევართა შორის ორი ძირითადი მიმდინარეობა გაჩნდა: „რომანისტული თეორიის“ წარმომადგენელნი (რენუარი, ოგიუსტენ ტიერი, გიზო, სავინი) ამტკიცებდნენ, რომ ფეოდალური ქალაქები ანტიკური ქალაქების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ და ამიტომ ქალაქების წარმოშობის სათავეები, მათი აზრით, ანტიკურ ხანაში უნდა ვეძიოთ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ფეოდალური ქალაქების დაწესებულებანი გვიანდელი რომის მუნიციპალური ორგანოებიდანაა წარმოშობილი. ო. ტიერის თქმით, „წარმოშობის პროცესში მყოფი ქალაქები მათში მოიპოვებდნენ ქალაქური თემის, მისი წესებისა და ჩვეულებების ნიმუშს“.

როგორც ვხედავთ, რომანისტული თეორიის წარმომადგენელნი ევოლუციური განვითარების პრინციპს ემყარებოდნენ. მათი წარ-

მოდგენით, ქალაქი თავისუფლების აკვანია. ძველი რომის მუნიციპალურ ქალაქებში არსებული თავისუფლება ბარბაროსებმა ვერ მოსპეს. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური დაწესებულებები ქალაქს ამ თავისუფლების მოსპობით ემუქრებოდა, იგი ცოტად თუ ბევრად ხელშეუხებელი რჩებოდა და ამასთან ერთად განაგრძობდა არსებობას მისი მნიშვნელობის მაჩვენებელი მოქალაქის ძველი სახელწოდებაო, — ამბობს ო. ტიერი.

ზემოხსენებული თეორიის მიხედვით, თავისუფლების მატარებელ ქალაქში წარმოიშვა „მესამე წოდება", ანუ ბურჟუაზია. რომანისტული სკოლის წარმომადგენელნი ამტკიცებდნენ, რომ ბურჟუაზიას უფრო მეტი ხნის ისტორია გააჩნია, ვიდრე თავადაზნაურობას, რადგან უკანასკნელი გაჩნდა მხოლოდ IX საუკუნიდან, იმ დროს, როცა ბურჟუაზია ქალაქების წარმოშობასთან ერთად ჩნდება, ქალაქების წარმოშობა კი უძველეს ხანას ეკუთვნისო. ასეთია რომანისტების აშკარად ტენდენციური შეხედულება ქალაქების წარმოშობის საკითხზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რომანისტულ სკოლას დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ მკვლევართა მეორე მიმდინარეობა, რომელიც უფრო სწორად უდგებოდა საკითხს და ადრინდელ შუა საუკუნეებს წარმოადგენდა, როგორც ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის ცალკე ეპოქას. ამ დროისათვის ფართო აღებ-მიცემასა და ვაჭრობას ადგილი არ ჰქონდა; ქალაქებიც, ფაქტიურად, არ არსებობდა, მით უფრო, რომ „ხალხთა დიდი გადასახლების" დროს ძველად არსებული ქალაქები დაინგრა და ფიზიკურადაც განადგურდა. თუკი რამ გადარჩა ანტიკური ხანიდან, ასეთი ქალაქი, უპირველეს ყოვლისა, ციხესიმაგრე ან ადმინისტრაციული ცენტრი იყო მეფეთათვის, გრაფებისა და ეპისკოპოსებისათვის. მაშასადამე, რომის დაცემის შემდეგ, V-დან XI საუკუნემდე ევროპაში ნამდვილი ქალაქი აღარ არსებობდა.

სამაგიეროდ, ზემოაღნიშნულმა მკვლევრებმა, ისევე როგორც ბურჟუაზიული თეორიების სხვა წარმომადგენლებმა, ქალაქთა წარმოშობის მიზეზის გარკვევის საკითხისადმი ფორმალური მიდგომა გამოამჟღავნეს. ასე მაგალითად, „სამამულო თეორიის" სულისჩამდგმელების — კარლ-ფრიდრიხ აიხჰორნისა (1781—1854) და კარლ-ვილჰელმ ნიჩის (1818—1880) თვალსაზრისით, ფეოდალური ქალაქის დაწესებულებანი წარმოიშვა მამულის მმართველობიდან, ქალაქის მოხელეები — მინისტერიალებიდან, ქალაქის საბჭო — მამულის ადმინისტრაციიდან და სხვ. ეს „თეორია" რეაქციონერი იუნკრების იდეათა ამსახველი იყო. მის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა მსხვილი ფეოდალური მამულის როლის გაზვიადება. ეს შეხედულება იმდენად მცდარი იყო, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუ-

ნის დასაწყისში მკაცრად გააკრიტიკეს თვით ბურჟუაზიულ მკვლევართა სხვა წარმომადგენლებმა—გეორგ ფონ ბელოვმა (1858—1927), გეორგ კარომ (1867—1912), ალფონს დოპშმა (1868—1953) და სხვ.

ქალაქების წარმოშობის საკითხში არანაკლებ დამახინჯებებს ვხედებით „სათემო (სამარკო) თეორიაში", რომელიც გ. ფონ მაურერმა განავითარა და რომელსაც შემდეგში გ. ფონ ბელოვიც მიემხრო. ამ შეხედულებით ქალაქური წყობილება თავისუფალი სოფლის თემიდან წარმოიშვა, ქალაქის თანამდებობანი მარკის თანამდებობიდან განვითარდა და ა. შ. ამგვარად, აქაც ადგილი აქვს ფორმალურ-იურიდიულ მსჯელობას. ასეთსავე შეცდომათა შემცველია „ბურგული თეორია" ფრიდრიხ კოიტგენისა (დ. 1861) და სხვათა, რომლის მიხედვითაც, ქალაქის დაწესებულებანი წარმოქმნილია გამაგრებული ადგილებისათვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებიდან. ანალოგიურად მსჯელობდნენ „საბაზრო თეორიის" წარმომადგენელნიც (რ. ზომი). ზოგიერთი იურიდიული ტერმინის ანალიზით ქალაქური უფლება მათ საბაზრო უფლებაზე დაჰყავდათ და ფიქრობდნენ, რომ ქალაქი ბაზრიდანაა წარმოშობილი, დაახლოებით ასეთსავე აზრს გამოთქვამდნენ ვილდა და გირკე. მათი შეხედულების მიხედვით, ფეოდალური ქალაქების წარმოშობას ძველი გერმანული თავდაცვითი გილდიები დაედო საფუძვლად

ცნობილი ბურჟუაზიული ისტორიკოსის ა. პირენის (1862—1935) აზრით, მიუხედავად იმისა, რომ წყაროები საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება, ჩვენ მაინც შეგვიძლია მივუთითოთ XI საუკუნის ქალაქებში სავაჭრო კორპორაციების არსებობაზე. ყველა გერმანულ ქვეყანაში ისინი იწოდებოდა გილდიებად, ანუ ჰანზებად. შემდეგ პირენი განაგრძობს: „სავაჭრო კოლონიამ, რომელსაც ის (გილდია) ხელმძღვანელობდა, თანდათანობით მიიღო სახე ქალაქისა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით"... „სავაჭრო კოლონიების გამაგრებულ ბურგებად გადაქცევა შეიძლება ჩაითვალოს ბელგიის ქალაქთა უმრავლესობის ახალი განვითარების ამოსავალ პუნქტად".

ანრი პირენის დებულება ამერიკელმა ისტორიკოსმა უ. სტივენსონმაც გაიზიარა. მისი აზრით, XI საუკუნეში დაწყებულმა კომერციულმა გამოცოცხლებამ მისცა საწყისი ქალაქების წარმოშობას იტალიაში, საფრანგეთში, ფლანდრიაში, გერმანიაში და სხვ. „მანამდე, — ამბობს სტივენსონი, — ვიდრე არ მოხდებოდა ვაჭრობის გაცხოველება, შუა საუკუნეების ქალაქს პოლიტიკური ავტონომია, უფლებრივი მთლიანობა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა არ გააჩნდა. მისი მოსახლეობა სოციალურად სოფლის მცხოვრებლებისაგან არ განსხვავდებოდა".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურჟუაზიულ მკვლევართა უმრავლესობა იდეალისტური პოზიციებიდან აშუქებს როგორც ქალაქის ცნებას და ქალაქის წარმოშობის დროს, ისე ქალაქის წარმოშობის მიზეზსაც. მათი მთავარი არგუმენტებია მეორეხარისხოვანი ან ფორმალურ-იურიდიული კატეგორიები. ამ შეხედულებათაგან ეკონომიკურ ფაქტორს თითქოს „საბაზრო" თეორია უახლოვდება, მაგრამ ვაჭრობა მეტ-ნაკლებად ყველა ხანაში არსებობდა, მაშინაც კი, როცა ქალაქი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, ჯერ კიდევ არ იყო აღმოცენებული. გარდა ამისა, თვით ვაჭრობის განვითარება, თავის მხრივ, დამოკიდებულია წარმოების განვითარებაზე; მაშასადამე, შედეგი არ შეიძლება მიზეზად ჩაითვალოს. რაკი წარმოება ძირითადია, ხოლო ვაჭრობის განვითარება მისი შედეგი, ამიტომ ქალაქების წარმოშობის მიზეზი წარმოებაში, უფრო სწორად, წარმოებითი ძალების განვითარებაში უნდა ვეძიოთ.

საზოგადოებრივი შრომის მეორე დიდი განაწილება. ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან

მარქსისტული თეორიის მიხედვით, წარმოებითი ძალების განვითარება საზოგადოებრივი შრომის განაწილების განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს. შრომის განაწილების უმარტივესი ფორმა თავდაპირველად შრომის ბუნებრივი განაწილება იყო, რაც გამოიხატებოდა შრომის განაწილებაში სქესისა და ასაკის მიხედვით: მამაკაცები მონადირეობასა და მეთევზეობას მისდევდნენ, ქალები კი საკვებ მცენარეულობას კრეფდნენ და ოჯახურ საქმიანობას ასრულებდნენ. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შემოღებით მოხდა საზოგადოებრივი შრომის პირველი დიდი განაწილება. წარმოებითი ძალების შემდგომი განვითარება უფრო შესამჩნევი გახდა, რის შედეგადაც შესაძლებელი შეიქნა უფრო მეტი პროდუქტის დამზადება, ვიდრე ეს საჭირო იყო უშუალო მწარმოებლის გამოსაკვებად. ეს გარემოება შემდეგში ექსპლუატაციის საფუძვლად გადაიქცა. საზოგადოებაში გაჩნდნენ კლასები, მონებისა და მონათმფლობელების სახით.

მონათმფლობელური წყობილების პირობებში წარმოებითი ძალების შემდგომი განვითარების შედეგად მოხდა საზოგადოებრივი შრომის მეორე დიდი განაწილება. მიწათმოქმედებას ცალკე გამოეყო ხელოსნობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქალაქის გამოყოფას სოფლისაგან და შემდეგ წინააღმდეგობის წარმოშობას ქალაქსა და სოფელს შორის. ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან სასაქონლო მეურნეობის ჩასახვას ნიშნავდა. გაცვლა-გამოცვლის შემდგომ განვითარებასთან ერთად საზოგადოებრივი შრომის მესამე

დიდი განაწილება დაიწყო. ახლა ხელოსნობას ცალკე გამოეყო ვაჭრობა, რასაც ვაჭართა ფენის გაჩენა მოჰყვა, მაგრამ მონათმფლობელური საზოგადოების ხრწნამ, რომის იმპერიაში დაწყებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა, მძლავრმა სოციალურმა მოძრაობამ და სხვ. მდგომარეობა არსებითად შეცვალა.

მომხდარი ცვლილების შესახებ ენგელსი წერდა: „... ვაჭრობა და მრეწველობა არასოდეს არ ყოფილა ხალხებზე გაბატონებულ რომაელთა საქმე, ... ის რაც მათ (რომაელებს — გ. ტ.) დახვდა და რაც ვაჭრობიდან შემონახული იყო, განადგურდა მოხელეთა გამოძალვის მეოხებით; ხოლო რაც გადარჩა, ის უწევს იმპერიის აღმოსავლურ, ბერძნულ ნაწილს..., საყოველთაო გაღატაკება, სავაჭრო ურთიერთობის შემცირება, ხელოსნობის, ხელოვნების დაქვეითება, მოსახლეობის შემცირება, ქალაქების დაქვეითება, მიწათმოქმედების უფრო დაბალ საფეხურზე დაბრუნება, — ასეთი იყო რომის მსოფლიო ბატონობის საბოლოო შედეგი"[1]. და შემდეგ დასძენდა: „ქალაქმა რომის იმპერიის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში დაკარგა თავისი წინანდელი ბატონობა სოფელზე და მან იგი ვეღარ დაიბრუნა გერმანელების ბატონობის პირველ საუკუნეებში"[2].

ამრიგად, რომის იმპერიის არსებობის უკანასკნელი საუკუნეებიდან დაწყებული ვიდრე IX (ზოგ შემთხვევაში X) საუკუნემდე, ანტიკური ქალაქები არამცთუ ფაქტიურად აღარ არსებობდა, არამედ ფიზიკურადაც მოისპო ბარბაროსთა ტომების შემოტევების შედეგად. ევროპაში გაბატონებულმა თვითკმარმა ნატურალურმა მეურნეობამ ხელოსნობა და მიწათმოქმედება ხელახლა გააერთიანა. ამიერიდან მიწათმოქმედი იგივე ხელოსანი იყო. ყმა გლეხი ვალდებული ხდებოდა მიეცა თავისი ბატონისათვის არა მარტო სურსათ-სანოვაგე, არამედ ხელოსნური ნაწარმიც.

ზემოხსენებულის შესახებ „ანტი-დიურინგში" ენგელსი წერდა: „შუა საუკუნეების საზოგადოებაში, განსაკუთრებით პირველ საუკუნეებში, წარმოება უმთავრესად თვითმოხმარებას ემსახურებოდა. იგი უპირატესად მხოლოდ მწარმოებლის და მისი ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. სადაც, ისე როგორც სოფლად, პირადი დამოკიდებულების ურთიერთობანი არსებობდა, წარმოება, აგრეთვე, ფეოდალის, მებატონის მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდა. მაშასადამე, აქ გაცვლა არ არსებობდა, ამიტომ პროდუქტები არც ღებუ-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 358.

[2] იქვე, გვ. 365—366.

ლობდნენ საქონლის ხასიათს. გლეხის ოჯახი თითქმის ყველაფერს აწარმოებდა, რაც მას სჭირდებოდა, როგორც ხელსაწყოებსა და ტანსაცმელს, ისე საარსებო საშუალებებს"[1].

უკვე IX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ კარლოს დიდის დროს, სოფლის მეურნეობა შესამჩნევად ვითარდება. მიწის დამუშავების სამმინდვროვანი სისტემა, რომელიც წარსულთან შედარებით უფრო პროგრესული აღმოჩნდა, ფართო გავრცელებას პოულობს. ამავე ხანებში მნიშვნელოვნად ვითარდებოდა მებაღეობა და მეევნახეობა. სოფლის მეურნეობის განვითარებით დაინტერესება ჩანს იქიდანაც, რომ ამ ხანებში დაწყებულა ანტიკური მოღვაწეების — კოლუმელას და პალადიუსის იმ შრომების გადაწერა, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეხებოდა. გადაუწერიათ, აგრეთვე, პლინიუსის თხზულებები. და ბოლოს, სოფლის მეურნეობით დაინტერესებაზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ IX საუკუნის დასაწყისში გამოიცა სამეფო ინსტრუქცია — ე. წ. „კაპიტულარი მამულების შესახებ" („Capitulare de villis") — სამეფო მამულების მოვლა-დამუშავების შესახებ.

კარლოს დიდის „მამულების შესახებ კაპიტულარიდან" ისიც ჩანს, რომ უკვე მაშინ სასურველად იყო მიჩნეული ყველა სამეფო მამულში ჰყოლოდათ რამდენიმე ათეული ხელოსანი (მჭედლები, დურგლები, მეტყავეები, ოქრომჭედლები, ხარატები და სხვ.), რომელნიც განთავისუფლებულნი იქნებოდნენ სამიწათმოქმედო საქმეებისაგან და რომელთაც მხოლოდ ხელოსნური საქმიანობა დაეკისრებოდათ. ამგვარად, უშუალო მწარმოებელთა ერთი ნაწილი მიწათმოქმედებას ჩამოსცილდა და მარტო ხელოსნობაზე გადავიდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, საერთოდ, ხელოსნობის გამოყოფას სოფლის მეურნეობისაგან, რადგან ხელოსნები ფეოდალის მამულზე იყვნენ მიმაგრებულნი და მათი ნაწარმი მზადდებოდა არა გასაყიდად, არამედ ფეოდალური მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მსხვილი ფეოდალური მეურნეობის ხელოსნები გარკვეული დროის მონაკვეთში ამთავრებდნენ ამ მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხელოსნურ ნაწარმზე და შემდეგ უსაქმოდ რჩებოდნენ. ასეთ შემთხვევებში, ბატონთან შეთანხმებით, ისინი სამუშაოს საძებრად მიემგზავრებოდნენ იქ, სადაც მათ შრომაზე გაჩნდებოდა მოთხოვნილება. ასევე იქცეოდნენ სხვა ყმა გლეხებიც, რომლებიც დახელოვნებულნი იყვნენ ამა თუ იმ სპეციალობაში. ამგვარად, X საუკუნეში გაიზარდა მოხეტიალე ხელოსნების რაოდენობა.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 323.

მათ რიგებს ავსებდნენ აგრეთვე უცხოელები — სირიელები, ბერძნები, არაბები და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ მოხეტიალე ხელოსნობა შემდეგში საქალაქო ხელოსნობის საფუძველი გახდა.

სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის შედეგი

მოხეტიალე ხელოსნები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სხვადასხვა ადგილებში მიდიოდნენ სამუშაოს საძებნელად. თავდაპირველად ისინი შემკვეთის ნედლეულით მუშაობდნენ, ხოლო როცა სოფლის მეურნეობის სამუშაოთა სეზონი დადგებოდა, კვლავ სოფელს უბრუნდებოდნენ. დროთა განმავლობაში ასეთი ხელოსნების მოწყვეტა სოფლისაგან თანდათან სრულყოფილ ხასიათს ღებულობდა, რადგან ხელოსნობა სოფლის მეურნეობასთან შედარებით უშუალო მწარმოებლისათვის უფრო მომგებიანი იყო. ხელოსნური შრომა, რომელიც ფეოდალ-მებატონის ძალთვალყურეობას არ განიცდიდა, ყმურ შრომასთან შედარებით უფრო თავისუფალი და ნაყოფიერი იყო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ხელოსანი ცდილობდა სოფელს აღარ დაბრუნებოდა და სამუდამოდ დასახლებულიყო იმ ადგილებში, სადაც ხელოსნობისათვის უკეთესი პირობები დახვდებოდა.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სოფლიდან გაქცეული ყმა გლეხი, ახლა უკვე ხელოსანი, სახლდებოდა რომელიმე ციხე-კოშკის მახლობლად, რომელიმე მონასტრის მიდამოებში, საკვანძო ადგილებში ან იქ, სადაც სამდინარო მიმოსვლა წარმოებდა (ხიდები, გადასასვლელები და სხვ.). აქ მას ხვდებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობით ნედლი მასალა და მის მიერ დამზადებული ნაწარმის გასაღების მეტი შესაძლებლობა. ასეთ ადგილებში ხელოსნების თავმოყრა საფუძველს ქმნიდა ქალაქების წარმოშობისათვის. თვით სახელწოდება ახლად წარმოშობილი ქალაქებისა, უმეტეს შემთხვევაში, მიგვითითებს მათი წარმოქმნის ადგილებზე. ასე მაგალითად, გამაგრებული ადგილებიდან — „ბურგებიდან“ გაჩნდნენ ქალაქები — სტრასბურგი, აუგსბურგი, ჰამბურგი. და სხვ. მონასტრებისა და „წმინდა“ ადგილების სახელწოდება დაერქვა ქალაქებს — სენ-ჟერმენს, სენტ-ოლბანსს, სენ-კლუს და სხვ. მდინარეებზე გადასასვლელ ადგილთა სახელწოდება მიეცა ქალაქებს — ოქსფორდს, ფრანკფურტს-მაინზე, ფრანკფურტს-ოდერზე, როსტოვს-დონზე, ბრიუგეს (Brugge წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვიდან „Brug“, რაც „ხიდს“ აღნიშნავს) და სხვ.

„ბურგული თეორიის“ მომხრეები ცდილობენ ზემოაღნიშნული გარემოება გამოიყენონ და დაამტკიცონ, თითქოს ქალაქები ციხე-

სიმაგრეებიდან წარმოიშვა; მაგრამ, როგორც დავინახეთ, ქალაქის წარმოშობა შედეგი იყო სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფისა და მათი გაჩენა კი შესაძლებელი იყო ყველგან, სადაც სახლდებოდნენ სოფლიდან წამოსული ხელოსნები. მათი დასახლების ეს პროცესი, როგორც აღინიშნა, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში XI საუკუნეში აღწევდა განვითარების უმაღლეს საფეხურს.

XI საუკუნეში ყმა გლეხის მდგომარეობა უფრო აუტანელი გახდა იმის გამო, რომ ფეოდალებმა უზომოდ გაზარდეს უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმა. ამიტომ იყო, რომ სოფლიდან გაქცეული გლეხების უმეტესობა ამ ხანას მიეკუთვნება. მათი სოფლიდან წასვლით მატულობდა ქალაქების რაოდენობაც. ქალაქები, — წერდნენ მარქსიზმის კლასიკოსები, — „წარსული ისტორიიდან მზამზარეულად კი არ გადმოვიდნენ შუა საუკუნეებში, არამედ წარმოიქმნენ ახლად განთავისუფლებული ყმების მიერ". ფეოდალური ქალაქების მოსახლეობის შესახებ კი ამბობდნენ: „შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველ ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა"[1].

ქალაქების წარმოშობის ქრონოლოგიის განსაზღვრისას უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობიდან უფრო ადრე მოხდა და, მაშასადამე, ქალაქების წარმოშობაც ადრე დაიწყო. ასე მაგალითად, ფეოდალური ქალაქების წარმოშობა იტალიაში და ნიდერლანდებში (იგივე ითქმის ბიზანტიის ქალაქებზეც) უფრო ადრე ხდება. რაც შეეხება ანტიკური დროის ქალაქებს (რომი, ლიონი, მარსელი, იორკი, აახენი, ტრირი, კელნი, მაინცი, აუგსბურგი და სხვ.), რომელნიც ფიზიკურ განადგურებას გადარჩნენ, ადრინდელ შუა საუკუნეებში ისინი აღარ წარმოადგენდნენ არც სამრეწველო და არც სავაჭრო ცენტრებს. წლების განმავლობაში მიწათმოქმედება, მებაღეობა და მესაქონლეობა აქ ისევე იყო ფეხმოკიდებული, როგორც სოფელში. რომაული ქალაქების უმრავლესობა, როგორც ითქვა, ფიზიკურადაც მოისპო.

§ 2. ფეოდალური ქალაქი და მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ფეოდალური ქალაქების თავდაპირველი მდგომარეობა

იმის გამო, რომ ფეოდალური ქალაქების წარმოშობის დროისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მთელი არსებული მიწა უკვე ამა თუ იმ ფეოდალს ეკუთვნოდა (XI საუკუნეში გაბატონებული იყო ის აზრი, რომ „არ არსებობს მიწა სენიორის გარეშე"), იქნებოდა იგი

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952. გვ. 38.

მეფე, გრაფი, ეპისკოპოსი თუ აბატი, სადაც არ უნდა გაჩენილიყო ქალაქი. მაინც რომლისამე მათგანის მიწაზე აღმოჩნდებოდა. მაშასადამე, ყველა ახლად აღმოცენებული ქალაქი ამა თუ იმ ფეოდალის კუთვნილებად იქცეოდა.

ზოგჯერ, როცა ქალაქი რამდენიმე მეზობელი ფეოდალის მიწაზე წარმოიშვებოდა ხოლმე, იგი მიეკუთვნებოდა არა ერთს, არამედ რამდენსამე. ასე მაგალითად, პარიზი გაიყვეს მეფემ და ეპისკოპოსმა: ქ. ამიენი დაყოფილი იყო ოთხ სენიორს — ეპისკოპოსს, ვიდამს (ეპისკოპოსის ნაცვალი), გრაფსა და კასტელანს შორის. დაყოფაში, რა თქმა უნდა, ყვებოდა არა მარტო ქალაქის ტერიტორია, არამედ მისი მოსახლეობა და მათგან ანაკრეფი გადასახადებიც. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ქალაქი, როგორც ფეოდალის კუთვნილება, მის პატრონს შეეძლო გაესაჩუქრებინა, გაეყიდა, მემკვიდრეობით ვისთვისმე გადაეცა, ლენად მიეცა და სხვ.

ფეოდალურ ქალაქს სათავეში დაუყოვნებლივ მოექცეოდა ხოლმე სენიორი და, ამგვარად, ქალაქის მართვა-გამგებლობა ან თვით ფეოდალის ხელში აღმოჩნდებოდა, ანდა მას ფეოდალის მიერ დანიშნული მოხელეები განაგებდნენ. თავდაპირველად ქალაქის სასამართლოც ფეოდალისა იყო. თუ ქალაქი ეკუთვნოდა სასულიერო და საერო ფეოდალებს ერთად, ქალაქში წესდებოდა სხვადასხვა მმართველობა. ყოველივე ეს ფეოდალურ ქალაქში მეტად რთულსა და დახლართულ ვითარებას ქმნიდა. იმდენად, რამდენადაც ფეოდალები ხდებოდნენ ქალაქის მამოძრავებელ ძალად, ფეოდალური ქალაქი, ბურჟუაზიულისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა წამყვანს, ფეოდალური სოფელი გამოდიოდა ამ როლში. იმ ხანებში სოფელი ახდენდა ქალაქის ექსპლუატაციას, ფეოდალური სოფლის წეს-ჩვეულებანი ინერგებოდა ქალაქში და, საერთოდ, ქალაქი ფეოდალების ნება-სურვილს უნდა დამორჩილებოდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ხელოსნობისა და ვაჭრობის შემდგომი განვითარება ქალაქში საფუძველს უყრიდა ახალ სოციალურ ურთიერთობას, კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებს, თავისებურ ყოფა-ცხოვრებას, რაც ასე მნიშვნელოვნად განასხვავებდა ქალაქს სოფლისაგან. ყოველივე ამან განსაკუთრებული საქალაქო უფლება წარმოქმნა. მართალია, დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქალაქმა მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახის თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ მათი საერთო ნიშანი მაინც ის იყო, რომ ადამიანს „ქალაქის ჰაერი თავისუფლებას ანიჭებდა“. კაცი, რომელიც ქალაქში დაჰყოფდა წელიწადსა და ერთ დღეს, თავისუფლდებოდა ბატონის პირადი დამოკიდებულებისაგან. ქალაქების თავდაპირველმა მცხოვრებლებმა სოფლებიდან თან გამოიყოლეს თემური წყობილების ტრადიციები:

მიწების თემური წესებით მფლობელობა, სახალხო კრებების მოწვევის ჩვევები და სხვ., რაც მიმართული იყო ქალაქში სენიორების მიერ დამყარებული წესების წინააღმდეგ.

ქალაქების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

რამდენადაც ძლიერდებოდა ქალაქი ეკონომიკურად, იმდენად იზრდებოდა მისი ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. მეორე მხრივ, იგივე გარემოება (ქალაქის ეკონომიკური სიძლიერე) ქალაქის სენიორს აქეზებდა გაეძლიერებინა ექსპლუატაცია. ამგვარად, გაღრმავდა წინააღმდეგობა სოფელსა და ქალაქს შორის. ქალაქის მოსახლეობასა და სენიორს შორის, რამაც პირველთა შეიარაღებული ბრძოლები გამოიწვია. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მოქალაქეებს უფრო მეტი შემჭიდროება დასჭირდათ. საჭირო გახდა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მოქალაქეების ბრძოლას სენიორთან წარმატებით დააგვირგვინებდა. ასე ჩამოყალიბდა ქალაქის ორგანიზაციის ისეთი ახალი ფორმა, რომელმაც ჩრდილოეთ საფრანგეთში კომუნის სახელწოდება მიიღო. მაგრამ კომუნა იყო არა მარტო დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის შექმნილი ორგანიზაცია, არამედ ისეთი ორგანიზაციაც, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ქალაქის თვითმმართველობას.

სენიორების წინააღმდეგ თავისუფლების მოპოვებისათვის ქალაქების ბრძოლა ჯერ კიდევ X საუკუნეში იწყება იქ, სადაც ქალაქების წარმოშობა ადრე მოხდა (იტალია, ფლანდრია), მაგრამ ქალაქების მასობრივი მოძრაობა კომუნისათვის საფრანგეთში და სხვაგან XI—XII საუკუნეებში გავრცელდა. ქალაქის აჯანყება ე. წ. „საკომუნალო რევოლუცია“ პირველად მოხდა ქ. კამბრეში 1077 წელს. მისმა სენიორ-ეპისკოპოსმა ეს აჯანყება ჩაახშო, მაგრამ კამბრეს კომუნა კვლავ აღდგა და 1101 წლიდან განაგრძო არსებობა 1107 წლამდე. ვიდრე იგი იმპერატორმა ჰაინრიხ მეხუთემ არ მოსპო. 20 წლის შემდეგ კომუნა ისევ აღდგა და კიდევ ორჯერ (1083 და 1180 წწ.) იქნა მოსპობილი.

კამბრეს აჯანყება კომუნისათვის დაწყებული მოძრაობის ამოსავალ წერტილად გადაიქცა, რომელიც სწრაფად მოედო პიკარდიასა და ფლანდრიას. 1108 წელს კამბრეს მაგალითს სენ-კანტენმა და ნუაიონმა მიბაძეს. 1096 წელს ქ. ბოვემ დაიმკვიდრა კომუნის უფლებები. 1113 წელს აჯანყება დაიწყო ქ. ამიენში. ეს აჯანყებაც წარმატებით დამთავრდა. ამიენმა კომუნის უფლება მიიღო 1117 წელს და დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნა იგი. 1138 წელს აჯანყდა რეიმსი, რომელმაც ასევე კომუნის უფლება მიიღო, მაგრამ შამპანის ახალმა არქიეპისკოპოსმა და გრაფმა იგი მოსპეს.

ზემოთქმულიდან აშკარა ხდება, რომ ქალაქები სენიორის დამოკიდებულებისაგან თავისუფლდებოდნენ უმთავრესად ბრძოლების მეშვეობით. ბურჟუაზიული მკვლევრები კი ცდილობენ ქალაქთა განთავისუფლება სენიორისაგან გამოსყიდვის გზით, ანდა მეფეების მიერ ქალაქებისათვის მხარდაჭერით ახსნან. რა თქმა უნდა, ზოგ შემთხვევაში ქალაქი გამოსყიდვის მეშვეობით მართლაც ახერხებდა დამოუკიდებლობის მოპოვებას, მაგრამ ეს იშვიათი იყო და, გარდა ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთი შემთხვევის შემდეგ სენიორი კვლავ ცდილობდა „თავისი" ქალაქის უკან დაბრუნებას და, თუ ქალაქი არ ფლობდა საკმაო შეიარაღებულ ძალას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ის კვლავ სენიორის მორჩილებაში ვარდებოდა.

რაც შეეხება ქალაქისათვის მეფეთა მხარდაჭერას მისი დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში, მას მართლაც ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა. ზოგიერთ შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება ქალაქის ინტერესებს იცავდა ან არბიტრის როლში გამოდიოდა. ორივე შემთხვევაში ხელისუფლება საკუთარ პოლიტიკურ პოზიციებს ამტკიცებდა. დახმარების გაწევისათვის ქალაქები მეფის დამხმარედ გამოდიოდნენ, როცა უკანასკნელი ბრძოლას წამოიწყებდა განდგომილი ფეოდალების წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფეების პოლიტიკა ამ საქმეში ყოველთვის ერთნაირი როდი იყო. მაგალითად, საფრანგეთის მეფე ლუი VI ქალაქებისა და სენიორების ურთიერთბრძოლას იყენებდა მხოლოდ იმისათვის, რომ ორივე მხრისაგან მიეღო ფული კომუნის დამტკიცების ან გაუქმებისათვის. ლუი VII-მ უფრო სწორად წარმართა პოლიტიკა ქალაქებთან დამოკიდებულების საკითხში. მან ბევრ ქალაქს დაუმტკიცა ქარტია და ამით ისინი თავის სანდო მოკავშირეებად გაიხადა. ფილიპ ოგიუსტი ამ მხრივ უფრო შორსაც წავიდა; სამაგიეროდ, ის ფართოდ იყენებდა ქალაქების შეიარაღებულ ძალებს და მათგან მიღებულ მატერიალურ სახსრებს საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ.

ქ. ლანის კომუნის ისტორია

ფეოდალური ქალაქების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითს ქ. ლანის ისტორია იძლევა. ეს ქალაქი პარიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა (ახლა იგი დეპარტამენტ ენის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს). ეტყობა, ძველ დროში ლანი გალიის ერთ-ერთი გამაგრებული პუნქტი იყო. ხელოსნობის განვითარების შედეგად იგი ჩრდილოეთ საფრანგეთის მსხვილ ქალაქად გადაიქცა. V საუკუნიდან ლანი საეპისკოპოსო ცენტრი გახდა და ქალაქად გადაქცევის დროს ეპისკოპოსების განკარგულებაში

აღმოჩნდა. უკვე XI საუკუნეში ლანი მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა. ეპისკოპოსები და მათი ვასალი რაინდები ყოველგვარ თაღლითურ ხერხს მიმართავდნენ იმისათვის, რათა უფრო მეტი თანხები მიეღოთ ქალაქის მოსახლეობისაგან. ამ მიზნით ისინი შეიპყრობდნენ ხოლმე მდიდარ მოქალაქეებს და შემდეგ მოითხოვდნენ, რომ მათ ნათესავებს ისინი გამოესყიდათ; სენიორ-ეპისკოპოსები განუწყვეტლივ ზრდიდნენ გადასახადებს და ვინც არ გადაიხდიდა, სასამართლოს გადასცემდნენ და კიდეც აჯარიმებდნენ.

გიბერ ნოჟანელის ცნობით (ცხოვრობდა 1053—1124 წლებში), ლანის სენიორ-ეპისკოპოსი გოდრი, წარმოშობით ნორმანდელი სენიორი, რომელსაც ეს თავისი თანამდებობა 1106 წელს ჰქონდა მიღებული ინგლისის მეფის დახმარებით, გაემგზავრა ინგლისის მეფესთან ფულის მისაღებად, იმის გამო, რომ ადრე ემსახურებოდა მას და გასამრჯელო მისაღები დარჩენოდა. ვიდრე გოდრი ლანში დაბრუნდებოდა, მისმა მოადგილეებმა — არქიდიაკონმა გოტიემ და გვიდომ (გიუომ) გადაწყვიტეს დიდი თანხა აეკრიფათ მოქალაქეთაგან ეპისკოპოსის სასარგებლოდ. გიბერის თქმით, „საერო წარჩინებულებმა და საერო წოდებამ არქიდიაკონების მეთაურობით, მოისურვეს რა ყოველგვარი ხერხით ფული გამოეძალათ მოქალაქეთათვის, შუამავალთა მეშვეობით უკანასკნელთ აგრძნობინეს, რომ, თუ ისინი მნიშვნელოვან თანხას გაიღებდნენ, კომუნის შექმნის შესაძლებლობა მიეცემოდა“ ... მოქალაქეებმა მოისურვეს შექმნილი მდგომარეობით ესარგებლათ და განთავისუფლებულიყვნენ. გაიღეს გროვა ვერცხლისა, რათა ამდენი ანგარებიანი სასულიერო პირის წყურვილი დაეკმაყოფილებინათ.

ინგლისიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა, მიიღო რა ეს დიდი თანხა, ფიცი დადო, რომ ის ქალაქს კომუნის უფლებას მიანიჭებდა. ეპისკოპოსისა და მოქალაქეების მიერ დადებული ხელშეკრულება საფრანგეთის მეფემ ლუი VI-მ დაამტკიცა. ლანმა კომუნა 1109 წელს ჩამოაყალიბა. გავიდა დრო. ეპისკოპოსმა მიღებული თანხები გაფლანგა. მან კვლავ „თავისი“ ქალაქი გაიხსენა და გადაწყვიტა კომუნის გაუქმება, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მეფეს უარი ეთქვა მის მიერ დამტკიცებულ საკომუნალო ქარტიაზე. ეპისკოპოსმა სპეციალურად მიიპატიჟა მეფე, რომელსაც 700 ლივრი შესთავაზა იმისათვის, რომ მას თავისი ხელმოწერა გაეუქმებინა.

ამრიგად, 1112 წელს ლანის კომუნა გაუქმდა. ეპისკოპოსი შეეცადა მეფისათვის დაპირებული თანხა ქალაქის მოსახლეობისაგანვე აეკრიფა. ამ გარემოებამ ქალაქში მძლავრი აჯანყება გამოიწვია. შეძახილებით — „კომუნა“ — აჯანყებულებმა ეპისკოპოსის ვასალი რაინდების ხოცვა დაიწყეს. უნდოდათ მოეკლათ თვით ეპისკოპოსი გოდ-

რიც. მაგრამ ის დაიმალა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ აჯანყებულებმა იგი სარდაფში აღმოაჩინეს და მოკლეს. მის სახლ-კარს კი ცეცხლი წაუკიდეს.

მეფემ და ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალებმა გადაწყვიტეს აჯანყებულები სასტიკად დაესაჯათ. ვიდრე დამსჯელი ჯარი ლანს მიუახლოვდებოდა, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ქალაქი დატოვა. რომელიც მეფისა და ფეოდალების შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს და მთლიანად გაძარცვეს. ამგვარად, კომუნა გაუქმებულ იქნა. ახალმა ეპისკოპოსმა ქალაქში ძველად არსებული წესები აღადგინა. მაგრამ იძულებული იყო ერთგვარი შეღავათი მაინც მიეცა მოქალაქეთათვის. მიუხედავად ყოველივე ამისა, მოქალაქეთა ბრძოლა სენიორის წინააღმდეგ ამით არ დამთავრებულა. 1128 წელს ლანმა ბრძოლებით კვლავ მოიპოვა კომუნის უფლება. ეპისკოპოსების შემდგომი ცდები მისი გაუქმებისა, მარცხით მთავრდებოდა. ლანის კომუნამ იარსება 1331 წლამდე. შემდეგ იგი მოისპო, თუმცა ამჯერად სენიორის ნაცვლად ლანი, ისე როგორც საფრანგეთის სხვა ქალაქები, დაემორჩილა გაძლიერებულ სამეფო ხელისუფლებას.

§ 3. ფეოდალური ქალაქის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება

ქალაქის მმართველობა და საქალაქო უფლებები

ფეოდალური ქალაქების ბრძოლები სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა, რაც დამოკიდებული იყო ქალაქების ეკონომიკურ სიძლიერეზე და იმაზე. თუ რამდენად იყო ცენტრალიზებული სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლება. რა თქმა უნდა, ერთგვარი მნიშვნელობა იმასაც ენიჭებოდა, თუ როგორ სენიორს ეკუთვნოდა ქალაქი. მაგალითად, ქალაქებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უფრო ხშირად სენიორ-ეპისკოპოსებთან უხდებოდათ, ხოლო სენიორ-მეფის ან ძლიერი სენიორ-ჰერცოგის წინააღმდეგ ქალაქთა ბრძოლის შემთხვევები შედარებით ნაკლები იყო.

სენიორის ძალაუფლებისაგან განთავისუფლებული ქალაქი დამოუკიდებელი არსებობის სტადიაში გადადიოდა, თუმცა დამოუკიდებლობის ხარისხი სხვადასხვაგვარი იყო. ზოგან ქალაქი სრულ დამოუკიდებლობას აღწევდა, ზოგან კი — ნაწილობრივს. ფეოდალურად დაქუცმაცებული გერმანიის „საიმპერიო ქალაქები“ თავიანთი მდგომარეობით უფრო მეტად ქალაქ-რესპუბლიკას წააგავდნენ. მათ თვითმმართველობის უფლება ჰქონდათ მინიჭებული, ჰქონდათ უმაღლესი სასამართლო, ჰყავდათ საკუთარი შეიარაღებული ძალები, ჰქონდათ საზავო ხელშეკრულებათა დადებისა და ფულის მოჭრის უფლება

და სხვ. გერმანიის ის ქალაქები, რომელნიც მთავრებს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ თავისუფალ ქალაქებად ითვლებოდნენ, სარგებლობდნენ მხოლოდ დაბალი ინსტანციის სასამართლოს უფლებებითა და თვითდაბეგვრით.

ქალაქ-რესპუბლიკების წარმოქმნა უფრო ფართო მასშტაბით იტალიაში ხდებოდა. ამ გარემოებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს იტალიის პოლიტიკური დაქსაქსულობა. იტალიის ქალაქებმა ადრევე გაზარდეს თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ ქალაქების მოსახლეობაში მალე გაითქვიფა რაინდობა, იმ გაგებით, რომ მანაც ფართოდ მოჰკიდა ხელი მევახშეობასა და სავაჭრო ოპერაციებს. იტალიის ისეთმა ქალაქებმა, როგორებიც იყო გენუა, ვენეცია, ფლორენცია და სხვ., თავიანთ ბატონობას ტერიტორიულად ახლომდებარე სოფლებიც დაუმორჩილეს. ეს ქალაქები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, საგარეო პოლიტიკაშიც დამოუკიდებელ ხაზს ატარებდნენ. ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ აწყობდნენ ომებს და სხვა სახელმწიფოებსაც ეომებოდნენ. აღნიშნული ტიპის ქალაქები, თუმცა მცირე რაოდენობით, XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან გვხვდება სამხრეთ საფრანგეთშიც (მარსელი და სხვ.).

საერთოდ კი, საფრანგეთში უფრო მეტად გავრცელდა კომუნის ტიპის ქალაქი. ამ ქალაქებმა თვითმმართველობა მიიღეს, მაგრამ მთლიანად დამოუკიდებელნი ვერ გახდნენ. მართალია, მათ შეეძლოთ თავიანთი მოხელეების არჩევა, ჰქონდათ საკუთარი სასამართლო, ფინანსები. თვითდაბეგვრის უფლება, შეიარაღებული ძალები ქალაქის დაცვისათვის და სხვ. მაგრამ საგარეო საკითხებში ისინი დამოკიდებულნი რჩებოდნენ მეფეზე ან გრაფზე. რაც შეეხება საფრანგეთის იმ ქალაქებს, რომელთა სენიორად თვით მეფე ითვლებოდა, ისინი ამგვარ უფლებებსაც კი მოკლებული იყვნენ. ასე მაგალითად, სამეფო ქალაქები — პარიზი, ორლეანი, შარტრი, ტური, ნანტი და სხვ. კომუნის უფლებით არ სარგებლობდნენ. ამ ქალაქებში მმართველობა ნაწილდებოდა მოქალაქეთა და სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის. საფრანგეთში ქალაქებს, რომლებსაც არასრული დამოუკიდებლობა ჰქონდათ მინიჭებული, ეწოდებოდათ „ბურჟუაზიის ქალაქები“ (villes de bourgeoisie).

თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ინგლისში. იმ განსხვავებით, რომ ინგლისის ქალაქთა უფრო მეტმა ნაწილმა ვერ მოიპოვა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ინგლისში სამეფო ხელისუფლება XI—XII საუკუნეებში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში და, მეორეც, ახლად წარმოშობილი ფეოდალური ქალაქების

უმრავლესობა განლაგებული აღმოჩნდა არა ცალკეული ფეოდალების ტერიტორიებზე, არამედ სამეფო მიწებზე.

თვითმმართველობის მქონე ქალაქებს შეეძლოთ თვითონ აერჩიათ ქალაქის უზენაესი ხელმძღვანელობა — ქალაქის საბჭო, რომელიც განაგებდა შეიარაღებულ ძალებს, ფინანსებს, თვალ-ყურს ადევნებდა ხელოსნურ წარმოებას და ვაჭრობას, სცემდა მოქალაქეთათვის სხვადასხვაგვარ სავალდებულო დადგენილებებს, ამყარებდა ქალაქში წესრიგს და სხვ. საბჭოს სათავეში არჩეული ქალაქის თავი იმყოფებოდა, რომელსაც გერმანიაში ბიურგერმაისტერს (Bürgermeister) უწოდებდნენ, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთში — მერს (Maire, Mayor); იტალიის ქალაქებს კონსულები ედგნენ სათავეში. სამოსამართლო ფუნქციებს ხანდახან თვით ქალაქის საბჭოები ასრულებდნენ, ხან კი — სპეციალურად გამოყოფილი სასამართლო კოლეგიები, რომელთა წევრებს ჯერ სკაბინები ეწოდებოდათ, ხოლო შემდეგ ეშევენები (საფრანგეთში) ან შოეფენები (გერმანიაში).

ფეოდალურ ქალაქებში არ ტარდებოდა არჩევნები დემოკრატიულ საფუძველზე. სენიორების წინააღმდეგ მოქალაქეთა აჯანყების შედეგად მთელი ძალაუფლება პატრიციატის ხელში გადადიოდა. პატრიციატის ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ: მდიდარი ვაჭრები, მევახშეები, ქალაქში მცხოვრები ფეოდალები (როგორც სასულიერო, ისე საერო), სასტუმროების პატრონები და, საერთოდ, ის პირები, რომლებიც ქალაქში მიწების მნიშვნელოვან ფართობებს ფლობდნენ. პატრიციატი, როგორც ფეოდალური საზოგადოების გარკვეული ფენა, იტალიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა XI საუკუნეში, ფლანდრიასა და ბრაბანტში — XII საუკუნეში, ხოლო გერმანიის ქალაქებში — XIII საუკუნეში.

საქალაქო ხელოსნობა და ხელოსნები

ფეოდალური ქალაქის წარმოების სახეს ხელოსნობა წარმოადგენდა. საზოგადოებრივი შრომის დანაწილების სხვადასხვა ეტაპზე ხელოსნობა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდა: I. შინახელოსნობა, რომელიც ემსახურებოდა მეურნეობის საკუთარ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას; ამ შემთხვევაში ხელოსნური ნაწარმი მზადდებოდა იმათ მიერ, ვინც ამ მეურნეობის წევრები იყვნენ. ხელოსნობის ასეთი ფორმა ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის განუყრელი კუთვნილება იყო, 2. ხელოსნობა დაკვეთით, რომელიც გულისხმობდა ხელოსნობის განვითარების შემდგომ საფეხურს, როცა ხელოსანი მიწათმოქმედებასაც მისდევდა, მაგრამ ამასთან ხელოსნურ ნაწარმს შემკვეთის მასალით ამზადებდა და ისიც არა თავის მეურ-

ნეობაში, და 3. ხელოსნობა, რომელიც ნაწარმს ამზადებდა ბაზრისათვის.

საქალაქო ხელოსნობა ხელოსნობის ორ უკანასკნელ ფორმას შეიცავდა. ესე იგი, ხელოსანი მუშაობდა სხვების შეკვეთით და თავისი მასალითაც ამზადებდა ხელოსნურ ნაწარმს ბაზარზე გასაყიდად. ქალაქის განვითარების პირველ საფეხურზე ხელოსნისათვის, ხელოსნურ წარმოებასა და ვაჭრობასთან ერთად, მნიშვნელობა ჰქონდა მებაღეობა-მებოსტნეობას და წვრილფეხა შინაური პირუტყვის მოშენებას, თუმცა მათი განვითარების ძირითად პირობას მაინც ხელოსნობა წარმოადგენდა. ხელოსანს ჰქონდა თავისი სახელოსნო და თავისი საწარმოო საშუალებანი, ამიტომ ის დამოუკიდებელი იყო და ყმასავით ბატონს არ ემორჩილებოდა.

ქალაქის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ძალიან ჭრელი იყო. ქალაქში ცხოვრობდნენ ხელოსნები, ვაჭრები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რაინდები, მევახშეები, დღიური მუშები და სხვ., მაგრამ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მაინც ხელოსნები წარმოადგენდნენ. ვიდრე ხელოსნები ამქრებად შეკავშირდებოდნენ და ქალაქში ხელოსნობაზე მონოპოლია დაწესდებოდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ცდილობდა ხელოსნებად გახდომას, მით უფრო, რომ ხელოსნის მარტივი სამუშაო იარაღების შეძენა მისი სიიაფის გამო თითქმის ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო.

ოსტატი-ხელოსანი თავის სახელოსნოში პირადად მუშაობდა და ამიტომ იგი უშუალო მწარმოებელი იყო. რადგან ხელოსნურ წარმოებაში მარტივ სამუშაო იარაღებს იყენებდნენ და, ამავე დროს, აუცილებელი ხდებოდა უკეთესი ნაწარმის დამზადება, რომელიც ასე თუ ისე შეძლებდა ერთგვარი კონკურენციის გაწევას თუნდაც შინა-ხელოსნობისათვის, საჭირო იყო უშუალო მწარმოებელი უკეთ დახელოვნებულიყო თავის პროფესიაში. ეს კი მუშაობის გარკვეულ სტაჟს მოითხოვდა. იმას, ვისაც ხელოსნობა უნდოდა, ხელობა ადრევე უნდა შეესწავლა. ამას უშუალოდ შეგირდების გაჩენა მოჰყვა.

შეგირდები და მათი მდგომარეობა საქალაქო ხელოსნობის განვითარების პირველ საფეხურზე

ოსტატ-ხელოსნის გარდა, სახელოსნოში გარკვეული რაოდენობით შეგირდებიც მუშაობდნენ. სახელოსნოში მუშაობისას მათი მიზანი იყო ხელობის შესწავლა. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საკითხს, დავრწმუნდებით, რომ თავისი სოციალური მდგომარეობით შეგირდი არ წააგავდა არც კაპიტალისტურ ურთიერთობაში მყოფ დაქირავებულ მუშას, რომელიც ეკონომიკური იძულების ნიადაგზე

ჩაბმული იყო კაპიტალისტურ ექსპლუატაციაში, და არც ყმა გლეხს, რომელიც გარეშე ეკონომიკური იძულებით მუშაობდა ფეოდალ-მებატონის სასარგებლოდ, შეგირდი ნება-სურვილით მიდიოდა სახელოსნოში ხელობის შესასწავლად.

შეგირდის მდგომარეობა ყმა გლეხისა და მუშის მდგომარეობისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ ის ამქრის წევრად ითვლებოდა, ოსტატთან ერთად ერთ სუფრაზე იკვებებოდა და, საერთოდ, ოსტატის ოჯახში ცხოვრობდა. გარკვეული გამოცდილების მიღების შემდეგ ოსტატის უფლებებს მოიპოვებდა. შემდეგ იგი საკუთარ სახელოსნოს ხსნიდა და ამქრის თანასწორუფლებიანი წევრი ხდებოდა. ყოველივე ამის გამო თავდაპირველად იგი მის მიერ გაწეულ შრომაში (კაპიტალიზმის ხანის მუშისაგან განსხვავებით) ოსტატისაგან გასამრჯელოს არ ღებულობდა; პირიქით, ზოგჯერ შეგირდი ოსტატს თვითონ უხდიდა გარკვეულ თანხას იმის გამო, რომ მისგან ხელობას სწავლობდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შეგირდების ექსპლუატაციას მაინც ჰქონდა ადგილი. ახლად მიღებული შეგირდები ხელობის შესწავლას მაშინვე არ იწყებდნენ. ერთი ან ორი წლის მანძილზე ისინი ხელოსნის ოჯახში უნდა დარჩენილიყვნენ და მისთვის მომსახურება გაეწიათ: მოეზიდათ წყალი, დაეპოთ შეშა, ცომი წაეღოთ გამოსაცხობად, ოსტატს ან მის ცოლს ბაზარში გაჰყოლოდნენ სურსათ-სანოვაგის წამოსაღებად და სხვ. ამგვარად, ოსტატისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი და სასარგებლო იყო შეგირდების მეტი რაოდენობით ყოლა, მაგრამ ამქრები უკრძალავდნენ ერთ ოსტატს ორ შეგირდზე მეტის მიღებას, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამქრებს არ სურდათ თავიანთ წევრებს შორის ეკონომიური უთანაბრობის გაჩენა.

ზემონათქვამიდან ისეთი დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ, თითქოს წვრილი სახელოსნო წარმოება გაანგარიშებული იყო მოგების მისაღებად ან გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, მისი მიზანი იყო მხოლოდ არსებობის საშუალებათა გამოძებნა. „მ ი ს ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ს ა კ ა დ რ ი ს ი ა რ ს ე ბ ო ბ ა, — და არა გაცვლითი ღირებულება, როგორც ასეთი, არა გამდიდრება როგორც ასეთი“[1] — იყო ოსტატის შრომის მიზანი. მაშასადამე, სახელოსნოში არსებული შეგირდების ექსპლუატაცია არ შეიძლება მთლიანად გათანაბრებული იყოს მუშათა ექსპლუატაციასთან კაპიტალისტურ წარმოებაში. ამგვარად, შეგირდები არ უნდა ჩაითვალონ დაქირავებულ მუშებად.

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. II (УП), М., 1933, зз. 111.

პირვანდელ ფეოდალურ ქალაქებში ხელოსნობის განვითარებას წინ ეღობებოდა მთელი რიგი სიძნელეებისა. უპირველეს ყოვლისა. საჭირო გახდა მტაცებელ თავადაზნაურთა თავდასხმების თავიდან აცილება ხელოსნებზე. გარდა ამისა, რადგან სოფლად შინახელოსნობა ძირითადად აკმაყოფილებდა მეურნეობის მოთხოვნილებას ხელოსნურ ნაწარმზე, ქალაქური ხელოსნობის ნაწარმისათვის ბაზარი მეტად შეევიწროებული იყო. ყოველივე ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ რამდენადაც ვითარდებოდა ქალაქი ეკონომიკურად, იმდენად უფრო მიმზიდველი ხდებოდა სოფლიდან გამოქცეული გლეხებისათვის, რომლებიც აგრეთვე ხელოსნობას იწყებდნენ და, მაშასადამე, ოსტატ-ხელოსნებს კონკურენციას უწევდნენ.

ყველა ზემოაღნიშნულმა პირობამ შექმნა ხელოსნების შეკავშირების აუცილებლობა, რის შედეგადაც წარმოიშვა ამქრები, ანუ გილდიები. მარქსიზმის კლასიკოსები ამ კავშირების წარმოშობას შემდეგნაირად ხსნიდნენ: გაერთიანების აუცილებლობა გაერთიანებული ფეოდალი ყაჩაღების წინააღმდეგ, მოთხოვნილება ბაზრის საერთო სადგომებზე ეპოქაში, როცა მწარმოებელი ერთდროულად ვაჭარიც იყო, კონკურენცია გაფურჩქვნის პროცესში მყოფ ქალაქებში გამოქცეული ყმების მხრით, მთელი ქვეყნის ფეოდალური წყობილება — ყველაფერმა ამან ამქრები წარმოშვა.

რა თქმა უნდა, გარკვეული დრო უნდა გასულიყო ხელოსნების ახალ ადგილზე დაბინავების დღიდან, ვიდრე მოხდებოდა მათი შეკავშირება, მაგრამ ამქრების ჩამოყალიბება თითქმის ქალაქების დაარსებასთან ერთად წარმოებდა. რადგან იტალიის ქალაქების წარმოშობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადრევე დაიწყო, იქ ამქრების მოქმედება უკვე X საუკუნეში გახდა შესამჩნევი, ხოლო საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში — XI—XII საუკუნეებში. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლურ ქალაქებში ამქრები უფრო ადრინდელ ხანას მიეკუთვნება. თუმცა მათ ისეთი სრულყოფილი სახე ვერ მიიღეს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ევროპაში. ევროპული ამქრების საბოლოო გაფორმება (ამქრის წესდების შემოღება) მოხდა უფრო მოგვიანებით, XIII—XIV საუკუნეებში.

ყოველი პროფესიის ოსტატი-ხელოსნები საკუთარ ამქარს ადგენდნენ. ამქართა რაოდენობა დამოკიდებული იყო პროფესიათა რაოდენობაზე. თავდაპირველად პროფესიათა რაოდენობა შედარებით ნაკლები იყო. პატარა სახელოსნოში შრომის მნიშვნელოვანი განაწილება არ ხდებოდა. ამიტომ, როდესაც ტექნიკის გარკვეულ განვითარებასთან ერთად შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ იმატა, იგი

გატარდა უმთავრესად ცალკეულ სახელოსნოთა შორის, საფეიქრო წარმოებაში ზოგიერთმა სახელოსნომ დაიწყო მაუდის მოთელვა, ზოგმა — ძაფის გამომუშავება, ზოგმა — ქსოვა, ზოგმა — ქსოვილების შეღებვა და ა. შ. ამის გამო თვით ფეიქრების ამქარიც, შესაბამისად, სხვადასხვა ამქრებად დანაწილდა. პროფესიების ასეთივე სახეცვლილება ხდებოდა წარმოების სხვა დარგებშიც, ისე რომ ყოველ ქალაქში ათეულობით ამქარი ჩამოყალიბდა. მათ რიცხობრივ გამრავლებას, მეორე მხრივ, წარმოებაში ახალი დარგების გაჩენა უწყობდა ხელს. XIV საუკუნის დასაწყისში პარიზში უკვე 300-მდე ამქარი მოითვლებოდა.

ამქარმა ჩამოყალიბებისთანავე ხელოსნობა თავის მონოპოლიად გამოაცხადა. ამიერიდან ქალაქში არავის შეეძლო სახელოსნოს გახსნა, თუ ის ამქრის წევრი არ იქნებოდა, ხოლო ამქრის წევრად, ანუ ოსტატად შეიძლებოდა გამხდარიყო ის, ვისაც შეგირდობის გარკვეული სტაჟი ჰქონდა. მას ჯერ გავლილი უნდა ჰქონოდა შეგირდობა, შემდეგ ქარგლობა (ეს უკანასკნელი საფეხური, ე. ი. ქარგლობა, როგორც სავალდებულო, შემოიღეს უფრო გვიანდელ ხანაში) და, ბოლოს, ენიჭებოდა ოსტატის უფლება. დროთა მსვლელობაში ამქარი უფრო მეტად ჩაიკეტა და თუ ვინმე წარმოშობით ოსტატის შვილი არ იყო, მას ამქრის წევრად აღარ ღებულობდნენ. „პარიზის ოლქის ფარგლებში, — ნათქვამია XIII საუკუნის დროინდელ ფეიქართა წესდებაში, — არც ერთ ფეიქარს და არც სხვას არ უნდა ჰქონდეს სახელოსნო, თუ მას პირადად არ შეუძლია ხელოსნობა, თუ იგი ხელოსნის შვილი არ არის“.

ამქრები ხელოსნობის გარკვეულ დარგებზე აწესებდნენ მონოპოლიას არა მარტო ქალაქად, არამედ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ. 1323 წელს ქ. სენტ-ომერის სამი ამქრის წარმომადგენლებმა იჩივლეს, რომ ქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში მაუდის ქსოვას აწარმოებენ, რითაც ორგვარ ზიანს აყენებენ მათ ამქრებს. ჯერ ერთი, ამ სოფლებში დამზადებულ მდარე ხარისხის ქსოვილებს ასაღებენ სენტ-ომერში დამზადებულ ქსოვილებად და ამით ამქარს სახელს უტეხენ, და მეორეც, ისინი მდარე ნაქსოვს იაფ ფასებში ყიდიან და ამით კონკურენციას ეწევიან. ეტყობა, სენტ-ომერის ამქართა წარმომადგენლების თხოვნა შეწყნარებულ იქნა და ხელისუფლებამ აღნიშნულ სოფლებში მაუდის ქსოვა სამუდამოდ აკრძალა.

ამგვარად, ამქარი ყოველმხრივ ცდილობდა მასში შემავალი ხელოსნების დაცვას „გამანადგურებელი“ კონკურენციისაგან, მაგრამ ამავე დროს ამქრის ძირითად ამოცანას ხელოსნური წარმოების ორგანიზაცია შეადგენდა. ამ მიზნით ის წარმოების მკაცრ რეგლამენტა-

ციას ახდენდა. ამქრის წევრი — ოსტატი-ხელოსანი ვალდებული იყო თავისი მუშაობა იმ დადგენილებებისა და ინსტრუქციებისათვის მთლიანად დაექვემდებარებინა, რომლებსაც ხელმძღვანელობა გამოიტანდა.

ზემოთქმულის კარგ დასაბუთებას წარმოადგენს სხვადასხვა პროფესიების სტატუტები: „არც ერთმა მღებავმა არ უნდა ჩადოს გაფუჭებული შაბი, არც ლაკმუსის ხის ხავსი, რადგან ისინი ცუდი საღებავებია“ (პარიზის მღებავთა სტატუტი). „არც ერთ მებაგირეს არ შეუძლია და არ უნდა გააკეთოს გუთნებისათვის თოკი, თუ ის ძაფებისაგან დაგრეხილი არ იქნება“ (მებაგირეთა სტატუტი).

მდარე ხარისხის პროდუქცია ამქრის ყველა წევრის ინტერესებზე ახდენდა გავლენას. ამიტომ ამქარში შემავალი ყველა ოსტატი-ხელოსნის მუშაობას თვალყურს ადევნებდნენ ამქრის წარმომადგენელნი და სისტემატურად ამოწმებდნენ დამზადებული პროდუქციის ხარისხს. ვისაც იმ ფერის ქსოვილი არ აღმოაჩნდებოდა ან არ ჰქონდა იმ მასალისაგან დამზადებული ფეხსაცმელი, რაც გათვალისწინებული იყო ამქრის ინსტრუქციებში, ჯარიმდებოდა. პასუხს აგებდა აგრეთვე ის, ვინც ნედლ მასალას მეტი რაოდენობით შეიძენდა და უფრო მეტი რაოდენობის ნაწარმს დაამზადებდა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ამქრის მიერ. საერთოდ კი, როგორც წესი, თვითონ ამქარი ყიდულობდა ნედლ მასალას და თავის წევრებს თანაბრად უნაწილებდა. ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ამქარი ცდილობდა ეკონომიკური თანაბრობის დაცვას თავის წევრებს შორის.

წარმოების რეგლამენტაციის საქმეში ზოგიერთი ამქარი უფრო შორსაც მიდიოდა. იგი ცდილობდა მის ყველა წევრს თანაბარი რაოდენობისა და ხარისხის სამუშაო იარაღები ჰქონოდა. პარიზელ ფეიქართა სტატუტში ნათქვამი იყო: „პარიზის თითოეულ ფეიქარს სახლში შეიძლება ჰქონდეს ორი განიერი და ერთი ვიწრო დაზგა, ხოლო სახლს გარეთ არაფერი მსგავსი რამ არ უნდა გააჩნდეს“. „ჯარიმას იხდის ის, ვინც ორზე მეტ დაზგაზე მუშაობს“ (ფრანკფურტის მემაუდეების 1345 წ. წესდებიდან). ის ხელოსანი, რომელიც უფრო გაუმჯობესებულ სამუშაო იარაღს შეიძენდა, ასევე ჯარიმდებოდა. აკრძალული იყო საერთოდ რაიმე სიახლის შეტანა სამუშაო იარაღებში.

ამქრის ჩარევა ხელოსნური წარმოების პროცესში სხვა მხრივაც ხდებოდა. იგი კრძალავდა ერთ სახელოსნოში ორი ოსტატის ერთად მუშაობას. „ამქრის ორი ან რამდენიმე წევრი-ხელოსანი არ შეიძლება ერთი სახელოსნოს კომპანიონები იყვნენ“. ამგვარად, ამქარი ყოველ ნაბიჯზე ცდილობდა ხელი შეეწყო მხოლოდ წვრილი წარმოების განვითარებისათვის. ეს ჩანს სახელოსნოში შეგირდების რაოდენო-

ბის განსაზღვრიდანაც. რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. გარდა ამისა, ამქარი თვითონ აწესებდა გასაყიდ ფასებს ხელოსნურ პროდუქციაზე. არავის არ შეეძლო დაწესებული ფასებიდან გადახვევა. სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა, აგრეთვე, ამქრის წესდებით. მუშაობა ჩვეულებრივ მზის ამოსვლიდან იწყებოდა და თავდებოდა მზის ჩასვლისას. დამატებითი მუშაობა ღამით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყველასათვის იკრძალებოდა.

ამქრის სათავეში არჩეული პირი იმყოფებოდა. ყოველ ამქარს თავისი წესდება ჰქონდა. წესდების ცხოვრებაში გატარება და ხელოსნებზე მეთვალყურეობა ამქრის წარმომადგენლებს ევალებოდათ. დანაშაულში შემჩნეული ამქრის წევრების საქმე ამქრის სასამართლოში განიხილებოდა. ამქარში წევრად შესვლისათვის ოსტატ ხელოსანს ერთდროული გადასახადი შეჰქონდა, ხოლო მისი წევრად მიღების შემდეგ სისტემატურად იხდიდა საწევრო გადასახადს. ამქარი თავისებურ ურთიერთდამხმარე ორგანიზაციასაც წარმოადგენდა, მას საერთო სალარო ჰქონდა. ამქრის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახი ამქრისაგან მატერიალურ დახმარებას ღებულობდა. ამქარი ასევე იქცეოდა იმ შემთხვევაშიც, თუ მის წევრს სტიქიური უბედურება (ხანძარი და სხვ.) დაატყდებოდა თავს.

ამქარი თავისებურ რელიგიურ კორპორაციასაც — რელიგიურ ძმობას წარმოადგენდა. მას ზოგჯერ საკუთარი ეკლესია გააჩნდა და ამქრის წევრები ვალდებულნი იყვნენ სალოცავად იქ წასულიყვნენ. ამქარს საკუთარი დროშა ჰქონდა, რომლითაც ის გამოდიოდა როგორც სხვადასხვა დღესასწაულზე, ისე სამხედრო საქმიანობაში (ხელოსანი სამხედრო პირადაც ითვლებოდა). ამგვარად, ამქარი სამხედრო ორგანიზაციასაც წარმოადგენდა. იგი თავის წევრებს ღამ-ღამობით გზავნიდა ქალაქის კედლების სადარაჯოდ.

ამქრებს რომ ასეთი მრავალმხრივი საქმიანობა გაადვილებოდათ, ხელოსნები კომპაქტურად სახლდებოდნენ თავიანთი პროფესიის მიხედვით გარკვეულ უბნებში და განცალკევებულ ქუჩებზე. იმდროინდელი უბნებისა და ქუჩების სახელებიც ხშირად ცალკეული პროფესიის სახელწოდებიდან წარმოიქმნებოდა. ასე მაგალითად, „ვერცხლის ქუჩა“, სადაც მთლიანად დასახლებული იყვნენ ოქრომჭედლები, „მეთუნუქეთა უბანი“, „სამეთუნეო ქუჩა“ და სხვ.

ამქრების საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ მონაწილეობას ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავდაპირველად ისინი ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი სენიორების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც ქალაქები აწარმოებდნენ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მას შემდეგ, რაც ქალაქმა დამოუკიდებლობა მიიღო და

შექმნა საკუთარი თვითმმართველობა, წინააღმდეგობამ ამქრებსა და პატრიციატს შორის უფრო მძაფრად იჩინა თავი, რადგან პატრიციატი ჩადგა გაბატონებულ მდგომარეობაში, ხოლო ამქრები უუფლებონი აღმოჩნდნენ. ამან გამოიწვია ამქრების ბრძოლა პატრიციატის წინააღმდეგ.

1368 წლის მეორე ნახევარში, აუგსბურგის ხელოსანთა ბრძოლის შედეგად პატრიციატის წინააღმდეგ, უკანასკნელი იძულებული შეიქნა ამქრების მიმართ დათმობაზე წასულიყო. მემატიანე გადმოგვცემს, რომ აუგსბურგის მცირე პატრიციულმა საბჭომ საჭიროდ ცნო გაეზიარებინა ძალაუფლება ქალაქის ამქრებისათვის. ქრონიკაში ნათქვამია, რომ ქალაქის 18 ამქრიდან საბჭოში 29 კაცი იქნება წარმოდგენილი, ხოლო პატრიციატიდან — 15. ამგვარად, მთელი საბჭო უნდა შედგებოდეს 44 კაცისაგანო.

ამქრების ბრძოლას პატრიციატთან ქალაქთა უმრავლესობაში მიზნად ჰქონდა დასახული ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამქრები ზოგან ახერხებდნენ სრული წარმატების მოპოვებას, ზოგან კი მათი ბრძოლა მარცხით მთავრდებოდა. ხელოსანთა დამარცხების შემთხვევაში პატრიციატი მათ სასტიკად უსწორდებოდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც ეხება XIV საუკუნეში კელნში მომხდარ აჯანყებას, ნათქვამია: „ბატონები თავიანთი დროშებით და „ძმობით“ დადიოდნენ ქუჩებში და ძალით ატყვევებდნენ ფეიქრებს, მაგრამ მათ ბევრი ვერავინ ნახეს: ფეიქრები თხუნელებად იქცნენ და მიწაში ჩაძვრნენ. მეორე დღეს ქალაქის ხელისუფალნი „ძმობასთან“ ერთად ქალაქის დროშით გაჰყვნენ... ქუჩას ნაღარითა და ფლეიტებით... და სადაც კი წაასწრებდნენ ფეიქრებს, მათ იქვე, ქუჩებში ხოცავდნენ. ხელისუფალნი ფეიქრებს დაეძებდნენ სახლებში, ეკლესიებში და მონასტრებში; ისინი არავის არ ინდობდნენ, არც მოხუცს და არც ახალგაზრდას“.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პატრიციატთან ბრძოლებში ამქრებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ფლორენციაში, გენტში, კელნსა და სხვა ქალაქებში, მაგრამ ძალაუფლება ახლა ამქრების ზედაფენის ხელში აღმოჩნდა. ამგვარად, დამყარდა ამქრული ოლიგარქიის მმართველობა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა პატრიციატის მმართველობასთან შედარებით მაინც პროგრესული იყო. ვიდრე ხელოსნური წვრილი წარმოება წარმოების მოწინავე ფორმად ითვლებოდა (XI—XIII საუკ., ხოლო ქვეყნების უმრავლესობაში XIV—XV საუკ.), ამქრებიც საზოგადოებრივი განვითარების საქმეში პროგრესულ როლს ასრულებდნენ. მარტო ის გარემოება, რომ მათ შეძლეს განემტკიცებინათ ხელოსნობა როგორც ეკონომიკურად, ისე უფლებრივად, მოწმობს მათ დადებით საქმიანობას.

უფრო განვითარებული ამქრული წარმოების არსებობა ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო დასავლეთ ევროპის ეკონომიკის სწრაფი წინსვლისა XI—XV საუკუნეებში, რამაც საფუძველი ჩაუყარა მომავლისათვის კაპიტალიზმის განვითარებას. მარქსისა და ენგელსის თანახმად, „შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველ ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა; მოქალაქეთა ამ წოდებიდან განვითარდნენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები"[1].

მაგრამ ფეოდალურ საზოგადოებაში კაპიტალისტური ელემენტების ჩასახვის შემდეგ საამქრო წყობილება თანდათანობით რეაქციულ მოვლენად იქცა. იცავდნენ რა წვრილ ხელოსნურ წარმოებას ყოველგვარი ხელყოფისაგან, ამქრები ხელს უშლიდნენ კაპიტალისტური მანუფაქტურის შემდგომ განვითარებას. ამ პერიოდში განსაკუთრებით იჩინა თავი ამქრების მიერ წარმოების რეგლამენტაციის უარყოფითმა მხარემ. ამქრებმა დაიწყეს სასტიკი დევნა ყოველგვარი გამოგონებისა, რომელიც მიმართული იქნებოდა წარმოებითი საშუალების გაუმჯობესებისაკენ. საზოგადოებრივ წარმოებაში ამქრის როლის შეცვლასთან ერთად იცვლებოდა მისი ორგანიზაციაც. ამქრის შიგნით გაიზარდა სოციალური დიფერენციაცია. ამას დაემატა წარმოების კაპიტალისტური ფორმების მიერ კონკურენციის წამოწყება ხელოსნების წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ ამქრების წევრ-ხელოსნებს შეენარჩუნებინათ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა, ისინი უფრო მჭიდროდ გაერთიანდნენ პრივილეგირებულ წოდებად და თავის რიგებში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სხვებს აღარ ღებულობდნენ.

შეგირდების თავდაპირველი მდგომარეობის შეცვლა და მათი ბრძოლა ამქრების წინააღმდეგ

უფრო ადრე ყველა შეგირდს, ვინც კი მუშაობის გარკვეულ სტაჟს შეიძენდა, დაუბრკოლებლივ შეეძლო ოსტატის წოდება მიეღო და ამქრის წევრი გამხდარიყო. თავდაპირველად შეგირდობის ეს ვადა, მომეტებულად, 3—5 წლით განისაზღვრებოდა. შეგირდების ოსტატებად გადაქცევის პროცესის შეფერხების მიზნით შემდეგ იგი განსაზღვრეს 7—8 წლით და ბოლოს პრაქტიკაში შემოღებულ იქნა ახალი წოდება „ქარგალი". შეასრულებდა რა შეგირდობის სტაჟს, შეგირდი ახლა პირდაპირ ოსტატად ვეღარ გადაიქცეოდა, იგი ჯერ ქარგალი უნდა გამხდარიყო.

დროთა მსვლელობაში ოსტატად გადაქცევა უფრო გაძნელდა. პრეტენდენტს ოსტატად შეეძლო გამხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ,

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952, გვ. 38.

-რაც სათანადო გამოცდას ჩააბარებდა. ამქრის წესდებაში გათვალისწინებული იყო, რომ გამოცდის ჩამბარებელს თავისი მასალით „შედევრი“ უნდა დაემზადებინა. შედევრი ეწოდებოდა სანიმუშოდ დამზადებულ ხელოსნურ ნაწარმს, რომელიც ნათლად გამოამჟღავნებდა გამოსაცდელი პირის ნიჭსა და პროფესიულობას. რაკი შედევრი სანიმუშოდ დამზადებულ ნაწარმს ეწოდებოდა, ამიტომ ამ სიტყვაში ახლაც ყველაფერს სრულყოფილსა და კარგს გულისხმობენ.

გასაგებია, რომ ყველა შედევრს ვერ დაამზადებდა და, მაშასადამე, ოსტატიც ვერ გახდებოდა, მით უფრო, რომ ყველას არ შეეძლო ისეთი მძიმე გადასახადის გაღება, რაც ამქრებმა დააწესეს ამქრის წევრად გახდომისათვის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გამოცდის ჩამბარებელს „მაღარიჩი“. უნდა გადაეხადა, ამქრის ოსტატთათვის გამასპინძლება უნდა მოეწყო, და ამქრის წევრებისათვის გაეშალა სუფრა, ადვილი წარმოსადგენია ოსტატად გახდომის სიძნელეები.

კლასობრივი ბრძოლების გამწვავება ქალაქებში

ამიერიდან შეგირდობა და ქარგლობა, არსებითად, მუდმივ მოვალეობად იქცა. რაკი ქარგალსა და შეგირდს ფაქტიურად მოესპო შესაძლებლობა ოსტატად გახდომისა და, მაშასადამე, საკუთარი სახელოსნოს დაარსებისა, ისინი ძირითადად დაქირავებული მუშები გახდნენ. ამ გარემოებამ მკვეთრად განასხვავა ოსტატისა და შეგირდ-ქარგლის მდგომარეობა: პირველი ექსპლუატაციის წარმოებით გაძლიერდა, ხოლო მეორე მთლიანად ექსპლუატაციის ობიექტად იქცა. ბუნებრივია, რომ ამიერიდან კლასობრივი ბრძოლა მათ შორის უნდა გამწვავებულიყო. ქარგლებმა საკუთარი კავშირების ჩამოყალიბება დაიწყეს. თავდაპირველად ეს კავშირები ურთიერთდამხმარე სალაროების როლში გამოდიოდა, მაგრამ მალე ისინი კლასობრივი ბრძოლის ორგანოებად იქცნენ, რომლებიც ქარგლების გაფიცვებსა და ბოიკოტებს ხელმძღვანელობდნენ.

ქალაქის ხელმძღვანელობა სასტიკად დევნიდა ასეთ კავშირებს. რაც დრო გადიოდა, ქარგალთა კავშირები სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდნენ კლასობრივ ბრძოლებში.

ექსპლუატატორების წინააღმდეგ თანამედროვე პროლეტარიატის წინაპართა ბრძოლა თანდათან უფრო მწვავე ხასიათისა ხდებოდა. იგი იქცეოდა პოლიტიკურ ბრძოლად ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. ქარგლები და შეგირდები, რომელნიც ახლა დაქირავებულ მუშებად იყვნენ გადაქცეულნი, ქალაქის მოსახლეობის სხვა დაბალი ფენების მხარდაჭერით ახდენდნენ სულ ახალ და ახალ აჯანყებებს.

ფლორენციაში, კელნში და სხვაგან ხდებოდა გამოსვლები ქალაქის არისტოკრატიის წინააღმდეგ. ერთ-ერთმა ასეთმა აჯანყებამ ყველაზე უფრო მკაფიო გამოვლენა პოვა 1378 წელს ქ. ფლორენციაში „ჩომპის“ აჯანყების სახით.

ვაჭრობა და ვაჭართა გილდიები

ვიდრე მოხდებოდა სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფა, შემდეგ ხანებში კი — საზოგადოებრივი შრომის ახალი, მნიშვნელოვანი განაწილება ხელოსნობისაგან ვაჭრობის გამოყოფის სახით. მონათმფლობელურ საზოგადოებასა და ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში ვაჭრობა უმთავრესად საგარეო ხასიათს ატარებდა. იმდროინდელი ვაჭრობის მეორე დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ მაშინ ვაჭრობა, ძირითადად, გაძარცულ დოვლათსა და ნატურალურ მეურნეობაში შემთხვევით ზედმეტად დამზადებულ პროდუქციას ემყარებოდა. ჯერ კიდევ ძველი დროიდან რომში, შემდეგ კი ბიზანტიაში, ვენეციაში, პორტუგალიასა და ჰოლანდიაში ვაჭრობა ხშირად უშუალოდ იყო დაკავშირებული მეკობრეობასთან, მონების ყიდვა-გაყიდვასთან, ხალხების დამონებასა და მათ გაძარცვასთან. და ბოლოს, ვაჭრობის განვითარების ამ საფეხურს ახასიათებდა ის, რომ ვაჭრები უმთავრესად მოხეტიალე და არაბინადარ საქმიანობას ეწეოდნენ.

ცენტრალურ ევროპაში მაშინ ვაჭრობას უმთავრესად უცხოელები მისდევდნენ: არაბები, ბიზანტიელები, ებრაელები, შემდეგში — იტალიელები, ფრიზები და სხვ. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ბითუმად მოვაჭრეებს წარმოადგენდნენ. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მათ ევროპაში გასაყიდად უმთავრესად ფუფუნების საგნები შემოჰქონდათ. აღნიშნული საქონლის სიძვირის გამო მომხმარებლად პირველ ხანებში მხოლოდ ფეოდალები ითვლებოდნენ, შემდეგ კი — ქალაქის მოსახლეობის შეძლებული ფენები. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ახლო აღმოსავლეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.) მათ მოჰქონდათ პილპილი. მიხაკი, დარიჩინი და სხვ., რასაც იყენებდნენ ღვინისა და საჭმლის დამზადებაში, კერძოდ კი, დამარილებული ხორცის შეკაზმვაში, რომლითაც იმდროინდელი ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი იკვებებოდა. პილპილს იმდენად დიდი გასავალი ჰქონდა, რომ ფულს უტოლებდნენ და საქონელბრუნვაში იყენებდნენ; გარდა ამისა, ვაჭრები თავიანთ ქალიშვილებს მზითევშიც კი ატანდნენ მას, როგორც ძვირფასსა და დიდად მნიშვნელოვან რასმე. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ აგრეთვე იშვიათი ხილი, საღებავები და ნაირ-ნაირი ქსოვილები (აბრეშუმი, ფარჩა, ხავერდი და სხვ.).

ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგად ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებს უფრო მეტად დაუახლოვდა და მათთან აღებ-მიცემა გააფართოვა, მაგრამ პირველ ხანებში მას არ შეეძლო სამაგიერო ეკვივალენტური პროდუქციის მიწოდება აღმოსავლეთისათვის თავისი მრეწველობის დაბალი დონის გამო. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მაშინ მისი ვაჭრობა არ იყო აქტიურ ბალანსზე დამყარებული. ევროპიდან აღმოსავლეთში უმთავრესად გაჰქონდათ ოქრო და ვერცხლი; უფრო ნაკლები რაოდენობით ნედლი მასალა და ზოგიერთი საკუთარი ნაწარმი მაუდისა და სხვ. სახით. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი ევროპის ექსპორტში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი მონებით ვაჭრობას ეჭირა.

ფეოდალურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი შრომის განაწილებისა და სასაქონლო მეურნეობის ზრდასთან ერთად ვაჭრობის განვითარებამ უფრო მეტი გასაქანი მიიღო, ვიდრე ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროპაში ხელოსნური წარმოება გაფართოვდა, რითაც შესაძლებელი გახდა უკეთესი ხარისხისა და მეტი რაოდენობის პროდუქციის დამზადება. თუ თავდაპირველად ქალაქის ხელოსანთა მიერ დამზადებული პროდუქცია საკმარისი იყო მხოლოდ ქალაქისა და მის გარშემო მდებარე სოფლებისათვის, ახლა შესაძლებელი გახდა უფრო ფართო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ვაჭრობაც გასცილდა ზემოაღნიშნულ ჩარჩოებს.

ხელოსნურ ნაწარმზე მოთხოვნილებათა ზრდამ ამქრების წინაშე მეტი რაოდენობით ნედლი მასალის შეძენის ამოცანა დასახა. მაგალითად, სამჭედლოებსა და იარაღის დამამზადებელ ამქრებს მეტი რაოდენობის ლითონი სჭირდებოდათ, მაგრამ მადანი, რა თქმა უნდა, ყველგან არ მოიპოვებოდა. მაშასადამე, იგი სხვა ადგილებიდან უნდა შემოეტანათ. ეს გარემოება კი აუცილებელს ხდიდა სარაინონო და საქალაქთაშორისო ვაჭრობის გაშლასა და გაფართოებას. ლითონი ხშირად შორეული ქვეყნებიდანაც შემოჰქონდათ: გერმანიიდან — ინგლისში, ევროპიდან — ეგვიპტეში და სხვ. რა თქმა უნდა, საქმე მარტო ლითონითა და მისი ნაწარმით არ განისაზღვრებოდა. ვაჭრობის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სფეროში ვალე ფლანდრიის მაუდი, ვენეციური მინის ნაწარმი, გერმანული ტილო და ჩრდილოეთ იტალიის აბრეშუმის ნაწარმიც მოექცა.

საქონლის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ბაზრების მნიშვნელობაც. ევროპის ბაზრობათა შორის ყველაზე უფრო ცნობილი გახდა ის ბაზრობანი, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში, შამპანის პროვინციაში ეწყობოდა. ამ პროვინციას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა. ეს იყო თავისებური გზაჯვარედინი სავაჭრო გზებისა, რომელთაგან ერთი ინგლისიდან

იტალიისაკენ მიემართებოდა, ხოლო მეორე ფლანდრიას აკავშირებდა გერმანიასთან. სანაოსნო მდინარეთა სისტემით შამპანი სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდა ხმელთაშუა ზღვასთან, ლა-მანშთან და აგრეთვე ჩრდილოეთის, ანუ გერმანულ ზღვასთან.

მნიშვნელოვანი ბაზრობანი სხვა ადგილებშიც ეწყობოდა. გერმანულ ბაზრობათაგან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის ბაზრობანი, რომლებიც მაინის ფრანკფურტში ეწყობოდა. აქ ბაზრების მოქმედება უკვე XIII საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბაზრობანი აახენში, ოპენჰაიმში და სხვ. ინგლისში ბაზრობები ეწყობოდა სტამფორდში, ბოსტონში, უინჩესტერში და სტურბრიჯში. იმდროინდელ ვაჭრობაში უდავოდ მოწინავე ადგილი ეკავათ ბაზრობებს იტალიის შემდეგ ქალაქებში: მილანში, ვენეციაში, გენუასა და ფერარაში.

მსოფლიო ვაჭრობის მთავარი მიმართულება ხმელთაშუა ზღვის აუზზე გადიოდა. იგი სამხრეთ ევროპას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, ხოლო აქედან — ირანს, კავკასიას, ინდოეთს, არაბეთს, ჩინეთსა და სხვებს უკავშირებდა; ხმელთაშუა ზღვიდან ჯერ ხმელეთით, ხოლო შემდეგ მდინარეებით — ლეხით, რაინითა და სხვ. საქონელი გაჰქონდათ ჩრდილოეთისაკენ შემდეგ ქალაქებში: აუგსბურგში, ნიურნბერგში, ბრიუგეში და ანტვერპენში. ამ ადგილებიდან სავაჭრო კავშირი მყარდებოდა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სანაპიროებთან.

საზღვაო და სამდინარო მიმოსვლა მეტად რთული და სახიფათო იყო. მართალია, XIV საუკუნეში კომპასს უკვე იყენებდნენ, მაგრამ იალქნიანი ხომალდები ზღვაში არცთუ ისე საიმედო იყო. გარდა ამისა, გავრცელებული იყო მეკობრეების თავდასხმა ხომალდებზე. არანაკლებ (თუ არა უფრო მეტ) სიძნელეებთან იყო დაკავშირებული სახმელეთო მიმოსვლა. ახალი სახმელეთო გზები აღარ გაჰყავდათ, ხოლო რომაელების მიერ გაყვანილი გზები სიძველის გამო გაუვალი იყო. 1414 წელს რომის პაპი მოგზაურობის დროს ძლივს გადაურჩა ჭაობში ჩახრჩობას. იმ ხანებში საუკეთესო გზად ითვლებოდა ის, რომელზედაც „პატარძალს შეეძლო გავლა ისე, რომ კუბოთი დატვირთული ურმისათვის გვერდი არ წამოეკრა“.

ვაჭრებისათვის სახმელეთო მიმოსვლა სხვა მხრივაც იყო გაძნელებული: საერთო სახელმწიფოებრივი კანონების არარსებობის ან ნაკლებად არსებობის პირობებში ფეოდალები ხშირად თავს ესხმოდნენ სავაჭრო ქარავნებს და ძარცვავდნენ მათ. მსგავს ვერაგობას ხანდახან მეფეებიც კი არ თაკილობდნენ. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საფრანგეთის მეფის, ფილიპე პირველის საქციელი, რომელსაც ყაჩაღობა თავისი შემოსავლის დამატებით წყაროდ ჰქონ-

და გადაქცეული. ყოველივე ამის გარდა, ვაჭრებისათვის სახმელეთო მიმოსვლა დაკავშირებული იყო უამრავ საბაჟო გადასახადთან, რაც საქონლის ფასებს საგრძნობლად ადიდებდა.

ფეოდალების სასარგებლოდ საბაჟო გადასახადთა ამკრეფნი ყველა ბაზარზე მოქმედებდნენ. მაგრამ, გარდა ამისა, გადასახადებს კრეფდნენ იმ ადგილებშიც, სადაც ვაჭრები გაივლიდნენ თავიანთი საქონლით, მაგალითად, მდინარეზე, გადასასვლელ ბორნებზე და ხიდებზე. იმ მიზნით, რომ ფეოდალებს მეტი ბაჟი შეეკრიფათ, ხანდახან. თუ ახლომახლო მდინარე არ მოიპოვებოდა, ხიდებს მშრალ ადგილებზე აგებდნენ. როცა დაიწყებოდა ვაჭრობა, ბაზარზეც ხდებოდა გადასახადების აკრეფა წონითა თუ ცალობით გასაყიდ საქონელზე. საქონლის დასაწყობ ადგილზე და ა. შ. ერთი სიტყვით, სასულიერო და საერო ფეოდალებს ვაჭრობიდან უდიდესი შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ ეს გარემოება მნიშვნელოვან წინააღმდეგობას იწვევდა ვაჭრების მხრივ. ვიდრე ვაჭართა რაოდენობა და მათი გავლენა ქალაქებში უმნიშვნელო იყო, ფეოდალებთან ბრძოლის უნარი მათ არ შესწევდათ, მაგრამ დროთა მსვლელობაში ვაჭართა რაოდენობა გაიზარდა და, ამასთანავე, გადიდდა მათი მნიშვნელობა.

ხელოსნობისაგან ვაჭრობის გამოყოფის შედეგად მოხეტიალე ვაჭრებს გარდა გაჩნდნენ და გამრავლდნენ ადგილობრივი პირნი, რომელნიც ცალობით ვაჭრობდნენ. ბითუმად ვაჭრობასთან შედარებით ცალობით ვაჭრობა უფრო მომგებიანი იყო. გარედან მოსული ვაჭარი ვალდებული იყო თავისი საქონელი ბითუმად გაეყიდა. ამ გარემოებამ ვაჭართა შორის კონკურენცია უფრო მეტად გაამწვავა. ყოველივე ამან ცალკეულ ვაჭარს მდგომარეობა გაურთულა და, ამასთან, გარდუვალი გახადა ვაჭართა შეკავშირება. ეს საჭირო იყო მით უფრო, რომ შორეულ მოგზაურობაში წასვლისას ვაჭრებს მაინც ჯგუფურად უხდებოდათ მგზავრობა და დამატებით, საქონლის დასაცავად, თან უნდა გაეყოლებინათ შეიარაღებული ბადრაგი. ამგვარად, ფეოდალურ სენიორებთან ბრძოლამ, კონკურენციამ, და, საერთოდ, შუა საუკუნეების ვაჭრობის რთულმა პირობებმა აიძულა ვაჭრები შეექმნათ თავიანთი საკუთარი ორგანიზაცია — გილდია, ანუ ჰანზა.

პირველი სავაჭრო გილდიები დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა X საუკუნის ინგლისში, ხოლო ამის შემდეგ მათ გავრცელება პოვეს ნორვეგიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, ყველაზე ბოლოს კი გერმანიაში. ერთი სიტყვით, XIV საუკუნის მიწურულში გილდიები თითქმის ყველგან მოიპოვებოდა.

სიტყვა „გილდია“ წარმომდგარია ძველგერმანული სიტყვიდან gild, gilde, რაც აზრობრივად „შესაწირავს“, „გადასახადს“, „ჯარი-

მას“ და ა. შ. აღნიშნავს. ეს გარემოება, საფიქრებელია, მოწმობს იმას, რომ გილდიის ჩამოყალიბების მიზანი იყო ფეოდალებისათვის ბაჟების გადახდევინების მოწესრიგება: ანდა, შესაძლებელია, „გადახდა“ გულისხმობდეს ამ ორგანიზაციაში წევრად მისაღები გადასახადის შეტანას. გილდიის სათაეში იდგა საბჭო, რომელსაც გილდიის წევრების საერთო კრება ირჩევდა. გარდა ამისა, ყოველ გილდიას გააჩნდა კიდევ რამდენიმე არჩევითი თანამდებობა: მამასახლისი, რომელსაც დეკანი ეწოდებოდა (ლათინური სიტყვიდან — „დეკანუს“), მოლარე და სხვ.

თითოეულ გილდიას ჰქონდა თავისი წესდება, რომელიც სავალდებულო იყო ვაჭართა ამ კორპორაციის ყველა წევრისათვის. წესდების მიხედვით, გილდიის მთელი კოლექტივი, ესე იგი ადგილობრივ ვაჭართა გაერთიანება, იცავს თავის კოლექტივში შემავალი ყველა ცალკეული ვაჭრის ინტერესს. გილდიას არ შეეძლო დაეშვა, რომ რომელიმე მისი წევრი უცხოეთში ვისგანმე დაჩაგრულიყო. ერთ-ერთი გილდიის წესდების პირველ მუხლში ამის შესახებ აღნიშნულია, რომ: „თუ რომელიმე ვაჭარი, რომელიც ჩვენს ქალაქში ან მის გარეუბანში იმყოფება, მაგრამ ჩვენი გილდიის წევრი არ არის, გაემგზავრება უცხოეთში, საიდანაც განდევნილი იქნება ან თავის ქონებას დაკარგავს, ან არადა მას გამოიწვევენ ორთაბრძოლაში, ჩვენ მას არ გამოვექომაგებით არც ერთ შემთხვევაში“. მაშასადამე, თუ უცხოეთში წასული ვაჭარი გილდიის წევრი იქნებოდა, მაშინ ის ჯეროვან დახმარებას მიიღებდა გილდიისაგან ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში.

გილდია თავის წევრებს უპირატესობებს ანიჭებდა სავაჭრო ოპერაციების წარმოებაში. იგი ცდილობდა დაეცვა თავისი წევრები კონკურენციისაგან. ყოველივე ზემოხსენებულის გარდა, გილდია ცდილობდა, აგრეთვე, უფრო მეტად დაეკავშირებინა თავისი წევრები ერთმანეთთან, დაენერგა მათში მყარი საყოფაცხოვრებო ტრადიციები და ურთიერთგამოქომაგება. ამ მიზნით გილდიები თავისი წევრებისათვის ხშირად აწყობდნენ ლხინსა და დროსტარებას. ხანდახან გილდიებს ტყუილად როდი უწოდებდნენ „convivia“-ს (ლათ. convivium მრავლ. convivia ნადიმს აღნიშნავს; ამავე ცნებას აღნიშნავს იტალიური სიტყვა convivio), რაც ნადიმს, ქეიფს ნიშნავს. ქეიფის მოწყობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ეს წესდებითაც კი იყო გათვალისწინებული.

რეგენსბურგის გილდიის წესდების მესამე მუხლში ნათქვამი იყო: „სმის დროის მოახლოებისას საჭიროა დეკანმა თავის კაპიტულს (ანუ მრევლს) აცნობოს დანიშნული დღე და სმაში მონაწილეობის მიღების ვადა. ბრძანება გასცეს, რომ ისინი დანიშნულ ადგილზე ცხრა

საათზე დაუგვიანებლად გამოცხადდნენ და რომ იქ ძველი უთანხმოება არავინ გაიხსენოს და ჩხუბი არ წამოიწყოს". აი, წესდების კიდევ ერთი მუხლი (მე-15) ქეიფის შესახებ: „დადგენილია, რომ ღვინისა და ყველა ის ხარჯი, რაც ქეიფს დასჭირდება, გილდიის ქონებიდან იქნება დაფარული".

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამხანაგური და კოლექტიური ლხინის მოწყობით გილდიური კორპორაცია არა მარტო რომელსამე დღესასწაულს აღნიშნავდა, არამედ ცდილობდა თავისი წევრების სოლიდარობისა და თანამეგობრობის განმტკიცებას. გილდია, ისე როგორც ამქარი, თავის წევრებსა და მათ ოჯახებს მატერიალურ დახმარებასაც უწევდა რომელიმე მათგანის დაავადების ან გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როცა რომელიმე მათგანი ან მისი ოჯახი სტიქიური უბედურებით დაზარალდებოდა.

ბანკების წარმოშობა და მათი საქმიანობა

ცნობილია რომ საქონელბრუნვა და ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბრუნვის საშუალებაზე — ფულზე. ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში და შემდეგაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ერთგვაროვანი და საკმაოდ მყარი ფულის სისტემები არ არსებობდა. დაწყებული მეფითა და დამთავრებული ეპისკოპოსით, თითქმის ყველა ფეოდალი და მსხვილი ქალაქი თავის საკუთარ ფულს ჭრიდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო გერმანიაში 600-მდე ზარაფხანა არსებობდა. ეს გარემოება ძალიან ართულებდა ვაჭრობის განვითარების საქმეს, რადგანაც ერთი ფეოდალის მიერ მოჭრილ მონეტას სხვა ფეოდალურ სამფლობელოში არ ეძლეოდა გასაქანი და, გარდა ამისა, ფულის თითოეული მომჭრელი ცდილობდა გამოეშვა არასრულფასოვანი მონეტა და ამით უფრო მეტად გამდიდრებულიყო.

აღსანიშნავია სხვა გარემოებაც: მაშინ ხმარებაში უმთავრესად ვერცხლისა და სპილენძის ფული იყო. როდესაც ვაჭარი თავის საქმეებზე შორეულ ქვეყნებში დააპირებდა წასვლას. მას თან დიდი თანხა უნდა წაეღო. ფულის სიმძიმისა და უფრო იმის გამო, რომ გზაში ვაჭარს თავდასხმის საშიშროება ემუქრებოდა, ასეთი თანხის გადატანა დანიშნულ ადგილამდე მეტად ძნელი იყო. ერთი ფულის მეორეზე გადასაცვლელად და ამა თუ იმ მონეტის ნამდვილი ღირებულების დასადგენად შეიქმნა ზარაფთა (მეკერმეთა, ფულის მცვლელთა და გადამხურდავებელთა) სპეციალური პროფესია. ზარაფები არა მარტო ფულის გადაცვლას ეწეოდნენ, არამედ ფულის გადაგზავნასაც ახდენდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. ვაჭარს შეეძლო ზარაფი-

სათვის ადგილობრივ ჩაებარებინა თანხა და მის მიერ გაცემული თამასუქით ფული მიეღო იმ ქალაქში, სადაც ის დააპირებდა სავაჭროდ წასვლას, უკეთუ იქ ზარაფს საკუთარი კანტორა ჰქონდა. ასე ეყრებოდა საფუძველი საკრედიტო საქმეს. ფულის გადახურდავებასა და საკრედიტო ოპერაციებს უფრო გვიან შედეგად მოჰყვა სპეციალურ საბანკო დაწესებულებათა ჩამოყალიბება.

სიტყვა ბანკი წარმომდგარია იტალიური სიტყვა „banco"-დან, რაც თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავდა იტალიურად მაგიდას, დახლს, რომელზეც ზარაფები სხვადასხვა ფულის გადახურდავებას ან გაცვლას აწარმოებდნენ. როცა ესა თუ ის ზარაფი რაიმე მიზეზით გაკოტრდებოდა, მუშაობის შეწყვეტის ნიშნად „ბანკოს" გადააბრუნებდნენ და ამტვრევდნენ, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა „ბანკროტი" (სიტყვა „rotto" შეერთებული აქ „banco"-სთან, იტალიურად „დამტვრეულს" აღნიშნავს და „bancorotto" — „დამტვრეულ დახლს" ნიშნავს). საბანკო საქმე საკმაოდ განვითარებული იყო უკვე XIV საუკუნეში. ამ ხანებში ფლორენციის ბანკები აწარმოებდნენ მნიშვნელოვან საფინანსო ოპერაციებს. როგორც ცნობილია, ასწლიან ომთან დაკავშირებით ინგლისის მეფე ედუარდ მესამემ ფლორენციის ბანკირებისაგან — ბარდისა და პერუცისაგან 1365000 ფლორინი ისესხა.

უფრო გვიან მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ბანკირად ცნობილი მედიჩების გვარი გამოდის, რომელსაც თხუთმეტამდე საბანკო განყოფილება გააჩნდა საზღვარგარეთ. მისი თანხების რაოდენობა ათჯერ აჭარბებდა პერუცის ქონებას. XIV საუკუნეში გაძლიერდნენ გერმანელი ფინანსისტები, განსაკუთრებით ფუგერებისა და ველზერების საგვარეულოდან. იაკობ ფუგერი იმდენად ძლიერი ფინანსისტი იყო (XVI საუკ. პირველი ნახევარი), რომ გერმანიის იმპერატორ კარლ V-ს თავის ნებასურვილს უკარნახებდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გატარების საქმეში.

ბანკირების ხელში ამ დიდი თანხების დაგროვებას, გარდა მეანაბრეების შენატანებისა, დიდად უწყობდა ხელს მევახშეობა. გასესხებულ ფულზე ბანკირები უდიდეს სარგებელს ღებულობდნენ. ფილიპ-ოგიუსტის დროს საფრანგეთში ვახში დაკანონებული იყო 46%-ის რაოდენობით, ფაქტიურად კი იგი 100—200%-მდე აღწევდა. იტალიელი და სხვა ბანკირებისათვის უფრო მეტი შემოსავლის წყაროს საგადასახადო იჯარის აღება წარმოადგენდა. რომის პაპის კურიას უამრავი სახსრები უნდა მიეღო ევროპაში მოქმედი კათოლიკური ეკლესიისაგან. პაპს უძნელდებოდა ამ ვეებერთელა ტერიტორიიდან მათი აკრეფა და ამიტომ აქ დამხმარედ ბანკირები გამოდიოდნენ. პაპისაგან ისინი იჯარით ღებულობდნენ ასაკრეფ გადასახადებს, რის-

თვისაც პაპს წინასწარ უხდიდნენ დიდ თანხებს და შემდეგ თვითონ იწყებდნენ ამ შემოსავლის აკრეფას მოსახლეობისაგან. რადგან გადასახადის აკრეფაზე კონტროლი არ იყო დაწესებული, ამიტომ გადასახადების აკრეფის უფლების შემსყიდველნი გადასახადებს გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით კრეფდნენ, ვიდრე დაწესებული იყო.

ფეოდალური ქალაქის ზოგადი ვითარება

ფეოდალური ქალაქების წარმოშობისას დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ არ იყო მძლავრი ცენტრალური სამეფო ხელისუფლება. ფეოდალური ანარქიის პირობებში ფერხდებოდა ქალაქის საქმიანობა. განსაკუთრებით, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ვაჭრობის განვითარებას ხელი ეშლებოდა იმის გამო, რომ ფეოდალები თავს ესხმოდნენ სავაჭრო ქარავნებს და მათ სისტემატურად ძარცვავდნენ. მაგრამ ფეოდალები თავს ესხმოდნენ არა მარტო გამვლელ ვაჭრებს, არამედ ახლად წარმოშობილ ქალაქებსაც. თავდაცვის მიზნით ქალაქის გარშემო გალავანს აშენებდნენ. ქალაქის მოსახლეობა თანდათან მატულობდა უმთავრესად გარედან მოსული მოსახლეობის ხარჯზე. რადგან ქალაქის თავდაპირველი გალავანი ამისათვის არ იყო გაანგარიშებული, ახლად მოსული პირები გალავნის გარეთ სახლდებოდნენ. ამგვარად, დროთა განმავლობაში საჭირო ხდებოდა ახალი გალავნის შემოვლება. შემდეგში გალავანთა რიცხვი მატულობდა. ქალაქების მოსახლეობა გამუდმებით ეწეოდა სადარაჯო და საგარნიზონო სამსახურს. როგორც ხელოსნები, ისე ვაჭრები ეჩვეოდნენ სამხედრო სამსახურს და ერთობლივად გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მათ არაერთხელ დაუმარცხებიათ რაინდები ხელჩართულ ბრძოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებში დიდი რაოდენობით მოდიოდნენ სოფლებიდან გამოქცეული ყმა გლეხები და სხვ., იმდროინდელი ქალაქები მაინცდამაინც დიდად დასახლებულნი არ იყვნენ. დასავლეთ ევროპის ყველაზე დიდ ქალაქად XII—XV საუკუნეებში პარიზი ითვლებოდა. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ იგი მსოფლიოს პირველი ქალაქიც იყო. ფიქრობენ, რომ XIII საუკუნის პარიზში 100000-მდე მოსახლე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს რიცხვი ზუსტი არ უნდა იყოს, იგი უფრო გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. პარიზის შემდეგ მოსახლეობის სიდიდით ლონდონი მოდიოდა, თუმცა XVI საუკუნის დასაწყისისათვის იქ 35000-მდე კაცი თუ ცხოვრობდა. „საშინელი სამსჯავროს წიგნიდან“ ჩანს, რომ XI საუკუნეში ინგლისის მოსახლეობის მხოლოდ ხუთი პროცენტი ცხოვრობდა ქალაქებში. გერმანიის ქალაქთა შორის XIV—XV საუკუნეებში სულ რამდენიმე

მათგანი (ნიურნბერგი, აუგსბურგი, სტრასბურგი, ლიუბეკი, ულმი) ითვლიდა 20000 კაცს. ისეთი ქალაქებიც კი, როგორიც იყო ლაიპციგი და დრეზდენი (3—4 ათასი მცხოვრები), მსხვილ ქალაქებად ითვლებოდა, ქალაქთა დიდ უმრავლესობაში კი მოსახლეობა 1—2 ათას კაცს არ აღემატებოდა.

რით უნდა აიხსნას ზემოხსენებული წინააღმდეგობა? სოფლებიდან მოზღვავებულ ხალხს ხომ უნდა გაეზარდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ ყოვლისა, საჭიროა გავითვალისწინოთ იმდროინდელი ქალაქის ცხოვრების პირობები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქალაქისათვის გალავნის შემოვლების აუცილებლობა მოსახლეობის ზრდას აბრკოლებდა, ამიტომ პირვანდელ ქალაქებში სახლებს ერთმანეთთან შემჭიდროებულად და ყოველგვარი დაგეგმვის გარეშე აშენებდნენ. ყოველივე ამის შედეგად ქუჩები მიხვეულ-მოხვეულნი, ვიწრონი და გაუვალი იყო, განსაკუთრებით წვიმიანობის დროს. ამასთან, რაკი ქუჩები ქვებით არ იყო მოკირწყლული, ცხენოსანიც კი ეფლობოდა ტალახში. მართალია, კარგ დარში ასეთ გართულებას აღარ ჰქონდა ადგილი, მაგრამ, სამაგიეროდ, მტვერი და სიბინძურე აუტანელი ხდებოდა. ქალაქების ანტისანიტარული მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო კანალიზაციის უქონლობითა და სხვ., ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ყოველგვარ გადამდებ სნეულებათა ფართოდ გავრცელებისათვის, საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ზაფხულის რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობის მეათედი, მეოთხედი და ხან ნახევარიც კი გადამდები სნეულებით ნადგურდებოდა.

ქალაქის მოსახლეობის განადგურებას არანაკლებ უწყობდა ხელს უვიცი ექიმების, უფრო მეტად კი — ექიმბაშების საქმიანობა. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ ხშირ ომიანობასა და თავდასხმებს, ადვილი გასაგები გახდება ქალაქის მოსახლეობის ზრდის ასეთი ნელი ტემპები. აქვე უნდა აღინიშნოს ქალაქებში მოქმედი სასამართლოების მიერ დამნაშავეთა მიმართ გამოტანილი მკაცრი განაჩენები, რომელთა სისრულეში მოყვანა ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ფიზიკურად სპობდა ან ასახიჩრებდა. ქ. აუგსბურგის XIII საუკუნის დროინდელი კონსტიტუციის იმ განყოფილებაში, რომელიც ჯალათის საქმიანობას ეხება, ნათქვამია: „ჯალათმა სისრულეში უნდა მოიყვანოს დამნაშავეთა დაწვა, კბილების შუალედების ამოწვა, ყურების დაჭრა, ენის ამოჭრა, ხელების მოკვეთა, თვალების დათხრა“. ბუნებრივია, რომ ამის შედეგად ქალაქებში მათხოვართა რიცხვი თანდათან მატულობდა, რადგან დასახიჩრებული პირებიც მათხოვრებად იქცეოდნენ.

თავი XIII

ჯვაროსანთა ლაშქრობანი

§ 1. ჯვაროსანთა ლაშქრობების გამომწვევი მიზეზები

ბურჟუაზიულ მკვლევართა შეხედულებების კრიტიკა ჯვაროსანთა ლაშქრობების წამოწყების მიზეზებისა და ამოცანების საკითხთან დაკავშირებით

ჯვაროსანთა ლაშქრობებმა, რომლებიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე (დროგამოშვებით 1096 — 1270 წლებში) ეწყობოდა და რომელთაც ახლო აღმოსავლეთის მიდამოები ადამიანთა ძვლებით გაანოყიერეს, ფართო გამოხმაურება პოვა არა მარტო იმდროინდელ საზოგადოებრიობაში, არამედ ისტორიოგრაფიაშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში შეიქმნა სხვადასხვა მიმდინარეობანი, რომელთა მიზანდასახულობას წარმოადგენდა „ადამიანთა ამ უგუნური ჭიდილის“ გამომწვევი მიზეზების ახსნა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ბურჟუაზიულ განმანათლებელთა იდეების ფუძემდებელმა მარი ფრანსუა მარი არუე დე ვოლტერმა (1694 — 1778), რომელიც ფეოდალური საფრანგეთის ხელისუფლებამ ორჯერ გამოამწყვდია ბასტილიის კედლებში, ხოლო შემდეგ გაასახლა სამშობლოდან — წამოაყენა აზრი იმის შესახებ, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობების გამომწვევი მიზეზი კათოლიკური ეკლესიის მიერ გაღვივებული ფანატიზმითა და ცრუმორწმუნეობით ხალხთა მასების ამოძრავება იყო.

ჯვაროსანთა ლაშქრობების მიზეზს ანალოგიურად განმარტავდა იმდროინდელი აღმავალი ბურჟუაზიის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელი ედუარდ გიბონი (1737 — 1794), რომელიც ვოლტერიანული სკოლის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ინგლისში. მისი აზრით, ევროპა აღმოსავლეთის წინააღმდეგ პაპების ინტრიგამ აამხედრა. კათოლიკური ეკლესია თავისი შავბნელი საქმიანობით კაცობრიობას უდიდეს ზიანს აყენებდა, მაგრამ გიბონის აზრით, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თვით პაპობა, როგორც გიბონი ამბობდა, „ეს ცრურწმენათა და სიცრუეთა სახელოსნო, ცრუ-

მორწმუნეობის უდიდესი ფაბრიკა, რომელიც ძალით იცავს მის მიერ მოტყუებით მოპოვებულ ძალაუფლებას“.

ვოლტერიცა და გიბონიც, როგორც აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგები, ილაშქრებდნენ რა ფეოდალიზმის წინააღმდეგ საერთოდ, ამავე დროს ცდილობდნენ გაეკრიტიკებინათ მისი დასაყრდენი იდეოლოგია კათოლიკური ეკლესიის სახით. თავისი დროისათვის მათი ასეთი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ, რა თქმა უნდა, პროგრესული იყო, მაგრამ მტკიცება იმისა, თითქოს ჯვაროსანთა ლაშქრობების ძირითად გამომწვევ მიზეზს კათოლიკური ეკლესია და რომის პაპობა წარმოადგენდა, სწორი არ იყო. მართალია, კათოლიკურმა ეკლესიამ და პაპობამ ჯვაროსანთა ლაშქრობების საქმეში თავისი მზაკვრული როლი შეასრულა, მაგრამ ამ ლაშქრობათა გამომწვევი მიზეზი იმდროინდელი ევროპის მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მდგომარეობდა.

XIX საუკუნეში ბურჟუაზიის პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. ახლა პოლიტიკური ძალაუფლება თვით ბურჟუაზიის ხელში გადავიდა, ამით, ბურჟუაზიისათვის რევოლუცია დამთავრდა. ამიერიდან რევოლუციური იდეების წამოწყება ბურჟუაზიულ მკვლევართათვის არამცთუ ზედმეტი, არამედ მავნეც კი იყო. რომანტიზმის მიმდევართა რეაქციულმა ნაწილმა თავის შემოქმედებაში კათოლიკურ ეკლესიასა და პაპობას ძველი დიდება დაუბრუნა. მან ჯვაროსნულ ლაშქრობათა წამოწყების მიზეზად კვლავ ეკლესია მიიჩნია, ოღონდ, „განმანათლებლებისაგან“ განსხვავებით, პაპობა და ეკლესია „მომძლავრებული ისლამისაგან“ ევროპის ქრისტიანული სამყაროს გადარჩენის ინიციატორად წარმოიდგინა. ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ახლა დაიწყეს მტკიცება იმისა, თითქოს იერუსალიმში მყოფი ქრისტეს საფლავი ურწმუნოებმა წაბილწეს და ქრისტიანულმა ევროპამ ეკლესიის კურთხევით მახვილი იშიშვლა მათ წინააღმდეგ ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად და, საერთოდ, ქრისტიანობის დაღუპვისაგან გადასარჩენად.

მაგრამ, თუ XIX საუკუნის რეაქციონერი ისტორიკოსების მსჯელობანი მოკლებული იყო ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს, XX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწენი ოდნავადაც არ გასცილებიან პირველთა მცდარ შეხედულებებს. მათი აზრით, XI საუკუნეში მუსლიმებმა თითქოს დიდად შებღალეს „წმინდა ადგილები“, რამაც ევროპის ქრისტიანულ მოსახლეობაში წყენა და აღშფოთება გამოიწვია. ისინი თვლიდნენ, რომ პაპმა ურბან მეორემ საჭიროდ ჩათვალა მოწოდებით მიემართა თავისი მრევლისათვის და ერჩია მისთვის, თუ რა საშუალებებით შეიძლებოდა ქრისტიანობის შეურაცხყოფისათვის საბაგიეროს გადახდა. ასე, ყოველგვარი სხვა

მიზეზის გარეშე, დაიწყო თურმე ჯვაროსნული ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ ისლამის მიმდევართა წინააღმდეგ.

საკითხის ასეთ ინტერპრეტაციას ბურჟუაზიული მკვლევრების უკანასკნელი თაობის წარმომადგენლებმა საფუძვლად დაუდეს XII საუკუნის მემატიანეთა ცნობები, რომელთა მიხედვითაც საქმე ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს აღმოსავლეთის ქრისტიანები, რომელნიც თურქ-სელჩუკების ბატონობაში მოჰყვნენ, საშინლად შევიწროებული აღმოჩნდნენ. ასეთსავე დევნას სელჩუკებისაგან განიცდიდნენ ის ქრისტიანებიც, რომელნიც დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიემგზავრებოდნენ ხალოცავად. მართლაც, დასავლეთის მემატიანენი, ბერები და აბატები უხვ მასალას იძლეოდნენ ამგვარი მსჯელობისათვის, მაგრამ სხვა წყაროებიდან ამ ხუცების ცნობები არაფრით არ დასტურდება. ერთ-ერთი ბურჟუაზიული მკვლევარი, კ. კაენი, რომელიც ერთგვარ ობიექტურობას იჩენს ამ საკითხში, იძულებულია აღიაროს, რომ „...სელჩუკთა დაპყრობანი არავითარ რეალურ საშიშროებას არ ექმნიდა არც დასავლეთის ქრისტიანობას და არც მცირე აზიაში ან პალესტინაში (გარდა ბიზანტიის პროვინციებისა) მყოფთ. სელჩუკების მოსვლას, თავისთავად, არ შეეძლო გამოეწვია ჯვაროსნული ლაშქრობა ისლამის წინააღმდეგ“.

ჯვაროსნული ლაშქრობების ერთ-ერთი ჩვენი თანამედროვე ფრანგი ბურჟუაზიული რეაქციონერი მკვლევარი პოლ რუსე, მთლიანად რომანტიკოსების იდეებს უბრუნდება და ამ ლაშქრობათა წამოწყების საკითხში უარყოფს ყოველგვარ სოციალურ-ეკონომიკურ მოტივს. მისი აზრით, ჯვაროსნებს ამ საქმეში ამოძრავებდათ არა პირადი ინტერესები ან პოლიტიკური მოსაზრებანი, არამედ „სულიერი განწყობილება“ და „რელიგიური იდეები“. ამავე შეხედულებას იზიარებს ამერიკელი მკვლევარი ჯონ ლამონტი. ისიც ამტკიცებს, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობა ორგანიზებული იყო პაპის მიერ იმ მიზნით, რათა დაეხსნა „ქრისტეს საფლავი“ „უწმინდურთაგან“.

ინგლისელი ისტორიკოსი სტივენ რენსიმენი საკითხის შემდეგ ინტერპრეტაციას იძლევა: გამოდიოდნენ რა ქრისტიანული მოძღვრებიდან, რომლის მიხედვითაც სისხლისღვრა დანაშაულია, XI საუკუნის რომაელი მღვდელმთავარნი, პირველ ყოვლისა, ცდილობდნენ მშვიდობა დაემყარებინათ ევროპაში. მაგრამ, როცა მიზნის მიღწევა მათ „საღმრთო ზავისა“ და „საღმრთო დაზავების“ მოწყობით ვერ შეძლეს, გადაწყვიტეს დასავლეთის საბრძოლო ენერგია გამოეყენებინათ „უსჯულოთა“ წინააღმდეგ აღმოსავლეთში იმ ანგარიშით, რომ ამით ევროპაში საბოლოო მშვიდობა დაემყარებინათ. თავდაპირველად პაპობამ სარკინოზების წინააღმდეგ ნება დართო

ბრძოლების წარმოებისა ესპანეთში, ხოლო XI საუკუნის ბოლოს დასავლეთის რაინდობა დაძრა აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. ამგვარად, რენსიმენის აზრით, ურბან მეორის გეგმა მიზნად ისახავდა მშვიდობის დამყარებას ევროპაში.

ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი ბურჟუაზიული მიმდინარეობა ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების მიზეზებისა და მათი ამოცანების გაშუქების საქმეში არამცთუ არ ემყარება მეცნიერულ საფუძველს, არამედ ისტორიული მეცნიერების გაყალბებას წარმოადგენს და, ობიექტურობის თვალსაზრისით, მიუღებელია. რაც შეეხება, კერძოდ, რენსიმენის უკანასკნელ მტკიცებას, ის მართლაც ახლოა სინამდვილესთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპის მმართველ წრეებსა და პაპებს სურდათ მეამბოხე ელემენტების თავიდან მოცილება და მათი აღმოსავლეთისაკენ წარმართვა ახალი ტერიტორიების დასაპყრობად და ხალხების გასაძარცვად.

დასავლეთ ევროპის გლეხების მდგომარეობა XI საუკუნეში

ჯვაროსანთა ლაშქრობების გამომწვევი მიზეზი შეპირობებული იყო მთელი რიგი მომენტებით. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ის, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, XI საუკუნისათვის დასავლეთ ევროპის ყველა ძირითად სახელმწიფოში დამთავრდა ფეოდალიზაციის პროცესი. გლეხების დიდი უმრავლესობა ყმებად გადაიქცა და, ამასთან დაკავშირებით, უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმა უზომოდ გაიზარდა. მარტივ სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ფეოდალი აღარ კმაყოფილდებოდა ყმებისაგან ზედმეტი პროდუქტების მიღებით, რაც მხოლოდ ფეოდალის პირად მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა; ახლა მას სურდა გლეხებისაგან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე გაეტანა. უფრო მეტიც, ქალაქების წარმოშობასა და ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად ის აღარ კმაყოფილდებოდა თავის მეურნეობაში დამზადებული ნაწარმითა და მიილტვოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში გემოვნებით დამზადებული ნაირ-ნაირი ქსოვილების, სურნელოვანი სანელებლების, ფუფუნების საგნების, ქალაქებში დაყენებული საუკეთესო ღვინოების, ტანსაცმლისა და უკეთესად დამზადებული საომარი იარაღების შეძენისაკენ. ყველა ამას ესაჭიროებოდა ფული მნიშვნელოვანი რაოდენობით, ეს კი აუცილებელს ხდიდა არსებული რენტის სახის შეცვლას — პროდუქტიული გადასახადების ნაცვლად ფულადი გადასახადების შემოღებას ან, როგორც ამ პროცესს უწოდებენ, კომუტაციას.

გლეხებისათვის დაკისრებული გადასახადები და ფეოდალური ვალდებულებანი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ამ მხრივ გან-

საკუთრებით მწვავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საეკლესიო ყმები. ფეოდალური საეკლესიო მეურნეობა ვაჭრობაში უფრო ფართოდ ჩაება, რის გამოც საეკლესიო მიწებზე უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატაციის ფორმები უფრო მკაცრი და აუტანელი გახდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ჟამთააღმწერლის გადმოცემით, ბრემენის ეპისკოპოსმა, ადელბერტმა, ყმებს იმდენად მძიმე გადასახადი შეაწერა, რომ ისინი სიგიჟემდე მიიყვანა. სხვა ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს ცნობებს ბამბერგის ეპისკოპოსის თაღლითური საქციელის შესახებ, რაც მან თავისი ყმების მიმართ ჩაიდინა.

გლეხთა მდგომარეობა იმითაც მწვავდებოდა, რომ მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ თავიანთი მეურნეობა მშვიდობიანად წარემართათ. დასავლეთ ევროპაში მტკიცე, ცენტრალიზებული ხელისუფლების არარსებობის გამო, XI საუკუნეში ფეოდალურმა ანარქიამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. რაინდების მტაცებლური თავდასხმები, პირველ რიგში, გლეხობას აჩანაგებდა. ამას ხშირი გვალვიანი წლები ემატებოდა, რასაც თან ახლდა მოუსავლიანობა. 970 წლიდან 1040 წლამდე 48 წელი მოუსავლიანი იყო. შიმშილი და სიღატაკე, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, გადამდები სნეულებანი, გლეხობას მუსრს ავლებდა.

შექმნილმა მდგომარეობამ დიდი მღელვარება გამოიწვია მოსახლეობის ფართო ფენებში. გამძაფრდა კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სხვადასხვა ფორმაში ვლინდებოდა, მწვალებლობიდან და დასახლებული ადგილების მიტოვებიდან დაწყებული, შეიარაღებულ აჯანყებამდე. ჟამთააღმწერელნი იტყობინებიან, რომ განაწამები გლეხები ცეცხლს აძლევდნენ მემამულეთა სახლ-კარს, ძარცვავდნენ მათ ქონებას, ანადგურებდნენ ფეოდალურ ვალდებულებათა ამსახველ დოკუმენტებს და სხვ. ქრონიკებიდან ჩანს ისიც, რომ ღარიბები მდიდრებს უსწორდებოდნენ იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი მევახშეობის ფართო გამოყენებით ღარიბებს უსპობდნენ არსებობის ყოველგვარ საშუალებას. უკმაყოფილო გლეხობა სულ უფრო აძლიერებდა იერიშებს, რითაც დიდ საშიშროებას უქმნიდა ფეოდალურ წესწყობილებას.

ზოგჯერ გლეხობა მთელი სოფლებით იყრებოდა დასახლებული ადგილებიდან და მიუვალ მხარეებში მიდიოდა. XI საუკუნის დამლევისათვის, ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყების წინ, გლეხების გაქცევამ დასახლებული ადგილებიდან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ქრონიკებსა და „წმინდანების ცხოვრებაში" ბევრჯერაა ნახსენები გლეხების გაქცევის შემთხვევები საფრანგეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. კლუნის აბატი გადმოგვეცმს, რომ ამ საბატოს ყმები

ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ უცხო ადგილებში გახიზნულიყვნენ. ორდერიკ ვიტალიუსის თქმით, ნორმანდიიდან „ბევრი მოსახლე გაიქცა". „გლეხებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს აღარ შეეძლოთ დამშვიდებით ყოფნა თავიანთ სახლებში".

აუტანელმა და დუხჭირმა ყოფა-ცხოვრებამ ევროპის მოსახლეობის დაბალ ფენებში პესიმიზმი გამოიწვია — ისინი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობდნენ. გაჩენილ უბედურებათა მიზეზებს კათოლიკური ეკლესია ხსნიდა იმით, რომ ისინი თითქოს გამოწვეული იყო ადამიანთა შეცოდებებით ღვთის წინაშე და ადამიანი რომ საბოლოო დალუპვას გადაურჩეს, საჭიროა ჩადენილ ცოდვათა მონანიება. ეკლესიის აზრით, ამქვეყნიური ლტოლვა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მივიწყებული უნდა იქნეს; ნაცვლად იმისა, რომ მასებმა ბრძოლა აწარმოონ მდიდართა წინააღმდეგ, საჭიროა ბედისადმი დამორჩილება და ღვთისადმი შევედრება, რათა მან ცის სასუფეველში დაუმკვიდროს მათ ადგილი.

XI საუკუნის მიწურულისათვის ასკეტიზმი ევროპაში იმდენად განვითარდა, რომ მონასტრები ბერ-მონაზვნებით გაივსო. შვაბელი ყამთააღმწერლის ცნობით, 1091 წელს მთელს გერმანიაში შეიმჩნეოდა გლეხი ქალიშვილების მიერ მასობრივად უარის თქმა გათხოვებაზე. ვიდრე ჯვაროსანთა ლაშქრობა დაიწყებოდა, სოფლებში ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, ჯგუფურ თვითმკვლელობებს. ამასთან, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიემგზავრებოდა სალოცავად სხვადასხვა მხარეში, განსაკუთრებით აღმოსავლეთისაკენ. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1054 წელს კამბრეს ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით სამი ათასი კაცი წავიდა სალოცავად. 1064 წელს მაინცის არქიეპისკოპოსის მეთაურობით შვიდი ათასი კაცი გაეშურა იერუსალიმისაკენ და სხვ.

მლოცველთა ცალკეული ჯგუფები თავიანთ მიზნებს უკავშირებდნენ სავაჭრო საქმიანობასაც. სხვადასხვა ადგილებიდან მლოცველებთან თავს იყრიდნენ ვაჭრები, ხელოსნები და რაინდებიც კი, რომელნიც ცდილობდნენ შორეულ ქვეყნებში გამდიდრებას მტაცებლობითა და ძარცვით. ასეთი „საღმრთო-სავაჭრო" მოგზაურობანი დიდ როლს ასრულებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთგაცნობის საქმეში. მოგზაურნი ეცნობოდნენ იმ გზებსა და მიმართულებებს, რომლებითაც შემდეგ წარიმართა ჯვაროსანთა ლაშქრობანი.

ამგვარად, ჯვაროსანთა ლაშქრობების წამოწყების მიზეზები „ქრისტეს საფლავის განთავისუფლებაში" კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმდროინდელი ევროპის აბობოქრებულ კლასობრივ ბრძოლებში, რაც ფეოდალურ ურთიერთობას განადგურებით ემუქრებოდა, თუ გა-

ბატონებული ფეოდალური კლასი დროულად ვერ აიცდენდა თავიდან ამ საშიშროებას. ფეოდალებს (როგორც საეროს, ისე სასულიეროს) უნდა ყოველი ღონე ეღონათ, რათა დაეღწიათ თავი მომავალი კატასტროფისათვის. ამიტომ იყო, რომ მათ გლეხთა ეს მძლავრი მოძრაობა თავიანთთვის სასურველი მიმართულებით წარმართეს — დასავლეთ ევროპიდან იგი აღმოსავლეთის ქვეყნებში გადაიტანეს. გლეხთა მასობრივი მონაწილეობა ჯვაროსანთა პირველ და მეორე ლაშქრობაში სწორედ ამით უნდა აიხსნას.

ჯვაროსანთა ლაშქრობებში ფეოდალური კლასის ცალკეული ფენების მონაწილეობის მიზეზები

როცა ვეხებით ჯვაროსანთა ლაშქრობების წამოწყების მიზეზებს, უნდა გვახსოვდეს, რომ მათში მონაწილე მასა სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა და, მაშასადამე, მათი მონაწილეობაც ამ ლაშქრობებში სხვადასხვა ინტერესებით განისაზღვრებოდა. რადგან ამ სხვადასხვა ფენას შორის ჯვაროსანთა ლაშქრობებში ერთ-ერთი წამყვანი როლი რაინდობას მიეკუთვნებოდა, ამიტომ საჭირო იქნება საზოგადოების ამ ფენის მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვაც.

ჯერ კიდევ კარლოს მარტელისა და, განსაკუთრებით, კარლოს დიდის დროს ფრანკთა მონარქიაში აგრარული გადატრიალება დაიწყო, დამკვიდრდა ბენეფიციუმების სისტემა, ხოლო მოგვიანებით ბენეფიციუმები ფეოდებით შეიცვალა. ბენეფიციუმისაგან განსხვავებით ფეოდი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. მამისაგან მიღებული მემკვიდრეობა იმდენ ნაწილად იყოფოდა, რამდენი შვილიც რჩებოდა მას. ამიტომ დროთა ვითარებაში რაინდის მამული ქუცმაცდებოდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპაში წვრილი რაინდობის დიდი რაოდენობით გაჩენას. რაინდის მამული ბოლოს იმდენად შემცირდა, რომ მან ფეოდალურ მეურნეობაში სულ უფრო და უფრო დაკარგა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა. დაწყებული პროცესი რომ უფრო არ გაღრმავებულიყო, შემოღებულ იქნა „მაიორატის“. ე. ი. უფროსობის წესი, რომლის მიხედვით რაინდის მამული მის შვილებს შორის კი აღარ უნდა განაწილებულიყო, არამედ რაინდის უფროს შვილს (აქედანაა წარმომდგარი ტერმინი მაიორატი) უნდა გადასცემოდა მთლიანად. დანარჩენ (უმცროს) შვილებს თავიანთი თავი და ოჯახი თვითონ უნდა გამოეკვებათ.

XI საუკუნის მეორე ნახევარში, მაიორატის წესის შემოღების შემდეგ, უმიწაწყალო რაინდების რაოდენობა ძალიან გაიზარდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც ახოს ალება და ახალი მეურნეობის მოწყობა თავისუფალი ად-

ბილების უქონლობის გამო შეუძლებელი იყო. ამგვარად, უმიწო რაინდების მდგომარეობა არანაკლებ საეალალო აღმოჩნდა. მაგრამ რაკი ისინი სამხედრო წოდებას წარმოადგენდნენ და საომარ იარაღსაც ფლობდნენ, შეეძლოთ არსებობა თავდასხმების მოწყობით, ძარცვა-გლეჯის წარმოებით, სამხედრო-ავანტიურისტული მოქმედებებითა და სხვ. როდესაც ევროპაში ჯვაროსანთა ლაშქრობა გამოცხადდა, რაინდობა ამ ამბავს სიხარულით შეხვდა. არა იმიტომ, რომ ოცნებობდა „ქრისტეს საფლავის დახსნაზე", არამედ იმიტომ, რომ მის წინაშე აღმოსავლეთის სიმდიდრის ხელში ჩაგდების კარგი პერსპექტივა ისახებოდა.

რაც შეეხება ფეოდალური კლასის უფრო მაღალ ფენას (მეფეები, გრაფები, ჰერცოგები და სხვ.), რასაკვირველია, ისინი არაფრით არ იყვნენ იძულებულნი ჩაბმულიყვნენ ჯვაროსანთა ლაშქრობაში და თუ მაინც მიიღებდნენ მონაწილეობას (მეფეები არ მონაწილეობდნენ პირველსა და მეოთხე ლაშქრობაში), იმიტომ, რომ მათი მიზანი იყო ტერიტორიულად გაეფართოებინათ თავიანთი სამფლობელოები, გაეზარდათ შემოსავალი და, ამასთან, თავიანთი გავლენა გაევრცელებინათ აღმოსავლეთზე. მსხვილ ფეოდალებში შიგადაშიგ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც საშინაო საქმეები აწეწილი ჰქონდათ ან რომელიმე ძლიერ მეზობელ ფეოდალურ საგვარეულოსთან სისხლის აღების საფუძველზე განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ და, ეშინოდათ რა ძლიერი მოწინააღმდეგისა, ცდილობდნენ მოსისხლე მტერს გასცლოდნენ აღმოსავლეთში წასვლით.

იტალიის ქალაქებისა და რომის პაპების მონაწილეობის მიზეზები ჯვაროსანთა ლაშქრობებში

ჯვაროსანთა ლაშქრობებში გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობდნენ იტალიის ისეთი ქალაქები, როგორიც იყო გენუა, პიზა, ვენეცია. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ თურქ-სელჩუკების დაპყრობებმა ერთ ხანს მნიშვნელოვნად შეაფერხა ევროპელთა ხმელთაშუა ზღვით ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ გარემოებამ ზემოხსენებულ ქალაქებს ეკონომიკური ზიანი მიაყენა. იტალიის ქალაქებს შეეძლოთ ვაჭრობა ახლა შავ ზღვაზე გავლით წარემართათ, მაგრამ აქ მათ მძლავრ კონკურენციას ბიზანტიის ქალაქები, უმთავრესად, კონსტანტინოპოლი უწევდა. საჭირო იყო ამ წინააღმდეგობათა გადალახვა. მაგრამ შეიარაღებული ძალების გამოუყენებლად ეს შეუძლებელი ხდებოდა. ამგვარად, ჯვაროსანთა ლაშქრობებში იტალიის ქალაქები ორგვარ მიზანს ისახავდნენ: 1. გაერღვიათ თურქ-სელჩუ-

კების რკალი, რითაც უშუალოდ დაუკავშირდებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს და 2. გაენადგურებინათ კონსტანტინოპოლი — თავიანთი მძლავრი კონკურენტი.

ყველაფერი ეს აიძულებდა იტალიის ქალაქებს აქტიურად ჩაბმულიყვნენ ჯვაროსანთა ლაშქრობებში; ამ მხრივ მათი როლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო. მხოლოდ მათ შეეძლოთ ჯვაროსანთა ლაშქრობის უზრუნველყოფა საომარი იარაღით და ფინანსური დახმარების აღმოჩენით. მათი მონაწილეობა მით უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობანი ხშირად ზღვით წარიმართებოდა ხოლმე, საზღვაო ფლოტი კი ჯვაროსნებს არ გააჩნდათ. იტალიის ქალაქები თავიანთი საზღვაო ფლოტით რეგულარულად ახდენდნენ ჯვაროსანთა რაზმების გადაყვანას ერთი ადგილიდან მეორეზე და თვითონაც უშუალოდ ებმებოდნენ ბრძოლებში.

გენუელი კონსული კაფარო დე კასკიფელონე პალესტინისათვის წარმოებულ ბრძოლებში გენუელების მონაწილეობის შესახებ წერდა: „სიმართლეა, რომ ქ. იერუსალიმი აიღეს ფრანკთა ხსენებულმა ჯარმა, გენუელთა მონაწილეობით. სახელდობრ (ეს იყვნენ) გუილერმო ემბრიაკო და პრიმო, მისი ძმა და ბევრი სხვა მამაცი გენუელი ვაჟკაცი. ისინი იქ მანქანებს აგებდნენ. მათი გამჭრიახობით ქალაქი აღებულ იქნა 1099 წლის ივლისში... გენუელებმა და მეფე ბალდიუნმა ბრძოლებით დაიპყრეს ცეზარეია და აზოტი... როცა ამ ორი ქალაქის აღების შემდეგ გენუელები სამშობლოში ბრუნდებოდნენ და მივიდნენ ბიზანტიაში, კუნძულ ითაკასთან შეხვდნენ კონსტანტინოპოლის იმპერატორის ფლოტს, რომელსაც ლანდულფი ხელმძღვანელობდა. მას თან ახლდა 60 შალანდი (მცირე ზომის სამხედრო ხომალდი, რომელიც 150-მდე კაცს იტევდა). გენუელებმა ხელთ იგდეს 7 მათგანი და დაწვეს. ხოლო დანარჩენთა წინააღმდეგ 27 გალეათი (სწრაფმავალი სამხედრო ხომალდი) გამოვიდნენ, რათა შეიარაღებული ხელით ისინი ხელში ჩაეგდოთ“.

რაც შეეხება რომის პაპებს, ისინი დიდი ხანია მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის შექმნაზე ოცნებობდნენ. ჯერ კიდევ ადრე, კლუნიური მოძრაობის ინიციატორები (პირველ რიგში გრიგოლ VII) ცდილობდნენ საერო ხელისუფლების დამორჩილებას ეკლესიისადმი. რომის პაპების ამ გეგმის განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა პაპებისადმი ბიზანტიურ-მართლმადიდებლური ეკლესიის დამორჩილებას. თავდაპირველად პაპმა გრიგოლ მეშვიდემ გადაწყვიტა „ბერძენი სქიზმატიკოსებისათვის“ ბოლო მოეღო, მაგრამ იგი მაშინ გერმანიის იმპერატორ ჰაინრიხ მეოთხესთან ბრძოლაში იყო ჩაბმული, ამიტომ ვერ განახორციელა თავისი გადაწყვეტილება. ამ

ყაჩაღური წამოწყების ქადაგება და მისი ორგანიზაცია წილად ხვდა პაპს ურბან მეორეს.

ურბან მეორის სურვილების მიხედვით, „მართლმადიდებლური“ ეკლესიის დამორჩილება ბიზანტიის ტერიტორიის ხელში ჩაგდების მეშვეობით უნდა მომხდარიყო, მაგრამ რადგან ქრისტიანთა ბრძოლა ქრისტიანების წინააღმდეგ საზოგადოებრივი თვალსაზრისით დაუშვებელი იქნებოდა, ამიტომ თავდაპირველად ჯვაროსნების ბრძოლა სირია-პალესტინის „უსჯულოთა“ წინააღმდეგ უნდა წარმართულიყო.

ავანტიურისტული საქმის წამოსაწყებად და თავის გასამართლებლად რომის პაპს სხვა მხრივაც ნიღაბი უნდა გაეკეთებინა. მას მტაცებლური ზრახვები საღმრთო საქმედ უნდა გამოეცხადებინა, უნდა მომხდარიყო ქრისტეს საფლავის „დახსნა ურჯულოთაგან“; თითქოს უფალი მოითხოვდა ადამიანთა მსხვერპლს თვით ადამიანთა საბოლოო წაწყმედისაგან დახსნისათვის და იმ უბედურების შესანელებლად, რომელიც თავს დასტეხოდა ევროპას. მისი მოსახლეობის მიერ ჩადენილი ცოდვები ჯვაროსნებს ბრძოლის ველზე სისხლით უნდა გამოესყიდათ და ამით თავიანთთვის ცის სასუფეველი დაემკვიდრებინათ. მაგრამ ურბან მეორემ კარგად იცოდა, რომ მარტო ასეთი ციური დაპირებით თავის მსმენელებზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა და ამიტომ თავის მოწოდებაში აღნიშნა, რომ „ისინი, ვინც აქ მწუხარენი და ღარიბნი არიან, აღმოსავლეთში მხიარულნი და მდიდარნი გახდებიან“. საფიქრებელია, რომ პაპის სიტყვიდან მსმენელებზე ყველაზე უფრო მეტად ამ არგუმენტმა იქონია გავლენა, რადგან ჟამთააღმწერლის თქმით, დამსწრეებმა პაპს სიტყვა სწორედ ამ დაპირების დროს შეაწყვეტინეს წამოძახილებით — „ღმერთს ასე სურს!“.

გადმოცემათა მიხედვით, ურბან მეორე პირდაპირ მიმართავდა რაინდებს: „უძლეველ წინაპართა შთამომავალნო, უძლეველო მხედრებო!... თქვენ ხელთ იგდებთ თქვენი მტრების სიმდიდრეს... თქვენ უნდა დაიმორჩილოთ იერუსალიმის მიწა-წყალი“ და სხვ. რა იყო ყოველივე ეს, თუ არა რაინდობის პირდაპირი წაქეზება ძარცვა-გლეჯისაკენ?

იმ მიზნით, რათა ევროპიდან მეამბოხე ელემენტების წასვლა დაეჩქარებინა და რაც შეიძლება მეტი მასები ჩაება ამ საქმეში, პაპმა თავის სიტყვაში აღმოსავლეთის დაპყრობა ყოვლად გაადვილებულ ფორმაში წარმოადგინა. მან განაცხადა, რომ გზა იერუსალიმამდე მოკლეა, რომ მისი აღება იოლია: „გზა მოკლეა, შრომა კი არა რთული“ — დასძენდა ის. ამასთან, პაპი დაპირებას იძლეოდა, რომ ვინც ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებდა, მის ქონებასა და ოჯახს

ეკლესია დაიცავდა ყოველგვარი ხელყოფისაგან, ვიდრე ლაშქრობის მონაწილე უკან არ დაბრუნდებოდა.

აღმოსავლეთში შექმნილი საერთო პოლიტიკური ვითარება თითქოს მართლაც ადევილებდა აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობას. საქმე ისაა, რომ თურქ-სელჩუკების სამეფოში XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ფეოდალიზაციის პროცესი უფრო გაძლიერდა, მიწათმფლობელობის ლენურმა სისტემამ — „იქტამ" ფართო გასაქანი მიიღო. რამაც სამეფოს პოლიტიკური დაქუცმაცება გამოიწვია. წარმოიშვა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები: მოსული, დამასკო, ანტიოქია, ტრიპოლი, ალეპო და სხვ., რომელთა შორის ურთიერთბრძოლები გაჩაღდა. თითოეულ მათგანს ეს გარემოება პოლიტიკურად ასუსტებდა, მაგრამ პაპის დაპირება, რომ ჯვაროსნების ლაშქრობა აღმოსავლეთში მხოლოდ „გასეირნება" იქნებოდა, რა თქმა უნდა, თვალების ახვევის მეტს არას ნიშნავდა.

§ 2. ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა და მისი შედეგები

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა გლეხური შემადგენლობით

ურბან მეორის სიტყვა ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების შესახებ წარმოთქმული იყო 1095 წელს ქ. კლერმონში (საფრანგეთი) მოწვეულ საეკლესიო კრებაზე მისი საქმიანი ნაწილის დამთავრების შემდეგ. კრებას ესწრებოდა 14 არქიეპისკოპოსი, 250 ეპისკოპოსი და 400-მდე აბატი. გარდა ამისა, კრებაზე თავი მოიყარა დაბალი სასულიერო წოდებისა და რაინდობის უამრავმა წარმომადგენელმა. მარტო ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების შესახებ ქადაგება ადრევე იყო დაწყებული. პაპის მიერ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ყველა დამსწრემ სურვილი გამოთქვა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისა, რის ნიშნადაც ტანსაცმელზე წითელი ნაჭრის ჯვრის გამოსახულება გაიკეთა (აქედან — „ჯვაროსანი").

საეკლესიო კრებაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „ურჯულოთა" წინააღმდეგ ჯვაროსანთა ლაშქრობა 1096 წლის ზაფხულში (15 აგვისტოს) დაწყებულიყო. პაპმა დასავლეთის ყველა ეპისკოპოსს დაავალა ჯვაროსანთა ლაშქრობის სასარგებლოდ გაეწია აგიტაცია თავის მრევლში. გარდა ამისა, პაპის სპეციალური ლეგატები გაემგზავრნენ სხვადასხვა მხარეში მოსახლეობის დასარაზმად. მქადაგებელთა შორის მალე სახელი გაითქვა პიერ მწირმა, ანუ პიერ ამიენელმა. ამ ფანატიკოს განდეგილს, მარქსის თქმით — „ბრიყვს, როგორც ვირს", არ შეეძლო გაეთვალისწინები-

ნა ყველა ის სიძნელე, რაც მოლაშქრე გლეხობას გადაეღობებოდა შორეულ ქვეყნებში.

პიერ ამიენელმა ჩრდილოეთ და ცენტრალურ საფრანგეთში შეძლო გლეხკაცობისა და, საერთოდ, ღარიბების გადმობირება. მათ დასავლეთ გერმანიის გლეხობაც შეუერთდა და ჯვაროსნები, ათეულ ათასობით მოხუცები თუ ახალგაზრდები, პიერ მწირის ხელმძღვანელობით დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ. მათი შეიარაღება და ბრძოლისუნარიანობა სრულიად არ უპასუხებდა რაიმე სერიოზული სამხედრო ოპერაციების მოთხოვნილებებს. ლაშქრობის ხელმძღვანელმა ვერ გაითვალისწინა ისიც, რომ უზარმაზარ მანძილზე, რომელიც ჯვაროსნებს უნდა გაევლოთ, საჭირო იყო მათი გამოკვება. სურსათ-სანოვაგის არავითარი მარაგი ჯვაროსნებს თან არ მიჰქონდათ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მოლაშქრე გლეხობას დიდი რაოდენობით მიეტმასნენ დეკლასირებული ელემენტები (ქურდები, ყაჩაღები და სხვ.), რომლებიც ცდილობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვითა და რბევით გამდიდრებულიყვნენ.

თავიდანვე აშკარად ჩანდა, რომ ეს წამოწყება სრული მარცხით უნდა დამთავრებულიყო, მით უფრო, რომ პიერ ამიენელმა არ დაუცადა კლერმონის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადას და 1096 წლის გაზაფხულის დასაწყისშივე წავიდა აღმოსავლეთისაკენ. მიმართულებად აღებული იყო მდინარე რაინის დინება, ბალკანეთის ნახევარკუნძულის გავლა და შემდეგ კონსტანტინოპოლიდან მცირე აზიაში გადასვლა. ჯვაროსნებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გავლილი მნიშვნელოვანი მანძილი, რომ შიმშილის გამო იძულებულნი გახდნენ რაინისპირა ქალაქები დაერბიათ. ასე მოექცნენ ისინი, მაგალითად, ქ. კელნში, ქ. მაინცში და სხვ. მათ მიერ წარმოებული ძარცვა-რბევა მაინც გრძელდებოდა, როცა ისინი გადიოდნენ უნგრეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე. ბუნებრივია, რომ ამას უნდა მოჰყოლოდა ჯვაროსნების ბრძოლა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამ ბრძოლების შედეგად, ვიდრე ჯვაროსნები კონსტანტინოპოლს მიაღწევდნენ, მათი შემადგენლობის თითქმის ნახევარი გზაშივე განადგურდა.

როცა ჯვაროსანთა ლაშქრობის მონაწილენი კონსტანტინოპოლში მივიდნენ, ერთ-ერთი ჟამთაღმწერლის გადმოცემით, ბიზანტიის იმპერატორმა მათ ნება დართო ევაჭრათ და ურჩია: „ზღვას (იგულისხმება მარმარილოს ზღვა) ნუ გადაცურავთ, ვიდრე ქრისტიანთა მთავარი ჯარი არ მოვა, რადგან თქვენ მცირერიცხოვანი ხართ იმისათვის, რომ შეძლოთ თურქებთან ბრძოლა". მაგრამ, როცა ჯვაროსნებმა თვით კონსტანტინოპოლში დაიწყეს უწესობათა ჩადენა, იმპერატორი განრისხდა და ბრძანა ჯვაროსნები სრუტეზე გადაეყვანათ.

აქედან მათ ნიკომედიას მიაღწიეს და ოთხი დღის შემდეგ დაიკავეს ციხესიმაგრე ქსერიგორდონი, ნიკეის მახლობლად.

მალე ამ ციხეს თურქებმა ალყა შემოარტყეს. რვა დღის ალყის შემდეგ ციხესიმაგრე დაეცა. ჯვაროსნების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრძოლებში გაწყდა. მეორე ნაწილი, რომელიც ტყვეობაში მოჰყვა, თურქებმა მონებად გაყიდეს. მანამდე კი პიერ ამიენელმა ჯვაროსანთა მცირე რაზმებით მოახერხა კონსტანტინოპოლში გაპარვა. ამგვარად, გლეხების ცდა გაქცეოდნენ თავიანთ მებატონე ფეოდალებს აღმოსავლეთში და იქ მოეპოვებინათ მიწა და თავისუფლება, მარცხით დამთავრდა. მხოლოდ გადარჩენილ გლეხთა მცირე რაზმებმა რაინდებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა შემდეგ იმ ბრძოლებში, რომლებიც ანტიოქიის მისადგომებთან გაიმართა.

ჯვაროსანთა ეს ლაშქრობა თავისი სოციალური შემადგენლობით და, მაშასადამე, ამოცანებითაც, არსებითად, განსხვავდებოდა შემდეგ მოწყობილი ჯვაროსანთა ლაშქრობებისაგან. მიუხედავად ამისა, იგი ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის პირველ შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის მეორე ტალღა, რომელიც უფრო ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა, სხვაგვარი შედეგებით დამთავრდა. ჯვაროსნების ლაშქრობათა რაოდენობას ბურჟუაზიული ისტორიკოსები სხვადასხვა რიცხვით განსაზღვრავდნენ. საბოლოოდ, დადგენილია ჯვაროსანთა რვა ლაშქრობა.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის მეორე ეტაპი

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის მეორე ეტაპის სოციალური შემადგენლობა უმთავრესად რაინდობით განისაზღვრა. მასში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, იტალიისა და, ნაწილობრივ, დასავლეთ გერმანიის რაინდებმა. რაინდების ცალკეულ დაჯგუფებებს სხვადასხვა პირები ხელმძღვანელობდნენ. პირველად თავისი შეიარაღებული რაზმებით დაიძრა საფრანგეთის მეფის ფილიპე პირველის უმცროსი ძმა, ვერმანდუას გრაფი ჰიუგი. იგი სამხრეთისაკენ მიდიოდა იტალიაზე გავლით. აქედან მან ადრიატიკის ზღვა გაცურა, მაგრამ ზღვის ღელვამ ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან დაუმსხვრია გემები. ჰიუგის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხრჩო, ხოლო თვითონ ჰიუგმა მიაღწია სანაპიროს, ქალაქ დურაცოს მახლობლად. იგი აქ მოსახლეობამ ტყვედ ჩაიგდო და ბიზანტიის იმპერატორს გადასცა, რომელსაც იგი ერთ ხანს საპატიო ტყვეობაში ჰყავდა.

ჰიუგის შემდეგ აპულიელი ბოჰემუნდი (ბოემონ), ტორენტოს ჰერცოგი, რობერ გისკარის შვილი სამხრეთ იტალიიდან ბალკანეთზე

გავლით ბიზანტიაში გადავიდა, სადაც თავი უნდა მოეყარა ყველა ჯვაროსანს. ამავე ხანებში ქვემო ლოტარინგიის ჰერცოგი გოტფრიდი (გოდფრუა), რომელიც ცნობილი იყო გოტფრიდ ბუიონელის სახელწოდებით, დიდი ჯარით უნგრეთისაკენ დაიძრა. მასთან ერთად ლაშქრობდა მისი უმცროსი ძმა ბოდუენი (ბალდუინი). რაინდების მესამე დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა გრაფი რაიმონდ (რემონ) პროვანსელი, ანუ ტულუზელი. ის და ეპისკოპოსი ადემარი, რომელიც ჯვაროსანთა ლაშქრობაში პაპის ლეგატს (რწმუნებულს) წარმოადგენდა, წავიდნენ დალმაციაზე გავლით. ოქტომბერში თავისი შეიარაღებული ძალებით გამოვიდა ნორმანდიის გრაფი რობერი, ინგლისის მეფის უილიამ დამპყრობლის უფროსი ვაჟი, რომელსაც თან ახლდნენ ბლუას გრაფი სტეფანე და ფლანდრიის გრაფი რობერი. ლაშქრობის მონაწილეთა საერთო რაოდენობა 30-დან 40 ათას კაცამდე აღწევდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ საჭურველმტვირთველებს და სხვ.

ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლში თავი მოიყარეს მხოლოდ 1097 წლის გაზაფხულზე, მაგრამ ვიდრე მუსლიმების წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყებოდა, ჯვაროსნებსა და ბიზანტიას შორის თავი იჩინა მძაფრმა წინააღმდეგობამ. საქმე ისაა, რომ ჯვაროსნებს თურქ დამპყრობელთაგან უნდა გაეთავისუფლებინათ ის ადგილები, რომლებიც ადრე ბიზანტიას ეკუთვნოდა. ბიზანტიის იმპერატორი მოითხოვდა, რომ ისინი კვლავ ბიზანტიას დაბრუნებოდა, ხოლო ჯვაროსნები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ სისხლით მოპოვებული მიწები მათი კუთვნილება უნდა გამხდარიყო. მოლაპარაკება ჯვაროსნებსა და იმპერატორს შორის ამ საკითხზე გაჭიანურდა. პირველნი დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას. ანა კომნინეს თქმით, იმპერატორმა შემდეგ ხერხს მიმართა. მან ჯვაროსნებთან მოლაპარაკება ცალ-ცალკე ჩაატარა, ზოგი მოსყიდვით გადაიბირა, ზოგი კი დაპირებებით.

ბოლოს მოლაპარაკება ერთგვარი კომპრომისით დამთავრდა. დადებული ხელშეკრულების თანახმად, განთავისუფლებული ადგილები ფაქტიურად ჯვაროსანთა განკარგულებაში დარჩებოდა, ოღონდ ჯვაროსანთა ხელმძღვანელებს იმპერატორის წინაშე ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ. ამგვარად, ბიზანტიის იმპერატორი მათ სიუზერენად ცხადდებოდა, ხოლო ლაშქრების მეთაურები — მის ვასალებად.

მხოლოდ ამ შეთანხმების შემდეგ, 1097 წლის ზაფხულში გადავიდნენ ჯვაროსნები მცირე აზიაში ბიზანტიელთა ჯარის თანხლებით. მაისში და ივნისში გრძელდებოდა ქ. ნიკეას — სულთნის სატახტო ქალაქის — გარემოცვა. გარემოცულებთან შეთანხმებით, ქალაქი ხელთ იგდეს ბიზანტიურმა სამხედრო ნაწილებმა, რომელთაც ჯვაროს-

ნები არ შეუშვეს ქალაქში. 1 ივლისს ჯვაროსნებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს თურქებზე ქ. დორილეუმთან (დორილეონი), ბრძოლით განვლეს მცირე აზია და მიაღწიეს კილიკიას. აქ მათ მეგობრულად შეხვდნენ კილიკიელი სომხები. მიუხედავად ამისა, ბოდუენმა სომხების ქალაქი დაიკავა. ეს იყო ედესა, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ იგი მესოპოტამიიდან სირიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა, ასე დაარსდა ედესის საგრაფო.

შემდეგ ჯვაროსნები ბრძოლებით მიუახლოვდნენ ქ. ანტიოქიას, რომელიც გამაგრებული აღმოჩნდა. მისი გალავნის კედელი იმღენად სქელი იყო, რომ მასზე ოთხი ცხენით შებმულ ეტლს თავისუფლად შეეძლო გავლა. სისხლისმღვრელი ბრძოლები ჯვაროსნებისათვის უშედეგოდ თავდებოდა, ქალაქის ალყამ დიდხანს გასტანა. ბოლოს, გარნიზონის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანის ღალატის შედეგად ქალაქი ჯვაროსნებმა აიღეს. ჯვაროსნებმა აქაც დიდი სიმხეცე გამოამჟღავნეს, მათ ამოხოცეს არა მარტო ტყვეები, არამედ მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი არ დაინდეს. ანტიოქიის აღების შემდეგ მთელი მისი მიდამოებიც დაკავებულ იქნა. ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე დაარსდა ანტიოქიის სამთავრო, რომლის მმართველად ბოჰემუნდ ტარენტელი იქნა გამოცხადებული. ანტიოქიის სამხრეთით მღებარე ტრიპოლის ოლქი წილად ხვდა მესამე მსხვილ ფეოდალს, რაიმონდ ტულუზელს.

ზემოაღნიშნული ადგილების დაპყრობისას ჯვაროსანთა ლაშქრობის ხელმძღვანელნი სულაც არ ჩქარობდნენ თავიანთი მთავარი მიზნის განხორციელებას — იერუსალიმის აღებას და „ქრისტეს საფლავის განთავისუფლებას". მათ წელიწადზე მეტი მოანდომეს დაპყრობილი ადგილების ძარცვასა და მისი მოსახლეობის აწიოკებას. მათი შეთხელებული რიგები (ზოგიერთი ცნობით 20000-მდე კაცი) მხოლოდ 1099 წლის გაზაფხულზე დაიძრა იერუსალიმისაკენ. იერუსალიმის აღება ერთი შეტევით შეუძლებელი აღმოჩნდა. კედლებზე ასვლისათვის საკმაო რაოდენობის კიბეები ჯვაროსნებს არ აღმოაჩნდათ. გენუელების დახმარებით, სათანადო სამზადისის ჩატარების შემდეგ, ჯვაროსნებმა იერუსალიმზე კვლავ მიიტანეს იერიშები და ბოლოს, როგორც იქნა, აიღეს იგი 1099 წლის 15 ივლისს.

იერუსალიმის აღებისას ჯვაროსნებმა იქ ისეთი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს, რომლის წინაშე ანტიოქიის განადგურება არარად მოჩანდა. მარტო სოლომონის ტაძარში 10 ათასამდე კაცი აღმოჩნდა მოკლული. ფულკერ შარტრელი აღნიშნავს: „...იქ რომ ყოფილიყავით, თქვენი ფეხები ბარძაყამდე მოკლულთა სისხლით მოისვრებოდა. რა შეიძლება ითქვას? ვერც ერთმა მათგანმა სიცოცხლე ვერ შეინარჩუნა. არ დაუნდვიათ არც ქალები და არც ბავშვები.

თქვენ შეგეძლოთ გენახათ... ჩვენი საპურველმტვირთველნი (რომელთაც სარკინოზების ეშმაკობა შეიტყვეს) მოკლულებს როგორ უფატრავდნენ მუცლებს, რათა იქიდან ოქროს მონეტები ამოეღოთ, რომლებიც მათ სიცოცხლეში გადაეყლაპათ... საქმის გასაადვილებლად მათ რამდენსამე დღის შემდეგ ცხედრები ერთ ადგილას დააწყეს, დაწვეს და ფერფლად აქციეს, რათა უფრო სწრაფად მოენახათ ოქროები“.

იერუსალიმის სამეფო

იერუსალიმის აღების შემდეგ ჯვაროსნებმა დაპყრობები განაგრძეს. მათ მთლიანად დაიკავეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები და ვენეციელების, გენუელებისა და პიზელების დახმარებით ხელთ იგდეს რამდენიმე სანავსადგურო ქალაქი. ასე წარმოიშვა ჯვაროსანთა სამთავროები აღმოსავლეთში და, მათ შორის, იერუსალიმის სამეფო. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იყო. იგი მოიცავდა მთელ პალესტინასა და სირიის სამხრეთი მიდამოების ნაწილს. იერუსალიმის სახელმწიფოს პირველი მეფე გოტფრიდ ბუიონელი იყო, ხოლო ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს საბოლოო გაფორმება მისი მომდევნო მეფის, მისი ძმის, ედესის გრაფის ბოდუენის (1100 — 1118) დროს მოხდა.

იერუსალიმის სამეფოზე პოლიტიკურად დამოკიდებული აღმოჩნდა ტრიპოლის საგრაფო, ანტიოქიის სამთავრო და ედესის საგრაფო. ფორმალურად ისინი იერუსალიმის სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში ითვლებოდნენ, ხოლო ფაქტიურად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. როგორც ენგელსი აღნიშნავს, იერუსალიმის სამეფო ყველაზე უფრო ტიპური ფეოდალური სამეფო იყო. ენგელსი წერდა: „იგი (ფეოდალიზმი — გ. ტ.) თავის ცნებას ყველაზე უფრო მეტად დაუახლოვდა იერუსალიმის ეფემერულ სამეფოში, რომელმაც „იერუსალიმის ასიზებში“ ფეოდალური წყობილების ყველაზე უფრო კლასიკური გამოსახულება დატოვა“[1].

„იერუსალიმის ასიზები“ ცნობილია მხოლოდ XIII საუკუნის რედაქციით. იგი წარმოადგენდა თავისებურ ფეოდალურ კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც მეფე ფეოდალების მიერ უნდა ყოფილიყო არჩეული. მაშასადამე, იერუსალიმში სამეფო ტახტი მემკვიდრეობით არ გადადიოდა. მართვა-გამგებლობის საქმეში მეფე შეზღუდუ-

---

[1] ფ. ენგელსის წერილი კონრად შმიდტს. 1895 წლის 12 მარტს. იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 534. იხ. აგრეთვე, К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание второе, т. 39, М., 1966, გვ. 352.

ლი იყო „უმაღლესი დარბაზით“. ყოველგვარი მნიშვნელოვანი საკითხი მეფეს დარბაზის წევრებთან—მსხვილ ფეოდალებთან შეთანხმებით უნდა გადაეწყვიტა. იერუსალიმის ასიზებში მეფისა და დარბაზის წევრების ურთიერთობა მთლიანად დამყარებულ იქნა ფეოდალურ დეკიზზე — primus inter pares (პრიმუს ინტერ პარეს — პირველი თანასწორთაგანი), რომლის მიხედვითაც მეფე თანასწორ ფეოდალთა შორის პირველი თანასწორთაგანი იყო.

აღნიშნული ფეოდალური კონსტიტუციით დადგენილი იყო, რომ მეფის ვასალებს წელიწადში დღეთა გარკვეული რაოდენობა უნდა დაეთმოთ თავისი სენიორისათვის სამხედრო სამსახურის გასაწევად, ზედმეტის მოთხოვნის უფლება მეფეს არ ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ მეფე ერთი რომელიმე ფეოდალის უფლებათა შეკვეცას შეეცდებოდა, ყველა ფეოდალს შეეძლო მეფისათვის უარი ეთქვა სამსახურის გაწევაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალების უმაღლესი დარბაზი წარმოადგენდა აგრეთვე სასამართლოს უმაღლეს ინსტანციას, სადაც ფეოდალების დავასა და საჩივრებს განიხილავდნენ.

იერუსალიმის სამეფო თავისებურ სამხედრო-ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რაც ჯვაროსანთა ცვალებადი შემადგენლობით იყო გამოწვეული. გამდიდრდებოდა თუ არა რაინდობის ერთი ნაწილი, იგი ტოვებდა იერუსალიმის სამეფოს და თავის სამშობლოში ბრუნდებოდა. მართალია, მის მაგივრად ევროპიდან სხვები მოდიოდნენ, მაგრამ ჯვაროსანთა სამეფოსა და სამთავროების დაცვა ამ დენადობის გამო სუსტებოდა. გარდა ამისა, ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულების სტრატეგიული მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო. დაპყრობების დროს ჯვაროსნები ღრმად ვერ შეიჭრნენ ქვეყნის შიდა ნაწილებში. ახლად დაარსებული სამეფო-სამთავროების საზღვრები გადაჭიმული აღმოჩნდა 1200 კილომეტრის მანძილზე ზღვისპირა ადგილებში. ეს გარემოება, თავისთავად, აძნელებდა თავდაცვის საქმეს, მით უფრო, რომ ისლამის მიმდევარნი სისტემატურად აწყობდნენ მათზე თავდასხმებს.

აი, როგორ აგვიწერს იერუსალიმის სამეფოში შექმნილ ვითარებას გიიომ ტიროსელი (XII საუკუნის 80-იანი წლები): „ჩვენი შესაძლებლობანი და მებრძოლთა რიცხვი ისე მცირე იყო, რომ ერთხელ, როდესაც ყველა დაიბარეს და სასწრაფოდ გამოცხადდნენ, მათმა რიცხვმა სამასი რაინდი და ორი ათასი ქვეითი ძლივს შეადგინა. ქალაქები, რომლებიც ჩვენს გამგებლობაში მოექცნენ, მცირერიცხოვანი იყვნენ და უწესრიგოდ განლაგებულნი იმ ადგილებს შორის, რომლებიც მტერს ეკუთვნოდა. ასე რომ, დიდი შიშით გვიხდებოდა ქალაქიდან ქალაქში გადასვლა, თუ ეს აუცილებლობას წარმოადგენდა.

ჩვენს ქვეყანაში ყველა სოფელი უსჯულოებითა და სარკინოზებით იყო დასახლებული. მათზე უბოროტესი მტერი კი ჩვენს ხალხს არ ჰყავდა...“

დაპყრობის შემდეგ ჯვაროსნებმა აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ს-მაგრეები ააგეს. ასეთები იყო, ჯვაროსანი პრელატის ჟაკ დე ვიტრიელის (დაახლ. 1170 — 1240 წწ.) თანახმად, — მონრეალი, კრაკი (რომელიც მდინარე იორდანეს მიღმა მდებარეობდა), საფეტი, ბელვუარი, სალეფი (რომელიც აკონსა და გენესარეთის ტბის შუა მდებარეობდა) და სხვ. ქვეყნის უკეთ გამაგრების მიზნით იერუსალიმის სამეფო დანაწილებული იყო სხვადასხვა მთავრებსა და ბარონებს შორის, რომელთაც მეფის საერთო ხელმძღვანელობით უნდა მოეწყოთ თავდაცვა. თვითონ მეფეს დასაცავად მიკუთვნებული ჰქონდა ქალაქები: იერუსალიმი, აკონი და ტირი ზოგიერთი ციხესიმაგრით. მეფის ვასალები ვალდებულნი იყვნენ რაინდთა გარკვეული რაოდენობით გამოსულიყვნენ სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

იერუსალიმის სამეფოში მიწათმფლობელობა დამყარებული იყო სამხედრო პრინციპებზე. რაინდებს ფეოდები ეძლეოდათ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათი მიმღებნი არ შეასრულებდნენ სამხედრო ვალდებულებას, მიწები ჩამოერთმეოდათ. ფეოდებს აძლევდნენ აგრეთვე ლაშქრობის მონაწილე ევროპელ გლეხებს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, რაინდების რიცხვი საკმაოდ შემცირებული იყო, ქვეყანას კი დაცვა სჭირდებოდა. რაინდობა უმთავრესად ქალაქებში ცხოვრობდა. გამაგრებული ადგილებიც რაინდებით იყო დაკავებული. ადგილობრივი (სირიისა და პალესტინის) გლეხობა მათ სხვადასხვა გადასახადს აძლევდა. მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი სასულიერო წოდებამ მიიტაცა. იერუსალიმის პატრიარქი იერუსალიმის სამეფოში მეფის შემდეგ პირველ პირად ითვლებოდა და მეფის იქ არყოფნის დროს გახაგებდა სამეფოს.

იმდენად, რამდენადაც იერუსალიმის სამეფო ჩამოყალიბდა იტალიის ქალაქთა აქტიური დახმარებით, ამ ქალაქების ვაჭრებმა იერუსალიმის სამეფოში დიდი პრივილეგიები მოიპოვეს. ეს განსაკუთრებით ითქმის ვენეციელებზე. 1124 წელს ვენეციასა და იერუსალიმის სამეფოს შორის ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების მიხედვით, „ყველა ქალაქში, რომელიც ხსენებულ მეფეს, მის მემკვიდრეებსა და ყველა მის ბარონს ექვემდებარება, ვენეციელებს უნდა ჰქონდეთ ეკლესია და მთელი ქუჩა, ერთი მოედანი და აბანო, აგრეთვე პურის საცხობი. ყველაფერ ამას ისინი უნდა ფლობდნენ მუდმივად მემკვიდრეობითობის უფლების საფუძველზე, ყოველგვარი გადასახადის გაღების გარეშე, სამეფო საკუთრების თა-

ნაბრად". ამავე ხელშეკრულების ძალით, ვენეციელ ვაჭრებზე არავითარი გადასახადი ან ბაჟი არ ვრცელდებოდა, არც საქონლის გაყიდვისა და არც ყიდვის დროს. საქონლის შემოტანა და გატანა მათ ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეეძლოთ. გარდა ამისა, მათ თავიანთი სასამართლო ჰქონდათ და უკეთუ ვენეციელები დავობდნენ ურთიერთ შორის, ისინი სხვა სასამართლოს არ ექვემდებარებოდნენ; იგივე სასამართლო არჩევდა საქმეს, უკეთუ სხვა ვინმე არა ვენეციელი უჩივლებდა ვენეციელს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვენეციელი უჩივლებდა არა ვენეციელს, საქმეს არჩევდა სამეფო კურია.

იერუსალიმის სამეფო ეთნიკური თვალსაზრისით ძალიან ჭრელი იყო. ვიდრე ამ ადგილებს ჯვაროსნები დაიპყრობდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა უმთავრესად სირიელების, სომხების, ბერძნების, არაბებისა და თურქებისაგან შედგებოდა. ჯვაროსნების მოსვლის შემდეგ მათ დაემატნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთის მოსახლეობა, ბრეტონელები და პროვანსელები; გერმანელები, სკანდინავიელები, შოტლანდიელები, უნგრელები, იტალიელები და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯვაროსან კოლონისტთა შორის ფრანგი მოსახლეობა რაოდენობით ყველა მოსულს ჭარბობდა, რის გამოც იერუსალიმის სამეფოში ყველა ევროპელს ფრანგს უწოდებდნენ. ყველა დამპყრობელი ძირითადად გაბატონებულ მდგომარეობაში იყო, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ყმებად გადაიქცა.

ჟაკ ვიტრიელი თავის „იერუსალიმის ისტორიაში" ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილის შესახებ აღნიშნავდა: „არიან [იქ] სხვა ხალხიც, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრებისას ძველთაგანვე განიცდიდა ჩაგვრას ბერძნების, რომაელების, ლათინების (იგულისხმებიან საერთოდ დასავლეთ ევროპელნი), ბარბაროსების, სარკინოზებისა და ქრისტიანთა მხრივ. ისინი დიდი ხნის მანძილზე მონობის უღელს ეწევიან სხვადასხვა ფორმით. წარმოადგენენ რა მონებს და იხდიან რა გადასახადებს, მათი ბატონების მიერ ისინი განწესებულნი არიან სოფლის მეურნეობის სამუშაოებზე და სხვა მდაბალ საქმეებზე...".

იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ ბატონყმური ურთიერთობა აქ უფრო მკაცრი გახდა. ყველა მიწათმოქმედი მიმაგრებული იყო მიწაზე, მაგრამ ევროპელი ყმისაგან განსხვავებით, სირიელი ყმის მოცილება ბატონის მიერ მიწიდან და ოჯახიდან ადვილად ხდებოდა. ბატონს შეეძლო ყმის გაყიდვა, გასაჩუქრება, მზითევში გატანება და სხვ. კვიპროსელი იურისტი ფილიპე ნავარელი ასეთ ყმებს მუშა საქონელსა და სამუშაო იარაღს უთანაბრებდა. ისინი რაინდების ხელში ყოველგვარი პირადი უფლებების გარეშე დარჩნენ. ყველა ამან

და იმ გარემოებამ, რომ ყმა არც რაიმე ტრადიციული ჩვეულებით იყო დაცული, ბატონყმობა აღმოსავლეთში უფრო აუტანელი გახადა.

გლეხობის დიდი უმრავლესობა რაინდების სასარგებლოდ თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს იხდიდა. გადასახადებს იხდიდნენ როგორც ფულით, ისე პროდუქტით. თუმცა XIII საუკუნის ცნობილი მოგზაური რუბრუკვისი აღნიშნავდა, რომ სირიელი ყმები შემოსავლის მესამედს იხდიანო, სხვა წყაროების მიხედვით, გადასახადების რაოდენობის რაიმე წესით განსაზღვრა XII — XIII საუკუნეებში არ დასტურდება. თითქმის ყველა სახის გადასახადი ბატონის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული და ბატონს შეეძლო, რამდენიც მოეპრიანებოდა, იმდენი გადაეხდევინებინა ყმისთვის. სხვანაირად ეს წარმოუდგენელი იყო, რადგან ჯვაროსნების უმრავლესობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავის თავს ამ ადგილებში დროებით მაცხოვრებლად თვლიდა და ცდილობდა მოკლე ხნის განმავლობაში გამდიდრებულიყო და სამშობლოს დაბრუნებოდა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატაციის ნორმა დიდად უნდა გაზრდილიყო და ამ გარემოებას, თავის მხრივ, უნდა გაემძაფრებინა კლასობრივი ბრძოლა.

გლეხობა მიმართავდა კლასობრივი ბრძოლის ყველა საშუალებას, დაწყებული პასიური წინააღმდეგობიდან და დამთავრებული შეიარაღებული გამოსვლებით. გიიომ ტიროსელი იქაური გლეხების შესახებ წერდა: „ისინი არა მარტო კლავდნენ ჩვენებს (ე. ი. ჯვაროსნებს), როდესაც [ეს უკანასკნელი] გაუფრთხილებლად დაიარებოდნენ გზებზე, და მათ ჩვენ მტრებს მონებად მიჰყიდდნენ ხოლმე, არამედ აგრეთვე უარსაც აცხადებდნენ სასოფლო სამუშაოებზე, რათა ჩვენები შიმშილით დაეთრგუნათ. ისინი მზად იყვნენ თვითონ ეშიმშილათ, ვიდრე რაიმე მომსახურება გაეწიათ ჩვენებისათვის, რომელთაც ისინი თავიანთ მტრებად თვლიდნენ“. გლეხების დიდი ნაწილი ყანებს აღარა ხნავდა და აღარ თესდა. ხშირ შემთხვევაში ისინი ჭირნახულის აღებასაც კი გაურბოდნენ. 1125 წელს ქალაქების ბეირუთსა და სიდონის მიდამოებში მოხდა გლეხთა ძლიერი აჯანყება, რომელიც ჯვაროსნებმა ძლივძლივობით ჩაახშეს.

ორდენები

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იერუსალიმის სამეფოს პოლიტიკური ვითარება სრულიადაც არ იყო სახარბიელო არც მისი დაარსებისას და არც XII საუკუნის დასაწყისში. როგორც აღინიშნა, მეფეთა არჩევითობის გამო სამეფო ხელისუფლება მეტად მერყევი აღმოჩნდა. მსხვილი ფეოდალები ცენტრიდანულ ტენდენციას დროთა მს-

ელელობაში უფრო აძლიერებდნენ. დისციპლინას არც საშუალო და არც წვრილი ფეოდალები არ იცავდნენ. ფეოდალები ხშირად ერთიმეორის წინააღმდეგ აწარმოებდნენ ბრძოლას და ზოგჯერ დასახმარებლად მაჰმადიანებს ეპატიჟებოდნენ. ამგვარად, ერთი მხრივ, გაბატონებული კლასის შინაგანი შესუსტება, ხოლო მეორე მხრივ, გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლები — აუცილებელს ხდიდა ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელთა მეშვეობითაც შერყეული მდგომარეობის გამოსწორება მოხერხდებოდა. ამ მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა მუდმივად მოქმედი სამხედრო ორგანიზაციები სასულიერო-რაინდული ორდენების სახით.

უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ორდენები ნახევრად სამხედრო, ნახევრად სასულიერო დაწესებულებანი იყო. ორდენის წევრი — ბერი იმავე დროს მეომარი რაინდიც იყო, რაინდული იარაღით აღჭურვილი, იგი ზემოდან ბერის მოსასხამს — მანტიას ატარებდა. ორდენის ყველა წევრი სპეციალურ სამხედრო წვრთნას გადიოდა, რის შედეგადაც ის კარგად ფლობდა ლახვარსა და მახვილს. როგორც წესი, ორდენის წევრებად ღებულობდნენ რაინდს ან მისი ოჯახის რომელსამე წევრს. ორდენებს საკუთარი წესდება გააჩნდათ. ისინი რომის პაპს ემორჩილებოდნენ და საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. როგორც პალესტინაში, ისე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ორდენები უამრავ მამულებს ფლობდნენ, რომელთა შემოსავალი, ორდენების მიერ წარმოებულ სავაჭრო ოპერაციებთან ერთად, მათი არსებობის ძირითად მატერიალურ ბაზას წარმოადგენდა.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის შედეგად აღმოსავლეთში ფრანგი რაინდების ორი სასულიერო-რაინდული ორდენი ჩამოყალიბდა: ტამპლიერების (temple — ფრანგულად, templum — ლათინურად, ტაძარს ნიშნავს, აქედან — ტამპლიერები, ანუ ტაძროსანნი), და იოანიტების, ანუ ჰოსპიტალირების (სიტყვა „ჰოსპიტალიდან"). ტამპლიერების ორდენი ჩამოყალიბდა 1118 წელს და თავისი სახელწოდება მიიღო იქიდან, რომ იერუსალიმს მეფე ბოდუენ II-მ (1118—1131) ორდენის წევრებს გადასცა თავისი სასახლის ერთი ნაწილი, რომელიც სოლომონის ტაძრის ნაადგილარზე აგებულ მაცხოვრის ტაძარს ემიჯნებოდა.

გიიომ ტიროსელის ცნობით, დაარსებისას ორდენში სულ 9 წევრი იყო, ხოლო ამ მემატიანის ჟამს (XII საუკ. 80-იან წწ.) ორდენის წევრთა რაოდენობა, რაინდების სახით, სამასამდე გაიზარდა და „უბრალო ძმების" რიცხვი ხომ „უთვალავი" იყო. „ამბობენ, რომ მათი სამფლობელოები, როგორც ზღვის გამოღმა, ისე ზღვის გაღმა იმდენად

დიდია, რომ ქრისტიანულ სამყაროში არაა ოლქი, რომელსაც თავისი სამფლობელოების ნაწილი აღნიშნული ძმებისათვის არ გადაეცეს. და ამბობენ, რომ თავიანთი სიმდიდრით ეს ძმები მეფეებთან თანაბარნი არიან". მართლაც, მოკლე ხნის განმავლობაში ტამპლიერების ორდენი იმდენად გაძლიერდა, რომ მას მრავალი სამფლობელო დაექვემდებარა სხვადასხვა ქვეყანაში. ორდენს ჰქონდა უამრავი მამული. 1307 წელს, როცა საფრანგეთის მეფემ ფილიპე IV ლამაზმა ეს ორდენი დაშალა, ორდენს 10000-მდე მამული აღმოაჩნდა. ორდენს საკუთარი საზღვაო ფლოტი ჰყავდა, მას ჰქონდა ბანკები, რომელთა მეშვეობით იგი მსხვილ მევახშეობას ეწეოდა.

გაცილებით უფრო ადრე დაარსდა „საქველმოქმედო ძმობა", რომელიც იოანიტების სახელწოდებას ატარებდა. ჯერ კიდევ 1070 წელს ერთმა ამალფელმა ვაჭარმა ეგვიპტის ხალიფას მიერ ნაბოძებ მიწაზე დააარსა ეკლესია, მონასტერი, ფუნდუკი და წმ. იოანეს სახელობის ჰოსპიტალი (საავადმყოფო) ავადმყოფი პილიგრიმებისათვის, ე. ი. ჩამოსული მლოცველებისათვის. ასე წარმოიშვა ძმობა, რომელმაც იოანიტების, ანუ ჰოსპიტალიერების სახელწოდება მიიღო. ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებისთანავე (1099 წ.) იგი იქცა სასულიერო-რაინდულ ორდენად, რომელიც პაპმა 1113 წელს დაამტკიცა. ტამპლიერების მსგავსად, მალე ამ ძმობამაც სამხედრო ხასიათი მიიღო. ჰოსპიტალიერების ორდენს, ისევე როგორც ტამპლიერებისას, თავისი საკუთარი ეკლესიები და მამულები გააჩნდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში. ერთ ხანს ორივე ორდენი აქტიურად იყო ჩაბმული ესპანურ რეკონკისტაში და ბრძოლებს აწარმოებდა მაურების წინააღმდეგ. ჰოსპიტალიერების ორდენის შემადგენლობაში ფრანგებთან ერთად იყვნენ იტალიელები.

ბოლოს, XII საუკუნის მიწურულში, ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის ჟამს, გერმანელმა რაინდებმაც საკუთარი სასულიერო-რაინდული ორდენი შექმნეს (ჩამოყალიბებული სახე მან 1198 წელს მიიღო, ხოლო პაპმა თავისი ბულით დაამტკიცა 1199 წლის თებერვალში), რომელსაც დაერქვა „ტევტონთა" ორდენი. იგი ადრე იოანიტების ორდენის ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენდა. მისი ახალი სახელწოდება განსაზღვრა ორდენის ეროვნულმა შემადგენლობამ, სახელდობრ იმ გარემოებამ, რომ მასში უმთავრესად გერმანელები იყვნენ გაერთიანებულნი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს ორდენები ჯვაროსანთა ყველაზე უფრო ორგანიზებულ ძალებს წარმოადგენდნენ. აღმოსავლეთის სამფლობელოებში და აღმოსავლეთის საზღვრებზე მათ გააჩნდათ უამრავი ციხესიმაგრე. როცა ისლამის მიმდევრებმა ჯვაროსნები შეავი-

წროვეს, რაინდულმა ორდენებმა ყველაზე ბოლოს დატოვეს ეს ადგილები

აღმოსავლეთიდან წასვლის შემდეგ ორდენებმა თავისი საქმიანობის ცენტრი ევროპაში გადაიტანეს. როგორც აღინიშნა, ტამპლიერების ორდენმა არსებობა შეწყვიტა საფრანგეთის მეფის, ფილიპე IV-ის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად. რაც შეეხება ტევტონთა ორდენს, მან თავისი საქმიანობა მთლიანად ბალტიისპირეთში გადაიტანა. თავდაპირველად იგი პოლონეთის ფეოდალებმა მიიწვიეს ადგილობრივი „წარმართების“ —პრუსიელების წინააღმდეგ. ტევტონთა ორდენმა მალე ამ ადგილებში მოქმედი „მახვილოსანთა“ ორდენი შეიერთა და თავისი ძლიერი სამბრძანებლო შექმნა, რომელიც საშიშ მოვლენად გადაიქცა თვით პოლონეთისათვის და სლავთა სხვა ტომებისათვისაც. ტევტონთა ორდენს პირველი მნიშვნელოვანი დარტყმა ალექსანდრე ნეველმა ჩუდის ტბაზე აგემა 1242 წელს, ხოლო 1410 წელს გრიუნვალდის ბრძოლაში მისი პოლიტიკური ძალა საბოლოოდ განადგურდა.

1291 წელს, მას შემდეგ, რაც ჰოსპიტალიერების ორდენმა დატოვა იერუსალიმის სამეფო, თავისი საქმიანობის ცენტრი მან კუნძულ კიპროსზე გადაიტანა. 1310 წელს ჰოსპიტალიერებმა კუნძული როდოსი დაიპყრეს, სადაც 1522 წლამდე დაჰყვეს. შემდეგ (1530 წ.) კუნძულ მალტაზე დამკვიდრდნენ და იქ განაგრძობდნენ არსებობას უკვე მალტის რაინდების სახელწოდებით (მალტის ორდენი).

§ 8. ჯვაროსანთა მეორე და მესამე ლაშქრობა

ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა

ორდენების ჩამოყალიბებით ჯვაროსანთა სამეფო-სამთავროებმა აღმოსავლეთში ერთგვარი პოლიტიკური სიმტკიცე მოიპოვეს, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა, ვინაიდან ამ სამეფო-სამთავროთა შინაგანი ვითარება კვლავაც დაძაბული იყო. ჯვაროსნების ცალკეული მესვეურები ურთიერთშორის არ წყვეტდნენ უთანხმოებას და ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლა უფრო დაძაბული ხდებოდა. ასეთი შინაგანი გართულებით ისარგებლა მოსულის ათაბაგმა და 1144 წელს მოულოდნელი იერიშების მიტანით აიღო ქალაქი ედესა და ედესის საგრაფოს მიწები დაიპყრო.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ჯვაროსნების სამფლობელოთა სისტემაში ედესის საგრაფოს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეკავა — იგი იერუსალიმის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მისადგომებს იცავდა. ამასთან დაკავშირებით იერუსალიმის მეფემ

თპოვნით მიმართა პაპს თურქების წინააღმდეგ ევროპიდან რაინდების ახალი ნაკადები გამოეგზავნა. ამის საპასუხოდ რომის კათოლიკურმა ეკლესიამ კვლავ დაიწყო აგიტაცია ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის სასარგებლოდ. მალე საფრანგეთის მეფე ლუი VII-ემ და გერმანიის იმპერატორმა კონრად III-ემ დაიწყეს მზადება ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობისათვის. დიდი რაოდენობით შეიარაღებული ძალების თავმოყრის შემდეგ 1147 წელს დაიწყო ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა.

გერმანელ ჯვაროსანთა ლაშქრობა იწყებოდა ქ. მეციდან, აქედან სამხრეთით გაუვლიდა ჩეხეთს, შემდეგ კი უნგრეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე გადასვლით და კონსტანტინოპოლის გაევლით უნდა წარმართულიყო ხმელეთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებისაკენ. ე. ი. გერმანელებმა განვლეს გოტფრიდ ბუიონელის მიერ განვლილი. ნაცადი სახმელეთო გზა. მაგრამ ამ მიმართულებით წასული გერმანელთა პირველი შეიარაღებული ნაწილები თურქებმა მცირე აზიაში, დორილეუმთან 1147 წლის ოქტომბრის დამლევს გაანადგურეს. მოგვიანებით ფრანგებმა, თავიანთი მეფის ხელმძღვანელობით, განვლეს იგივე სახმელეთო გზა, რაც გერმანელებმა, გადაცურეს ბოსფორის სრუტე და მივიდნენ ნიკეაში, სადაც მათ შეუერთდნენ განადგურებას გადარჩენილი გერმანელი ჯვაროსნები, თავიანთი იმპერატორის მეთაურობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგების ამ ლაშქრობაშიც მონაწილეობდნენ გლეხები, რომელნიც ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. ჯვაროსნებმა, სელჩუკებთან ბრძოლების წარმოებით, მცირე აზიის დასავლეთ და სამხრეთ ოლქებზე გავლით, 1148 წლის დამდეგს მიაღწიეს ბიზანტიურ ზღვისპირა ქალაქ ატალიას. აქ ბიზანტიელებმა ანტიოქიაში გადასაყვანად მისცეს ჯვაროსნებს მცირერიცხოვანი ფლოტი. მაგრამ ხომალდებში ჩასხდომისას რაინდებმა გადაწყვიტეს, რომ გლეხების შემდგომი თანხლება მათთვის ზედმეტი ბარგი გახდებოდა და ისინი თან აღარ წაიყვანეს. ხომალდების ნავსადგურიდან გასვლის შემდეგ იქ დარჩენილი გლეხების მეტი ნაწილი თურქებმა ამოწყვიტეს, ხოლო გადარჩენილმა 3000-მდე კაცმა ისლამის სარწმუნოება მიიღო და თურქების მხარეზე გადავიდა.

ზემოაღნიშნული მიმართულებით ფრანგმა ჯვაროსნებმა მიაღწიეს დამასკომდე, რომელსაც იმჟამად ეომებოდა იერუსალიმის სამეფო, ჯვაროსნებმა მიივიწყეს მოსულის ათაბაგთან ედესისათვის ბრძოლის საქმე და ალყა შემოარტყეს ქ. დამასკოს. მაგრამ მისი აღება ვერ შეძლეს. ამავე დროს ჩრდილოეთიდან დამასკოს უახლოვდებოდა მოსულის დიდი ჯარი. 1148 წლის ივლისში ჯვაროსნებმა მოხსნეს გარემოცვა დამასკოს და 1149 წელს ჯერ გერმანელები, შემდეგ ფრანგები თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდნენ. ჯვაროსანთა მეორე ლაშქრო-

ბა სრული კრახით დამთავრდა. ამ ლაშქრობის დამარცხების მიზეზთა შორის ერთ-ერთი ის იყო, რომ სირიაში უკვე დაბინავებული ევროპელი ბარონები ბრძოლებში ჯვაროსნებს არავითარ დახმარებას არ უწევდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, ახლად მოსული ჯვაროსნები ჩაიგდებდნენ ხელში ყველა მონაპოვარს და გაბატონდებოდნენ მათ ხარჯზე.

ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობა და მისი მარცხის მიზეზები

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ედესის დაკარგვით იერუსალიმის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მეტად დიდი საშიშროება შეექმნა. შემდეგ ამას ახალი გართულება დაემატა. XII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამეფოს ახლა სამხრეთიდანაც მოელოდა შემოტევა. ეგვიპტეში ფატიმიანების დინასტიის დაცემის შემდეგ (1171 წ.), როცა ეგვიპტის მმართველი გახდა აიუბიანების თურქული დინასტიის ფუძემდებელი, ნიჭიერი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე იუსუფ სალაჰ-ად-დინი (სალადინი), რომლის დაპყრობათა შედეგად ეგვიპტე, სირიისა და მესოპოტამიის მუსლიმთა ტერიტორიები ერთ სამეფოში გაერთიანდა, სალადინმა სულთნის წოდება მიიღო.

ამგვარად, ეს ახალი სამეფო ძლიერი აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში სალადინი შეეცადა ჯვაროსნების განდევნას აღმოსავლეთიდან. მან ჯვაროსნებს „საღმრთო ომი" გამოუცხადა და სასტიკად დაამარცხა ისინი ჰატინთან (ნაზარეთსა და ტიბერიადის ტბას შორის) 1187 წლის 4 და 5 ივლისს; მრავალი ჯვაროსანი ამოწყვეტილ იქნა ბრძოლაში, იერუსალიმის მეფე ტყვედ ჩავარდა. მალე, რამდენსამე კვირის განმავლობაში სალადინმა ხელთ იგდო აკრა, სიდონი, ბეირუთი, ასკალონი, იაფა და ბოლოს, 1187 წლის 2 ოქტომბერს სალადინს დანებდა თვით იერუსალიმი. იერუსალიმის აღებისას, ჯვაროსნებისაგან განსხვავებით, მას ქალაქში ხოცვა-ჟლეტა არ მოუწყვია, მან იგი გამოსასყიდით შეცვალა. ამ გამოსასყიდით სალადინმა თითოეულ მამაკაცზე 10 ოქროს დინარი, ქალზე — 5 დინარი და ბავშვზე 1 ოქროს დინარი აიღო. ის პირნი, რომელთაც გამოსასყიდი ვერ გაიღეს, სალადინმა მონებად აქცია.

იერუსალიმის სამეფოს ქალაქებიდან ჯვაროსანთა განკარგულებაში დარჩა მხოლოდ ანტიოქია, ტრიპოლი, ტიროსი და ჰოსპიტალიერების ციხესიმაგრე მარკაბი. მაგრამ სირიის ამ ევროპულ კოლონიებს XII საუკუნის მეორე ნახევარში ჯვაროსნებისათვის მაინც დიდი მნი-

შვნელობა ჰქონდა, როგორც დასაყრდენ პუნქტებს აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში, ამიტომ მათი დაკარგვა მეტად საზიანო იქნებოდა. იერუსალიმის სამეფოს დაცემა თავისთავად გულისხმობდა ამ დასაყრდენი პუნქტების ხელიდან გამოცლას, ამიტომ იყო, რომ იერუსალიმის დაცემას მოჰყვა ჯვაროსანთა ახალი—მესამე ლაშქრობა. იგი დაიწყო 1189 წელს და 1192 წლამდე გაგრძელდა.

სალადინის წინააღმდეგ ევროპელთა მიერ წამოწყებულ მესამე ლაშქრობაში ჩაება სამი ძლიერი სახელმწიფო: გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი. ამ ლაშქრობას მათი მეფეები პირადად ხელმძღვანელობდნენ. „რომის საღმრთო იმპერიის“ მბრძანებელი გერმანიის მეფე ფრიდრიხ ბარბაროსა ადრევე იყო ცნობილი თავისი ბრძოლებით, რომლებსაც იგი იტალიის ქალაქების წინააღმდეგ აწარმოებდა. საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტი ცნობილი იყო იმით, რომ მოკვიანებით მან ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლოს მიწების დიდი ნაწილი ჩამოართვა საფრანგეთის ტერიტორიაზე და პირველმა ჩაუყარა საფუძველი საფრანგეთის გაერთიანებასა და მძლავრი სამეფო ხელისუფლების წარმოქმნას საფრანგეთში. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული განთქმული იყო თავისი ვაჟკაცობით, თუმცა მისი „გმირობა“ უფრო მეტად დამარცხებული მოწინააღმდეგის მიმართ მკაცრ მოპყრობაში გამოიხატებოდა.

ლაშქრობა პირველად ფრიდრიხ ბარბაროსამ დაიწყო. მან თავისი შეიარაღებული ძალებით გაიარა ბიზანტიის ტერიტორია, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბიზანტია სალადინთან მეგობრულ კავშირში იმყოფებოდა და ცდილობდა ხელი შეეშალა ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის. ფრიდრიხი შეუდგა ლაშქრობას 1189 წლის მაისში ქ. რეგენსბურგიდან. წინასწარ დადო ხელშეკრულებანი ბიზანტიის იმპერატორთან და იკონიის სულთანთან მისი ჯარის მათ სახელმწიფოებზე შეუფერხებლად გატარების შესახებ. მაგრამ ბიზანტიის იმპერატორი, რომელმაც კავშირი შეკრა სალადინთან, დიდად აფერხებდა გერმანელების გავლას. ადგილი ჰქონდა განუწყვეტელ შეტაკებებს გერმანელებსა და ბიზანტიის მოსახლეობას შორის. მიუხედავად ფრიდრიხის შეთანხმებისა სერბიისა და ბულგარეთის მბრძანებლებთან, მათი ქვეშევრდომები მტრობდნენ ჯვაროსნებს. ბოლოს, ბიზანტიის იმპერატორი იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო: 1190 წლის მარტში ფრიდრიხ ბარბაროსამ მაინც შეძლო მცირე აზიაში გადასვლა დარდანელის სრუტით, მაგრამ გერმანელთა ეს ლაშქრობა წარმატებით მაინც ვერ დასრულდა. მცირე აზიის გავლამ შეიწირა მრავალი ჯვაროსანი, რომელნიც ამოწყდნენ წყურვილით, შიმშილითა და

თურქების თავდასხმების გამო. ფრიდრიხმა შეძლო თურქთა წინააღმდეგობის გატეხა, 1190 წლის მაისში ქ. იკონიის აღება და დიდძალი ნადავლის ხელში ჩაგდება. აქედან იგი გაეშურა კილიკიაში, მაგრამ პატარა და ჩქარი მთის მდინარის — სალეფის გადასვლის დროს 1190 წლის 10 ივნისს ფრიდრიხ ბარბაროსა წყალში დაიხრჩო. ამის შემდეგ გერმანიის მთავარმა შეიარაღებულმა ძალებმა 1190 წ. შეწყვიტეს ლაშქრობა და უკან დაბრუნდნენ. მხოლოდ მცირე ნაწილმა მოლაშქრეებისამ მიაღწია ქ. აკრას და მიიღო მონაწილეობა მის გარემოცვაში, რომელსაც აწარმოებდნენ ადგილობრივი და ევროპის ქვეყნებიდან ჩასული ჯვაროსნები.

დანარჩენი ორი მეფე — ფილიპ-ოგიუსტი და რიჩარდ ლომგული ადრევე მტრობდნენ ერთმანეთს. ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის დაწყებისას მათ დროებით მიივიწყეს ეს მტრობა და ერთად დაიწყეს ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ ხმელთაშუა ზღვით. მაგრამ მათ შორის არსებულმა წინააღმდეგობამ ლაშქრობისას კვლავ იჩინა თავი და ერთობლივი მოქმედება ისლამის მიმდევართა წინააღმდეგ მათ ვერ განახორციელეს. მიუხედავად იმისა, რომ 1191 წლის აკრის წინააღმდეგ ისინი გაერთიანებული ძალებით გამოვიდნენ და ამავე წლის ზაფხულში აკრა ჯვაროსნებმა აიღეს, მალე ფილიპ-ოგიუსტი თავისი შეიარაღებული ძალებით საფრანგეთში დაბრუნდა.

რიჩარდი ამის შემდეგ კვლავ განაგრძობდა ომს პალესტინაში 1192 წლამდე. ამ წლის 2 სექტემბერს მან მოახერხა სამი წლით საზავო ხელშეკრულების დადება სალადინთან. ამ ხელშეკრულების თანახმად, იერუსალიმის სამეფოს დარჩა მხოლოდ ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლი ტიროსიდან იაფამდე. ამიერიდან ამ სამეფოს ცენტრად ნავსადგური აკრა გადაიქცა, იერუსალიმი კი ეგვიპტეს დარჩა. მესამე ლაშქრობის შედეგად ევროპელებს ძალი კოლონიები, გარდა კიპროსისა, არ შეუძენიათ ჯვაროსნების შეუთანხმებელი მოქმედების გამო.

ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის ყველაზე თვალსაჩინო შედეგს წარმოადგენდა რიჩარდ ლომგულის მიერ ბიზანტიელთა კუნძულის — კიპროსის დაპყრობა, რაც მოხდა რიჩარდის მიერ სალადინთან ომის დაწყებამდე. უფრო გვიან აქ იერუსალიმის მეფე გადმოვიდა თავისი სასახლით. კიპროსის სამეფოს არსებობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა ჯვაროსანთა დანარჩენ სამფლობელოებთან შედარებით. იგი მოისპო მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევარში. ამგვარად, მისმა არსებობამ ორ საუკუნე-ნახევარზე მეტ ხანს გასტანა.

§ 4. ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა

ინოკენტი მესამის ცდა მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის დამყარებისა

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობამ თავის მიზანს ვერ მიაღწია — იერუსალიმის განთავისუფლება ისლამის მიმდევართაგან ვერ მოხერხდა. ასევე, კვლავ განაგრძობდა დამოუკიდებელ არსებობას ბიზანტიის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. ამგვარად, პაპების ამოცანა, რომელიც მდგომარეობდა რომის კათოლიკური ეკლესიისადმი ახლო აღმოსავლეთისა და, კერძოდ, ბიზანტიური ეკლესიის დამორჩილებაში, ვერ იქნა გადაწყვეტილი. 1198 წელს რომის პაპად ინოკენტი მესამე გამოცხადდა. მისი პონტიფიკატის, ანუ ხელისუფლების ხანაში (1198 — 1216) პაპის გავლენამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ინოკენტი მესამე ძლიერ პიროვნებას წარმოადგენდა. იგი თავისი დროის ყველაზე უფრო ცნობილი და ცბიერი დიპლომატი იყო. ინოკენტი ისევე ფანატიკურად მიილტვოდა მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის დამყარებისაკენ, როგორც პაპი გრიგოლ VII.

ინოკენტი მესამემ თავისი ძალაუფლება თავდაპირველად ცენტრალურ იტალიაში განამტკიცა. შემდეგ მან იტალიიდან თანდათანობით განდევნა გერმანელები. ამავე დროს თავისი გავლენა ორივე სიცილიის სამეფოზეც გაავრცელა, იმის შედეგად, რომ იგი სიცილიის ყოფილი მეფის, ჰაინრიხ VI-ის უმცროსი შვილის (მომავალში ფრიდრიხ II) მეურვე გახდა. ამგვარად, ჯერ სიცილიის სამეფო, შემდეგ კი შვეიცია და დანია მის ვასალებად გადაიქცნენ. ჯერ კიდევ ადრე (1144 წ.) პორტუგალია პაპისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. პორტუგალიამ ხელახლა დადო ვასალური ფიცი ინოკენტი მესამის წინაშეც. 1204 წელს არაგონის მეფე პედრო II-მაც ინოკენტი მესამე ცნო თავის სიუზერენად. ბულგარეთისა და სერბიის მეფეებიც ლამობდნენ მის მფარველობაში შესვლას, რისთვისაც პაპს ჰპირდებოდნენ თავიანთი ეკლესიების გაერთიანებას რომის კათოლიკურ ეკლესიასთან.

გათამამებულმა ინოკენტიმ თავისი პონტიფიკატის დასაწყისშივე დაიწყო პროპაგანდა ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის წამოწყებისა, იმ მიზნით, რათა მსოფლიო თეოკრატიული მონარქია შეექმნა. მთელ რიგ ქვეყნებში დაგზავნილ იქნენ პაპის წარმომადგენელნი მოსახლეობის დარაზმვის მიზნით. ამასთან, დაიწყო სათანადო სახსრების შეგროვებაც. 1199 წელს პაპმა მოითხოვა ყველა მონასტრისა და ეკლესიის შემოსავლის 1/40 ნაწილის გადადება ჯვაროსანთა ლაშქრობისა-

თვის. როგორც მეოთხე ლაშქრობის მონაწილე ჟოფრუა ვილარდუენი (დაახლ. 1150—დაახლ. 1213) აღნიშნავს ინოკენტი III-ის დაპირების შესახებ: „ყველა ის, ვინც ჯვარს მიიღებდა და ღმერთს მოემსახურებოდა ლაშქრობაში ყოფნით ერთი წლის განმავლობაში, ყოველგვარი ცოდვისაგან უნდა განთავისუფლებულიყო, რაც მას ცხოვრებაში ჰქონდა ჩადენილი". მაგრამ ეს დაპირება მარტო „იმქვეყნიური" როდი იყო. ამა თუ იმ ფეოდალის მიერ ჩადენილი ცოდვა იმაშიც გამოიხატებოდა, თუ იგი ერთგულების ფიცს დაარღვევდა, მეფის ან რომელსამე თავისი სიუზერენისადმი მიცემულს. ამ შემთხვევაში, თუ ის ჯვარს მიიღებდა, ე. ი. გადაწყვეტდა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას, არა მარტო ცოდვისაგან თავისუფლდებოდა, არამედ ხელშეუხებლადაც ითვლებოდა და არავის არ ჰქონდა უფლება მის სამფლობელოზე თავდასხმა მოეწყო.

ქადაგებას ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის მოწყობის მიზნით განსაკუთრებით დიდი გასაქანი საფრანგეთში მიეცა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთის მეფე ფილიპ-ოგიუსტი და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული ურთიერთშორის განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ. ამ ბრძოლებში საფრანგეთის მსხვილი ფეოდალების ერთი ნაწილი, მათ შორის ფლანდრიის გრაფი ბოდუენი, ბლუას გრაფი ლუი და სხვანი ინგლისის მეფეს უჭერდა მხარს. 1199 წლის 6 აპრილს რიჩარდი მოულოდნელად გარდაიცვალა. ფილიპ-ოგიუსტის წინააღმდეგ ფრანგი ფეოდალების წინაშე დიდი საშიშროება წამოიჭრა. ახლა ფილიპეს შეეძლო მათი განადგურება, რადგან მათ ძლიერი მხარდამჭერი აღარ ჰყავდათ. მათთვის ერთადერთი გამოსავალი ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება იყო და, როდესაც (1199 წ.) ეკრიში (შამპანის საგრაფო) მოწყობილ იქნა ტურნირი, მათ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს.

ვილარდუენი ამის შესახებ წერდა: „...შამპანში მოეწყო ტურნირი ერთ კოშკში, რომელსაც ეკრი ეწოდებოდა (ეს ტურნირი მოეწყო 1199 წლის ნოემბრის დამლევს); და ღვთის წყალობით მოხდა, რომ შამპანისა და ბრის გრაფმა ტიბომ, აგრეთვე ბლუასა და შარტრის გრაფმა ლუიმ მიიღეს ჯვარი...". ვილარდუენის თანახმად, ისინი საფრანგეთის მეფის უახლოესი ნათესავები იყვნენ, ხოლო, მეორე მხრით ენათესავებოდნენ ინგლისის მეფეს. ამ ორ გრაფთან ერთად ჯვარი მიუღიათ საფრანგეთის წარჩინებულ ბარონს — სიმონ დე მონფორს და რენო მონმირელს. ვილარდუენი დასძენს: „ამ ცნობილ პირთა მიერ ჯვრის მიღებას ქვეყნად დიდი გამოხმაურება მოჰყვა"-ო. ამის შემდეგ ავტორი ჩამოთვლის მრავალ სენიორს, რომელთაც აგრეთვე გამოთქვეს სურვილი ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისა.

მათ შორის ავტორი იხსენიებს ტიბო შამპანელის სიძეს ფლანდრიის გრაფ ბოდუენს და თავის თავსაც ასახელებს, როგორც შამპანის მარშალს. ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე იტალიელმა რაინდებმაც. 1200 წლის განმავლობაში გაერნიანი ბარონები რამდენჯერმე შეიკრიბნენ ბჭობაზე და ჯვაროსანთა ლაშქრობის ხელმძღვანელად აირჩიეს გრაფი ტიბო, ხოლო მის ერთ-ერთ მრჩეველად—თვით ჟოფრუა ვილარდუენი.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის მიმართულების შეცვლა

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის მიზანი თავდაპირველად იერუსალიმის დაბრუნება იყო. მისმა მონაწილეებმა წინა ლაშქრობათა გამოცდილებანი გაითვალისწინეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ ლაშქრობების თავდაპირველი მარშრუტი, რომელიც ბალკანეთზე უნდა წარმართულიყო უმთავრესად სახმელეთო გზით, არ იყო ხელსაყრელი; ჯერ ერთი, იგი გრძელ მანძილს მოიცავდა და, გარდა ამისა, სასმელი წყალი საკმაო რაოდენობით არ მოიპოვებოდა. ლაშქრობა კი მხოლოდ ზაფხულში შეიძლებოდა. ამ მიმართულებით უფრო მეტი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ზაფხულის პაპანაქება სიცხეში აბჯარ-მუზარადებითა და ჩაფხუტებით სვლა პირდაპირ აუტანელი იყო. ამას თან სდევდა გადამდები სნეულებანი, რის გამოც ნადგურდებოდა ჯვაროსნების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე მათ მიერ წარმოებული ბრძოლის დროს.

მიიღეს რა მხედველობაში ყოველივე ეს, ჯვაროსნებმა გადაწყვიტეს სხვა მიმართულებით წასულიყვნენ. ახალი ლაშქრობის მარშრუტად მათ აირჩიეს სამხრეთ იტალიიდან პირდაპირ ეგვიპტეში გადასვლა და მისი დაპყრობა. ეგვიპტის ხელში ჩაგდება ჯვაროსნებს საკუთრებით დააკმაყოფილებდა სურსათ-სანოვაგით. გარდა ამისა, ჯვაროსნები ეგვიპტის ხელში ჩაგდებით კარგ სტრატეგიულ ადგილს დაიკავებდნენ — იერუსალიმში მყოფ მუსლიმებს გვერდიდან შემოუვლიდნენ სამხრეთის მიმართულებით.

ზემოხსენებული მიმართულებით სვლა, თავის მხრივ, გულისხმობდა ჯვაროსნების ეგვიპტეში გადასვლას ზღვით, ჯვაროსნებს კი საკუთარი საზღვაო ფლოტი არ გააჩნდათ. ამ საკითხზე თათბირების ჩატარების შემდეგ ჯვაროსნებმა გადაწყვიტეს დახმარებისათვის მიმართათ ვენეციისათვის, რომელსაც ყველაზე ძლიერი საზღვაო ფლოტი ჰქონდა. ვენეციაზე არჩევანის შეჩერება იმანაც განსაზღვრა, რომ გენუასა და პიზას შორის ამ დროს სისხლისმღვრელი ბრძოლა წარმოებდა და მათ ჯვაროსნებისათვის რაიმე დახმარების გაწევა არ შეეძლოთ. 1201 წლის თებერვალს ვენეციის დოჟთან ენრიკო დანდოლო-

სთან ჯვაროსნებმა მოსალაპარაკებლად გაგზავნეს თავიანთი ექვსი ელჩი, მათ შორის შამპანის მარშალი ჟოფრუა ვილარდუენი, აძ ლაშქრობის ცნობილი ისტორიკოსი.

90 წლის მოხუცი ენრიკო დანდოლო თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, იგი აღსავსე იყო ენერგიით და გაბედულად მოქმედებდა. უსინათლო დანდოლო ყველაფერში კარგად ერკვეოდა, მეტად რთულ საერთაშორისო ვითარებაში იგი ყველაზე სწორად მოქმედებდა. დანდოლო კონსტანტინოპოლს ვენეციისათვის ყველაზე საშიშ მოქიშპედ მიიჩნევდა, ამიტომ ელოდა ხელსაყრელ მომენტს მისი განადგურებისათვის, მით უფრო, რომ ბიზანტიამ ვენეციის ხარჯზე კონსტანტინოპოლში უფრო მეტი სავაჭრო პრივილეგიები პიზელებს მიაკუთვნა.

იმ ეპოქის მოღვაწე ნიკიტა ხონიატე თავისი „ისტორიის“ მესამე წიგნში წერდა: „ვენეციელები, რომელთაც მხედველობაში ჰქონდათ ბერძნებთან ძველად დადებული ხელშეკრულებანი, შეურაცხყოფილნი იყვნენ იმით, რომ მათი პრივილეგიები ამჟამად პიზელებს მიენიჭათ და რამდენადაც ისინი გვშორდებიან ჩვენ, ყოველ ნაბიჯზე ჩვენდამი იჩენენ მტრულ დამოკიდებულებას. ეს მათ მოიმოქმედეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ალექსიმ (ალექსი III) ანგარებიანი მოსაზრებით არ მოისურვა გადაეხადა მათთვის 200 მინა ოქრო, რომელიც... იმპერატორ მანუილს უნდა მიეცა. უფრო მეტი ბოროტებასურდა ჩვენთვის ვენეციის დოჟს ენრიკო დანდოლოს, რომელიც ბრმა და სიბერისაგან გაწამებული იყო. მას აშკარად სძულდა ბერძნები და მტრობდა მათ; იგი ცბიერი და იმდენად თავხედი ადამიანი იყო, რომ თავისი თავი ბრძენთაბრძენად მიაჩნდა და პატივმოყვარეობაში ყველას აჯობებდა. ის სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებდა, თუ ბერძნების მიერ თავისი მოქალაქეების შეურაცხყოფას სამაგიეროს გადახდით ვერ უპასუხებდა. დანდოლო განუწყვეტლივ იხსენებდა ყველა იმ უბედურებას, რაც მისმა თვისტომებმა განიცადეს ბიზანტიაში ანგელოსების მმართველობის და ანდრონიკესა და მანულის დროს“.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ენრიკო დანდოლო მოისურვებდა ჯვაროსნების გამოყენებას ბიზანტიის წინააღმდეგ, ამით იგი მოსპობდა ბიზანტიას და თავის მძლავრ მოქიშპე კონსტანტინოპოლს მსოფლიო ვაჭრობის სფეროში საბოლოოდ გაანადგურებდა. მარქსის თქმით, „...მან გადაწყვიტა ჯვაროსნული სიტუტუციდან სავაჭრო ოპერაცია მოეწყო“[1]. ცხადია, ამ შემთხვევაში ჯვაროსანთა მიზანი ეგვიპტეზე ლაშქრობისა და იერუსალიმის აღებისა დანდოლოს არ აწყობდა. ეს

[1] К. Маркс, Хронологические выписки, I, იხ. «Архив Маркса и Энгельса», т. V, 1938, გვ. 194.

დანდოლოსათვის მეორე მხრითაც მიუღებელი იყო. მანამდე ვენეცია გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ეგვიპტესთან, რომლის დაპყრობა ჯვაროსანთა გეგმაში პირველ პლანზე იყო წამოყენებული. ვენეცია ეგვიპტესთან ვაჭრობით უდიდეს მოგებას ღებულობდა. ასეთი მოგების დაკარგვა „ქრისტეს საფლავის დახსნისათვის“ ვენეციას სულაც არ ესაჭიროებოდა. ჯვაროსანთა გეგმა ვენეციისათვის მიუღებელი იყო მით უფრო, რომ ცოტა უფრო ადრე, ვიდრე ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა დაიწყებოდა, ვენეციელები მუსლიმების ჯარებს საომარი იარაღითა და სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ.

ჯვაროსნებისათვის დახმარების გაწევაზე უარის თქმაც დანდოლოს მიზანშეუწონლად მიაჩნდა; არა მარტო იმიტომ, რომ მას ჯვაროსნების გამოყენება სურდა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ. არამედ იმიტომაც, რომ ამ ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის ყველაზე მდიდარი ბარონები, რომელთაც არაფერი არ ენანებოდათ დასახული მიზნის მისაღწევად, მაშასადამე, მათგან უამრავი თანხების მიღება შეიძლებოდა. აი, როგორ გადმოგვცემს ვილარდუენი დანდოლოს პასუხს ჯვაროსანთა მოთხოვნაზე: „ბატონებო, — თქვა დოჟმა, — ახლა გაგაცნობთ იმ გადაწყვეტილებას. რომელიც მივიღეთ იმ პირობით, თუ შევძელით დავიყოლიოთ ჩვენი დიდი საბჭო და სახალხო კრება მის დამტკიცებაზე, ხოლო თქვენ მოითათბირეთ, რათა განიხილოთ, შეძლებთ თუ არა მის (ჩვენი გადაწყვეტილების) შესრულებასა და დამტკიცებას. ჩვენ ავაგებთ გემებს 4500 ცხენისა და 9000 საჭურველმტვირთველის გადაყვანისათვის, ხოლო ხომალდებით გადავიყვანთ 4500 რაინდს და 20000 ქვეითს: და ყველა ეს ცხენი და ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება სურსათ-სანოვაგით ცხრა თვის განმავლობაში. აი რას გავაკეთებთ იმ პირობით, თუ [თითოეულ] ცხენზე თქვენ გადაგვიხდით ოთხ მარკას, ხოლო [თითოეულ] კაცზე — ორ-ორს... ზემოაღნიშნული ხარჯის საერთო ჯამი 85000 მარკას შეადგენს.

აი, რას მოვიმოქმედებთ ამას გარდა: ჩვენ დავუმატებთ კიდევ 50 გალერას... იმ პირობით, რომ სანამ ჩვენი კავშირი ძალაში დარჩება, ყველა იმ ნადავლიდან, რომელსაც ხელთ ჩავიგდებთ მიწებით თუ ფულით, ხმელეთზე თუ ზღვაზე, ნახევარი გვერგება ჩვენ, მეორე ნახევარი თქვენ. ახლა მოითათბირეთ, რათა განიხილოთ, შეძლებთ თუ არა ამის შესრულებასა და დამტკიცებას“.

85 ათასი ვერცხლის მარკა იმ დროისათვის ძალიან დიდ თანხას წარმოადგენდა (მარკა — ნახევარი გირვანქა ვერცხლი), მიუხედავად ამისა, ჯვაროსანთა წარმომადგენელნი ყოველგვარი შევაჭრების გარეშე დათანხმდნენ და 1201 წლის აპრილის დამდეგს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ზემოხსენებული თანხა უნდა

გადაეხადათ ოთხ ვადაში, ხოლო მთლიანად ვალი დაიფარებოდა 1202 წლის აპრილის დამლევს. ჯვაროსანთა ელჩებმა ქალაქ ვენეციაში ძლიერძლიერობით ისესხეს ხუთი ათასი მარკა და გადასცეს დოჟს გემების ასაგებად, თვითონ კი (სანამ გემების აგება დამთავრდებოდა) სამშობლოში დაბრუნდნენ. იმავე 1201 წლის 8 მაისს პაპმა დაამტკიცა ჯვაროსანთა ელჩების მიერ ვენეციასთან დადებული ხელშეკრულება.

ამასობაში, ვენეციიდან ჯვაროსანთა ელჩების დაბრუნების შემდეგ, 1201 წლის მაისში ჯვაროსანთა ლაშქრობის ხელმძღვანელი, შამპანის გრაფი ტიბო მოულოდნელად გარდაიცვალა. მის ადგილზე ლაშქრობის ხელმძღვანელად დააყენეს იტალიელი მარკიზი ბონიფაციუს (იტალიურად — ბონიფაციო, ბონიფაჩო) მონფერატელი. აღსანიშნავია, რომ ბონიფაციუსის ძმა კონრად მონფერატელი უფრო ადრე დიდ როლს ასრულებდა როგორც ბიზანტიაში, ისე ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის ჟამს, როდესაც მოკლული იქნა. ამავე დროს ბონიფაციუსი იყო გერმანიის მეფის ფრიდრიხ ბარბაროსას ვაჟის ფილიპე შვაბელის ნათესავიც და მოკავშირეც. ამიტომ ფილიპემ ყველაფერი იღონა, რათა იგი აერჩიათ ჯვაროსანთა ბელადად.

დანდოლო ფიქრობდა, რომ ჯვაროსნები თავიანთ დიდ დავალიანებას ვერ გადაიხდიდნენ და იძულებულნი გახდებოდნენ მის ნებასურვილს დამორჩილებოდნენ. ამით ვენეციელები ისარგებლებდნენ. შეცვლიდნენ ჯვაროსანთა ლაშქრობის მიმართულებას და კონსტანტინოპოლის დასაპყრობად წარმართავდნენ მას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, დანდოლოს ეს იმედი გამართლდა, რასაც არანაკლებ შეუწყო ხელი თვით ბიზანტიაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. 1195 წელს ალექსი III ანგელოსმა თავისი ძმა, ბიზანტიის იმპერატორი ისაკ მეორე ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დათხარა და თვითონ გახდა იმპერატორი (1195 — 1203). ამასთან, მან ისაკი და მისი შვილი ალექსი სატუსაღოში გამოამწყვდია. 1201 წლის ივნისის ბოლოს თუ ივლისის დასაწყისში უფლისწული ალექსი სატუსაღოდან გაიქცა. იგი გერმანიაში გადავიდა თავის სიძესთან, ფილიპე შვაბელთან (გერმანიის მბრძანებელი, „რომის საღმრთო“ იმპერატორის ჰაინრიხ VI-ის ძმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ისაკ II ანგელოსის ასული და უფლისწული ალექსის და ირინე) დახმარების სათხოვნელად. ფილიპე თავის მხრივ დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ლაშქრობის ახალ ხელმძღვანელს ბონიფაციუსს და სთხოვა დახმარების გაწევა უფლისწული ალექსისათვის.

1202 წლის გაზაფხულზე ჯვაროსნებმა დაიწყეს თავმოყრა ვენეციაში ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობის დასაწყებად, ვენეციელებმა

განზრახ მიუჩინეს ჯვაროსნებს თავმოსაყრელ ადგილად ვენეციის მახლობლად მცირედ დასახლებული პატარა კუნძული ლიდო, სადაც სურსათის განზრახ ცუდი მიწოდების წყალობით, შექმნეს ხელოვნური შიმშილი, რათა გაჭირვებულ ჯვაროსნებს უფრო მორჩილად მიეღოთ ვენეციელთა ყველა წინადადება. ამასთანავე ვინაიდან გამოირკვა, რომ შეპირებული თანხიდან (85000 მარკა) ჯვაროსნებმა ვერ გადაიხადეს ნაწილი — 34000 მარკა, ამით ისარგებლა დანდოლომ და მოსთხოვა ჯვაროსნებს, რომ თავიანთი დავალიანების დასაფარავად ვენეციისათვის დაეპყრო ქ. ზარა (ზადარი), რომელიც ძლიერი კონკურენტი იყო ვენეციისა; აღსანიშნავია ისიც, რომ ადრიატიკის ზღვაზე მოთარეშე მეკობრენი, რომელნიც ძალიან აფერხებდნენ ვენეციელთა ვაჭრობას, თავშესაფარს პოულობდნენ ზარაში. ეს ქალაქი დალმაციაში მდებარეობდა და იმ ხანად უნგრეთს მიეკუთვნებოდა. ზარა კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა და დანდოლო ფიქრობდა, რომ ამ ქალაქის აღების შემდეგ ჯვაროსანთა მიმართულების შეცვლა უფრო ადვილი გახდებოდა, რადგან ზარადან კონსტანტინოპოლამდე დიდი მანძილი აღარ იყო.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის მსვლელობა

ჯვაროსნები დანდოლოს წინადადებაზე დათანხმდნენ. მხოლოდ მათი მცირედი ნაწილი, პროტესტის ნიშნად, სამშობლოში გაბრუნდა. 1202 წლის ოქტომბრის დამდეგს ვენეციელთა დიდი ფლოტი, შემდგარი 72 გალერისა და 140 სატვირთო ხომალდისაგან, რომელთაც სურსათთან ერთად მიჰქონდათ საალყო მანქანები, გავიდა ვენეციიდან. მან ბრძოლით შეაღწია 11 ნოემბერს ზარას ჩაკეტილ ნავსადგურში. ხუთდღიანი იერიშის შემდეგ, 24 ნოემბერს ჯვაროსნებმა ბრძოლებით დაიკავეს ზარა. ამ ბრძოლების მონაწილე ვილარდუენი წერს: „თითქმის არ იყო ქუჩა, რომელზეც არ წარმოებულიყო დიდი ბრძოლა მახვილებით, მშვილდებითა და შუბებით... მრავალი ადამიანი დაჭრილი და მოკლული აღმოჩნდა... ეს იყო ყველაზე დიდი უბედურებათაგანი, რომელიც ოდესმე შემთხვევია ჯარს... და კინაღამ აქ მთელი არმია დაიღუპა“. ზარას მოსახლეობა, რომელმაც ასეთი მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია დამპყრობლებს, ქრისტიანული სარწმუნოების მატარებელი იყო. ამგვარად, ჯვაროსნები ისლამის მიმდევართ კი არ ეომებოდნენ, არამედ ერთმორწმუნეებს. ამ გარემოებას რომ საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება არ გამოეწვია რომის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, ინოკენტი მესამე თავის მიმართვაში მოჩვენებით გმობდა ჯვაროსანთა საქციელს. იგი წერდა: „თუმცა ზარას მაცხოვრებლებმა ქალაქის კედლებთან ჯვარცმა გამოიტანეს, ჯვაროსნები

ჯვარცმულ ქრისტეს ბილწავდნენ. მათ ძალდატანებით აიძულეს, რომ ქალაქი ჩაბარებულიყო“.

ზარას აღება ჯვაროსნების მიერ გვიან შემოდგომით მოხდა. ზამთრის მოახლოების გამო ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელი იყო, ამიტომ ჯვაროსნები საზამთროდ ზარაში დაბანაკდნენ. აქ 1203 წლის დამდეგს ჯვაროსნებთან გამოცხადდნენ ფილიპე შვაბელის ელჩები და მათთან ერთად ალექსი უფლისწულის რწმუნებულნი. ალექსისა და ფილიპე შვაბელის წარმომადგენლებმა დახმარების აღმოჩენისათვის ჯვაროსნებს შესთავაზეს შემდეგი პირობები: 1. თუ მოხერხდებოდა ისაკ მეორის ხელმეორედ აყვანა ტახტზე, ის ბიზანტიის ეკლესიას რომს დაუქვემდებარებდა. 2. ჯვაროსნების სასარგებლოდ ბიზანტიის იმპერატორი გაიღებდა 200 ათას ვერცხლის მარკას და 3. ჯვაროსანთა ლაშქრობას დაეხმარებოდა იერუსალიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ დაპირებათა შემდეგ ბონიფაციუსი, ბოდუენი, გრაფი ლუი და ჯვაროსანთა სხვა ხელმძღვანელები ენრიკო დანდოლოს მოეთათბირნენ, რის შემდეგ ისაკის შვილის, ალექსისათვის დახმარების აღმოჩენაზე დათანხმდნენ. 1203 წლის აპრილში ჯვაროსანთა ლაშქარი კუნძულ კორფუზე გადავიდა, სადაც მათ ბანაკში გამოცხადდა უფლისწული ალექსი და პირადად მოაწერა ხელი მის და გერმანიის მეფის რწმუნებულთა მიერ ზარასთან დადებულ ხელშეკრულებას. 24 მაისს ვენეციელთა ფლოტი გავიდა ზღვაში, ჯვაროსნებმა მთელი თვე მოგზაურობას მოანდომეს. ისინი თავდაპირველად ბოსფორის აზიურ ნაპირზე გადასხდნენ. აქ (სკუტარიში) იმპერატორ ალექსი მესამის ელჩი გამოცხადდა, რომელმაც ჯვაროსნებს დახმარება შესთავაზა „ურწმუნოებთან ბრძოლის საქმეში“, მაგრამ ჯვაროსნებმა მოითხოვეს ალექსი მესამის დაუყოვნებლივ გადადგომა ტახტიდან და მისი ძმის, ისაკის ხელახალი გამეფება. ცხადი იყო, რომ ჯვაროსნებს ომი უნდა დაეწყოთ ბიზანტიელების წინააღმდეგ. თავის მხრივ, იმპერატორს არავითარი სამზადისი არ ჰქონდა ჩატარებული თავდაცვისათვის. ბიზანტიის მშრომელი მოსახლეობა, შევიწროებული იმპერატორის მოხელეთაგან და გაღატაკებული უზომო საგადასახადო ტვირთით, სრულიადაც არ იყო მტერთან ბრძოლის მოსურნე; სახელმწიფო ხაზინა გაჩანაგებული იყო მოხელეთა პარპაშით, ფლოტი სრულიად უვარგის მდგომარეობაში იყო, სახმელეთო ჯარი — მცირერიცხოვანი და, მცირედი გამონაკლისით, გამოუსადეგარი ბრძოლისათვის. კონსტანტინოპოლის მთავარი დამცველები იყვნენ დაქირავებული ჩრდილოელი „ვარიაგები“ (ვარანგები — ინგლისელები, დანელები და სხვ.) და ვენეციელთა ძველი მოქიშპენი — პიზელი კოლონისტები.

ჯვაროსნების იერიშებს ბიზანტიაში დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. 5 ივლისს ჯვაროსნებმა დაიწყეს კონსტანტინოპოლის გარეუბნის პერას იერიში. მეორე დღეს დანდოლოს სარდლობით ვენეციელთა ფლოტმა შეაღწია ნავსადგურში. მათ სწრაფად დაიკავეს კონსტანტინოპოლის მნიშვნელოვანი ადგილები. მოსალოდნელი იყო ქალაქის მთლიანი დაცემა. 1203 წლის 17 ივლისს ღამით იმპერატორი ალექსი მესამე თავისი ხაზინით კონსტანტინოპოლიდან გაიქცა. 18 ივლისს დილაადრიან სამეფო ტახტზე კვლავ სატუსაღოდან გამოშვებული ბრმა ისაკ მეორე დასვეს. გამეფებისთანავე ისაკმა დაამტკიცა მისი ვაჟის მიერ ჯვაროსნებთან დადებული ხელშეკრულება. 1 აგვისტოს უფლისწული ალექსი, ჯვაროსანთა ბელადების თანხლებით, ზეიმით შევიდა კონსტანტინოპოლში და იგი აკურთხეს ისაკის თანამმართველად ალექსი IV-ის სახელით. ახლა ჯვაროსნებმა მოითხოვეს უფლისწულ ალექსის მიერ დაპირებული თანხები. ისაკმა და ალექსი IV-მ შეძლეს გადახდა მხოლოდ შეპირებული თანხის ნახევრისა, 100000 მარკისა, რაც შეკრიბეს გამოძალვების, კონფისკაციებისა და ახალი მძიმე გადასახადების გაწერის მეშვეობით. ასე ამგვარად, უბადრუკმა მბრძანებლებმა ვერ დააკმაყოფილეს ხარბი ჯვაროსნები და აღაშფოთეს ბიზანტიელები. აგვისტოს დამლევს ჯვაროსან მძარცველთა ერთმა ჯგუფმა ცეცხლი წაუკიდა მუსლიმთა მეჩეთს. ცეცხლი გავრცელდა და გაანადგურა ქალაქის ნახევარი. ამან აავსო ბიზანტიელთა მოთმინების ფიალა. 1204 წლის იანვრის დამლევს კონსტანტინოპოლში ამბოხება დაიწყო. ისაკი მოულოდნელად გარდაიცვალა. იმპერატორად ანგელოსების ნათესავი დიდმოხელე ალექსი დუკა „მურზუფლოსი“ (ე. ი. „წარბშეკრული“) გამოცხადდა. მან საპყრობილეში ჩაამწყვდია და დაჯხრჩობინა ალექსი IV, შემდეგ წინადადება მისცა ჯვაროსნებს 8 დღის განმავლობაში დაეტოვებინათ ბიზანტიის მიწა-წყალი. ომი განახლდა. 1204 წლის 12 აპრილს ქალაქი დაეცა. მურზუფლოსი გაიქცა. მეორე დღეს ჯვაროსნები ქალაქში შეიჭრნენ.

ნიკიტა ხონიატე წერს, რომ კონსტანტინოპოლის მოსახლეობა, რომელიც საკუთარი ბედის ანაბრად დარჩენილიყო, ლათინების დასახვედრად ჯვრებითა და ქრისტეს ხატებით გამოვიდა, როგორც ეს მიღებულია საზეიმო და სადღესასწაულო შემთხვევებში; „მაგრამ არც ამ სანახაობამ მოალბო ლათინთა გული... მათ არ დაინდეს არა მარტო კერძო ქონება, არამედ, იშიშვლეს რა მახვილები, ღვთის წმინდა სამლოცველოებიც გაძარცვეს...“ ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლის უბნებს ცეცხლი წაუკიდეს და მატერიალური კულტურის ძეგლები გადაწვეს.

ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის გაძარცვის შესახებ ვილარდუენი დამატებით გადმოგვცემს: „ხოლო სხვები (იმათ გარდა, ვინც გართული იყო სასახლეების ქონების დატაცებით) გაიფანტნენ ქალაქში და დაიწყეს ნადავლის შეგროვება; ნადავლი კი ისე დიდი იყო, რომ ვერავინ ვერ დაგიდგენდათ დატაცებული ოქროს, ვერცხლის, ჭურჭლეულობის, ძვირფასი ქვების, ხავერდის, აბრეშუმის ქსოვილების, ბეწვის ტანსაცმლისა და სხვა საგნების ზუსტ ღირებულებას. ეოფრუა ვილარდუენი, შამპანის მარშალი, სინდისითა და ჭეშმარიტებით გიდასტურებთ თქვენ, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში არასოდეს ერთ ქალაქში არავის არ მოუპოვებია ამდენი ნადავლი“.

კონსტანტინოპოლი ჯვაროსნების მიერ აღებულ იქნა 1204 წლის 13 აპრილს. ამის შემდეგ ბიზანტიის ტერიტორიის უდიდესი ნაწილიც მათ ბატონობაში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ჯვაროსნებმა მიივიწყეს ყოველგვარი იერუსალიმები და ქრისტეს საფლავი. ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შესწავლა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ამ ლაშქრობიდან უფრო ცხადი ხდება ჯვაროსანთა ლაშქრობების ნამდვილი მიზანი და მათი მტაცებლური ხასიათი. ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობამ სავსებით ნათელყო, რომ ევროპელთა აგრესია აღმოსავლეთის მიმართ განისაზღვრებოდა არა „ქრისტიანული სარწმუნოების დაცვით“, არამედ ახალ-ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა და მათი სიმდიდრის დატაცების სურვილით.

„ლათინთა იმპერიის“ დაარსება და მისი დაცემა

როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლის დაცემით მოისპო ბიზანტიის იმპერია და „ლათინთა იმპერია“ დაარსდა. ჯვაროსანთა ამ ახალმა სახელმწიფომ ასეთი სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ ჯვაროსანთა უმრავლესობის ოფიციალურ ენად ჯერ კიდევ ლათინური ენა ითვლებოდა, რის გამოც აღმოსავლეთში ყველა ევროპელს „ლათინებს“ უწოდებდნენ. ამ ახალი სამეფოს იმპერატორად არჩეულ იქნა ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბოდუენ ფლანდრელი. ლათინთა იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოთხი სამფლობელოსაგან შედგებოდა: 1. საკუთრივ ლათინთა იმპერია — სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლით, 2. თესალონიკის სამეფო, რომლის მბრძანებლადაც იქცა ჯვაროსანთა მთავარი ბელადი ბონიფაციუს მონფერატელი, 3. აქაის სამთავრო (პელოპონესში) და 4. ათენ-თებეს საჰერცოგო. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, იყოფოდა ცალკეულ საგრაფოებად და სენიორიებად.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობით ყველაზე უფრო ვენეციელებმა ისარგებლეს ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლზე იერიშების მიტანამდე,—

როგორც თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ შენიშნავს მარქსი,— „1204 წლის მარტი: ახალი ხელშეკრულება ვენეციელებისა ჯვაროსან რეგვენებთან, რომელნიც უწყალოდ მოატყუეს და რომელნიც თავიანთ გაუთლელ თავადებთან ერთად მხოლოდ იარაღს წარმოადგენდნენ ამ ვაჭრუკანების (Geldmacher) ხელში“[1]. მთელი ბიზანტიის მიწა-წყლის 3/8 დანდოლოს განკარგულებაში აღმოჩნდა. ვენეციამ მიიღო კონსტანტინოპოლის ერთი ნაწილი, იონიისა და კიკლადების კუნძულების ნაწილი, პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, გალიპოლი, ზოგიერთი მიწა ალბანეთში, შემდეგ კუნძული კრეტა და სხვ.

ვენეციელებმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებებიც მიიღეს. იმპერატორთან დაარსებულ იქნა საბჭო, რომელშიც შედიოდა ვენეციის პოდესტა თავისი ექვსი მრჩევლით. ეს საბჭო ადგენდა შეიარაღებული ძალების მოწვევის ვადას და წყვეტდა თავდაცვის მნიშვნელოვან საკითხებს. იგივე საბჭო განსაზღვრავდა იმპერატორის უფლებებს მხსვილი ფეოდალების სასარგებლოდ. ამგვარად, ლათინთა იმპერიის მართვა-გამგებლობის საქმეშიც ვენეციელები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ყოფილი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე, გარდა ლათინთა იმპერიისა, არაჯვაროსნული ცენტრებიც წარმოიშვა. ჯერ კიდევ იმაზე ადრე, ვიდრე ჯვაროსნების შეტევა დაიწყებოდა კონსტანტინოპოლზე, ქ. ტრაპიზონი და მისი მიდამოები, რომელთა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველური მოდგმის ტომები შეადგენდნენ, განკერძოების ტენდენციას ამჟღავნებდნენ. ბიზანტიის იმპერიის დაშლის შედეგად ტრაპიზონმა, თამარ მეფის ჩარევით, დამოუკიდებლობა მოიპოვა და „ტრაპიზონის იმპერიად“ გადაიქცა. იქ ტახტზე დასვეს საქართველოს მეფის ნათესავი ალექსი კომნინოსი (ანდრონიკეს შვილიშვილი). ეს იმპერია საქართველოს ვასალურ (ყმადნაფიც) სახელმწიფოს წარმოადგენდა. ტრაპიზონის იმპერია კარგა ხანს არსებობდა. იგი ოსმალთა მიერ დაპყრობილ იქნა მხოლოდ 1461 წელს. გარდა ამისა, დამოუკიდებელ იმპერიად გამოცხადდა, აგრეთვე, ნიკეა, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა. 1261 წელს, ბიზანტიის აღდგენის შედეგად, იგი ბიზანტიას შეუერთდა. მესამე ბერძნულ ცენტრს ეპირის დესპოტატი წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი 1468 წელს საბოლოოდ ოსმალებმა დაიპყრეს.

ჯვაროსანმა დამპყრობლებმა ბიზანტიელ ფეოდალ-არხონტებს მიწები არ ჩამოართვეს. დასავლეთ ევროპის ლენური სისტემის საფუ-

---

[1] К. Маркс, Хронологические выписки, I, об. «Архив Маркса и Энгельса», т. V, 1938, გვ. 197.

ძველზე ჯვაროსნებმა თავიანთ ვასალებს გაუნაწილეს ის მიწები, რომლებიც მანამდე ბიზანტიის იმპერატორის სახელმწიფო მიწებს წარმოადგენდა. დამპყრობლებს გადაეცათ აგრეთვე გაქცეული ბიზანტიელი ფეოდალების მიწები. დამპყრობელთა შორის მიწების განაწილება ტარდებოდა ფეოდალური იერარქიის მიხედვით: ვინც ლათინთა იმპერატორის უშუალო ვასალს წარმოადგენდა, ლენების უმრავლესობასაც ის ღებულობდა. ამგვარად, ლენები (6-დან 200-მდე) ფეოდალს ეძლეოდა იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ საფეხურზე იდგა ფეოდალური იერარქიის თვალსაზრისით.

ლათინთა იმპერიაში დიდი იყო ფეოდალთა იმუნიტეტური უფლებები. იმპერატორის არც ერთ მოხელეს არ ჰქონდა უფლება ფეოდალებისადმი დაქვემდებარებული ყმა გლეხების საქმეებში ჩარევისა. ევროპელმა დამპყრობლებმა ბიზანტიელი ყმების მდგომარეობა უფრო გააუარესეს. ლათინური იმპერიის ფეოდალებს დიდი უფლებები მიენიჭათ თავიანთი ყმების მიმართ: პირველნი უკანასკნელთა ქონებას ისე განაგებდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ.

ჯვაროსნებმა დიდი სიმკაცრე გამოიჩინეს უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატაციის საკითხშიც. ცდილობდნენ რა მოკლე დროში გამდიდრებას და შემდეგ თავიანთ სამშობლოში დაბრუნებას, ისინი გლეხობას უმოწყალოდ აჩანაგებდნენ. ეს გარემოება, თავის მხრივ, კლასობრივი ბრძოლების გამწვავებას იწვევდა. ლათინთა იმპერიის სხვადასხვა ნაწილში ეწყობოდა გლეხთა გამოსვლები და აჯანყებანი. ამასთან, ჯვაროსნებს უხდებოდათ ხშირი ბრძოლა მეზობლად მყოფი ბულგარეთის მეორე სამეფოსთან, რომელიც XI საუკუნის ბოლოს წარმოიშვა.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ნიკეის იმპერია წარმოიშვა ბიზანტიის იმპერიის დაშლის შედეგად. ნიკეაში არსებულმა ეკონომიკურმა პირობებმა და მისი მესვეურების სწორმა პოლიტიკამ მოკლე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გააძლიერა იგი, განსაკუთრებით იოანე III ვატაცისის მმართველობის ხანაში (1222—1255). მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ აღნიშნავდა: „1222—1255 ვ ა ტ ა ც ი-ს ი (იოანე): უკანასკნელ წელს შინაგან მდგომარეობას ამტკიცებს თავის ნიკეის სახელმწიფოსას, სადაც მალე უდიდესი კეთილდღეობა მყარდება, მაშინ როცა მ ე ზ ო ბ ლ ა დ მ ყ ო ფ თ უ რ ქ უ ლ მ ი წ ა-წ უ ა ლ ზ ე გაბატონებულია უდიდესი გაჭირვება... მ ი ს ი გარდაცვალების მომენტში ნ ი კ ე ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ოდესმე ლ ა თ ი ნ თ ა (სახელმწიფო) ყოფილა; მისი მემკვიდრე, მისი შვილი თ ე ო დ ო რ ე ლ ა ს კ ა რ ი ს ი II გახდა.

ვატიკანის დროს ნიკეა ბერძნული პატრიოტიზმის ცენტრად გადაიქცა"[1].

XIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში გამწვავდა ბრძოლა იტალიის ქალაქებს — გენუასა და ვენეციას შორის. გენუა ვერ ითმენდა თავისი კონკურენტის — ვენეციის გაძლიერებას ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შემდეგ. ამ მდგომარეობით (ვენეციისა და გენუის წინააღმდეგობით) მოხერხებულად ისარგებლა ნიკეას იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგოსმა. მან გენუასთან სამხედრო კავშირი შეკრა და გენუელების საზღვაო ფლოტის დახმარებით ომი წამოიწყო ლათინთა იმპერიის წინააღმდეგ. ლათინთა ბატონობით განაწამები ბერძნები მიხეილ პალეოლოგოსის მხარეზე გადავიდნენ. ეს ომი ჯვაროსანთა სრული კრახით დამთავრდა. 1261 წელს მოისპო ჯვაროსანთა ბატონობა და ბიზანტიის იმპერია კვლავ აღდგა. მაგრამ ახლად აღდგენილი ბიზანტიის იმპერია აღარ იყო პირველხარისხოვანი სახელმწიფო. იგი ტერიტორიულადაც და პოლიტიკური მნიშვნელობითაც ძველი ბიზანტიის იმპერიის აჩრდილსღა წარმოადგენდა. ჯვაროსანთა მიერ მისთვის მიყენებული ჭრილობა ბიზანტიამ ვეღარასოდეს ვეღარ მოიშუშა.

§ 5. ჯვაროსანთა შემდგომი ლაშქრობანი და ლაშქრობათა შედეგები

ევროპელი ბავშვების მონაწილეობა ჯვაროსანთა ლაშქრობაში

ვიდრე გადავიდოდეთ ჯვაროსანთა შემდგომი ლაშქრობების განხილვაზე, საჭიროა ზოგადად მაინც შევჩერდეთ ჯვაროსანთა იმ მოძრაობაზე, რომელიც წამოწყებულ იქნა ევროპაში ბავშვების მიერ და რომელიც წინ უძღოდა ჯვაროსანთა V ლაშქრობას. მეორე და მესამე ლაშქრობის მარცხით დამთავრების შემდეგ საფრანგეთში გაავრცელეს სულელური ხმა იმის შესახებ, თითქოს ევროპელთა მარცხი ამ ლაშქრობებში გამოწვეული იყო იმით, რომ ქრისტეს საფლავის განთავისუფლების საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ მოზრდილი ადამიანები, რომელთაც თავიანთ ცხოვრებაში დიდი რაოდენობით ცოდვები ჰქონდათ ჩადენილი. ცნობილია, რომ კათოლიკური მოძღვრების თანახმად, ყველა სრულასაკოვანი ამა თუ იმ ცოდვის მატარებელია. ამის გამო ღმერთმა თითქოს არ მოისურვა ცოდვილი ადამიანების მიერ ქრისტეს საფლავის დახსნა და ჯვაროსნებს ხელი არ შეუწყო წარმატებათა მოპოვების საქმეში. მაშასადამე, საჭიროა ქრისტეს საფლავის დასახსნელად წავიდნენ უცოდველნი, ესე იგი ბავშვები.

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, გვ. 205—206.

ეტყობა, ამ ხანებში უპატრონო ბავშვთა რიცხვი და, საერთოდ, ღარიბების შვილთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. 1212 წელს საფრანგეთში გამოჩნდა ყმაწვილი მწყემსი, სახელად ეტიენი, რომელიც თავის თავს ღვთის მიერ გამოგზავნილად თვლიდა ქრისტეს საფლავის განთავისუფლების საქმეში. მან ქადაგება დაიწყო ბავშვებში, რასაც მნიშვნელოვანი წარმატება მოჰყვა. ბავშვებს მოზრდილებიც უერთდებოდნენ. მალე 30 ათასამდე ბავშვი და მოზრდილი ყოველგვარი მნიშვნელოვანი შეიარაღების გარეშე დაიძრა იმ იმედით, რომ მათ წმინდა საქმეში ღვთაებრივი ძალა დაეხმარებოდათ. მიუხედავად მეფე ფილიპ-ოგიუსტის მიერ ამ წამოწყების აკრძალვისა, ისინი სამხრეთის მიმართულებით მარსელისაკენ გაემართნენ. მარსელში ხომალდების მეპატრონეებმა — მონებით მოვაჭრე ორმა ვაჭარმა ისინი ვითომდა პალესტინისაკენ წაიყვანეს. ქარიშხლის გამო ბავშვების ნაწილი გზაში დაიღუპა, ხოლო გადარჩენილები გადაიყვანეს ეგვიპტეში და იქ მუსლიმებს მონებად მიჰყიდეს.

დაახლოებით ამავე ხანებში შამის წაქეზებით გერმანიაში ანალოგიურ ქადაგებას ეწეოდა 10 წლის ბავშვი ნიკოლაუსი. როგორც შემდეგ გამოირკვა, მამამისი მონებით ვაჭრობას მისდევდა. ნიკოლაუსმა 20 ათასამდე ბავშვი შეაგროვა და გასწია სამხრეთ იტალიისაკენ. აქ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისინი დააკავეს და უკან, სამშობლოში გაგზავნეს, მაგრამ უკან დაბრუნებისას ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. ამგვარად, ზემოაღნიშნული ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობანი, რაგინდ ღვთისნიერი სამოსელითაც არ უნდა ყოფილიყო შენიღბული, პირველ ყოვლისა, მიწიერი ზრახვებით იყო გამსჭვალული.

ჯვაროსანთა მომდევნო ლაშქრობანი

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის მომდევნო ლაშქრობებს არ მიუღია მასობრივი ხასიათი. მათ თავიანთი შემადგენლობითა და შედეგებით არ ჰქონიათ დიდი მნიშვნელობა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მეხუთე ლაშქრობის დაწყებამდე ძირითადად თითქმის მოისპო ის მიზეზები, რომლებმაც თავდაპირველად აამოძრავა ევროპის მოსახლეობის ესა თუ ის ფენა. XIII საუკუნის დასაწყისისათვის საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ ევროპის სოფლის მეურნეობა შედარებით წინ წასწია. ქალაქური ხელოსნობის განვითარებამ მოსახლეობის უფრო მეტი რაოდენობა მიიზიდა ქალაქებში. ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის შედეგად შეეწყო ხელი აღმოსავლეთთან სავაჭრო კავშირის განმტკიცებას. გარდა ამისა, რაინდე-

ბის ცალკეული ჯგუფები ახლა არჩევდნენ ლაშქრობის მოწყობას ესპანეთსა და ბალტიისპირეთში, რადგან აღმოსავლეთში უკვე გაძლიერებულ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ.

ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა, რომელიც მოიცავს 1217—1221 წლებს, მიზნად ისახავდა მეოთხე ლაშქრობის პირვანდელი გეგმის შესრულებას, ესე იგი ჯვაროსნები ეგვიპტეში უნდა გადასულიყვნენ, ვინაიდან ეგვიპტის სულთნის ხელთ იყო იერუსალიმი და ამ ქალაქის ხელში ჩაგდება მათ უფრო შესაძლებლად მიაჩნდათ ეგვიპტის დამარცხების შემდეგ. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს გერმანელებმა, უნგრელებმა, იტალიელებმა, ფრანგებმა და სხვ., აგრეთვე იერუსალიმის სამეფოს რაინდებმა თავიანთი მეფის ჟან ბრიენელის მეთაურობით. როგორც იქნა, ჯვაროსნებმა 1219 წლის ნოემბრის დამდეგს პაპის ლეგატის პელაგიუსის მეთაურობით ბრძოლებით აიღეს ქ. დამიეტა, რომელიც ნილოსის დელტას კეტავდა და „ეგვიპტის გასაღებად" ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ წარუმატებლობის გამო იძულებულნი ვახდნენ დაეტოვებინათ მდინარე ნილოსის მიდამოები და 1221 წლის შემოდგომაზე უკან დაბრუნებულიყვნენ. ამ ლაშქრობის მარცხით დამთავრება, პირველ ყოვლისა, უნდა აიხსნას ჯვაროსანთა შორის არსებული უთანხმოებით და მოწინააღმდეგის გაძლიერებით.

ჯვაროსანთა მეექვსე ლაშქრობა (1228—1229) ფრიდრიხ ბარბაროსას შვილიშვილმა ფრიდრიხ II შტაუფენმა წამოიწყო. მანამდე ფრიდრიხ II რომის პაპთან — გრიგოლ IX-სთან მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა, რის გამოც იგი პაპმა ეკლესიიდან განკვეთა. გასაგებია, რომ ფრიდრიხ მეორის ხელმძღვანელობით მოწყობილი ჯვაროსნული ლაშქრობა პაპისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. მართლაც, პაპი შეეცადა ლაშქრობისათვის ხელი შეეშალა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფრიდრიხმა ამ ლაშქრობაში ერთგვარი წარმატება მოიპოვა. მან ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ეგვიპტის სულთანი ალ-ქამილი (სალადინის ძმისწული) დაკავებული აღმოჩნდა შინაგანი ბრძოლებით, რის გამოც სულთანს არ შეეძლო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის. იგი დათმობაზე წავიდა და 1229 წლის თებერვალში დადო სულთანთან ათწლიანი საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალით ფრიდრიხმა მიიღო ქალაქი იერუსალიმი, ბეთლეემი ნაზარეთი და რიგი სხვა ადგილებისა, რომლებზედაც გადიოდა გზა აკრიდან იერუსალიმამდე. ამგვარად, ფრიდრიხ მეორემ იერუსალიმი უბრძოლველად აიღო, თან რამდენიმე პუნქტიც დაიკავა. იმავე წლის მარტში ფრიდრიხი შებრძანდა იერუსალიმში და, ვინაიდან სამღვდელოებამ არ ისურვა ეკლესიიდან განკვეთილი ფრიდრიხის გვირგვინკურთხევა, მან თვითონ დაიდგა თავზე ქრისტეს საფლავის ტაძარში იერუსალიმის მეფის გვირგვინი.

ფრიდრიხ მეორემ მაინც ვერ ისარგებლა მოპოვებული წარმატებებით. რადგან პაპმა გადაწყვიტა ფრიდრიხი ტახტიდან გადაეყენებინა და „რომის საღმრთო“ იმპერატორის ტახტზე ისეთი პიროვნება დაესვა, რომელიც პაპის ერთგული და მორჩილი იქნებოდა. ფრიდრიხის ლაშქრობაში ყოფნისას პაპმა კიდევაც წამოიწყო ბრძოლა. მან სამხრეთ იტალიაში, რომელიც შედიოდა ფრიდრიხის კუთვნილ სიცილიის სამეფოში, ჯარი გაგზავნა იერუსალიმის ყოფილი მეფის და ფრიდრიხის მიერ იქიდან გამოძეებული ჟან ბრიენელის მეთაურობით. ფრიდრიხი იძულებული გახდა დაეტოვებინა აღმოსავლეთი და უკან დაბრუნებულიყო. ფრიდრიხის უკან წასვლის შემდეგ ჯვაროსნებში უთანხმოება დაიწყო. 1244 წელს მუსლიმებმა იერუსალიმი კვლავ ხელთ იგდეს, ამჟამად უკვე საბოლოოდ.

ორი უკანასკნელი (მეშვიდე და მერვე) ლაშქრობა საფრანგეთის მეფე ლუი IX-მ წამოიწყო. ფრანგებს სურდათ გაბატონებულიყვნენ ჩრდილოეთ აფრიკაში. ჯვაროსანთა მეშვიდე ლაშქრობა 1248 წლიდან 1254 წლამდე გრძელდებოდა. სამხედრო ოპერაციები კვლავ ეგვიპტის ტერიტორიაზე გრძელდებოდა. მაგრამ ეს ლაშქრობაც მარცხით დამთავრდა. თვით ლუი IX ტყვედ ჩავარდა, რის გამოც იგი იძულებული იყო უამრავი თანხა დაეხარჯა თავის გამოსასყიდად.

1270 წელს ლუი IX-მ გადაწყვიტა ახალი (მერვე) ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა, მაგრამ მის მოწოდებას ბევრი არ გამოეხმაურა. შეიარაღებული ძალების დანაკლისი რომ შეევსო, მეფე რაინდებს ფულით ქირაობდა. ეს ლაშქრობა ამჯერად ტუნისის საწინააღმდეგოდ წარიმართა. ტუნისში ყოფნისას ჯვაროსნებში გავრცელდა გადამდები სენი, რის გამოც ამოწყდა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი და თვით ლუი IX-ც ამ სენმა იმსხვერპლა. დანარჩენები იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

ამის შემდეგ პაპები კვლავ მოუწოდებდნენ ხალხს ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის მოწყობისაკენ, აწარმოებდნენ სახსრების შეგროვებას, ატარებდნენ სხვა მოსამზადებელ ღონისძიებებს, მაგრამ მოწოდებას აღარავინ ეხმაურებოდა და ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობაც აღარ ეწყობოდა. ამგვარად, სირიაში დარჩენილი ჯვაროსანთა კოლონიები ევროპიდან ვეღარ ღებულობდნენ დამხმარე ძალებს, მარტო თვითონ კი არ შეეძლოთ ისლამის მიმდევართა გახშირებული იერიშების უკუგდება, რის გამოც ჯვაროსნები ზედიზედ კარგავდნენ ქალაქებსა და გამაგრებულ პუნქტებს. 1268 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ანტიოქია, 1239 წელს — ტრიპოლი, 1291 წელს — თავიანთი უკანასკნელი დასაყრდენი აღმოსავლეთში — აკრა.

ტერიტორიული შენაძენებისა და სამხედრო ექსპედიციების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ჯვაროსანთა ლაშქრობები სრული კრახით დამთავრდა. ევროპელებმა აღმოსავლეთში ვერც ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ვერ შეინარჩუნეს. ამ მხრივ ორი საუკუნის მანძილზე წარმოებული „უგუნური ჭიდილი", რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ფუჭი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჯვაროსანთა ლაშქრობებმა ევროპის შემდგომი განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჯვაროსნულ ლაშქრობათა შედეგად განადგურებულ იქნა არაბებისა და ბიზანტიის მონოპოლია აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში და მის ნაცვლად იტალიის, სამხრეთ საფრანგეთისა და კატალონიის ქალაქების ჰეგემონია დამყარდა. ამ ლაშქრობათა შედეგად ევროპა უფრო მეტად დაუახლოვდა აღმოსავლეთს და მისი ვაჭრობა ლევანტთან უფრო გაცხოველდა.

დასავლეთიდან სირია-პალესტინის სანაპიროებისაკენ მიჰქონდათ საომარი იარაღი, მაუდი, ხორბალი, გაჰყავდათ ცხენები და სხვ., ხოლო სირიიდან ეზიდებოდნენ ხილს, ღვინოს, შაქარს, ბამბას, აბრეშუმს და სხვ. მაგრამ ევროპისათვის უფრო საჭირო იყო აღმოსავლური საწელებლები, საღებავები და ა. შ. განთქმული ამბარი მოჰქონდათ არაბეთიდან. ბალზამით ცნობილი იყო ეგვიპტე, მიხაკის დიდი რაოდენობა მოლუკის კუნძულებზე მოიპოვებოდა. კოშა ინდოეთიდან მოჰქონდათ, ხოლო დარიჩინი — ჩინეთიდან და ცეილონიდან. საუკეთესო საკმეველი კიპროსსა და მცირე აზიაში მზადდებოდა, ხოლო კარგი მუშკი — ტიბეტში. ზაფრანა და შაქრის ლერწამი მოიპოვებოდა სამხრეთ ევროპასა და პალესტინაში, მაგრამ უკეთესი ხარისხისა მოჰქონდათ ირანიდან და ეგვიპტიდან. არაბეთიდან ეზიდებოდნენ, აგრეთვე, გუნდრუკს. ინდიგო გავრცელებული იყო ქაბულის მახლობლად და ირანში, ხოლო ქაფური — ჩინეთში და სუმატრაზე.

აღმოსავლეთთან დაახლოებით ევროპა მის კულტურას გაეცნო, რის შედეგადაც აღმოსავლეთის გამოცდილება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გადმოიტანა. თუმცა აღმოსავლური კულტურა მანამდეც იჭრებოდა ევროპაში კუნძულ სიცილიასა და, განსაკუთრებით, კორდოვას სახალიფოს მეშვეობით, მაგრამ დასავლეთ ევროპაზე აღმოსავლური კულტურის უფრო ეფექტური გავლენა იწყება ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ამ დროიდან ხდება ევროპის სოფლის მეურნეობის კულტურათა გამდიდრება. ევროპაში ვრცელდება სიმინდი, საზამთრო, გარგარი, ლიმონი, ქუნჯუთი და სხვ. ამავე დროს ფართო ხმარებაში შემოდის შაქარი, რომელიც შაქრის ლერწმისაგან მიიღებოდა.

გარკვეული შედეგი მოჰყვა ტექნიკის განვითარებას. ფიქრობენ, რომ ევროპელებმა ქარის წისქვილები სირიიდან გადმოიღეს. ფეოდალურ ჯარებში დაიწყეს არბალეტის გამოყენება, დაფისა და ნაღარის ხმარება. ჯვაროსანთა ლაშქრობის ხანაში გამოყენებულ იქნა კომპასი, რამაც გაუმჯობესა ზღვაოსნობის ტექნიკური პირობები. ამავე დროს ფართოდ გავრცელდა იალქნიანი გემების გამოყენება. ერთი სიტყვით, ეს იყო ახალი პერიოდის დასაწყისი ზღვაოსნობისა და სამხედრო საქმის განვითარებაში.

თავი XIV

საფრანგეთი XII—XIII საუკუნეებში

§ 1. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პირობათა წარმოქმნა

მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი

ფეოდალური საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბების ეტაპზე, ესე იგი XI საუკუნეში, ფეოდალური კლასი უზრუნველყოფილად თვლიდა თავის ბატონობას უშუალო მწარმოებლებზე, რადგან გლეხობის დიდი უმრავლესობა ამ ხანებში დაყმევებული აღმოჩნდა. ასეთ პირობებში უკვე ზედმეტი იყო ძლიერი სამეფო ხელისუფლების არსებობა, მით უფრო, რომ იგი გულისხმობდა მსხვილი ფეოდალების პოლიტიკურ პრივილეგიათა ერთგვარ შეზღუდვას. პირიქით, განდიდებული ფეოდალი თვითონ მიილტვოდა თავის სამფლობელოში (სენიორიაში) ყოვლისშემძლე მბრძანებლად გახდომისაკენ. სრული იმუნიტეტის მოპოვება ფეოდალის სამფლობელოს ყოველმხრივ კარჩაკეტილს ხდიდა. მეფის მოხელეებს ფეოდალის თანხმობის გარეშე აკრძალული ჰქონდათ მის სამფლობელოში რაიმე საქმის წარმოება. ფეოდალი თავის სამფლობელოში მეფედ თვლიდა თავს და ზოგჯერ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგაც კი ილაშქრებდა. ამგვარად, XI საუკუნეში ცენტრიდანული ძალები ფეოდალურ სამყაროში განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევდნენ, რის შედეგადაც იზრდებოდა ფეოდალური ანარქია და ქვეყნის პოლიტიკური შესუსტება.

საწარმოო ძალების განვითარების შედეგად, ვიდრე მოხდებოდა ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან და ვიდრე ამის შედეგად წარმოიქმნებოდა ფეოდალური ქალაქები, თვითკმარი ფეოდალური მამულები ერთიმეორისაგან მოწყვეტილი იყო და წარმოადგენდა სამეფოში გაფანტულ დამოუკიდებელ ერთეულებს, რომელთა შორის გაწყვეტილი იყო თითქმის ყოველგვარი ეკონომიკური კავშირი. ვაჭრობა და, საერთოდ, აღებ-მიცემა სუსტი იყო და მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდა იმდროინდელ კარჩაკეტილ ყოფა-ცხოვრებაზე. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში დასუსტებული სამეფო ხელისუფლე-

ბა ვერ იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების გადამწყვეტი ძალა.

XII საუკუნიდან დაწყებული, ფეოდალიზმის განვითარების ახალ ეტაპზე მოხდა მთელი რიგი ცვლილებანი. ქალაქების წარმოშობითა და განვითარებით, ჯერ ერთი, ასე თუ ისე შეირყა ფეოდალური ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობა და, მეორეც, ფეოდალურმა ქალაქებმა გამძაფრებული ბრძოლები დაიწყეს თავიანთ სენიორებთან. ამ ორმა გარემოებამ, როგორც საფრანგეთი, ისე დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოები მოაქცია განვითარების ახალ ეტაპზე, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში.

საქალაქო ხელოსნობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მოქალაქეთა მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, მეორე მხრივ კი, სოფლად იზრდებოდა მოთხოვნილება ქალაქურ ნაწარმზე. ამგვარად, ახლად ჩასახული მარტივი სასაქონლო მეურნეობის განვითარებას სულ უფრო და უფრო მეტი გასაქანი ეძლეოდა. ეკონომიკური კავშირი შესამჩნევი ხდებოდა არა მარტო საფრანგეთის ქალაქებს შორის, არამედ ქალაქებსა და სოფლებს შორისაც. ხელოსნური წარმოების განვითარებამ გააფართოვა ვაჭრობა, რასაც არანაკლებ შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყებამ ფრანგებს შესაძლებლობა მისცა შეექმნათ ვაჭრობისათვის დასაყრდენი პუნქტები აღმოსავლეთში.

ევროპიდან აღმოსავლეთში მაუდის გატანის ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო პუნქტად ქ. მარსელი გადაიქცა. მარნის შალონიდან მარსელში თეთრსა და ყავისფერ მაუდს ეზიდებოდნენ, ხოლო მუქი ფერის მაუდი აღმოსავლეთში გასაგზავნად აქ სენ-კანტენიდან, არასიდან, რუანიდან, ლილიდან და შარტრიდან შემოჰქონდათ. სელის ტილოს ნაწარმი შემოჰქონდათ შამპანიიდან, უმთავრესად რეიმსიდან. სამხრეთ საფრანგეთიდან აღმოსავლურ ქვეყნებში გაჰქონდათ ლიმონები (ტყვია, კალა და სხვ.), ზოგჯერ გადამუშავებული ტყავეულობა და საკვები პროდუქტები, ხოლო სამხრეთ საფრანგეთში შეჰქონდათ აღმოსავლური სანელებლები, საღებავები, შაქარი და სხვ.

XII საუკუნის დასაწყისიდან, ოფრო კი XIII საუკუნეში, უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის ბაზრობებმა შამპანში. აქ განუწყვეტლივ ხვდებოდნენ ერთმანეთს ევროპელი ვაჭრები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამ ხანებში გაცხოველებული და ხალხმრავალი ბაზრობებით თვალსაჩინოდ დასტურდებოდა საფრანგეთის საშინაო ვაჭრობის ქსელის გაფართოება.

საფრანგეთის ქალაქების ეკონომიკური გაძლიერება თავდაპირველად ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა ფეოდალ-სენიორებისა-

თვის იმ გაგებით, რომ ისინი ექსპლუატაციას უწევდნენ გამდიდრებულ ქალაქებს, მაგრამ იგივე გარემოება (ქალაქების ეკონომიკური გაძლიერება) XII საუკუნეში ფეოდალ-სენიორებისათვის გადაქცა მათი ქალაქებზე ბატონობის ძირგამომთხრელ მოვლენად. ეკონომიკურად გაძლიერებულმა ქალაქებმა ახლა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებაც მოისურვეს და დაიწყეს ბრძოლა თავიანთი სენიორების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებით მათ კიდეც მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

ქალაქების მიერ კომუნის უფლებათა მოსაპოვებლად წარმოებულმა ბრძოლამ არა მარტო შეარყია ფეოდალების ბატონობა, არამედ შექმნა პირობები იმისათვის, რომ გაძლიერებულიყო სამეფო ხელისუფლება. ვიდრე ქალაქები ეკონომიკურად გაძლიერდებოდნენ, სამეფო ხელისუფლებას მსხვილი მაგნატების დამორჩილების საქმეში მტკიცე სოციალური დასაყრდენი არ გააჩნდა. ახლა კი გაძლიერებული ქალაქები, რომლებიც თავიანთი სენიორების წინააღმდეგ იბრძოდნენ და დაინტერესებულნი იყვნენ ერთიანი საშინაო ბაზრის შექმნით, საიმედო მოკავშირენი ხდებოდნენ მეფის ხელისუფლებისა, რომელიც. თავის მხრივ, არანაკლებ იყო დაინტერესებული ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებით.

ამგვარად, ქალაქების მოქმედება პროგრესული და რევოლუციური იყო. ფ. ენგელსი წერდა: „ყველა რევოლუციური ელემენტი, რომელიც ფეოდალიზმის ზედაპირზე იქმნებოდა, ისევე მიისწრაფოდა სამეფო ხელისუფლებისაკენ, როგორც სამეფო ხელისუფლება მათკენ. კავშირი მეფის ხელისუფლებასა და ბიურგერობას შორის X საუკუნით თარიღდება. მართალია, ეს კავშირი ხშირად წყდებოდა კონფლიქტების გამო, — ხომ მართალია, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში განვითარება განუწყვეტლად ერთი მიმართულებით არ მიდიოდა, მაგრამ იგი სულ მუდამ ახლდებოდა და ამასთან უფრო მტკიცე, უფრო ძლიერი ხდებოდა, ვიდრე მან გადამწყვეტი გამარჯვება არ მოუტანა სამეფო ხელისუფლებას, რომელმაც მადლობის ნიშნად თავისი მოკავშირე დაიმონა და გაძარცვა“ [1].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ვაჭრობის გაფართოებასთან და ქალაქური ნაწარმის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდებოდა აგრეთვე ფეოდალთა მოთხოვნილება საუკეთესოდ დამზადებულ ტანსაცმელზე, ფუფუნების საგნებზე, ქალაქებში უკეთესად დამზადებულ საომარ იარაღებზე და სხვ. ყოველივე ამის შესაძენად საჭირო იყო ფული, ეს კი ფეოდალს შეეძლო მიეღო თავისი ყმებისაგან. ამას მოჰ-

---

[1] ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ, იხ. მისი „გლეხთა ომი გერმანიაში“, თბ., 1965, გვ. 190.

ყვა კომუტაცია, ესე იგი გლეხების ნატურალურ ვალდებულებათა შეცვლა ფულადი რენტით. XIII საუკუნეში ყმა გლეხების ვალდებულებანი და სხვადასხვა გამოსაღების მეტი წილი გადაყვანილ იქნა ფულზე. ვილანი, როგორც ბატონის მიწის მფლობელი, ვალდებული იყო გაეღო ფულადი ცენზი. ფულით უნდა გადაეხადა მას მინდი, პურის გამოსაცხობი გამოსაღები და სხვ. ფულადი რენტის ზრდა, თავის მხრივ, ნიშნავდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეჭრას სოფლის მეურნეობაში და უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის გადიდებას.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის დასაწყისში ექსპლუატაციით გაწამებული გლეხობა აძლიერებს კლასობრივ ბრძოლებს ფეოდალების წინააღმდეგ. იგი მიმართავს კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვაგვარ ფორმას, პირველ ყოვლისა, ხდება ყმების დასახლებული ადგილებიდან აყრა. გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი გარბოდა და თავს აფარებდა ქალაქებს, სადაც იგი თავისუფლდებოდა ფეოდალებზე პირადად დამოკიდებულებისაგან. გლეხობის მეორე ნაწილი ღებულობდა მონაწილეობას ჯვაროსანთა ლაშქრობაში და მიდიოდა აღმოსავლეთისაკენ.

რაც შეეხება ადგილზე დარჩენილ გლეხობას, იგი თავის კლასობრივ უკმაყოფილებას შეთქმულებებში და ამბოხებებში ავლენდა. საქმე ხშირად შეიარაღებულ აჯანყებამდეც მიდიოდა. აჯანყებული გლეხები წვავდნენ და ანადგურებდნენ არა მარტო საერო ფეოდალების მამულებსა და სახლ-კარს, არამედ სასულიერო ფეოდალების მეურნეობებსაც. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელთა წინააღმდეგ გლეხების გამოსვლა უფრო ძლიერი და ხშირი იყო, რადგან ეკლესია უფრო მეტ ექსპლუატაციას უწევდა უშუალო მწარმოებლებს.

გლეხთა ერთ-ერთი მძლავრი მღელვარება საფრანგეთში მოხდა 1251 წელს. საფრანგეთის მეფის, ლუი IX-ის ტყვედ ჩავარდნამ ეგვიპტის სულთნის ხელში, დიდი გამოხმაურება პოვა ჩრდილოეთ საფრანგეთში, რასაც გლეხთა მძლავრი მღელვარება მოჰყვა. გლეხების გამოსვლებმა თავდაპირველად ჯვაროსნული ელფერი მიიღო, მაგრამ მალე გამოირკვა ამ აჯანყების ანტიფეოდალური ხასიათი. აჯანყების ხელმძღვანელი, ვინმე ჟაკი „მწყემს ბიჭებს“ (ასე უწოდებდნენ აჯანყებულნი თავიანთ თავს) მოუწოდებდა ანგარიში გაესწორებინათ მღვდლებთან და ფეოდალებთან.

ფლანდრიიდან და პიკარდიიდან აჯანყებული გლეხები პარიზისაკენ წავიდნენ. ისინი გზაში შემხვედრ კათოლიკური ეკლესიის მსახურთ კლავდნენ და მათ ქონებას ანადგურებდნენ. ქალაქების ხელოსნებისა და მათი მოსახლეობის დაბალი ფენების დახმარებით აჯანყებულებმა რიგი ქალაქებისა აიღეს და ბოლოს პარიზში შევიდნენ, სადაც გაუს-

წორდნენ სამღვდელოებას, ისევე, როგორც სხვა ადგილებში უსწორ-დებოდნენ. პარიზიდან ისინი ორლეანში წავიდნენ, იქაც დაარბიეს სამღვდელოება, ხოლო შემდეგ — ტურში, სადაც თავს დაესხნენ დო-მინიკანელთა და ფრანცისკანელთა ორდენებს, ბოლოს, როგორც იქ-ნა, ფეოდალებმა და სამეფო საბჭომ ეს აჯანყებაც სისხლში ჩააბშე'ს.

თავიდანვე აშკარა გახდა, რომ განვითარებული, ანუ კლასიკური ფეოდალიზმის ხანაში, როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალებ'ს აღარ შეეძლოთ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუ-ნება ქვეყნის მმართველობის იმ ფორმებით, რომლებიც ძველად არ-სებობდა და ახლად შექმნილ ვითარებას ვეღარ უპასუხებდა. უძლური სამეფო ხელისუფლება მათ ვეღარ აღმოუჩენდა ჯეროვან დახმარებას უშუალო მწარმოებელთა შემდგომი დამორჩილების საქმეში. ეს სა-შიშროება კარგად გაითვალისწინა კათოლიკურმა ეკლესიამ და იგი მალე საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების მხარეზე გადავიდა. სამე-ფო ხელისუფლების გაძლიერების აუცილებლობა საერო ფეოდალე-ბის ერთმა ნაწილმაც შეიგნო, ოღონდ ფრანგი ფეოდალების ზედაფენას უძნელდებოდა თავისი პრივილეგიების ნაწილის დაკარგ-ვა, რაც აუცილებელი პირობა იყო ცენტრალური სამეფო ხელისუფ-ლების გაძლიერებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, როცა ლაპარაკია ფეოდალებზე, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ კლასობრივი ბრძოლების გამწვავების პირო-ბებში, დაბალი და წვრილი ფეოდალები შედარებით მეტ ინიციატივას ავლენდნენ სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეში. ეს აიხს-ნება, ერთი მხრივ იმით, რომ გლეხების დამორჩილება წვრილი ფეო-დალებისათვის უფრო ძნელი ხდებოდა, ვიდრე მსხვილი ფეოდალები-სთვის და, მაშასადამე, სამეფო ხელისუფლების დახმარება მათ უფრო მეტად სჭირდებოდათ. მეორე მხრივ, მსხვილი ფეოდალები სისტემატურად ახდენდნენ წვრილი ფეოდალების მიწების მიტაცებას და, ამდენად, წვრილი ფეოდალები ამ შემთხვევაშიც საჭიროებდნენ მფარველობას სამეფო ხელისუფლებისაგან.

საფრანგეთის პოლიტიკური გაერთიანების დასაწყისი

საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გზა გაუკაფეს სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეს. XII საუკუნის დასაწყისი იყო აგრეთვე საფრანგეთის პოლი-ტიკური გაერთიანების დასაწყისი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვ-ნელობა ჰქონდა ფილიპე პირველის შვილის, ლუი მეექვსის მეფობას (1108—1137). ამ მეფისათვის თავიდანვე ცხადი გახდა, რომ თუ მას სურდა საფრანგეთის პოლიტიკური გაერთიანება, ჯერ საკუთარ, სამე-ფო დომენში მყოფი ფეოდალები უნდა მოეყვანა მორჩილებაში და

შემდეგ ეფიქრა სხვებზე. ლუი მეექვსემ ეს ამოცანა ძირითადად გადაწყვიტა.

თუ საფრანგეთის მეფის დომენი, ილ-დე-ფრანსი, ჰიუგ კაპეტის დროს ტერიტორიულადაც და ეკონომიკურადაც უმნიშვნელო იყო, XII საუკუნის დასაწყისისათვის, როცა გაცხოველდა აღებ-მიცემა და ვაჭრობა, მეფის დომენის გეოგრაფიულმა მდებარეობამ თავისი უპირატესობა გამოავლინა. მდინარე სენაზე მდებარე პარიზი და მდინარე ლუარაზე მდებარე ორლეანი მალე ვაჭრობის ცენტრებად გადაიქცა, რამაც მათი ეკონომიკური მნიშვნელობა დიდად გაზარდა. სამეფო ხელისუფლებას ამიერიდან ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ეკონომიკური დასაყრდენი გაუჩნდა მეფის დომენში მყოფი მსხვილი ფეოდალების მორჩილებაში მოსაყვანად.

აღნიშნული დროის ჩრდილოეთი საფრანგეთი, სადაც სამეფო დომენი მდებარეობდა, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამხრეთ საფრანგეთს. ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალების ბარბაროსობამ ფეოდალური ანარქია მეტად გააძლიერა. ისინი ხშირად არ ემორჩილებოდნენ თავიანთ სენიორს — მეფეს და ხშირად არაფრად თვლიდნენ ეკლესიისაგან მათ განკვეთას. გარდა ურთიერთმიხდომისა, ისინი თავს ესხმოდნენ მონასტრებს და ძარცვავდნენ მათ. საჭირო იყო მძლავრი სამეფო ხელისუფლება, რომელიც ფეოდალთა თავაშვებულობას ალაგმავდა.

ლუი VI-მ, რომელსაც მეტსახელად „სქელსაც" უწოდებდნენ და რომელიც მამის სიცოცხლეშივე გახდა მისი თანამმართველი, გადამწყვეტი ბრძოლების წარმოება დაიწყო ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში მან მოკავშირედ გაიხადა მძლავრი ეკლესია, რომლის დახმარებითაც გაანადგურა მოწინააღმდეგეთა ციხესიმაგრეები და აღკვეთა ფეოდალების თარეში თავის დომენში. ლუი VI ოცდაშვიდი წლის (1108—1135) განმავლობაში ეწეოდა ენერგიულ ბრძოლებს ილ-დე-ფრანსის, ლანის, ორლეანისა და ზოგჯერ ბურბონესა და ოვერნის ავაზაკი ფეოდალების წინააღმდეგ. მან ნორმალური მიმოსვლა აღადგინა პარიზსა და ლუარას შორის და ისიც კი მოახერხა, რომ მორჩილებაში მოიყვანა შამპანის გრაფი ტიბო III, რომელიც ბლუას და შარტრის გრაფიც იყო. ამ გრაფის პოლიტიკური სიძლიერე არაფრით ჩამოუვარდებოდა იმდროინდელი საფრანგეთის სამეფო ხელისუფლებას, მით უფრო, რომ ტიბოს მოკავშირედ მისი მახლობელი ნათესავი, ინგლისის მეფე ჰენრი I გამოდიოდა.

ეკლესიის კავშირი მეფესთან საიმედო და მყარი აღმოჩნდა. ეკლესია, ისე როგორც ყველგან, საფრანგეთშიც ერთ-ერთი მსხვილი მიწათმფლობელთაგანი იყო. ფეოდალური ანარქია და სენიორთა შორის წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლები მუდმივ საშიშროებას

უქმნიდა ეკლესიასაც. ამიტომ ჩრდილოეთ საფრანგეთის სასულიერო წოდება მეფეს ყოველმხრივ დახმარებას უწევდა წესრიგის დამყარებაში. ეკლესია თავისი მრჩევლებითაც კი ამარაგებდა სამეფო კარს. ლუი მეექვსის და მისი მემკვიდრის მეფობისას აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა აბატი სიუჟე (ლათინურად — სუგერიუსი), რომელსაც მარქსი „სამეფო ძალაუფლების აღმდგენად" თვლიდა.

სიუჟე მოხერხებული პოლიტიკოსი და ფინანსისტი იყო. იგი მხარს უჭერდა ფეოდალ-სენიორების წინააღმდეგ მებრძოლ ქალაქებსა და წვრილ ფეოდალებს. ლუი VI-ს მან ურჩია შვილისათვის ცოლად შეერთო აკვიტანიის ჰერცოგის ასული ალიენორი, რითაც აკვიტანია და იმავე ჰერცოგის კუთვნილი პუატუსა და სენტონჟის საგრაფოები და სხვა სამფლობელოები, როგორც ჰერცოგის ასულის მზითევი, შეუერთდებოდა სამეფო დომენს. ეს ასეც მოხდა, მაგრამ, როგორც დავინახავთ, აღნიშნული წამოწყება საბოლოოდ მარცხით დამთავრდა.

ამგვარად, ლუი VI-ს მეფობა დადებითი და ნაყოფიერი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ სამეფო დომენში დამყარდა ერთგვარი წესრიგი, რამაც გავლენა იქონია სამეფო დომენის შემდგომ განვითარებაზე. საფრანგეთის სხვა საჰერცოგოებისა და საგრაფოების შემოერთება სამეფო დომენთან მან ვერ მოახერხა, რადგანაც, ჯერ ერთი, საამისო ძალა მაშინ მეფეს არ შესწევდა და, გარდა ამისა, თავისი მამის, ფილიპე პირველის მსგავსად, ჯეროვნად ვერ შეაფასა ქალაქების მოძრაობის მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, საფრანგეთში ქალაქების მოძრაობა კომუნის უფლების მოსაპოვებლად დაიწყო ჯერ კიდევ ფილიპე პირველის დროს. ფილიპემ ამ მოძრაობას არ მიაქცია ყურადღება, ლუი VI კი მხოლოდ ქალაქებისაგან ფულადი შემოსავლის მიღებით დაკმაყოფილდა.

ლუი VI-ის შემდეგ გამეფდა მისი შვილი ლუი VII (1137—1180). ვიდრე გამეფდებოდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მან ცოლად შეირთო აკვიტანიის ჰერცოგის ქალიშვილი და აკვიტანიაც სამეფო დომენს შეუერთდა. მიუხედავად სიუჟეს რჩევისა — მეფე აღმოსავლეთში არ წასულიყო, უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღო ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობაში, ხოლო თავის მოადგილედ საფრანგეთში მან სიუჟე დატოვა. სიუჟემ კარგად წარმართა საქმიანობა, მაგრამ ლაშქრობაში მეფემ მარცხი განიცადა და უკან დაბრუნებისას გაეყარა თავის ცოლს ალიენორ აკვიტანელს.

მალე ალიენორი ცოლად გაჰყვა ანჟუს (ანჟუ—დასავლეთ საფრანგეთის ერთ-ერთი ოლქი) გრაფს ანრი პლანტაგენეტს (ფრანგულად გამოითქმის: პლანტაჟენე, ინგლისურად—პლენტეჯენეტ). ამგვარად, აკვიტანია, რომელიც ალიენორს ეკუთვნოდა, საფრანგეთის მეფეს ხელიდან

გამოეცალა და ანრის განკარგულებაში გადავიდა. 1154 წელს ანრი პლანტაგენეტი ინგლისის მეფე გახდა ჰენრი II-ის სახელით და საფრანგეთის ნაწილი — აკვიტანიის საჰერცოგო, მასთან დაკავშირებული მიწებითურთ, ინგლისს მიეკუთვნა. ამიერიდან საფრანგეთის ტერიტორიაზე ინგლისის მეფეს ეკუთვნოდა, ჯერ ერთი, ნორმანდია, რომელიც ინგლისს შემოუერთა უილიამ დამპყრობელმა, გარდა ამისა, ანჟუს საგრაფო, რომელიც საფრანგეთის სამეფო დომენის მეზობლად მდებარეობდა და რომელსაც, თავის მხრივ, მენისა და ტურენის საგრაფო ემორჩილებოდა და, ბოლოს, აკვიტანიის საჰერცოგო. მათი დაკარგვით საფრანგეთი მოსწყდა ზღვის სანაპიროებს. საბოლოო ანგარიშში, ინგლისის მეფეთა სამფლობელოები საფრანგეთის ტერიტორიაზე საფრანგეთის სამეფო დომენს ერთი ექვსჯერ აღემატებოდა (იხ., აგრეთვე, ქვემოთ, თავი XV, § 1).

ყოველივე ამის შემდეგ საფრანგეთის მესვეურებს მეტად ძლიერი მოწინააღმდეგენი გაუჩნდნენ ინგლისის მეფეთა სახით. საქმე იქამდე მივიდა, რომ დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა გაეერთიანებინა პოლიტიკურად დაქსაქსული საფრანგეთის სამეფო: მოხდებოდა ამ ამოცანის გადაწყვეტა ინგლისის მეფეთა მიერ, რის შედეგადაც საფრანგეთი მთლიანად დაკარგავდა თავის დამოუკიდებლობას და ინგლისს შეუერთდებოდა, თუ საფრანგეთის მეფეები გამოიჩენდნენ იმდენ უნარს, რომ თვითონ შეძლებდნენ ქვეყნის გაერთიანებას და, მაშასადამე, ინგლისელების განდევნასაც საფრანგეთის ტერიტორიიდან. ამგვარად, შეიქმნა წინააღმდეგობათა კვანძი, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ ომის წამოწყებით შეიძლებოდა.

§ 2. ბრძოლა სამეფო დომენის გაფართოებისათვის და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების დასაწყისი

ომი ინგლისთან და ჩრდილო საფრანგეთის მიწების ნაწილობრივი შემოერთება

ზემოხსენებული ამოცანის გადაწყვეტა წილად ხვდა ფილიპე II-ს, ანუ ფილიპ-ოგიუსტს (1180—1223). ფილიპე ჯერ კიდევ 14 წლისა იყო, როცა მამის თანამმართველი გახდა. მან მალე გამოამჟღავნა ნიჭი დიპლომატიურ საქმიანობაში და მოქნილი პოლიტიკის გატარებაში. მას ადვილად ეხერხებოდა თავის მოწინააღმდეგეთა ურთიერთგანცალკევება, მის წინააღმდეგ მიმართული საერთო ძალების დაშლა, ხელსაყრელი მომენტის შერჩევა და ზუსტი დარტყმების მიყენება მოწინააღმდეგისათვის. საგარეო პოლიტიკის დარგში მან წამყვან ხაზად თავიდანვე ინგლისთან ბრძოლა მიიჩნია და დაიწყო ხელსაყრელი მომენტის მოლოდინი. საგარეო პოლიტიკის ამგვარად წარმართვა საკუთარი გა-

მართლებული იყო, რადგანაც ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლო ყოვლად უნიჭო და უუნარო, ავტორიტეტს მოკლებული იყო და სუსტ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა.

საქმე დაიწყო იმით, რომ პუატუს ბარონებმა საჩივრით მიმართეს ფილიპე მეორეს თავიანთი სიუზერენის (უმაღლესი სენიორი) ჯონ უმიწაწყლოს თავხედობის გამო. ჯონი, როგორც საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარე მიწების მფლობელი, საფრანგეთის მეფის ვასალად ითვლებოდა და, ამიტომ, ვალდებული იყო საფრანგეთის მეფის კურიაზე (სასამართლოზე) გამოცხადებულიყო ახსნა-განმარტების მისაცემად, მაგრამ იგი არ გამოცხადდა. ამით ისარგებლა ფილიპემ და კურიის სხდომას თავისთვის სასარგებლო განაჩენი გამოატანინა. ამ განაჩენში ნათქვამი იყო, რომ ინგლისის მეფეს უნდა ჩამოერთვას ყველა ის მიწა, რომლებსაც დღემდე ის და მისი წინაპარნი ფლობდნენ საფრანგეთის მეფის წყალობით, რადგან ამ მიწების მფლობელნი დიდი ხნის განმავლობაში არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ვასალურ მოვალეობას.

ფილიპე მეორის მთავარ მიზანს ნორმანდიის შემოერთება წარმოადგენდა. 1202 წლის ივნისიდან მან თავისი ჯარები დაძრა ნორმანდიისაკენ. ინგლისელებთან ომმა ორ წელს გასტანა და დამთავრდა ფილიპეს გამარჯვებით 1204 წლის ივნისში. ამგვარად, ნორმანდია, „ანჟუს იმპერიის“ ყველაზე მდიდარი მხარე, საფრანგეთის სამეფო დომენს შეუერთდა. ამიერიდან კაპეტინგების სატახტო ქალაქი — პარიზი გადარჩა ინგლისელთა შემოსევების საშიშროებას და, გარდა ამისა, მოპოვებულ იქნა ზღვაზე გასასვლელი. ამ წარმატებას მალე მოჰყვა ანჟუს, მენისა და ტურენის შემოერთებაც. საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებულ იქნა აგრეთვე პუატუს ნაწილი ქალაქ პუატიესთან ერთად. ინგლისელებს კონტინენტზე დარჩათ მხოლოდ პუატუს ნაწილი და აკვიტანიის საჰერცოგო.

საფრანგეთის მეფის ძალაუფლების გაძლიერებამ მაშინვე შიში გამოიწვია მის უშუალო მეზობლებში. ჯონ უმიწაწყლომ ისარგებლა ამ მდგომარეობით და მათგან მძლავრი კოალიცია შექმნა საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ. ამ კოალიციაში მონაწილეობა მიიღეს ფლანდრიის გრაფმა, ლოტარინგიის ჰერცოგმა და გერმანიის იმპერატორმა ოტო მეოთხემ. 1214 წელს ფილიპე მეორემ თავდასხმა მოაწყო განდგომილ ფლანდრიაზე. ინგლისის ჯარები, რომელთაც პირადად ჯონ უმიწაწყლო ხელმძღვანელობდა, დაიძრნენ ფრანგების წინააღმდეგ, მაგრამ მათში მალე პანიკამ იჩინა თავი და უკან დაიხიეს. ამგვარად, ლაროშ-ო-მუანთან შეჯახების დროს (2 ივნისი) ფილიპე მეორემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა, მაგრამ ნამდვილად გადამწყვეტი ბრძოლა ბუვინთან გაიმართა.

ზემოაღნიშნულ წარმატებათა მოპოვება ფილიპეს მიერ შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ კოალიციის წევრთა შორის არ იყო ერთიანობა. ვალანსიენთან, როგორც იქნა, ერთად მოიყარეს თავი კოალიციის მონაწილეებმა. აქ შეგროვდნენ გერმანელები ოტო მეოთხის ხელმძღვანელობით, ინგლისელები, ფლანდრიის გრაფი თავისი ძალებით და ბულონის რაზმები. აქედან ერთად გასწიეს პარიზისაკენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ბუვინსა და ტურნეს შუა მდებარე ჭაობიან ველზე. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე მეორის ჯარები რიცხობრივად მოწინააღმდეგეზე ნაკლები იყო, ფრანგებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგენი. ამით ფილიპე მეორემ საბოლოოდ განამტკიცა მტერზე მოპოვებული გამარჯვება.

აღსანიშნავია, რომ ბუვინთან ბრძოლის დროს რაინდობასთან ერთად ფილიპეს მხარეზე მამაცურად იბრძოდნენ საფრანგეთის ქალაქების შეიარაღებული ძალებიც. ეს იყო პირველი შემთხვევა ხელოსანთა რაზმების მონაწილეობისა მეფის მხარეზე. აქედან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად უფრო სწორად შეაფასა ფილიპემ ქალაქებთან კავშირის მნიშვნელობა სამეფო ხელისუფლებისათვის. იგი, განსხვავებით თავის წინაპართაგან, უხვად არიგებდა კომუნის ქარტიებს, რათა ქალაქებისაგან მიეღო დამხმარე შეიარაღებული ძალები, როგორც გარეშე მტრებთან ბრძოლისათვის, ისე შიგნით ურჩი ფეოდალების დათრგუნვისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილიპე ხშირად დამოუკიდებლობას ანიჭებდა ქალაქებს არა მარტო თავის დომენში, არამედ საფრანგეთის სხვა საჰერცოგოებში და საგრაფოებშიც: 1182 წლიდან 1188 წლამდე მან კომუნა დაუწესა შომონს, პონტუაზს, პუასის, მონტრეის, ხოლო თავისი დომენის გარეთ მდებარე სანსში კომუნა ხელახლა აღადგინა; ამასთან, კომუნა დაუმტკიცა სუასონს, ნუაიონს, ბოვეს და დიჟონს. 1188 წლიდან 1197 წლამდე მან დაამტკიცა კომუნის ქარტიები ტურნესათვის, სენ-რიკიესათვის, ამიენისათვის და სხვ.

გაცემულ ქარტიათა უმრავლესობა ააშკარავებს, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა მეფე ქალაქებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებისას. ამ ქარტიებში მეფე აცხადებს, რომ ის ამას აკეთებს ქალაქების მოსახლეობის „სიყვარულის“ გამო; და მართლაც, იგი ცდილობს მოქალაქეთა გულის მოგებას, რადგან ის მათში ხედავს საიმედო დასაყრდენს. ქ. ტურნესათვის გაცემულ ქარტიაში ნათქვამია: „ყოველთვის, როცა კი ჩვენი მომსახურებისათვის გავგზავნით ჩვენი კომუნების სერჟანტებს, ტურნეს მცხოვრებლები გამოგვიგზავნიან ჩვენს სამსახურში სამას კარგად შეიარაღებულ ქვეითს, თუ ამას ჩვენ ან ჩვენი მემკვიდრენი მოვითხოვთ; თუ ჩვენ ჩვენი ჯარით არუეზში

წარვემართებით, ტურნეს კომუნა მთლიანად უნდა გამოცხადდეს ჩვენს წინაშე“

ამგვარად, ქალაქების შეიარაღებული ძალები ფილიპე მეორეს დიდ დახმარებას უწევდნენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში. დადასტურებულია ისიც, რომ ქალაქთა უმრავლესობა, რომლებმაც ფილიპესაგან კომუნის ქარტია მიიღეს, განლაგებული იყო სამეფო დომენის საზღვრებზე. ეს იყო სამეფო დომენის თავისებური თავდაცვის ხაზი, რომელსაც ქალაქების მილიცია სდარაჯობდა. ასე მაგალითად, 1188 წელს ნორმანდიის საზღვარზე მდებარე ქ. მანტის კომუნამ ინგლისელები შეაჩერა და ამით პარიზი დაცემას გადაარჩინა.

ფილიპ-ოგიუსტის ამ წარმატებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის შემდგომი განვითარებისათვის. სამეფო დომენის ტერიტორიული ზრდა და ეკონომიკური გაძლიერება განამტკიცებდა ცენტრალური სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტს. ქვეყნის თანდათანობით პოლიტიკურ კონსოლიდაციას ამიერიდან უფრო მეტი გასაქანი ეძლეოდა. ამ მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 1209 წელს ჩრდილო საფრანგეთის ფეოდალებისა და პაპი ინოკენტი III-ის მიერ წამოწყებული „ჯვაროსანთა ლაშქრობა“ მდიდარი და კულტურულად განვითარებული სამხრეთ საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული ჩრდილოეთთან და ყველაფერში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

„ჯვაროსანთა ლაშქრობა“ ალბიგოელების წინააღმდეგ და ტულუზის საგრაფოს შემოერთება სამეფო დომენთან

ტულუზის საგრაფო, ანუ ლანგედოკი უშუალოდ ხმელთაშუა ზღვასთან მდებარეობდა და ძდინარე გარონათი დაკავშირებული იყო ატლანტიკის ოკეანესთან. ლანგედოკი თავისი ქალაქებითა და მათი გაცხოველებული ვაჭრობით საფრანგეთის ყველა სხვა რაიონზე უფრო მდიდარი და კულტურული იყო. ქალაქური ყოფაცხოვრება ამ საგრაფოში განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა. პროვანსულ დიალექტზე არსებულმა პოეზიამ ტრუბადურებისამ, რომელნიც თხზავდნენ და მღეროდნენ სატრფიალო ლექსებს, აქ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. ლირიკულ პოეზიასთან ერთად დიდი გასაქანი ეძლეოდა სატირული ხასიათის სიმღერებს, რომელთაც სერვენტები ეწოდებოდათ. ამ მხრივ, თავისებური კულტურის საფუძველზე აღმოცენდა სპეციფიკური რელიგიური იდეოლოგია — ერესი (მწვალებლობა). ეს მიმდინარეობა ფეოდალურ-კათოლიკური ეკლესიის ოპოზიციაში აღმოჩნდა. მარქსის თქმით, „ე რ ე ს ი დაკავშირებული იყო აქ გაბატონებულ დიდად განვითარებულ განათლებასთან“.

ერესის მიმდევრებს ლანგედოკში, ანუ ტულუზის საგრაფოში ალბიგოელებს (ფრანგულად: ალბიჟუა) უწოდებდნენ. ამ სახელწოდებაში ერთიანდებოდნენ როგორც კატარები, ისე ვალდენსები. ერესის მიმდევარნი უმთავრესად ქალაქის მშრომელები იყვნენ, განსაკუთრებით კი ხელოსანი ფეიქრები. ისინი უარყოფდნენ მნიშვნელოვან საეკლესიო დოგმატებს, კათოლიკურ წირვა-ლოცვას, უმაღლეს კათოლიკურ სამღვდელოებას, მოითხოვდნენ საეკლესიო მეათედის აკრძალვას და სხვ. ფაქტიურად, ეს იყო მასების ანტიფეოდალური პროტესტი არა მარტო კათოლიკური ეკლესიის მიმართ, არამედ მთლიანად გაბატონებული ფეოდალური კლასის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ, აგრეთვე, ტულუზის საგრაფოს რაინდები იმ იმედით, რომ ისინი კათოლიკური ეკლესიის მიწების სეკულარიზაციის შედეგად მამულებს მიიღებდნენ სასულიერო წოდებისაგან. რაც შეეხება თვით ტულუზის გრაფს, ისიც კი მხარს უჭერდა ალბიგოელებს იმ მოსაზრებით, რომ შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა როგორც პაპისაგან, ისე სამეფო ხელისუფლებისაგან.

როგორც აღინიშნა, „ჯვაროსანთა ლაშქრობა" ტულუზის საგრაფოში ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალებმა წამოიწყეს პაპი ინოკენტი III-ის ინიციატივით 1209 წელს. უდიდესი მონასტრის — სიტოს აბატის არნოლდისა და ფანატიკოს სიმონ დე მონფორის ხელმძღვანელობით სამხრეთ საფრანგეთისაკენ დაიძრა უამრავი ხროვა „ჯვაროსნებისა", რომელნიც ცეცხლსა და მახვილს აძლევდნენ მთელ ქალაქებს; ბერების ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ამ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ, ადამიანებს შეუბრალებლად წვავდნენ კოცონზე და ფიზიკურად ანადგურებდნენ მოსახლეობას. ალბიგოელები მამაცურად უწევდნენ წინააღმდეგობას ჯვაროსანთა ურდოებს, მაგრამ, აკლდათ რა ერთიანი პოლიტიკური ორგანიზებულობა, 1213 წელს დამარცხდნენ მიურესთან.

ტულუზის საგრაფოს მიწები გადავიდა სიმონ დე მონფორის განკარგულებაში, მაგრამ 1218 წელს ლანგედოკში დაიწყო აჯანყება ჩრდილოელების წინააღმდეგ. სიმონ დე მონფორი მოკლულ იქნა. შემდეგ ჩრდილოელებმა კვლავ მოაწყვეს ლაშქრობა, მაგრამ ამჯერად ბრძოლები დიდხანს გაგრძელდა (1229 წ.) და სამხრეთის დამორჩილება მოხდა მხოლოდ მეფე ლუი VIII-ის დროს. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე მეორეს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ალბიგოელებთან ბრძოლაში (იგი მაშინ დაკავებული იყო ბრძოლით თავისი ჩრდილოელი მტრების წინააღმდეგ), ამ ლაშქრობას მაინც სამეფო ხელისუფლების გაძლიერება მოჰყვა შედეგად და იგი სამეფო ხელისუფლების ინტერესებს შეესაბამებოდა.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედში სამეფო დომენი იმდენად გაიზარდა, რომ იგი საფრანგეთის ყველაზე მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოს უკვე რამდენჯერმე აღემატებოდა.

სახელმწიფოებრივ მართვა-გამგებლობაში მომხდარი ცვლილებები

სამეფო დომენის გადიდებასთან ერთად და სამეფო ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, საჭირო გახდა სახელმწიფოებრივ აპარატში ერთგვარი ცვლილებების შეტანა. ფილიპე მეორის შემდეგ საფრანგეთის მეფეების ძიერ გატარებული სახელმწიფო აპარატის რეფორმების მიზანი იყო, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალიზებული მმართველობის შექმნა. აღნიშნული რეფორმების გატარებამდე მეფე სახელმწიფოს მართავდა სამეფო კურიის, ანუ სამეფო საბჭოს მეშვეობით. ეს საბჭო მთლიანად მსხვილი ფეოდალებისაგან შედგებოდა, რომელნიც ხშირად მეფის საწინააღმდეგოდ გამოდიოდნენ და არ ცხადდებოდნენ საბჭოს სხდომაზე. ფილიპე პირველის გამეფების შემდეგ მდგომარეობა თანდათან იცვლებოდა. ყველა საკითხის გადაწყვეტა, მეფის წყალობათა გაცემა, სასამართლო საქმეების გარჩევა და ა. შ. უფრო მეტად სასახლის მოხელეთა გამგებლობაში გადადის.

მეფეთა მიერ გაცემულ სიგელებზე 1085 წლიდან გრაფების ხელმოწერა თანდათან მცირდება და მათ ნაცვლად უფრო ხშირად ხელს აწერენ: სენეშალი, შემდეგ კონეტაბლი, შამბრიე (კამერარიუსი—მდივან-მწიგნობარი და მეჭურჭლეთუხუცესი) და სხვა დიდი მოხელეები. უკვე 1106 და 1107 წლების აქტებში ხელმოწერა და ბეჭდის დასმა მთლიანად მათ ეკუთვნით. ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ ამიერიდან გრაფებმა და ჰერცოგებმა დაკარგეს მნიშვნელობა ქვეყნის საერთო მმართველობის საქმეში და მთავარი როლი გადავიდა იმ ახალ სამეფო საბჭოზე, რომელიც ძირითადად მეფის მოხელეებისაგან შედგებოდა.

ბიუროკრატიული აპარატის სათავეში ძველად იდგა „დიდი სენეშალი", რომელიც ყოველგვარ სამეფო შემოსავალს განაგებდა. ამავე დროს სენეშალი იყო მთავარსარდალიც. ეს გარემოება სამეფო კარზე სენეშალის თანამდებობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა; გამოდიოდა, რომ ქვეყნის მართვა-გამგებლობა ფაქტიურად სენეშალის ხელში იყო. ადრე, როგორც წესი, ამ თანამდებობაზე რომელიმე მსხვილი ფეოდალი ინიშნებოდა და, რადგან მეფისათვის იგი ხშირად საიმედო

არ იყო, ამიტომ ფილიპე მეორემ სენეშალის თანამდებობა გააუქმა და მთავარსარდლობა კონეტაბლს დაავალა.

სამეფო კარზე დიდმნიშვნელოვან მოხელედ ითვლებოდა აგრეთვე კანცლერი (ლათინურად — კანცელარიუსი, ფრანგულად — შანსელიე), რომელიც სამეფო კანცელარიას განაგებდა და, გარდა ამისა, სამოსამართლო ფუნქციებსაც ასრულებდა. შემდეგ მოდიოდნენ კამერარიები, რომლებიც სასახლესა და მეფის პირად ხაზინას განაგებდნენ. ამ თანამდებობებზე მეფე ისეთ პირებს ნიშნავდა, რომლებიც მისი ერთგულნი იყვნენ. ეს მოხელენი ადგენდნენ ახალ საბჭოს, რომელიც მართვა-გამგებლობის საქმეში მეფის მითითებებსა და ნება-სურვილს ახორციელებდა. ამ საბჭოში შეყვანილ იყვნენ, აგრეთვე, იურისტები, რომელნიც წვრილსა და საშუალო რაინდობას მიეკუთვნებოდნენ, ანდა გამოსულნი იყვნენ სასულიერო წოდებიდან. მათი დიდი ნაწილი განსწავლულ პირებს წარმოადგენდა, ჰქონდა საკმაო გამოცდილება სასამართლო საქმეში და ფინანსურ საკითხებში.

სამეფო დომენი დანაწილდა ცალკე ოლქებად. თითოეულ ოლქს დაენიშნა თავისი მმართველი — პრევო, რომელიც ადრე სამეფო მამულის ხელმძღვანელს წარმოადგენდა. სამეფო ძალაუფლების გაძლიერებასთან ერთად მატულობდა პრევოს ფუნქციები. თუ თავდაპირველად მისი საპოლიციო და სამოსამართლო უფლება სამეფო მამულის ფარგლებს არ სცილდებოდა, შემდეგ იგი მთელ ოლქზე გავრცელდა. ამას ისიც დაემატა, რომ პრევო ოლქის ჯარის ხელმძღვანელიც გახდა.

როცა XII საუკუნეში სამეფო დომენი ტერიტორიულად მნიშვნელოვნად გაიზარდა, მოხდა ცალკეული ოლქების გამსხვილება. რამდენიმე საპრევოტო გაერთიანდა ერთ ერთეულად, რომელსაც ბაიაჟი ეწოდებოდა. ბაიაჟის სათავეში დაინიშნა მეფის მოხელე ბაიი, რომელსაც პრევოები ემორჩილებოდნენ. ბაიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების გაძლიერება ადგილზე. ფილიპე მეორის მემკვიდრეების ხანაში სამეფო დომენში ოცამდე საბაიაჟო მოითვლებოდა

მეფის ძალაუფლება გაძლიერდა არა მარტო სამეფო დომენში, არამედ იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა აგრეთვე ჯერ კიდევ მეფისაგან დამოუკიდებლად მყოფ სხვა სენიორებზეც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ფილიპე მეორის მეფობის უკანასკნელ ხანებში ნამდვილად დამოუკიდებელი სამთავროები საფრანგეთში ცოტაღა იყო დარჩენილი. დამოუკიდებლობა შეინარჩუნა ფლანდრიის საგრაფომ და, აგრეთვე, ბრეტანის საჰერცოგომ. მაგრამ ბურგონი და შამპანი უკვე განიცდიდნენ სამეფო ხელისუფლების მძლავრ გავლენას. მართალია, აკვიტანიაში მყოფი ინგლისური სამფლობელოებიც დამოუკიდებლო-

ბას ინარჩუნებდნენ, მაგრამ ფილიპე აქაც ცდილობდა ჩარეულიყო მათ შინაგან საქმეებში და ამით მოესპო იქ ინგლისის მეფის გავლენა.

საფრანგეთში XIII საუკუნემდე გაბატონებული იყო ფეოდალური დევიზი — „ჩემი ვასალის ვასალი არაა ჩემი ვასალი". მეფის ვასალს ვასალი არ მოემსახურებოდა მეფეს, თუ ამის ნებას მას არ დართავდა ვასალის უშუალო სენიორი. ამიტომ იყო, რომ ფილიპე მეორე ცდილობდა გაემრავლებინა თავისი უშუალო ვასალების რიცხვი იმ სამფლობელოებშიც კი, რომლებიც სამეფო დომენთან ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული. ფლანდრიის გრაფის ვასალები, რომლებიც თავიანთი უშუალო სენიორით უკმაყოფილონი იყვნენ, მეფეს მიმართავდნენ და მის წინაშე ერთგულების ფიცს დებდნენ, როგორც მეფის უშუალო ვასალები. ამგვარად, ირღვეოდა ძველი ფეოდალური დევიზი ვასალური დამოკიდებულების შესახებ, რადგან მეფის ვასალების ვასალები ამიერიდან მეფის უშუალო ვასალებად იქცეოდნენ, რითაც სამეფო ხელისუფლების გავლენა უფრო ფართოვდებოდა.

საფრანგეთის სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაცია, სამეფო დომენის ზრდა და სამეფო ხელისუფლების გავლენის გავრცელება დამოუკიდებელ საჰერცოგოებზე და საგრაფოებზე გრძელდება ლუი VIII-ს მეფობის დროსაც (1223—1226). ასე მაგალითად, თუ ფილიპე მეორე გამოსცემდა რაიმე ბრძანებას ებრაელების შესახებ, ეს ეხებოდა მხოლოდ სამეფო დომენში მცხოვრებთ. ლუი მერვემ ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადადგა, მან თავის ბრძანებაზე ხელი მოაწერინა თერთმეტ მთავარს — ჰერცოგსა და გრაფს და ცამეტ სხვა სენიორს, რითაც თავისი ბრძანება სხვა სენიორიებზეც გაავრცელა. ამ ბრძანებაში ნათქვამი იყო: „არც ერთ ჩვენთაგანს არ შეუძლია მიიღოს და თავისთან დაიტოვოს სხვისი ებრაელები... ამ დადგენილებას ძალა აქვს იმათთვის, ვინც ის ფიცით მიიღო და აგრეთვე იმათთვის, რომელთაც იგი არ დაუმტკიცებიათ ხელის მოწერით". შამპანის გრაფი არ ესწრებოდა ამ ბრძანებაზე ხელის მოწერას, მაგრამ მეფემ მასაც მოსთხოვა ბრძანების შესრულება და როცა გრაფმა უარი განაცხადა, მეფემ ოცდაოთხ სენიორთან ერთად აიძულა იგი დათანხმებულიყო.

ლუი VIII-ს მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი მხოლოდ სამ წელს გაგრძელდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამეფო დომენი ტერიტორიულად მაინც გაიზარდა. მეფემ შეძლო ინგლისელებისათვის ჩამოერთმია პუატუ, ლიმუზენი, პერიგორი და ზოგიერთი სხვა სამფლობელო საფრანგეთის ტერიტორიაზე. ერთ ხანს მან პრეტენზიაც კი განაცხადა ინგლისის სამეფო ტახტზე იმ საბაბით, რომ მისი ცოლი შვილიშვილი იყო ჰენრი II პლანტაგენეტისა, მაგრამ 1216 წელს მისი ჯარი ინგლისელებთან ბრძოლაში დამარცხდა და ეს საქმეც ჩაიშალა.

ლუი IX-ს ღონისძიებანი საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად

ლუი მერვის მეფობის შემდეგ საფრანგეთის სამეფო ტახტზე მისი მცირეწლოვანი შვილი — ლუი IX ავიდა (1226—1270), რომელსაც საფრანგეთის ეკლესიამ „წმინდანი" შეარქვა. ბუნებრივია, თერთმეტი წლის ყმაწვილს ქვეყნის მართვა-გამგეობა არ შეეძლო და ამიტომ რეგენტად მისი დედა ბლანკა კასტილიელი დაინიშნა. საფრანგეთის მსხვილი ფეოდალები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით, შეეცადნენ ესარგებლათ ხელსაყრელი მომენტით; იმ მოტივით, რომ ბლანკა უცხოელი იყო, მათ შექმნეს კოალიცია და დამხმარედ ინგლისის მეფე ჰენრი III მოიწვიეს. ამ უკანასკნელმა ორჯერ (1230 და 1242 წწ.) სცადა უკან დაებრუნებინა ინგლისის მიერ დაკარგული მიწები საფრანგეთის ტერიტორიაზე, მაგრამ მისი განზრახვა ორივეჯერ მარცხით დამთავრდა. ბლანკამ მოხერხებულად გამოიყენა ეკლესიის, ქალაქებისა და წვრილი ფეოდალების დახმარება და სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგენი.

ამგვარად, საფრანგეთის სამეფო ხელისუფლებამ არამცთუ არ განიცადა რაიმე ტერიტორიული დანაკლისი ლუი IX-ის მცირეწლოვანობის დროს, არამედ კიდეც შემოიმტკიცა ფილიპე მეორის მონაპოვარი და, ამასთან, გაზარდა სამეფო დომენი. მან დამატებით შემოიერთა მაკონის საგრაფოც. 1229 წელს მეფემ ტულუზის გრაფთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც უკანასკნელმა ყველა თავისი სამფლობელო მეფეს გადასცა. 1234 წელს დაიდო ხელშეკრულება მეფესა და ბრეტანის ჰერცოგს შორის, რომლის ძალით ჰერცოგმა მეფეს გადასცა მნიშვნელოვანი გამაგრებული ადგილები.

კაპეტინგების დინასტიის წარმომადგენლები, ეყრდნობოდნენ რა, ერთი მხრივ, წვრილსა და საშუალო ფეოდალებს, ხოლო მეორე მხრივ, ეკლესიასა და ქალაქებთან კავშირს, თანდათანობით აფართოებდნენ თავიანთ დომენს და ამტკიცებდნენ ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებას, რითაც ხელს უწყობდნენ ფეოდალური დაქსაქსულობის მოსპობას საფრანგეთში. 1242 წელს ლუი IX-მ სასტიკად ჩაახშო მსხვილი ფეოდალების ამბოხება. სამეფო ხელისუფლების შესახებ ენგელსი წერდა: „მთელი ამ არევ-დარევის დროს, სამეფო ხელისუფლება რომ პროგრესულ ელემენტს შეადგენდა, ეს სავსებით ცხადია. იგი იყო წესრიგის წარმომადგენელი ამ საყოველთაო არეულობის ხანაში, იგი იყო წარმომადგენელი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, რო-

მელიც მეამბოხე ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას უპირისპირდებოდა“ [1].

სამეფო დომენის გაფართოებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ლუი IX-ს მიერ ჩატარებული სასამართლო და ადმინისტრაციული რეფორმები. სამეფო საბჭოს გამოეყო დაწესებულება, რომელიც სასამართლო საქმეებს განაგებდა და რომელსაც პარლამენტი ეწოდებოდა. თუ ფილიპე მეორის დროს სასამართლო უწყებაში მოხელეებად რაინდები, უფრო ხშირად კი — სასულიერო წოდების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ, ლუი IX-ს დროს მასში მონაწილეობას უმთავრესად ლეგისტები ღებულობდნენ. მათი უმრავლესობა ისეთი მოქალაქეებისაგან შედგებოდა, რომლებსაც უნივერსიტეტის საშუალებით კარგად ჰქონდათ ათვისებული რომაული სამართალი. რომაული სამართლის მიხედვით სამეფო ხელისუფლების შეუზღუდაობის აუცილებლობა წინა პლანზე იყო წამოწეული და ლეგისტებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას.

ზემოაღნიშნული ფაქტით ერთხელ კიდევ დასტურდება სამეფო ხელისუფლების კავშირი ქალაქებთან. ენგელსი ამის შესახებ წერდა: „როგორც მეფეებმა, ისევე ბიურგერებმა ძლიერი მხარდაჭერა ჰპოვეს ი უ რ ი ს ტ თ ა აღმავალი წოდების სახით. რომის სამართლის ხელახლა აღმოჩენასთან ერთად დაწესდა შრომის განაწილება ხუცებსა — ფეოდალური ეპოქის იურიდიულ კონსულტანტებსა და მეცნიერ იურისტთა შორის, რომლებიც სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდნენ. ეს ახალი იურისტები, რა თქმა უნდა, თავისი არსით ბიურგერთა წოდებას ეკუთვნოდნენ; ამასთან თავისთავად ის სამართალიც, რომელსაც ისინი თვითონ სწავლობდნენ, რომელსაც სხვებს ასწავლიდნენ და რომელსაც იყენებდნენ, თავისი ხასიათით, უმთავრესად ანტიფეოდალური და, გარკვეული მხრივ, ბურჟუაზიული იყო“ [2].

ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში სასამართლოს ხაზით ფართოდ იყო გამოყენებული „ორდალები“. ეს წესი თემური წყობილების გადმონაშთს წარმოადგენდა და იმაში მდგომარეობდა, რომ დანაშაულის დადგენისათვის ბრალდებულს გარკვეული დროის განმავლობაში ხელი უნდა მოეკიდა გახურებული რკინისათვის ან მდუღარე წყლიდან ხელით უნდა ამოეღო რაიმე და თუ ხელი დაეწვოდა, იგი დამნაშავედ ცხადდებოდა. სხვა შემთხვევაში ბრალდებულს ხელებს გაუკრავდნენ და წყალში ჩააგდებდნენ, თუ იგი ჩაიძირებოდა, ეს იმის მაჩვენებელი

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ. იხ. მისი „გლეხთა ომი გერმანიაში“, თბ., 1956, გვ. 190.

[2] ი ქ ვ ე.

იყო, რომ როგორც უცოდველი, წყალმა (წყალი წმიდათაწმიდად ითვლებოდა) მიიღო და, მაშასადამე, არ იყო დამნაშავე. ორდალების სახესხვაობა, რომელმაც დროთა განმავლობაში დანარჩენები შეცვალა, ორთაბრძოლა იყო, რომელშიც გამარჯვებული მართალ კაცად ითვლებოდა.

ლუი IX-მ ორდალები გააუქმა და ბრალდების დადგენისათვის მოწმეთა დაკითხვა შემოიღო, ორთაბრძოლის აკრძალვა კი მხოლოდ სამეფო დომენში მოახერხა. სამეფო ხელისუფლებამ კერძო ხასიათის ბრძოლები მნიშვნელოვნად შეზღუდა აგრეთვე ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სამფლობელოებში. გამოქვეყნდა მეფის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ თუ რომელიმე ფეოდალი ბრძოლის წამოწყებას აპირებდა ვისიმე წინააღმდეგ, იგი ვალდებული იყო ამის შესახებ 40 დღით ადრე გაეფრთხილებინა თავისი მოწინააღმდეგე, რის შემდეგაც შეეძლო თავისი შეიარაღებული ძალებით თავს დასხმოდა მას. გასაგებია, რომ ამ ვადის განმავლობაში ბრძოლაში გამოწვეული მხარე, თუ მას მოწინააღმდეგისა ეშინოდა, მეფეს მიმართავდა დახმარებისათვის, რითაც სამეფო ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცემოდა საქმეში ჩარეულიყო და ორივე მხარე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

სამეფო სასამართლო გამოცხადდა უმაღლეს სააპელაციო სასამართლოდ მთელს სახელმწიფოში. ამიერიდან აქ შეიძლებოდა გასაჩივრება იმ განაჩენებისა, რომლებიც გამოტანილი იყო ფეოდალების სასამართლოების მიერ, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც ჯერ კიდევ შემოუერთებელი ოლქების ფეოდალებს ეკუთვნოდათ: ამ მხრივ საქმე უფრო შორსაც მიდიოდა. ფეოდალთა სასამართლოს ფუნქციები მნიშვნელოვნად შემცირდა. ყველა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ან სისხლის სამართლის საქმე („სამეფო საქმეები") — ცეცხლის წაკიდება, მკვლელობა, ქალის გატაცება, ყალბი ფულის მოჭრა და სხვ., სამეფო სასამართლოს უნდა გადასცემოდა. ფეოდალურ სასამართლოში ამ საქმეებს აღარ იხილავდნენ. ამგვარად, სასამართლო რეფორმით გაიზარდა სამეფო სასამართლოს ფუნქციები და მათი გავლენა მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა, აგრეთვე, საფინანსო დარგშიც. ლუი IX-ს გამეფებამდე საფრანგეთის მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოებში, რომლებიც ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იყვნენ, საკუთარი ფული იჭრებოდა. ფულის მოჭრისას თითოეული ფეოდალი მიზნად გამდიდრებას ისახავდა და ცდილობდა მოეჭრა ისეთი ფული, რომლის ფასიც მის ღირებულებაზე გაცილებით უფრო მაღალი იქნებოდა. ეს გარემოება მეტად აფერხებდა საქონელბრუნვას, რადგან ერთი სენიორის ფულს მეორე სენიორიაში არ ღებულობდნენ, ან არადა ახდენდნენ მის გადახურდავებას. საჭირო იყო ისეთი ფულის

შემოღება, რომლის მიღებაც ყველასათვის სავალდებულო იქნებოდა. ასეთი ღონისძიების გატარება არა მარტო ხელს შეუწყობდა ვაჭრობის განვითარებას, არამედ ქვეყნად არსებულ ეკონომიკურ დაქსაქსულობასაც შეასუსტებდა.

ყველა სენიორისათვის ფულის მოჭრის უფლების აკრძალვა დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა ფეოდალთა მხრივ; ამიტომ მეფემ ჰერცოგებსა და გრაფებს ფულის მოჭრის უფლება პირდაპირ არ ჩამოართვა და ჯერჯერობით იმით დაკმაყოფილდა, რომ მათ სამფლობელოში ადგილობრივ ფულთან ერთად სამეფო ფულის მიღება სავალდებულო გახადა. ბრუნვიდან ფეოდალების ფულის უმტკივნეულოდ განდევნის მიზნით საჭირო იყო სამეფო ფულის რეალური ღირებულება უფრო მაღალი ყოფილიყო ფეოდალთა ფულის ღირებულებაზე. მეფემ მოახერხა ფულის რეპუტაციის აღდგენა. მის დროს ოქროს ფულის სინჯი შეადგენდა წმინდა ლითონის 990/1000-ს, ხოლო ვერცხლისა — 23/24-ს. ბრუნვაში შეიყვანეს მრავალი ოქროს და ვერცხლის მონეტა. ამ ღონისძიებით ლუიმ თავის მიზანს მიაღწია: მეფის ფულს ყველგან სიამოვნებით ღებულობდნენ, ხოლო ფეოდალების არასრულფასოვანი ფული თანდათან განიდევნა ბრუნვიდან.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მეფის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შემოსავალი ვაჭრობიდან, მრეწველობიდან და სამეფო მამულებიდან საგრძნობლად გადიდდა. მეფე დიდ თანხებს ღებულობდა, აგრეთვე, ქალაქ-კომუნებიდან. არანაკლებ შემოსავალს იძლეოდა ეკლესია „ძღვნის“ სახით. გარდა ამისა, გადიდდა მეფის უშუალო ვასალების გამოსაღები ხაზინის სასარგებლოდ. ლუი IX-ს დროს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის როლს მხოლოდ ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის განკუთვნილი გადასახადი ასრულებდა. გლეხური მოსახლეობის დიდ ნაწილს კი გადასახადები შეჰქონდა ფეოდალ-მებატონეების სასარგებლოდ.

გენერალური შტატების მოწვევა

ლუი IX-ს შემდეგ გამეფდა მისი შვილი ფილიპე III გულადი (1270—1285). იგი მონაწილეობას ღებულობდა ჯვაროსანთა მერვე ლაშქრობაში. იქიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ ცდილობდა მამის პოლიტიკის გაგრძელებას, მაგრამ მისი მეფობა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებებით არ აღნიშნულა. სამაგიეროდ კაპეტინგების დინასტიის ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფილიპე გულადის შვილი — ფილიპე IV ლამაზი, რომელიც მეფობდა 1285—1314 წლებში. მან მეფობის დასაწყისშივე განაგრძო სამეფო დომენის გაფართოება. 1284 წელს შემოერთებულ იქნა შამპანის მდიდარი საგრაფო,

1308 წელს — ანგუმუა, ხოლო 1307 წელს — ქალაქი ლიონი თავისი ოლქით.

საფრანგეთის სამეფოს გაძლიერებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ფლანდრიის შემოერთება, რომელიც დამოუკიდებელი იყო, მაგრამ ინგლისის ეკონომიკურ გავლენას განიცდიდა, ხოლო პოლიტიკურად უფრო საფრანგეთისაკენ მიილტვოდა. ფლანდრია იმ ხანებში ევროპის ძლიერ სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა, მას სტრატეგიული თვალსაზრისითაც მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა. ამიტომ ის, ვინც ფეხს მოიკიდებდა ფლანდრიაში, მთელი ევროპის მბრძანებელიც გახდებოდა.

XIII საუკუნის ბოლოს ფლანდრიის მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად გაძლიერდნენ ფლანდრიის ქალაქები: ბრიუგე, გენტი, იპრი და სხვ., რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა თავიანთი გრაფის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მათ მიაღწიეს კიდეც მნიშვნელოვან წარმატებას, მაგრამ გრაფისაგან განთავისუფლებულ ქალაქებში ძალაუფლება პატრიციატის ხელში გადავიდა. ქალაქის ამქრებს ახლა პატრიციატის წინააღმდეგ მოუხდათ ბრძოლა. ამ ბრძოლაში ქალაქთა ამქრები მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ეს უკანასკნელნი შედგებოდნენ წვრილი ოსტატი ხელოსნებისაგან, ქარგლებისაგან და ამქრების გარეშე მყოფი დაქირავებული მუშებისაგან. ფლანდრიის ქალაქების ქუჩებში ხელჩართული ბრძოლები იმართებოდა. საქმის გართულებისას ქალაქთა პატრიციატმა დახმარებისათვის მეფეს — ფილიპე მეოთხეს მიმართა.

ფილიპემ ისარგებლა ამ მდგომარეობით და მთელი ფლანდრია დაიკავა. საფრანგეთის ხელისუფლებამ ფლანდრიაში დააწესა მთელი რიგი გადასახადები, რამაც მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 1301 წელს ბრიუგეს ხელოსნები აჯანყდნენ და მოითხოვეს სამხედრო გადასახადების გაუქმება. ამჯერად ფრანგმა ფეოდალებმა შეძლეს აჯანყების ჩახშობა, მაგრამ 1302 წლის 17 მაისს ბრიუგეში ახალი აჯანყება დაიწყო. ქალაქის გარნიზონი, რომელიც ფრანგი რაინდებისაგან შედგებოდა, აჯანყებულებმა ამოხოცეს. მოკლულ იქნა 3000-მდე კაცი. „ბრიუგეს ცისკარი“, როგორც სხვანაირად უწოდებენ ამ აჯანყებას, ფლანდრიის საყოველთაო აჯანყებად გადაიქცა.

ფილიპემ თავისი მძიმედ შეიარაღებული რაინდები 47 ათასი კაცის რაოდენობით (თუმცა ეს ცნობა გაზვიადებულად უნდა ჩაითვალოს) 1302 წლის ივლისის დასაწყისში დაძრა ქ. კურტრეს მიმართულებით. საფრანგეთის ჯარებს გენერალ-კაპიტანი გრაფი დ'არტუა ხელმძღვანელობდა. ფლანდრიის აჯანყებული ქალაქების მხარეზე გადავიდა ფლანდრიის გლეხობაც. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქ. კურტრესთან 1302 წლის 11 ივლისს. აჯანყებულთა ქვეითმა რაზმებმა მტერზე

ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ბრძოლაში ოთხი ათასი რაინდი იქნა მოკლული. ბრძოლის შემდეგ მოკლულ რაინდებს აჯანყებულებმა მოხსნეს მოოქრული დეზები და, ნიშნად გამარჯვებისა, ისინი ტაძრის კედლებზე ჩამოკიდეს. ამიტომ იყო, რომ შემდეგ ამ ბრძოლას „დეზების ბრძოლა" ეწოდა. კურტრესთან გამარჯვების შემდეგ აჯანყებულებმა მთელი ფლანდრია გაწმინდეს ფრანგებისაგან; მაგრამ ფილიპე მეოთხემ შემდეგ (1305 წ.) ქ. ლილთან დაამარცხა ფლანდრელები და მოქნილი დიპლომატიის გამოყენებით მოახერხა ის, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანდრიის ერთი ნაწილი რამდენიმე ქალაქთან ერთად საფრანგეთის სამეფო დომენს შემოუერთა და ფლანდრიას დიდი კონტრიბუცია შეაწერა. გარდა ამისა, ფილიპე ბრძოლას აწარმოებდა აგრეთვე ინგლისთან, აკვიტანიის შემოერთების მიზნით.

ამგვარად, ფილიპე მეოთხემ საფრანგეთის სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილის პოლიტიკური გაერთიანება შეძლო. მის დროს, გარდა ფლანდრიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილისა, საფრანგეთთან შემოუერთებელი დარჩა მხოლოდ ბურგუნდიის, ბრეტანის, აკვიტანიის საჰერცოგოები და ბურგუნდიის საგრაფო, ე. წ. ფრანშ-კონტე (ყოფილი ბურგუნდიის სამეფოს ჩრდილოეთი ნაწილი).

ფილიპე მეოთხის მიერ გატარებული აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად წარმოებულ ხშირ ომებს უზომო თანხები დასჭირდა. სამეფო ხაზინა თითქმის მთლიანად დაცარიელდა. საჭირო იყო დამატებითი შემოსავლის წყაროს გამონახვა. ამ მიზნით ფილიპემ დაიწყო სესხების აღება. ქალაქებისაგან აღებულ სესხს, როგორც წესი, იგი უკან აღარ აბრუნებდა და იმ მოტივით, რომ ქალაქისაგან მან ერთხელ უკვე მიიღო ეს თანხა, ახალ სესხს მოითხოვდა. ამგვარად, სესხების აღება ქალაქებისაგან მეფემ გადასახადად აქცია და ქალაქებს ვალებს აღარ უბრუნებდა. ქალაქები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ასეთი საფინანსო პოლიტიკის გამო, მაგრამ გაძლიერებული სამეფო ხელისუფლების მიმართ ისინი ვერაფერს ხდებოდნენ.

ჩვეულებრივ, კაპეტინგების მუდმივ შემოსავალ წყაროს მევახშე ებრაელებზე გაწერილი მძიმე გადასახადი წარმოადგენდა. 1306 წელს ფილიპეს დიდი თანხები დასჭირდა, რის გამოც მან მკაცრ ღონისძიებას მიმართა. მეფემ კონფისკაციაქმნილად გამოაცხადა ებრაელთა ქონება და ისინი საფრანგეთიდან გააძევა. მაგრამ ჩატარებულმა ღონისძიებამ მიზანს მთლიანად ვერ მიაღწია, რადგან კონფისკაციის დროს ებრაელთა ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მეფის მოხელეებმა თვითონ მიითვისეს. ამასთან, სამეფოდან ებრაელების განდევნით სახელმწიფო ხაზინამ გადასახადების სახით დაკარგა მნიშვნელოვანი შემოსავალი. მეფე იძულებული გახდა ნება დაერთო ებრაელების უკან დაბ-

რუნებისათვის. მომდევნო წლებში ებრაელთა გაძევება და მათი საფრანგეთში დაბრუნება რამდენჯერმე განმეორდა.

დამატებითი შემოსავლის გაჩენის წყურვილმა ფილიპე იქამდეც მიიყვანა, რომ მან დაიწყო სამეფო ფულის გაფუჭება. ფულის შემადგენელი ლითონის სინჯი მისი მითითებით თანდათან მცირდებოდა, ხოლო ამ ღონისძიებით მიღებული ეკონომია მეფის ხაზინის სასარგებლოდ მიდიოდა. ფულის გაფუჭებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ვაჭრობის საქმეს და თვით ქალაქებსაც. ქალაქთა ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეირყა, რამაც ქალაქების უკმაყოფილება უფრო მეტად გაზარდა. მაგრამ ქალაქების მიერ უკმაყოფილების გამოხატვამ მეფეს საბაბი მისცა ჩარეულიყო მათ შინაურ საქმეებში და თანდათანობით მოესპო დამოუკიდებლობა სამეფო ხელისუფლების ყოფილი მოკავშირეებისათვის. ამგვარად, ფილიპეს ფინანსურმა პოლიტიკამ ორგვარი ამოცანა გადაწყვიტა: ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღო თანხა ქალაქებიდან, ხოლო მეორე მხრივ, ქალაქების მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა.

ფილიპე ლამაზის დროს ხდებოდა ცხოვრებაში გატარება იმ რეფორმისა, რომელიც წამოწყებული იყო ლუი IX-ის მეფობაში, როცა შემოღებულ იქნა ჯარების დაქირავების წესი. მანამდე რაინდები სამხედრო ვალდებულად ითვლებოდნენ და წელიწადში 40 დღე მეფის სამსახურში უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ, გავიდოდა თუ არა ეს ვადა, რაინდს, შუა ომშიც რომ ყოფილიყო, შეეძლო თავი მიენებებინა ბრძოლისათვის და სახლში დაბრუნებულიყო. ეს გარემოება მეფისათვის მიუღებელი ხდებოდა და ამიტომ იგი შეეცადა ჯარის დაქირავების სისტემაზე გადასვლას. ლუი IX-ს დაქირავებული ჯარის შესანახად თანხები სჭირდებოდა და ამ მიზნით მან დაიწყო რაინდების განთავისუფლება სამხედრო ბეგარისაგან იმ პირობით, თუ რაინდი სამაგიეროდ გარკვეულ თანხას გაიღებდა ხაზინის სასარგებლოდ. ასეთი შემთხვევები ლუი IX-ის დროს ეპიზოდური ხასიათისა იყო, ფილიპე ლამაზმა კი საყოველთაო მოვლენად აქცია.

ამგვარად, ახალმა ფინანსურმა პოლიტიკამ საფრანგეთის მოსახლეობის ყველა ფენა მოიცვა სხვადასხვა სახით. არ რჩებოდა თითქმის არც ერთი ადგილი, რომელიც ფილიპე მეოთხის ფინანსური დარგის მოხელეთათვის მიუდგომელი ყოფილიყო. დიდი თანხის გაღებით გლეხებმა სამეფო მამულებში დაიწყეს თავისუფლების გამოსყიდვა. ამ მხრივ საქმე უფრო შორსაც წავიდა. თუ მანამდე საფრანგეთის კათოლიკური ეკლესია მეფეებს ძღვენს ან საჩუქარს მიართმევდა ხოლმე, ახლა ფილიპე ლამაზი ეკლესიისაგან რეგულარულ გადასახადს მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის შემოსავალი პრინცი-

პულად თავისუფალი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი დაბეგვრისაგან. მაგრამ, თუ ახალი საფინანსო პოლიტიკის წინააღმდეგ მოსახლეობის სხვადასხვა ფენები ვერაფერს გახდნენ, სამაგიეროდ რომის პაპი იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას ფილიპეს ღონისძიებათა წინააღმდეგ.

1296 წლის იანვარში, ზემოხსენებულ გარემოებასთან დაკავშირებით, ბონიფაციუს მერვემ გამოსცა ბულა იმის შესახებ, რომ სასულიერო წოდებას არ უნდა გაეღო გადასახადი საერო ხელისუფალთა სასარგებლოდ. ამის საპასუხოდ საფრანგეთის მეფემ აკრძალა საფრანგეთის ტერიტორიიდან ოქრო-ვერცხლის გატანა. ეს ღონისძიება, პირველ რიგში, პაპის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან პაპის კურია საფრანგეთის ეკლესიისაგან დიდ შემოსავალს ღებულობდა, აკრძალვის შემდეგ კი ეს შემოსავალი უნდა შეწყვეტილიყო. შემდეგ უთანხმოება პაპსა და მეფეს შორის უფრო გაღრმავდა. 1301 წელს პაპმა მეფის სასახლეში თავის ლეგატად ბერნარ სესე გაგზავნა. ეს ის ეპისკოპოსი იყო, რომელიც ფილიპესთან შეთანხმების გარეშე ბონიფაციუსმა პამიეს ეპისკოპოსად დანიშნა და რომელიც ფილიპეს ჭირივით ეჯავრებოდა. გასაგებია, რომ პაპის ასეთ საქციელს მეფე ვერ აიტანდა და მან ბერნარი კიდეც გაგზავნა თავისი სასახლიდან.

მდგომარეობა უფრო გამწვავდა იმით, რომ 1301 წლის დეკემბერში ამაყმა და ძალაუფლების მოყვარულმა ბონიფაციუსმა გამოაქვეყნა ახალი ბულა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ღმერთმა ჩვენ სამოციქულო მსახურება დაგვაკისრა, რითაც მეფეებზე და იმპერატორებზე უფრო მაღლა დაგვაყენაო". ფილიპემ ამ ამბავს ეროვნული ხასიათი მისცა და 1302 წლის თებერვალში ბრძანა პაპის ბულა საჯაროდ დაეწვათ პარიზში. ქალაქების გული რომ მოეგო და საზოგადოებრივი აზრი თავის სასარგებლოდ წარემართა, ფილიპემ საფრანგეთის ისტორიაში პირველად 1302 წელს მოიწვია გენერალური შტატები (უფრო ადრე იწვეოდა მხოლოდ პროვინციული შტატები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდა პირველი და მეორე წოდება). ეს იყო პირველი წარმომადგენლობითი კრება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, რომელსაც ესწრებოდნენ საერო დიდებულები, პრელატები, კაპიტულებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ყველა აბატი და ორ-ორი დეპუტატი ქალაქებიდან. ერთი სიტყვით, გენერალური შტატები შედგა სამი წოდებისაგან: პირველი — სასულიერო წოდება, მეორე — საერო ფეოდალები და მესამე — ქალაქების წარმომადგენელნი.

საფრანგეთის ახლად ჩასახულმა ბურჟუაზიამ პირველად მოიპოვა პოლიტიკური ასპარეზი, თუნდაც შეკვეცილი სახით. ეროვნული ელემენტების თავმოყრამ ფილიპე მეოთხის პოლიტიკას ეროვნული ელფერი მისცა. მართალია, გენერალურ შტატებში მეფისა და პაპის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტის დროს სასულიერო

წოდებამ ერთგვარი ორპოფობა გამოამჟღავნა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე და მესამე წოდებებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მეფის პოლიტიკას და გაკიცხეს პაპის საქციელი. საზოგადოების მხარდაჭერაზე დაყრდნობით ფილიპე მეოთხე გადავიდა ძალდატანებითი ღონისძიების გამოყენებაზე პაპის წინააღმდეგ.

1303 წლის აპრილში ბონიფაციუსმა ფილიპე მეოთხე ეკლესიისაგან განკვეთა. მან განაცხადა, რომ ამიერიდან ფილიპეს ქვეშევრდომნი თავისუფლდებიან მეფისათვის მიცემული ერთგულების ფიცისაგან. მაგრამ პაპის ლეგატი, რომელიც საფრანგეთში გაიგზავნა ამ ბულის გამოსაქვეყნებლად, ფილიპემ დაატუსაღა მანამდე, ვიდრე ის პარიზში მივიდოდა. ისარგებლა რა რომში შექმნილი არეულობით, მეფემ, თავის მხრივ, იქ საკუთარი აგენტი — ნოგარე გაგზავნა, რომელიც იმავე წლის 7 სექტემბერს საფრანგეთის მეფის სხვა მომხრეებთან ერთად შეიჭრა ანანის სასახლეში, სადაც პაპი იმყოფებოდა. მათ მიაყენეს პაპს მძიმე შეურაცხყოფა, მართალია 3 დღის შემდეგ პაპის მომხრეებმა დაიხსნეს ბონიფაციუსი ტყვეობიდან, მაგრამ პაპმა ვერ აიტანა მიყენებული შეურაცხყოფა და მალე 11 ოქტომბერს ამას მოჰყვა ღრმადმოხუცებული პაპის სიკვდილი.

ბონიფაციუსის სიკვდილის შემდეგ ფილიპე მეოთხის გავლენით 1305 წლის ივნისში ქ. ლიონში პაპად არჩეულ იქნა ფრანგი პრელატი— ბორდოს არქიეპისკოპოსი, რომელმაც კლიმენტი მეხუთის სახელწოდება მიიღო. ახალმა პაპმა არ მოისურვა რომში ყოფნა და თავისი რეზიდენცია ქ. ავინიონში გადაიტანა. მართალია, ავინიონი ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული საფრანგეთის სამეფო დომენთან, მაგრამ მაინც საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და, მაშასადამე, იქ მყოფი პაპებიც ამიერიდან საფრანგეთის მეფეების გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. ასე დაიწყო ეგრეთ წოდებული „ავინიონის ტყვეობა“, რომელმაც დაახლოებით 70 წელს გასტანა (1309—1378).

„ავინიონის ტყვეობა“ ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რომ ფილიპე მეოთხე დიდად დავალიანებული აღმოჩნდა ტამპლიერების ორდენის წინაშე. მან ამ ორდენისაგან არაერთხელ მიიღო სესხი და ახლა ცდილობდა როგორმე თავიდან მოეცილებინა თავისი მევალე. ვალის გადახდა მას სულაც არ სურდა და 1307 წლის ოქტომბერში გასცა ბრძანება ტამპლიერების დატუსაღებისა, ხოლო ორდენის დიდ ქონებას კონფისკაცია უყო; ტამპლიერებს ბრალად დასდეს, თითქოს ორდენის წევრები ერესის მიმდევრები იყვნენ და ღვთის საწინააღმდეგო საქმეებს სჩადიოდნენ. ტამპლიერებისათვის წაყენებული ბრალდება მასებმა სარწმუნოდ მიიჩნიეს იმის გამო, რომ ტამპლიერები მართლაც ეწეოდნენ მევახშეობას, გარყვნილ ყოფა-ცხოვრებას და სხვ.

ტამპლიერების ნაწილი კოცონზე დაწვეს, ნაწილი სატუსაღოებში მოაქციეს, ხოლო დანარჩენები საფრანგეთიდან გაასახლეს.

1312 წელს ფილიპე მეოთხემ მოახერხა ისიც, რომ პაპმა ტამპლიერების ორდენი საბოლოოდ დაშლილად გამოაცხადა. ამის შემდეგ მეფე არამცთუ განთავისუფლდა თავისი ყოფილი მევალისაგან, არამედ მის ხელში აღმოჩნდა ტამპლიერთა ორდენის ოქრო-ვერცხლის დიდი მარაგი. რაც შეეხება ორდენის მამულებს, მან მათ ხელი არ ახლო და პაპის თხოვნით ჰოსპიტალიერების ორდენს გადასცა, ოღონდ ეს „საჩუქარი" ისეთნაირად შეაპირობა, რომ ჰოსპიტალიერებმა აღარ იცოდნენ როგორ დაეღწიათ თავი მეფის ამ „წყალობისაგან".

ამგვარად, ფილიპე მეოთხის ბრძოლა რომის პაპთან და ტამპლიერების ორდენთან დიდი წარმატებით დამთავრდა. მისი ბრწყინვალე გამარჯვება პაპთან ბრძოლაში აიხსნება ორი გარემოებით: ჯერ ერთი, XIII საუკუნის ბოლოს კათოლიკურმა ეკლესიამ, ევროპაში მწვალებლობის გავრცელების შედეგად, მოსახლეობაში უფრო მეტად დაკარგა თავისი ადრინდელი ავტორიტეტი და, მეორეც, ამ ხანებში საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება საკმაოდ განმტკიცებული იყო და პაპ ვერაფერს აკლებდა ვერც ინტერდიქტი, ვერც ეკლესიისაგან განკვეთა და ვერც პაპის სხვა ოინები.

გენერალური შტატების მოწვევით ფილიპე მეოთხემ საფუძველი ჩაუყარა წარმომადგენლობით მონარქიას. ფეოდალური მონარქიის ეს ახალი ფორმა, როგორც ჩანს, უფრო შეესაბამებოდა ქალაქების განვითარების შედეგად შეცვლილ მდგომარეობას. როგორც აღნიშნული იყო, გენერალური შტატები პირველად 1302 წელს იქნა მოწვეული პაპის საქმესთან დაკავშირებით. შემდეგ, სახელმწიფოში შექმნილ ფინანსურ დაძაბულობასთან ერთად, კვლავ ხდებოდა შტატების მოწვევა. მალე დამკვიდრდა წესი, რომ გენერალურ შტატებს ახალი გადასახადების შემოღების სანქცია უნდა მიეცათ.

თავი XV

ინგლისი XII—XIII საუკუნეებში

§ 1. სამეფო ხელისუფლების გაძლიერება ინგლისში

ეკონომიკური და სოციალური წინაპირობანი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ინგლისის სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას

XIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისათვის ინგლისში ფართოდ ვრცელდება მიწათმოქმედების სამმინდვროვანი სისტემა. იწყება მიწების განაყიერების ახალი სახის (მერგელი, ნაცარი) გამოყენება, ხორბლით ნათესი ფართობის მნიშვნელოვანი გადიდება და, რაც მთავარია, მეცხვარეობის გაფართოება. XIII საუკუნეში წმინდა მატყლოვანი ჯიშის ცხვრის მოშენება მეტად თვალსაჩინო ხდება. უამრავი ცხვრის ფარა, რომელთა მფლობელნი მსხვილი საერო ფეოდალები და, განსაკუთრებით კი, მონასტრები იყვნენ, ძოვდნენ გლოსტერშირის, იორკშირისა და შროპშირის ველებზე. ინგლისელი გლეხებიც კი 20, 40 და ხანდახან 50-ზე მეტ ცხვარს ინახავდნენ. ცხვრის მატყლი წარმოადგენდა უმთავრეს საექსპორტო საგანს, რომელიც გაჰქონდათ ფლანდრიასა და სხვა ქვეყნებში.

ქალაქების წარმოშობა სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის შედეგად ინგლისში ჯერ კიდევ X საუკუნეში დაიწყო. ქალაქების ზრდა განსაკუთრებით XII—XIII საუკუნეებში ხდებოდა. თუ „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ შედგენისას (1086 წ.) ინგლისში ასამდე ქალაქი იყო და ქალაქთა მოსახლეობა საერთო მოსახლეობის 5%-ს უდრიდა, XIII საუკუნის ბოლოს ქალაქთა რიცხვმა 166-ს მიაღწია, ხოლო მოქალაქეთა რაოდენობა უკვე 9—10%-ს შეადგენდა. ამის თვალსაჩინო დამადასტურებელია შემდეგი ფაქტები: აღნიშნული დროის განმავლობაში ქ. ნორიჩის მოსახლეობა 4445-დან გაიზარდა 13 000 კაცამდე, ბრისტოლისა — 2 310-დან 16 960 კაცამდე. XIII საუკუნის ლონდონში უკვე რამდენიმე ათეული ათასი მოსახლე იყო.

XII—XIII საუკუნეებში ინგლისის ქალაქებში შრომის განაწილება ორი მიმართულებით წარიმართებოდა: ერთი მხრივ, ხელოსნობას გამოეყოფოდა ვაჭრობა, ხოლო მეორე მხრივ, ხდებოდა ხელოსნობის

ცალკეული დარგების გამრავლება. ხელოსნობიდან ვაჭრობის ცალკე გამოყოფამ ვაჭრების რიცხვი გაზარდა. თუ მანამდე ვაჭრების ძირითადი ბირთვი საზღვარგარეთელ ბითუმად მოვაჭრეთაგან შედგებოდა, ახლა ვაჭრების უმრავლესობა ადგილობრივი იყო და, ამასთან, ძირითადად, ცალობით ვაჭრობას მისდევდა. ვაჭრობის ცალკე გამოყოფამ უკვე XIII საუკუნეში შეუწყო ხელი ვაჭართა ზედაფენის გაჩენას. ეს ზედაფენა სავაჭრო გილდიების სათავეში მოექცა. სავაჭრო გილდიების პარალელურად ყალიბდებოდა ხელოსანთა გილდიები, ანუ ამქრები.

ხელოსნობის შემდგომი განვითარება ზრდიდა მოთხოვნილებას ლითონებზე, რაც, თავის მხრივ, აუცილებელს ხდიდა სამთამადნო მრეწველობის გაფართოებას. რკინის, კალისა და ტყვიის საბადოების უფრო ინტენსიური დამუშავება მხოლოდ XIII საუკუნიდან იწყება. რკინის მთავარი საბადოები მოიპოვებოდა იორკშირში, დარემში, გლოსტერში, სომერსეტშირში და სხვა ადგილებში. რაც შეეხება კალის საბადოებს, რომლებითაც ბრიტანეთი ადრეევ იყო ცნობილი, ისინი მოიპოვებოდა უმთავრესად დევონშირში, იორკშირში, დერბიშირში და სხვ.

რაიონების ერთგვარი სპეციალიზაცია XIII საუკუნეში შესამჩნევი ხდება აგრეთვე სოფლის მეურნეობაშიც. ინგლისის სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ საგრაფოებში უფრო მარცვლეულის მოყვანას მისდევდნენ, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ საგრაფოებში უფრო მეტი მნიშვნელობა მესაქონლეობას — ხორცისა და რძის პროდუქტების და მატყლის წარმოებას ენიჭებოდა. უკვე XIII საუკუნეში აღებ-მიცემისა და ვაჭრობის მეშვეობით ასე თუ ისე დამყარებული იყო ეკონომიკური კავშირი ინგლისის ცალკეულ რაიონებს შორის. ვაჭართა ხომალდებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიჰქონდათ ხორბალი და სხვა საქონელი, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — უმთავრესად მატყლი და ხორცი.

საშინაო ვაჭრობასთან ერთად ფართოვდებოდა საგარეო ვაჭრობაც. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ინგლისის სავაჭრო ურთიერთობას ეკონომიკურად ინგლისზე უფრო განვითარებულ ფლანდრიასთან. ამ უკანასკნელთან ვაჭრობის დამყარების საქმეში ინგლისის ქალაქებს თვით მეფე უწევდა მფარველობას. ევროპის კონტინენტზე მდებარე ნორმანდია და მენი, რომლებიც უილიამ დამპყრობლის შემდეგ ინგლისის მეფეთა სამფლობელოებს წარმოადგენდნენ, ინგლისელი ვაჭრებისათვის საქონლის საწყობად გადაიქცა. მატყლის გარდა ინგლისელებს გასაყიდად გაჰქონდათ აგრეთვე ტყვია, კალა და სხვ. ინგლისში XI საუკუნეში იწყება, ხოლო XII საუკუნეში ფარ-

თოვდება ბაზრობანი, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ არა მარტო ფლანდრიის, არამედ იტალიისა და სხვა ქვეყნების ვაჭრებიც.

ამგვარად, ინგლისის სამეურნეო ცხოვრებაში XII—XIII საუკუნეებში მოხდა მნიშვნელოვანი პროგრესული ხასიათის ეკონომიკური ცვლილებები. მართალია, ეს ცვლილებები ფეოდალურ ურთიერთობათა ჩარჩოებს არ სცილდებოდა, მაგრამ ისინი ხელს უწყობდნენ ფეოდალიზმის უფრო განვითარებულ (კლასიკურ) ეტაპზე გადასვლას. თუ ადრინდელი ფეოდალიზმის ხანა უმთავრესად ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობით ხასიათდებოდა, ფეოდალიზმის განვითარების ახალ საფეხურზე დაიწყო წარმოშობა სასაქონლო მეურნეობამ, განვითარდა ქალაქები, გაცხოველდა ვაჭრობა და აღებ-მიცემა, ჩაეყარა საფუძველი შინაგანი ბაზრის გაფართოებას. მაგრამ ინგლისის ერთიანი ეროვნული ბაზრის წარმოქმნის პროცესს დიდი წინააღმდეგობა ეღობებოდა ფეოდალური სეპარატიზმის სახით. ინგლისელი მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური პრივილეგიები, მათი ურთიერთმიხდომები და, საერთოდ, ფეოდალური აღვირახსნილობა, აგრეთვე ერთიანი ფულისა და ზომა-წონის უქონლობა — ყველაფერი ეს აფერხებდა საქმის შემდგომ მსვლელობას. მხოლოდ ძლიერსა და ცენტრალიზებულ ხელისუფლებას შეეძლო ყაჩაღური თავდასხმების აღკვეთა, სავაჭრო გზების დაცვა, წესრიგის დამყარება და ხელოსნური წარმოებისათვის ხელის შეწყობა. მაშასადამე, შემდგომი ეკონომიკური განვითარება XII—XIII საუკუნეებში, დღის წესრიგში აყენებდა საკითხს სამეფო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ.

აღნიშნულ პერიოდში სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის ტენდენცია სხვა მხრივაც ძლიერდებოდა. ქალაქური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ინგლისში, ისევე როგორც საფრანგეთში, წარმოიშვა დიდი მოთხოვნილება ფულზე. ფეოდალებმა დაიწყეს ნატურალური გადასახადების შეცვლა ფულადი რენტით. თუ ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის პირობებში ფეოდალები ბაზართან არ იყვნენ დაკავშირებულნი და უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია „ფეოდალის კუჭით“ განისაზღვრებოდა, ფეოდალიზმის განვითარების მეორე ეტაპზე ფეოდალი სხვადასხვა საშუალებით ადიდებდა ყმების ვალდებულებასა და გამოსაღებს, რათა თავისი გაზრდილი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. მთელი XIII საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში, ინგლისელი გლეხობა ხშირად უჩიოდა თავის ბატონებს იმის გამო, რომ ფეოდალები მათგან უფრო მეტ მომსახურებას და გაზრდილ ვალდებულებათა შესრულებას მოითხოვდნენ, ვიდრე ეს წესით იყო გათვალისწინებული; რომ ლორდები მოითხოვენ „სხვა ბეგარის შესრულებას, და არა იმისას, რომელიც უნდა შეასრულონ და რომელსაც წინათ ეწეოდნენ“.

სავაჭრო-ფულად ურთიერთობათა გაძლიერებამ და ლტოლვამ დამატებითი შემოსავლის გამონახვისაკენ XIII საუკუნის ინგლისელ ფეოდალებში აღძრა დიდი წყურვილი თავიანთი დომენების გაზრდისა; ყოველი მათგანი ცდილობდა ცხვრების მეტი ფარა ჰყოლოდა და მეტი მატყლი გაეტანა ბაზარზე გასაყიდად. ცხვრის ფარის მომრავლება კი, თავის მხრივ, საძოვრების გაფართოებას მოითხოვდა. ამის უშუალო შედეგი იყო ის, რომ მათ დაიწყეს სათემო მიწების ძალით მიტაცება, მათი საძოვრებად გადაქცევა და მითვისებული ადგილების შემოღობვა. როცა ეს ღონისძიებაც საკმარისი არ აღმოჩნდა, ბატონებმა შეუმცირეს ნაკვეთები ვილანებს, რომელთა უფლება არ იყო დაცული არც კანონითა და არც რაიმე წესჩვეულებით. ამგვარად, ინგლისელ გლეხობას აჩანაგებდა, ერთი მხრივ, უზომოდ გაზრდილი შრომითი ბეგარა და ფეოდალური გამოსაღები (ტალეჯი, მერკეტი, ჰერიოტი, სხვადასხვა სახის ბანალიტეტი, სასამართლო ჯარიმები, ე. წ. მეათედი და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ — „შემოღობვა“.

ინგლისელი გლეხობის კლასობრივ წინააღმდეგობას ზემოხსენებული გარემოება XIII საუკუნეში უფრო მეტად ამწვავებდა. უშუალო მწარმოებელთა კლასობრივი ბრძოლა აქაც სხვადასხვა ფორმას ღებულობდა. ისე როგორც საფრანგეთში, გლეხობა გარბოდა დასახლებული ადგილებიდან, ზოგიერთი მათგანი თავს აფარებდა ქალაქებს, ზოგი კი ტყეებში და მიუვალ ადგილებში სახლდებოდა. ის, ვინც რჩებოდა ძველ ბინაზე, უარს ამბობდა გადასახადების გაღებაზე და ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებაზე. გლეხთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ხშირად შეთქმულებასა და შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამ მოძრაობის ჩასახშობად და გლეხობის საბოლოოდ დასამორჩილებლად საჭირო იყო უფრო მეტი პოლიტიკური ძალა, ვიდრე ეს ცალკეულ ფეოდალს გააჩნდა. იგი მით უფრო საჭირო იყო ინგლისელი წვრილი ფეოდალებისათვის და ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ფეოდალური სახელმწიფოებრივი აპარატის გაძლიერებას.

გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნების საქმეში ფეოდალური კლასის სხვადასხვა ფენები — მსხვილი და წვრილი ფეოდალები — ერთნაირ მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ. მსხვილი ფეოდალები უფრო ადვილად ახერხებდნენ გლეხთა დამორჩილებას და მათ სამეფო ხელისუფლების დახმარება ამ საქმეში მაინცდამაინც არ სჭირდებოდათ, მით უფრო, რომ სამეფო ხელისუფლების გაძლიერება. ამავე დროს, მათი პოლიტიკური პრივილეგიების შეზღუდვასაც ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, მსხვილი ფეოდალების გარკვეული ნაწილიც, ზოგიერთ შემთხვევაში, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას უჭერდა მხარს, რა-

დგან ძლიერი სამეფო ხელისუფლების დახმარებით ცდილობდა ახალი ქვეყნების დაპყრობას და ამით თავის სამფლობელოთა გაფართოებას.

ცალკეულმა ინგლისელმა ფეოდალებმა მეზობელი ქვეყნების — უელსის, ირლანდიისა და შოტლანდიის მიწების დაპყრობა დაიწყეს XII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო აღნიშნული საუკუნის დამლევისათვის კიდეც მოახერხეს ამ ქვეყნების განაპირა ადგილების დაკავება. მაგრამ ამ ქვეყნების შიდა რაიონებისაკენ მათი წინსვლა მალე შეჩერებულ იქნა, რადგანაც ფეოდალი მტაცებლები ინგლისის სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, მარტო მათ კი არ შესწევდათ ძალა გაძლიერებული წინააღმდეგობის გადალახვისა. უფრო მეტიც, მათ მიერ უკვე მიტაცებულ მიწა-წყალს დაკარგვის საშიშროება ემუქრებოდა. დაპყრობილი ადგილების შენარჩუნების გარანტიად შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ სისტემატური ბრძოლების წარმოება რომელიმე ცენტრის მიერ გაერთიანებული ძალებით.

ამგვარად, ინგლისის სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით დაინტერესებულნი იყვნენ ქალაქები, წვრილი ფეოდალები და მსხვილი ფეოდალების ერთი ნაწილი. გარდა ამისა, სამეფო ხელისუფლების მხარეზე ხანდახან ეკლესიაც გამოდიოდა, რადგან ფეოდალური ანარქიის პირობებში მის ქონებას არანაკლები საფრთხე ემუქრებოდა. რაც შეეხება გლეხობას, უნდა ითქვას, რომ მაშინ ისიც სამეფო ხელისუფლების მომხრედ გამოდიოდა, რადგან გულუბრყვილოდ „კეთილი მეფისაგან“ მოელოდა თავის ხსნას.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერების დასაწყისი ინგლისში

ინგლისის სამეფო ხელისუფლების გაძლიერება დაიწყო ჰენრი I-ის გამეფებით (1100—1135). ჰენრის გამეფება თავისებურ პირობებში მოხდა. უილიამ დამპყრობლის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ნახსენები იყო (იხ. ზემოთ, თავი VII, 226), სამეფო ტახტზე ჯერ მისი შვილი (ჰენრის ძმა) უილიამ წითური ავიდა. ეს უკანასკნელი განგმირულ იქნა „ახალ ტყეში“ და სამეფო გვირგვინი ჰენრიმ იგდო ხელთ. თანახმად არსებული ჩვეულებისა, გვირგვინი მისი უფროსი ძმის — რობერტისათვის უნდა გადაეცათ, რომელსაც ინგლისელი ბარონების უმრავლესობა უჭერდა მხარს. ამ გარემოებამ ჰენრი პირველი, ბარონების გულის მოგების მიზნით, აიძულა დათმობაზე წასულიყო და მან გამეფების დღესავე (5 აგვისტო) გამოაქვეყნა „თავისუფლებათა ქარტია“ (Charta libertatum), რომელშიც პირობას იძლეოდა, რომ არ გაიმეორებდა თავისი წინაპრების პოლიტიკას, რაც ბარონებისა და ეკლესიის შევიწროებაში გამოიხატებოდა.

ზემოაღნიშნული ქარტიის გაცემით ერთგვარი საფუძველი ჩაეყა-

რა ინგლისის მომავალ „თავისუფლებათა დიდ ქარტიას“, მაგრამ ამავე ქარტიიდან ჩანს, რომ მეფე ცდილობდა თავის მხარეზე გადმოებირებინა წვრილი ფეოდალები რაინდების სახით, რომელნიც უმთავრესად ბრიტანეთის დაპყრობილი მოსახლეობისაგან წარმოდგებოდნენ. აღნიშნულმა ქარტიამ მსხვილი ფეოდალები დააკმაყოფილა და ჰენრი პირველიც განამტკიცა სამეფო ტახტზე. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1102 წელს, როცა მეფეს დასავლეთ ინგლისელი ბარონები აუჯანყდნენ, დანარჩენი ინგლისის ბარონთა უმრავლესობა წვრილ რაინდებთან ერთად ჰენრის მხარეზე გადავიდა. აჯანყება მალე ჩაახშეს. მეფემ აჯანყებული ბარონების მიწების კონფისკაცია მოახდინა და ისინი წვრილ რაინდობას დაურიგა.

ჰენრი პირველის მმართველობა იმითაც აღინიშნა, რომ მეფის მიერ გაცემული სიგელით ინგლისის ქალაქების დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით კი ქალაქმა ლონდონმა, მნიშვნელოვანი პრივილეგიები მოიპოვა. ლონდონს თვითმმართველობის უფლება მიენიჭა და დადგინდა, რომ ლონდონის მოქალაქეების გასამართლება მხოლოდ ლონდონში უნდა მომხდარიყო. მოქალაქენი თავისუფლდებოდნენ, აგრეთვე, სამხედრო ბეგარისაგან, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სიგელით მინიჭებული პრივილეგიები ვრცელდებოდა მხოლოდ იმათზე, ვინც მონაწილეობას ღებულობდა მეფის კუთვნილი ფულადი რენტის, ე. წ. ფირმის გადახდაში. ლონდონისათვის მთავარი მაინც ის იყო, რომ მეფის მიერ გაცემული სიგელით მას უფლება ენიჭებოდა ბაჟის გაღების გარეშე მთელ ინგლისში ეწარმოებინა ვაჭრობა.

ჰენრი პირველმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგარეო ვაჭრობასაც.

ინგლისის მიერ ფლანდრიის ვაჭრებთან სავაჭრო ხელშეკრულება პირველად 1101 და მეორედ 1103 წლებში დაიდო, რის შედეგადაც გაიზარდა საქონლის მიმოქცევა ორ ქვეყანას შორის. ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა გატანილ საქონელზე დაწესებული საბაჟო გადასახადის საერთო რაოდენობა, რაც ინგლისის სახელმწიფო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა. ჰენრი, ცდილობდა რა თავისი მამის, უილიამ დამპყრობლის პოლიტიკის გაგრძელებას სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეში, კარგად ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ფინანსური მდგომარეობის უფრო მეტად განმტკიცება. გარდა ამისა, საჭირო ხდებოდა ფეოდალური ურთიერთობის მოწესრიგება. მან გადაწყვიტა ჩაეტარებინა ისეთი სასამართლო რეფორმები, რომლებიც სამეფო ხაზინას მისცემდა მეტ შემოსავალს და გლეხობასაც უფრო მეტად დაუმორჩილებდა ფეოდალური კლასის ბატონობას.

ვიდრე დაიწყებოდა რეფორმების გატარება სასამართლოს ღარგში, ფიქრობდნენ, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ბოროტმოქმედება მიმართული იყო რომელიმე კერძო პიროვნების წინააღმდეგ და, მაშასადამე, ზიანის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო დანაშაულის ჩამდენ ბოროტმოქმედთა მიერ დაზიანებული პირის სასარგებლოდ. სასამართლო რეფორმის გატარებისას კი უკვე თვლიდნენ, რომ ბოროტმოქმედება, ჩადენილი კერძო პირის წინააღმდეგ, მიმართულია სახელმწიფოებრივი წესრიგის დარღვევისაკენ და. მაშასადამე, ბოროტმოქმედნი უნდა ჯარიმდებოდნენ სახელმწიფოს სასარგებლოდ. უზენაესი ხელისუფლება ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, მეტი საქმე გარჩეულიყო სამეფო სასამართლოში მეტი ჯარიმის მიღების მიზნით.

მაგრამ, ფისკალურ მოსაზრებასთან ერთად, სასამართლო რეფორმა მიზნად ისახავდა, აგრეთვე, ფეოდალების სასამართლოს ხარჯზე გაეძლიერებინა სამეფო სასამართლო მისი იურისდიქციის გაფართოებით. სულ უფრო და უფრო მატულობდა „სამეფო საქმეები“: ცეცხლის წაკიდება, მკვლელობა და სხვ. ფეოდალების სასამართლოებიდან საქმეები სამეფო სასამართლოში გადაჰქონდათ განსახილველად, რითაც სამეფო სასამართლო უფრო ძლიერდებოდა. გარდა ამისა, მეფეს კურია სხვადასხვა საგრაფოში აწყობდა გამსვლელ სასამართლოებს საქმის გამოძიების წარმოებისათვის, დაბეგვრისათვის და საგრაფოებში მოხელეთა საქმიანობის კონტროლის გაწევისათვის. ადგილობრივი ხელისუფალნი ვალდებულნი იყვნენ ფიცის დადებით წარედგინათ სასამართლოსათვის ყველა ის პირი, რომელიც ეჭვმიტანილი იქნებოდა ბოროტმოქმედების ჩადენაში.

ამგვარად, სასამართლო რეფორმა, რომელიც პროგრესული ხასიათის მატარებელი იყო, ინგლისში უფრო ადრე გატარდა, ვიდრე საფრანგეთში.

ჰენრი პირველის დროს ინგლისში ჩამოყალიბდა, აგრეთვე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფინანსური ორგანო, რომელსაც „ჭადრაკის დაფის პალატა“ ეწოდა, რადგანაც ხაზინაში მაგიდაზე გადაფარებული იყო მაუდი ჭადრაკის დაფისდაგვარი გამოსახულებით. ამ მაგიდაზე გარკვეული წესით ალაგებდნენ ლითონის მონეტებს, თვლიდნენ მათ და ისე გადაჰქონდათ ერთი მწკრივიდან მეორეზე, რომ ერთი შეხედვით ეს პროცესი ჭადრაკის თამაშს წააგავდა. ამ თანხებს შერიფები კრეფდნენ თავიანთ საგრაფოებში და გადასცემდნენ ხაზინას.

სამეფო შემოსავლის დიდი ნაწილი იკრიფებოდა სამეფო მამულებიდან, სახელმწიფო გადასახადებიდან და ყოველგვარი ფეოდალური გამოსაღებიდან.

„ჭადრაკის დაფის პალატა“ XIII საუკუნემდე წარმოადგენდა სამეფო კარის (Curia Regis) ცალკე სექციას, რომლის მოხელეებიც მმართველობის ყოველდღიური საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. სამეფო კურია, რომელმაც ფეოდალური სამეფო საბჭო შეცვალა, საბოლოოდ ჰენრი პირველის დროს ჩამოყალიბდა. თუ სამეფო საბჭო, რომელიც მეფის უშუალო ვასალებისაგან შედგებოდა და მეფის მიერ არარეგულარულად, საჭიროების მიხედვით იწვეოდა, რეგულარულად მოქმედ ორგანოდ გადაიქცა, გარდა ამისა, სამეფო კურია სამეფო საბჭოსაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ მასში საეკო დიდებულებთან ერთად მონაწილეობდნენ, აგრეთვე, სასულიერო წოდების წარმომადგენელნი და მეფის მოხელენი — უმთავრესად მოსამართლენი და ფინანსების მესვეურნი.

ფეოდალური აშლილობა ინგლისში და სამეფო ხელისუფლების ხელახალი გაძლიერება

ჰენრი I-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ძალაუფლების გაძლიერების ტენდენცია დროებით შეწყდა. ჰენრის ვაჟიშვილები არ დარჩა და მან სამეფო ტახტი თავის ქალიშვილს — მატილდას უანდერძა. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ჰენრის დისწულმა — სტეფანე (ინგლისურად — სტივენ) ბლუასელმა, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ჰენრის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულები და ლონდონში თავისი თავი გამოაცხადა მეფედ. ამგვარად, ინგლისში ორი მეფე გაჩნდა.

ზემოაღნიშნულმა გარემოებამ ინგლისის ფეოდალებში ორგვარი დაჯგუფება გამოიწვია: ბარონების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სტეფანე ბლუასელს, ხოლო მეორე მატილდას მხარეზე გადავიდა. ფეოდალების ორად დაჯგუფება, რასაკვირველია, რომელიმე სამეფო კანდიდატისადმი სიმპათიით ან ანტიპათიით არ იყო გამოწვეული, ისინი უფრო სამეფო ხელისუფლების შესუსტებით და თავიანთი პოლიტიკური პრივილეგიების გაძლიერებით იყვნენ დაინტერესებულნი. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ, როდესაც მეფეთა შორის დაიწყო გაცხარებული ბრძოლა, მეფის მომხრე თითოეული ბარონი ადვილად გადადიოდა მოწინააღმდეგის ბანაკში, თუ უკანასკნელი მას დააჯილდოვებდა უფრო მეტი მამულებითა და ციხესიმაგრეებით.

მეფეთა შორის წარმოებული ბრძოლების დროს, რაც ცხრამეტი წლის განმავლობაში (1135—1154) გრძელდებოდა, მეამბოხე ბარონებმა უამრავი ციხე-კოშკი ააგეს, საიდანაც განუწყვეტელ თავდასხმებს აწარმოებდნენ ერთმანეთზე. ინგლისის მოსახლეობა დრტვინავდა.

ერთ-ერთი მემატიანეს ცნობით „ადგილობრივი ტირანების რაზმები ხოცავდნენ, აწამებდნენ და ძარცვავდნენ მრავალტანჯულ გლეხობას... ქაოსი იყო გაბატონებული ყველგან“. „ბრალდებულთ არასოლეს ისე არ აწამებდნენ, — გადმოგვცემს მეორე მემატიანე, — როგორც ამ ადამიანებს“. არც მატილდასა და არც სტეფანეს არ შეეძლოთ თავიანთი მომხრე ბარონების ალაგმვა. ბარონები კონტრიბუციას ადებდნენ ქალაქებს და თუ ისინი უარს იტყოდნენ, დამრბევნი ცეცხლსა და მახვილს მიმართავდნენ. ყანები დაუმუშავებელი რჩებოდა და ხალხი შიმშილით იხოცებოდა.

ტანჯვა-წამებით დაღლილი მასები ხსნას კვლავ მეფის ხელისუფლებისაგან ელოდნენ. ამ საშინელი ანარქიის თავიდან აცილებით დაინტერესებული იყო ეკლესიაც, რომელმაც ბრძოლების მსვლელობაში არანაკლები თავდასხმები განიცადა. ბოლოს, 1153 წელს, როგორც იქნა, სასულიერო წოდების მმართველი პირების ინიციატივით, უილინგფორდში დაიდო საზავო ხელშეკრულება სტივენსა და მატილდას შვილს — ანჟუს გრაფ ანრი პლანტაგენეტს შორის, რომლის მიხედვითაც, მეფედ სტივენი უნდა დარჩენილიყო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი ანრის უნდა გადასცემოდა. მეფეს უნდა დაჰბრუნებოდა გაცემული სამეფო მამულები და ანარქიის დროს ბარონების მიერ აგებული ყველა ციხე-კოშკი უნდა დანგრეულიყო.

ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ მალე (1154 წ.) გარდაიცვალა სტივენი. ინგლისის სამეფო ტახტზე ავიდა ანჟუს გრაფი ანრი პლანტაგენეტი ჰენრი II-ის სახელით (1154—1189), რითაც ინგლისში საფუძველი ჩაეყარა ანჟუელთა, ანუ პლანტაგენეტთა დინასტიას.

ვიდრე ჰენრი პლანტაგენეტი ინგლისში გამეფდებოდა, იგი იყო მფლობელი არა მარტო ანჟუს საგრაფოსი, არამედ პუატუს, მენისა და ტურენის საგრაფოებისაც. მან მოხერხებულად ისარგებლა ინგლისში წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლებით და ინგლისის მეფის კუთვნილი ნორმანდიაც შეუერთა თავის სამფლობელოს. ბოლოს, ინგლისში გამეფების წინ ცოლად შეირთო აკვიტანიის ჰერცოგის ქალიშვილი და, როგორც ეს წინა თავში იყო აღნიშნული, (იხ. თავი XIV, § 1), აკვიტანიაც მის განკარგულებაში გადავიდა.

ამგვარად, ჰენრის სამფლობელო, საკუთრივ ინგლისის გამოკლებით, საფრანგეთის სახელმწიფოს ტერიტორიის ნახევარზე მეტ ფართობს მოიცავდა კონტინენტზე. ამავე დროს, იგი ეკონომიკურად უფრო მდიდარი იყო, ვიდრე საფრანგეთის სხვა რომელიმე ფეოდალი. ამგვარად, ინგლისი პლანტაგენეტების მთლიანი სამფლობელოს მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენდა. ჰენრი მეორის მეფობის დროს ინგლისი კონტინენტთან, კერძოდ, საფრანგეთთან, ამყარებს მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირს. ყველა ამის გათვალისწი-

ნებით შეიძლება ითქვას, რომ ჰენრი დასავლეთ ევროპაში ყველაზე ძლავრ მონარქად გადაიქცა.

ჰენრი II-ს სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ხელი შეუწყო მის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმაც. გამეფებისთანავე მან მიზნად დაისახა ლიკვიდაცია მოეხდინა ხანგრძლივი ამბოხების შედეგებისა — დაემორჩილებინა თვითნება ფეოდალები, მოესპო შეიარაღებული ბანდები, აღედგინა ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქვეყნად წესრიგი დაემყარებინა. იმდროინდელ ერთ-ერთ ქრონიკაში ამის შესახებ ნათქვამია: „მეფე ჰენრიმ თავისი ხელისუფლებისადმი კვლავ დაიწყო დაქვემდებარება ქალაქებისა, კოშკებისა და მამულებისა, რომლებიც ძველად სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. ახლად აგებულ ციხე-კოშკებს იგი ახგრევდა და სამეფოდან ფლანდრელებს (ე. ი. დაქირავებულ რაზმებს, რომლებიც ამბოხების მონაწილენი იყვნენ), თვითმარქვია და ცრუ გრაფებს, რომელთაც მეფე სტეფანემ შეუგნებლად დაურიგა ხაზინის თითქმის მთელი შემოსავალი, შეუბრალებლად სდევნიდა“.

სამეფო ძალაუფლების განმტკიცების მიზნით მეფემ აღადგინა სახელმწიფოებრივი აპარატი იმ სახით, რომელიც შექმნილი იყო ჰენრი პირველის მიერ და რომელიც არეულობის ხანაში ძირფესვიანად შეირყა. ჰენრი მეორემ მთელი თავისი ყურადღება შერიფების საქმიანობას მიაქცია. შერიფებს მან მეტი უფლებები მიანიჭა და, ამავე დროს, სასტიკი კონტროლი დააწესა მათ საქმიანობაზე. შერიფებს აეკრძალათ უკანონო გამდიდრება მათდამი დაქვემდებარებული საგრაფოების მოსახლეობის გაძარცვისა და სახელმწიფო თანხების მითვისების გზით. 1170 წელს ჩატარებულ იქნა „შერიფების წმენდა“, რომლის შედეგად ოცი შერიფი თანამდებობიდან მოიხსნა და მათ ადგილზე დაინიშნენ ისეთი პირნი, რომელნიც ფეოდალების უფრო დაბალ ფენას ეკუთვნოდნენ. ამის შემდეგ, როგორც წესი, მსხვილი ფეოდალები შერიფებად აღარ ინიშნებოდნენ.

ჰენრი II-ის დროს გატარდა, აგრეთვე, მნიშვნელოვანი რეფორმა სამხედრო დარგში. ინგლისის მეფეს ხშირი შეხლა-შემოხლა ჰქონდა საფრანგეთის მეფესთან თავისი სამფლობელოების გამო საფრანგეთის ტერიტორიაზე. ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული დიპლომატიური ბრძოლა ხშირად შეიარაღებული ბრძოლებით მთავრდებოდა. ამგვარად, ჰენრის მუდმივად სჭირდებოდა ერთგული შეიარაღებული ძალები საფრანგეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად. თანახმად მანამდე არსებული წესისა, ფეოდალები აქაც ვალდებულნი იყვნენ მეფეს გაჰყოლოდნენ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ 40 დღით, და ისიც არა უცხოეთში, არამედ ინგლისის ტერიტორიაზე. სხვაგვარად ეს შეუძლებელიც იყო, რადგან

ინგლისელების გადასვლა შორეულ ადგილებში და იქ ომის წარმოება 40 დღეზე მეტ დროს მოითხოვდა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ბრძოლის დროს ფეოდალური რაზმები ყოველთვის საიმედონი არ იყვნენ.

ისევე, როგორც საფრანგეთში, ჰენრი მეორემაც დაიწყო ფეოდალების ერთი ნაწილის განთავისუფლება სამხედრო მოვალეობისაგან იმ პირობით, რომ სამხედრო ვალდებულების ნაცვლად განთავისუფლებული პიროვნება გადაიხდიდა „ფარის“ (scutagium) გადასახადს. ამ გადასახადიდან აღებული ფულით მეფე დაქირავებულ შეიარაღებულ ძალებს ადგენდა, რომელნიც სამხედრო ვალდებულებას იმდენი ხნით ასრულებდნენ, რამდენი ხნითაც მათ დაქირავებდნენ. ასეთი ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო არა მარტო იმიტომ, რომ მეფე საიმედო დასაყრდენს იქმნიდა, არამედ იმიტომაც, რომ ინგლისელი რაინდები თანდათან სცილდებოდნენ სამხედრო საქმიანობას და მშვიდობიან სოფლის მეურნეებად იქცეოდნენ. შემდეგ ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისელი წვრილი აზნაურობის დაახლოებაში ბურჟუაზიასთან.

დაქირავებული რაზმები იქმნებოდა უმთავრესად საფრანგეთში, ფლანდრელი რაინდებისაგან. 1163 წელს ჰენრიმ ხელშეკრულება დადო ფლანდრელ ბარონებთან, რომლითაც ვალდებული გახადა ისინი შეიარაღებული ძალები გამოეყვანათ მეფის მომსახურებისათვის. მსგავსი ხელშეკრულება დაიდო აგრეთვე ჰენეგაუს გრაფთან, რომლისთვისაც მეფეს ყოველწლიურად 1000 მარკა უნდა მიეცა. გარდა ზემოხსენებულისა, მეფემ 1181 წელს გამოცემული „ასიზით“ სამხედრო ვალდებულება დააკისრა აგრეთვე ინგლისის მთელ თავისუფალ მოსახლეობას.

აღნიშნულ ასიზში ნათქვამი იყო: „საერო წოდების ყოველ თავისუფალ ადამიანს, რომელსაც მოძრავი ქონება გააჩნია და შემოსავალი აქვს 16 მარკის რაოდენობით, უნდა ჰქონდეს აბჯარი და მუზარადი, ფარი და შუბი; ხოლო საერო წოდების ყოველ თავისუფალ ადამიანს, რომელსაც გააჩნია მოძრავი ქონება ან შემოსავალი 10 მარკის ღირებულებისა, უნდა ჰქონდეს აბჯარი, რკინის მუზარადი და შუბი“. ამგვარად, მეფეს თავის განკარგულებაში ჰყავდა როგორც დაქირავებული რაზმები, რომლებითაც ის დამოუკიდებელი ხდებოდა ფეოდალური რაზმებისაგან, ისე სახალხო ლაშქარი, რომელიც სამეფო ხელისუფლებისათვის უფრო საიმედო იყო. ყოველივე ეს მეფეს აძლევდა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას.

ჰენრი II-ის დაპყრობითი პოლიტიკა ირლანდიის, შოტლანდიისა და უელსისაკენ წარიმართა. ირლანდიის დაპყრობა XII საუკუნის შუა

ხანებში დაიწყეს. ხოლო უელსის დაპყრობა ინგლისელი ბარონების მიერ უფრო ადრეც ხდებოდა.

ირლანდია უძველეს ხანაში დასახლებული იყო იბერიული და კელტური მოდგმის ტომებით, რომლებიც ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. ირლანდიის მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში თემურ წყობილებაში ცხოვრობდა და კლანებად და ტომებად იყო დაყოფილი. გვაროვნულ-თემური წყობილების რღვევა აქ შესამჩნევი ხდება მხოლოდ III—IV საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვით, ხოლო კლანები ინარჩუნებდნენ მნიშვნელობას ირლანდიაში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ხანაშიც. მიწები კვლავ კლანების საკუთრებას წარმოადგენდა, კლანის მეთაურის მიწები ითვლებოდა დროებით სამფლობელოებად.

კლასობრივ დიფერენციაციას ირლანდიაში შედეგად მოჰყვა რამდენიმე ადრეული ფეოდალური სამეფოს დაარსება, რომელთა შორის წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლები პირველობისათვის. 795 წლიდან ირლანდიაში იწყება ნორმანების თავდასხმები, რის შედეგადაც ქვეყანა აოხრდა. XI საუკუნის დასაწყისში, როგორც იქნა, შესაძლებელი გახდა ირლანდიის დროებითი პოლიტიკური გაერთიანება. ერთ-ერთი კლანის ბელადი, მანსტერის მეფე ბრიან ბორუ გაერთიანებულ ირლანდიას მოექცა სათავეში. 1014 წელს მან დუბლინის მახლობლად სასტიკად დაამარცხა ნორმანები და ამით მათ თარეშს ბოლო მოუღო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ირლანდიის შინაგანი არეულობა შემდეგაც გაგრძელდა.

ინგლისელი ბარონები შეეცადნენ ესარგებლათ ირლანდიაში შექმნილი ვითარებით და 1169 წელს შეესივნენ მას. ამას 1170 წელს კვლავ მოჰყვა ინგლისელთა დამატებითი თავდასხმები. მათ კიდეც მოახერხეს ირლანდიის განაპირა ადგილების დაკავება, მაგრამ მალე დაიწყო ირლანდიის მოსახლეობის აჯანყება დამპყრობთა წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, 1171 წელს, ირლანდიის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალებით გაილაშქრა ჰენრი მეორემ. მის გალაშქრებას ირლანდიაში სხვა გარემოებამაც შეუწყო ხელი. ირლანდიის ეკლესია იმ ხანებში თავისებურებას ინარჩუნებდა; მისი წარმომადგენელნი მოითხოვდნენ კათოლიკური ეკლესიის ერთგვარ რეფორმას, რამაც პაპი ადრიანე მოთმინებიდან გამოიყვანა. იოანე სოლსბერიელის თქმით, პაპმა ჰენრი II-ს უბოძა ბულა იმის შესახებ, რომ ირლანდიის მემკვიდრედ ინგლისის მეფე გამხდარიყო. ამის შემდეგ ირლანდიის ცალკეული მეფეები იძულებულნი გახდნენ თავი ჰენრი მეორის ვასალებად გამოეცხადებინათ.

რაც შეეხება შოტლანდიასა და უელსს, რომლებიც ადრევე მოექცნენ ინგლისის გავლენის სფეროში, ინგლისის მეფე სტივენის დროს აჯანყდნენ და ინგლისის ზოგიერთი ჩრდილოეთი საგრაფოც კი დაი-

კავეს. ეს აჯანყება (1173—1174) ჰენრი მეორემ ჩააბშო და შოტლანდიის მეფე აიძულა ინგლისის მეფის ვასალი გამხდარიყო; ამასთან, მან თავისი გარნიზონები ჩააყენა ედინბურგში და სხვა ადგილებში. უელსში ინგლისის მეფეს სამჯერ დასჭირდა გალაშქრება იმისათვის, რომ ამ მხარის სიუზერენიც გამხდარიყო. მაგრამ ჰენრის მთავარ საზრუნავს მაინც მძლავრი სამეფო ხელისუფლების შექმნა წარმოადგენდა ინგლისში.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას ინგლისში მეტად შეუწყო ხელი ჰენრი მეორის მიერ გატარებულმა სასამართლოს რეფორმამაც, რომლის შედეგად სასამართლო პროცესიდან განიდევნა ორდალების წესი. ორდალების ნაცვლად დადგინდა, რომ დანაშაულის გამორკვევა უნდა მომხდარიყო ნაფიცი მოწმეების საშუალებით. გამსვლელი მოსამართლეები ადგილზე საქმის გამოძიებას ახდენდნენ ადგილობრივი რაინდებისა და შეძლებული გლეხების — ფრიჰოლდერების დამოწმებით. მოწმეთა რიცხვი ჩვეულებრივ 12 კაცით განისაზღვრებოდა. მოწმეებს ფიცით უნდა გადმოეცათ სინამდვილე. დამოწმების ეს წესი ადრევე იყო მიღებული იმ საქმეთა გამოძიებაში, რომლებიც სახელმწიფო მნიშვნელობისანი იყვნენ. ახლა კი იგი ვრცელდებოდა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებზეც. ამგვარად, ინგლისში საფუძველი ჩაეყარა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

სამეფოს ყოველ თავისუფალ ქვეშევრდომს უფლება ენიჭებოდა სამეფო კურიისადმი მიემართა თხოვნით, რათა მისი საქმე სამეფო სასამართლოს განეხილა. ამისათვის მთხოვნელს გარკვეული თანხა უნდა გაეღო ხაზინის სასარგებლოდ. სამაგიეროდ, ასეთი პირი თავისუფლდებოდა მანორიალური (ფეოდალის) სასამართლოს თვითნებობისაგან. რაკი თავისუფალ ქვეშევრდომად ითვლებოდნენ რაინდები და თავისუფალი გლეხები, ამიტომ ზემოაღნიშნული კანონი მხოლოდ მათზე ვრცელდებოდა; რაც შეეხება გლეხების დიდ უმრავლესობას — ყმა გლეხებს, ვილანებს, ისინი კვლავ მანორიალური სასამართლოსადმი დაქვემდებარებულად რჩებოდნენ. სამეფო სასამართლო არ ღებულობდა რაიმე სარჩელს ვილანებისაგან, თვლიდა რა მათ იურიდიულად არასრულუფლებიანებად.

რაც უფრო მეტი განსახილველი სადავო საქმე გადადიოდა ფეოდალის სასამართლოდან სამეფო სასამართლოში, ფეოდალის სასამართლო მით უფრო კარგავდა გავლენას მოსახლეობაზე, რის შედეგადაც იზრდებოდა სამეფო სასამართლოს მოქმედების არე და სახელმწიფო შემოსავალი. მაგრამ რეფორმის მთავარი მნიშვნელობა მაინც მის პოლიტიკურ ხასიათში მდგომარეობდა. მისი წყალობით ჰენრი მეორეს თავის მხარეზე გადაჰყავდა მრავალრიცხოვანი წვრილი რაინდობა, თა-

ვისუფალი გლეხობა და მოქალაქენი, რომელთაც სამეფო კურიის დახმარებით უზრუნველყვეს თავიანთი ქონების დაცვა მსხვილი ფეოდალების ხელყოფისაგან.

სამეფო სასამართლოს კომპეტენცია არ შეიძლებოდა სრულქმნილი ყოფილიყო, თუ ინგლისში კვლავ იარსებებდა ეკლესიის დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ უილიამ დამპყრობლის დროს შეიქმნა. იმ დროიდან საეკლესიო სასამართლო ბრალდებული ხუცების საქმეების გარჩევის ნებას არავის რთავდა, თუნდაც ეს ბრალდება მკვლელობის შესახებ ყოფილიყო. იგი თვითონ არჩევდა ამ საქმეებს და კმაყოფილდებოდა ბრალდებული ხუცებისათვის მხოლოდ საყვედურის ან მითითების მიცემით. არქიდიაკონები, რომელთა გაუმაძღრობა საქვეყნოდ იყო ცნობილი, საერო პირებსაც კი ითრევდნენ საეკლესიო სასამართლოში, რათა მათგან უსინდისოდ ჯარიმები გამოეძალათ. საერო ხასიათის საქმეებზე საეკლესიო სასამართლო ხშირად აცხადებდა პრეტენზიებს, რის შედეგადაც კონფლიქტი სამეფო სასამართლოსა და საეკლესიო სასამართლოს შორის მწვავდებოდა.

მძლავრი ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრება საშიში იყო და ჰენრი ამჯერად დაკმაყოფილდა იმით, რომ ეკლესიის მმართველობის სათავეში თავისი სანდო პირი გაიყვანა. კენტერბერის არქიეპისკოპოსი ტომას ბეკეტი გახდა. ტომასი ლონდონელი მსხვილი ვაჭრის შვილი იყო და მეფის პირადი მეგობარი. ჰენრიმ იგი ჯერ კანცლერად დანიშნა და ტომასი მხარს უჭერდა ჰენრის პოლიტიკას სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ცენტრალიზაციის საქმეში. მეფე ფიქრობდა, რომ ბეკეტის არქიეპისკოპოსობა უზრუნველყოფდა სასამართლო რეფორმის წარმართვას საეკლესიო ხაზითაც, ამიტომ 1162 წელს აარჩევინა იგი ინგლისის პრიმასად — კენტერბერის არქიეპისკოპოსად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეფე სასტიკად შეცდა.

ჰენრი მეორის მითითებით, 1164 წელს დიდმა საბჭომ გამოაქვეყნა „კლარენდონის დადგენილებანი". ამ დადგენილებათა ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი იყო, რომ მეფეზე დამოკიდებული საარქიეპისკოპოსოს, საეპისკოპოსოს, სააბატოს ან საპრიოროს ვაკანტურობის შემთხვევაში თანამდებობის მაძიებელი უნდა ინიშნებოდეს მეფის თანხმობით. ახლად დანიშნული პირი მეფის ვასალი უნდა გახდეს და ერთგულების ფიცი დადოს მის წინაშე. „დადგენილებათა" სხვა მუხლებში ნათქვამი იყო, რომ სასამართლო საქმეები სამღვდელოების შესახებ, უკეთუ საქმე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს, უნდა იხილებოდეს სამეფო სასამართლოს მიერ, ანდა საეკლესიო სასამართლოში, მხოლოდ მეფის მოხელის თანდასწრებით და უკეთუ ბრალდება დადასტურდებოდა, ეკლესიას უარი უნდა ეთქვა ასეთი დამნაშავე სა-

სულიერო პირის მფარველობაზე. საეკლესიო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ სამეფო კურიაში, იკრძალებოდა მეფის ნებართვის გარეშე მის ქვეშევრდომთა ეკლესიისაგან განკვეთა და ა. შ. აქედან ჩანს, რომ სასულიერო წოდების მაღალ თანამდებობათა დაკავება მეფესთან შეთანხმების გარეშე არავის შეეძლო, რომ ყველა სასულიერო წოდების მაღალი თანამდებობის პირი მეფის ვასალი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, მეფე ცდილობდა საეკლესიო სასამართლოს დაქვემდებარებას საეროსადმი, მაშასადამე, მის ფაქტიურ გაუქმებას.

ტომას ბეკეტმა უარი განაცხადა „კლარენდონის დადგენილებათა" მიღებაზე, რამაც ჰენრი აღაშფოთა. მან ბრალი დასდო ბეკეტს ფიცის გატეხაში, სამეფო თანხების მითვისებაში (როცა ბეკეტი კანცლერი იყო) და კიდევაც გაასამართლა იგი თავის კურიაში. ბეკეტი იძულებული გახდა გაქცეულიყო საფრანგეთში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა პაპი ალექსანდრე III. იგი იმედოვნებდა, რომ პაპი მას მხარს დაუჭერდა, მაგრამ პაპი ორჭოფულ პოზიციას ადგა, იმის გამო, რომ იგი იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსასთან აწარმოებდა ბრძოლას და არ უნდოდა ინგლისის მძლავრი მეფის — ჰენრი მეორის გადაკიდება.

ზემოაღნიშნულმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ჰენრისა და ბეკეტის შერიგებას და 1170 წელს, მეფის თანხმობით, ბეკეტი ინგლისში დაბრუნდა. ორივე მოდავე მხარის შერიგება ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ იმ ხანებში მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ბარონები ჰენრის წინააღმდეგ გამოსვლას ლამობდნენ და აუცილებელი ხდებოდა მძლავრი ეკლესიის მხარდაჭერა. მეფე იმედოვნებდა, რომ ინგლისში დაბრუნებული ტომას ბეკეტი შეწყვეტდა თავის ოპოზიციურ საქმიანობას, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. დაბრუნებულმა ბეკეტმა წინააღმდეგობის გაწევა განაგრძო. მან ეკლესიისაგან განკვეთა მეფის მომხრე სამი პრელატი, რამაც ჰენრი უკიდურეს განრისხებამდე მიიყვანა. მეფის წაქეზებით ბეკეტი ეკლესიაში მოკლეს (1170 წ. დეკემბერი). ამასთან დაკავშირებით დაიწყო ბარონების არეულობა. მოძრაობა იწყებოდა მოსახლეობის დაბალ ფენებშიც. ახლა კი პაპი ინგლისის მეფეს ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა. შინაგანი მდგომარეობის გართულებამ მეფე აიძულა 1172 წელს კენტერბერიში ბეკეტის საფლავზე საქვეყნოდ ბოდიში მოეხადა, დაეფიცა, რომ მის მკვლელობაში დანაშაული არ მიუძღოდა და ხელი აეღო „კლარენდონის დადგენილებათა" განხორციელებაზე. ეკლესიამ ბეკეტი წმინდანად გამოაცხადა.

ზემოხსენებულმა კონფლიქტმა სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვნად შეასუსტა, თუმცა ეკლესიის გაძარჯვებაც არ იყო სრული. ჰენრის მიერ განმტკიცებული სამეფო აპარატი კვლავ თავს იჩენდა

მეამბოხეთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. ეტყობა, მკაცრი ადმინისტრაცია, რომელიც წესრიგს დაამყარებდა, მისაღები აღმოჩნდა წვრილი ფეოდალებისათვის, მოქალაქეთათვის, თავისუფალი გლეხობისა და სასულიერო წოდების დაბალი ფენებისათვის. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ, როცა ლესტერის, ჩესტერისა და ნორფოლკის გრაფებმა დარემის ეპისკოპოსთან ერთად ამბოხება დაიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მხარს უჭერდა შოტლანდიის მეფე, მათ მიერ ბრძოლა მაინც წაგებულ იქნა, რადგან ფართო მასები ინგლისის მეფის მხარეზე იყვნენ. ასევე მარცხით დამთავრდა ევროპის კონტინენტზე ბარონების განდგომა ინგლისის სამეფო ხელისუფლებისაგან 1173 და 1183 წლებში, ამასთანავე ამ არეულობებში მონაწილეობდნენ დედოფალი ალიენორი და უფლისწულნი. მეამბოხენი სარგებლობდნენ საფრანგეთის მეფის ფილიპ-ოგიუსტის მხარდაჭერით. ჰენრიმ სძლია მტრებს, მაგრამ 1189 წელს კვლავ იჩინა თავი დიდმა შეთქმულებამ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მეფის ოჯახის წევრები.

მიუხედავად იმისა, რომ ლესტერის გრაფის და სხვათა აჯანყების დროს ჰენრი მეორე კონტინენტის სამფლობელოებში იმყოფებოდა, მეფის მოხელეებმა მაინც შეძლეს ძლიერი მოწინააღმდეგეების დამარცხება. ასევე, ჰენრის გარდაცვალების შემდეგ (1189 წ.) სამეფო ტახტზე ასული მისი შვილი რიჩარდ I (1189—1199), „ლომგულად“ წოდებული, ინგლისში თითქმის არ იმყოფებოდა. მან მთელი სიცოცხლე უმთავრესად ჯვაროსანთა ლაშქრობაში და თავის ფრანგულ სამფლობელოებში გაატარა. მიუხედავად ამისა, ინგლისელი ბარონები მაინც ვერაფერს ახერხებდნენ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, რიჩარდ ლომგულს ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის ესაჭიროებოდა სულ უფრო და უფრო დიდი თანხები. გამეფდა თუ არა, მან დიდი გადასახადები შეაწერა ინგლისის მოსახლეობას.

რიჩარდის ასეთი პოლიტიკა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. თვით ლონდონის მოსახლეობა სისტემატურად აცხადებდა პროტესტს უსამართლოდ გაწერილი გადასახადების გამო. 1196 წელს საქმე იქამდე მივიდა, რომ უკმაყოფილო მასების მეთაურმა — უილიამ ფიც-ოსბერტმა, „გრძელწვერად“ წოდებულმა, აშკარა კრიტიკა დაიწყო არსებული წესწყობილებისა. იგი აშკარად კიცხავდა ლონდონელ მდიდრებს, რომელნიც, მისი სიტყვით, ცდილობდნენ „საკუთარი ჯიბეების დაცვას ღატაკ გადასახადის მხდელთა ხარჯზე“. იუსტიციარიუსის განკარგულებით იგი მოკლულ იქნა და ამბოხება ჩაახშეს. 1199 წელს, როცა რიჩარდ ლომგული საფრანგეთში ალყას არტყამდა ერთ-ერთ კოშკს, იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. ინგლისის სამეფო ტახტზე ავიდა მისი უმცროსი ძმა ჯონ „უმიწაწყლოდ“ წოდებული (1199—1216).

§ 2. ბარონთა ოპოზიცია სამეფო ხელისუფლების მიმართ

თავისუფლებათა დიდი ქარტია

მართალია, ჯონის გაძეფებისას ინგლისის შინაგანი მდგომარეობა ისეთი მტკიცე აღარ იყო, როგორც მის წინაპართა დროს, მაგრამ სამეფო ხელისუფლება მაინც საკმაოდ მყარი იყო და ამ მხრივ საშიშროება თითქოს მოსალოდნელი არ ჩანდა. შემდეგში ეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა ჯონის ყოვლად უუნარო მმართველობის მეოხებით. ერთადერთი „ნიჭი", რომელიც ჯონ უმიწაწყლოს გააჩნდა, მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მას ადვილად შეეძლო თავის მოწინააღმდეგეთა გამრავლება. მან ბოროტად გამოიყენა თავისი, როგორც სიუზერენის, მდგომარეობა და ყოველგვარი წესებისა და ადათების მიუხედავად დაიწყო საკუთარი ვასალების ქონებათა კონფისკაცია. უზომო გადასახადებისა და სუბსიდიების მიღებას იგი აწარმოებდა ისეთი უღირსი ხერხებითა და ისეთი საბაბით, რაც ყოვლად მიუღებელი იყო.

1200 წელს ჯონ უმიწაწყლომ თვითნებური დაბეგვრის საშუალებით თითოეულ დამუშავებულ ჰაიდზე (დაახლოებით 50 ჰექტარი) სამი შილინგი აიღო. მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფისას იგი ხშირად ძალმომრეობას მიმართავდა. თავისი ვასალების შვილები მძევლებად მიჰყავდა იმ მიზნით, რომ მათი მამები მეფის ერთგულნი დარჩენილიყვნენ. ლენების მემკვიდრე ქალიშვილებს და ქვრივებს, მათი სურვილის გაუთვალისწინებლად, ათხოვებდნენ მეფის იმ კაცებზე, რომლებიც მას მეტ თანხას მისცემდნენ. 1203 წელს ჯონმა იმის მიზეზებით, რომ საფრანგეთში დაკარგა თავისი ზოგიერთი სამფლობელო, ბარონებს, რომლებმაც ბრძოლაში მიანებეს თავი და სახლებში გაბრუნდნენ, შეაწერა გადასახადი მოძრავ ქონებაზე ამ ქონების ღირებულების 1/7 რაოდენობით. 1204 წელს მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალებით მეფე პორტსმუტის ნავსადგურიდან გავიდა. მაგრამ სამი დღის შემდეგ ბრძოლების ჩაუტარებლად იგი კვლავ ინგლისში დაბრუნდა და თავის ვასალებს დიდი თანხა გადაახდევინა იმ მოტივით, რომ ისინი მეფეს ლაშქრობაში არ გაჰყვნენ.

დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულება დაამყარა მან ინგლისის ქალაქებთანაც. ქალაქები, რომლებიც წინა ორი მეფის დროს სარგებლობდნენ პრივილეგიებით, ახლა სხვადასხვა გადასახადებსა და ბაჟებს იხდიდნენ. გასაგებია, რომ სამეფო ხელისუფლებით უკმაყოფილოთა რაოდენობა დიდად უნდა გაზრდილიყო. ამგვარად, სამეფო ხელისუფლებას გამოეცალა ის საზოგადოებრივი ჯგუფები, განსაკუთრებით რაინდობა და შეძლებული გლეხობა, რომლებიც ადრე მის საიმედო

დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ჯონ უმიწაწყლო გულმოდგინედ ჭრიდა იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ იჯდა. მას თანდათანობით დაეკარგა ნდობა და გავლენა ინგლისის მოსახლეობაში.

სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი უფრო მეტად იმ გარემოებამ შეარყია, რომ ჯონმა საფრანგეთის მეფესთან, ფილიპ-ოგიუსტთან ბრძოლაში დაკარგა საფრანგეთში მდებარე თავისი სამფლობელოები: ნორმანდია, მენი, ანჟუ, ტურენი და პუატუს ერთი ნაწილი. ინგლისელების ზედიზედ დამარცხება საფრანგეთის ტერიტორიაზე აღშფოთებას იწვევდა ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. მეფეს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან ფილიპე მეორის ძალა კარგად ვერ შეაფასა და დროზე ვერ შეძლო მომავალი სახიფათო მდგომარეობის თავიდან აცილება.

ჯონ უმიწაწყლოს წარუმატებლობას წარუმატებლობა მოჰყვა. თავისი ვასალების მხარდაჭერას მოკლებულმა მეფემ ახლა ბრძოლა წამოიწყო ძალიან ძლიერი პაპის წინააღმდეგ, როგორიც ინოკენტი III იყო. საქმე იმით დაიწყო, რომ 1205 წელს გარდაიცვალა კენტერბერის არქიეპისკოპოსი ჰუბერტ უოლტერი. საჭირო გახდა ახალი არქიეპისკოპოსის არჩევა. ჯონმა ამ თანამდებობაზე თავისი კანდიდატი წამოაყენა. კენტერბერელი ბერების ნაწილმა წამოაყენა მეორე კანდიდატი. მაგრამ პაპმა არც ერთი მათგანი არ მიიღო და უპირატესობა მისცა ინგლისელ კარდინალ სტივენ ლენგტონს. ინოკენტი III და ლენგტონი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ — პარიზში ხანგრძლივი საღვთისმეტყველო მოღვაწეობისას ლენგტონი დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ლოტარ სენის, რომელიც შეიქმნა თუ არა პაპად ინოკენტი III-ის სახელით. მაშინვე მიიხმო რომში ლენგტონი და 1206 წელს მას კარდინალობა უბოძა. ახლა ინოკენტიმ ლენგტონი კენტერბერის არქიეპისკოპოსად აკურთხა 1207 წლის 17 ივნისს. მეფემ ლენგტონის კანდიდატურა უარყო, რის პასუხადაც ინოკენტი მესამემ ინგლისზე 1208 წლის 24 მარტს ინტერდიქტი (დროებითი აკრძალვა ყოველგვარი ღვთისმსახურებისა) გაავრცელა, ხოლო 1209 წლის ნოემბერში ეკლესიისაგან განკვეთა ჯონი.

დაწყებული კონფლიქტი თანდათან მწვავდებოდა. ინოკენტის საქციელს ჯონმა იმით უპასუხა, რომ დევნა დაუწყო პაპის მომხრე სასულიერო პირებს. 1212 წელს პაპმა მეფე ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა და სამეფო ტახტი საფრანგეთის მეფე ფილიპ-ოგიუსტს შესთავაზა. ამასთან, გამოცხადებული იყო, რომ ინგლისელი ფეოდალები, რომელთაც ჯონისათვის ერთგულების ფიცი ჰქონდათ მიცემული, თავისუფლდებოდნენ ამ ფიცისაგან და, მაშასადამე, მეფის ყოველგვარ მომსახურებაზე მათ უარით შეეძლოთ ეპასუხათ. ბარონებმა და ინგლისის სასულიერო წოდებამ პაპის მოწოდებას მხარი დაუჭი-

რეს. საფრანგეთის მეფე დაუყოვნებლივ შეუდგა ჯარების თავმოყრას და ხელსაყრელი მომენტის ლოდინი დაიწყო. მდგომარეობა ყოველმხრივ რთულდებოდა.

შექმნილმა მდგომარეობამ ჯონი სხვა უკიდურესობაში ჩააგდო. მან რადიკალურად შეცვალა თავისი დამოკიდებულება ეკლესიისადმი, რომის პაპს დაჰპირდა ლენგტონის დაშვებას კენტერბერის არქიეპისკოპოსის თანამდებობაზე და სასულიერო წოდებას დაუბრუნა ჩამორთმეული ქონება; უფრო მეტიც, 1213 წლის 16 მაისს თავისი თავი პაპის ვასალად გამოაცხადა და დათანხმდა იმაზე, რომ პაპის სასარგებლოდ, როგორც პაპის ვასალს, ყოველწლიურად ეძლია 1000 გირვანქა სტერლინგი. ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება წერილობით გაფორმდა იმ ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო მეფესა და პაპს შორის.

ჯონის პაპთან შერიგება გულისხმობდა, რომ ამიერიდან პაპი მეფეს მხარს დაუჭერდა, ინგლისის ეკლესია მეფის მომხრედ გამოვიდოდა და ამით გაძლიერებული ჯონი შეძლებდა გალაშქრებას საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა დაებრუნებინა დაკარგული მიწები. მაგრამ ინგლისელმა ბარონებმა, იმ მოტივით, რომ ისინი ვალდებულნი არ იყვნენ მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლაში, რომელიც საზღვარგარეთ უნდა წარმოებულიყო, უარი განაცხადეს ლაშქრობაში წასვლაზე. სამაგიეროდ, ჯონმა მოახერხა მოკავშირეებად გერმანიის იმპერატორი ოტო მეოთხე და ფლანდრიის გრაფი გაეხადა. მაგრამ მოკავშირეებმა ფრანგებთან ბრძოლაში სასტიკი მარცხი განიცადეს (იხ. ზემოთ, თავი XIV, § 2). დამარცხებული ჯონ უმიწაწყლო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო ინგლისში.

ინგლისში დაბრუნების შემდეგ მეფემ გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა ბარონები, რომლებიც მეფეს ლაშქრობაში არ გაჰყვნენ. თავის მხრივ, ჩრდილოეთის ბარონებმა აღმოსავლეთის ბარონებთან ერთად დაიწყეს მზადება მეფისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მალე მათ მხარეზე გადავიდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენელნი და ქალაქებიც. ამგვარად, მეფეს გამოეცალა ყოველგვარი დასაყრდენი და იგი იძულებული გახდა უინძორის მახლობლად, რენიმედის ველზე, აჯანყებულებთან შეხვედრისას დათმობაზე წასულიყო და 1215 წლის 15 ივნისს ხელი მოეწერა „თავისუფლებათა დიდ ქარტიაზე“ (Magna Charta Libertatum)

ამ ქარტიის პირველი მუხლის მიხედვით, მეფე აცხადებს, რომ იგი თანახმაა ინგლისის ეკლესია იყოს თავისუფალი, მისი ქონება — ხელუხლებელი და, რაც მთავარია, თავისუფლად აწარმოოს არჩევნები სასულიერო წოდების ყველა მაღალი თანამდებობის დაკავების დროს. ხოლო ქარტიის 42-ე მუხლი კლერიკოსებს ნებას რთავს მეფესთან შეუთანხმებლად აწარმოონ თავისუფალი მიმოსვლა რომში.

ქარტიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა მეფის უშუალო ვასალების უფლებათა დაცვას. მეფე პირობას იძლეოდა, რომ დაიცავდა ძველად არსებულ ყველა წესს სამხედრო სამსახურში, ქალთა გათხოვების საკითხში, ფეოდალურ მემკვიდრეობაში, მეურვეობის დაწესებაში, პატრონატში და სხვა. მეფეს თავისი ვასალისაგან უნდა მოეთხოვა ისეთი სამხედრო მომსახურება, რომელიც მხოლოდ ჩვეულებით არის მიღებული; ბარონის გარდაცვალების შემთხვევაში მეფეს შეეძლო მხოლოდ „ძველად არსებული რელიეფი" (რელიეფი — ვასალის ერთდროული გადასახადი სენიორის სასარგებლოდ, რომელსაც ვასალი იხდიდა მემკვიდრეობის მიღების დროს) მოეთხოვა, რაც ეს გირვანქას არ აღემატებოდა. რაინდის ფეოდზე უნდა გაღებულიყო არა უმეტეს ასი შილინგისა. ქარტიაში აღნიშნული იყო, აგრეთვე, რომ ახალგაზრდა ქვრივებისა და ქალიშვილების გათხოვება უნდა მომხდარიყო მათი თანხმობით და სხვ.

ყველა ამ მუხლის მიზანი იყო ბარონების უფლებების დაცვა მეფის ხელყოფისაგან, რომელიც მათ საქმიანობაში ხშირად ერეოდა ხოლმე და კვეცდა მათ პრივილეგიებს. ქარტიის მე-12 მუხლი მტკიცედ ადგენდა, რომ მეფეს შეეძლო ბარონებისაგან დახმარების მოთხოვნა მხოლოდ სამ შემთხვევაში: 1. თუ მეფე მტერს ტყვედ ჩაუვარდებოდა ხელში და საჭირო გახდებოდა მისი გამოსყიდვა, 2. თუ მეფე თავის უფროს შვილს რაინდად აკურთხებდა და 3. თუ მეფე თავის ასულს გაათხოვებდა. ყოველგვარი სხვა დახმარება და აგრეთვე „ფარის ფულები" გაიღებოდა ბარონების მიერ იმ შემთხვევაში, თუ „სამეფო საბჭო" მეფეს ამის ნებას დართავდა.

ქარტიაში რიგი დაპირებებისა ლონდონისათვისაც იყო მიცემული: „ქალაქ ლონდონს უნდა ჰქონდეს ყოველგვარი ძველი თავისუფლება და თავისი პრივილეგიები როგორც ხმელეთზე, ისე წყალზე. გარდა ამისა, ჩვენ გვინდა დავინებეთ, რომ სხვა ქალაქებსა და ბურგებს, აგარაკებსა და ნავსადგურებს ჰქონდეთ ყოველგვარი თავისუფლება და თავისუფალი ადათები". ქარტიის 41-ე მუხლი უცხოელ ვაჭრებს ნებას რთავდა თავისუფლად შემოსულიყვნენ ინგლისში და ევაჭრათ. ეტყობა, ამით დაინტერესებულნი იყვნენ როგორც ლონდონელი ვაჭრები, ისე ბარონები, რაინდები და ეკლესია, ყველა ის, ვინც მატყლს ამზადებდა საექსპორტოდ.

ქარტიის 39-ე მუხლის მიხედვით, მეფე პირობას იძლეოდა, რომ ის არავის დაატუსაღებდა, ქონებას არავის ჩამოართმევდა, არავის გამოაცხადებდა კანონის გარეშე და სამშობლოდან არავის გაასახლებდა, თუ სათანადო განაჩენს არ გამოიტანდნენ ბრალდებულის პერები, ინგლისში არსებული კანონების საფუძველზე. ამის შესახებ ქარტიაში ნათქვამი იყო: „არც ერთი თავისუფალი კაცი არ იქნება შეპყრო-

ბილი და ციხეში გამომწყვდეული, ქონებაჩამორთმეული, ან კანონგარეშე გამოცხადებული, განდევნილი ან რაიმენაირად დაჩაგრული, და ჩვენ მის წინააღმდეგ არ წავალთ და არც არავის გავგზავნით მის წინააღმდეგ, სხვაფრივ, თუ არ პერების სამართლიანი განაჩენისა და ქვეყნის კანონის მიხედვით".

ამგვარად, „თავისუფლებათა დიდი ქარტია" იცავდა ეკლესიის, ბარონების, რაინდებისა და ქალაქების ინტერესებს. გლეხებისაგან განსხვავებით, ესენი „თავისუფალნი იყვნენ" და, მაშასადამე, მხოლოდ მათ დაცვასა და მათზე ზრუნვაზე იყო ქარტიაში ლაპარაკი. მასში არც ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი გლეხებისა და ფართო მასების სასარგებლოდ. გარდა ამისა, ამ ქარტიით სამეფო უფლებები მეტად იკვეცებოდა. როგორც ჩანს, ქარტიის ავტორები ვერ ენდობოდნენ ჯონის დაპირებებს და ამიტომ თავისუფლებათა დიდ ქარტიაში აღნიშნეს, რომ არჩეულ უნდა იქნეს 25 კაცისაგან შემდგარი საბჭო. იმ შემთხვევაში, თუ მეფე არ მოისურვებდა ქარტიის ცხოვრებაში გატარებას, საბჭოს უფლება ეძლეოდა მთელი ძალებისათვის თავი მოეყარა და დაეწყო ბრძოლა მეფის წინააღმდეგ.

მაგრამ ჯონ უმიწაწყლო სულაც არ ფიქრობდა თავისუფლებათა დიდი ქარტიის ცხოვრებაში გატარებას. მან თავის მფარველს — ინოკენტი მესამეს—წერილით მიმართა, რომელშიც ბარონების ურჩობას უჩიოდა. ინოკენტი, რომელიც უხე შემოსავალს ღებულობდა ინგლისიდან, აღაშფოთა ამ ამბავმა. პაპმა ჯონი სპეციალური ბულით გაათავისუფლა ქარტიაში მიცემული ფიცისაგან. მეამბოხე ბარონები ეკლესიისაგან განკვეთა და კენტერბერის არქიეპისკოპოსს, სტივენ ლენგტონს, რომლის გულისთვისაც მას ადრე მოუხდა უთანხმოება მეფესთან, დროებით ახადა ღირსება. ჯონმა შეიარაღებული ძალების თავმოყრა და ბარონების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. მეამბოხე ბარონებმა, თავის მხრივ, დამხმარედ მოიწვიეს ფილიპე მეორის შვილი ლუი (მომავალი მეფე ლუი VIII, იხ. ზემოთ, თავი XIV, § 2), რომელმაც ინგლისის სამეფო ტახტზე პრეტენზია განაცხადა. სამხედრო მოქმედების გაფართოებისას ჯონი გარდაიცვალა.

ბარონთა ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ და ინგლისის პარლამენტის დასაწყისი

ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლოს შვილი ჰენრი III გახდა (1216—1272). გამეფებისას იგი 9 წლისა იყო და მის რეგენტად გრაფი პემბროკი დაინიშნა. რეგენტობის დროს სამეფო ხელისუფლებამ თავისი მომხრე ბარონების დახმარებით შეძლო დამარცხება ფრანგი პრეტენდენტისა, რომელიც იძულებული გახდა საფრანგეთში დაბრუნებული-

ყო. 1227 წელს რეგენტობა დამთავრდა და ჰენრი III დამოუკიდებელი მმართველი გახდა, თუმცა შემდეგაც, იმის გამო, რომ იგი უნიჭო და უსუსური იყო, მუდამ ამა თუ იმ ჯგუფისა და ცალკეული პირის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ინგლისელი ბარონების წინააღმდეგ ბრძოლაში თავის დასაყრდენად ახალი მეფე ცდილობდა თავისი ნათესავები, მეგობრები და რომის პაპი გაეხადა. მეფის ნათესავებმა დიდი რაოდენობით მოიყარეს თავი საზღვარგარეთიდან, მათი უმრავლესობა სამხრეთ საფრანგეთიდან (პროვანსიდან) იყო მოსული. ისინი ჰენრი III-ის ცოლის ნათესავები იყვნენ. მეფე უცხოელებს უხვად ურიგებდა სამეფო მიწებსა და დიდ თანამდებობებს.

რომის პაპის გავლენის ქვეშ მყოფი ინგლისის მეფე ფართო ვაჭრობას აწარმოებდა სასულიერო წოდების მაღალი თანამდებობებით. იმისათვის, რომ დიდი თანხები მიეღოთ, პაპი და მეფე საეპისკოპოსო, საეპატო და სხვა თანამდებობებზე ნიშნავდნენ იტალიელებს, ფრანგებსა და სხვა უცხოელებს. თავის მხრივ, პაპი ცდილობდა ესარგებლა ჰენრი III-ის ასეთი მორჩილებით და რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე მიეტაცა ინგლისიდან. პაპის ლეგატები სასულიერო წოდებას უამრავ თანხას ართმევდნენ და პაპს უგზავნიდნენ ჰოჰენშტაუფენებთან ბრძოლის გასაგრძელებლად. პაპი და მისი დამქაშები ინგლისის მეფეს თავს ახვევდნენ ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც უშედეგო და ამავე დროს საზიანო იყო ინგლისისათვის.

რომის პაპმა მეფეს მისი უმცროსი შვილის — ედმუნდისათვის შუა-თავაზა სიცილიის სამეფოს გვირგვინი. სიცილია იმ დროს ჰოჰენშტაუფენების სამფლობელო იყო, თუმცა რომის პაპი თავის თავს ორივე სიცილიის სენიორად თვლიდა და ლამობდა ჰოჰენშტაუფენების განდევნას იქიდან. 1254 წელს ჰენრი III პაპის წინადადებას დასთანხმდა და მზადება დაიწყო ომისათვის, ხოლო მისმა ძმამ რიჩარდ კორნუელსელმა მიიღო „რომის საღმრთო“ იმპერატორის გვირგვინი (1257 წლის 17 მაისს). ამ უაზრო საგარეო პოლიტიკამ საჭირო გახადა დამატებითი სახსრების გამონახვა, ეკონომიკური მდგომარეობა კი ინგლისში სულ უფრო რთულდებოდა. გადასახადების საერთო რაოდენობამ უკვე 40000 გირვანქა სტერლინგს მიაღწია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხაზინას მაინც ჰქონდა დეფიციტი: 1257 წელი ინგლისში მოუსავლიანი იყო. მომდევნო წელს თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მეფემ მაინც მოითხოვა სამეფო შემოსავლის ერთი მესამედი. ამან მოსახლეობაში მღელვარება გამოიწვია.

ინგლისელი ბარონები შეეცადნენ შექმნილი უკმაყოფილებით ესარგებლათ და მეფის მოთხოვნების საპასუხოდ უესტმინსტერში შეიარაღებულნი გამოცხადდნენ. მათ მეფეს მოსთხოვეს ყველა ფრანგი

თანამდებობიდან გადაეყენებინა და სპეციალური კომისია გამოეყო, რომელიც სახელმწიფოში რეფორმებს გაატარებდა. მალე ბარონებმა ხელახლა მოიყარეს თავი ოქსფორდში განსაკუთრებული კონსტიტუციის („ოქსფორდის პროვიზიები") გამოსამუშავებლად. ბარონების მიზანი იყო მუდმივი კონტროლი დაეწესებინათ მეფის საქმიანობაზე. ამ „პროვიზიებით" ფაქტიური ხელისუფლება გადადიოდა 15 ბარონისაგან შემდგარი საბჭოს ხელში. წელიწადში სამჯერ უნდა მოწვეულიყო პარლამენტი, რომელსაც თავის სხდომებზე უნდა განეხილა ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხი. ბარონების მოძალების გამო ჰენრი III იძულებული გახდა 1258 წელს დათანხმებულიყო „ოქსფორდის პროვიზიებზე" (წინადადებებზე). მყარდებოდა ბარონთა ოლიგარქიული მმართველობა.

ბარონებმა ზემოხსენებულ წარმატებას მიაღწიეს იმის გამო, რომ ისინი რაინდობასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ; მაგრამ მალე გამომჟღავნდა ბარონთა თავხედობა. მათ რაინდების მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს და შექმნილი ვითარება მხოლოდ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს: შეეცადნენ საკუთარი სამფლობელოების გაფართოებას. 1259 წელს უესტმინსტერში მოწყობილ შეკრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბარონებიცა და რაინდებიც, რაინდებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს. ისინი ბარონებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ „მათ არაფერი გააკეთეს სახელმწიფოს სასარგებლოდ. მიუხედავად თავიანთი დაპირებისა, ისინი მხოლოდ პირად გამორჩენაზე ზრუნავენ". ამასთან დაკავშირებით ინგლისში რაინდობის ფართო მოძრაობა დაიწყო. რაინდებმა წამოაყენეს საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნები, რომელთა მიზანი იყო რაინდთა ინტერესების დაცვა როგორც მეფის, ისე ბარონთა თვითნებობისაგან. რაინდების მოთხოვნებმა შეადგინეს ე. წ. „უესტმინსტერის პროვიზიები".

ამ მოძრაობაში მალე ჩაებნენ მოქალაქეები და თავისუფალი გლეხობა, რომელთაც ვილანებიც შეუერთდნენ. ამგვარად, მოძრაობამ უფრო დემოკრატიული ხასიათი მიიღო; ამ გარემოებამ ბარონებს შორის ერთგვარი განხეთქილება გამოიწვია. ბარონთა ერთი ნაწილი, რომელსაც სათავეში გლოსტერის გრაფი რიჩარდი ედგა, წინანდებურად უჭერდა მხარს ბარონთა ოლიგარქიის დამყარებას და „ოქსფორდის პროვიზიებს", ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლესტერის გრაფი სიმონ დე მონფორი (ალბიგოელთა წინააღმდეგ მოწყობილი „ჯვაროსნული ლაშქრობის" ხელმძღვანელის, სიმონ დე მონფორის შვილი) და რომელიც ფიქრობდა, რომ მეფის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის წარმატებით დამთავრება მხოლოდ მასებთან კავშირში შეიძლებოდა, რაინდობას მიემხრო და „უესტმინსტერის პროვიზიებს" დაუჭირა მხარი.

ისარგებლა რა ბარონთა რიგებში მომხდარი განხეთქილებით, მეფემ 1262 წელს გააუქმა „ოქსფორდის პროვიზიები“ და დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ. 1263 წელს ინგლისში მეფესა და ბარონებს შორის დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ბარონებს სათავეში ჩაუდგა მონფორი, რომელიც ემყარებოდა ბარონებთან ერთად რაინდობას, ქალაქელებსა და თავისუფალ გლეხობას. მონფორის ძლიერ დასაყრდენს ლონდონის მოქალაქენი შეადგენდნენ. 1264 წლის 12 მაისს სიმონ დე მონფორის ცხენოსანმა რაზმებმა და ლონდონის 15 ათასამდე მცხოვრებმა სოფელ ფლეტჩიგენის მახლობლად დაიკავეს ტყიანი მაღლობები. 13 მაისს ორივე მოწინააღმდეგე ბრძოლისათვის ემზადებოდა. 14 მაისს გადამწყვეტი ბრძოლა ლუისთან გაიმართა და სიმონ დე მონფორის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ჰენრი III და მისი უფროსი შვილი ედუარდი მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდნენ ხელში. ქვეყნის ფაქტიურ დიქტატორად სიმონ დე მონფორი გადაიქცა.

1265 წლის 20 იანვარს სიმონ დე მონფორმა პირველად მოიწვია პარლამენტი. მასში მონაწილეობდა ხუთი გრაფი და თხუთმეტი ბარონი, რომლებიც სიმონის მომხრენი იყვნენ. სასულიერო წოდებამ, რომელიც აგრეთვე სიმონის მომხრე იყო, 12 ეპისკოპოსი, 50 აბატი და 26 პრიორი გაგზავნა. შერიფებმა თითოეული საგრაფოდან ორ-ორი რაინდი წარადგინეს, ქალაქებმა — იორკმა, ლინკოლნმა და სხვებმაც — ასევე ორ-ორი. ამგვარად, პარლამენტის შემადგენლობა უკვე მოიცავდა საზოგადოების ყველა წოდებას, გარდა დაბალი ფენებისა.

ზემოთქმულის მიუხედავად, სიმონ დე მონფორმა დიდი ხნით მაინც ვერ მოახერხა ხელისუფლების სათავეში დგომა. უფლისწულმა ედუარდმა მოასწრო ტყვეობიდან გაქცევა და დაიწყო მზადება ახალი ბრძოლისათვის. ინგლისის ბარონების უმრავლესობა კვლავ მეფის მხარეზე გადავიდა მას შემდეგ, რაც ედუარდი მათ დაჰპირდა, რომ მონარქია კვლავ იმოქმედებდა „ოქსფორდის პროვიზიების“ საფუძველზე. 1265 წლის 4 აგვისტოს გაიმართა ბრძოლა ივზემთან, სადაც მონფორის მომხრენი დამარცხდნენ და თვით სიმონ დე მონფორი მოკლულ იქნა. მიუხედავად ამისა, პარლამენტმა განაგრძო თავისი არსებობა და თანდათან უფრო მეტი მნიშვნელობა მოიპოვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. უკვე ედუარდის მეფობის დროს მიაღწია პარლამენტმა მნიშვნელოვან წარმატებას.

ედუარდ I გამეფდა 1272 წელს და მეფობდა 1307 წლამდე. XIII საუკუნეში ინგლისში სათემო მიწების შემოღობვანი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მსხვილ მიწათმფლობელთა ხელში სულ უფრო მეტი რაოდენობით ხდებოდა სათემო მიწების თავმოყრა. ამ პროცესს

ხელს უწყობდა თვით სამეფო ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა ამით დიდად უკმაყოფილო იყო. 1285 წელს გამოიცა უესტმინსტერის „მეორე სტატუტი“, რომლის მიხედვითაც ფეოდალებს უფლება ეძლეოდათ შემოღობვის ჩატარებისა, იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალ გლეხობას შემოღობვის შემდეგ ძაინც დარჩებოდა საკმარისი სათემო მიწები. ამ სტატუტში უყურადღებოდ იყო დარჩენილი ყმა გლეხობა, რომელსაც ანგარიშს არავინ უწევდა.

ამგვარად, ედუარდ პირველის საშინაო პოლიტიკა მთლიანად გაბატონებული კლასის ინტერესების სრული დაკმაყოფილების მიმართულებით წარიმართა, მაგრამ ამავე დროს მეფე შეეცადა მსხვილი ფეოდალ-მაგნატების — პირველ რიგში სასულიერო ფეოდალების — გავლენის შესუსტებას. 1279 წელს გამოქვეყნდა სტატუტი „მკვდარი ხელის შესახებ“, რომლის მიხედვითაც ფერხდებოდა საეკლესიო მიწათმფლობელობის შემდგომი ზრდა. საქმე ისაა, რომ XII—XIII საუკუნეებში ეკლესიამ ყოველგვარი მზაკვრული ხერხის (ყალბი ანდერძების შედგენა, ჯოჯოხეთით მდიდრების დაშინება, ცრუ სასწაულების მოხდენა, მევახშეობა და სხვ.) გამოყენებით დიდად გაზარდა თავისი მიწათმფლობელობა. რადგან ეკლესია განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან, ცხადია, საეკლესიო მიწების გაზრდით ხაზინა შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს კარგავდა. ამიტომ სტატუტი „მკვდრის ხელის შესახებ“ ეკლესიის მიერ ახალი მიწების შეძენას სასტიკად კრძალავდა, თუ ამის ნებართვა არ იქნებოდა მეფისაგან.

იმ მიზნით, რომ ხელისუფლებას სამეფო შემოსავალი გაეზარდა, 1303 წელს გამოაქვეყნეს „სავაჭრო ქარტია“. ამ ქარტიით საზღვარგარეთელ ვაჭრებს ნება ეძლეოდათ ინგლისში თავისუფალი შემოსვლისა და იქიდან საქონლის თავისუფლად გატანისა, თუ ისინი გადაიხდიდნენ დაწესებულ ბაჟს. რა თქმა უნდა, ეს ბაჟი გაცილებით უფრო დიდი იყო იმაზე, რომელსაც ინგლისელი ვაჭრები იხდიდნენ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო არა მარტო საგარეო ვაჭრობის გაფართოებას. ამავე სავაჭრო კაპიტალის დიდი რაოდენობით შემოტანას ინგლისში. მევახშეობის სფეროში გაჩაღდა სასტიკი კონკურენცია საზღვარგარეთელ და ადგილობრივ მევახშეებს შორის. ინგლისელი მევახშეების დაცვისათვის საჭირო ხდებოდა ებრაელების რბევა-აწიოკება და მათი ინგლისიდან განდევნა. იმ 16 ათასი ებრაელიდან, რომლებიც ინგლისიდან განდევნეს, სულ მცირე ნაწილი გადაურჩა დაღუპვას საფრანგეთში მისვლით.

ასევე აქტიურად წარიმართა ედუარდ პირველის საგარეო პოლიტიკაც. ინგლისის აგრესია, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო მისი უშუალო მეზობლების — უელსისა და შოტლანდიის წინააღმდეგ. 1282 წელს ედუარდ I დიდი არმიით გაემართა უელსის დასაპყრობად. მიუ-

ხედავად მთიელების დიდი წინააღმდეგობისა, უელსი დაპყრობილ იქნა. ადგილობრივ მოსახლეობას დამპყრობლებმა მიწები ჩამოართვეს. უელსში გადასახლდნენ ინგლისელი ფეოდალები, რომლებმაც იქ ციხე-კოშკები ააგეს და გაბატონდნენ. დაპყრობილი უელსი საუფლისწულოდ გადაიქცა, რის გამოც ინგლისელი მეფის უფროს შვილს, ტახტის მემკვიდრეს „უელსის პრინცის" წოდება მიენიჭებოდა ხოლმე, ისე როგორც საფრანგეთში —„დოფინის" ტიტული.

1286 წელს უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა შოტლანდიის მეფე ალექსანდრე III. ამასთან დაკავშირებით სამეფო ტახტზე პრეტენზიები განაცხადეს შოტლანდიის არისტოკრატიულმა საგვარეულოებმა, რომელთა შორის ატყდა განუწყვეტელი ბრძოლები. ამით ისარგებლა ედუარდ პირველმა და შეიარაღებული ძალებით დაიპყრო შოტლანდიაც. დამპყრობელთა მხარეზე გადავიდა შოტლანდიის ფეოდალთა დიდი ნაწილი, რომელიც ფიქრობდა, რომ ინგლისის მეფის ხელისუფლება მისთვის საუკეთესო ძალა იქნებოდა შოტლანდელი გლეხების საბოლოოდ დაყმევების საქმეში. შოტლანდიის უშუალო მწარმოებლები ახლა უკვე ორგვარ ჩაგვრას განიცდიდნენ, რადგან ისინი არა მარტო საკუთარი მებატონეების, არამედ დამპყრობლების ექსპლუატაციის ობიექტადაც იქცეოდნენ.

1314 წლისათვის შოტლანდიის მოსახლეობის უკმაყოფილებამ კულმინაციას მიაღწია. დაიწყო გლეხების აჯანყება, რომელსაც მალე მიემხრნენ ქალაქები, ეკლესია და რაინდების ერთი ნაწილი. ამ აჯანყებას უწოდებდნენ „დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ომს", რომელიც აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა ამ გამარჯვების შედეგებით ისარგებლეს შოტლანდელმა თავადაზნაურებმა. ინგლისელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ შოტლანდიის ტერიტორია.

შოტლანდიასთან დიდი ხნით წარმოებული ომი ინგლისისაგან მოითხოვდა უზომო მატერიალურ სახსრებს. ამასთან, ეს ომი სულ უფრო და უფრო არაპოპულარული ხდებოდა. სახსრების გამონახვის მიზნით და იმის შიშით, რომ ამ გარემოებას ახალი ოპოზიციური გამოსვლები არ მოჰყოლოდა ინგლისში, ედუარდმა 1295 წ. თვითონ მოიწვია პარლამენტი, რომელსაც მოგვიანებით „სამაგალითო პარლამენტი" ეწოდა, რადგან შემდეგი მოწვევებიც ასეთივე სოციალური შემადგენლობისა იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ედუარდის დროს პარლამენტი თითქმის ისეთივე სოციალური შემადგენლობისა იყო, როგორც სიმონ დე მონფორის მიერ მოწვეული პარლამენტი.

რადგან ახლა პარლამენტს ხშირად იწვევდნენ, ამიტომ ის მუდმივმოქმედ ორგანოდ გადაიქცა, რომლის უფლებებიც დროთა განმავლობაში მატულობდა. პირველი მნიშვნელოვანი უფლება პარლამენტმა მოიპოვა ჯერ კიდევ 1297 წელს, როდესაც მეფე იძულებული გახ-

და გამოეცა სტატუტი, რომელსაც „ქარტიის დადასტურება“ ეწოდა. ამ სტატუტში აღნიშნული იყო, რომ მეფეს არ შეეძლო რაიმე გადასახადის აკრეფა პარლამენტის სანქციის გარეშე. XIV საუკუნის მიწურულში კი პარლამენტმა ახალი უფლება მიიღო — კონტროლი დაეწესებინა აკრეფილი გადასახადის ხარჯვაზე. პარლამენტი თანდათან იქცევა საკანონმდებლო ორგანოდ.

XIV საუკუნის შუა ხანებში პარლამენტი ორად გაიყო: ერთი იყო ზედა, ანუ ლორდთა პალატა, ხოლო მეორე — ქვედა, ანუ თემთა პალატა. ზედა პალატას წარმოადგენდნენ არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მსხვილი მონასტრების აბატები და მსხვილი ბარონები. ისინი მოწვეულნი იყვნენ მეფის მიერ და არჩევნებს არ ექვემდებარებოდნენ. თემთა პალატაში არჩევითობის საფუძველზე წარმოდგენილნი იყვნენ რაინდები და ქალაქელნი. თითოეული საგრაფოდან ღია კენჭისყრით ირჩეოდა ორი რაინდი. ყველა საგრაფოდან წარმოდგენილი იყო 74 კაცი. ასევე, თითოეული ქალაქი ირჩევდა ორ დეპუტატს. ედუარდ პირველის დროს პარლამენტში შედიოდნენ 166 ქალაქის წარმომადგენლები, რომელთა საერთო რაოდენობა 332 კაცს აღწევდა.

ინგლისის პარლამენტს კიდევ ერთი თავისებურება გააჩნდა, რომლითაც იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საფრანგეთის გენერალური შტატებისაგან. პარლამენტში რაინდობა და ბურჟუაზიის წარმომადგენელნი ერთად იყრიდნენ თავს, იმ დროს როცა საფრანგეთის გენერალური შტატების სხდომები ეწყობოდა ცალკე წოდებების მიხედვით. ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისის წოდებანი ისე კარჩაკეტილნი არ იყვნენ, როგორც საფრანგეთში. ინგლისელ რაინდებსა და ბურჟუაზიას შორის, მეურნეობის წარმოების თვალსაზრისით, დიდი განსხვავება არ შეიმჩნეოდა. ფულადი-სასაქონლო ურთიერთობა მალე ინგლისის სოფელშიც შეიჭრა. რაინდობის უმრავლესობა თავის მეურნეობაში დაქირავებულ შრომას იყენებდა, ისევე, როგორც ბურჟუაზია, რის გამოც რაინდისათვის სავაჭრო საქმიანობა სათაკილოდ არ ითვლებოდა. წესად იყო მიღებული, რომ მიწის თავისუფალ მესაკუთრეს, როგორი წარმოშობისაც არ უნდა ყოფილიყო, შეეძლო და ვალდებულიც იყო რაინდთა წოდებაში გადასულიყო, თუ მისი წლიური შემოსავალი 20 გირვანქა სტერლინგს უდრიდა. ამასთან, თუ რომელიმე თავადი ან აზნაური რაიმე მიზეზის გამო მიწას დაკარგავდა, კარგავდა თავის წოდებასაც.

თავი XVI

ბიზანტია XII—XV საუკუნეებში

§ 1. ბიზანტია ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის დაწყებამდე

ბიზანტიის შემდგომი ფეოდალიზაცია

XII—XIII საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობა განმტკიცდა თითქმის მთელს ბიზანტიის იმპერიაში. ბიზანტიის მხოლოდ ცალკეულ შხარეებში, მაგალითად, ნიკეაში, სმირნაში, ეპირში და პელოპონესის მთებში და ისიც აქა-იქ, გლეხებს შემონარჩუნებული ჰქონდათ პირადი თავისუფლება. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად ხდებოდა ფეოდალური კლასის ყოველმხრივი გაძლიერება. ამასთან დაკავშირებით ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლება იძულებული იყო ფეოდალებისათვის გადაეცა ექსკუსიების სულ უფრო მეტი უფლებები.

ექსკუსია ნიშნავდა იმას, რასაც დასავლეთ ევროპაში იმუნიტეტი ეწოდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იმუნიტეტი უფრო სრულყოფილი და ყოველმხრივი იყო, ვიდრე ბიზანტიური ექსკუსია, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ გადასახადების აკრეფაზე ვრცელდებოდა და არა ადმინისტრაციულ-სამოსამართლო საქმეებზე. შემდეგ, როცა ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლება შესუსტდა, ექსკუსიამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და სრულყოფილი შეიქნა. ექსკუსიების გაცემის პარალელურად ბიზანტიაში წარმოებდა აგრეთვე „პრონიების“ გაცემაც ფეოდალებისათვის. პრონია იმ მიწებს ეწოდებოდა, რომლებსაც იმპერატორი ფეოდალებს აძლევდა დროებით მფლობელობაში სამხედრო ან სხვა რაიმე სამსახურისათვის. ექსკუსიები და პრონიები ხელს უწყობდნენ ფეოდალების ძალაუფლების განმტკიცებას.

XII—XIII საუკუნეებში წარმოებდა გლეხობის სხვადასხვა ფენის ნიველირება. რაც დრო გადიოდა, ფეოდალის ექსკუსიის უფლებები უფრო ფართოვდებოდა. ფეოდალები სასამართლო უფლებებს ითვისებდნენ არა მარტო თავიანთ ყმა გლეხებზე, არამედ იმ პირებზეც,

რომელნიც მათ ყმებად არ ითვლებოდნენ, მაგრამ ფეოდალის სამფლობელოში ან მის მახლობლად ცხოვრობდნენ.

თუ ადრე, XI საუკუნეში, გლეხობას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფალი გადასვლის უფლება, უკვე XIII საუკუნეში იგი ბიწაზე ბიმაგრებული აღმოჩნდა. ამასთან, შეიცვალა ფეოდალური რენტის სახეც. სახელმწიფო გადასახადებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი იმ რენტას დაეთმო, რომელიც გლეხობას ფეოდალების სასარგებლოდ უნდა გაეღო. დამოკიდებული გლეხების ძირითად კატეგორიას, რომელთაც პარიკებს უწოდებდნენ და რომელთაც სრული ნაკვეთები ჰქონდათ, უნდა გადაეხადათ ფულადი რენტა. გარდა ამისა, პარიკები ვალდებულნი იყვნენ ეხადათ საბატონო ბეგარა, ნატურით გაეღოთ ღალა და სახელმწიფოსა და ეკლესიისთვისაც ეძლიათ გადასახადები.

ზემოაღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აგრეთვე ქალაქურ ყოფა-ცხოვრებაშიც. საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი წინსვლა დაეტყო ქალაქურ ხელოსნობას. თუ მანამდე აბრეშუმის ქსოვილების დამზადების მონოპოლია მხოლოდ კონსტანტინოპოლს ჰქონდა, ახლა აბრეშუმის საქსოვი სახელოსნოები გამრავლდა თებეში, კორინთში და ათენში. სხვა ქალაქების ხელოსნური წარმოება უფრო მეტად გაფართოვდა. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა ვაჭრობა და აღებ-მიცემა. მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად ახლა თესალონიკე (სლავურად — სოლუნი) გადაიქცა, რომლის ბაზრობებზეც თავს იყრიდნენ უცხოელი ვაჭრები. თესალონიკის ბაზრობების შესახებ XIII საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთი კაბადოკიელი მოგზაური წერდა:

„— თუ შენ, ჩემო ცნობისმოყვარე მეგობარო, შემეკითხები, თუ რა იყო დუქნებში, როცა მოგვიანებით ჩამოვედი მაღლობიდან, რომ ყველაფერი ახლოს მენახა, მაშინ წარმოიდგინე საქონლის ყოველგვარი სახეობა, რაც შეიძლება დამზადებულ იქნეს მამაკაცისა და ქალის ხელით ქსოვილებისაგან და ნართისაგან; ყველაფერი ის, რაც ბეოტიიდან და პელოპონესიდან შემოაქვთ და რაც სავაჭრო ხომალდებს ელინებისათვის მოაქვთ იტალიიდან; უფრო მეტ საქონელს იძლევა ფინიკია და ეგვიპტე, ესპანეთი და ჰერკულესის სვეტები, სადაც მზადდება საუკეთესო ნოხები. ყველაფერი ეს ვაჭრებს თავიანთი ქვეყნებიდან პირდაპირ შემოაქვთ ძველ მაკედონიაში და თესალონიკაში“.

თვით ქალაქი კონსტანტინოპოლი, ეს „ოქროს ხიდი“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ფართო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა. აქ თავს იყრიდნენ ვაჭრები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ბენიამინ ტუდელელი, რომელმაც 1171 წლის დეკემბერში კონსტანტინოპოლი ინახულა, ამ ქალაქის შესახებ წერდა: „ქალაქ კონსტანტინოპოლის გარე-

მო 18 მილს უდრის. მისი ერთი ნახევარი გარემოცულია ზღვით, მეორე კი ხმელეთით. ქალაქი მდებარეობს ზღვის ორ შესართავს, ორ უდიდეს მდინარეს შორის, რომელთაგან ერთი სათავეს ღებულობს რუსიიდან, მეორე — ესპანეთიდან. აქ მოდიან ვაჭრები ბაბილონის მიწებიდან, მესოპოტამიიდან, სპარსეთიდან, მიდიიდან, ეგვიპტის მიწებიდან, ქანაანიდან (პალესტინიდან), რუსიიდან (რუსეთიდან), უნგრეთიდან, პაჭანიგების მიწებიდან, ხაზარებიდან, ლომბარდიიდან და ესპანეთიდან. ვაჭრობისათვის აქ ყველა ქვეყნიდან მოდიან, როგორც ზღვით, ისე ხმელეთით. იგი ხმაურიანი ქალაქია; მისი მსგავსი ქვეყნად არ მოიპოვება, გარდა ბაღდადისა... ამბობენ, რომ ამ ქალაქის შემოსავალი მარტო დუქნებისა და ბაზრების გაქირავებისაგან და იმ ვაჭრებზე ბაჟების დადებისაგან, რომელნიც ზღვითა და ხმელეთით მოდიან, ყოველდღიურად 20 ათას ოქროს მონეტას აღწევს...“

ბიზანტიის პოლიტიკური ვითარება XII საუკუნეში

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. თავი III), ალექსი კომნინოსის დროს ბიზანტიის საგარეო მდგომარეობა ასე თუ ისე სტაბილური გახდა. ჯვაროსანთა პირველმა ლაშქრობამ შეაჩერა თურქ-სელჩუკების შემოტევა ბიზანტიაზე, რის შედეგადაც ბიზანტიას მიეცა შესაძლებლობა უკან დაებრუნებინა მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ალექსის შვილმა იოანემ (1118—1143) აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების მეშვეობით ძველ ფრიგიაში კვლავ იგდო ხელთ ქალაქი ლაოდიკეია, შემდეგ — პაფლაგონიის სამხრეთი ნაწილი ქალაქებით — კასტამონითა და განგრათი და აგრეთვე პისიდიისა და პამფილიის ნაწილი. იოანე ენერგიულ ბრძოლებს აწარმოებდა პაჭანიგების წინააღმდეგაც, რომლებმაც ხელახლა გადმოლახეს მდინარე დუნაი და იმპერიის საზღვრებში შეიჭრნენ. ერთი მხრივ, რუსების მედგარმა ბრძოლამ პაჭანიგების წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, ამ უკანასკნელებთან იოანეს მიერ გამართულმა ბრძოლამ პაჭანიგების საშიშროება მთლიანად მოსპო. ამის შემდეგ პაჭანიგების ხსენება ისტორიაში გაქრა.

იოანეს მემკვიდრის, იმპერატორ მანუილის (1143—1180) გამეფებისას ბიზანტიის საშინაო და საგარეო ვითარება უკეთესი იყო. ბიზანტიის ეკონომიკა აღმავლობის გზაზე დადგა, რის გამოც სახელწიფო ფინანსები გაიზარდა. ბიზანტიის შეიარაღებული ძალები, რომლებიც უცხოელი დაქირავებული რაზმებისაგან შედგებოდა, საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა, სანამ მათ კარგი გასამრჯელო ეძლეოდათ. დაქირავებული ჯარების მეთაურები იმპერატორისაგან ღებულობდნენ ყმა გლეხებით დასახლებულ უამრავ მიწას და საუცხოოდ

გრძნობდნენ თავს. ისინი ბიზანტიელი გლეხების უმოწყალო ექსპლუატაციას ეწეოდნენ.

ამგვარად, ბიზანტიელ გლეხებს ჩაგრავდნენ როგორც ბიზანტიელი, ისე უცხოელი ფეოდალებიც. რაც დრო გადიოდა, უცხოელთა რაოდენობა იმპერიაში თანდათან მატულობდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მანუილის მეფობის ხანაზე. რაკი მანუილი ფიქრობდა, რომ ბიზანტიას აღმოსავლეთიდან საშიშროება იმდენად აღარ ემუქრებოდა, მან სცადა აქტიური საგარეო პოლიტიკა დასავლეთშიც გაეტარებინა, იმ მიზნით, რომ იტალია ანდა მისი ცალკეული ნაწილები ბიზანტიისათვის შემოეერთებინა და ბიზანტიის გავლენა ამ მიმართულებითაც მთლიანად აღედგინა.

ზემოაღნიშნული პოლიტიკიდან გამომდინარე, მანუილი ისე შორს წავიდა, რომ ბოლოს თვითონ მოექცა დასავლეთის გავლენის ქვეშ. მას დიდი რაოდენობით მოჰყავდა ლათინები ბიზანტიაში და ყველას დიდ-დიდ თანამდებობებზე ნიშნავდა. იტალიის საქმეებში ჩარევა, განსაკუთრებით კი ბრძოლა იტალიელ ნორმანებთან, მნიშვნელოვან საზღვაო ძალებს მოითხოვდა. ბიზანტიის საზღვაო ფლოტი, თავისი სისუსტის გამო, საკმარისი არ იყო ასეთი რთული ამოცანების გადაჭაწყვეტად. ძალაუნებურად საჭირო ხდებოდა ისეთი მოკავშირის მონახვა, რომელსაც საკმაოდ ძლიერი ფლოტი ეყოლებოდა.

ასეთი მოკავშირის ძებნა ბიზანტიამ ადრევე დაიწყო. ჯერ კიდევ 1082 წელს რობერ გისკარის წინააღმდეგ ბიზანტიასა და ვენეციას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ვენეციის ფლოტს ბიზანტიელებისათვის დახმარება უნდა გაეწია სანაპირო ადგილების დაცვაში. სამაგიეროდ, ვენეციელებს მიეცათ უფლება არა მარტო იმისა, რომ ყოველგვარი ბაჟის გარეშე ეწარმოებინათ თავისუფალი ვაჭრობა იმპერიაში, არამედ მათ შეეძლოთ აგრეთვე საავაჭრო ფაქტორიები დაეარსებინათ ყველგან, სადაც კი მოისურვებდნენ, თვით კონსტანტინოპოლშიც კი.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ბიზანტიას დიდ ზიანს აყენებდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვენეციელთა დახმარება ბიზანტიისადმი ეფექტური არ იყო, და, მეორეც, ვენეციელებმა, რომელთაც ხელთ იგდეს საავაჭრო ოპერაციების ყველა სადავე, ბიზანტიის ვაჭრობა მნიშვნელოვნად შეასუსტეს, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა აგრეთვე ბიზანტიის საქალაქო წარმოებაზე. ამის გამო, იმ მიზნით, რომ შესუსტებულიყო ვენეციელების კონკურენცია, იმპერატორმა ალექსიმ თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში საავაჭრო პრივილეგიები მიანიჭა მათ მოწინააღმდეგე პიზელებსაც, მაგრამ ამ ღონისძიებამ ვენეციელებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იოანემ გამეფებისას აღარ მოისურვა 1082 წლის ხელშეკრულების დამტკიცება და 1123 წელს

ვენეციელები კიდეც განდევნა კონსტანტინოპოლიდან. ვენეციელებმა დაიწყეს თავდასხმა პელოპონესის ქალაქებზე და არქიპელაგზე. იოანეს არ ჰყავდა საკმაოდ ძლიერი საზღვაო ფლოტი და იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1126 წელს მან ხელმეორედ დაამტკიცა ვენეციელთა პრივილეგიები.

როგორც ვთქვით, მანუილის დროს უცხოური ელემენტები უფრო მომრავლდნენ. მართალია, ბიზანტიის ვაჭრობაში ახლა გენუელებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა მაინც ვენეციელებს ეკავათ. გენუელებსა და ვენეციელებს შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის. 1170 წელს ვენეციელებმა ბრძოლაში მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს გენუელებს და როცა მანუილმა მოსთხოვა ვენეციელებს აენაზღაურებინათ გენუელებისათვის მიყენებული ზარალი, მათ უარით უპასუხეს.

მალე მანუილმა მონახა საბაბი იმისათვის, რომ ვენეციელების ქონების კონფისკაცია მოეხდინა, რამაც ვენეციის მხრივ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ამ გარემოებას დაემატა ისიც, რომ 1172 წელს ენრიკო დანდოლო (ვენეციის მომავალი დოჟი) კონსტანტინოპოლში ელჩად ყოფნის დროს იმპერატორ მანუილის მიერ ვენეციელებისადმი მტრული ბრძანების განხორციელებისას თითქმის სრულიად დაობრმავეს. ვენეციის დაჟინებითი მოთხოვნით მანუილი, ისე როგორც თავის დროზე იოანე, იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო. კვლავ დაიწყო უცხოელების მოძალება, რის გამოც ბიზანტიელ ვაჭარ-მრეწველებთან ერთად უკმაყოფილებამ მოიცვა ბიზანტიური მოსახლეობის ფართო მასები.

შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება

ფართო მასების აღელვება, გარდა უცხოელების მოძალებისა, გამოწვეული იყო, აგრეთვე, მშრომელი მოსახლეობის უზომო დაბეგვრითა და აუტანელი ექსპლუატაციით, რასაც გლეხობა დასახლებული ადგილებიდან გაქცევითა და შეიარაღებული აჯანყებებით უპასუხებდა. პავლიკიანელები კვლავ განაგრძობდნენ ანტიფეოდალურ ბრძოლებს. გლეხები გადასახადების გაღებაზე უარს აცხადებდნენ, არ იხდიდნენ საბატონო ბეგარას და სხვ. XII საუკუნის შუა ხანებში დაიწყო გლეხთა აჯანყება კუნძულ კორფუზე, რომელიც გამოწვეული იყო უზომო გადასახადების გაწერითა და გადასახადების ამკრეფთა არაადამიანური სიმკაცრით; ნიკიტა ხონიატე თავის „ისტორიაში" კორფუს აჯანყებულ გლეხობას კლასობრივი ზიზღით მოიხსენიებდა, როცა წერდა ამ აჯანყებების შესახებ:

„...ფლოტი (სიცილიელი ნორმანებისა), რომელიც ბრინდიზიდან

დაიძრა, კორფუში მოვიდა და უბრძოლველად, გამოჩენისთანავე, დაიკავა იგი. ამის მიზეზი იყო კუნძულის მოსახლეობა, განსაკუთრებით მისი ყველაზე უფრო უგუნური ნაწილი, რომელთაც შიშვლებს უწოდებენ. იმის მომიზეზებით, რომ მათ აღარ შეეძლოთ მოთმენა გადასახადების ამკრეფის მძიმე და, როგორც ისინი ამბობდნენ, აუტანელი შეურაცხყოფისა, მათ მიიღეს ცბიერი გადაწყვეტილება, მაგრამ რადგან მარტო თვითონ არ შეეძლოთ მისი სისრულეში მოყვანა, ამიტომ ისარგებლეს მათთვის ხელსაყრელი შემთხვევით, მიმართეს ფლოტის ხელმძღვანელს და, მოჯადოებულებმა მისი მომხიბვლელი სიტყვებითა და მზაკვრული დაპირებებით, სიცილიის გარნიზონი შემოიერთეს. იგი ათასი შეიარაღებული მეომრისაგან შედგებოდა. ამგვარად, გადასახადების გაღების კვამლის თავიდან ამცილებელნი, თავიანთი სისულელით მონობის ალში გახვეულნი აღმოჩნდნენ".

ბიზანტიაში მასების გამოსვლები შემდეგაც გრძელდებოდა. 1182 წლის 2 მაისს მძაფრი აჯანყება მოხდა თვით სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში. ამჯერად ეს აჯანყება გამოწვეული იყო უმთავრესად უცხოელების ძალადობით. აჯანყებულებმა დაარბიეს და ცეცხლს მისცეს ქალაქის ის ნაწილი („ოქროს რქა"), სადაც უმთავრესად იტალიელი ვაჭრები და მევახშენი ცხოვრობდნენ. უკმაყოფილოებმა მარიამის რეგენტობით, რომელიც დიდ მფარველობას უწევდა და პრივილეგიებს ანიჭებდა უცხოელებს, სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოახდინეს. ამგვარად, გზა გაიკაფა ანდრონიკე კომნინოსის მმართველობისათვის (1183—1185), რომელიც იძულებული იყო შეემსუბუქებინა გადასახადები და დაბალ ფენებზე დაყრდნობით ბრძოლა წამოეწყო დიდებულთა წინააღმდეგ.

ანდრონიკემ გამეფებისთანავე დიდებულების დევნა დაიწყო. ის ატუსაღებდა მათ და მათი ქონების კონფისკაციას ახდენდა. იმპერატორმა მიიღო მკაცრი ღონისძიებანი უცხოელების წინააღმდეგაც: ბევრი მათგანი ბიზანტიიდან გაასახლეს და ბევრს ქონება ჩამოართვეს. გამარტივებულ იქნა ბიუროკრატიული აპარატი. მკაცრი კონტროლი დაწესდა გადასახადების ამკრეფებზე, მნიშვნელოვანი ბრძოლა ჩატარდა მექრთამეობის წინააღმდეგ. მარქსი ამის შესახებ წერდა: „ანდრონიკეს საზიზღარი მძვინვარება უმთავრესად მიმართული იყო მხოლოდ მ ა ღ ა ლ ი კლასების წინააღმდეგ. იგი მოხელეთა შორის მკაცრი დისციპლინის მომხრეა, ბოლოს უღებს გადასახადების ამკრეფთა თავაწყვეტილობას, სპობს თანამდებობით ვაჭრობასა და სანაპირო უფლებას [1]; აწარმოებს დიდ მშენებლობას; იცავს სატახტო ქალაქის

[1] „სანაპირო უფლება" წარმოადგენდა სანაპიროს მფლობელ ფეოდალის უფლებას ყველა ნივთზე და საგანზე, რომელსაც გამორიყავდა წყალი, უმთავრესად ზღვაში გემის დაღუპვის შემდეგ.

შდაბიო ხალხს უწყალო მოპყრობისაგან კარისკაცებისა, რომელთაც იგი, როგორც პეტრე დიდი, საკუთარი ხელით სჯის ჯოხით იმ შემთხვევაში, თუ ისინი მდაბიოს უსასყიდლოდ გამოსძალავენ რაიმე მომსახურებას...“ [1]

ამგვარად, ქვეყნის შინაგანი მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა, მაგრამ ბიზანტიელი ფეოდალების ერთი ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო დარჩა ანდრონიკეს მიერ გატარებული ღონისძიებებით, ვენეციელებსა და გენუელებს დაუკავშირდა და დამხმარედ ნორმანების მეფე გვილიელმო II მოიწვია. სიცილიელ ნორმანებთან წარმოებულ ბრძოლებში ანდრონიკე მარცხდებოდა; ბიზანტიელი ფეოდალების მეორე ნაწილი ამ მარცხს ანდრონიკეს უნიჭო ხელმძღვანელობას მიაწერდა და კონსტანტინოპოლის მოსახლეობას აქეზებდა მის წინააღმდეგ. ამის გამო კონსტანტინოპოლში მომხდარი ამბოხების შედეგად ანდრონიკე მოკლეს. ძალაუფლება ახლა ხელში ჩაიგდო ისააკ II ანგელოსმა (1185—1195 და 1203—1204), რომელმაც ანდრონიკეს ღონისძიებანი გააუქმა.

§ 2. „ლათინთა იმპერიის“ დაცემა და ბიზანტიის ხელახალი აღდგენა

ბიზანტია „ლათინთა“ ბატონობის პერიოდში

ანგელოსების დინასტიის მეფობის ხანაში (1185—1204), რომელიც ისააკ II ანგელოსის გამეფებით დაიწყო, ბიზანტიის ეკონომიკური სიძლიერე თანდათან ეცემოდა. მიუხედავად გადასახადების გადიდებისა, სახელმწიფო შემოსავალი სულ უფრო მცირდებოდა. სხვა მიზეზებთან ერთად ეს გარემოება გამოწვეული იყო საიმპერატორო კარის ფუფუნებით, განუწყვეტელი ზეიმებისა და ნადიმების მოწყობით. თუ რამდენად გაიზარდა მოსახლეობის დაბეგვრა სხვადასხვა გამოსაღებითა და გადასახადით, ჩანს ქალაქ ათენის იმდროინდელი (XII საუკუნის ბოლო) არქიეპისკოპოსის მიხეილ აკომინატოსის სიტყვებიდან, რომელიც წერდა: „ჩვენს ათენის ოლქს, რომლის მოსახლეობა დიდი ხანია რაც კლებულობს მძიმე გადასახადების განუწყვეტელი გაღებისაგან, ამჟამად მოელის ისეთ ოლქად გადაქცევა, როგორსაც სკვითური უდაბნო ეწოდება. ამის მიზეზი არის კიდევ და კიდევ ის, რომ ჩვენ გადატვირთულნი ვართ ყოველგვარი გადასახადებით უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენი ჩვენი მეზობლები. ჩვენ ორჯერ ან სამჯერ, და საერთოდ ძალიან ხშირად, აღწერაში და დამიჯვნაში ვყვებოდით, რო-

[1] К. Маркс, Хронологические выписки, I, Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, გვ. 191.

მელთა დროსაც თითქმის რწყილის ნაბიჯებით იზომებოდა ჩვენი ქვეშიანი და უნაყოფო ნიადაგი, ითვლიდნენ თავზე თითოეულ თმას, მით უფრო, ვაზისა და სხვა მცენარის თითოეულ ფოთოლს".

უკვე აღნიშნული იყო, რომ იმდროინდელი ბიზანტიის შეიარაღებული ძალები თითქმის მთლიანად დაქირავებული უცხოელებისაგან შედგებოდა. სახელმწიფო შემოსავლის საგრძნობმა შემცირებამ ჯარების რაოდენობის გაზრდა შეუძლებელი გახადა, გართულებული მდგომარეობა კი მოითხოვდა ყოველგვარი ძალების დაძაბვას. უფრო მეტიც, ბიზანტიის ხელისუფლება იძულებული იყო ჯარების რაოდენობაც კი შეემცირებინა. სახმელეთო ჯარების შემცირებასთან ერთად უძლურდებოდა ბიზანტიის საზღვაო ფლოტი, რომელიც მანამდეც ვერ აკმაყოფილებდა მის წინაშე მდგარ ამოცანებს. ბიზანტიის ამგვარი დასუსტებით, პირველ რიგში, მისმა საშიშმა მტერმა — ვენეციამ ისარგებლა, რომელმაც ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა მოხერხებულად წარმართა ბიზანტიის წინააღმდეგ.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის მონაწილეების თავდასხმას ბიზანტია ყოვლად მოუმზადებელი შეხვდა. ბიზანტიის მთავრობას, რომელსაც არ ჰყავდა მუდმივი ჯარი და აღარ ჰქონდა შესაძლებლობა დაქირავებული რაზმების შენახვისა, არ აღმოაჩნდა უნარი ხმელეთითა და ზღვით შემოჭრილი ჯვაროსნების იერიშების უკუგდებისა. 1204 წლის 13 აპრილს ბიზანტიის სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი დაეცა და შემოსეული მტრის ძარცვა-რბევის ასპარეზად გადაიქცა, ხოლო ბიზანტიის იმპერია მოისპო და მის ნანგრევებზე წარმოიშვა ეგრეთ წოდებული ლათინთა იმპერია (იხ. ზემოთ, თავი XIII, § 4).

ბიზანტიის ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ დასავლეთიდან მოსულ ჯვაროსნებს აქ დახვდათ ფეოდალური ურთიერთობა, მაგრამ არა ისეთი სრულყოფილი სახით, როგორიც მათ სურდათ. ამიტომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, შეუდგნენ მიწათმფლობელობის საკითხის მოგვარებას. დაიწყო მიწების განაწილება დამპყრობელთა შორის. ბიზანტიელ ფეოდალთაგან მხოლოდ ემიგრირებულთ ჩამოერთვათ მიწები. დამპყრობლებმა თავიანთ შორის დაინაწილეს მხოლოდ ის მიწები, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ისინიც, რომლებიც უპატრონოდ იყო დარჩენილი. ამასთან, ჯვაროსნების მოსვლით ექსკუსიებმა და პრონიებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს.

თუ ბიზანტიის დაპყრობამდე ფეოდალების საექსკუსიო უფლება მხოლოდ საფისკო საკითხებზე ვრცელდებოდა, ახლა იგი უფრო სრულყოფილი გახდა. ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს არ ჰქონდა იურისდიქციული და ადმინისტრაციული უფლებები ფეოდალებისადმი დამოკიდებულ პირებზე. საიმპერატორო სასამართლოს ფუნქციები იმპერატორის საკუთარ ვასალებზედაც კი შეზღუდული

აღმოჩნდა. ასე მაგალითად, იმპერატორს არ ჰქონდა უფლება თავისი ერთ-ერთი ვასალის დასჯისა, დანარჩენ ვასალებთან შეუთანხმებლად. სამაგიეროდ, ლათინთა იმპერიის ფეოდალებს თავიანთ ყმებზე დიდი უფლებები მიენიჭათ: მათ შეეძლოთ ყმებისათვის ქონება ჩამოერთმიათ და სიკვდილითაც კი დაესაჯათ, ისე რომ არავის წინაშე პასუხი არ ეგოთ.

ლათინთა იმპერიის დაარსებამდე პრონიები, ისე როგორც ბენეფიციუმები, დროებითსა და პირობით მიწათმფლობელობას წარმოადგენდნენ, ახლა ისინი ფეოდის მსგავსად სამემკვიდრეო მფლობელობად გადაიქცნენ. პრონიების მფლობელნი სულ უფრო ხშირად ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელოების გამსხვილებას აქა-იქ შემორჩენილი თემური მიწების ხარჯზე და გლეხური მიწების მიტაცების მეშვეობით. ყველაფერი ეს მოსახლეობას აჩანაგებდა და მის ეკონომიკურ კეთილდღეობას ძირს უთხრიდა. სოფლის მეურნეობა ეცემოდა, გლეხობა დასახლებული ადგილებიდან გარბოდა, ქალაქები ცარიელდებოდა. აი, როგორ აგვიწერს ნიკიტა ხონიატე ლათინების ბატონობის შედეგს ბიზანტიაში:

„აქამდე დიდი და ხალხმრავალი ქალაქები, ნაყოფიერი ყანები და საძოვრები, აყვავებული ბაღები უხვი და მუდმივად მიმდინარე ნაკადულებით, მაღალი სახლები, აგებულნი დიდი ხელოვნებით და მორთული ნაირფერად, აბანოების მომხიბვლელობა, ნაყოფიერი ხეები ბაღებში, დამწიფებული ხორბლის ყანები და ბევრი სხვა, რაც დრომ წარმოქმნა, რაც ჩვენს ცხოვრებას ამკობს და მიწას სასიამოვნოს ხდის, აქცევს [ბუნების] მონაცემებს სიმდიდრედ და მარად სასურველად, — ყველაფერ ამას ახლა ჩვენ ვხედავთ უდაბნოდ ქცეულს, უკაცრიელს, დასახლებულს მხოლოდ იქედნებით და ველური მხეცებით... ახლა კი ბარბაროსები, რომელთათვისაც ღვთის განგებით ჩვენ გადაცემული ვართ გასაწამებლად, საჩვენებლად დანგრეულ ქალაქებს ტოვებენ თავიანთი გამარჯვების სხვა მაჩვენებლებთან ერთად... დასავლეთიდან მოვლენილნი დიდ ტირანიამდე მივიდნენ... ჩვენ ვითმენთ მათ მიერ ფულის დატაცებას, გასახლებას, მკვლელობას და ათასგვარ სხვა უბედურებას“.

ლათინთა ბატონობა ბიზანტიაში მისი ისტორიის განსაკუთრებული ძნელბედობის ეპოქას წარმოადგენდა. ფეოდალური ექსპლუატაცია, რომელიც უდიდესი სიმკაცრით ტარდებოდა დამპყრობლების მიერ, უფრო მეტად მწვავდებოდა ვენეციელი ვაჭრებისა და მევახშეების საქმიანობით. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, აძლიერებდა კლასობრივ ბრძოლებს, რაც ლათინების შემდგომ ბატონობას ბიზანტიაში საფუძველს ურყევდა. ჯვაროსნებს განსაკუთრებით მწვავე დარ-

ტყმებს სლავები აყენებდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ბულგარელების თავდასხმები (1205, 1206 წწ.). ამასთან, ძლიერდებოდა წინააღმდეგობა ლათინთა მიმართ ისეთი მებრძოლი ბერძნული ცენტრებისა, როგორებიც იყო ეპირის დესპოტატი და ნიკეას იმპერია. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელის იმპერატორმა მიხეილ პალეოლოგოსმა მოხერხებულად გამოიყენა გენუასა და ვენეციას შორის არსებული წინააღმდეგობა და გენუელების ხელშეწყობით 1261 წელს შეძლო ლათინთა იმპერიის დამხობა და ბიზანტიის იმპერიის ხელახალი აღდგენა.

ბიზანტიის იმპერიის შემდგომი ვითარება ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობამ წარუშლელი დაღი დაასვა ბიზანტიას. მის მიერ მიყენებული ზიანი ბიზანტიამ ვერასოდეს ვეღარ გამოასწორა. ხელახლა აღდგენილი ბიზანტია ვერც ტერიტორიითა და ვერც სიძლიერით ვეღარ შეედრებოდა მის ოდინდელ სიდიადეს. ეს იმპერია ახლა პატარა და დაქუცმაცებულ სამეფოს წარმოადგენდა, რომელშიც შედიოდა თრაკიისა და მაკედონიის ნაწილი ქალაქ თესალონიკით, არქიპელაგის ზოგიერთი კუნძული, ცალკეული სამფლობელოები პელოპონესის ნახევარკუნძულზე და მცირე აზიის ჩრდილოდასავლეთი ნაწილი ქალაქ ნიკეათი. ერთი სიტყვით, ახლად აღდგენილი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორია, შედარებით X—XI საუკუნეების ბიზანტიის ტერიტორიასთან, რამდენჯერმე შემცირებული იყო. ამასთან, მისი საგარეო ვითარება უფრო და უფრო რთულდებოდა. ოსმალებმა მცირე აზიაში ბიზანტიის კუთვნილი თითქმის ყველა ადგილი დაიპყრეს.

ოსმალთა მოძალება უფრო საგრძნობი გახდა ანდრონიკე მეორის მეფობის ხანაში (1283—1328). ჰელესპონტეს სანაპიროებსა და ბიზანტიის საზღვრებზე მდებარე ადგილებში თავი მოიყარა ოსმალების შემოტევებისაგან გამოქცეულმა ქრისტიანულმა ბოსახლეობამ, რომელთა შორის შიმშილი დაიწყო და გავრცელდა გადამდები სნეულებანი. ბიზანტიის ჯარი და ფლოტი უძლური აღმოჩნდა ოსმალებთან ბრძოლაში. ბრუსის გარნიზონმა, რომელიც ოსმალთა იერიშებს გმირულად იგერიებდა, ანდრონიკესაგან დამხმარე ძალები ვერ მიიღო, რის გამოც 1326 წელს კაპიტულაცია გამოაცხადა. ბურსა ოსმალთა სატახტო ქალაქი გახდა. 1331 წელს ნიკომედიასაც ანალოგიური ბედი ეწია — მისი გარნიზონიც იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა მას შემდეგ, რაც დამხმარე ძალების მიღების იმედი გადაეწყვიტა.

ოსმალთა მოძალება ბიზანტიაზე არანაკლებ მძაფრი იყო ანდრონიკე მესამის მეფობის ხანაში (1328—1341). მაშინ, როცა ბოსფორის

აზიურ ნაპირთან მომდგარი ოსმალები ევროპულ ნაწილში გადასვლას აპირებდნენ, ბიზანტიის ძალები უკვე შესუსტებულნი იყვნენ ანდრონიკეს ამბოხებით მისი პაპის — ანდრონიკე მეორის წინააღმდეგ. როდესაც ანდრონიკე მესამემ შეძლო თავისი პაპის ტახტიდან გადაგდება, იგი უკვე უსუსური აღმოჩნდა გართულებული მდგომარეობის წინაშე. მართალია, 1330 წელს ნიკეას დახმარების მიზნით მან ოსმალების წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ მარცხი განიცადა და ნიკეაც დაეცა. ამიერიდან ბოსფორის აზიური ნაწილი ოსმალების საბოლოო ბატონობის ქვეშ მოექცა. ანდრონიკე მესამის მეფობის დროს ოსმალებმა დაიპყრეს ბითინიაც.

ანდრონიკე მესამეს გარდაცვალების შემდეგ დარჩა მცირეწლოვანი შემკვიდრე იოანე V პალეოლოგოსი. მის რეგენტად დიდი დომესტიკოსი იოანე კანტაკუზენოსი (1341—1355) დაინიშნა, რომლის ხელშიც გადავიდა ფაქტიური ძალაუფლება. ბიზანტიაში XIV საუკუნის დასაწყისიდანვე გამძაფრდა გლეხებისა და ქალაქელების კლასობრივი ბრძოლები. ეს გარემოება გართულდა იმით, რომ ბიზანტიელი ფეოდალების შნიშვნელოვანმა ნაწილმა თავისი ბედი „ლათინთა“ მოქმედებას დაუკავშირა. ამიტომ იყო, რომ კლასობრივმა ბრძოლებმა ანტიიტალიური ხასიათიც მიიღო. ამ მოძრაობამ უფრო ფართო გასაქანი XIV საუკუნის 40-იან წლებში მოიპოვა. კანტაკუზენოსის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისას (1341 წ.) ამბოხება დაიწყო თვით ადრიანოპოლში.

1342 წელს თესალონიკეში დაიწყო ზილოტების აჯანყება. ამ აჯანყების მონაწილენიც ძირითადად გლეხები და მოქალაქეები იყვნენ. ზილოტების აჯანყების შემდეგ მოძრაობა თითქმის მთელ იმპერიაში გავრცელდა, განსაკუთრებით კი იგი თრაკიისა და მაკედონიის ქალაქებში მძვინვარებდა. აჯანყებულებმა ქ. თესალონიკაში დაამყარეს რესპუბლიკური წყობილება, რომელმაც შვიდი წლის განმავლობაში (1342—1349) იარსება. ამავე ხანებში (1348 წ.) კონსტანტინოპოლში იფეთქა აჯანყებამ გენუელების წინააღმდეგ. მაგრამ კანტაკუზენმა ოსმალთა დახმარებით შეძლო ქალაქის პლებეური ნაწილის მედგარი წინააღმდეგობის დათრგუნვა და, საერთოდ, ანტიფეოდალური მოძრაობის ჩახშობა. ამ მოძრაობათა ჩახშობის შემდეგ ბიზანტიაში ძლიერდებოდა ფეოდალური რეაქცია. მსხვილმა ფეოდალებმა თავიანთი სამფლობელოები არსებითად, პატარ-პატარა სამეფოებად აქციეს და ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ. ამან ბიზანტიის პოლიტიკური სიძლიერე კიდევ უფრო მეტად შეარყია და გზა გაუკაფა ოსმალთა შემდგომ დაპყრობებს ბიზანტიის ევროპულ ნაწილში.

§ 8. ოსმალთა ახალი შემოსევები და ბიზანტიის იმპერიის დაცემა

ოსმალთა ახალი იერიშები ბიზანტიაზე

ჰამერის აზრით, 1356 წლამდე, ვიდრე მოხდებოდა გალიპოლის აღება ოსმალთა მიერ, მათი შემოსევები ბიზანტიის ევროპულ ნაწილში 17-ჯერ მოხდა, მაგრამ ეს შემოსევები უფრო მტაცებლური და დროებითი ხასიათისა იყო. ამ მხარეში ოსმალთა მე-18 შემოსევა ურხანის შვილის — სულეიმანის ხელმძღვანელობით მოხდა. იგი წინა შემოსევებისაგან იმით გასხვავდებოდა, რომ მიზნად ისახავდა არა ბიზანტიის მოსახლეობის დარბევას და უკან დაბრუნებას, არამედ ამ ტერიტორიის დაპყრობას და იქ საბოლოოდ ფეხის მოკიდებას.

1356 წელს სულეიმანმა თავისი ჯარები ჰელესპონტეზე გადაიყვანა და მოულოდნელად თავს დაესხა სანაპიროზე არსებულ ბიზანტიელთა ციხესიმაგრე ციმპეს, რომელიც გალიპოლის ახლოს მდებარეობდა. ამ ციხესიმაგრის აღების შემდეგ მას დამხმარე ჯარები მოუვიდა და მათი დახმარებით იმავე წელს აიღო გალიპოლი და სხვა ქალაქები. დაპყრობილი ადგილებიდან ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთში გადასახლეს და მათ მაგიერ თურქები გადმოიყვანეს საცხოვრებლად. ხერსონესის დაკავების შემდეგ სულეიმანი გარდაიცვალა, ხოლო მისი მამის, ურხანის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის სამეფო ტახტი ურხანის მეორე შვილმა, მურად პირველმა დაიკავა (1359—1389).

ბიზანტიის დაპყრობა მურად პირველმა განაგრძო. 1360 წელს იგი ჯარებით გალიპოლიში გადავიდა და აქედან იერიშები განავითარა ჩრდილო-დასავლეთისაკენ. თრაკიისა და რომანიის გარნიზონები ვეღარ ახერხებდნენ ოსმალთა იერიშების უკუგდებას და ზედიზედ მარცხდებოდნენ. ოსმალთა შეიარაღებული ძალები გაეშურნენ ბიზანტიის თავდაცვის ძირითადი დასაყრდენისაკენ — ადრიანოპოლისაკენ, რომელიც დაეცა 1361 წელს. 1362 წელს მურადმა ფილიპოპოლიც აიღო. მდგომარეობა ძალზე საშიში შეიქნა, იმის გამო, რომ ადრიანოპოლისა და ფილიპოპოლის დაკავებით ოსმალებმა კონსტანტინოპოლი მოწყვიტეს დანარჩენ ევროპას. იგივე გარემოება დიდად საშიში გახდა, აგრეთვე, სხვა მეზობელი ხალხებისთვისაც. სერბიამ დაიწყო კოალიციის შედგენა ოსმალთა წინააღმდეგ. 1363 წელს მოკავშირეთა არმია ადრიანოპოლს მიუახლოვდა და ამ ქალაქის განთავისუფლებისათვის დაიწყო ბრძოლები, მაგრამ სასტიკად დამარცხდა.

ადრიანოპოლთან მოკავშირეების დამარცხების შემდეგ ოსმალებმა დაიპყრეს მთელი რიგი ადგილები. 1370 წელს მათ დაიკავეს სამაკოვო. ამგვარად, დამპყრობლებს გაეხსნათ გზა თესალონიკისაკენ. ბიზანტიელთა წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. 1375 წელს, მიუხედავად გმირული თავდაცვისა, ოსმალებმა აიღეს სერბიე-

ლების ქალაქი ნიში, გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს იგი. სერბიელების მეფე ლაზარი იძულებული გახდა ხარკი ეძლია დამპყრობელთათვის. ბულგარეთის მეფემ გადაწყვიტა, რომ შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა უაზრო იყო და ისიც ოსმალეთის მოხარკე გახდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოსმალთა რკალი თანდათან უახლოვდებოდა კონსტანტინოპოლს. XIV საუკუნის ბოლოს ბიზანტიის ტერიტორია განისაზღვრებოდა კონსტანტინოპოლით, აღმოსავლეთით— თრაკიის ზოგიერთი ქალაქით, ეგეოსის ზღვის პატარა კუნძულებით, თესალონიკითა და პელოპონესის იმ ნაწილით, რომელიც მოგვიანებით განთავისუფლდა „ლათინელი“ რაინდებისაგან. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ოსმალთა წინააღმდეგ დახმარებისათვის დასავლეთ ევროპისათვის მიემართა. ამ მიზნით მანუილ II პალეოლოგოსმა (1391—1425) იმოგზაურა ევროპაში (1399—1402). „მ ა ნ უ ი ლ ს ყველგან ღებულობდნენ როგორც წარჩინებულ მ ა თ ხ ო ვ ა რ ს“,—წერს თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ მარქსი. მან მოიარა ვენეცია, გენუა, მილანო. შემდეგ გაემგზავრა საფრანგეთს. „1400 წ ლ ი ი ვ ნ ი ს ში მ ა ნ უ ი ლ ი პ ა რ ი ზ ში ა..., — აღნიშნავს მარქსი, — აქ მას კვებავდნენ მხოლოდ ცარიელი დღესასწაულებისა და მდიდრული პროცესიების მოწყობით...“, ხოლო მერე იგი „თავიდან მოიშორეს“ [1]. შემდეგ მანუილმა გერმანია და ინგლისიც მოიარა, მაგრამ ამაოდ... ამ მოგზაურობის ერთადერთი შედეგი იყო მანუილისადმი მიცემული ცარიელი დაპირებანი და ვენეციელი ბანკირების დავალიანებაში მოქცევა.

ოსმალურმა საშიშროებამ ბიზანტიის ფეოდალებში ძირითადად ორგვარი დაჯგუფება წარმოშვა: ფეოდალების ერთი ნაწილი ცდილობდა ეს საშიშროება თავიდან აეცილებინა ევროპული სახელმწიფოების დახმარებით, რისთვისაც ამ ნაწილის წარმომადგენლებს „ლათინოფილებს“ უწოდებდნენ. მეორე ნაწილი კი ფიქრობდა, რომ ოსმალთა ბატონობის ქვეშ უფრო მეტ პრივილეგიებს მოიხვეჭდა, რის გამოც ოსმალეთის ორიენტაციას ადგა; ამიტომ მის წარმომადგენლებს „თურქოფილებს“ უწოდებდნენ. კრიტოვულოსის გადმოცემიდან ჩანს, რომ პელოპონესში მასების მხარდაჭერით სარგებლობდა და დამპყრობლებს წინააღმდეგობას უწევდა პირველი დაჯგუფება, რომელსაც სათავეში დესპოტი თომა პალეოლოგოსი ედგა. ხოლო მეორე დაჯგუფება, რომელსაც სათავეში დესპოტი დემეტრე პალეოლოგოსი ედგა, გამცემლურ პოლიტიკას ეწეოდა.

ბიზანტიის საგარეო პოლიტიკური ვითარება სულ უფრო და უფ-

---

[1] К. М а р к с, Хронологические выписки, II, Архив Маркса и Энгельса, т. VI, 1939, გვ. 183.

რო რთულდებოდა. ოსმალები თავიანთ დაპყრობით პოლიტიკას თან-დათან აფართოებდნენ. სულთანი ბაიაზეთი, რომელსაც ილდირიმი (ელ-ვა) შეარქვეს, მოულოდნელი თავდასხმებით ყველაფერს ანადგურებ-და. ოსმალური საშიშროება იმდენად მწვავე გახდა, რომ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო კოალიციის შედგენაზე დათანხმდა: მოკავშირეთა ჯარებს ამჯერად უნგრეთის მეფე ჟიგმონდი (სიგიზმუნ-დი) მეთაურობდა. 1396 წლის 25 სექტემბერს ნიკოპოლთან (ბულგა-რეთი) სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. ბიზანტიის ხელისუფლე-ბა იმედოვნებდა, რომ გამარჯვება მოკავშირეთა მხარეზე დარჩებოდა და ბიზანტიაც თავიდან აიცდენდა გარდაუვალ დაღუპვას, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა.

ნიკოპოლთან ბრძოლაში ბაიაზეთმა ბრწყინვალე გამარჯვება მოი-პოვა და შემდეგ იწყო მზადება კონსტანტინოპოლის აღებისათვის. მან ბიზანტიის სატახტო ქალაქს ალყა შემოარტყა და იერიშებიც მიიტანა მასზე, მაგრამ ამ დროს მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ საშინელი მტერი, თემურლენგი (კოჭლი თემური) ოსმალების აზიური სამფლო-ბელოების საზღვრებს უახლოვდებოდა. ამ გარემოებამ აიძულა ბაია-ზეთი გადაედო კონსტანტინოპოლის აღება და წასულიყო თემურლენგ-თან შესახვედრად. სისხლისმღვრელი ბრძოლა თემურსა და ოსმა-ლებს შორის 1402 წლის 20 ივლისს ანკარასთან გაიმართა. თემურმა გაიმარჯვა. ბაიაზეთი თავისი ერთი შვილით მან ტყვედ ჩაიგდო. ამის გამო და კიდევ იმიტომ, რომ შემდეგ ოსმალეთში დაიწყო შინა-აშლილობა, ბიზანტიის დაღუპვა გადადებულ იქნა კიდევ რამდენიმე ათეული წლით.

ბიზანტია თავისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში

XV საუკუნის 40-იან წლებში, მას შემდეგ, რაც შეიხ ბედრ ად-დინ სიმავის ხელმძღვანელობით მომხდარი გლეხთა აჯანყება რუმელი-ის მნიშვნელოვან ნაწილში და დასავლეთ ანატოლიაში ჩახშობილ იქ-ნა და სულთნის ხელისუფლება ოსმალეთში განმტკიცდა, ოსმალებმა კვლავ დაიწყეს იერიშების მიტანა ბიზანტიაზე. სულთანმა მურად მეორემ (1421—1451) კონსტანტინოპოლს 1422 წელს ხმელეთიდან ალყა შემოარტყა და დაიწყო ქალაქის გარშემო მდებარე ადგილების აოხრება. მან გამოაცხადა, რომ ქალაქის აღების შემთხვევაში მებრძო-ლებს კონსტანტინოპოლის დარბევისა და ძარცვის უფლებას მისცემდა. დიდი ნადავლის მიღების იმედმა ქალაქის გარშემო თავი მოუყარა ყვე-ლა გარეწარს: ვაჭრებს, მევახშეებს, დერვიშებს, ქურდებს და სხვ.

1422 წლის 24 აგვისტოს ოსმალებმა დაიწყეს ქალაქზე იერიშე-ბის მიტანა. ქალაქის დამცველნი გმირულად იბრძოდნენ; მათ შეძლეს

კიდეც მიტანილი იერიშების უკუგდება. სულთანი ემზადებოდა ახალი იერიშებისათვის, მაგრამ კონსტანტინოპოლი ამჯერად იმან გადაარჩინა, რომ მცირე აზიაში დაიწყო ხელახალი აჯანყება, რის გამოც ოსმალები იძულებულნი გახდნენ კონსტანტინოპოლისათვის ალყა მოეხსნათ და გაბრუნებულიყვნენ მათ სამეფოში დაწყებული გლეხთა აჯანყების ჩასახშობად.

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლისათვის ალყის მოხსნა სულაც არ ნიშნავდა მის საბოლოოდ გადარჩენას დაღუპვისაგან. მანუილ II-ის მემკვიდრემ, იოანე მერვემ (1425—1448) კარგად იცოდა, რომ ოსმალეთში მომხდარი აჯანყების ჩახშობის შემდეგ მურადი კვლავ დაუბრუნდებოდა კონსტანტინოპოლის საკითხს, ამიტომ მან გადაწყვიტა იტალიაში წასვლა რომის პაპთან მოსალაპარაკებლად ბერძნულ და რომაულ ეკლესიათა გაერთიანების შესახებ. შეთანხმება მოხდა 1439 წ. ფლორენციაში. იოანე ფიქრობდა, რომ, თუ ბერძნული ეკლესია რომაულს დაუმორჩილდებოდა, მაშინ პაპი უზრუნველყოფდა ბიზანტიის დაცვას ოსმალთა ხელყოფისაგან ევროპულ სახელმწიფოთა კოალიციის შექმნის მეშვეობით. მაგრამ იოანეს იმედები არ გამართლდა. იტალიაში ორი წლის ყოფნის შემდეგ იგი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა პაპთან ქაღალდზე დადებული ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც რომის პაპი ცხადდებოდა ბერძნული ეკლესიის მესვეურადაც. პაპის რეალური დახმარება ბიზანტიისათვის კი არსად ჩანდა.

ოსმალეთის ახალმა სულთანმა, მეჰმედ მეორემ (1451—1481) დაიწყო მზადება კონსტანტინოპოლის დასაპყრობად. ბოსფორის ევროპულ ნაწილში, კონსტანტინოპოლის მახლობლად, მან ააგო ციხესიმაგრე, რომელსაც რუმელი-ჰისარი ეწოდებოდა: იგი დასაყრდენ ბაზად უნდა გადაქცეულიყო ბიზანტიის სატახტო ქალაქზე იერიშების მისატანად. იმავე ციხესიმაგრეს მიზნად ჰქონდა დასახული კონსტანტინოპოლისათვის სრულიად მოესპო მომარაგების შესაძლებლობა. მდგომარეობას უფრო ის ართულებდა, რომ ოსმალების მომძლავრებამ ბიზანტიის ფეოდალებში და ვაჭრებში გააძლიერა თურქოფილობის ბანაკი. ფეოდალების გამცემლობას დეზორგანიზაცია შეჰქონდა მასებში. ბიზანტიის მოსახლეობისათვის არანაკლები ზიანი მოჰქონდა ლათინოფილობასაც. იმპერატორის ხელისუფლება აუტანელი გახდა.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა იმითაც მწვავდებოდა, რომ კონსტანტინოპოლის გარნიზონში სამი ათასამდე „ლათინი“, ესე იგი კათოლიკური სარწმუნოების მქონე პირი (გენუელები, ვენეციელები, ესპანელები) იყო, რომელნიც ნდობით არ სარგებლობდნენ მართლმადიდებელ მოსახლეობაში. მართლმადიდებლური სასულიერო წოდების და-

ბალი და საშუალო ფენები, რომელთაც მოსახლეობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ, ფლორენციის უნიის (ბიზანტიური ეკლესიის რომაული ეკლესიისადმი დამორჩილება) მოწინააღმდეგენი იყვნენ. საუნიო ეკლესიის პირველმა ღვთისმსახურებამ, რომელიც წმ. სოფიას ტაძარში 1452 წლის ბოლოს შესრულდა, მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კონსტანტინოპოლის უმაღლეს წრეებშიც კი ოსმალების ბატონობა ერჩიათ კათოლიკეთა ყოყოჩობას. ბიზანტიის ფლოტის უფროსმა („დიდმა კანცლერმა") ლუკა ნოტარამ საყოველთაოდ განაცხადა: „უკეთესია ქალაქში ვხედავდეთ თურქულ ჩალმას, ვიდრე პაპის ტიარას" (ტიარა — პაპის სამმაგი გვირგვინი).

კონსტანტინოპოლის დამცველთა შორის ასეთი მორალური განწყობილება, რა თქმა უნდა, ოსმალთა დაპყრობის ხელშემწყობი იქნებოდა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა დაცვის საქმეში ეძლეოდა თვით ქალაქის გარნიზონის შეიარაღებას. ბიზანტიის უკანასკნელმა იმპერატორმა კონსტანტინე XI პალეოლოგოსმა (1448—1453) ადრევე იწყო სამზადისი ქალაქის დასაცავად. რამდენადაც შეეძლო, მან ქალაქი სურსათ-სანოვაგით მოამარაგა; შეძლებისამებრ გაზარდა გარნიზონი დაქირავებული რაზმებით; შეაკეთებინა ქალაქის გალავნის ის ნაწილი, რომელიც დროთა მსვლელობაში დაზიანებული აღმოჩნდა; ნავსადგურის შესასვლელი რკინის ჯაჭვით გადააკეტინა. მაგრამ გარნიზონის რაოდენობა მაინც არ იყო საკმარისი. იგი შედგებოდა რაღაც 9 ათასი კაცისაგან, ამასთან, ქალაქის დამცველთ არც არტილერია გააჩნდათ.

სულთან მაჰმუდ II ფატიჰმა („ფატიჰი" — დამპყრობელი), ზოგიერთი ცნობით, შეაგროვა იმ დროისათვის დიდი არმია 200 ათასი კაცის რაოდენობით, რომელიც შედგებოდა სიფაიების, იენიჩარებისა და აზაბებისაგან. მან თავი მოუყარა დიდძალ ხომალდებს და გასცა განკარგულება შორსმსროლელი ზარბაზნების ჩამოსხმისა (მათ შორის ჩამოასხეს ერთი ზარბაზანი, რომლის სიგრძე 8 მეტრს აღემატებოდა, ხოლო სიმძიმე — 30 ტონას; 4 კილომეტრის მანძილზე იგი ისროდა 600 კილოგრამიან ქვის ლოდებს). ამ ძალებით 1453 წლის გაზაფხულზე მაჰმუდ მეორემ ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს ხმელეთის მისადგომებიდან.

ოსმალთა არტილერია განუწყვეტლივ უშენდა ქალაქს და მის კედლებს. გარდა ამისა, თურქებს გაჰყავდათ თხრილები კედლების ქვეშ ქალაქში შეჭრის მიზნით. მაგრამ, როგორც ბერძენი ისტორიკოსი კრიტოვულოსი აღნიშნავს: „თურქების მიერ კედლებისათვის ძირის გამოთხრა და მიწისქვეშა გასასვლელების გაკეთება იწვევდა მხოლოდ უნაყოფო ხარჯებს და, ამასთან, ზედმეტიც აღმოჩნდა, რადგან ზარბაზნებმა ყველაფერი გადაწყვიტეს".

თავდაპირველად ქალაქის დამცველებმა მოიერიშეებს გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს და ისინი უკუაქციეს კიდეც ქალაქის მისადგომებიდან. როგორც საად-ად-დინი გადმოგვცემს, ამ გარემოებამ ოსმალებში შეიტანა ერთგვარი არეულობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოსმალთა სარდლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ხალილ ფაშას მეთაურობით წამოაყენა წინადადება ქალაქისათვის ალყის მოხსნის შესახებ. აშკარა იყო, რომ ხმელეთის მისადგომებიდან, საიდანაც აყვანილი იყო მაღალი და სქელი კედლები, იერიშების მიტანა უნაყოფო გახდებოდა. ზღვიდან შეტევა უფრო ხელსაყრელი იყო, მაგრამ ეს ურთულეს საქმეს წარმოადგენდა, რადგან ნავსადგურის გასავალი, როგორც უკვე აღინიშნა, მაგარი რკინის ჯაჭვით ჩაეკეტათ, რის გამოც აქედან არც ერთ ხომალდს არ შეეძლო გასვლა.

საად-ად-დინის ცნობით, ასეთ ვითარებაში „სულთანს აზრად მოუვიდა გალატის უკან არსებული კოშკიდან გალერები მიწაზე გადაეთრიათ ნავსადგურის უკიდურეს ნაწილში და ამ მიმართულებით მოეხდინათ თავდასხმა ქალაქზე ზღვის მხრიდან, დაეშინათ მისთვის ზარბაზნები. ბიზანტიელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ერთადერთი ადგილი იყო, რომლიდანაც მუსლიმები ვერ მოახერხებდნენ მათზე თავდასხმას, მაგრამ სულთნის მიერ მოფიქრებული წამოწყება შესაძლებელი გახდა გამოცდილი ინჟინრების მოხერხებულობით, რომლებმაც წარმოუდგენელი ძალით შეძლეს გალერების მთაზე გადათრევა“. ამის შემდეგ კონსტანტინოპოლზე იერიშების მიტანა ყოველმხრივი გახდა, რამაც ქალაქის დაცვა უფრო გააძნელა. ახლა საჭირო იყო გარნიზონის შემადგენლობის ერთი ნაწილის გამოყოფა ახალი მიმართულებით მოსალოდნელი შემოტევებისაგან თავდასაცავად.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საად-ად-დინი წერს: „იმპერატორი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, იმის გამო, რომ ახალი მიმართულებით შემოჭრის თავიდან ასაცილებლად იძულებული იყო თავისი ძალები დაეყო. მან ფრანკები გამოყო ედრირეჰის ალაყაფის კარების დასაცავად, ხოლო ნავსადგურის მიმართულებით თავისი ჯარების მეორე ნაწილი ჩააყენა, რომელიც დიდად უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მას ფრანკები ამჯობინეს. ამან დამცველთა შორის შფოთი ჩამოაგდო, ხოლო სულთანს დიდ ღონისძიებათა ბედნიერი დაგვირგვინების იმედი აღეძრა“.

გამცემლურ პოლიტიკას აწარმოებდნენ გენუელთა კოლონიის — გალატის მმართველნი. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე ოსმალები კონსტანტინოპოლს ალყას შემოარტყამდნენ, ისინი მაჰმუდ მეორესთან ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ იმის შესახებ, რომ მათთვის სულთანს სავაჭრო პრივილეგიები შეენარჩუნებინა და დახმარებას აღუთქვამდნენ მას... 1453 წლის 29 მაისს ოსმალთა ჯარებმა მოახერ-

ხეს ქალაქში შეეჭრა (თურქი ისტორიკოსი საად-ად-დინი გადმოგვცემს, რომ, აშიკ-ფაშას ცნობის მიხედვით, ქალაქი თავს იცავდა 50 დღის განმავლობაში, ხოლო მევლანა ვესხის მიხედვით — 95 დღეს). ქალაქში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, რომელშიც იმპერატორი კონსტანტინე მოკლეს. სამი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა ქალაქის ძარცვა-რბევა. დამსწრის გადმოცემით, დაბოცილთა გვამების სიმრავლის გამო ბევრგან მიწა არ ჩანდა. 60 ათასამდე კაცი ოსმალებმა მონებად აქციეს. დანგრეული და გადამწვარი აღმოჩნდა საუკეთესო სასახლეები და ტაძრები, დიდი რაოდენობით განადგურდა ხელოვნების საუკეთესო ძეგლები.

ბიზანტიის სატახტო ქალაქის დაცემა მთელი იმპერიის დაცემას ნიშნავდა, თუმცა ჯერ კიდევ დაუპყრობელი რჩებოდა პელოპონესი. XV საუკუნეში პელოპონესის ეთნიკური შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო. მაზარისის ცნობით, პელოპონესში ცხოვრობდნენ ლაკედემონელები, იტალიელები, პელოპონესელები, სლავები, ილირიელები, ეგვიპტელები და იუდეველები. პელოპონესის ფეოდალები სეპარატისტულ ტენდენციას ადრევე ამჟღავნებდნენ და მათი ცალკეული წარმომადგენლები ცდილობდნენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომას. ჯერ კიდევ მანუილ II პალეოლოგოსის მეფობაში ისინი არაერთხელ იჩენდნენ ურჩობას ცენტრალური ხელისუფლებისადმი.

სეპარატისტულად განწყობილი ფეოდალების შესახებ იგივე მაზარისი წერდა: ეს არიანო „ის ადამიანები, რომელნიც მთელ თავიანთ ცხოვრებას ანდომებდნენ იმას, რომ პელოპონესის საქმეებში ყველაფერი აეწეწათ და თავდაყირა დაეყენებინათ. ეს ის ტოპარქოსები იყვნენ, რომელნიც მხოლოდ შეჯახებებსა და ამბოხებებში პოვებდნენ სიამოვნებას, ღრმად ჩაფლულნი ბარბაროსობის წუმპეში და ცარიელ ყოყოჩობაში, არასაიმედონი, ფიცის გამტეხნი და იმპერატორისა და დესპოტისადმი არასაიმედონი... საკუთარ თავზე არაჩვეულებრივად დიდი წარმოდგენის მქონენი, რომელთაც თავიანთი თავი ყალბად წარმოედგინათ ჰომეროსის გმირებად..., სირცხვილისა და მორიდების გარეშე ხელახლად აღდგნენ თავიანთი წყობილებისა და ძხსხელის წინააღმდეგ. თითოეულმა მათგანმა გადაწყვიტა საკუთარი ტირანია დაეარსებინა“.

რაც შეეხება მასებს, ისინი მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს. ბერძენი ისტორიკოსი კრიტოვულოსი, მიუხედავად თავისი თურქოფილობისა, გადმოგვცემს, რომ პელოპონესის ზოგიერთმა ქალაქმა თურქებს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა. ასე მაგალითად, ქალაქი კორინთო, რომელიც მოკლებული იყო სურსათ-სანოვაგეს, ოთხი თვის განმავლობაში გმირულად იცავდა თავს პელოპო-

ნესში ოსმალების მეორედ გალაშქრების დროს (1460 წ.). მას შემდეგ, რაც მათ სპარტა დაიპყრეს და მიადგნენ ციხესიმაგრე კასტრიონს, ეს უკანასკნელი გმირულად იცავდა თავს. მან არაერთხელ უკუაქცია ოსმალთა იერიშები. დამპყრობლებს არანაკლები წინააღმდეგობა გაუწია ციხესიმაგრემ, რომელსაც გარდიკიონი ეწოდებოდა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ბიზანტიის იმპერია XV საუკუნის 50-იანი წლებიდან პოლიტიკურ რუკებში აღარ მოიხსენიება. 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონის იმპერიაც მოსპეს.

ქრონოლოგიური ცხრილი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე

137—132 მეამბოხე სიცილიელ მონათა ბელადის ევნოს-ანტიოქოსის სამეფო ქ. ენაში
113 კიმბრების შემოსევა ნორიკუმში
104—101 მეამბოხე სიცილიელ მონათა ბელადის სალვიუსის (ტრიფონის) სამეფო
102 ტევტონებისა და ამბრონების (კელტები) ბრძოლა რომაელებთან სექსტიუსის წყლების (Aquae Sextiae — ამჟამინდელი ექსი — Aix) მახლობლად
101 ბრძოლა რომაელებსა და კიმბრებს შორის ვერცელესთან (ამჟამინდელი ვერჩელი)
74—71 სპარტაკის აჯანყება
58—50 იულიუს ცეზარის მიერ წარმოებული ომები გალიაში, ბრიტანეთსა და გერმანიაში

ჩვენი წელთაღრიცხვით

9 პუბლიუს კვინტილიუს ვარუსის დამარცხება ტევტობურგის ტყეში. ვარუსის თვითმკვლელობა
69 (ან 68)—70 იულიუს ცივილისის აჯანყება
169—180 მარკომანების ომი
III საუკ. 80-იანი წწ. ბაგაუდების გამოსვლები გალიაში
332 კონსტანტინეს ბრძანება გლეხობის მიწაზე მიმაგრების შესახებ
340 აგონისტიკოსების აჯანყება ჩრდილოეთ აფრიკაში აქსიდოსა და ფაზირის ხელმძღვანელობით
375 ჰუნების ბრძოლა გოთების წინააღმდეგ
378 ვესტგოთების მიერ რომაელების დამარცხება ადრიანოპოლის ბრძოლაში
379—395 იმპერატორი თეოდოსი
395 რომის იმპერიის განაწილება თეოდოსის შვილებს შორის
395—408 სტილიხონი, დასავლეთ რომის იმპერიის ფაქტიური მმართველი
400 ალარიხის პირველი შეჭრა იტალიაში
402—407 რომაული ლეგიონების გამოყვანა ბრიტანეთიდან
408 ალარიხის მიერ ქ. რომის პირველი გარემოცვა
410 წლის 24 აგვისტო ვესტგოთების მიერ რომის აღება
419—711 ვესტგოთთა ტულუზის სამეფო თავდაპირველად აკვიტანიასა და ესპანეთში, ხოლო VI საუკუნის დამდეგიდან მხოლოდ ესპანეთში
429—534 ვანდალების სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში
433—453 ატილა, ჰუნების ბელადი
439 კართაგენის აღება ვანდალების მიერ
451 ბრძოლა ჰუნებსა და რომაელებს შორის კატალაუნის მინდვრებზე
455 ქ. რომის მეორედ დაცემა (ვანდალების მიერ რომის აღება და აოხრება)

457 ბურგუნდების სამეფოს შექმნა
475 ვესტგოთების სამართალი მეფე ევრინისა
476 რომულუს-ავგუსტულუსის ტახტიდან გადაყენება
481—511 ფრანკების მეფე ხლოდვიგი (ხლოდოვეხი)
527—565 ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I
493—554 ოსტგოთების სამეფო იტალიაში
493—526 თეოდორიხი, ოსტგოთების მეფე
VI საუკუნის დასაწყისი სალიკური სამართლის ჩაწერა
532 „ნიკას“ აჯანყება კონსტანტინოპოლში
535—555 ბიზანტიის ომი ოსტგოთებთან
568 ლანგობარდების შეჭრა იტალიაში
610—641 ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე
711—714 არაბების მიერ ესპანეთის დაპყრობა
715—741 კარლოს მარტელი — ფრანკთა სამეფოს მაიორდომი
717—741 ბიზანტიის იმპერატორი ლეო III (ისავრელი)
732 კარლოს მარტელის მიერ არაბების დამარცხება პუატიესთან
741—751 პიპინ მოკლე — ფრანკთა სამეფოს მაიარდომი
751—768 პიპინ მოკლე — ფრანკთა მეფე
768—814 კარლოს დიდის მეფობა
774 კარლოს დიდის მიერ ლანგობარდთა სამეფოს დაპყრობა
800 კარლოს დიდის მიერ იმპერატორის ტიტულის მიღება
814—840 ლუდოვიკუს ღვთისმოსავის მეფობა
820—823 თომა სლავის აჯანყება მცირე აზიაში
841—842 „სტელინგას“ აჯანყება საქსონიაში
842 სტრასბურგის ფიცი
843 ვერდენის ხელშეკრულება
919—1024 საქსონური დინასტია გერმანიაში
919—936 გერმანიის მეფე ჰაინრიხ I ფრინველთმჭერი
936—973 ოტო I-ის მმართველობა
962 ოტო I-ის იმპერატორად კურთხევა და ე. წ. „რომის საღმრთო იმპერიის“-
დაარსება
963—969 ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა
969—976 ბიზანტიის იმპერატორი იოანე ციმისხი
987 კაროლინგების დინასტიის აღსასრული საფრანგეთში, ჰიუგ კაპეტის მეფედ
არჩევა
987—1328 კაპეტინგების დინასტია საფრანგეთში
997—1038 უნგრეთის მეფე იშტვან I არპადი
1002—1024 ჰაინრიხ II, საქსონური დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი
1016—1035 კნუდ დიდი, გაერთიანებული ინგლისის, დანიისა და ნორვეგიის მეფე
1018 ბიზანტიის მიერ ბულგარეთის დაპყრობა
1024—1125 ფრანკონული (სალიკური) დინასტია გერმანიაში
1024—1039 იმპერატორი კონრად II
1039—1056 იმპერატორი ჰაინრიხ III, შავი
1042—1066 ინგლისის მეფე ედუარდ აღმსარებელი
1054 ქრისტიანული ეკლესიის საბოლოოდ ორად გათიშვა
1056—1106 იმპერატორი ჰაინრიხ IV
1066 ბრძოლა ჰასტინგსთან, ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობა
1066—1154 ნორმანდული დინასტიის ბატონობა ინგლისში

1066—1087 უილიამ I დამპყრობელი
1073—1085 პაპი გრიგოლ VII
1076 ვორმსის საეკლესიო კრება
1077 ჰაინრიხ მეოთხის პაპთან შეხვედრა კანოსაში
1079—1142 აბელარი
1081—1185 კომნინოსების დინასტია ბიზანტიაში
1081—1118 ალექსი I კომნინოსი
1085 ესპანელთა მიერ ტოლედოს დაპყრობა
1086 „საშინელი სამსჯავროს წიგნი"
1087—1100 ინგლისის მეფე უილიამ II წითური
1088—1099 რომის პაპი ურბან II
1095 კლერმონის საეკლესიო კრება
1096—1270 ჯვაროსანთა ლაშქრობები
1096—1099 ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა
1099 წლის 15 ივლისი იერუსალიმის აღება ჯვაროსანთა მიერ
1100—1135 ინგლისის მეფე ჰენრი I ბოკლერკი
1106—1125 გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ V
1108—1137 საფრანგეთის მეფე ლუი VI სქელი
1122 ვორმსის კონკორდატი
1130 სიცილიის ნორმანდული სამეფოს წარმოქმნა
1135—1154 ფეოდალური შინაომლობა ინგლისში
1138—1254 ჰოჰენშტაუფენების დინასტია გერმანიაში
1138—1152 კონრად III-ის მმართველობა
1139 პორტუგალიის სამეფოს წარმოქმნა
1143—1155 რომის რესპუბლიკა
1144 ედესის დაცემა
1147 ჯვაროსნული ლაშქრობა ობოდრიტების წინააღმდეგ
1147—1149 ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა
1152—1190 გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა
1154—1399 პლანტაგენეტების (ანჟუელთა) დინასტია ინგლისში
1154—1189 ინგლისის მეფე ჰენრი II პლანტაგენეტი
1157—1182 დანიის მეფე ვალდემარ I
1162 მილანის დანგრევა ფრიდრიხ ბარბაროსას მიერ
1164 კლარენდონის დადგენილებანი
1167 ლომბარდიის ლიგის ჩამოყალიბება
1169—1171 ინგლისელთა მიერ ირლანდიის დაპყრობის დასაწყისი
1174—1184 ბირკებეინერების აჯანყება ნორვეგიაში
1176 წლის 29 მაისის ბრძოლა ლენიანოსთან
1180—1223 საფრანგეთის მეფე ფილიპე II, ანუ ფილიპ-ოგიუსტი
1185—1204 ანგელოსების დინასტია ბიზანტიაში
1187—1396 ბულგართა მეორე სამეფო
1187 წლის 2 ოქტომბერი—იერუსალიმის აღება სალადინის მიერ
1189—1199 ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგული
1189—1192 ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობა
1198—1216 პაპი ინოკენტი III
1199—1216 ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლო
დაახლ. 1200 პარიზის უნივერსიტეტის დაარსება
1201 ქ. რიგის დაარსება

1202—1241 დანიის მეფე ვალდემარ II
1202—1204 ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა
1204 წლის 12—13 აპრილი კონსტანტინოპოლის აღება ჯვაროსანთა მიერ
1204—1261 ლათინთა იმპერია
1205—1235 უნგრეთის მეფე ანდრაშ II
1209 ალბიგოელთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისი
1212 წლის 16 ივლისი ბრძოლა ლას ნავას დე ტოლოსასთან
1212—1250 ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი
1214 ლაროშ-ო-მუანისა და ბუვინის ბრძოლები
1214—1294 როჯერ ბეკონი
1215 წლის 15 ივნისი თავისუფლებათა დიდი ქარტიის დამტკიცება
1216—1272 ინგლისის მეფე ჰენრი III
1217—1221 ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა
1222 უნგრეთის მეფის ანდრაშ მეორის „ოქროს ბულა“
1225—1274 თომა აქვინელი
1226—1270 საფრანგეთის მეფე ლუი IX
1228—1229 ჯვაროსანთა მეექვსე ლაშქრობა
1235 მერტონის სტატუტი შემოღობვის შესახებ
1237 ტევტონთა და მახვილოსანთა ორდენების გაერთიანება
1241—1242 თათარ-მონღოლთა შემოსევა უნგრეთში
1242 წლის 5 აპრილი ალექსანდრე ნეველის გამარჯვება ტევტონთა ორდენის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩუდის ტბაზე
1245—1247 ჯოვანი პლანო კარპინის მოგზაურობა მონღოლეთში
1248—1254 ჯვაროსანთა მეშვიდე ლაშქრობა
1253—1255 გიიომ რუბრუკელისის მოგზაურობა მონღოლეთში
1254—1278 უმეფობის ხანა გერმანიაში
1258 ოქსფორდის პროვიზიები
1259 უესტმინსტერის პროვიზიები
1260 (დაახლ.) სეგარელის მიერ „მოციქულთა ძმების“ სექტის ჩამოყალიბება პარმის ოლქში
1261 ლათინთა იმპერიის მოსპობა და ბიზანტიის იმპერიის აღდგენა
1261—1453 პალეოლოგთა დინასტია ბიზანტიაში
1263—1265 სამოქალაქო ომი ინგლისში
1265 ინგლისის პარლამენტის დასაწყისი
1265—1321 დანტე ალიგიერი
1266—1337 ჯოტო დი ბონდონე
1266—1442 ანჟუელთა დინასტია სამხრეთ იტალიაში
1270 ჯვაროსანთა მერვე ლაშქრობა
1272—1307 ინგლისის მეფე ედუარდ I
1273—1291 რუდოლფ I ჰაბსბურგი
1279 ედუარდ პირველის სტატუტი „მკვდარი ხელის შესახებ“
1282 წლის 30 მარტი „სიცილიური მწუხრის ლოცვა“ პალერმოში
1282 სიცილიის შეერთება არაგონთან
1282 ინგლისელების მიერ უელსის დაპყრობა
1285—1314 საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზი
1285 უესტმინსტერის მეორე სტატუტი შემოღობვის შესახებ
1291 აკრის დაცემა

1291 შვეიცარიის კავშირის დასაწყისი
1294—1303 პაპი ბონიფაციუს VIII
1295 ედუარდ პირველის „სამაგალითო პარლამენტი"
1300 სეგარელის კოცონზე დაწვა
1302 დანტეს განდევნა ფლორენციიდან
1302 გენერალური შტატების პირველად მოწვევა საფრანგეთში
1302 „ბრიუგეს ცისკრის ლოცვა"
1302 ფრანგი რაინდების დამარცხება კურტრესთან — „დეზების ბრძოლა"
1304—1307 დოლჩინოს აჯანყება ლომბარდიაში
1304—1374 ფრანჩესკო პეტრარკა
1309—1378 პაპების „ავინიონის ტყვეობა"
1313—1375 ჯოვანი ბოკაჩო

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ლიტერატურა, განკუთვნილი მთელი წიგნისათვის[1]

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1952.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ, 1954, გვ. 896—958.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 399—440.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 1—52.

Маркс К. и Энгельс Ф. Архив Маркса и Энгельса, тт. V, VI, VII, VIII, М., 1938—1946.

ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 26—247.

ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, მარკა (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში", თბ., 1956, გვ. 133—(152).

ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში— „გლეხთა ომი გერმანიაში", გვ. 183—196).

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სახელმწიფოს შესახებ, ლექცია სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წლის 11 ივლისს, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 29, თბ., 1952, გვ. 552—577.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, თბ., 1948, ტ. 3, გვ. 204—209, გვ. 382—398.

ბ) წყაროები

ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1950, გვ. 1—89.

შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1962.

Агрикультура в памятниках западного средневековья, Пер. и коммент. под ред. О. А. Добиаш-Рождественской и М. И. Бурского, М.-Л., 1936.

Социальная история средневековья, тт. 1-2, Под ред. Е. А. Косминского и А. Д. Удальцова, М.-Л., 1927.

Средневековье в его памятниках, Под ред. Д. Н. Егорова, М., 1913.

---

[1] ამ განყოფილებაში მითითებული წყაროები და ზოგადი ხასიათის ლიტერატურა ეხება სახელმძღვანელოს ყველა თავს ან მათ უმრავლესობას.

Хрестоматия по истории средних веков, тт. I—II. Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина. М., 1949—1950.
Хрестоматия по истории средних веков, тт. I—II, под ред. акад. С. Д. Сказкина, М., 1961—1963.
Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы. Под ред. В. М. Корецкого, М., 1961.

ბ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Всемирная история, т. III, под ред. Н. А. Сидоровой (отв. ред.), Н. И. Конрада, И. П. Петрушевского и Л. В. Черепнина, М., 1957.
Гутнова Е. В. Основные проблемы истории средних веков в трудах К. Маркса и Ф. Энгельса. Учебно-методическое пособие. М., 1964.
Ковалевский М. М. История экономического быта Западной Европы, т.т. I—II, изд. 8, М., 1931.
Поршнев Б. Ф. Феодализм и народные массы. М., 1964.
Сказкин С. Д. В. И. Ленин и некоторые проблемы медиевистики. Сб. «Средние века», Вып. 18. М., 1960.
Атлас истории средних веков. Изд. 11. Под ред. Е. А. Косминского и А. П. Левандовского. М., 1961.

II. წყაროები და ლიტერატურა ცალკე თავების მიხედვით[1]

შესავლისათვის

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან“, თბ., 1948, გვ. 11—100.
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1952, გვ. 1—88.
კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 896—958.
კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 399—440.
კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 72.
კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 7—14 (წინასიტყვაობა).
ფ. ენგელსი. მარკა (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში“, თბ., 1956, გვ. 133—152).
ფ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, თბ., 1940, გვ. 113.
ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში“, გვ. 183—196).

---

[1] ამ განყოფილებაში მითითებულია მხოლოდ ის წყაროები და ლიტერატურა, რომელიც უშუალოდ ეხება თითოეულ თავს. მოცემული თავებისათვის დამატებითი მასალები ნახეთ აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების სხვა ნაწარმოებებში, ქრესტომათიებში და საერთო ხასიათის ისტორიულ წყაროებში, რომლებიც დასახელებულია ლიტერატურული მაჩვენებლის პირველ განყოფილებაში.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 3, გვ. 204—209.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სახელმწიფოს შესახებ, ლექცია სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წლის 11 ივლისს, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 29, გვ. 552—577.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს

(ფეოდალიზმის წარმოშობა დასავლეთ ევროპაში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 11—100.
კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 72.
М а р к с К., Наброски ответа на письмо В. И. Засулич, Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 19, М., 1961, стр. 400—421.
М а р к с К., Из экономических рукописей 1857—1858 годов, Введение, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. 12, М., 1958, стр. 709.
М а р к с К., Э н г е л ь с Ф., Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 5—21.
ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 479.
ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა (წიგნში — „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის", თბ., 1955, გვ. 18—57).
ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, მარკა (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში", გვ. 133—152).
ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 26—247.
Э н г е л ь с Ф., К истории древних германцев, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. 19, стр. 442—494.

ბ) წყაროები

ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე ვ ს, თბ., 1950, გვ. 1—89.
А м м и а н М а р ц е л л и н, История, вып. 1—3, Киев, 1906—1908.
Древние германцы, Сб. документов, Ввод. ст. и ред. А. Д. У д а л ь ц о в а, М., 1937.
«Записки Юлия Цезаря и его продолжателей о Гальской войне», Перевод и комментарии М. М. П о к р о в с к о г о, М.—Л., 1948.
И о р д а н, О происхождении и деяниях готов. I. Вступит. ст., пер. и коммент. Е. Ч. С к р и ж и н с к о й, М., 1960.
П р о к о п и й из К е с а р и и, Война с готами, перевод с греческого С. П. Кондратьева. Вступительная статья З. В. Удальцовой, М., 1950.
П р о к о п и й К е с а р и й с к и й. История войн римлян с персами, вандалами и готфами, перевод с греческого, т. I, СПб. 1891.
П р о к о п и й К е с а р и й с к и й. О постройках, перевод С. П. Кондратьева. «Вестник древней истории». 1939, т, 4 (3), стр. 201—298.
П р о к о п и й К е с а р и й с к и й. Тайная история. Перевод С. П. Кондратьева. «Вестник древней истории», 1938, т. 4 (5), стр. 271—356.
Сборник документов по социально-экономической истории Византии. М., 1951, стр. 9—61.

Сборник законодательных памятников древнего западноевропейского права. Под. ред. П. Г. Виноградова и М. Ф. Владимирского — Буданова. Вып. 1—3, Киев, 1906—1908.

Социальная история средневековья. Под ред. Е. А. Косминского и А. Д. Удальцова, т. I, «Раннее средневековье», М.-Л., 1927, стр. 35—100.

Хрестоматия по западноевропейской литературе средних веков (IX—XV вв.). Сост. Р. О. Шор (Изд. 2, испр., допол.), М., 1938, стр. 21—144.

Хрестоматия по истории средних веков. Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. I, М.,1949, стр. 75—92.

ბ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Грацианский Н. П. Из социально-экономической истории западноевропейского средневековья, Сб. статей. М., 1960.

Дворецкая И. А. Организация управления в Остготском королевстве, «Византийский временник», т. 21, 1962.

Корсунский А. Р. Образование раннефеодального государства в Западной Европе, М. 1963.

Корсунский А. Р. Проблема революционного перехода от рабовладельческого строя к дофеодальному в Западной Европе. ВИ, 1964. № 5.

Мейман М. Н., акад. Сказкин С. Д. К вопросу о непосредственном переходе к феодализму на основе разложения первобытно-общинного способа производства, ВИ, 1960, № 1.

Петрушевский Д. М. Очерки из истории средневекового общества и государства, изд. 5, М. 1922.

Неусыхин А. И. Возникновение зависимого крестьянства как класса раннефеодального общества в Западной Европе VI—VIII вв., М., 1956.

Удальцова З. В. Италия и Византия в VI в., М., 1959.

მეორე თავისათვის

(ფეოდალიზმის განვითარება ფრანკთა მონარქიაში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 72.

ფ. ენგელსი, მარკა (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში", თბ., 1956, გვ. 133—152).

ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 179—247.

ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 3, გვ. 204—209.

ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ, ლექცია სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წლის 11 ივლისს, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 29, გვ. 552—577.

Маркс К., Энгельс Ф., Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 29—40, 44—53.

Энгельс Ф., Франкский период. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 19, стр. 495—546.

ბ) წყაროები

ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1950, გვ. 1—89.

Агрикультура в памятниках Западного феодального средневековья, Под ред. О. А. Добиаш-Рождественской, М.—Л., 1936, 1—40.

Салическая Правда, Перевод Н. П. Грацианского. под ред. В. Ф. Семенова, М., 1950.

Социальная история средневековья, Под ред. Е. А. Косминского и А. Д. Удальцова, т. I, «Раннее средневековье», М.—Л., 1927, стр. 103—207.

Хрестоматия по истории средних веков, Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. I, М., 1949, стр. 93—160.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

ვ. ნათაძე, მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების მეფობის ხანაში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 24, 1945.

ვ. ნათაძე, Capitulare de villis. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936.

ვ. ნათაძე, სალიკური კანონდება, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 6, 1938.

ვ. ტივაძე, მიწათმფლობელობის თიმარიოტული სისტემა როგორც სამხედრო ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი ოსმალეთში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის „შრომები", ტ. 63, 1956.

Граменицкий Д. С., К вопросу о происхождении фракского иммунитета, СВ. вып. 2, 1946.

Грацианский Н. П., Из социально-экономической истории западноевропейского средневековья, Сб. статей, М., 1960.

Грацианский Н. П., К толкованию термина Villa в «Салической Правде», Средние века, вып. 2, М.—Л., 1946, стр. 73—81.

Грацианский Н. П., О материальных взысканиях в варварских правдах, «Историк-марксист», 1940, № 7, стр. 54—64.

Данилов А. И., Капитулярий о поместьях Карла Великого и его интерпретация в исторической литературе, Труды Томск. гос. ун-та, т. 121, вып. 2, 1953.

Мильская Л. Т., Светская вотчина в Германии VIII—IX вв. и ее роль в закрепощении крестьянства, М., 1957.

Неусыхин А. И., Возникновение зависимого крестьянства как класса раннефеодального общества в Западной Европе VI—VIII вв., М., 1956.

Удальцов А. Д., Свободная деревня в Западной Нейстрии в эпоху Меровингов и Каролингов. СПб., 1912.

Удальцов А. Д., Из аграрной истории Каролингской Фландрии, М.—Л., 1935.

Петрушевский Д. М., Очерки из истории средневекового общества и государства, изд. 5, М., 1922.

Лампрехт К., История германского народа, т. I, М., 1894.
Фюстель де Куланж. Д. Н., История общественного строя древней Франции, т. III—IV, М., 1907—1916.

მესამე თავისათვის

(ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა და ფორმირება ბიზანტიაში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952.
ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში", 1956, გვ. 183—196).

ბ) წყაროები

Бартикян Р. М., Источники для изучения истории павликианского движения, Ереван, 1961.
Васильевский В. Г., Записка греческого топарха, в его кн. Труды, т. 2, вып. I, СПб., 1909, стр. 136—212.
Византийская Книга эпарха, вступ. ст., пер. и коммент. М. Я. Сюзюмова, М., 1962.
Две Византийские хроники X века, Псамафийская хроника, Иоанн Коменната, Взятие Фессалоники, М., 1959.
Константин Багрянородный, Об управлении государством (и др.) «Известия ГАИМК», Вып. 91, М.—Л., 1934, стр. 5—72.
Константин Багрянородный, Сочинения «О фемах» и «О народах», М., 1899.
Лев Диакон Калойский, История, Пер. Д. Попова, СПб., 1820, стр. 1—110.
Мишулин А. В. Материалы к истории древних славян. Древние славяне в отрывках греко-римских и византийских писателей по VII в. н. э., «Вестник древней истории», 1941, № 1. (14).
Прокопий Кесарийский. Тайная история, ВДИ, 1938, № 4.
Прокопий из Кесарии, Война с готами, пер. с. греч. С. П. Кондратьева, Вступ. ст. З. В. Удальцовой. М., 1950.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Васильевский В. Г. Законодательство иконоборцев. «Труды...», т. IV. Л., 1930.
Диль Ш. Византийские портреты, М., 1914.
Дьяконов А. П. Византийские димы и фракции в V—VII вв., «Византийский сборник», М-Л., 1945.
Каждан А. П., Литаврин Г. Г. Очерки истории Византии и южных славян, М., 1958.
Каждан А. П. Деревня и город в Византии IX—X вв. Очерки по истории византийского феодализма, М., 1960.

Курбатов Г. Л., Раннебизантийский город (Антиохия в IV веке). Л., 1962.

Левченко. М. В. Очерки по истории русско-византийских отношений, М.. 1956.

Липшиц Е. Э. Византийское крестьянство и славянская колонизация. «Византийский сборник», М-Л , 1945.

Липшиц Е. Э. Очерки истории византийского общества и культуры, VIII—первая полсвина IX века, М-Л., 1945.

Сюзюмов М. Я. К вопросу об особенностях генезиса и развития феодализма в Византии, ВВ, т. XVII, 1960.

Пигулевская Н. В. Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М-Л., 1946.

Удальцова З. В. Италия и Византия в VI в., М., 1956.

Удальцова З. В. Рабство и колонат в византийской Италии во второй половине VI—VII вв., в книге: «Византийские очерки». М., 1961.

Успенский К. Н. Очерки по истории Византии. ч. I, М., 1917.

Успенский Ф. И. История Византийской империи, т. I, СПб., 1913; т. II, ч. I, Л., 1927.

Юзбашян К. Н. К истории павликианского движения в Византии в IX в., «Вопросы истории религии и атеизма», т. IV, 1956.

მეოთხე თავისათვის

(საფრანგეთი X—XI საუკუნეებში)

ა) მარქსიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 11—100.

კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 399—440.

კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 72.

ფ. ენგელსი. მარკა (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში", თბ., 1956, გვ. 133—152).

ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 179—247.

ფ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ. თბ., 1948.

ფ. ენგელსი. წერილი კ. შმიდტს, 1895 წ. 12 მარტი (წიგნში — „კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები". თბ., 1949, გვ. 531—535).

ბ) წყაროები

შუა საუკუნეების სამართალი. ტ. II, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962, გვ. 7—21.

Средневековье в его памятниках. Под ред. Д. Н. Егорова, М., 1913, Стр, 37—49, 50—70, 226—230, 231—249.

Хрестоматия по истории средних веков. Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. I, М., 1949 стр. 203—222; т. II, М,, 1950, стр, 15—17.

ბ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Бартенев А. С. Из истории крестьянского восстания в Нормандии в конце X века, «Ученые записки Ленингр. гос. пед. ин-та имени М. Н. Покровского». 1940, т. 5. Ист. фак-т, Вып, I, стр, 117—128,

Грацианский Н. П. Бургундская деревня в X—XII столетиях, М-Л., 1935.

История дипломатии. Издание второе. Под ред. В. А, Зорина, В, С. Семенова, С. Д. Сказкина, В. М. Хвостова, т. I, М„ 1959, стр, 126—130.

Ковалевский М. М. Экономический рост Европы, т. I—II, М., 1898—1900.

Книга для чтения по истории средних веков, Под ред. Проф. П. Г. Виноградова. Разные издания т. II.

Лависс Э. и Рамбо А. Эпоха крестовых походов, т. I. изд. 2. М„ 1914, стр. I—63.

მეხუთე თავისათვის

(გერმანია X—XI საუკუნეებში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები. თბ., 1952, გვ. 72.

Маркс К. и Энгельс Ф. Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 53—78, 83—109.

Маркс К. Черновые наброски письма В. И. Засулич, Соч., т. XXVII стр. 677—697 (Приложение).

ფ. ენგელსი. მარკა (წიგნში — „ბლეხთა ომი გერმანიაში". თბ., 1956, გვ. 133—152).

ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 179—242.

Энгельс Ф. Франкский период. Соч., т. XVI, ч. I, стр, 390—439.

ბ) წყაროები

Хрестоматия по истории средних веков. Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. I. М., 1949, стр, 93—160,

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Вейс В. К вопросу о природе фогтства в Германии X—XII вв. «Исторические записки». 1946, т. 19, стр. 102—141.

Данилов А. И. Основные черты иммунитета и фогтства на церковных землях в Германии X—XII вв. «Доклады и сообщения ист. фак-та Моск. гос. ун-та имени М. В. Ломоносова», 1948. Вып, 7, стр, 87—92.

История дипломатии. Изд. второе, под ред. В. А. Зорина, В. С, Семенова, С. Д. Сказкина, В. М. Хвостова, т. I, М., 1959, стр. 146 — 153.

Корхов Ю. А. Догородское ремесло средневековой Германии. Ученые записки Моск. гос. пед. ин-та 1940, т. 26. Кафедра истории средних веков. Вып. I, стр. 3—56.

Корелин М. С. Важнейшие моменты в истории средневекового папства. СПб., 1901, VII, стр. 159.

Лозинский С. Г. История папства, т. I. М., 1934. стр, 327.

Лависс Э. и Рамбо А. Всеобщая история с IV столетия до нашего времени, т. I, М., 1897, стр. 550—660.

Лампрехт К. История германского народа, т. I, М., 1894, XXII, стр. 608.

Неусыхин А. И. Итальянская политика Германской империи X—XIII вв. в современной фашистской историографии. В кн. «Против фашистской фальсификации истории». М-Л., 1939, стр. 156—186.

Неусыхин А. И. Исторический миф третьей империи. «Ученые записки Моск. гос. ун-та имени М. В. Ломоносова», 1945, Вып. 81, стр. 55—115.

Перцов В. Н. Пруссия до ее завоевания немцами. «Исторический журнал». 1944, № 4, стр. 44—52.

Тарле Е. В. История Италии в средние века, СПб., 1906, стр. 197.

მეექვსე თავისათვის

(იტალია X—XI საუკუნეებში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, ბ) წყაროები, გ) გამოკვლევანი; იგივე დამხმარე სახელმძღვანელოები, რაც მითითებულია მეხუთე თავისათვის.

მეშვიდე თავისათვის

(ინგლისი X—XI საუკუნეებში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან“, თბ., 1948, გვ. 94—95.

კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 72.

Маркс К., Конспект работы Джона Ричарда Грина «История английского народа», «Архив Маркса и Энгельса», т. VIII, стр. 322—323.

ფ. ენგელსი, მარკა (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში“, თბ., 1956, გვ. 133—152).

ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 179—247.

ფ. ენგელსი, წერილი კ. მარქსს, 1882 16 დეკემბერი (წიგნში — „კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები“, თბ., 1949, გვ. 396—397).

ფ. ენგელსი, წერილი კ. შმიდტს. 1895 წ. 12 მარტი (წიგნში — „კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები“, თბ., 1949, გვ. 531—535).

ბ) წყაროები

შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962, გვ. 165—183.

Ирландские саги, Изд. 2, испр., Л.-М., 1933,

Хрестоматия по западноевропейской литературе средних веков (IX—XV вв.). Сост. Р. Шор. М., 1938, стр. 63—124, 501—519,

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Виноградов П. Г., Исследования по социальной истории Англии в средние века, СПб., 1887, стр. 259.

Виноградов П. Г., Средневековое поместье в Англии, СПб., 1911, стр. 366.

Грин Д. Р., История английского народа, т. I, М., 1891, стр. 450,

Книга для чтения по истории средних веков, под ред. П. Г. Виноградова, Разные издания, т. II, статья 20.

Лависс Э. и Рамбо А., Всеобщая история с IV столетия до нашего времени. т. I, М., 1897, стр. 602—650; т. II, стр. 657—675.

Общественная жизнь Англии, Изд. Г. Д. Трайля, т. I, М., 1896, стр. 471.

Тьерри О., Завоевание Англии норманнами, СПб., 1900, стр. 134.

მერვე თავისათვის

(ესპანეთი არაბთა დაპყრობიდან XI საუკუნემდე)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

Маркс К., Революционная Испания, Очерк I. Маркс К., Энгельс Ф., Соч., т. X, М.. 1958, стр. 425—433,

Маркс К. и Энгельс Ф., «Архив Маркса и Энгельса, т. VI, стр. 92—126, 275—283; т. VII, стр. 18—33, 80—84.

ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში". თბ., 1956, გვ. 183—196).

ბ) წყაროები

Хрестоматия по истории средних веков, под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. II, М., 1950, стр. 255—259.

Хрестоматия по западноевропейской литературе средних веков (IX—XV вв.). Сост. Р. О. Шор, М., 1938, стр. 391—423.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Арский И. В., Реконкиста и колонизация в средневековой Каталонии, в кн.: «Культура Истории», М., 1940, стр. 42—68.

Альтамира-и-Кревеа Р., История Испании, т. I, Сокращ. перевод с испанского, под. ред. С. Д. Сказкина и Я. М. Света, М., 1951.

Коломиец Г. Н., Битва при Лас Навас де Толоса (из истории реконкисты), «Ученые записки Ленингр. гос. пед. ин-та имени А. И. Герцена», 1941, т. 45, стр. 108—125.
Кудрявцев А. Е., Испания в средние века. Л., 1937, стр. 256.
Культура Испании. Сборник, Л., 1940, стр. 498.
Ковалевский М. М., Экономический рост Европы, т. II, М., 1900, стр. 317—372, 480—524.
Лависс Э. и Рамбо А., Всеобщая история с IV столетия до нашего времени, М., 1897, т. II, стр. 605—655.
Пискорский В. К., Вопрос о значении и происхождении шести «дурных обычаев» в Каталонии. Киев, 1899, стр. 85.

მეცხრე თავისათვის

(სკანდინავიის ძველუნები ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

Маркс К. Энгельс Ф., Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 328—340.
Энгельс Ф., Гражданская война в Швейцарии, Соч., т. V, стр, 227—228.
Энгельс Ф., Ответ г. Паулю Эрнсту, Соч., т. XVI, ч. II, стр. 72—77.

ბ) წყაროები

Хрестоматия по западноевропейской литературе средних веков (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938, стр. 63—124, 501—519.
Ирландские саги, М.-Л., 1953. «Сага о Вомунгах», М.-Л., 1934, «Эдда», М., 1917.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Андерссон И., История Швеции, Перевод со шведского, М., 1951.
Геделунд Л. Н., История Дании, СПб., 1907, V, стр. 263.
Книга для чтения по истории средних веков. Под ред. Проф. П. Г. Виноградова. Разные издания. Т. II, стр. 33—43.
Лависс и Рамбо. Всеобщая история с IV века, 1897—1898, т. I, стр. 603—650, т. II, стр. 657—675.

მეათე თავისათვის

(დასავლეთ ევროპის ადრინდელი ფეოდალური საზოგადოების ზოგადი დახასიათება)

იგივე ლიტერატურა, რაც მოცემულია შესავლისათვის მეორე თავში მოტანილი წყაროების თანდართვით.

მეთერთმეტე თავისათვის

(დასავლეთ ევროპის ადრინდელი ფეოდალური კულტურა)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან". თბ., 1948, გვ. 53—56.

ფ ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 196—198.

ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 189—191.

ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 39—40.

ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული (წიგნში — „კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად", ტ. II, თბ., 1950, გვ. 473—476).

ფ. ენგელსი. სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, თბ., 1953, გვ. 103.

ვ. ი. ლენინი. სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, თბ., 1948, ტ. 20, გვ. 226.

ვ. ი. ლენინი. II ინტერნაციონალის კრახი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, თბ., 1951, ტ. 21, გვ. 272.

ვ. ი. ლენინი. ფილოსოფიური რვეულები, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, თბ., 1963, ტ. 38, გვ. 379.

ბ) წყაროები

Средневековье в его памятниках. Под ред. Д. Н. Егорова. М,, 1913, стр, 260—292.

Хрестоматия по истории средних веков. Под. ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. I, М., 1949, стр. 129—134,

Хрестоматия по западноевропейской литературе средних веков (IX—XV). под ред. Шор, 1938.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

История французской литературы, т. I. М.-Л., 1946.

Рамм Б. Я. «Каролингское возрождение» и проблемы школьной образованности в раннем средневековье. «Ученые записки Ленингр. пед. института имени М. Н. Покровского». 1940, т. V. Ист. фак-т, Вып. I, стр. 89—116.

Фортунатов А. А. Алкуин и его ученики (фрагменты исследования), «Ученые записки Моск. гос. пед. ин-та имени В. П. Потемкина» 1948, т. 8. Кафедра истории средних веков. Вып. I, стр. 5—48.

Фортунатов А. А. Алкуин как деятель Каролингского возрождении, «Ученые записки Моск. гос. пед. ин-та». 1941, т. III, Кафедра ист. фак-та, вып. I, стр. 26—46.

Фортунатов А. А. К вопросу о судьбе латинской образованности в варварских королевствах (по трактатам Виргилия Марона Грамматика), «Средние века», Вып. 2. М.-Л., 1946, стр. 114—134.

მეთორმეტე თავისათვის

(ფეოდალური ქალაქები)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი. ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან“, თბ., 1948, გვ. 11—100.

კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I, თბ., 1954, გვ. 446—457; 896—957.

კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 409—426.

კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 168—192; 399—440.

ფ. ენგელსი. მარკა (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში“. თბ., 1956, გვ. 133—152).

ფ. ენგელსი. ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში“. თბ., 1956, გვ. 183—196).

ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 20—35; 316—357.

ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 7—8; 198—199.

ფ. ენგელსი. „კაპიტალის“ მესამე ტომის დამატებანი (წიგნში — კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 535—561).

ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 31—44.

ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 223—225; 227—228.

ფ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, თბ., 1953, გვ. 67—95.

ფ. ენგელსი. წერილი კაუცკის, 1895 წ., 21 მაისი (წიგნი — კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბ., 1949; გვ. 538—541).

ვ. ი. ლენინი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 3, გვ. 382—398.

ბ) წყაროები

შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962, გვ. 22—54; 386—410.

Регистры ремесел в торговле города Парижа. Пер. Л. И. Киселевой. Под ред. и с предисл. А. Д. Люблинской. СВ, вып. 10, 1957, вып. II, 1958.

Социальная история средневековья. Под ред. Е. А. Косминского и А. Д. Удальцова. т. II, «Деревня и город позднего средневековья». М.-Л., 1927.

Средневековье в его памятниках. Под ред. Д. Н. Егорова. М., 1913, стр. 115—193.

«Средневековый город» (Сборник источников). Под ред. В. Ф. Семенова. «Ученые записки Моск. гос. пед, ин-та имени В. И. Ленина», М., 1949, т. 59, вып. 3. стр. I—I48.

Хрестоматия по истории средних веков. Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. I, М., 1949, стр. 353—396.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

შ. აბრამიძე. შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის (ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები“, XII, 1954).

Трацианский Н. П. Парижские ремесленные цехи в XIII—XIV столетиях, Казань, 1911, стр. 347.

Дживелегов А. К. Городская община в средние века, М., 1901, стр. 84.

Дживелегов А. К. Средневековые города в Западной Европе. СПб., 1902, стр. 248.

Дживелегов А. К. Торговля на Западе в средние века, СПб., 1904, стр. 223.

Дживелегов А. К. Цеха в Западной Европе, СПб., 1903, стр. 16.

Корхов Ю. А. Догородское ремесло средневековой Германии, «Ученые записки Моск. гос. пед. ин-та». 1940, т. 26, вып. I, стр. 3—56.

Кулишер И. М. История экономического быта Западной Европы, т. I, изд. 8, пересм. и дополн. М.-Л., 1931, XXXVI, стр. 322.

Кириллова А. А. Из социальной истории городов Англии XIII в., СВ. вып. 13, М., 1958.

Левицкий Я. А. Проблема раннего феодального города в Англии и Книга Страшного суда, «Средние века», вып. 3. М., 1951, стр. 126—141.

Лозинский С. Г. Классовая борьба в средневековом городе. М.-Л., стр. 157.

Полянский Ф. Я. Очерки социально-экономической политики цехов в городах Западной Европы XIII—XV вв., М., 1952.

Полянский Ф. Я. Отношение цехов к капитализму в период их расцвета (XIII—XV вв.), «Вопросы истории», 1947, № 7, стр. 73—87.

Пиренн А. Средневековые города Бельгии, перевод с французского, под ред. Е. А. Косминского М., 1937, стр. 555 (С вступительной статьей В. В. Стоклицкой-Терешкович «А. Пиренн как историк средневекового города»).

Рыськин Б. И. Вопросы происхождения средневекового европейского города в современной западногерманской буржуазной историографии, СВ, вып. 23. 1963.

Тьерри О. Избранные сочинения, перевод с французского. М., 1937, стр. 438.

Тьерри О. Городская коммуна во Франции в средние века. СПб., 1901, стр. 231.

მეცამეტე თავისათვის

(ეკვაროსანთა ლაშქრობანი)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

Маркс К. Хронологические выписки. Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 109—132, 161—174, 184—188, 190—215, 226, 230—232.

ფ. ენგელსი. წერილი შმიდტს, 1895 წ. 12 მარტი (წიგნში — „კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები". თბ., 1949, გვ. 531—535).

Энгельс Ф. О Франции в эпоху феодализма. Архив Маркса и Энгельса, т. X. стр. 285—286.

ბ) წყაროები

შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962, გვ. 54—57; 67—74.

История средних веков в ее писателях и исследователях новейших ученых (сост. М. М. Стасюлевич), т. III, изд. 3, СПб, 1907.

Усама ибн Мункыз. Книга назидания, пер. с араб. М. Салье, М., 1958.

Хрестоматия по истории средних веков. Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. I, М., 1949, стр. 305—352.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Егоров Д. П. Крестовые походы, чч. 1—2. М., 1914—1915.

Заборов М. А. Крестовые походы, М., 1956.

Заборов М. А. Папство и крестовые походы, М., 1960.

Стоклицкая-Терешкович В. В. Борьба между западноевропейскими государствами за преобладание на Средиземном море в эпоху крестовых походов, Известия Академии наук СССР. Серия истории и философии. 1944, т. I, № 5, стр. 211—221.

Стоклицкая-Терешкович В. В., Западноевропейские , хроники XII в. как источник для истории международных отношений, «Вопросы истории», 1947, № 4, стр. 110—118.

Стоклицкая-Терешкович В. В., Международные отношения в Западной Европе во второй половине XII в. и третий крестовый поход (1189—1192 гг.), Преподавание истории в школе, 1947, № 4, стр. 28—40.

Успенский Д. Н., История крестовых походов, СПб., 1901, стр. 170.

Юзбашян К. Н., Классовая борьба в Византии в 1180—1204 гг. и Четвертый крестовый поход. Ереван, 1957.

მეთოთხმეტე თავისათვის

(საფრანგეთი XII—XIII საუკუნეებში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 399—440.

Маркс К., Энгельс Ф., «Архив Маркса и Энгельса», т. V. стр. 149—161, 170, 178—184, 232—241, 308—314; т. VI, стр. 51—58, 73—75, 303—304, 309—331, 338—361; т. VII, стр. 3—9, 52—70.

ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში“, თბ., 1956, გვ. 183—196).

ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ, ლექცია სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წლის 11 ივლისს. თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 29, გვ. 552—577.

ბ) წყაროები

შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგ. და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962, გვ. 116—131.

Социальная история средневековья, под. ред. Е. А. Косминского и А. Д. Удальцова, т. II, М.-Л., 1927, стр. 11—53, 225—246.
Хрестоматия по истории средних веков, под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. II, М., 1950, стр. 17—20.
Хрестоматия по западноевропейской литературе средних веков (IX—XV вв.). Сост. Р. О. Шор, М., 1938, стр. 145—310.

ბ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Бессмертный Ю. Л., О некоторых изменениях в социально-экономическом положении лотарингского крестьянства во второй половине XII и в XIII вв. СВ, вып. 17, 1960.
История дипломатии, издание второе, 1959, т. I, под ред. В. А. Зорина, С. Д. Сказкина, В. С. Семенова, В. М. Хвостова, стр. 177—190.
Керов В. Л., Восстание «пастушков» в Южных Нидерландах и во Франции в 1251 г., ВИ, 1956, № 6.
Пти-Дютай Ш., Феодальная монархия во Франции и в Англии X—XIII веков, М., 1938.
Сидорова Н. А. Ранняя городская культура во Франции, «Вестник Моск. ун-та», 1951, № 4. Серия общественных наук, вып. 2, стр. 53—68.
Смирнов А. Коммуна средневековой Франции, Казань, 1873.
Тьерри О. Опыт происхождения и успехов третьего сословия, в его кн.: «Избранные сочинения», гл. II, III, IV, М., 1937.

მეთხუთმეტე თავისათვის

(ინგლისი XII—XIII საუკუნეებში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 896—957.
კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 399—440.
კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952.
Энгельс Ф., Маркс К. Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 154—156, 170—184, 301—308, 312—314, 324—328, т. VI, стр. 43—62, 68—73, 304—309, 316—345, 401—407, т. VII, стр. 3—15. Т. VIII, стр. 319—408.
ფ. ენგელსი. ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში — „გლეხთა ომი გერმანიაში". თბ., 1956, გვ. 183—196).

ბ) წყაროები

შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგ. და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1962, გვ. 293—353.
Социальная история средневековья. Под ред. Е. А. Косминского и А. Д. Удальцова, т. II, М.-Л., 1927, стр. 91—176.
Хрестоматия по западноевропейской литературе средних веков (IX—XV вв.). Сост. Р. О. Шор, М., 1938, стр. 519—554.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Барг М. А. Исследования по истории английского феодализма в XI—XIII вв., М., 1962.

Гутнова Е. В. Ограничение иммунитетных прав английских феодалов при Эдуарде I (1272—1307). «Доклады и совещания ист. фак-та Моск. гос. ун-та им. М. В. Ломоносова», 1947, вып. 6, стр. 19—34.

Косминский Е. А. Английская деревня в XIII веке, М.-Л., 1935.

Косминский Е. А. Исследования по аграрной истории Англии XIII в., М.-Л., 1947.

Левицкий Я. А. Проблема раннего феодального города в Англии и Книга Страшного суда. «Средние века», вып. 3, М., 1951, стр. 126—141.

Мортон А. Л. История Англии, М., 1950.

Пти-Дютай. Феодальная монархия во Франции и в Англии X—XIII веков, М., 1938.

მეთექვსმეტე თავისათვის

(ბიზანტია XII—XV საუკუნეებში)

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან", თბ., 1948, გვ. 19—20.

კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952.

ბ) წყაროები

Погодин П. Д. Обзор источников по истории осады и взятия Византии турками в 1453 г., ЖМНП. 1889, № 8, стр. 205—258.

Никита Хониат. История, начинающаяся с царствования Иоанна Комнина, тт. I, II, СПб., 1860.

Никифор Вриенний, Исторические записки (976—1087). СПб., 1858, стр. 156.

Никифор Григора. Римская история, начинающаяся со взятия Константинополя латинянами, тт. I, II. СПб., 1862.

Сборник документов по социально-экономической истории Византии, М., 1951, стр. 125—279.

Хрестоматия по истории средних веков. Под ред. Н. П. Грацианского и С. Д. Сказкина, т. II, М., 1950, стр. 329—331.

გ) გამოკვლევანი და დამხმარე სახელმძღვანელოები

Васильевский В. Г. Материалы для внутренней истории Византийского государства, III (Обозрение документов, относящихся к монастырскому землевладению). ЖМНП. 1880. № 7, стр. 98—170; № 8, стр. 355—404.

Васильевский В. Г. Властели, монастыри и сборщики податей в XI

и XII вв. (Материалы для внутренней истории византийского государства. II). ЖМНП. 1879, № 4, стр. 386—438.

Горянов Б. Т. Византийское крестьянство при Палеологах, «Византийский временник», 1950, т. III, стр. 19—50.

Горянов Б. Т. Восстание зилотов в Византии (1342—1349). Известия Академии наук СССР. Серия истории и философии. 1946. т. III, № 1, стр. 92—96.

Каждан А. П. Аграрные отношения в Византии XIII—XIV вв., М., 1952, стр. 244.

Удальцова З. В. Борьба партий в Византии XV в. и деятельность Виссариона Никейского, «Византийский временник», 1949, т. II, стр. 294—307.

Удальцова З. В. Борьба партий в Пелопоннесе во время турецкого завоевания, по данным византийского историка Критовула, «Средние века». Вып. 3, М., 1951, стр. 161—179.

Успенский Ф. И. История Византийской империи, т. III, М.—Л., 1948. стр. 860.

Успенский Ф. И. К истории крестьянского землевладения в Византии, ЖМНП, 1883, № 1, стр. 30—87; № 2, стр. 301—360.

Яковенко П. А. К истории иммунитета в Византии, Юрьев, 1908, стр. 72.

შინაარსი

შესავალი 3

ნაწილი პირველი. ადრინდელი ფეოდალიზმი

თავი I. ფეოდალიზმის წარმოშობა დასავლეთ ევროპაში 21
§ 1. სამი ძირითადი შეხედულება ფეოდალიზმის გენეზისის საკითხზე . 21
§ 2. მონათმფლობელური წყობილების კრიზისი რომის იმპერიაში და ფეოდალური ელემენტების ჩასახვა 26
§ 3. რევოლუციური მოძრაობა რომის იმპერიის პროვინციებში . . 38
§ 4. ძველი გერმანელი ტომების საზოგადოებრივი წყობილება . . 41
§ 5. ადრეფეოდალური სამეფოები ყოფილ რომის იმპერიის ტერიტორიაზე 52
თავი II. ფეოდალიზმის განვითარება ფრანკთა მონარქიაში 81
§ 1. მეროვინგების ფრანკთა სამეფო 81
§ 2. ფრანკთა სამეფო კაროლინგების დინასტიის ხანაში . . . 103
§ 3. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერება და ფრანკების სამეფოს დაშლა 120
თავი III. ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა და ფორმირება ბიზანტიაში 132
§ 1. ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნა და მისი ვითარება VII საუკუნემდე 132
§ 2. ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავიზაცია 150
§ 3. ფეოდალური საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბება ბიზანტიაში 155
თავი IV. საფრანგეთი X—XI საუკუნეებში 165
§ 1. საფრანგეთი ვერდენის ხელშეკრულებიდან კაპეტინგების დინასტიის გაბატონებამდე 165
§ 2. კაპეტინგების დინასტიის პირველი წარმომადგენლების ღონისძიებანი სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეში . . . 176
თავი V. გერმანია X—XI საუკუნეებში 186
§ 1. გერმანიის პოლიტიკური ვითარება ვერდენის ხელშეკრულებიდან X საუკუნის ბოლომდე 186
§ 2. გერმანიის ფეოდალიზაცია, საქსონური დინასტიის დასასრული . 197
§ 3. წინააღმდეგობათა გამწვავება იმპერატორებსა და პაპებს შორის . 204
თავი VI. იტალია X—XI საუკუნეებში 217
თავი VII. ინგლისი X—XI საუკუნეებში 226
§ 1. ინგლისი ნორმანდელთა თავდასხმამდე 226
§ 2. ინგლისის დაპყრობა ნორმანდელების მიერ 236
§ 3. ნორმანდელთა შემოჭრის შედეგები 241
თავი VIII. ესპანეთი არაბთა შემოსევიდან XI საუკუნემდე 251
თავი IX. სკანდინავიის ქვეყნები ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში . . 268

თ ა ვ ი X. დასავლეთ ევროპის ადრინდელი ფეოდალური საზოგადოების ზოგადი დახასიათება 280
თ ა ვ ი XI. დასავლეთ ევროპის ადრინდელი ფეოდალური კულტურა 310

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე. განვითარებული, ანუ კლასიკური ფეოდალიზმი

თ ა ვ ი XII. ფეოდალური ქალაქები 334
§ 1. ფეოდალური ქალაქების წარმოშობა 334
§ 2. ფეოდალური ქალაქი და მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის . 342
§ 3. ფეოდალური ქალაქის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება . . 347
თ ა ვ ი XIII. ჯვაროსანთა ლაშქრობანი 368
§ 1. ჯვაროსანთა ლაშქრობების გამომწვევი მიზეზები . 368
§ 2. ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა და მისი შედეგები . 378
§ 3. ჯვაროსანთა მეორე და მესამე ლაშქრობა 390
§ 4. ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა 395
§ 5. ჯვაროსანთა შემდგომი ლაშქრობანი და ლაშქრობათა შედეგები 407
თ ა ვ ი XIV. საფრანგეთი XII—XIII საუკუნეებში 413
§ 1. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პირობათა წარმოქმნა . . 413
§ 2. ბრძოლა სამეფო დომენის გაფართოებისათვის და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების დასაწყისი 420
§ 3. საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერება 428
თ ა ვ ი XV. ინგლისი XII—XIII საუკუნეებში 438
§ 1. სამეფო ხელისუფლების გაძლიერება ინგლისში . 438
§ 2. ბარონთა ოპოზიცია სამეფო ხელისუფლების მიმართ . 454
თ ა ვ ი XVI. ბიზანტია XII—XV საუკუნეებში 465
§ 1. ბიზანტია ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის დაწყებამდე . 465
§ 2. „ლათინთა იმპერიის“ დაცემა და ბიზანტიის ხელახალი აღდგენა . 471
§ 3. ოსმალთა ახალი შემოსევები და ბიზანტიის იმპერიის დაცემა . . 476
ქრონოლოგიური ცხრილი 484
ლიტერატურა 489

გამომცემლობის რედაქტორები: მ. ინასარიძე, ნ. მუზაშვილი
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდღაშვილი
კორექტორი ი. ვახტანგიშვილი

სბ 1233

გადაეცა წარმოებას 24.01.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.03. 87.
საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 32, სააღრ.-საგამომც. თაბახი 29,62.

ტირაჟი 2000 შეკვეთის № 553

ფასი 1 მან. 50 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.